ეროს ოქუა

ოქროსფერი

რომანი

„მერანი"
თბილისი 1975

И (Венгр)
894.511—31
0 707

უნგრულიდან თარგმნა
ლილი მაისურაძემ

I — გამოცემა

0 $\frac{70304 — 30}{М\ 604\ (08) — 75}$ 71 — 75 © გამომცემლობა „მერანი“, 1975

მორ იოკაი

(1825—1904)

მორ იოკაი მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო პროზაიკოსია. მის ნაწარმოებებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია როგორც უნგრული, ისე მსოფლიო ლიტერატურაში. მისი რომანები ყოველთვის ანდამატივით იზიდავდა მკითხველს და მათდამი ინტერესი დღესაც, თითქმის ერთი საუკუნის შემდეგაც არ შენელებულა.

საოცრად მდიდარი და მრავალფეროვანია იოკაის ენა. იგი ფართოდ იყენებს ხალხური ზეპირსიტყვიერების საუკეთესო ნიმუშებს და ამიტომაც არის მისი ყოველი ნაწარმოები ახლობელი და გასაგები მკითხველისათვის. ცნობილი უნგრელი პოეტი იანოშ არანი წერდა, იოკაი პირველი პროზაიკოსია, რომლისგანაც შეიძლება მშობლიური უნგრული ენა ვისწავლოთო. მართლაც კითხულობთ იოკაის და გაოცებთ მისი განუმეორებელი პოეტური გამომსახველობის უნარი, ფერები და მეტყველების თავისებური მუსიკალობა. „იოკაის გაკრიტიკება შეუძლებელია, მისი ნაწარმოებებით შეიძლება მხოლოდ დასტკბეთ“, — აღნიშნავდა მისი ერთ-ერთი თანამედროვე.

მორ იოკაი დაიბადა 1825 წლის 18 თებერვალს ქალაქ კეჩკემეტში, ცნობილი, მაგრამ გაღარიბებული აზნაურის ოჯახში. მამამისი პროფესიით ადვოკატი იყო, მთელს ქალაქში უპატიოსნესი კაცის სახელი ჰქონდა და ყველა პატივს სცემდა. იოკაის საშუალება ჰქონდა ახლოს გასცნობოდა როგორც თავადაზნაურთა, ისე ვაჭრებისა და ხელოსნების ცხოვრებას, რომლებიც ხშირად მამამისის კლიენტები ხდებოდნენ. ბავშვობიდანვე გასაოცარი ნიჭით გამოირჩეოდა. 9 წლისა იყო, პირველი ლექსები რომ დაუბეჭდეს, 17 წლისამ კი უკვე წამახალისებელი პრემია დაიმსახურა საუკეთესო მოთხრობისათვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია იოკაის მეგობრობა შანდორ პეტეფისთან, რომელთან ერთადაც სათავეში ჩაუდგა უნგრეთის რევოლუციურ ახალგაზრდობას და რომელიც უდიდეს ავტორიტეტს წარმოადგენდა მისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე.

იოკაის სამწერლო მოღვაწეობა დაახლოებით სამოც წელს მოიცავს. მას დაწერილი აქვს ასზე მეტი რომანი, დრამა და მოთხრობა. მის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად ითვლება „ოქროკაცი“, რომელიც გამოქვეყნდა 1873 წ.

გამოჩენილი უნგრელი მწერალი და კრიტიკოსი კალმან მიქსატი, რომელიც იშვიათად თუ რამეს შეაქებდა, ამ რომანს დიდ შეფასებას აძლევდა.

„ოქროკაცის“ წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჯერ კიდევ იოკაის სიცოცხლეშივე რამდენჯერმე გამოიცა უნგრეთში და ითარგმნა მსოფლიოს მრავალ ენაზე. რომანი გერმანულად გამოიცა ექვსჯერ, ჩეხურად — ორჯერ, პოლონურად — ხუთჯერ, ფრანგულად — ორჯერ, რუსულად — ორჯერ, ინგლისურად — ორჯერ, ამერიკაში და ინგლისში, რუმინულად — ორჯერ. ასევე ბულგარულად, შვედურად, თურქულად და იტალიურად. პიესად გადაკეთებული ოცი წლის განმავლობაში იდგმებოდა უნგრეთის თეატრების სცენებზე და სამჯერ იქნა გადაღებული ფილმი ამ რომანის მიხედვით: 1918 წ, 1936 წ., 1962 წ.

„ოქროკაცი“ თვით იოკაის საყვარელი რომანი იყო. მწერალს მასში გადმოცემული აქვს თავისი სულიერი განცდები და აზრები, მისწრაფებანი უკეთესი მომავლისაკენ. აქ იგი ჰკიცხავს ბურჟუაზიულ საზოგადოებას, რომლის ცხოვრების იდეალი ოქრო გამხდარა, თუმცა, სიმდიდრეს მაინც არ მოაქვს მათთვის ბედნიერება.

მთავარი გმირის, მიხაი ტიმარის სახის შექმნა მწერლის უდიდესი გამარჯვებაა. რომანის დასაწყისში, უაღრესად პატიოსან, ენერგიულ და მარჯვე ახალგაზრდას, ტიმარს შემთხვევით ხელში ჩაუვარდება უდიდესი განძი, რომელსაც მითვისებს და გამდიდრდება. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში აღზრდილი ტიმარი ვერ უძლებს სიმდიდრის ცთუნებას, მაგრამ ის მაინც ადამიანად რჩება ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ის თავის ზღაპრულ სიმდიდრეს არ იშურებს კეთილი საქმეებისათვის, თუმცა ბედნიერებას მაინც ვერ აღწევს. ის უდიდეს სულიერ ტანჯვას განიცდის იმ მოპარული განძის საფასურად, რომელიც მას არ ეკუთვნოდა და საბოლოოდ რწმუნდება, რომ ფულით ადამიანური გრძნობების ყიდვა არ შეიძლება. უამრავ პატიოსან თვალთა ციმციმმა და ოქროს ბრწყინვალებამ ვერ გაუნათა ტიმარს გზა იმ ერთადერთი ქალის გულისკენ, რომელიც მთელ ქვეყანას ერჩია.

რომანში „ოქროკაცი“ მწერალი ჰკიცხავს ბურჟუაზიულ საზოგადოებას, მის მანკიერ მხარეებს. შესანიშნავად გვიხატავს მაშინდელი სახელმწიფო მოხელეთა და სასულიერო პირთა მექრთამეობას და თავგასულობას. მთელი დამაჯერებლობით გვიხატავს იმ ადამიანთა დაღუპვას, რომელთაც გამდიდრებისა და ფულის მოგების მეტი აღარაფერი აინტერესებთ ცხოვრებაში.

რომანის მთავარი გმირი მიხაი ტიმარი რწმუნდება, რომ ოქრო ვერ მოუტანს მას ბედნიერებას და საბოლოოდ წყვეტს კავშირს ცივილიზებულ სამყაროსთან.

ესაა მწერლის ერთგვარი პროტესტი არსებული წყობილებისადმი, მისი მისწრაფება ახალი ცხოვრებისადმი, უკეთესი მომავლისაკენ.

ნაწარმოებში თავიდან ბოლომდე ხაზგასმულია სიკეთისა და ბოროტების ძალთა ჭიდილი და მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შესანიშნავად გვიხატავს სიკეთის, პატიოსნებისა და მაღალი ადამიანური გრძნობების სიდიადეს. ამაშია სწორედ რომანის უდიდესი დამსახურება და ის ცხოველი ინტერესი, რომლითაც გამსჭვალულია მისი ყოველი მკითხველი.

იოკაის დიდი დამსახურება მიუძღვის უნგრული პროზის განვითარებაში. მისმა საოცრად მიმზიდველმა რომანებმა ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე საყოველთაო აღიარებას მიაღწია და სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში.

მთარგმნელი.

პირველი ნაწილი

„წმინდა გორგალა“

I. რკინის ბიშკარი

უზარმაზარი, ოთხი მილი სიგანის მთაგრეხილი ხეობას შუა გაუპია. ორივე ნაპირას ექვსასიდან სამი ათას ფუტამდე სიმაღლის სალი კლდეები აღმართულა. მათ შორის მოედინება უძველესი და უდიდესი მდინარე ისტროსი: დუნაი.

მდინარემ თვითონ შესძლო გაერღვია აქ გზა, თუ მიწისქვეშა გავარვარებულმა ლავამ გახლიჩა ორად მთაგრეხილი? რა ძალამ შესძლო შეექმნა ეს საოცრება, ნეპტუნმა თუ ვულკანმა? ან იქნებ ორივემ ერთად? ეს ხომ ღვთაებრივი ქმნილებაა! მისი მსგავსის შექმნა დღესაც არ ძალუძს უახლესი ტექნიკით შეიარაღებულ ადამიანს, ღმერთის მიბაძვით სასწაულებს რომ ახდენს.

ზღვის ღმერთის ნახელავია ფრუშკას მთა, რომლის მწვერვალზე გაქვავებული ნიჟარები მიმოფანტულა და გამოქვაბული ვეტერანი, სადაც პირველყოფილი, უზარმაზარი ცხოველები ბინადრობდნენ. ცეცხლის ღმერთზე, ვულკანზე, გვიამბობს ფიქალის მთა Piatra Detonata-ს კალთები. ადამიანს კი რკინის ხელებით გაუყვანია აქ, ქვის თაღის ქვეშ სანაპირო გზა, რომელსაც ბურჯებად კლდის ლოდები ამოსდგომია და მიწისქვეშა შესასვლელს მოგვაგონებს. გვერდით ქვის ხიდის ნანგრევებია, შუაში კი, ასი ფუტი სიგანის ხეობაში, დიდი გემები დაცურავს.

ამ ადგილს, რომლის ისტორია ორი ათას წელს აღწევს, ოთხი ეროვნების ხალხმა. რკინის ჭიშკარი უწოდა.

შორიდან ისე მოჩანს, როგორც გოლიათების მიერ კლდეში გამოკვეთილი ტაძარი, გუმბათის სიმაღლის სვეტებითა და წმინდანთა ქანდაკებების მსგავსი საოცარი გამოსახულებებით დამშვენებული. უზარმაზარი ტაძარი ოთხი მილი სიგრძის ხეობას ბოლომდე გასდევს და ყოველ მოსახვევში ახალ-ახალი ფორმისა და თავისებური სილამაზის სხვადასხვაფრად აელვარებულ სასახლეებს გვაგონებს. ერთ-ერთი კედელი გლუვია, თეთრ-წითლად შეფერილი, ზემოდან მეწამული, მურა-წითელი ფერი გადაჰკრავს, თითქოს რკინისა და ირიბკუთხა გრანიტის ფენებისაგან იყოს ჩამოსხმული და ნთელი სიდიადით წარმოგვიდგენს იმ ზებუნებრივ, ტიტანურ ძალას ოსტატისას, რომელსაც ეს საოცარი ტაძარი აუგია. მდინარის შემდეგ მოსახვევში გოთური სტილის, წვეტიანგუმბათებიანი, ფიქალის სვეტებზე შემდგარი ტაძარი აღმართულა. მის ჩამუქებულ კედლებზე აქა-იქ მოყვითალო ყვავილებივით მიმობნეულა გოგირდი და ოქროსფერ ზოლებად ბრწყინავს. კედლები ცოცხალი ყვავილებითაც არის შემკული. თითქოს ვიღაცის მოკრძალებულ ხელს ლავგარდანსა და კლდის ნაპრალებზე მწვანე გვირგვინები ჩამოუკიდია. ეს ფოთლოვანი და წიწვიანი ხეებია, შემოდგომის ყინვებისაგან დამზრალი მოწითალო-მოყვითალო ფერის ბუჩქნარით გარშემორტყმული.

ქვემოთ, ცადაზიდულ თვალუწვდენელ კლდეებს შორის ათასფერად მოქარგული ველი მოჩანს, რომლის აუწერელ სილამაზეს თვალს ვერ მოაშორებ. ამ პირქუშ, უკიდეგანო ხეობაში მუდამ ნისლია, ველზე კი ზღაპრული სამყარო იშლება მზის სხივებით გაცისკროვნებული. ხეებს წითლად შეფერილი მტევნებით დახუნძლული ველური ვაზი შემოხვევია. მათ შორის პატარა ნაკადული მოჩუხჩუხებს და სიცოცხლესა და სილამაზეს მატებს ამ თვალწარმტაც გარემოს. ეს წალკოტი უკაცრიელია, მხოლოდ მისი უმშვენიერესი ბინადარნი, შვლები თუ გამოჩნდებიან ხანდახან ნაკადულთან, მისი ანკარა წყალი კი მიედინება მთის ფერდობზე და ვერცხლის ზოლივით ბრწყინავს. ათასობით ადამიანს გაუვლია გემით დუნაიზე ამ ადგილას და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე მაფგანი არ აღფრთოვანებულიყოს და არ ეფიქროს, განა შეიძლება, აქ არვინ ცხოვრობდესო?

შემდეგ ისევ უზარმაზარი ტაძრის სრულქმნილი სილამაზის დიდებული სანახაობა იშლება. ორი კედელი ასორმოცი საჟენით მიახლოვებია ერთმანეთს და სამი ათასი ფუტის სიმაღლეზე აღმართულა ცისკენ. მის მწვერვალს წმინდა პეტრეს საფლავი ჰქვია, მის გვერდით, ორ უზარმაზარ ქვის ლოდს, წმინდა პეტრეს მოციქულები. ამ თვალუწვდენელი სიმაღლის კლდეებს შორის მოჰქუხს დუნაი.

უდიდესი, ულამაზესი, დიდებული დუნაი, უნგრეთის დაბლობზე თავისუფლად გაშლილ კალაპოტში ლაღად რომ მოედინება, ამწვანებულ ნაპირებსა და მდელოებს რომ ეფერება, მისკენ დახრილ ტირიფის ტოტებს გულში რომ იკრავს და ძველისძველ წისქვილებს რომ ეჩურჩულება, აქ ქვის ლოდებისა და სალი კლდეებისაგან შევიწროებული, აბობოქრებული, გაშმაგებით ეხეთქება აქეთ-იქით და ხმაურით მიემართება წინ. აქ ქრება მისი დარბაისლური სიმშვიდე და გამძვინვარებული, ქაფმორეული ტალღებით ასკდება ნაპირებსა და თითქოსდა ხელოვნურად აღმართულ კლდეებს. ერთ-ერთი ასეთი კლდეა ბაბაგაი, რომლისკენაც განრისხებული დუნაი ისეთი თავგამეტებით მოემართება, იფიქრებთ, შთანთქმას უპირებსო. ამ ორი ბუმბერაზის შერკინებისას მდინარის ტალღების ტიტანური ძალა ერთიანად იმსხვრევა დ ძალაგამოლეული წყლის უდიდესი ნაკადი გოლიათი ბაბაგაის კალთებზე იფრქვევა. ამ დამარცხებით კიდევ უფრო გაბოროტებული უზარმაზარ მორევში იხვევს აქაფებულ ტალღებს, ძალას იკრებს და ისევ ბრძოლის ჟინით ანთებული, დაუოკებელი მიემართება ქვევით კლდის გოლიათებთან საბრძოლველად.

ალაგ-ალაგ მდინარეს ზღუდეები გადაულახავს და გვერდი აუვლია კლდის ლოდებისთვის, ზოგან კი წყლის ნაკადი განუწყვეტლივ ეხეთქება კლდეს და ძირს უთხრის. ასეთ ადგილებში მდინარეს მეჩეჩები წარმოუქმნია, რომლებიც რუკაზეც კი არ არის აღნიშნული. ეს ქვიშნარი, გაუვალი ტყითა და ბუჩქნარით დაფარული კუნძულები არც ერთ სახელმწიფოს არ ეკუთვნის, არც უნკრეთს, არც თურქეთს, არც სერბიას. ამ მიწას სახელიც არა აქვს, არავის უხდის ხარკს და არც არავინ ბატონობს მასზე.

არის ისეთი ადგილებიც, სადაც დუნაის ყველაფერი წაულეკია და ბუჩქნარიც აღარ დაუტოვებია.

კლდეებსა და კუნძულებს მდინარის კალაპოტი რამდენიმე ტოტად გაუყვია, მათში დინების სიჩქარე მატულობს და ოგრადინასა და პლავისოვიცას შორის საათში ათ მილს აღწევს. მეზღვაური კარ-

ვად უნდა იცნობდეს ამ ვიწრო ადგილებს. აქ ერთადერთი არხია მხოლოდ გათხრილი, დიდი გემებისათვის, ნაპირთან ახლოს კი პატარა გემები დაცურავს.

ვიწრო ტოტებში, ამწვანებული კუნძულების გასწვრივ, ადამიანს გაუკეთებია ერთი მეტად თავისებური, საოცარი ნაგებობა. მდინარის ფსკერზე ორ რიგად ჩაუსვია მორები ისე, რომ წამახვილებული მხარე დინების საწინააღმდეგოდ არის მიმართული. ეს ერთგვარი ბადეა ცქვინებზე სათევზაოდ. ცქვინები ზღვის ბინადარნი არიან, დუნაის მოჰყვებიან ხოლმე ზემოთ; მათ არ სჩვევიათ უკან დაბრუნება, მხოლოდ წინ მიცურავენ, მიაპობენ ტალღებს და, ბოლოს, როცა გასასვლელი ვიწროვდება, უკვე ხაფანგში არიან, საიდანაც თავის დაღწევა შეუძლებელია.

აქაური ჰაერი ღვთაებრივი ჰანგებით არის შეზავებული, მდინარის მუდმივი შხუილი და გრგვინვა, ხან თითქოს ჰქრება, ხან კი ზეციურ ხმებად გვევლინება. ყურს უგდებთ, როგორი ხმაურით აგორებს დუნაი ტალღებს ქვის ლოდებზე, როგორ ეხეთქება ზეაზიდულ ციცაბო კლდეებს, როგორ ბობოქრობს მორევში, როგორ იცვლის ხმას ჭორომებში, თქვენდაუნებურად გაჯადოვებთ და იმდენად გიმონებთ, რომ საკუთარი ხმის გაგონებისაც კი გეშინიათ. შიში კიდევ უფრო ძლიერდება, როცა ამ უჩვეულო ხმებს იტაცებს ორივე მხარეს ჩამწკრივებული კლდეების ეხო და უმაღლეს წერტილზე აჰყავს. ეს ხმები სიძლიერით ჭექა-ქუხილს, ეკლესიის ზარების რეკვასა და ორღანის ხმებს უტოლდება. აქ გავლისას გემზე მყოფნი ერთმანეთს მხოლოდ ხელებით ელაპარაკებიან, ვერავინ ბედავს სიტყვის თქმას. იმდენად დიდია დაღუპვის შიში, რომ თქვენდაუნებურად იწყებთ ლოცვას.

რკინის ჭიშკარში რომ მისცურავთ, მის პირქუშ კლდეებს რომ შეჰყურებთ, თავი უკვე სამარეში გგონიათ. ხოლო თუ ამ დროს ქარიშხალიც ამოვარდა, რომელსაც ბორას ეძახიან, მაშინ აქ გავლა ყოვლად შეუძლებელია. ბორა ზოგჯერ მთელ კვირას გრძელდება, გაშმაგებული აწყდება კლდეებს, ხან პირდაპირ მოაქვს იერიში, ხან ვერაგულად, ზურგიდან წამოეპარება გემს, ყოველ მოსახვევში იცვლის მიმართულებას და რომ გგონიათ უკვე ჩადგაო, უცებ მთელი ძალით ეჯახება გემს და თვალის დახამხამებაში გადააბრუნებს. ამ დროს მდინარეც თითქოს უფრო მეტად ბობოქრობს, გრგვინავს,

ტალღების ხმაურიც ერთიორად ძლიერდება, რომ სამუდამოდ ჩაახშოს დასახრჩობად განწირულ ადამიანთა უკანასკნელი ამოძახილი.

II. „წმინდა ბორბალა“ და მისი მგზავრები

იმ დროს დუნაიზე ჯერ კიდევ არ მიმოდიოდა დიდი გემები. გალაციდან მაინის არხამდე ცხრა ათასი ცხენი რიგრიგობით მიათრევდა გემებს სანაპიროდან. ქვემო დუნაიზე, თურქეთის ტერიტორიაზე, იალქნებსაც შლიდნენ, ზემოთ, უნგრეთში კი საჭირო აღარ იყო. ამის გარდა კონტრაბანდისტების მრავალი პატარა გემი დაცურავდა ორი სახელმწიფოს საზღვრად მიჩნეულ მდინარეზე, რომლებსაც გამოცდილი მენიჩბეები მართავდნენ. ყველაზე მომგებიანი კონტრაბანდისტული საქონელი მაშინ მარილი იყო. სახელმწიფო ფორინტნახევრად ასაღებდა მარილს თურქეთის სანაპიროზე, უნგრეთში კი ხუთნახევარი ფორინტი ღირდა. კონტრაბანდისტებს მოჰქონდათ ეს მარილი უკან და სამნახევარ ფორინტად ჰყიდდნენ. ამრიგად ყველა მოგებული რჩებოდა, სახელმწიფოც, კონტრაბანდისტებიც და მყიდველებიც. ამაზე უფრო მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების წარმოდგენაც არ შეიძლებოდა, თუმცა სახელმწიფო არ კმაყოფილდებოდა ამ მოგებით და მთელ საზღვარზე საგუშაგოები ჰქონდა მოწყობილი, რომლებსაც ადგილობრივი მცხოვრებნი იცავდნენ. ყველა სოფელი აგზავნიდა მცველებს საგუშაგოებში და თვითეულს თავისი საკუთარი კონტრაბანდისტები ჰყავდა. როგორც წესი იმ სოფლის კონტრაბანდისტები მიდიოდნენ საქონლის შემოსატანად, რომლის ახალგაზრდობაც მორიგეობდა საგუშაგოებზე. ეს იყო ადგილობრივი ტრადიცია და მტკიცედ იცავდნენ. საზღვარი საიმედოდ იყო დაცული, რასაც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც ჰქონდა, ხელს უშლიდა აღმოსავლეთიდან შემოსული შავი ჭირის გავრცელებას.

ჩვენ ახლა იმ უბედურების წარმოდგენაც კი გვიჭირს, რაც ამ საშინელ სენს ახლავს თან. თითქმის ასორმოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც უნგრეთში უკანასკნელად მძვინვარებდა შავი ჭირი ერთი ქვრივი ქალბატონის წყალობით, რომელმაც დაავადებულის შალი მოიხვია და სულ მალე საშინელ ტანჯვაში დალია სული

ეკლესიის ეზოში. მისგან კი მთელ მხარეს მოედო ეს გადამდები სენი. თუმცა დღესაც ხშირად ვკითხულობთ გაზეთებში, რომ შირაში[1], ბრუშაში[2] და პერაში[3] მძვინვარებს შავი ჭირი და კიდევ უფრო მეტი მადლიერების გრძნობით ვიმსჭვალებით სახელმწიფოსადმი, რომელიც ყოველნაირად უხშობს კარს ამ საშინელ სენს.

საერთოდ ყოველგვარ ურთიერთობას სხვა ქვეყნების ხალხებთან რაიმე ავადმყოფობა შემოაქვს. ჩინეთიდან ქუნთრუშა შემოვიდა, სარკინოზებისაგან ყვავილი, რუსეთიდან გრიპი, სამხრეთ ამერიკიდან ყვითელი ციება, აღმოსავლეთ ინდოეთიდან ქოლერა, თურქეთიდან შავი ჭირი.

ამიტომ დუნაის ორივე ნაპირას საზღვარზე მცხოვრებთ მხოლოდ განსაკუთრებული სიფრთხილითა და მკაცრი წესების დაცვით შეეძლოთ ერთმანეთთან ურთიერთობა, რაც მათი ცხოვრების თავისებურებას წარმოადგენდა. ამ წესების დაცვა ყველასთვის სავალდებულო იყო. თუ ბრუშაში შავი ჭირი გაჩნდებოდა, თურქეთისა და სერბიის მთელი სანაპირო „ჭირიანად" ცხადდებოდა და ყველას, ვინც კი მას მიუახლოვდებოდა, საკარანტინო ბანაკში ათავსებდნენ ათი, ოცი და ზოგჯერ ორმოცი დღითაც კი. საკმარისი იყო ასეთ დროს მარცხენა ნაპირიდან წამოსული გემი საბუქსირო ბაგირით ოდნავ შეხებოდა შემხვედრი გემის ბაგირს, რომ მთელ მის შემადგენლობას კარანტინში ატარებდნენ, გემს კი მდინარის შუაგულში აჩერებდნენ ათი დღე-ღამის განმავლობაში. ყველა და ყველაფერი უმკაცრესი ზედამხედველობის ქვეშ იყო, ყოველ გემს სპეციალური ეგრეთ წოდებული „გამსუფთავებელი" — ჰყავდა. მისი მოვალეობა იყო, თვალყური ედევნებინა მგზავრებისათვის. თუკი ვინმე თურქეთ-სერბიის სანაპიროზე ჩავიდოდა და თუნდაც წამოსასხამის ბოლოთი შეეხებოდა რომელიმე უცხოელს, იგი მას ჭირიანად ჩათვლიდა და ორშოვში მისვლისას კარანტინს გადასცემდა. ამიტომ უწოდებდნენ გამსუფთავებელს. მას შავი დღე დაადგებოდა, თუ ვინმეს ხელს დააფარებდა და კარანტინის ხელისუფალთ არ გადასცემდა. ერთიც რომ გამოჰპარვოდა, თხუთმეტი წლით ციხეში უკრავდნენ თავს.

---

[1] შ ი რ ა — ქალაქი ეგეოსის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე.

[2] ბ რ უ შ ა — ქალაქი თურქეთში.

[3] პ ე რ ა — კონსტანტინოპოლის ეარეუბანი.

კონტრაბანდისტებს კი შავი ჭირი არ ეკარებათ, მათ არავითარი „გამსუფთავებელი“ არ დაჰყვებათ და, როგორადაც არ უნდა მძვინვარებდეს ეს გადამდები სენი, ისინი დღისითაც და ღამითაც გადადიან ერთი ნაპირიდან მეორეზე. მათ მფარველად წმინდა პროკოფი ითვლება.

ერთადერთი, რასაც შეუძლია ხელი შეუშალოს მათ მიმოსვლას, ქარიშხალი ბორაა და თუ ისინი ასეთ დროს მაინც გაბედავენ დუნაის ტალღებთან შებმას, უკვე ვერავითარი ძალა ვეღარ იხსნით დაღუპვისგან. ქარიშხლის შემდეგ მდინარეს ბევრჯერ გამოურიყავს რკინის ჭიშკართან მენიჩბეები და ნიჩბების ნატეხები.

კონტრაბანდისტული საქონლის გადმოტანა დიდი გემებითაც შეიძლება, რომლებსაც ნაპირიდან ცხენები მიათრევენ, მაგრამ აქ უკვე საჭიროა დიდი კომერცია. რაც უფრო დიდია ძაქმე, მით უფრო დიდი ხარჯები აქვს. ღარიბი კაცი ამას ვეღარ შესწვდება. მსხვილი კონტრაბანდისთვის მარილი აღარ გამოდგება, აქ საჭიროა ყავა და თამბაქო.

როცა ბორა მძვინვარებს, რკინის ჭიშკარში ვერც ერთი გემი ვერ გაივლის, ისინი შეფარებული არიან მყუდრო ნავსაყუდელში და საზღვრისპირა საგუშაგოებსაც აღარ სჭირდებათ ვინმეს აქაური წესები და კანონები შეახსენონ. ნაოსნობა დუნაიზე გარკვეული დროის განმავლობაში შეჩერებულია.

მაგრამ დილაადრიან ქარიშხლის საშინელ გრგვინვაში და აქაფებული ტალღების ხმაურში ოგრადინის საგუშაგოს კაპრალს გემის საგანგაშო საყვირის ხმა მოესმა, რომელსაც ყოველგვარ ხმაში გამოარჩევ.

ნუთუ ახლა იქ გემი მიცურავს? ვინ იცის, იქნებ, კლდესაც დაეჯახა და შველას ითხოვს?

დიახ, ეს იყო გემი. ათი-თორმეტი ათასი ტომარა ხორბლით დატვირთული გემი, რომელიც გამძვინვარებული სტიქიის სწორუპოვარ ძალას შებმოდა. ვერცხლისფრად შეღებილი წინა ნაწილის გარდა მთლიანად შავი იყო. გემბანიდან ვიწრო კიბეები ეშვებოდა, ზემოთ კი გადასასვლელი აერთებდა ერთ ოწინარს მეორესთან. წინა ნაწილში ერთმანეთის პირისპირ ოროთახიანი კაიუტები იყო მოთავსებული, მწვანე დარაბებიანი ორ-ორი ფანჯრით, საიდანაც წამებული წმინდა ბორბალას ქანდაკება მოჩანდა ოქროსფერფარჩაგამოკრული ცისფერი წამოსასხამით, ალისფერი შალით და თეთრი შროშანით ხელ-

ში. კაიუტების წინ ორი ფუტი სიგანისა და ხუთი ფუტი სიგრძის ყვავილნარი იყო გაშენებული, რომელშიც მშვენიერი მიხაკები და იები ჰყვაოდნენ. ეს პატარა ბაღი მინდვრის ყვავილებით შემოხვეული, სამი ფუტი სიმაღლის რკინის ღობით იყო შემოფარგლული, შუაში კი წითელ, მუცელგამობერილ შუშაში კანდელი ენთო, რომლის შუქიც როზმარინის აყვავებულ ბუჩქზე იფრქვეოდა.

გემის ქიმზე აღმართულ ანძაზე სამი მსხვილი საზღვაო ბაგირი იყო შემოხვეული, მათი ბოლოები ნაპირზე ჰქონდათ გადატანილი, საიდანაც სპეციალური აკაზმულობით შებმული სამოცდათორმეტი ცხენი მიათრევდა გემს დინების საწინააღმდეგო მიმართულებით. კარგ ამინდში ორჯერ ნაკლები ცხენებიც კმაროდა, დუნაის ზედა წელზე თორმეტი ცხენი ასრულებდა იგივე სამუშაოს, ახლა, ქარიშხლის დროს კი, სამოცდათორმეტ ცხენსაც უჭირდა.

გემის საყვირს ცხენების გამყოლებისათვის აყვირებდნენ.

აქ ადამიანის ხმა უძლურია, თუკი როგორმე ნაპირს მიაღწევს, ექო ათასნაირად შეუცვლის ხმას და ვერავინ ვერაფერს გაიგებს. საყვირის ხმა კი ყველასთვის გასაგებია, თვით ცხენებისთვისაც კი. იმის მიხედვით, წყვეტილია საყვირის ხმა, გაბმული, საგანგაშო თუ გამამხნევებელი, ადამიანებსაც და ცხენებსაც შესანიშნავად ესმით, როდის უნდა შეანელონ სვლა, როდის აუჩქარონ ნაბიჯს და როდის გაჩერდნენ.

მეტისმეტად ძნელია დატვირთული გემისთვის ამ კლდოვან ხეობაში გავლა. აქ უნდა გადალახო აქაფებული ტალღების მძლავრი დინება, უნდა სძლიო საშინელ ქარიშხალს, ყოველ წუთში რომ იცვლის მიმართულებას, მოხერხებულად გვერდი უნდა აუარო კლდეებსა და კიდევ უფრო საშიშ მორევებს.

გემისა და მისი მგზავრების ბედი აქ გავლისას ორი ადამიანის, მესაჭისა და შკიპერის ხელშია, საყვირით განკარგულებას რომ აძლევს მეზღვაურებს. ამ ორმა ადამიანმა სულ უმნიშვნელო შეცდომაც რომ დაუშვას, გემი ან კლდეებს მიეჯახება და ნამსხვრევებად იქცევა ან მეჩეჩზე გაირიყება. შეიძლება უფრო საშინელიც მოხდეს, დინების ძლიერმა ნაკადმა მორევში ჩაითრიოს, რაც გარდუვალ დაღუპვას ნიშნავს. ამ ორი ადამიანის სახის გამომეტყველებით შეიძლება განსაზღვრო მოსალოდნელი საფრთხის სიდიდე, თუმცა მათზე ვერასოდეს ამოიკითხავ შიშს.

მესაჭე მაღალი, წარმოსადეგი კაცი იყო, მზისა და ქარისაგან

სპილენძისფრად გარუჯოდა სახე, ხმა ჩახლეჩილი ჰქონდა. ალბათ, ამიტომ ყელზე მუდამ შალის წითელი ყელსახვევი ეხვია, ჯიბეში კი არყით სავსე მათარა ჩაედო და ხანდახან გადაჰკრავდა ხოლმე.

შკიპერი ასე ოცდაათი წლისა იქნებოდა, ღია წაბლისფერი თმა და მეტყველი ცისფერი თვალები ჰქონდა. საგულდაგულოდ გაპარსულ სახეზე გრძელი ულვაშები შორიდანვე გეცემოდათ თვალში. საშუალო სიმაღლისა იყო და ერთი შეხედვით შეიძლებოდა სუსტ, უღონო კაცადაც მოსჩვენებოდა მნახველს. ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებდა მისი რბილი ხმა, რომელიც თითქმის ქალის ხმას წააგავდა.

მესაჭე იანოშ ფაბულა გახლდათ, შკიპერი — მიხაი ტიმარი. „გამსუფთავებელი“ ოწინართან ახლოს ჩამომჯდარიყო, ბრეზენტის კაპიუშონი შუბლზე ჩამოეფხატა და ულვაშები და გაწითლებული ცხვირიღა მოუჩანდა. მისი სახელი ისტორიაში არ შესულა; იჯდა თავისთვის და თამბაქოს ღეჭავდა.

გემს მიმაგრებული ჰქონდა ტივი, რომელზედაც ექვსი მეზღვაური იჯდა. ისინი თავდაუზოგავად უსვამდნენ უზარმაზარ ნიჩბებს, და რაც შეეძლოთ, უბიძგებდნენ გემს დინების საწინააღმდეგო მიმართულებით. ტივზე მიბმული იყო პატარა ნავი.

კაიუტის კარებში ასე ორმოცდაათი წლის მამაკაცი იდგა გრძელი ჩიბუხით ხელში და თურქულ თუთუნს ეწეოდა. სახის ნაკვთები და იერი აღმოსავლური ჰქონდა და თურქს უფრო წააგავდა, თუმცა ტანსაცმელი ბერძნული ეცვა და, ეტყობოდა, თავს ბერძენ დიდებულად ასაღებდა. მაგრამ მახვილ თვალს ადვილად შეეძლო შეემჩნია, რომ გაპარსული ლოყები უფრო ფერმკრთალი ჰქონდა სახის ქვედა ნაწილთან შედარებით და დიდი ხანი არ უნდა ყოფილიყო გასული, რაც თავის გრძელ წვერს შელეოდა. ეს მგზავრი გემის დავთარში ეთიმ ტრიკალისის სახელით ეწერა. მისი ხორბლის ტომრებით იყო დატვირთული გემი, რომელიც კომარომელი ვაჭრის, ათანაზ ბრაზოვიჩის საკუთრებას წარმოადგენდა.

კაიუტის ფანჯრიდან აუწერელი სილამაზის ქალიშვილის სახე მოჩანდა, ისეთი ლამაზი, რომ სამართლიანად იმსახურებდა წმინდა ბორბალას გამოსახულების გვერდით ყოფნას. ისიც წმინდანს ჰგავდა. სახე ფერმკრთალი ჰქონდა, თეთრი მარმარილოსა და ალებასტრისაგან გამოთლილი გეგონებოდათ, ისე შვენოდა ეს სიფეთრე, როგორც აბისინიელებს სიშავე და მალაიელებს სიყვითლე. ისეთი

თეთრი იყო, რომ იფიქრებდით, ვერც ქარი და ვერც მამაკაცთა შემოხედვა მის ლოყებზე სიწითლეს ვერ გამოიწვევსო.

ქალიშვილი სრულიად ახალგაზრდა იყო, ცამეტი წლისა თუ იქნებოდა, მაგრამ მისი ლერწამივით აშოლტილი ტანი და ანტიკური ქალღმერთის მსგავსი ნაკვთები სრულქმნილი სილამაზის ნიმუშს წარმოადგენდა. იფიქრებდით, დედამისს მასზე ფეხმძიმობისას ვენერა მილოსელისთვის თვალი არ მოუცილებიაო.

სქელ შავ თმას შავი გედის ბუმბულივით მუქი ლურჯი ფერი გადაჰკრავდა, მისი მშვენიერი ცისფერი თვალები კი პირდაპირ საოცრება იყო! ოდნავ გადაბმული, შავი თხელი წარბები მშვენებას მატებდა მის სახეს და ჯადოსნური სილამაზის იერს აძლევდა. სახელად ტიმეა ერქვა.

ესენი იყვნენ სულ „წმინდა ბორბალას“ მგზავრები.

შკიპერმა საყვირი რომ დასდო და კალის საძირავით წყლის სიღრმე გაზომა, თავის ადგილას დაბრუნდა. კაიუტის წინ გავლისას ქალიშვილს გამოელაპარაკა. მისი სახე ილუმინატორში ღვთისმშობლის ხატად წარმოუდგა. ტიმეას მხოლოდ ახალბერძნული ესმოდა და ტიმარმაც ამ ენაზე დაუწყო ლაპარაკი. ის უყვებოდა აქაური ადგილების მკაცრ სილამაზეზე, რომელიც ერთსა და იმავე დროს მშვენიერიც არის და შემაძრწუნებელიც. ლურჯთვალა მზეთუნახავი მას თვალს არ აშორებდა და თითოეულ მის სიტყვას იმახსოვრებდა. ტიმარს უცებ მოეჩვენა, რომ ის მის გვერდით, წმინდა ბორბალას ფეხებთან გადაშლილ იას მისჩერებოდა, მაშინვე მოწყვიტა ყვავილი და ქალიშვილს გაუწოდა.

მესაჭემ ეს რომ დაინახა არ ესიამოვნა: უმჯობესი იქნებოდა, ყვავილი ამ გოგონასთვის კი არა, წმინდა ბორბალასთვის მიგეძღვნა, ახლა მისი დახმარება უფრო საჭიროაო.

— იმ ქვის ლოდს რომ დავეჯახოთ, ვერავითარი ძალა ვეღარ გვიხსნის! უფალო, შეგვიწყალე, ჩვენ ცოდვილნი! — ბუტბუტებდა ჩახლეჩილი ხმით.

მისი სიტყვები, ალბათ, უპასუხოდ დარჩებოდა, იქვე ახლოს „გამსუფთავებელი“ რომ არ მდგარიყო. ის მაშინვე ჩაერია ლაპარაკში, როგორც კი ფაბულას სიტყვები გაიგონა.

— მაინც რა გაიძულებთ ასეთ ამინდში რკინის ჭიშკარში გასვლას?

— გვეჩქარება, თქვენო მოწყალებავ, გვეჩქარება. ბანატში მოუ-

სავლიანი წელიწადი იყო, ვალახიაში კი საუცხოო მოსავალი მიიღეს, ხორბალი მიგვაქვს კომარომში. დღეს წმინდა მიხაის დღეა, თუ არ ვიჩქარებთ, გზაში ნოემბერი მოვეისწრებს და დუნაი გაიყინება.

— თქვენ ფიქრობთ, რომ დუნაი ნოემბერში გაიყინება?

— კი არ ვფიქრობ, დარწმუნებული ვარ, კომარომის კალენდარში ასე წერია, თუ გნებავთ, შეგიძლიათ ნახოთ, ჩემს კაიუტაში ჰკიდია საწოლს ზემოთ.

„გამსუფთავებელმა" კიდევ უფრო ჩამოიფხატა კაპიუშონი და გაღეჭილი თუთუნი მდინარეში გადააფურთხა.

— ასეთ დროს არ უნდა ჩააფურთხო მდინარეში, დუნაი ისედაც განიცხებულია. კომარომის კალენდარში კი რაც წერია, სრული სიმართლეა, ეს ათი წლის წინათაც, კარგად მახსოვს, ნოემბერში ყინვები იყო ნავარაუდევი. „წმინდა ბორბალათი" ვბრუნდებოდით შინ, მაშინაც არავინ დაუჯერა ჩემს კალენდარს, მაგრამ 23 ნოემბრიდან ისეთი ყინვები დაიწყო, რომ ნაოსნობა შეუძლებელი გახდა. ზოგს აპატინთან მოუსწრო, ზოგს ფოლდვართან, მერე უკვე მე დავცინოდი სხვებს. — შენ დაგვიფარე, უფალო! თქვენ ეი, მაგრად მოუსვით ნიჩბებს!

ქარიშხალმა მძლავრად წამოუბერა და მესაჭე დიდი გაჭირვებითღა იმორჩილებდა საჭეს. სახეზე ოფლის ღვარი ჩამოსდიოდა, რაღაც სასწაულით უმკლავდებოდა. გამძვინვარებულ სტიქიას. გასამაგრებლად არაყი გადაჰკრა და ისევ საჭეს ჩასჭიდა ხელი.

— ღმერთო, შენ შეგვეწიე, გაგვაღწევინე ამ კლდეებიდან! — ამოიოხრა და ისევ შეებრძოლა ქარიშხალს.

— გამაგრდით, ბიჭებო! იმ ერთ კლდესაც გავაღწევთ და...

— ერთი კი არა, უამრავია!

— მერე რა! ყველას გადავლახავთ, ნუ გეშინიათ!

— ყური მიგდე, — მიმართა „გამსუფთავებელმა" და ისევ თუთუნი ჩაიყარა პირში, — რატომღაც მგონია, რომ გემი მარტო ხორბლით არ უნდა იყოს დატვირთული.

იანოშ ფაბულამ ალმაცერად გადახედა მას და მხრები აიჩეჩა.

— რა მენაღვლება! თუკი გემზე აკრძალული საქონელია, მით უკეთესი ჩვენთვის, კარანტინში მაინც აღარ გაგვაჩერებენ და მალე მივალთ შინ.

— როგორ?

მესაჭემ ხელით ანიშნა, ჭრთამს მისცემენ და საქმეც ამით გათავდებაო. „გამსუფთავებელი“ მიუხვდა და სიცილი დაიწყო.

— ეშმაკმა დალახვროს! — ჩაიბურდღუნა იანოშმა, — ისევ შეიცვალა დინება, ახლა დროზე რომ არ გადამეყვანა გემი საქარე ტალღაზე, თვალის დახამხამებაში მორევში ჩაგვითრევდა „შეყვარებულების კლდესთან“. — ხედავთ, იქ, ჩვენს გვერდით უზარმაზარი თევზი რომ მოცურავს. ეს ბებერი ცქვინია ხუთას კილოგრამამდე მაინც იწონის, თუ ეს საზიზღარი ქმნილება გემს აეკიდა, აუცილებლად უბედურებას მოუტანს. მოგვიახლოვდებოდეს მაინც, რომ ბარჯით გამოვფატროთ. ღმერთო, შენ დაგვიფარე! — შკიპერი კი ისევ იმ ბერძენ გოგონასთან ლაზღანდარობს, ცხენების გამყოლთათვის მაინც მიეცა ნიშანი! ეს ქალიშვილი კარგს არაფერს მოგვიტანს, რაც ეგ გემზე ამოვიდა, სულ ჩრდილო-დასავლეთის ქარი ქრის, კეთილი სული არ უნდა იყოს! მოჩვენებასავით თეთრია და წარბები ჯადოქარივით აქვს გადაბმული. — ბატონო ტიმარ, ნიშანი მიეცი ცხენების გამყოლეეეებს!

ტიმარს ყურადღება არ მიუქცევია მისთვის, მშვენიერ ბერძენ გოგონასთან განაგრძობდა საუბარს, უამბობდა ათასგვარ ლეგენდასა და თქმულებას აქაურ კლდეებსა და ჩანჩქერებზე.

რკინის ჭიშკრიდან დაწყებული თითოეულ კუნძულს, . კლდესა თუ გამოქვაბულს, თავისი ისტორია, თავისი ლეგენდა ჰქონდა. ყაჩაღთა თავდასხმებზე კი ათასგვარ ამბავს ყვებოდნენ. მათზე მოგვითხრობდნენ ისტორიული წიგნები — თვით კლდეებზე ამოკვეთილი წარწერები, ხალხური სიმღერები და ადგილობრივ მცხოვრებთა და მეთევზეთა მონაყოლი ამბები. ეს მოლაპარაკე ქვების, ამ მეტად თავისებური წიგნების ნამდვილი ბიბლიოთეკა იყო და ვისაც ამ ფურცლების გადაშლა შეეძლო, არაერთ საინტერესო რომანს წაიკითხავდა. მიხაი ტიმარი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვისაც ამ წიგნების კითხვაში ბადალი არა ჰყავდა, მას ბევრჯერ გაევლო რკინის ჭიშკარში და ყოველი კლდე და კუნძული ნაცნობი იყო მისთვის.

შესაძლოა, უცხოელი გოგონას გათვითცნობიერების გარდა, ლეგენდების მოყოლისას მიხაი ტიმარს სხვა მიზანიც ამოძრავებდა. ეს ალბათ მისი კეთილშობილური სურვილი იყო, გაერთო და ზღაპრული ამბების სამყაროში გადაეტანა მთელი მისი ყურადღება, რომ მოსალოდნელი საფრთხე არ შეემჩნია. საფრთხე კი საკმაოდ დიდი იყო და საწახელროდ სიკვდილთან შერიგებულ, უამინდობასა და ყო-

ველგვარ გაჭირვებას შეჩვეულ მეზღვაურებსაც კი შიშის ზარსა სცემდა.

ტიმეა ისმენდა ძველისძველ ლეგენდას მამაც უფლისწულ ვირკოსა და მისი სატრფოს, მშვენიერი მილიევას შესახებ, აბობოქრებული დუნაის ტალღებში აღმართული ლიუბიგაიას კლდის მწვერვალზე რომ გამოქცეულიყვნენ. აქ ისინი განრისხებული მეფე ასანის მდევრებს ემალებოდნენ და დიდხანს, ძალიან დიდხანს შავი არწივი არჩენდათ. არწივს თავისი მართვეებისათვის მოჰქონდა გარეული თხის ხორცი, ნარჩენებს კი შეყვარებულები იყოფდნენ. ბერძენი გოგონა სმენად იყო გადაქცეული და აქაფებული ტალღების ყურთასმენის წამღები ხმაც კი აღარ ესმოდა.

— წინ იყურე, წინ! შეხედე რა გვიახლოვდება! — ისეთი ძალით იყვირა უცებ მესაჭემ, რომ კისრის ძარღვები დაებერა.

ტიმარმა მოიხედა და ახლაღა შეამჩნია მოახლოვებული საფრთხე.

გემი ტატალიას ხეობაში მიცურავდა, სადაც დუნაი ორას საჟენამდე ვიწროვდება და მთის მდინარეს ემსგავსება. ისედაც ვიწრო კალაპოტი ამ ადგილას უზარმაზარ, ხავსითა და ბუჩქნარით დაფარულ კლდეს ორად გაუყვია და წყლის ნაკადის ნაწილს სამხრეთისაკენ, სერბიის დახრამული ნაპირისაკენ აძლევს მიმართულებას, ნაწილს კი ჩრდილოეთისკენ. ჩრდილოეთის კბოდოვან კალაპოტში გაყვანილია ორმოცდაათი საჟენის არხი, რომელშიც დიდი გემები დაცურავენ. ეს ადგილი ისე ვიწროა, რომ გემებს აქ გვერდის ავლა არ შეუძლიათ, თან წყლის ქვეშ უამრავი საშიში რიფებია. სამხრეთ ნაწილში კი, ორივე ნაკადის შესართავთან, უზარმაზარი მორევია, მასში მოხვედრილ გემს ვერავითარი ძალა ვეღარ იხსნის დაღუპვისაგან.

მესაჭის მღელვარება სრულიად სამართლიანი იყო. შემხვედრი გემი ტატალიას ხეობაში და ისიც ქარიშხლის დროს, სახუმარო ამბავი არ გახლდათ.

ტიმარმა გამოართვა ტიმეას ჭოგრიტი, რომლითაც ის იმ მწვერვალს გაჰყურებდა, სადაც მირკო და მშვენიერი მილიევა იმალებოდნენ.

დუნაის დასავლეთ მოსახვევში, მდინარის შუაგულში რაღაც უზარმაზარი მოჩანდა შავად. ტიმარმა ჭოგრიტი თვალთან მიიტანა თუ არა შეჰყვირა:

— ეს წისქვილია!

— დავიღუპეთ! ჩვენი საქმე წასულია! — თავისებურად აღშფოთდა ბიშისაგან თავზარდაცემულ მესაქეს.

მოსალოდნელი საფრთხე მართლაც დიდი იყო. გემისკენ აბობოქრებული მდინარის ტალღებში უდიდესი სისწრაფით მოექანებოდა სადღაც ქარიშხლისაგან მოგლეჯილი წისქვილი. ეს კი შემხვედრ გემზე უარესი გასლდათ. უსაქმოდ და უაფროდ უმისამართოდ მოჰქროდა, როგორც რისხვა და რაც კი წინ აღუდგებოდა, ყველაფერს ანადგურებდა. შემხვედრი გემი გვერდით მეჩეჩზე უნდა გადასულიყო და გზა მიეცა ამ გაცოფებული გოლიათისთვის, მაგრამ „ეწინდა ბორბალას“ უკვე აღარსად შეეძლო გადახვევა, ის ახლა სცილასა და ქარიბდას შუა მიცურავდა.

ტიმარმა უხმოდ გადასცა ტიმეას ჭოგრიტი და ანიშნა იმ არწიცის ბუდისკენ გაეხედა, რომელიც ლტოლვილ შეყვარებულებს ხორცით კვებავდა. შემდეგ წამოსასხამი მოიძრო, ხუთ მენიჩბესთან ერთად კანჯოში გადახტა და უბრძანა მათ თან წამოეღოთ პატარა ლეზა. ნვრილი გვარლი და მოეხსნათ ნავი ტივისაგან.

ტრიკალისმა და ტიმეამ ვერაფერი გაიგეს. ტიმარი უნგრულად ლაპარაკობდა, ვერც ის გაიგეს, მესაქეს რომ უთხრა, კურსი არ შეცვალო, სულ პირდაპირ იარეო. მაგრამ რამდენიმე წუთში ტრიკალისმა უკვე საკუთარი თვალით დაინახა, რა საფრთხეც ელოდათ. აბობოქრებული წყლის ნაკადი მათკენ მთელი ძალით მოაქანებდა უზარმაზარ წისქვილს რომელიც სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდათ და ამ ვიწრო გასასვლელში გზას უღობავდა მათ გეს. საკვარისი იყო ისინი ერთმანეთს შესჯახებოდნენ, რომ თვალის დახამხამებაში ორივე მდინარის ფსკერზე აღმოჩნდებოდნენ.

კანჯო შეუპოვრად მიიწევდა წინ დინების საწინააღმდეგო მიმართულებით, ოთხი მეზღვაური ნიჩბებს უსვამდა, მესუთე კიჩოზე იჯდა საქესთან, ტიმარი კი ფეხზე იდგა.

ნეტავ რას აპირებენ? რა წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს ამ პატარა ნაჭუჭმა გამძვინვარებულ გოლიათს? განა რა შეუძლია ექვს კაცს? თითოეულ მათგანს სამსონის ძალაც რომ ჰქონდეს, მაინც ვერაფერს გახდებოდნენ. თუ ფიქრობენ, ნაპირებისაკენ უბიძგონ წისქვილს, ეს ხომ უაზრობაა. პირიქით, წისქვილი ჩაითრევს მათ ბორტებში. მას ვერც ბუქსირით გაათრევ, ეს იგივე იქნებოდა, ობობამ ხელოს ლაქერა რომ მოინდომოს.

მაგრამ კანჯო სულ არ აპირებდა მდინარის შუაგულში ვაჩერებას, უდიდესი სისწრაფით მიიწევდა წინ და ცდილობდა [illegible] ბერიგრადის დასავლეთ კონცხზე მიეღწია. ამ ადგილას წყალი ისე ღრმა იყო, რომ ნავი ხანდახან ძლივსღა მოჩანდა ტალღებში, იფიქრებდით, მორევმა შთანთქაო. აბობოქრებული წყლის ნაკადი მას აქეთ-იქით ახეთქებდა და ყოველ წუთს დაღუპვას უქადდა.

III. თეთრი ფისუნია

ამასობაში კანჯოში მყოფი მეზღვაურები თათბირობდნენ, რა ეღონათ, როგორ ეხსნათ გემი. ერთი ამბობდა, წისქვილს კედელი შევუნგრიოთ და ჩავძიროთო, მაგრამ ეს საიმედო არ იყო, ტალღები მას მაინც გემისკენ წაიღებდა: მეორე ამტკიცებდა, როგორმე მორევისკენ ვუბიძგოთო. არც ეს ივარგებდა, რადგანაც წისქვილიანერთად აუცილებლად მათ ნავსაც ჩაითრევდა.

ბოლოდნელად ტიმარმა ბრძანება გასცა, კურსი აეღოთ კლდიანან კუნძულ პერიგრადასაკენ, რომლის მწვერვალი მეფის გვირგვინს წააგავდა და „შეყვარებულთა კლდეს“ ეძახდნენ.

როგორც კი ნაპირს მიუახლოვდნენ, ტიმარმა მარტომ ასწია საკმაოდ მძიმე ღუზა და ისე მსუბუქად ისროლა წყალში, რომ ნავი არც განძრეულა. მისი შემყურე მართლაც გაოცდებოდით და თქვენდაუნებურად იფიქრებდით, ამ ტანმორჩილ კაცს ამდენი ძალა საიდანა აქვსო. ღუზამ გვარლის გრძელი შულო გადაიტანა თან. წყალი ნაპირთანაც ძალიან ღრმა იყო. შემდეგ მესაჭეს უბრძანა წისქვილისათვის გზა გადაეკრათ. მეზღვაურები ახლოდა მიუხვდნენ ტიმარს ჩანაფიქრს, მაგრამ ღიდად არ მოსწონებიათ.

— არაფერი გამოვა, — ხელი ჩაიქნიეს მათ, — წისქვილი სულ ერთია გზას გადაუღობავს გემს, გვარლი ვერ გაუძლებს და გაწყდება.

ეთიმ ტრიკალისმა ეს რომ დაინახა, ჩიბუხი წყალში ისროლა, სირბილით მიიჭრა მესაჭესთან და ყვირილი დაუწყო, საბუქსირო ბაგირი გადასჭერი და გემი უკუსვლით წაიყვანეო.

ფაბულას ბერძნული არ ესმოდა, მაგრამ მიუხვდა და გულგრილად უპასუხა, დამშვიდდითl ტიმარმა თავისი საქმისა თვითონ იცისო.

ეთიმმა აღარ იცოდა, რა ექნა, უცებ ქამრიდან ხანჯალი ამოიძრო და ნაპირისაკენ გადაჭიმულ გვარლს მივარდა. ფაბულამ დროზე ანიშნა, უკან მიიხედეო, და რაც მან დაინახა, საკმაო აღმოჩნდა იმისათვის, რომ ადგილზე გაქვავებულიყო. მათ უკან სხვა გემი მოდიოდა. სულ რაღაც ერთი მილიღა აშორებდა მათ ერთმანეთისაგან. ეს იყო თურქეთის მაღალანძიანი სამხედრო გალერა.

ტრიკალისმა უღონოდ ჩააგო ხანჯალი. რამდენიმე წუთის წინ, როცა გარდუვალი დაღუპვის საფრთხე შენიშნა, მაშინაც კი არ შეშინებულა ასე. თურქეთის სამხედრო გალერა რომ დაინახა, ფერი წაუვიდა და ერთიანად გაყვითლდა. მაშინვე ტიმეასკენ გაიქცა, რომელიც დურბინდით კუნძულ პერიგრადის კლდის მწვერვალს გაჰყურებდა.

— მათხოვე დურბინდი! — მიმართა აკანკალებული ხმით.

— ნახე, რა ლამაზია! — მოუბრუნდა ტიმეა.

— რას უყურებ?

— იმ კლდეზე პატარა გარეული თხებია, ციყვებივით დახტიან!

ეთიმმა დურბინდი თურქეთის გემისკენ შეაბრუნა, კარგა ხანს უყურა და მკვდრისფერი დაედო სახეზე.

ტიმეამ ჩამოართვა დურბინდი და ისევ თხებს დაუწყო ყურება. ეთიმმა მარჯვენა ხელი წელზე მოხვია ქალიშვილს.

— როგორ დახტიან! მათ ყურებას არაფერი სჯობია, რა ლამაზები არიან!

ტიმეას აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მამის ხელი მზად იყო, აეტაცნა იგი და დუნაის აქაფებულ ტალღებში გადაესროლა. თუმცა, იმან, რაც შეორე წუთში დაინახა, ეთიმს ისევ დაუბრუნა სიცოცხლის იმედი.

ტიმარმა ნავი წისქვილისკენ წაიყვანა და მარჯვენა ხელით გვარლის ხვეულა დაიჭირა, რომლის ბოლოსაც რკინის კავი ჰქონდა მიმაგრებული. წისქვილი გაშმაგებული ურჩხულივით მთელი სისწრაფით მოჰქროდა, წყლის ნაკადი მის უზარმაზარ ფრთებსა და დოლაბებს ისეთი ხმაურით ატრიალებდა, რომ იქაურობას აყრუებდა. მის ყავრით გადახურულ სახურავზე პატარა, თეთრი ფისუნია იჯდა და საცოდავად კნაოდა.

ტიმარმა ხელსაყრელი მომენტი შეურჩია, დახვეული გვარლი ქამანდივით ჰაერში მოიქნია და წისქვილის ფრთისკენ ისროლა. როგორც კი კავი ფრთას გამოედო, ბორბალმა თანდათან გაჭიმა გვარ-

ლი და წისქვილმა გეზი კლდისაკენ აიღო. ახლა უკვე საკუთარი თავის მეტს ვეღარაფერს დაღუპავდა.

— ხომ ვამბობდი, ტიმარმა თავისი საქმისა თვითონ იცის-მეთქი. — გაიძახოდა აღტაცებული ფაბულა.

— ყოჩაღ, შვილო! — ვეღარ დაფარა გაოცება და სიხარული ეთიმმაც და ისე მაგრად მოუჭირა ხელი ტიმეას, რომ მან კანკალი დაიწყო და თხების ყურებასაც კი თავი ანება.

— ნახე, რა გააკეთა!

ტიმეამ ახლაღა შენიშნა წისქვილი. დურბინდი უკვე საჭირო აღარ იყო, სულ რაღაც ათიოდე საჟენიღა აცილებდა მისგან. გემს ახლა თავისუფლად შეეძლო გავლა ისე, რომ მას არ დასჯახებოდა. ტიმეას არც კი გაუგია, რა საფრთხე ემუქრებოდათ და როგორ აეცილეს თავიდან სიკვდილი. მან უცებ თეთრ ფისუნიას მოჰკრა თვალი, რომელიც წისქვილის სახურავს ჩასჭიდებოდა კლანჭებით და შეშინებული საცოდავად კნაოდა. გეჭის დანახვაზე თითქოს იმედი მიეცა, სახურავის კიდეს მოადგა და გემბანზე გადახტომას ლამობდა.

— ოი, საწყალი ფისუნია! ახლოს მაინც ვიყოთ, რომ მივეშველოთ.

მაგრამ ტიმეას ამ სურვილის ასრულებისაგან „წმინდა ბორბალა“ ეხსნენ მისმა მფარველმა ანგელოზმა და ტიმარის რკინის გვარლმა, რომელიც თანდათან ეხვეოდა წისქვილის ფრთას, უახლოვებდა მას კლდეებს და უთავისუფლებდა გემს გზას.

— საწყალი ფისუნია! რა ეშველება? — ვეღარ ისვენებდა ტიმეა.

— ნუ გეშინია, როგორც კი წისქვილი კლდეს მიუახლოვდება, ნაპირზე გადახტება და იქ იცხოვრებს. — ამშვიდებდა მამა.

მაგრამ თეთრი ფისუნია სულაც ვერ ამჩნევდა კუნძულს, ის წისქვილის იმ ნაწილს არ შორდებოდა, რომელიც გემისკენ იყო მიმართული და ხსნას იქიდან ელოდა. როცა განსაცდელმა გაიარა და იმ ადგილს გასცილდნენ, ტიმეამ ცხვირსახოცი დაუქნია ფისუნიას და ჯერ ბერძნულად დაუძახა რაღაც, შემდეგ კი ყველა კატებისთვის გასაგებ ენაზე, მაგრამ მას უკვე არაფერი აღარ ესმოდა.

როგორც კი გემის კიჩოს გაუსწორდა, წისქვილი მორეკმა ჩაითრია, მისმა ბორბლებმა საწინააღმდეგო მიმართულებით იწყეს ტრიალი. გვარლი მოეშვა და ტალღების ძლიერმა დარტყმამ პირდაპირ

სანაპირო რიფებისაკენ უბიძგა, რომლის იქითაც ყველაზე საშიში მორევი იყო, სანაოსნო რუკებზე ერთმანეთისადმი მიმართული ორი ისრით რომ არის ხოლმე აღნიშნული. ამას ისიც დაემატა, რომ წყალქვეშა ქვის ლოდს დაეჯახა და ამოტრიალდა. თეთრი ფისუნია ახლა ზედა ფრთაზე ახტა დიდი გაჭირვებით და ძლივსღა იმაგრებდა თავს, სანამ ქაფმორეულმა ასოცი ფუტი სიღრმის პირქუშმა მორევმა საბუდამოდ არ შთანთქა იგი. ტიმეამ სახეზე შარფი ირეფარა.

„წმინდა ბორბალა“ გადარჩა. მეზღვაურები გემზე დაბრუნდნენ. ეთიენმა სათითაოდ ყველას ხელი ჩამოართვა, ტიმარი კი გულში ჩაიკრა. ტიმარი ტიმეასგანაც ელოდა ორიოდ სამადლობელ სიტყვას, მაგრამ ის შეწუხებული გაჰყურებდა მორევს და ესღა ჰკითხა მხოლოდ, წისქვილს რა მოუვიდა?

— ნაწილებად დაიშლება. — უპასუხა ტიმარმა.

— ის საცოდავი ფისუნია?

— ისიც დაიღუპება.

— ის წისქვილი ხომ ვიღაცას ეკუთვნოდა?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენ გემი და საკუთარი სიცოცხლე უნდა გადაგვერჩინა. წისქვილი რომ არ დაღუპულიყო, ჩვენ დავიღუპებოდით.

ტიმეა ცრემლიანი თვალებით შეჰყურებდა ტიმარს და ცდილობდა მისთვის ჯერ კიდევ უცხობი სამყაროს გაუგებარი კანონების შეცნობას. „რა უფლება გვაქვს ჩვენ ვიღაცის წისქვილი ჩავძიროთ საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად? და განა შეიძლება, დააღრჩო საცოდავი პირუტყვი, იმისათვის რომ შენ გადარჩე?“

მის გონებას ამის ჩაწვდომა ჯერ არ შეეძლო.

ამის შემდეგ სულ გაურბოდა ტიმარს და აღარც მისი საინტერესო ზღაპრების მოსმენა სურდა.

IV. სალბომორტალე

ტიმარსაც აღარ ეცალა ახლა მის გასართობად. დაძაბული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის შემდეგ ამოსუნთქვაც ვერ მოასწრო, რომ ეთიმმა დურბინდი მიაწოდა და მათ უკან მომავალ გემზე მიუთითა. ტიმარმა ერთი შეხედა გემს და ჩუმად ჩაილაპარაკა:

— სამხედრო გემია... ოცდაოთხნიჩბიანი... „სალონიკი“ ჰქვია.

მას თვალი არ მოუშორებია გემისთვის, სანამ კუნძულს არ მიეფარა, შემდეგ დურბინდი დასდო და საყვარით ჯერ სამი მოკლე საგანგაშო ნიშანი მისცა ცხენების გამყოლებს, შემდეგ ექვსი. ცხენები ააჩქარეს.

კლდეებით დაფარული კუნძული პერიგრადა დუნაის ორ ტოტად ჰყოფს. დიდი გემებისთვის უფრო მოსახერხებელია მარჯვენა მხარე, სერბიის ნაპირის გასწვრივ, აქ ორჯერ უფრო ნაკლები გამწევი ძალაა საჭირო. კლდეებით შევ წროებულ რუმინეთის სანაპიროს გასწვრივაც გაყვანილია ვიწრო მაგრამ ღრმა არხი დიდი გემებისთვის, თუმცა მათ გასათრევად სანაპიროდან ასზე მეტი ხარია საჭირო. პერიგრადას რომ გასცდებით, კიდევ ერთი წინააღმდეგობაა გადასალახავი. ისედაც ვიწრო ტოტში პატარა, მაგრამ მეტად სახიფათო კუნძულია, ამ ადგილას დინების სიჩქარე კიდევ უფრო მატულობს. კუნძულს რესკივალი ჰქვია. (დღეს უკვე წყლითაა დაფარული, მაგრამ იმ დროს, როცა ეს ამბავი ხდებოდა, ჯერ კიდევ არსებობდა), ამ ორი კუნძულით შექმნილ კიწრო გასასვლელში დუნაი ისე მიჰქრის, როგორც გასროლილი ისარი, მაგრამ რესკივალს რომ გასცდება, ფართოვდება, იშლება და უკიდეგანო ტბას ემსგავსება. ოღონდ ტბის სარკესავით გლუვი ზედაპირისაგან განსხვავებით მისი ბოუსვენარი ტალღები მუდამ ბობოქრობს, ღელავს და ყინულს შუა ზამთარშიც კი არ იკარებს. ფსკერი უზარმაზარი წყალქვეშა კლდეებითაა მოფენილი, ზოგი მათგანი წყალშია, ზოგს ოდნავ გამოუჩენია წვეტიანი მწვერვალები, რომლებიც აქ მიმავალ გემს ყოველ წუთში დაღუპვას უქადის. ისე ახლოსაა ეს კლდეები ერთმანეთთან, რომ მათი შეხედვისას, თქვენდაუნებურად შიში გიპყრობთ. ცოტა მოშორებით კიდევ უფრო საშინელი აბრავის კლდე აღმართულა, მის გვერდით წყალქვეშ უზარმაზარი ლოდია გაწოლილი, რომელსაც ტალღები ხმაურით ევლება თავზე და იქვე ახლოს გადაჭიმულ რიფების მწკრივს ასკდება.

დუნაიზე ეს ყველაზე სახიფათო ადგილია ნაოსნობისთვის. საქვეყნოდ ცნობილ ინგლისელ, თურქ და იტალიელ მეზღვაურებსაც კი უჭირთ აქ გავლა. ბევრი გემი დაღუპულა ამ ადგილას. სწორედ ამ კლდეზე დაიმსხვრა თურქეთის სამხედრო ფლოტის სიამაყე „სილისტრია“, რომელიც ბელგრადში მიდიოდა განსაკუთრებული მისიით, ოტომანთა იმპერიის სასარგებლოდ აღმოსავლეთის საკითხის გადასაწყვეტად. მაგრამ ბრძენმა და მშვიდობისმოყვარე პოლიტი-

კოსმა, კუნძულმა რესკივილმა სხვაგვარად ამჯობინა მისი გადაწყვეტა და გემის დაღუპვით საბოლოოდ დაუსვა წერტილი თურქთა ახირებულ მოთხოვნებს.

მიუხედავად ამისა ამ ვერაგ ტბაზე გულადები მაინც ბედავენ გავლას ამ ერთადერთი მოსახერხებელი გასასვლელით, რომელიც სულ რამდენიმე მეზღვაურმა იცის.

დიდი გემებისთვის სერბიის სანაპიროდან რუმინეთის სანაპიროამდე გაუვანილია ვიწრო არხი, რომელიც კლდოვანი ზღურბლით გამოყოფილია დიდი დუნაისაგან. მასში სვინიცასთან შესული გემი მხოლოდ სკელა გლადოვასთან გადადის მდინარეში.

მხოლოდ მას, ვინც კარგად იცნობდა ამ ადგილებს პიატრა კალუგერას იქით, სადაც დუნაი შედარებით მშვიდია, შეეძლო გაეტარებინა არხში გემი ირიბად, რასაც სალტომორტალეს ეძახიან.

სამჯერ გაისმა საყვირის ხმა, შემდეგ ექვსჯერ და ცხენებს გამყოლები მიხვდნენ, რაც იყო საჭირო. წინამძღოლი მაშინვე ჩამოხტა ცხენიდან, ნიშანი მისცა და მათრახების შხუილი და შეძახილებიც გაისმა. გემმა თანდათან მოუმატა სიჩქარეს დინების საწინააღმდეგო მიმართულებით. მალე ცხრა წყვეტილი ნიშანი მისცეს.

გამყოლებმა კიდევ უფრო მეტი ძალით გადაჰკრეს მათრახები ცხენებს, რომლებიც უამისოდაც თავგამეტებით მიჰქროდნენ. ხუთი წუთი ასეთი სირბილი მათთვის მთელი დღის მძიმე მუშაობას უდრიდა. რკინის მსხვილი გვარლი ლარივით გაიჭიმა. ტიმარი გემბანზე იდგა ალესილი ცულით ხელში და როგორც კი გემმა საკმაო სიჩქარით იწყო სვლა, ერთი ძლიერი დარტყმით გადასჭრა გვარლი და ისიც, უკიდურესობამდე დაჭიმული, ჰაერში ავარდა. გაისმა უზარმაზარი სიმის გაწყვეტის ხმა. ცხენებმა წაიჩოქეს, მეწინავე კი მთელი ძალით დაასკდა მიწას და კისერი მოიტეხა. აი რატომ ჩამოხტა წინამძღოლი ნაადრევად ცხენიდან. ბაგირისაგან განთავისუფლებულმა გემმა კურსი შეიცვალა, ქიმით ჩრდილოეთისაკენ შემობრუნდა და ინერციით მდინარის გადაკვეთა დაიწყო. მეზღვაურები ამ გაბედულ მანევრს „მოქობვას“ ეძახიან.

დიდი გემი ასეთ დროს ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მოძრაობს, მისთვის არც ორთქლია საჭირო, არც იალქნები და არც ნიჩბები, მხოლოდ ინერციას მიჰყავს მოპირდაპირე ნაპირისაკენ.

ეს საკმაოდ რთული მანევრი, რომლის დროსაც ანგარიში უნდა გაეწიოს ინერციის ძალას, მანძილს ნაპირამდე და დინების საწინა-

აღმდეგო მიმართულებას, რომელიც სვლის სიჩქარეს ანელებს, გამოცდილი მეზღვაურისთვისაც კი, რომელსაც ნაოსნობის სპეციალური კურსი აქვს გავლილი, ნამდვილად სასახელო იქნებოდა. თვითნასწავლი მესაჭისათვის კი, რომელსაც მხოლოდ საკუთარი გამოცდილების იმედი ჰქონდა, არც ისე იოლი იყო მისი დაძლევა.

როგორც კი ტიმარმა ბაგირი გადასჭრა, იმ წუთიდან გემისა და მისი მგზავრების ბედი ერთადერთი ადამიანის, მესაჭის ხელში იყო და იმანაც დაამტკიცა, რომ თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი გახლდათ და ტოლს არავის დაუდებდა.

— ღმერთო, შენ გვიშველე! — ჩაილაპარაკა თავისთვის და მთელი ძალით დააწვა ოწინარს. გემი ყურეს მიუყვებოდა დინების მიმართულებით. ახლა ორი კაციც დიდი გაჭირვებით გაუმკლავდებოდა, ალბათ, შემხვედრ ტალღას.

ტიმარი ისევ გემის ქიმზე იდგა, წყლის-სიღრმეს ზომავდა და ხელით უხმოდ აძლევდა ნიშანს მესაჭეს.

იანოშ ფაბულა ისე კარგად იცნობდა ამ ადგილებს, რომ თვალის ერთი გადავლებითაც შეეძლო სიღრმე ზუსტად განესაზღვრა, გემი საიმედო კაცის ხელში იყო. მას სულ უმნიშვნელო შეცდომაც რომ დაეშვა, ერთი წამითაც რომ შეენელებინა სიჩქარე ან კურსი შეეცვალა, იმ წისქვილივით მაშინვე პერიგრადის უძირო მორევში აღმოჩნდებოდნენ და მშვენიერ ბერძენ გოგონას თეთრი ფისუნიას დღე დაადგებოდა.

გემმა მშვიდობიანად განვლო რესკოვალის ყველაზე უფრო ვერაგი და დაუნდობელი პირველი ზღურბლი. აქ გემის სიჩქარე საგრძნობლად მცირდება, ინერციის ძალა იწურება და სრუტეც უამრავი დაკბილული რიფებითაა მოფენილი.

გემბანის კიდეზე დაყრდნობილი ტიმეა გამუქვირვალე წყლის ზედაპირს დაჰყურებდა. მიმავალი ტალღები სხვადასხვა ფერებში ირეკლავდა რიფებს. მწვანე, ყვითელი და მოწითალო ქვის ლოდები უზარმაზარ მშვენიერ მოზაიკას ქმნიდნენ, რომელზედაც ვარდისფერფარფლებიანი ვერცხლისებრი თევზები დაცურავდნენ ჯგუფ-ჯგუფად. ამ თვალწარმტაც სანახაობას ტიმეა აღტაცებაში მოჰყავდა.

გემზე სიჩუმე გამეფებულიყო. ტიმეას გარდა ყველამ კარგად იცოდა, რომ ეს ადგილი, სადაც ახლა მიცურავდნენ, ყოველ წუთში შეიძლებოდა მათ სამარედ ქცეულიყო. მხოლოდ ღვთის განგებას შეეძლო ეხსნა ისინი კლდეებზე მიმსხვრევისაგან.

მალე გემი ყურეში შევიდა, რომელსაც ნახევარწრედ შემოვლებოდა კლდეები. ამ ყურეს უსსოვარი დროიდან „მსროლელს“ ეძახოდნენ, იმის გამო, რომ მის კლდეებზე დაჯახებისას ტალღები თოფის გასროლის ხმას გამოსცემდნენ. წყალი აქ საკმაოდ ღრმა (წყალქვეშა კლდეები ნაკლებად საშიში იყო. მომწვანო მუქ ტალღებში უზარმაზარი ცქვინები მოჩანდნენ ქარიყლაპიებთან ერთად, რომელთა გამოჩენაც შიშის ზარსა სცემდა წვრილ-წვრილ თევზებს.

ტიმეა ისე იყო გართული მდინარის ბინადართა ცქერით, რომ ბეტს ვერაფერს ამჩნევდა ირგვლივ. მაშინღა გამოერკვა, ტიმარმა ელვის სისწრაფით რომ დასტაცა მხრებში ხელი და ხელში აყვანილი კაიუტაში შეიყვანა.

— ფრთხილად! ოჰ-ჰო-ჰოოო! — იყვირა ყველამ ერთსმად.

ტიმეა ვერ მიხვდა, რა მოხდა, ასე უხეშად რატომ მოექცნენ და ფანჯარასთან მივიდა. გემმა მშვიდობიანად გაიარა კლდოვანი ყურე (ის იყო რუმინეთის არხში უნდა შესულიყო, რომ ქარიშხალმა ბძლავრად დაუბერა და უზარმაზარი ტალღა ააგორა მის წინ. ამ უკანასკნელი წინააღმდეგობის გადალახვა იყო ყველაზე ძნელი salto mortale-ს მანევრში. კაიუტის ფანჯრიდან ტიმეამ დაინახა კიჩოზე (((

სახიფათო მანევრი და არხში შევიდა. მეზღვაურები ნავში ჩახტნენ მისაშველებლად. „ეს ოქროს მივცემ, ვინც ტიმარს ცოცხალს გამოიყვანს წყლიდან!" — ყვიროდა შეშფოთებული ეთიმი.

— შეინახეთ თქვენი ოქრო, ბატონო! მე უკვე აქა ვარ! — მოისმა გემის ბოლოდან ტიმარის ხმა, რომელიც ღუზის თოკს მოჰყვებოდა ზღვოთ.

— კაცი ვარო, ამან უნდა თქვას!

— ჩაუშვით ნავი! ნაპირზე უნდა გავიდეთ! — ისე მიმართა ტიმარმა მეზღვაურებს, თითქოს არაფერი მომხდარიყოს,

— ტანსაცმელი მაინც გამოიცვალეთ! — ურჩია გაოცებულმა ეთიმმა.

— ასეთ ნებივრობას არა ვარ ჩვეული! — მიუგო ტიმარმა, თანაც დღეს ერთი აბაზანის მიღება კიდევ მომიწევს, უნდა ვიჩქაროთ. — უკანასკნელი სიტყვები თითქმის ჩურჩულით ჩაილაპარაკა. ვაჭარმა შეწუხებული თვალებით შეხედა.

ტიმარი ნავში გადახტა და უახლოესი ნავსაბელისაკენ გაემართა, სადაც მუშა-საქონელი ეგულებოდა. იქ მან სასწრაფოდ დაიქირავა ოთხმოცი ხარი, გემზე კი ამასობაში ახალი საბუქსირო ბაგირი მოამზადეს. ნახევარი საათის შემდეგ „წმინდა ბორბალა" ისევ მიცურავდა რკინის ჭიშკარში მარცხენა ნაპირის გასწვრივ.

ტიმარი გემზე რომ დაბრუნდა, ტანსაცმელი უკვე გაშრობოდა. „წმინდა ბორბალა" ორჯერ გადაურჩა დაღუპვას და ორივეჯერ მხოლოდ და მხოლოდ ტიმარის წყალობით.

კაცმა რომ თქვას, რისი გულისთვის იგდებს საფრთხეში თავის სიცოცხლეს? ის ხომ მხოლოდ და მხოლოდ უფროსი მეზღვაურია და მეტი არაფერი! ხელფასიც საკმაოდ მცირე აქვს! ანდა რა მნიშვნელობა აქვს მისთვის, რითი იქნება გემი დატვირთული, ხორბლით, თამბაქოთი თუ თვალმარგალიტით? სულ ერთია, გასამრჯელოს მაინც არავინ მოუმატებს, — ფიქრობდა თავისთვის ზედამხედველი. და ახლა, როცა უკვე სამშვიდობოს გავიდნენ და დამშვიდებულნი მიცურავდნენ რუმინეთის არხში, მან ისევ განაახლა საუბარი მესაჭესთან.

— გამოტყდით, რომ არასოდეს ისე ახლოს არ ვყოფილვართ სიკვდილთან, როგორც დღეს.

— რაც მართალია, მართალია! — უპასუხა ფაბულამ.

— რა გაიძულებთ, ასეთ ამინდში შეეშვიდოთ სტიქიის ძალას?

— თქვენ თვითონ რამდენი გაქვთ დღიური გასამრჯელო?

— ოცი კროიცარი, — უპასუხა ზედამხედველმა.

— თქვენ რაღა ეშმაკის გულისთვის სწირავთ სიცოცხლეს ჩვენთან ერთად, რაღაც საცოდავი ოცი კროიცარისთვის? მე ერთ ფორინტს მაინც მიხდიან საჭმელ-სასმელის გარდა. გამოდის, რომ მე ორმოცი კროიცარით მეტს ვიღებ და ამდენად ჩემი თავის გაწირვას უფრო მეტი აზრი აქვს.

— მე მგონია, — განაგრძო ზედამხედველმა, — რომ ჩვენი გემი თურქეთის სამხედრო გალერას ემალება, კვალდაკვალ რომ მოგვდევს.

მესაქეს ხველება აუტყდა და ხმა ისევ ჩაეხლიჩა.

— რა ჩემი საქმეა, — მხრები აიჩეჩა გულგრილად, — მე ავსტრიის საბაჟოს მოხელე ვარ და თურქებთან არაფერი მესაქმება, მაგრამ რაც ვიცი, ვიცი.

— მაშ იმასაც გეტყვით, რაც არ იცით, — დაიწყო იანოშ ფაბულამ, — ჩვენ ფეხდაფეხ მოგვდევს თურქეთის სამხედრო გალერა, მას რომ კვალი ავურიოთ და თავი დავაღწიოთ, ათასგვარ ხრიკებს მივმართავთ. იმ მზეთუნახავს ხომ ხედავთ, სულთანს მისი ჰარამხანაში მიყვანა სურდა, მამამ კი ამას თურქეთიდან გაქცევა ამჯობინა. ჩვენ უნდა დავეხმაროთ მათ ფეხი შედგან უნგრეთის მიწაზე, სადაც სულთანის ხელი ვეღარ მისწვდება. ახლა უკვე ყველაფერი იცით და მეტს ნურაფერს მკითხავთ. კარგი იქნება, თუ წმინდა ბორბალას გამოსახულებასთან მიხვალთ და ნახავთ, ტალღამ ხომ არ ჩააქრო კანდელი. თუ ჩამქრალია, აანთეთ და, თუ ნამდვილად კათოლიკე ხართ, ბზის შერუჯვა არ დაგავიწყდეთ.

— მე კი ვარ ნამდვილი კათოლიკე, მაგრამ თქვენზე ამბობენ, კათოლიკე მხოლოდ გემზეა და როგორც კი ხმელეთზე დაადგამს ფეხს, მაშინვე კალვინისტი ხდებაო. წყალში ღმერთს ლოცულობს, მიწაზე კი მისი გაგონებაც არ უნდაო, იმასაც ამბობენ, თქვენი გვარი, ფაბულა, ლათინურად ზღაპარს ნიშნავსო, რა გაეწყობა, უნდა დავუჯერო შენს ზღაპრებს.

— მაგას რაღა ჯობს! ახლა კი, წადი და სანამ არ დაგიძახებ, აღარ მოხვიდე ჩემთან.

* * *

სრული სამი საათი დასჭირდა თურქეთის გემის ოცდაოთხ მენიჩბეს იმ ადგილიდან, სადაც პირველად დაინახეს „წმინდა ბორბა-

ლა“, კუნძულ პერიგრადამდე, რომელიც მდინარეს ორ ტოტად ჰყოფს. კუნძულის ცად აზიდული კლდის მწვერვალები მთლიანად ფარავდა მდინარეს და თურქები, ვეღარაფერს ხედავდნენ. კუნძულის ახლოს მათ მორები და ფიცრები შენიშნეს, რომელიც მორევს წყლის ზედაპირზე ამოეტივტივებინა. ეს დაღუპული წისქვილის ნამტვრევები იყო, შორიდან კი გემის ნამსხვრევებში ვერ გამოარჩევდით. თურქეთის გალერამ კუნძული უკან ჩამოიტოვა და ღია წყალში შევიდა. ახლა უკვე ხელისგულივით იყო გადაშლილი დუნაი ერთნახევარი მილის მანძილზე. არავითარი გემი არ მოჩანდა, ნაპირთან მხოლოდ მეთევზეთა პატარა ნავები დაცურავდნენ აქაიქ. გალერა ცოტა ზემოთ ავიდა და ნაპირს მიუახლოვდა. იქ, საგუშაგოში იკითხეს, დატვირთულ გემს ხომ არ გამოუვლიაო, მაგრამ უარყოფითი პასუხი მიიღეს. მაინც განაგრძეს გზა და ახლა ცხენების გამყოლებს დაუწყეს დაკითხვა, რომლებიც „წმინდა ბორბალას“ მიათრევდნენ. ისინი კეთილი ადამიანები აღმოჩნდნენ, არ გასცეს, გაწყვეტილი ბაგირი აჩვენეს და უთხრეს, გემი პერიგრადთან მორევმა ჩაითრიაო, ორშოვთან კი ისევ დაეწივნენ მათ და განაგრძეს გზა ზემოთ, უნგრეთისაკენ. თურქეთის გალერა უკან შემობრუნდა და ქვემოთ დაუყვა დუნაის. პერიგრადს რომ გაუსწორდნენ, ტალღებში უცებ ფიცრის დიდი ნატეხი შენიშნეს, მათ ის გემბანზე აათრიეს და ნახეს, რომ დახვეულ თოკს ბოლოში ღუზა ჰქონდა მობმული. თოკი გამოხსნეს და ღუზაზე ყველამ დაინახა წარწერა „წმინდა ბორბალა“. ახლა უკვე ეჭვი აღარავის ეპარებოდა მის დაღუპვაში.

— ალბათ, საბუქსირო ბაგირი გაუწყდათ, ღუზა ჩაუშვეს, მაგრამ ტვირთს ვეღარ გაუძლო და დინებამ მორევში ჩაითრია! ო, ალლაჰ, გვაშორე მათი ბედი! — შესთხოვეს ღმერთს და იქაურობას გასცილდნენ.

V. ᲒᲐᲪᲘᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ

ორჯერ გადაურჩა „წმინდა ბორბალა“ დაღუპვას. უკან მოიტოვა მუხანათი წყალქვეშა კლდეები და თურქეთის გალერა, კვალდაკვალ რომ მოჰყვებოდა. წინ კიდევ ორი დაბრკოლება იყო გადასალახავი! ორშოვის კარანტინი და ქარიშხალი ბორა.

რკინის ჭიშკრის ზემო ნაწილში, უზარმაზარ კლდეებს შორის ასი საჟენი სივანის ვიწრო გასასვლელში მოჰქუსს აბობოქრებული მდინარე. წყლის მძლავრი ნაკადი ზოგ ადგილას ოცდაათი ფუტი სიმაღლიდან ეშვება და ხმაურით მიემართება ქვემოთ. მოწითალო-მოყვითალო კლდეების მწვერვალებზე რუხი-მომწვანო ფერის შერეული ტყეები აქოჩრილა. მწვერვალებს ზემოთ, მოკრიალებული ცის უკიდეგანო სივრცეს მხოლოდ მთის არწივები სერავენ.

ახლა რომ იქ გადაგეხედათ, მართლაც განსაცვიფრებელი სანახაობა გადაგეშლებოდათ თვალწინ: კაკლის ნაჭუჭივით პატარა უიალქნო და უნიჩბო გემი შეუპოვრად მიიწევდა წინ, ზემოთ, ქარისა და დინების საწინააღმდეგო მიმართულებით, ყველა ბოროტი ძალების ჯიბრზე. იქ მყოფთაგან ზოგს, ალბათ, თავისი ჭკუა-გონების იმედი ჰქონდა, ზოგს სიმდიდრისა, ზოგს ძალღონისა, ზოგს კი, ვინ იცის, სილამაზისაც.

ამ ადგილას ბორა ვეღარაფერს დააკლებდა გემს, მას ორივე მხარეს აღმართული უზარმაზარი კლდეები იცავდა, მესაჭესა და ცხენების გამყოლებს შეეძლოთ ცოტა ამოესუნთქათ. მაგრამ ქარიშხალს თვალი არ უნდა მოუხუჭო.

ნაშუადღევს ფაბულამ საჭე სხვას გადასცა და თვითონ „ყაჩაღური“ წესით მწვადების შეწვას შეუდგა. ხის შამფურზე ძროხისა და ღორის ხორცი წამოაცვა ქონთან ერთად და ნაკვერცხლებზე ტრიალი დაუწყო.

უცებ ორ ცადაზიდულ კლდეს შუა მოქცეული მოკრიალებული ცის ნაგლეჯი ღრუბლებით დაიფარა და ხეობა წყვდიადმა მოიცვა. ბორასთან ხუმრობა არ შეიძლება. შავ ღრუბლებში გაიელვა და ჭექა-ქუხილის ხმამ იქაურობა გააყრუა. მისი ხმა ექომ კიდევ უფრო გააძლიერა და ისეთი გრგვინვა გაისმა, იფიქრებდით, დედამიწა შუაზე გახლიჩაო. თან კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

გემი მაინც მიაპობდა ტალღებს და, რაც შეეძლო, ებძროდა განრისხებულ სტიქიას, ცდილობდნენ როგორმე დღით მიეღწიათ ორშოვამდე. უკუნეთი სიბნელე იყო, ელვა თუ გაანათებდა ხანდახან ჯოჯოხეთური ცეცხლით გარემოს. ნაპირზე საყვირით ნიშნის მიცემა უაზრობა იყო, მას რუმინეთის სანაპიროზე თუ გაიგონებდნენ. ჭკვიანი კაცი ყოველთვის იპოვის გამოსავალს.

ტიმარი გემის კიჩოზე დადგა, ტალ-კვესი აიღო და ნაპერწკლების გაპოყრა დაიწყო. მას წვიმა ვერ ჩააქრობდა, ნაპირიდან ხარე-

ბის გამყოლები დაინახავდნენ, დაითვლიდნენ დარტყმებს და მიხვდებოდნენ, რას ითხოვდნენ მათგან. პასუხსაც ასევე დაუბრუნებდნენ. ეს იყო აქაური კონტრაბანდისტების საიდუმლო ტელეგრაფი, ნიშნები ორივე ნაპირის მცხოვრებთა გამოგონილი იყო.

ტიმეას მოეწონა ჭექა-ქუხილი. წამოსასხამი წამოისხა და ილუმინატორში ყურება დაიწყო.

— ისე მგონია, აკლდამაში მივცურავთ! — დაუძახა ტიმარს.

— აკლდამაში არა, მის გვერდით. — უპასუხა ტიმარმა, — აი, იმ მაღალ კლდეს, ელვისგან თითქოს ცეცხლი რომ წაჰკიდებია, წმინდა პეტრეს საფლავი ჰქვია, მის გვერდით ორი ქვის ლოდი კი ორი დედაბერია. გადმოცემის მიხედვით, უნგრელი და რუმინელი ორი დედაბერი ერთმანეთს ეჩხუბებოდა იმაზე, თუ ვის ეკუთვნოდა წმინდა პეტრეს საფლავი, რუმინეთს თუ უნგრეთს. წმინდა პეტრეს მათი ჩხუბი მოსვენებას აღარ აძლევდა და ბოლოს ორივე გააქვავა.

— საიდან იცით, რომ აქ წმინდანის საფლავია? — ჰკითხა ტიმეამ.

— იმ კლდეზე ბევრი სამკურნალო ბალახი ხარობს, რომლებიც მრავალ დაავადებას ჰკურნავს. სხვა ქვეყნებშიც კი გააქვთ აქედან.

— ესე იგი წმინდანები სიკვდილის შემდეგაც სიკეთეს სთესენ?

— ტიმეა! — მოისმა ამ დროს კაიუტიდან.

ქალიშვილი ფანჯარას მოსცილდა და ფარდა ჩამოუშვა. გემმა. როგორც იქნა, გააღწია ამ პირქუშ ხეობას. მალე კიდევაც გამოიდარა და თითქოს არაფერი მომხდარაო, მგზავრების თვალწინ ჩერნას მშვენიერი ველი გადაიშალა. ორივე ნაპირზე გორაკები ვენახებითა და ხილის ბაღებით იყო დაფარული. ჩამავალი მზის სხივები ათბობდა მწვანეში ჩაფლულ, წითელი კრამიტით გადახურულ, მაღალი ლამაზი გუმბათებით დამშვენებულ პატარა თეთრ სახლებს. მოწმენდილ ცაზე ცისარტყელა ბრწყინავდა. მრისხანე დუნაი დამშვიდებულიყო და ნელ-ნელა იშლებოდა ფართო კალაპოტში.

დასავლეთით, მოცისფრო-მოიისფრო წყლის ზედაპირზე მოჩანდა კუნძულზე გაშენებული ქალაქი — ნავსადგური ორშოვა.

.....აქ მათ მეოთხე და ყველაზე უფრო მძიმე განსაცდელი ელოდათ!

მზის ჩასვლისას „წმინდა ბორბალამ“ ორშოვასთან ჩაუშვა ღუზა.

— ხვალ ისევ გრიგალი იქნება, — ჩაილაპარაკა ფაბულამ და ალისფერად შეღებილ დასავლეთის ცის კიდურს შეხედა.

ჩამავალი მზის სხივებით აფერადებული ცა ვულკანიდან ამოხეთქილ ლავას მოგაგონებდათ, მეწამული ღრუბლების მიღმა კი ისევ მომწვანო-ფირუზისფერი იყო. ქვემოთ კი ამწვანებულ გორაკებსა და დუნაის ტალღებს ოქროსფერი მოწითალო შუქი შეჰფრქვეოდა. იფიქრებდით, ცეცხლის ნაკადი მიედინებაო ცასა და დედამიწას შორის. მდინარის შუაგულში აღმართული კუნძული გუმბათებიანი სახლებით იყო დაფარული, რომლებიც ჩამავალი მზის სხივებში თვალისმომჭრელად ბრწყინავდნენ. აქ უნდა განწმენდილიყო ყველა, ვინც კი შავი ჭირით დაავადებული აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიწაზე შემოსდგამდა ფეხს.

„წმინდა ბორბალას“ მგზავრებს იმ ალისფერი ღრუბლის დანახვაზე მეტად, რომელიც მეორე დღისთვის ქარიშხალს მოასწავებ-ებდა, პატარა მოყვითალო-მოშავო ნავი აფიქრებდათ, სკელას მხრიდან რომ უახლოვდებოდა მათ.

სკელა ფიცრის მაღალი კედელია, სადაც წარმოებს მოლაპარაკება, ვაჭრობა და სხვადასხვა სახის გაცვლა-გამოცვლა დუნაის ორივე ნაპირზე მცხოვრებ მეზობელი ქვეყნების მოსახლეობას შორის.

„წმინდა ბორბალამ“ კუნძულთან ახლოს ჩაუშვა ღუზა და ნავს დაუწყო ლოდინი. ნავში ექვსი კაცი იჯდა: მესაჭე, ორი მენიჩბე და სამი შეიარაღებული საბაჟოს მოხელე.

აღელვებული ეთიმი ბოლთასა სცემდა კაიუტის წინ. ტიმარი მიუახლოვდა და ჩასჩურჩულა:

— საბაჟოს მოხელეები არიან.

ეთიმმა ტყავის ჩანთიდან ორი ქისა ამოიღო და უხმოდ გადასცა. თითოეულში ას-ასი ოქრო იდო.

ამასობაში ნავიც მიუახლოვდა და სამი შეიარაღებული კაცი ამოვიდა გემბანზე, წინ საბაჟოს მოხელე მოდიოდა. მას უნდა შეემოწმებინა, ხომ არ იყო გემზე კონტრაბანდული საქონელი ან იარაღი, ორნი, თოფებით ხელში კი, გადასახადების ამკრეფნი იყვნენ. მათვე ევალებოდათ, თვალყური ედევნებინათ, კეთილსინდისიერად ასრულებდა თუ არა საბაჟოს მოხელე თავის მოვალეობას. გემზე მყოფ „გამსუფთავებელს“, როგორც ნახევრად ოფიციალურ პირს, ყურადღება უნდა მიექცია შემოწმებისათვის, თავის მხრივ, საბაჟოს მოხელეებსაც უნდა ეკითხათ მისთვის, მგზავრები გზაში ვინ-

მეს, შავი ჭირით დაავადებულს ხომ არ გაჰკარებიანო. ამრიგად ყველა ერთმანეთს ამოწმებდა.

თითოეული მათგანისათვის დაწესებული იყო გასამრჯელო: საბაჟოს მოხელისათვის ასი კროიცარი, გადასახადების ამკრეფთათვის ოცდახუთ-ოცდახუთი, გამსუფთავებელისთვის — ორმოცდაათი.

როგორც კი საბაჟოს მოხელე გემბანზე ამოვიდა, ზედამხედველი მაშინვე მის შესახვედრად მოემზადა და წინ დაუდგა. საბაჟოს მოხელემ ყური მოიფხანა, ზედამხედველმა ცხვირზე მოისვა ხელი. ამით დამთავრდა მათი გასაუბრება. საბაჟოს მოხელე ახლა ტიმარს მიუბრუნდა, მისმა თანმხლებმა პირებმა თოფები მოიმარჯვეს. მოხელე ტიმარისაგან სამი ნაბიჯის დაშორებით დადგა. რომ მისგან შავი ჭირი არ გადასდებოდა. შემდეგ ახედ-დახედა და ჰკითხა:

— საიდან მოდიხართ?

— გალაციდან.

— ვისია გემი?

— ათანაზ ბრაზოვიჩის.

— ვისი საქონლით არის დატვირთული?

— ეთიმ ტრიკალისის.

— საბუთები?

საბუთების შემოწმებისას დიდ სიფრთხილეს იცავდნენ. მაყალზე დაფშვნიდნენ ფიჭვის გირჩებსა და აბზინდას, მათ ბოლზე მოატარებდნენ საბუთებს ორივე მხრიდან, შემდეგ რკინის მაშებით იღებდნენ და ასე მეტრნახევარზე მიუტანდნენ საბაჟოს მოხელეს, რომელიც ხელს არ შეახებდა და მხოლოდ დარწმუნდებოდა მათ სისწორეში. ასევე უბრუნებდნენ უკან პატრონს. მთელი ეს ოპერაცია უხმოდ სრულდებოდა. შემდეგ მაყალი მიჰქონდათ და მის ადგილზე წყლით სავსე დოქს სდგამდნენ. ეს იყო ფართოყელიანი თიხის დიდი დოქი, რომელშიც კაცის ხელი თავისუფლად ჩაეტეოდა.

იმის გამო, რომ შავი ჭირი განსაკუთრებით კეთილშობილ ლითონზე გადადის, წესად იყო შემოღებული, აღმოსავლეთიდან შემოსულ გემზე საბაჟო გადასახადი წყლით სავსე დოქში ჩაეყარათ, საიდანაც მოხელეები უკვე უშიშრად ამოიღებდნენ განწმენდილ მონეტებს.

ტიმარმა ორივე ქისიდან ჩაყარა ოქრო დოქში, ხელი ამოიღო და მუჭა გაშალა, შემდეგ საბაჟოს მოხელემ ჩაყო ხელი დოქში, ოღონდ ამოღებისას არ გაუშლია და პირდაპირ ჯიბეში იკრა. ისე ჰქონდათ

ხელი გაწაფული ამ საქმეში, რომ ფულის დათვლა საჭირო აღარ იყო თავიანთი კუთვნილი ფული ასევე ამოიღეს გადასახადების ამკრეფებმა და „გამსუფთავებელმაც“, რომელსაც სახე მოღუშული ჰქონდა და მკაცრი გამომეტყველება ოქროს ჩხრიალმაც ვერ შეაცვლევინა. მის ერთ სიტყვაზე იყო დამოკიდებული, რამდენ დღეს გააჩერებდნენ გემს კარანტინში. მის სახეზე ერთი ძარღვიც კი არ შეტოკებულა. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება მათთვის ნმიდათაწმიდა იყო.

ბოლოს საბაჟოს მოხელემ და მისმა თანმხლებმა პირებმა ტრიუმის შემოწმება მოისურვეს. იქ ჩასვლის უფლება მათ გარდა არავის ჰქონდა და როგორც კი მარტო დარჩნენ სამივეს ეშმაკურმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე. გემბანზე დარჩენილმა „გამსუფთავებელმაც“ ვეღარ შეიკავა სიცილი და სახეზე კაპიუშონი ჩამოიფხატა, რომ არავის შეენიშნა.

საბაჟოს მოხელეებმა გახსნეს ერთ-ერთი ტომარა და ნახეს, რომ საუცხოო ხორბლით იყო სავსე. იქვე შეადგინეს ოქმი და მოახდინეს სათანადო ჩაწერა. გარდა ამისა საბაჟოს მოხელემ ცალკე ფურცელზე პატარა ბარათი დასწერა, ორად მოკეცა, და ოფიციალური ბეჭდით დალუქა. შემდეგ კიდევ ერთხელ დაათვალიერეს ყოველი კუთხე-კუნჭული, საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ საეჭვო არაფერი იყო და გემბანზე ამოვიდნენ.

ამასობაში უკვე დაღამებულიყო და მიწეული მთვარის მქრქალი შუქი გამოკრთოდა ღრუბლებიდან. საბაჟოს მოხელემ ტიმარი იხმო და ოფიციალური ტონით განუცხადა, შენდამი რწმუნებულ გემზე არავითარი აკრძალული საქონელი არ აღმოჩენილაო, შემდეგ „გამსუფთავებელს“ მიუბრუნდა და უბრძანა, გემის სანიტარული მდგომარეობის შესახებ მოეხსენებინა. მანაც ფიცის ქვეშ წარმოთქვა, რომ გემი და მთელი მისი შემადგენლობა სუფთა იყო.

სასწრაფოდ შეადგინეს მოწმობა, რომ გემის საბუთები სრულ წესრიგში იყო და ხელწერილი საბაჟო შემოწმებისათვის კანონიერად მიღებულ გასამრჯელოზე, რომლის თანახმად ასი კროიცარი საბაჟოს მოხელემ მიიღო, ოცდახუთ-ოცდახუთი გადასახადების ამკრეფებმა და ორმოცდაათი გამსუფთავებელმა. ეს ხელწერილი გადასცეს ტვირთის პატრონს კაიუტაში. მანაც თავის მხრივ დაუმოწმათ, რომ აღნიშნული თანხა ნამდვილად გაღაუხადა ტიმარს სასა-

ღვრო დაცვის მოხელეთათვის გადასაცემად. ამდენად თითოეული კაპიკი აღრიცხული იყო. მაგრამ ოქრო!

სიმართლე უნდა ითქვას, ტიმარს ერთი წამით აზრმა გაუელვა, რა იქნება, იმ ორმოცდაათი ოქროდან რომელიც ორმა შეიარაღებულმა მესაზღვრემ უნდა ამოიღოს დოქიდან, ათი ჩემთვის დავიტოვოო (იმათ ორმოციც ეყოფათ!), ვინ რას გამიგებსო. ეს კი არა, ნახევარიც რომ დავუტოვო, ისიც სავსებით საკმარისი იქნებაო. მაგრამ მეორე აზრმა შეაჩერა: — შენ ახლა ქრთამს აძლევ ტრიკალისის ფულით, მისივე ინტერესებისათვის. თუ მთლიანად მისცემ ფულს, ისევე სუფთა იქნები, როგორც ეს წყლით სავსე დოქი. შენ ხომ არ იცი, რისთვის სჭირდება ტრიკალისს მესაზღვრეების მოსყიდვა. ვინ იცის, იქნებ, კონტრაბანდული საქონელი მიაქვს, ან მეამბოხე მიჰყავს, რომლის სამშვიდობოს გასაყვანადაც ოქროს არ იშურებს. შენ ეს არ გეხება. ერთი ოქროც რომ მიითვისო, მისი თანამონაწილე იქნები! არა, არა, სჯობს ასეთ საქმეში არ გაერიო!

საბაეოს მოხელემ გამგზავრების ნებართვა მისცა მათ და გემზე მაშინვე თეთრ-წითელი დროშა აღმართეს შავი არწივის გამოსახულებით. შემდეგ ტიმარს ოფიციალური ცნობა გადასცა, რომ გემი სუფთა იყო და კარანტინს არ საჭიროებდა, მაგრად ჩამოართვა ხელი და უთხრა:

— როგორც კი კომარომში ჩახვალთ, ინახულეთ სამხედრო ნაწილის უფროსი, ბატონი კაჩუკა და გადაეცით ეს ბარათი, მისამართი არ დამიწერია, უიმისოდაც იპოვით, მისი სახელიც არ დაგავიწყდებათ, კაჩუკა ესპანურ ცეკვას ჰქვია. აუცილებლად ინახულეთ, არ ინანებთ!

შემდეგ ისე მოუთათუნა მხარზე ხელი ტიმარს, თითქოს მთელი სიცოცხლე მისგან დაკალებული უნდა ყოფილიყო და თავის თანმხლებ პირებთან ერთად გემბანი დასტოვა.

„წმინდა ბორბალას“ ახლა უკვე ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეეძლო განეგრძო გზა, ტრიუმიდან გემბანამდე კონტრაბანდული საქონლით რომ ყოფილიყო დატვირთული და ყოველი მისი მგზავრი შავი ჭირით დაავადებული, მაინც აღარავინ დააკავებდა, მისი შეჩერების უფლება უკვე აღარავის ჰქონდა.

მის ნამდვილ საიდუმლოს კი არაფერი ჰქონდა საერთო არც კონტრაბანდასთან და არც შავ ჭირთან.

ტიმარმა უმისამართო ბარათი შეინახა, ნეტავ რა წერიაო, გაიფიქრა და გაოცებულმა მხრები აიჩეჩა.

წერილში კი, რომელიც საბაჟოს მოხელემ თავის ქვისლთან გაატანა, ეწერა:

„განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყარი ამ ბარათის მომტანს!

ოქროკაცია!"

VI. „უკატრონო" კუნძული

სერბიის ნაპირზე დარჩენილი ცხენები და მათი გამყოლები იმავე ღამეს ბორნით გადაიყვანეს უნგრეთის ტერიტორიაზე. გზადაგზა ისინი ხმას ავრცელებდნენ, „წმინდა ბორბალა" პერიგრადასთან მორევმა ჩაითრიაო და დასამოწმებლად ყველას გაწყვეტილ ბაგირს აჩვენებდნენ.

გამთენიისას ორშოვის ნავსადგურში „წმინდა ბორბალას" კვალიც აღარ იყო. თურქეთის გალერის კაპიტანს აქამდე ამოსვლა, კიდევაც რომ ეფიქრა, მაინც ვეღარ ნახავდა, ვისაც ეძებდა. ორშოვიდან ბელგრადამდე თურქებს მხოლოდ მარჯვენა ნაპირის შემოწმების უფლება ჰქონდათ, მარცხენა ნაპირიდან მათი ძალაუფლება უკვე აღარ ვრცელდებოდა. კუნძული ახალი ორშოვა თურქთა უკანასკნელი ციხე-სიმაგრე იყო დუნაიზე.

შუაღამის ორ საათზე „წმინდა ბორბალამ" ორშოვა დატოვა. ამ ადგილებში ღამით ქარმა ჩადგომა იცოდა ხოლმე და შეუძლებელი იყო ასეთი ხელსაყრელი მომენტი არ გამოეყენებინათ. მეზღვაურებმა არყის ორმაგი ულუფა გადაჰკრეს, რომ ხასიათზე მოსულიყვნენ და მალე, როგორც კი ორშოვას გასცდნენ, გემის სასიგნალო საყვირის სევდიანმა ხმამ დაარღვია ღამის მყუდროება. გემი უხმოდ მისცურავდა. ორშოვას ციხე-სიმაგრის კედლების გასწვრივ თურქი გუშაგები იდგნენ. მთა ალიონი თვალს რომ მიეფარა, წმინდა ბორბალამ პირველი ნიშანი მისცა.

საყვირის ხმაზე ტიმეა კაიუტიდან გამოვიდა, სადაც უკვე რამდენიმე საათია ეძინა. გემბანზე მამას დაუწყო ძებნა, რომელიც მთელი ღამე კაიუტაში არ შესულა და არ უძინია. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ჩიბუხი არ მოუწევია. ღამე

გემზე ცეცხლის ანთებას ერიდებოდნენ, რომ თურქ გუშაგებს არ შეენიშნათ.

ტიმეა თავს დამნაშავედ გრძნობდა ტიმარის წინაშე და შეეცადა გამოესწორებინა თავისი შეცდომა. პირველი გამოელაპარაკა მას და სთხოვა, რაიმე საინტერესო მიამბე ამ ადგილების შესახებო. შინაგანი გრძნობა კარნახობდა, რომ ტიმარისგან ბევრი რამით იყო დავალებული.

ოგრადინს რომ მიაღწიეს, მტრედისფრად ინათა. ტიმარი ქიმზე იდგა და ტიმეას თვრამეტსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ძეგლებზე უყვებოდა. ციცაბო კლდეზე სჯულის კიდობანი იყო ამოკვეთილი, რომელსაც დელფინებით გარშემორტყმული ორი ფრთოსანი ანგელოზი ამოსდგომოდა. ეს იყო უწმინდეს იმპერატორ ტროიანის უკვდავ საქმეთა ხოტბის შესხმა.

ტიმარმა დურბინდი გაუწოდა ტიმეას, რომ ამოკვეთილი წარწერა წაეკითხა.

— მე ეს ენა არ ვიცი! — უპასუხა ტიმეამ.

წარწერა ლათინურ ენაზე იყო.

როცა სერბიის ნაპირზე შტერბეცის მთა თვალს მიეფარა, გემი ისევ კლდოვან ხეობაში შევიდა, რომელიც დუნაის კალაპოტს ხუთას ფუტამდე ავიწროვებდა. ნისლით დაბურულ ციცაბო კლდეებს შორის ეს უზარმაზარი მდინარე წვრილ ზოლადლა მოჩანდა. ათასი ფუტი სიმაღლის კლდის ნაპრალიდან ანკარა წყარო მოჩუხჩუხებდა, მზის სხივებივით ჰკვეთდა ბურუსს და ვერცხლის ზოლივით ეშვებოდა დუნაის ტალღებში. ცადაზიდული კლდეები ისე ებმოდა ერთი-მეორეს, უზარმაზარი მთლიანი კედელი გეგონებოდათ. ბოლოს, როგორც იქნა, დააღწიეს თავი ამ წყვდიადს და მათ თვალწინ ბაღნარად ქცეული მხარე გადაიშალა. შორს თეთრი სამრეკლო მოჩანდა, იმის იქით კი უნგრეთი იწყებოდა. ტიმეა თვალს ვეღარ აშორებდა ამ სილამაზეს, სანამ ისევ კლდეებს შორის არ მოექცნენ.

— ისე მგონია, — ეუბნებოდა ის ტიმარს, — რომ ჩვენ ციხის უსასრულო დერეფანს მივყვებით ქვეყანაში, საიდანაც უკან აღარ ბრუნდებიან.

რაც უფრო მაღალი იყო კლდეები, მით უფრო მეტად აბნელებდა ხეობას, მაგრამ ყველაზე უფრო შემაძრწუნებელ იერს ამ პირქუშ გარემოს მდინარის ნაპირას უზარმაზარი გამოქვაბულის შავად

დაღებული ხახა აძლევდა, რომელსაც ორივე მხარეს სანგრები ჩაუყვებოდა.

— ეს გამოქვაბული ვეტერანია! — აუხსნა ტიმარმა, — ასორმოცი წლის წინათ, ამ ადგილას სამასი კაცი ხუთი ზარბაზნით ორმოცი დღე ეომებოდა თურქეთის მთელ არმიას.

ტიმეამ უხმოდ გააქნია თავი მხოლოდ.

— ორმოცი წლის წინათ კი, — განაგრძო ტიმარმა, — ჩვენი რაზმები აქ ისევ ებრძოდნენ თურქებს. ოსმალოთა არმიამ ამ კლდეებთან ორი ათასზე მეტი მეომარი დაჰკარგა.

წარბშეკრულმა ტიმეამ ისეთი ყინულივით ცივი მზერა ესროლა ტიმარს, რომ თავისი თანამემამულეების საბრძოლო მიღწევებით თავის მოწონების ყოველგვარი ხალისი დაუკარგა. შემდეგ შარფი მოიხვია, კაიუტაში შევიდა და გემბანზე საღამომდე აღარ გამოჩენილა. კაიუტის ფანჯრიდან უყურებდა ძველი ციხის ნანგრევებს, განმარტოებულ, ჟამთა სიავისაგან ჩამუქებულ საგუშაგოებს, ტყით დაფარულ კლისურას კლდეებს, ნაპრალებით დასერილ ბაბაგაის ფერდობებს და ყურს უგდებდა ჩანჩქერის ხმაურს ცნობილი ტრესკოვაცის ზღურბლთან. არ დაინტერესებულა სამბასტიონიანი საომარი კედლით გარშემორტყმული რვაწახნაგოვანი ცნობილი ციხესიმაგრე გოლომბოცის ისტორიით, რომელთანაც დაკავშირებული იყო თქმულება მზეთუნახავ ციცელა როზგონიზე, უნგრეთის მეფის, ჟიგმონდის დაღუპვასა და მადიართა ჯარების დამარცხებაზე.

ეს კლდოვანი ნაპირები ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ორი ეროვნების ხალხის მუდმივი უაზრო ომების მრავალგზის მომსწრეა, რომლებიც ყოველთვის მათ ფერდობებზე შერკინებით იწყებოდა. რკინის ჭიშკარიც ხომ ათასობით დაღუპული მეომრის სამარედ ქცეული გრძელი კატაკომბი იყო.

ტიმეა მეორე დღესაც არ გამოსულა გემბანზე. ფანჯარასთან გადაშლილ ალბომს დაყრდნობოდა და მის წინ გადაშლილი მშვენიერი პეიზაჟების ხატვით ირთობდა თავს.

მესამე დღეს გემმა დუნაის ერთ-ერთ შენაკად მორავამდე მიაღწია, რომლის დელტაშიც გაშენებულია ციხე-ქალაქი სენდრო. მის ოცდათექვსმეტ კოშკზე უკანასკნელ ხანს ერთმანეთს სცვლიდა წმინდა მარიამისა და თურქეთის ნახევარმთვარის გამოსახულებიანი დროშები. ციხე-ქალაქის კედლები განუწყვეტელ ომებში დაღუპულ მებრძოლთა სისხლით წითლად არის შეღებილი.

შორიახლო ძველისძველი კულიჩის ციხის ნანგრევები მოჩანდა, მთის მწვერვალზე კი — რამას დანგრეული კედლები.

მაგრამ ახლა უძველესი ციხე-სიმაგრეების ნანგრევთა დათვალიერებისა და გარდასულ დღეთა დიდების გახსენების დრო არ იყო. მოგზაურებს ახალი განსაცდელი ელოდათ.

უნგრეთის დაბლობიდან წამოსულმა ჩრდილოეთის ქარმა თანდათან იმატა და ისეთი ძალით ეკვეთა გემს, რომ ცხენები და მათი გამყოლები ვეღარ უმკლავდებოდნენ. მალე გემი მეორე ნაპირისკენ წაიღო და მოძრაობა შეუძლებელი გახდა.

ტრიკალისმა რაღაც ჩასჩურჩულა ტიმარს და ისიც მაშინვე მესაჭისკენ გაემართა. ბატონმა ფაბულამ საჭე ბაგირს მიამაგრა და ქიბისკენ წამოვიდა, მენიჩბეებსა და ცხენების გამყოლებს უბრძანა შეესვენათ, ისინი უძლური იყვნენ ქარიშხლის წინააღმდეგ.

გემი კუნძულ ოსტროვასთან იყო გაჩერებული. წინწამოწეული ვიწრო კონცხი დუნაის კალაპოტში შემოჭრილიყო. მისი ჩრდილოეთი მხარე ციცაბო და კბოდოვანი იყო და ტირიფნარით დაფარული.

სხვა გზა არ იყო, წმინდა ბორბალა კონცხის სამხრეთით უნდა გადაეყვანათ, სადაც გარეშე თვალიც ვეღარ მისწვდებოდა და ჩრდილოეთის ქარიც ვეღარაფერს დააკლებდა.

აქ შეეძლოთ ქარიშხლის ჩადგომას დალოდებოდნენ. ოღონდ ამ ბუნდრო თავშესაფარში მიღწევა ძალზე ძნელი იყო. მისი მისადგომები უამრავი წვეტიანი ბრაგებითა და მეჩეჩებით იყო დაფარული. ცხენები ვერაფერს გახდებოდნენ, ნიჩბებითაც შეუძლებელი იყო ქარიშხლის წინააღმდეგობის დაძლევა. ერთადერთი საშუალება იყო „ჯალამბარი“.

გემმა ღუზა ჩაუშვა დუნაის შუაგულში, სანაპიროდან საბუქსირო ბაგირი გადმოათრიეს, ბოლოში მოაბეს მეორე ღუზა, კანჯოში ჩადეს და კონცხისკენ გაემართნენ საქარე მხრიდან. როგორც კი ბაგირი გაიჭიმა, ღუზა ჩაუშვეს და გემზე დაბრუნდნენ, აუშვეს პირველი ღუზა, მიამაგრეს საბუქსირო ბაგირის მეორე ბოლო ხის ჯალამბარს და ოთხივემ ტრიალი დაუწყეს. ბაგირი ნელ-ნელა ეხვეოდა ჯალამბარს და გემს მეორე ღუზისკენ ეწეოდა.

ეს მეტისმეტად მძიმე სამუშაო იყო.

როგორც კი გემმა მეორე ღუზას მიაღწია, მეზღვაურებმა ისევ ისროლეს პირველი ღუზა და ისევ დაუწყეს ტრიალი ჯალამბარს.

ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ გემმა კუს ნაბიჯით კონცხამდე არ მიაღწია. ამას ეძახიან შეზღვაურები ჯალამბარს.

მთელი ნახევარი დღე დასჭირდათ იმისთვის, რომ არაადამიანური ძალის დახარჯვით გემი მდინარის შუაგულიდან კონცხის უკან ნავსაყუდელში გადაეყვანათ. ეს დღე მეტისმეტად მძიმე გამოდგა იმათთვის, ვინც ძალისდაუზოგავად მუშაობდა და საშინლად მოსაწყენი იმათთვის, ვინც მორთულ-მოკაზმული გემის ქიმზე იდგა და სეირს უყურებდა. ამ უკანასკნელთათვის, რა თქმა უნდა, აქამდე უფრო საინტერესო იყო მოგზაურობა, სხვა თუ არაფერი, ძველისძველ ციხე-სიმაგრეთა ნანგრევების დათვალიერებით მაინც ირთობდნენ თავს. აქა-იქ წისქვილების ბორბლების ხმაურიც იქცევდა მათ ყურადღებას. ახლა კი ეს ყოველივე უკან დარჩა და გემი უდაბურ ყურეში შევიდა. მარჯვნივ ჩინარითა და ტირიფნარით დაფარული გაუვალი კუნძული იყო, რომელზედაც მათი აზრით სულიერ არსებას არ უნდა ეცხოვრა, მარცხნივ კი დუნაი მთლიანად დაეფარა გაუვალ ლერწმნარს, რომლის იქითაც ტირიფნარით შემოფარგლული პატარა მინდორი მოჩანდა.

ამ უკაცრიელ: უდაბურ ადგილზე ჩაუშვა ღუზა „წმინდა ბორბალამ". გადაწყვიტეს აქ შეესვენათ, მაგრამ ახლა ახალი საზრუნავი გამოუჩნდათ; გამოირკვა, რომ საჭმელ-სასმელი აღარ ჰქონდათ. გალაციდან გამოსვლისას გადაწყვიტეს ორშოვში შეესვენათ და სურსათის მარაგიც შეევსოთ, მაგრამ ვინაიდან იქიდან სასწრაფოდ გამოვიდნენ და ისიც ღამით, რაღა თქმა უნდა, ამაზე არავის უფიქრია. ახლა კი გამოირკვა, რომ გემზე თითქმის აღარაფერი გააჩნდათ მცირეოდენი ყავისა და შაქრის გარდა, თუ არ ჩავთვლით ერთ კოლოფ თურქულ ალვახაზს, რომელიც ტიმეას ვიღაცისთვის საჩუქრად მიჰქონდა. მის გახსნაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

ტიმარი მაინც იმედს არ ჰკარგავდა. არ შეიძლება აქ არავინ ცხოვრობდესო, ფიქრობდა, თხები და ცხვრები ყველასა ჰყავს, ფულით ყველაფერს ვიშოვითო.

მალე კიდევ ერთი უსიამოვნება შეხვდათ. ღუზაჩაშვებული გემი ისე ძლიერად ირწეოდა, რომ ტიმეა ზღვის ავადმყოფობით გახდა ავად, საჭირო გახდა მყუდრო თავშესაფრის გამოძებნა, სადაც ტიმეა და მამამისი ღამის გათევას შესძლებდნენ. ამაზეც ტიმარს უნდა ეფიქრა.

და აი, მისმა მახვილმა თვალმა ლერწმნარისა და ტირიფნარის ზემოთ კვამლი შენიშნა.

— იქ უეჭველად ხალხი ცხოვრობს! წავალ, ვნახავ, ვინ არიან!

გემზე ერთი ბრტყელძირიანი ნავი ჰქონდათ, რომლითაც მეზღვაურები გარეულ იხვებზე სანადიროდ დადიოდნენ ხოლმე თავისუფალ დროს. ტიმარმა მაშინვე აიღო თოფი, იახტაში, ბადე და მარტომ გასცურა ლერწმნარისაკენ. გამოცდილი მონადირე იყო და ადვილად იკვლევდა გზას შამბნარში, წყალმცენარეები უჩვენებდნენ სწორ გზას. სადაც წყლის ზედაპირზე მომწვანო-მოთეთრო ფერის ყვავილები ირხეოდა, იქ წყალი ღრმა იყო და ნავი თავისუფლად მიცურავდა, ხოლო სადაც წყალს მწვანე წებოვანი მცენარეები გადაჰკვროდა ხალიჩასავით და ნიჩბის მსუბუქი დარტყმისასაც კი ობისმაგვარი შხეფებით ცისფრად იფეთქებდა, გაუვალი ჭაობი იყო, საიდანაც თავის დაღწევა არ შეიძლებოდა. ვინც ჭაობის სამყაროს საიდუმლოებას არ იცნობდა, ადვილად დაიბნეოდა და ლერწმნარიდან თავს ვეღარ დააღწევდა.

ტიმარმა შამბნარიდან უცებ ხმელეთი შენიშნა. ეს ახალი, პატარა კუნძული იყო, რომელიც საგანგებოდ შედგენილ სანაოსნო რუქაზედაც კი ჯერ არ აღენიშნათ.

დუნაის მარჯვენა ტოტში წლების მანძილზე წყალს უამრავი კაჭარი და რიყის ქვა მოჰქონდა, ერთ ადგილას აგროვებდა და ასე იქმნებოდა უზარმაზარი ნარიყი მეჩეჩი. ერთხელ, წყალდიდობისას, იქვე ახლოს მდებარე კუნძულ ოსტრავადან წყალს სანაპირო კლდეები მოუგლეჯია და მიწას, კაჭარსა და მცენარეებთან ერთად აქ ჩამოუტანია. შემდეგ ნახევარი საუკუნის მანძილზე სულ ემატებოდა მიწაც, ქვებიც, შლამიც და ეს ნაყოფიერი ნიადაგი თანდათან ათასგვარი მცენარეულით დაიფარა, რომელიც სიცოცხლის პირველსაწყისად იქცა ამ სრულიად ახალ, ველური სილამაზის მქონე კუნძულზე. ამ კუნძულს პატრონი არა ჰყავდა, მასზე ჯერ არავინ ბატონობდა, არც ერთი ქვეყნის საკუთრებას არ შეადგენდა. თურქეთ-სერბიის საზღვარზე ბევრ ასეთ მშვენიერ კუნძულს შეხვდებოდით. ეს — ათასფერი მინდვრის ყვავილებისა და უშიშარ, თავისუფლებაში გალაღებულ ნადირთა წალკოტად ქცეული სამეფო იყო, ადამიანს ჯერ ფეხი არ დაედგა ამ დალოცვილ მიწაზე და თავისი ძალმომრეობის დაღი არ დაემჩნია. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ, კიდევაც ცხოვრობდესო ვინმე, ფიქრობდა ტიმარი და ბუნების ამ ველურ სი-

ლამაზეს თვალს ვერ აშორებდა. ჩრდილოეთის მხრიდან რომ შემოგვევლოთ, არ გაგიჟირდებოდათ კუნძულის წარმოშობის დადგენა. ეს მხარე ადამიანის სიმაღლეზე კაჭარით იყო დახერგილი და ნაპირი დუნაის მიხაკისფერი ნიჟარებით დაფარული. ჩრდილიან ადგილებში მრავლად იყო სოროები, სადაც მდინარის მრავალი კუ აფარებდა თავს. სანაპიროს გასწვრივ დაბალი, მოწითალო ფოთლებით დაფარული ბუჩქნარი მიუყვებოდა, რომელიც წყალდიდობისას ყინულებს აკავებდა.

ტიმარმა ნავი ნაპირზე აათრია და ტირიფის ტოტზე მიაბა. ძლივს მიიკვლევდა გზას ჩინარებისა და ტირიფების ტევრში, რომელიც მუდმივი ქარების ჭროლვისაგან ხვართქლას, შამბნარს, ეოლოსა და კატაბალახას გადახლართოდა, რომელთა სურნელება ჩინარისას შეზავებოდა. ამას რომ გასცდებოდით, ფართოდ გადაშლილი დაბლობის შუაგულში, ბალახით დაფარულ ჭაობებს შორის, მიწის თხილი და დარიჩინი ამოსულიყო, რომელსაც ლათინურად Sison Amomum ჰქვია. ცოტა მოშორებით ამაყად განცალკევებულიყო მაღალი, მედიდური ხარისძირები (Veratrum). შავი ფერის ფოთლებითა და ალისფერი ყვავილებით. ბალახებში აქა-იქ ცისფერი თაგვისყურები და სამკურნალო ბალახის წითლად გადაშლილი ყვავილები მოჩანდა. ზოგან კი ბოლქვოვანთა ოჯახის მეტად უცნაურ, თითქმის უცნობ მცენარეებს შეხვდებოდით, რომლებსაც მწვანე, მიხაკისფერი და მეწამული ფერები გადაჰკრავდა. მდელოს იქით ტყე იწყებოდა. აქ ჩინარებსა და ტირიფებს გარეული ვაშლისა და კუნელის ბუჩქები ენაცვლებოდა. ეს ადგილი უფრო ამაღლებული იყო. ტიმარი შედგა და ყური მიუგდო, ჩამი-ჩუმი არსაიდან ისმოდა. ეტყობოდა, კუნძულზე გარეული ნადირი არ უნდა ყოფილიყო. სამაგიეროდ ჩიტები, მწერები და მცენარეული უხვად იყო, თუმცა ტოროლებს ვერ შეხვდებოდით, დასახლებულ, ოსტან-ბაღებიან ადგილებს რომ ეტანებიან. მაგრამ ტიმარი იმედს მაინც არ ჰკარგავდა და ფიქრობდა, რომ ამ უდაბურ კუნძულზე ადამიანს უნდა ეცხოვრა. ამასვე მოწმობდა ხეებზე მოწყობილი გარეული ფუტკრის სკები და მოლაღურის სტვენა, რომელიც ხეხილის ბაღებამდე მიგიყვანდათ. ტიმარიც ამ კვალს მიჰყვა. კუნელის ეკლიანი ტოტები სულ ხელებს უკაწრავდა და ტანსაცმელში ესობოდა.

როგორც იქნა გააღწია ამ ბუჩქნარს, გაშლილ ველზე გავიდა და

გაოცებული შედგა. მის წინ თითქოს სამოთხის კარი გააღესო, საუცხოოდ მოვლილი ხეხილის ბაღი გადაიშალა. დახუნძლული ტოტები ძლივს იმაგრებდა წითელ-ყვითლად დაღებილ ვაშლს, მსხალს, კომშს და სხვადასხვა ჯიშის ქლიავს. ხეებქვეშ, ამწვანებულ ხავერდოვან მოლზე ახლადჩამოცვენილი ლოყაწითელი ვაშლები გორავდა. ჟოლოსა და მოცხარის ბუჩქები ცოცხალ ღობედ შემოვლებოდა სხვადასხვა ჯიშის ხეხილის ცალკეულ ნაკვეთებს. ბაღის იქით ყვავილნარი იწყებოდა. აქ თქვენდაუნებურად მოგტაცებდათ თვალს მინდვრის ათასნაირ ყვავილთა უჩვეულო სილამაზე, ამ უცხო მშვენებას ხომ ქალაქის პარკებსა და გაზონებში ვერ შეხვდებით. თითქოს ერთმანეთს შესჯიბრებოდნენ ლურჯთვალა მაჩიტელები და მთის შროშანები, ვინ მოთვლის, რამდენი ყვავილი დაერგო საგანგებოდ მოვლილ კვლებში ვიღაცის მზრუნველ ხელს. აქ რომ ადამიანი ცხოვრობდა, ამაში ეჭვის შეტანა უკვე აღარ შეიძლებოდა. ამასვე ამტკიცებდა ხეების კენწეროებს ზემოთ ამომავალი კვამლი.

ეს იყო გარესამყაროსაგან მოწყვეტილი, მეტად თავისებური მყუდრო სავანე. უზარმაზარი კლდის ძირას თიხით ნალესი ოროთახიანი პატარა სახლი იდგა გამოქვაბულის ზღურბლს ზემოთ, რომელშიც ღუმელი და საკუჭნაო უნდა ყოფილიყო. კლდეში საკვამლე მილიც გაეყვანათ, სახურავი ლერწმით იყო გადახურული და გრძელი ღია აივანი ჩაუყვებოდა მთელ სიგრძეზე. სამხრეთის მხრიდან სახლი მთლიანად ველურ ვაზს დაეფარა, რომლის ფოთლებიდანაც ეშმაკურად გიკრავდნენ თვალს მუქ მელნისფრად დაღებილი მტევნები. ჩრდილოეთიდან კი სვია ისე შემოხვეოდა თავისი მომწვანო-ოქროსფერი პატარა გირჩებით, იფიქრებდით, ვიღაცის მადლიან ხელს საგანგებოდ შემოუწნავსო.

ეს სამოთხის მსგავსი სავანე მთლიანად მწვანეში იყო ჩაფლული. კლდის მწვერვალსა და ლერწმის სახურავზეც კი რომელიღაც მოვარდისფრო ყვავილი გაეხარებინათ, ალბათ იმიტომ, რომ რაც შეიძლებოდა შეუმჩნეველი გაეხადათ გარეშე თვალისთვის. სახლი მართლაც თითქოს შერწყმოდა გარესამყაროს და მის შემადგენელ ნაწილად ქცეულიყო.

ისე, კი ადვილი მისახვედრი იყო, რომ აქ ქალებს უნდა ეცხოვრათ.

ტიმარი ამ ზღაპრული სახლისკენ გაემართა. ყვავილნარში პატარა ბილიკი დაეტოვებინათ, მაგრამ ისე იყო ბალახით დაფარული, რომ მისი ფეხის ხმა არავის გაუგია. სრულიად უხმაუროდ მიუახლოვდა აივანს, მაგრამ მის წინ საიდანღაც უზარმაზარი შავი ძაღლი გაჩნდა. ეს იყო წმინდა სისხლის ნიუფაუნდლენდი. ამ ჯიშის ძაღლს რომ შეხედავთ, თქვენდაუნებურად იმსჭვალებით მისი პატივისცემით და სურვილი გებადებათ „თქვენობით“ ელაპარაკოთ.

ოთხფეხა სახლის პატრონი ზღურბლთან დაწვა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს თვლემდა და ამ უცხო კაცს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ტიმარი გაოცებული იყო მისი გონიერებით. ამით ისარგებლა პატარა თეთრმა ფისუნიამ, ძაღლს ზურგზე შეახტა და სულ ყირამალა გადადიოდა. ბოლოს, ხტუნვითა და კოტრიალით გული რომ იჯერა, ახლა ძაღლის ბანჯგვლიანი წინა თათებით თამაში მოინდომა. თავისი პატარა თათებით იმდენი უხიცინა, რომ თავი მოაბეზრა, მაგრამ ძაღლი უთმენდა აბეზარ ფისუნიას და სათამაშოდ ხან ერთ თათს აწვდიდა, ხან მეორეს. თეთრმა ფისუნიამ ტიმარს ტიმეა გაახსენა, როგორ გაახარებდა მისი დანახვაო, გაიფიქრა.

უზარმაზარი შავი ძაღლი კი გაუნძრევლად იწვა და სახლში შესვლის ნებას არ აძლევდა. მან ოდნავ ჩაახველა და ახლა ამით სცადა მისი ყურადღების მიქცევა. მაგრამ გონიერმა პირუტყვმა მხოლოდ თავი ასწია, შეხედა თავისი დიდი, ჭკვიანი, ნამდვილად ადამიანური თვალებით, რომლებსაც თითქოს ტირილიც შეეძლოთ და სიცილიც, თანაგრძნობაც და განრისხებაც და ისევ მიწაზე დადო, რითაც აგრძნობინა, რომ არაფრის გულისთვის აქედან არ ადგებოდა.

ტიმარის ყურადღება ისევ კვამლმა მიიქცია. არ, შეიძლება, შინ არავინ იყოსო, გაიფიქრა და სამ ენაზე; უნგრულად, სერბიულად და რუმინულად მიესალმა შორიდან.

პასუხად სუფთა უნგრულ ენაზე ქალის ხმა მოესმა სამზარეულოდან: — დღე მშვიდობისა! მობრძანდით!

— კარებში ძაღლი წევს.

— გადააბიჯეთ.

— არ იკბინება?

— კეთილ ადამიანს არ ერჩის.

ტიმარმა მთელი თავისი გამბედაობა მოიკრიბა და ეაწოლილ-ძაღლს გადააბიჯა. ის კი, არც განძრეულა, კუდი გაუქნია მხოლოდ მისალმების ნიშნად.

აივანზე ტიმარმა ორი კარი დაინახა, ერთი ღია იყო და კლდეში გამოკვეთილ სამზარეულოში შედიოდა. მიგ, ღუმელთან ქალი იდგა და ბატიბუტს ხალავდა. მისი თავის დანებება კი სტუმრის ჯულის-თვისაც არ შეიძლებოდა. მოხალული სიმინდი უნგრელების ყველა-ზე საყვარელი საჭმელია. აღსანიშნავია ისიც, რომ რამდენიმე წლის წინათ ნიუ-იორკის სამრეწველო გამოფენაზე მისი გამომგონებელი ოქროს მედლით დააჯილდოეს. მართლაც მოხალულ სიმინდს თავს ვეღარ დაანებებთ, რამდენიც არ უნდა მიირთვათ.

ქალს მაღალი, აშოლტილი ტანი, წაბლისფერი თმა და კეთილი გამოხედვა ჰქონდა. სახეზე მზე მოჰკიდებოდა. ახლო-მახლო სოფ-ლების ქალებისაგან განსხვავებით, მეტისმეტად ჭრელაჭრელა კა-ბებს რომ ატარებდნენ, მას სადად და უბრალოდ ეცვა. წლოვანე-ბით, ასე ოცდაათი წლისა უნდა ყოფილიყო.

— მობრძანდით, ბატონო! — შეიპატიჟა სტუმარი და სკამი შეს-თავაზა. საოცრად მშვიდი ხმა ჰქონდა. მაშინვე მოხალული სიმინდი და ალუბლის წვენი მიართვა.

ტიმარი წნელისგან ოსტატურად დაწნულ სკამზე ჩამოჯდა, ძაღ-ლიც შემოვიდა და მის პირდაპირ მოკალათდა. დიასახლისმა მასაც მუჭით დაუყარა მოხალული სიმინდი. ძაღლმა მაშინვე შეახრამუნა და ცოტა ფისუნიასაც დაუტოვა, მაგრამ მარცვლები მის პაწაწინა კბილებს მიეწება, ეს არ მოეწონა, თავი დაანება, ღუმელზე ახტა და ქოთანს დაუწყო ყურება, რომელშიც, ალბათ, მისი საყვარელი საჭმელი იხარშებოდა.

— შესანიშნავი ძაღლი გყოლიათ! — დაიწყო ტიმარმა, — იმდე-ნად გონიერია, რომ ერთხელაც კი არ დაუყეფია ჩემთვის.

— კეთილ ადამიანებს არ ერჩის, ბატონო! არც არავის დაჰყეფს, თუ შეატყო, რომ კეთილი განზრახვით არის მოსული, მაგრამ ღმერ-თმა დაიფაროს, თუ ქურდი მოვიდა, კუნძულის მეორე ბოლოშიც რომ იყოს, მაინც იყნოსავს მის სუნს და მერე ვეღარსად წაუვა. შარშან ზამთარში მგელი მოჰყვა თურმე ყინულებს კუნძულზე, ჩვენს თხებს დაედევნა, მაგრამ ძაღლმა შენიშნა და თვალის დახამ-ხამებაში გაგუდა. აი, მისი ტყავი, სამეგობროდ მოსულს კი ზურგზე

შეისვამს და ისე ასეირნებს. კეთილისა და ბოროტის გარჩევაში არ შეცდება.

ტიმარს ესიამოვნა ბეგობრად რომ მიიღეს და გაიფიქრა, კიდევ კარგი, მაშინ ორშოვში ის რამდენიმე ოქრო ჯიბეში არ დავიტოვე, თორემ ახლა ამ ძაღლისაგან ღმერთიც ვეღარ დამიხსნიდაო.

— რაზე შეწუხებულხართ, ბატონო? — ჰკითხა მასპინძელმა.

— უპირველესად ბოდიში უნდა მოგიხადოთ, ასე მოულოდნელად რომ შემოვიჭერი თქვენთან და მყუდროება დაგირღვიეთ. ქარიშხლის გამო იძულებული გავხდით გემი მეორე ნაპირზე გადმოგვეყვანა და თავშესაფარი კონცხის სამხრეთით გვეძებნა.

— მართალია, ქარიშხალი ისე მძვინვარებს, რომ მისი ხმა აქაც აღწევს.

— გემს ხიფათი აღარ ელის, მაგრამ სხვა გასაჭირიც გვაქვს — სურსათი გამოგველია, საშოვარზე ვარ წამოსული. მინდა ვიყიდო, რისი ყიდვაც თქვენთან შეიძლება, საფასურს კარგს გადაგიხდით.

— შემიძლია ზოგი რამ შემოგთავაზოთ, ბატონო, საფასურსაც ავიღებ, მე ამით ვცხოვრობ. მაქვს თხის ხორცი, მშადის ფქვილი, ყველი, ხილი, ინებეთ, რაც გნებავთ, ვაჭრებიც ხშირად ყიდულობენ ხოლმე აქ ხილს, ჩვენ ხომ ხილის ბაღები გვაქვს.

(ტიმარს ჯერ სხვა არავინ დაენახა, მაგრამ ვინაიდან დიასახლისი მრავლობითში ლაპარაკობდა, აქ მას მარტოს არ უნდა ეცხოვრა).

— მადლობელი გახლავართ, ქალბატონო, მეც სწორედ ეს მინდოდა, ახლავე გამოვგზავნი მეზღვაურებს და გამოატანეთ, თანაც მიბრძანეთ, რა ეღირება სამი დღე-ღამის სამყოფი სურსათი შვიდი კაცისთვის.

— მე ფულს არ ვღებულობ ბატონო, თქვენც კარგად ხედავთ, ამ კუნძულზე მას ვერ გამოვიყენებ, ყაჩაღებმა ფული რომ შეგვაგულონ, შეიძლება, დაგვხოცონ კიდევაც. ახლა ყველამ იცის, რომ გროშიც არ გვაბადია და ღამე მშვიდად გვძინავს. მე მხოლოდ გაცვლას შემოგთავაზებთ, ყოველივე იმის საფასურად, რასაც ჩემგან წაიღებთ, მომეცით ხორბალი, მარილი, ტილო, ჭურჭელი ან რკინის ნაკეთობანი.

— როგორც ავსტრალიის კუნძულებზე?

— სწორედ ისე.

— თანახმა ვარ, ქალბატონო, გემზე ხორბალი და მარილი გვაქვს, თუ ნებას დამრთავთ, მე გამოვიანგარიშებ სურსათის ღირებულებას

და მისი საფასურის საქონელს გამოგიგზავნით. იმედი მაქვს, უკმაყოფილო არ დარჩებით.

— ვენდობი თქვენს პატიოსან სიტყვას, ბატონო!

— თქვენთან კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს. ჩემი გემით მგზავრობს ერთი შეძლებული ბატონი ქალიშვილთან ერთად, რომელმაც ვერ აიტანა ქარიშხალში გემის ამდენი რწევა და შეუძლოდ გახდა. თუ შეიძლება, ნება დართეთ მათ, თქვენს ჭერქვეშ გაათიონ ღამე, სანამ ქარიშხალი ჩადგება და გამგზავრებას შეეძლებით.

— სიამოვნებით, ბატონო. როგორც ხედავთ, ორი ოთახი გვაქვს, ერთში ჩვენ ვიყოთავსებით, მეორეს თქვენს მგზავრებს დავუთმობთ. ორივ თუ ისე მდიდრულად ვცხოვრობთ, მაგრამ სამაგიეროდ სიმშვიდეა ჩვენთან. თუ გნებავთ, თქვენც შეგიძლიათ ღამე გაათიოთ სათიბეში, შეზღვაურები ბომ არც ისე ჭირვეული ხალხი ხართ.

მთელი ამ ხნის მანძილზე ტიმარი თავს იმტვრევდა, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, სად შობვდა, ვინ იყო ეს გონიერი, შორსმჭვრეტელი ქალი. მისი განმარტოებული, მწვანეში ჩაფლული სახლი ამ უკაცრიელ კუნძულზე ისეთი საიდუმლოებით იყო მოცული და იმდენად უჩვეულოდ ეჩვენებოდა ყოველივე, რომ ბოლოს ხელი ჩაიქნია, სულ ერთია ამ... ვერ მივხვდებიო და მასპინძელს მიუბრუნდა:

— მადლობელი ვარ, ქალბატონო, ახლავე წავალ და ჩემს მგზავრებთან ერთად დავბრუნდები.

— როგორც გენებათ, ოღონდ იქიდან სხვა გზით წამოდით, ამ მხარეს ჭაობი და ეკალ-ბარდია, ქალიშვილს გამოვლა გაუჭირდება, მეორე ბილიკი უფრო მოსახერხებელია. ახლა გაგაცილებთ იქამდე, სადაც ნავი დასტოვეთ, როცა დაბრუნდებით, სახლთან უფრო ახლოს მოაყენეთ ნავი. ალმირა!

ტიმარმა მიმოიხედა, უნდოდა, რაც შეიძლებოდა მალე დაენახა ვისაც დაუძახეს, მაგრამ იმედი გაუცრუვდა, ძაღლი წამოდგა და კარისკენ გაუძღვა.

— აბა, ალმირა, გააცილე ბატონი სანაპირომდე! — მიმართა ქალმა.

ტიმარი გაოცებული იდგა და ფეხის გადადგმას ვეღარ ახერხებდა, სანამ ძაღლი წამოსასხამის ბოლოზე არ დაეჭიდა და კარებისკენ არ გასწია.

— აი, თურმე ვინ ყოფილა ალმირა, დიდ მადლობას მოგახსენებთ! — სიცილით ჩაილაპარაკა ტიმარმა, თოფი და ქუდი აიღო და

ძაღლს მიჰყვა. ალმირა კბილებს არ უშვებდა მისი წამოსასხამის ბოლოს და გვერდით მიჰყვებოდა. დროგამოშვებით სიყვარულით სავსე თვალებით ახედავდა ხოლმე და გზას უჩვენებდა.

პატარა თეთრი ფისუნიაც დაინტერესდა, სად მიჰყავდა ალმირას უცნობი და ხტუნვა-ხტუნვით უკან დაედევნა მათ.

ამ დროს ბაღის ბოლოდან ვიღაცის წკრიალა ხმა მოესმა:

„ნარცისა!"

ეს ქალიშვილის ხმა იყო, რომელშიც ერთმანეთს შეზავებოდა მსუბუქი საყვედური, ეჭვიანობა და კდემამოსილება.

ტიმარმა მოიხედა, უნდოდა დაენახა ვინ დაიძახა ასეთი სასიამოვნო ხმით, ან ვის დაუძახა. ვისაც დაუძახა, ადვილი მისახვედრი იყო, თეთრი ფისო მაშინვე შემობრუნდა, კუდი მაღლა ასწია და პირდაპირ მსხლის ხისკენ გაცუნცულდა, რომლის იქითაც თეთრმა კაბამ გაიელვა. ტიმარს ერთი სული ჰქონდა, დაენახა, ვინ იყო ხესთან, მაგრამ ვერ შესძლო. ძაღლს ისე მაგრად ეჭირა კბილებით მისი წამოსასხამის ბოლო, რომ ზედმეტი მოძრაობის საშუალებას არ აძლევდა. თანაც ერთი ისე ჩაიღრინა, რომ ნიშნავდა, საყურებელი იქ არაფერია და შენს გზაზე წადიო. მართლაც წამოსასხამის ბოლო მის კბილებში რომ არ დარჩენილიყო, ტიმარი იძულებული გახდა მის ნებას დაჰყოლოდა.

ალმირამ იმ ნაპირთან მიიყვანა, სადაც ნავი ჰქონდა დატოვებული. სწორედ ამ დროს ლერწმნარიდან გაბმული სტვენით გამოსწია კუნძულისკენ ჭაობის ორმა ცხრატყავამ. ამათგან ტიმეას მშვენიერ ვახშამს მოვუმზადებო, გაიფიქრა, თოფი შვმართა და ორი გასროლით ორივე დახოცა. მაგრამ იმავე წუთში ვიღაცამ ორივე ბეჭით თვითონაც მიწას გააკრა. ალმირამ სროლის ხმა რომ გაიგონა, ეცა და თვალის დახამხამებაში მიწაზე დასცა. ტიმარმა გაიბრძოლა, მაგრამ ამაოდ. მიხვდა, რომ ძლიერ მოწინააღმდეგესთან ჰქონდა საქმე და ვერას გააწყობდა. ძაღლი არ ჰკბენდა მას, ოღონდ ორივე თათები მძლავრად დაებჯინა მკერდზე და ადგომის საშუალებას არ აძლევდა. ტიმარმა ახლა მოფერებით სცადა ძაღლის გულის მოგება, უხსნიდა, რომ ნადირობა ნადირობაა და უმჯობესი იყო დახოცილი ცხრატყავები მოეძებნა, მაგრამ არაფერმა გასჭრა, სანამ სროლის ხმაზე მასპინძელმა არ მოირბინა. ალმირამ მხოლოდ მაშინღა შეუშვა თათები მსხვერპლს.

— მაპატიეთ, ბატონო, მე დამავიწყდა გამეფრთხილებინეთ, რომ თოფი არ გაგესროლათ, ალმირა მის ხმას ვერ იტანს.

— არაფერია, ქალბატონო! — სიცილით უპასუხა ტიმარმა. ისე, მისგან საუცხოო ტყისმცველი გამოვიდოდა. მე მაინც მოვასწარი ორი ცხრატყავას მოკვლა, კარგი იქნება, თუ მათგან ვახშამს მოამზადებთ ჩემი მგზავრებისათვის.

— იმათ მე თვითონ მოვძებნი, თქვენ კი ნულარ დააყოვნებთ. უკან დაბრუნებისას თოფი გემზე დატოვეთ, თორემ ალმირამ კიდევ რომ დაინახოს ის თქვენს ხელში, იცოდეთ, წაგართმევთ. მასთან ხუმრობა არ შეიძლება.

— ეს უკვე გამოვცადე. შესანიშნავი ძაღლია და საკმაოდ ღონიერიც, ერთ წამში მიწას მიმაკრა, კიდევ კარგი. რომ ის მგელივით ყელი არ გამომღადრა.

— არა, ალმირა არ იკბინება, თუ უცხო ადამიანი გაუძალიანდა, ხელზე ჩაუჭერს ხოლმე კბილებს მარწუხებივით და არ გაუშვებს, სანამ ჩვენ არ მოვუსწრებთ. აბა, ნულარ დააგვიანებთ, ბატონო, გელით.

ერთ საათსაც არ გაევლო, რომ პატარა კანჯო ახალი სტუმრებით მოადგა ნაპირს. გზაში ტიმარი ალმირასა და ნარცისაზე უყვებოდა ტიმეას, უნდოდა როგორმე გაერთო, რომ ავადმყოფობა და შიში დაევიწყებინა, მაგრამ ტიმეას, სანამ ნაპირს არ დაადგა ფეხი, უკეთესობა არ დაეტყო.

წინ ტიმარი მიდიოდა გზის მაჩვენებლად, მას მიჰყვებოდნენ ტიმეა და მამამისი. ორი მეზღვაური და ფაბულა კი ცოტა მოშორებით მიდიოდნენ. მათ გადასაცვლელი ხორბლის ტომბერი მოჰქონდათ. ალმირა შორიდანვე ყეფით გამოქანდა მათკენ, ძაღლები ხომ ყეფით ესალმებიან ნაცნობებს და თან კუდს აქნევენ, სტუმრებს შუა გზაში მიუსწრო, თითოეული მათგანი სათითაოდ დაყნოსა, ჯერ ფაბულა და ორი მეზღვაური, შემდეგ ტიმარი, ტიმეას მიეფერა და ხელი გაულოკა, ეთიმი კი რაღაცით არ მოუვიდა თვალში, დიდხანს ყნოსავდა და მერე გვერდიდან აღარ მოსცილებია. აშკარად შეატყობდით, რომ მისი დანახვა არ ესიამოვნა.

დიასახლისი აივნიდან უყურებდა მათ და, როგორც კი მოახლოვდნენ, ვიღაცას დაუძახა:

„ნოემი“!

ახალგაზრდა ქალიშვილი გამოვიდა ჟოლოს ბუჩქებიდან, რომე-

ლიც მწვანე გვირაბს მოგავონებდათ. ქვედა კაბის კალთა აეწია და ალალად ჰოკრეფილი ხალი ძოჰქონდა. ვერ ისევ ბავშვური სახე ახლად გაშლილ თეთრ ვაოდს მიუგავდა ეათელი შუბლი ხაზს უსვამდა ბის სიკეთეს, სქელი წარბები და მეტყველი, ცისფერი თვალები კი პატარა ტუჩებთან ერთად მის თავმდაბლობაზე მეტყველებდა. ხმირი, ოქროსფერი თმა თავზე შემოეხვია და მშვენიერი პატარა ყურები მოუჩანდა. ეს გოგონა არაჩვეულებრივი სიწმინდისა და სისპეტაკის განსახიერება იყო. მართალია, მასზე ვერ იტყოდით, ლაწანიაო, და მისი სახის ნაკვთებიც მოქანდაკისათვის ნიმუშად არ გამოდგებოდა, მაგრამ საოცრად მოხდენილი იყო. რაც უფრო დიდხანს უყურებდით, მით უფრო მეტად გსიბლავდათ და გატყვევებდათ. ფეხშიშველა მოდიოდა ხავერდოვანი მწვანე ბალახით, თითქოსდა საგანგებოდ დაგებულ, მეფურ ხალიჩაზე. მხარზე თეთრი ფისუნია შემოსჯდომოდა და თავისი პაწაწინა ცხვირი მისთვის ლოყაზე მიედო.

შემოდგომის ზღაპრულ ფერებში ჩაფლულ ბაღს კიდევ უფრო მეტ მშვენებას მატებდა ცისფერი ვერონიკასა და წითელი ნემსიწვერას აყვავებული ბუჩქები.

ეთიმი, ტიმეა და ტიმარი შეჩერდნენ და მათკენ მომავალ ქალიშვილს დაელოდნენ, იგი მიესალმა მათ და ახლადმოკრეფილი მსხალი შესთავაზა. ეს იყო მსხალატამას ჯიშის საუცხოო გვერდწითელა მსხალი, გოგონა რატომღაც ჯერ ტიმარს მიუახლოვდა და პირველს მას მიართვა, მან კი საუკეთესო მსხალი ამოარჩია და ტიმეას გაუწოდა.

ქალიშვილები ერთხანს შურით შეჰყურებდნენ ერთმანეთს, ვერცერთი ვერ ფარავდა წყენას. ტიმეას გული მოუვიდა, თეთრი ფისუნია მასთან რომ არ მივიდა და პატრონთან დარჩენა ამჯობინა, ნოემის კი, გული ატკინა ტიმარმა, რომელმაც მისგან საგანგებოდ მიწოდებული პირველი მსხალი ტიმეას შესთავაზა.

ამ დროს სამზარეულოდან ნოემის დედა გამოვიდა და შვილს გაუწყრა, სტუმრებისათვის ხილი კალათით უნდა მიგერთმიაო. ნოემის ლოყები აუვარდისფრდა და დედასთან მიირბინა, მან ჩუმად ისევ დატუქსა გოგონა, მაგრამ ბოლოს მაინც მოეფერა და შუბლზე აკოცა. შემდეგ დაავალა, მეზღვაფრები საკუჭნაოში წაეყვანა.

— ტომრები სიმინდის ფქვილით აუვსე, ქილები თაფლით, კალათები ხილით და ორი თხა დაუჭირე.

— თხებს მე ვერ ვავიჭერ. თვითონ დაიჭირონ. — უპასუხა ნოემმ

— კარგი, კარგი, — [illegible] ბედს. — სიბალახოდ თხების წაყვანა [illegible]ყვარს, დაკვლით კი ვერ დააკვლევინებ. რა გაეწყობა. თვითონ [illegible]ამოირჩიონ, მე კი წავალ და სუფრას გავშლი.

ნოემმ მეზღვაურები საკუჭნაოში და ხილის სარდაფში წაიყვანა. კლდეში ორივე ცალ-ცალკე იყო გამოკვეთილი და თითოეულს თავისი კარი ჰქონდა. ეს მაღალი კლდე აქ მცხოვრებთ შესანიშნავად გამოეყენებინათ. ერთ ნაწილში, რომელსაც მაღლიდან ჩვრები ჰქონდა დატანებული, სამზარეულო მოეწყოთ. მეორე სარდაფად ექციათ, სამზარეულოს ზემოთ კი, სამტრედე გაეკეთებინათ. ამის იქით საზაფხულო და საზამთრო საკუჭნაოები იყო. ისინი ისე იყვნენ მოწყობილი და მოკალათებული ამ კლდეში, როგორც ჩიტები ბუდეში.

ნოემმ სურსათი გაატანა მეზღვაურებს, ალუბლის წვენით გაუბასპინძლდა და გამოთხოვებისას სთხოვა, აქ გამოვლისას მომავალშიც მოენახულებინათ მათი კუნძული. შემდეგ სამზარეულოში დაბრუნდა, მაგიდა ოთხი კაცისთვის გააწყო, ხოლო თვითონ ფისუნიას მაგიდას მიუჯდა. ეს იყო ხის პატარა სკამი ივანზე ასასვლელი კიბის ძირას. ნოემმ სკამზე თიხის ჯამი დადგა დანა-ჩანგლითა და კოვზით, აქეთ-იქიდან კი ხის თეფშები შემოუწყო ალმირასა და ნარცისასთვის.

როდესაც ლანგრით პირველი თავი საშმელი ჩამოატარეს სუფრაზე, რომლის თავშიც დიასახლისი იჯდა, ფისუნიას მაგიდაც არ დავიწყებიათ. ნოემმ ჯერ ნარცისას დაუდო ხორცის პატარა ნაჭერი. შემდეგ ძვლიანი ალმირას და ბოლოს თავისთვის გადაიღო. როგორც წესი, ალმირას და ნარცისას, შიმშილით სულიც რომ დალეოდათ, უფლება არა ჰქონდათ საშმლისთვის პირი დაეკარებინათ, სანამ მათი პატარა დიასახლისი ნებას არ დართავდა. ამ წესს ორივენი მტკიცედ იცავდნენ.

მაგიდას ეტყობოდა, რომ კუნძულის დიასახლისს, სტუმართმოყვარე უნგრელთა ახირებული ჩვეულებისამებრ, ყოველი ღონე ეხმარა სტუმრების ღირსეულად დასახვედრად, განსაკუთრებით კი, ალბათ, ტიმარისთვის უნდოდა ეჩვენებინა, რომ მისი ნანადირევის გარეშეც შეეძლო მათი გამასპინძლება. ცხრატყავები მხოლოდ ქალებისთვის იყო, ნამაკაცებისთვის კი საგანგებოდ მოემზადებინა

გოჟის ხორცის ყაურმა. ტიმარს ეს კერძი ძალიან მოეწონა და სიამოვნებით მიირთვა. ეთიმს ხელი არ დაუკარებია, ახლახანს ვისადილეო, ძოიმიზეზა, ტიმეამაც ერთი-ორი ლუკმა შეჭამა, მადლობა გადაუხადა მასპინძელს და მაგიდიდან წამოდგა.

ამ ხნის მანძილზე მთელი გულისყური ნოემის მაგიდისკენ ჰქონდა, სადაც თეთრი ფისუნია იჯდა.

მართალია, ტიმეას უნგრული არ ესმოდა და ნოემის ბერძნული, მაგრამ მათ შუამავლად ნარცისა გამოადგათ, რომელიც მოფერებას ორივე ენაზე შესანიშნავად გრძნობდა. ეშმაკმა ფისუნიამ შეატყო, ტიმეას რომ მოსწონდა და გვერდიდან აღარ შორდებოდა. ტიმეა ეფერებოდა, ზურგზე ხელს უსვამდა, ისიც რაც შეეძლო ეტმასნებოდა და თან მხიარულად კრუტუნებდა. ტიმეასაგან ნოემისთან მიდიოდა, ახლა ის ეფერებოდა და იყო ასეთ ნებივრობაში. ბოლოს ისე გაუშინაურდა ტიმეას, რომ მხარზე შეახტა და თავისი ქათქათა, ფაფუკი თათები ყელზე შემოხვია.

ნოემის პირველად უხაროდა, უცნობ ქალიშვილს ასე რომ მოსწონდა მისი საყვარელი ფისუნია, მაგრამ როცა შეატყო, ნარცისასაც სიამოვნებდა მასთან თამაში, მოიღუშა. ტიმეამ სავსებით მოინადირა ნარცისას გული, ხელში აიყვანა და კოცნა დაუწყო. ნოემის გული ატკინა ნარცისას ღალატმა, ასე ადვილად როგორ გამცვალა სრულიად უცნობი გოგონას ალერსშიო, და როცა დარწმუნდა, ტიმეა მის სიყვარულში ეცილებოდა, დაუძახა ფისუნიას. ნარცისამ, ვითომ ვერ გავიგონეო, ყურიც არ ათხოვა და სტუმრის კალთიდან არ ჩამოვიდა. როგორ, ნუთუ მისი მოფერება ჩემსას ურჩევნიაო, გული მოუვიდა ნოემის, კუდში ხელი სტაცა და თავისკენ გამოათრია. ნარცისამ ეს იწყინა და ხელი დააკაწრა პატრონს.

ტიმეას ხელზე ოქროს სამაჯური ეკეთა, მაშინვე შეიხსნა და ნოემის გაუწოდა, რომ ამით ტკივილი შეემსუბუქებინა მისთვის, მაგრამ ის ვერ მიუხვდა, ეგონა, ტიმეა სამაჯურში ნარცისას სთხოვდა. ამის მოთმენა უკვე აღარ შეეძლო:

— მე არ მჭირდება თქვენი სამაჯური, ნარცისას სულ ერთია არ დაგითმობთ! მოდი აქ, ნარცისა!

ფისუნიამ არც კი მოხედა და ისევ ტიმეასთან თამაში განაგრძო. ნოემიმ ეს ვეღარ აიტანა და ისე ჩაარტყა თავში ნარცისას, რომ საწყალი კნავილით წამოხტა და ხეზე ავარდა ტიმეა და ნოემი ერთხანს შეჰყურებდნენ ერთმანეთს რაღაც უცნაური გამომეტყვე-

ლებით და თითოეულმა მათგანმა მეტოქის თვალებში საბედისწერო წინათგრძნობა ამოიკითხა. ასეთი წუთები სიზმარსა ჰგავს, როცა შენს წინაშე მთელი მომავალი ცხოვრება იშლება, მეორე წუთში კი ყოველივე ჰქრება და აღარც კი გახსოვს.

ამ გამოხედვაში ორივემ ერთდროულად იგრძნო, რომ ბედი მათ რაღაცით ერთმანეთს დაუკავშირებდა და, შეიძლება, უნებურად ერთი მეორის ბედის შემცვლელიც გამხდარიყო.

ტიმეამ აივანზე აირბინა, ნოემის დედას მიუახლოვდა და ოქროს სამაჯური გაუწოდა, რომელზედაც გველის თავი იყო გამოსახული. ტიმარმა აუხსნა დიასახლისს, რომ მას ნოემისთვის სამაჯური უნდოდა ეჩუქებინა.

დიასახლისმა ოქროს სამაჯური რომ დაინახა, ისე შეეშინდა, თითქოს ნამდვილი გველი ყოფილიყოს მის წინ და ისე დაიბნა, რომ ველარც კი მოახერხა ნოემისათვის ეთქვა, მადლობა გადაუხადე საჩუქრისთვისო.

ამ დროს ყველას ყურადღება ალმირას ყურთასმენის წამღებმა ყეფამ მიიპყრო. შესი ხმა გაძვინვარებული ლომის ბრდღვინვას არ ჩამოუვარდებოდა. ძაღლი ზღურბლთან გაწვა და უკანა ფეხებით მიწის თხრა დაიწყო. დიასახლისი გაფითრდა, ფერი წაუვიდა. ბილიკზე ხეებს შორის ვიღაც უცნობი გამოჩნდა.

— ალმირა ასე მხოლოდ ერთ ადამიანს უყეფს! — ჩაილაპარაკა შეშფოთებულმა, — ის არის, ის!

VIII. ღამის ხმები

აივანს მშვენიერი გარეგნობისა ახალგაზრდა კაცი მოუახლოვდა. განიერი ქურთუკი და ვიწრო შარვალი ეცვა, თავზე ეოლოსფერი თურქული ფესი ეხურა, ყელზე კი წითელი ყელსახვევი ჰქონდა შემოხვეული. ისეთი ლამაზი იყო, ყველა მხატვარი სიამოვნებით დახატავდა მის სახეს, მაგრამ ახლოს რომ გაიცნობდით, თქვენდაუნებურად იფიქრებდით, ეს კაცი ჯაშუში უნდა იყოსო. სწორი საბის ნაკვთები, დიდი შავი თვალები, ხშირი, ხვეული თმა და საოცრად ლამაზი ტუჩები ჰქონდა. ნაოქები თვალების ირგვლივ, ტუჩების დაშვებული ბოლოები, ოფლით დანამული შუბლი და მოუსვენარი გამოხედვა კი იმაზე მეტყველებდა, რომ ის საკუთარ ვნებათა მონა და ანგარების მოყვარული ადამიანი იყო.

ალმირა გამძვინვარებული უყეფდა, ის კი უტიფრად მოდიოდა წინ, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ მასპინძლები ძაღლს დაეჯაჯებდნენ. ნოემიმ მართლაც სცადა ძაღლის დამშვიდება, მაგრამ ის არ ემორჩილებოდა. მაშინ მან ყურებში ხელი ჩაავლო და უკან გამოათრია. ძაღლმა იწყინა, დაუმსახურებლად რომ დასაჯეს, მაგრამ რა უნდა ექნა, ყეფას მაინც განაგრძობდა. ბოლოს ნოემიმ თავზე ფეხი დააფო და მიწაზე დააფებინა. ალმირა დაემორჩილა, აბა, ნოემის წინააღმდეგობას ხომ ვერ გაუწევდა!

მოსული სტვენით მოუახლოვდა მათ.

— ეს წყეული ძაღლი ისევ ცოცხალია? ვხედავ, მე მომიწევს მისი მოკვლა!

ნოემის შინაურულად გაუღიმა და უნდოდა ნიკაპზე ხელი მოესვა, მაგრამ ქალიშვილმა სწრაფად დაიწია უკან.

— აბა, როგორ გრძნობს თავს ჩემი პატარა საცოლე? ისევ ისეთი ჯიუტი და თავნებაა? როგორ გაზრდილა, რაც ჩვენ ერთმანეთი ალარ გვინახავს.

ნოემიმ წარბები შეიკრა, შუბლი შეიშმუხნა, ტუჩები დაბანცა და ისეთი საშინელი გამომეტყველება მიიღო, რომ გაგიკვირდებოდათ. მას უნარი შესწევდა სახე ისე დაემასინჯებინა, რომ ველარავის ეცნო.

უცნობმა კი, თითქოს აქ არაფერიაო, ღიმილით შიბართა, როგორ გამშგენიერებულხარო! ისე იქცეოდა, როგორც საკუთარ სახლში, ნოემის დედას ხელზე აკოცა, ტიმარს მეგობრულად მიესალმა, ეთიმსა და ტიმეას თავაზიანად დაუკრა თავი და ენად გაიკრიფა:

— სალამო მშვიდობისა, ჩემო საყვარელო სიდედრო! ჩემი უმდაბლესი სალამი ბატონ გემის უფროსს! მოგესალმებით, ბატონებო და ქალბატონებო! მე გახლავართ ტოდორ კრისტიანი, რაინდი და კავალერი, ამ პატივცემული ქალბატონის მომავალი სიძე. ჩვენი მამები განუყრელი მეგობრები იყვნენ, მათი სურვილი იყო ნოემი შეპერთო ცოლად, ჩვენ ბავშვობიდანვე დანიშნულები ვართ. მე უსაზღვროდ მიყვარს ჩემი საცოლე და ყოველ წელს მოვდივარ მის სანახავად. მოხარული ვარ, რომ თქვენც აქ გხედავთ. ბატონო ტიმარ, ერთხელ უკვე მქონდა პატივი თქვენთან შეხვედრისა. ისე, მგონი ამ ბატონსაც სადღაც...

— ის მხოლოდ ბერძნულად ლაპარაკობს! — შეაწყვეტინა ტიმარმა და ხელები ჯიბეში ჩაიწყო, რომ ამ სასიხარულო შეხვედრის

ბამო ხელის ჩამორთმევა თავიდან აეცილებინა. მას არ გაჭირვებია, რომ უცხოს საფიფოაც ენახა, საიდან ვეფის ყაბიტანთან დუნაიზე შეხვედრა ისურვა ჩვეულებრივი ამბავი იყო.

ტოდორ კრისტიანმა არ შეიმჩნია ტიმარისგან ხელის ჩამორთმევის თავიდან აცილება და საუბრის თემა შესცვალა:

— ოო, რა შესანიშნავი სუფრაა გაშლილი! ესე იგი მე აქ მელოდნენ! შემწვარი გოჭი ხომ ჩემი საყვარელი საჭმელია! დიდ მადლობას მოგახსენებთ, ჩემო საყვარელო დედიკო, აღფრთოვანებული ვარ ასეთი დიდებული შეხვედრით! სიამოვნებით ვივახშმებ თქვენთან ერთად! — და, მიუხედავად იმისა, რომ მაგიდასთან არავის მიუწვევია, კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ყველას და შემწვარი გოჭის ჭამას შეუდგა. ეთიმსაც გულით სთხოვა, მიერთვალა, მაგრამ როცა გაიგო, რომ მას შემწვარი გოჭის ხორცი არ უყვარდა, დიდად გაოცებული დარჩა.

ეიბაური მაგიდიდან წამოდგა.

— ჩემი გზავრები ძალიან დაღლილები არიან და თუ შეიძლება, ნება დართეთ, მოისვენონ! — მიმართა მან დიასახლისს.

— ახლავე, ბატონო! ნოემი, წაიყვანე ქალიშვილი საწოლში.

ნოემიმ სტუმრები ოთახში შეიყვანა. ახლად მოსულს კი, რომ იტყვიან, ბევრი და მოედანი დარჩა. და თითქმის აღარაფერი დასტოვა მაგიდაზე სტუმრებელ. თან ტიბარს ელაპარაკებოდა და ანგარიშსაც არ უწევდა, უსმენდა თუ არა. ხანდახან ალმირას გამოხრილ ბეღლებს ესვროდა.

— ისე, ძალიან ადვილია ასეთი მგზავრობა, საშინელი ამინდია, მაინც როგორ შესძელით დუმირის ჭიშკარში გამოვლა? ან ტატალიას ხეობას როგორ გადაურჩით? ალმირა, აჰა, ეს ძვალი, იქნებ, დაგახრჩოს! თუ გახსოვთ, ბატონო, ჩვენ ერთხელ გალაცში შევხვდით ერთმანეთს! აჰა, ესეც შენ, შავო მხეცო!

მან ახლალა მოიხედა და დაინახა, რომ იქ ახლოს აღარც ტიმარი იყო და არც ალმირა. ყველა გარიდებოდა. ტიმარი სხვენში აძვრა, სურნელოვანი თივა დაიგო და, რომ იტყვიან, მეფურად მოეწყო. ალმირაც გასცილდა იეაურობას და დაიმალა.

სხვა გზა არ ჰქონდა კრისტიანს, ისევ მაგიდას მიუჯდა, მთელი ღვინო დალია, დაწნულ სავარძელში გადაწვა, კბილების ჩიჩქნას მოჰყვა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ღირსი ყოფილიყოს ამ დიდებული ვახშმისა.

მოსაღამოვდა. მგზავრობით დაქანცულ სტუმრებს მალე ჩაეძინათ. ტიმარიც გასწორდა თავის სურნელოვან საწოლში, ახლა მაინც დავიძინებო, გაიფიქრა და თვალები დახუჭა. მაგრამ რა იცოდა, რომ ამ ღამითაც არ ეწერა მოსვენება. ჯერ იყო და, სულ ის დაძაბული, ათასგვარი განსაცდელით აღსავსე დღე უტრიალებდა თავში. მის გადაქანცულ გონებაში ერთი-მეორეს ცვლიდნენ პირქუში კლდეები, ჩანჩქერები, მდევრები, ნანგრევებადქცეული ციხეები, უცნობ ქალთა სახეები, თეთრი ფისუნიები, შავი ძაღლები; ყურში ისევ ჩაესმოდა ქარიშხლის შემაძრწუნებელი ზუზუნი და შხუილი, ძაღლების ყეფა, ოქროს ჩხრიალი, ვიღაცის ჩურჩული და ხარხარი. ბოლოს, ყველაფერი ერთმანეთში აირია, შეერთდა და ჯოჯოხეთურ მოგონებად იქცა, რომელმაც დაძინების საშუალება არ მისცა.

ამაოდ ხუჭავდა თვალებს, ამაოდ ცდილობდა დაეძინა, მოჩვენებები და საშინელი ხმები არ სცილდებოდა მის გონებას.

უცებ ქვემოდან ლაპარაკი შემოესმა. მაშინვე იცნო დიასახლისისა და ახალმოსულის ხმები. ეტყობოდა, სხვენსა და ოთახს თხელი ფენა ჰყოფდა, ისე გარკვევით ესმოდა ყოველი სიტყვა. რაც შეიძლებოდა დაბალი ხმით ლაპარაკობდნენ, თუმცა სტუმარი ხშირად უწევდა ტონს.

— ჩემო საყვარელო დედიკო, ტერეზა, მართალი მითხარი, ფული რამდენი გაქვს?

— შენ კარგად იცი, რომ მე ფული არა მაქვს, გაცვლას ხომ საქონელზე ვაწარმოებ.

— ძალიან ცუდადაც იქცევი, მე ეს არ მომწონს და მართალი გითხრა, არც მჯერა!

— მე სიმართლეს გეუბნები, გაცვლას ისეთ ნივთებზე ვაწარმოებ, რაც ოჯახში მჭირდება, ფული კი, აბა, აქ რად მინდა?

— შენ თუ არ გინდა, მე მომცემ. სულ არ ფიქრობ ჩემზე! ან, იქნებ, ნოემის მზითევში ქლიავის ჩირი გინდა გამოატანო? კარგი დედა ასე არ უნდა იქცეოდეს, სულ არ ზრუნავ შენი ქალიშვილის ბედნიერებაზე! ჩემს სამსახურში დაწინაურებაზეც ხომ უნდა იფიქრო, ეს ხომ შენთვისაც სასარგებლოა! აი, ახლაც, მე კარგი ადგილი შემომთავაზეს საელჩოში, მაგრამ იქამდე წასვლა არ გინდა? კაპიკი ფული არა მაქვს, გზაში გამქურდეს! ამის გამო ასეთ სამსახურს ვკარგავ.

— არ მჯერა, რომ შენ კარგი სამსახური შემოგთავაზეს, არც ის მჯერა, რომ ფული მოგპარეს, სად გექნებოდა?

— ეშმაკსაც წაუღიხარ! არც მე მჯერა, ფული არა მაქვსო, რომ ვაიძახი! აქ ხშირად მოდიან. კონტრაბანდისტები, იმათ ფული ჩეჩქივითა აქვთ და კარგადაც გიხდიან, აბა სად მიგაქვს?

— ნუ ყვირი! ისინი კუნძულზე კი ამოდიან ხოლმე, მაგრამ ჩემს სახლში იშვიათად შემოდიან. თუ მოვლენ, ხილზე მარილს მიცვლიან ხოლმე, მარილი თუ გინდა, მოგცემ.

— სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ! ეს შენი სტუმრები მდიდარი ხალხია.

— მე აო ვიცი და არც მაინტერესებს მათი სიმდიდრე.

— ფული გამოართვი! გეყოფა წმინდანობიას თამაში! როგორც გინდოდეს, ისე მიშოვე ფული! ბოლოს და ბოლოს თავი დაანებე ამ სულელურ გაცვლა-გამოცვლას, აქ ავსტრალია ნუ გგონია, თუ გინდა, მოგეშვა, ოქრო მომეცი! თორემ, მე შემიძლია, სადაც საჭიროა, ერთი-ორ.. სიტყვა ვთქვა და მერე ხომ იცი...

— ჩუმად, რა გაყვირებს!

— ხმასაც არ ამოვიღებ, ფულს თუ მომცემ, ტერეზა, შენც ხომ გინდა მოსვენება?

— რას ჩამაცივდი, ხომ გეუბნები, რომ ფული არა მაქვს და არც მინდა მქონდეს! ფულს მხოლოდ უბედურება მოაქვს ადამიანებისთვის! შეგიძლია მთელი სახლი გადააბრუნო, რასაც იპოვი, შენი იყოს!

ახალგაზრდა კაცმაც აღარ დააყოვნა და ძებნას შეუდგა.

— აა, აბა, ეს რა არის? ოქროს სამაჯური!

— ჰო, ეს ნოემის აჩუქა დღეს ამ ქალიშვილმა, თუ გინდა, წაიღე.

— წავიღებ, აბა რას ვიზამ! ყვავს კაკალი გააგდებინეო, ხომ გაგიგონია, ამაში ათ ოქროს მაინც მომცემენ! არაფერია, ნოემი ჩემი ცოლი რომ გახდება, უკეთესს ვუყიდი, საფირონის თვლებით მოჭედილს! ისე, რომელი გირჩევნია: საფირონი თუ ზურმუხტი? — და თავის ოხუნჯობაზე თვითონვე სიცილი აუტყდა.

— აბა ახლა კი, ჩემო საყვარელო სიდედრო, ლოგინი გამიშალე, მე ხომ შენი მომავალი სიძე ვარ, შენი ტოდორი.

— სად დაგაძინო? ჩვენთან ერთად არ შეიძლება, ნოემი უკვე ბავშვი აღარ არის. მეორე ოთახში და სხვენში სტუმრებს სძინავთ, გადი აივანზე, იქ ხის ტახტი დგას და იმაზე დაწექი.

— ღმერთო, ჩემო, ნუთუ შენს ერთადერთ სიძეს! ჩემი ფიცარზე დასაწოლად გაიშეტებ, ტერეზა?

— ნოემი, ბიეცი ბალიში, აი, ჩემი საბანიც წაიღე და ღამე ნებისა!

— მერე, იმ საზიზღარმა ძაღლმა ხომ შეჭამა?

— ნუ გეშინია, ჯაჭვით დავაბამ, მაგ საწყალს ჯაჭვით მხოლოდ ბაშინ ვაბამთ, შენ რომ გამოჩნდები ხოლმე.

ტერეზამ დიდი წვალებით დააბა ალმირა. გონიერმა პირუტყვმა იცოდა, ვისი გულისთვისაც უსპობდნენ თავისუფლებას და მისი სიძულვილი კიდევ უფრო ემატებოდა. როგორც კი ტერეზა დასაძინებლად წავიდა და ტოდორი მარტო დარჩა შავ ნიუფაუნდლენდთან, მან ისევ ყეფა ასტეხა, თან ჯაჭვის აწყვეტას ლამობდა. ტოდორი მას უტიფრად აღიზიანებდა და სიამოვნებით იღიმებოდა, ძაღლს სამაგიეროს გადახდა რომ არ შეეძლო. ათასნაირად ემანჭებოდა, ენას უყოფდა, აფურთხებდა, უღრენდა და მის წინ ოთხზე დახტოდა.

— აა, შენ ჩემი კბენა გინდა არა? ვერ მომწვდები, საზიზღარო ქმნილებავ, ვერა, თუ გული გერჩის, აწყვიტე ჯაჭვი და ესინჯოთ, ვინ უფრო ღონიერია! აჰა, აი ჩემი ცხვირი, სულ ახლოსაა, ბიეცი, სიამოვნებით მომაჭამდი, მაგრამ ვერ მოგართვეს! ვერ მომწვდები, ეგეც შენ!

გამძვინვარებულმა ალმირამ უცებ, თითქოს გონს მოვიდაო, ყეფა შეწყვიტა, ერთხანს უყურა ადამიანური თვალებით ამ პირუტყვს, მზეცს, რომელსაც ადამიანობის ნატამალიც არ გააჩნდა, მერე ზურგი შეაქცია და უკანა ფეხებით ისეთი ძალით მიაყარა მიწა, რომ თვალები, ყურები და პირი სულ ამოუვსო. ტოდორმა ლანძღვა-გინებით დაიხია უკან და წყევლა დაუწყო.

იმ წუთში მათთვის რომ შეგეხედათ, აუცილებლად იტყოდით, ბუნება შეცდა, ერთი მათგანი ძაღლად რომ გააჩინა და მეორე ადამიანად.

ტიმარს ყველაფერი ესმოდა და აბა რაღა დააძინებდა. სხვენის კარი ღია ჰქონდა დატოვებული, რომ მთვარის შუქი შემოსულიყო. ძაღლი გაჩუმდა და ირგვლივ ყველაფერი მიწყნარდა, სამარისებური სიჩუმე გამეფდა. აქ არ აღწევდა არც ურმის ჭრიალი, არც წისქვილების ხმაური. დროგამოშვებით ჭაობის რომელიმე ბინადარი თუ დაარღვევდა ღამის მყუდროებას ან ღამურა თუ გაიფრენდა ჰაერში. ხან ქარი აშრიალებდა ფოთლებს და ციცინათელები ზღაპ-

რული ფერიებივით ცეკვავდნენ სიბნელეში. მთვარის ვერცხლისფერი სხივებით განათებულ ყვავილნარზე კი პეპლები დაფარფატებდნენ.

— მართლაც რომ ზღაპრული კუთხეა! — აღმოხდა აღტაცებულ ტიმარს, — საკმარისია ადამიანმა აქ ერთი უძილო ღამე გაათიოს, რომ მთელი სულითა და გულით შეიყვაროს ეს ღმერთების საკადრისი სავანე! ოღონდ ადამიანის ხმამ არ დაარღვიოს ახლა ღამის ხმათა ეს მშვენიერი ჰარმონია!

მაგრამ ტიმარის ამ ნატვრასაც არ ეწერა ასრულება. სწორედ ამ დროს, ქვემოდან ისევ შემოესმა ლაპარაკი, არც ერთ ოთახში არ ეძინათ, თითქოს ვიღაც ავსულს ყველასთვის გაეფრთხო ძილი.

— „ოჰ, ღმერთო, ჩემო!“.. „ო, ალლაჰ!“ — ისმოდა ხან ერთი, ხან მეორე ოთახიდან.

რაშია საქმე? რატომ არ სძინავთ? — გაუკვირდა ტიმარს და რაღაც შინაგანმა ხმამ საწოლიდან წამოახტუნა. მაშინვე წამოსასხამი მოისხა და ძირს ჩამოვიდა.

— ალმირა! — დაიძახა რაც შეიძლებოდა ხმადაბლა და იმავე წამს, თითქოს მისი გამოძახილიაო, კიდევ ვიღაცამ დაუძახა ძაღლს. ეტყობოდა, რომ ეს საშინელი აზრი სხვასაც მოსვლოდა თავში, ეს იყო ტერეზა.

— არ გძინავთ, ბატონო?

— თქვენ რიღასთვის— დაუძახეთ ალმირას? — კითხვითვე უპასუხა ტიმარმა.

— ძილი არ მეკარება.

— გამოგიტყდებით, საშინელმა აზრმა გამიელვა თავში, გავიფიქრე, ხომ არ მოწამლა-მეთქი ძაღლი... იმ კაცმა, ისე უცებ რომ შეწყვიტა ყეფა.

— მეც ეს ვიფიქრე. ალმირა!

ძაღლმა მაშინვე მოირბინა მათთან და კუდის ქნევა დაიწყო.

— მადლობა ღმერთს, საშიში აღარაფერია, — ჩაილაპარაკა ტერეზამ, — უკვე წასულა, აი, საწოლიც ხელუხლებელია. მოდი, ალმირა, აგიშვებ.

ძაღლი მორჩილად ჩაუწვა ფეხებში პატრონს, რომ საყელური შეეხსნა. შემდეგ თავისი ფაფუკი წინა თათები ყელზე შემოახვია და მადლობის ნიშნად სახე გაულოკა, ტიმარს კი მეგობრულად თათი გაუწოდა.

. რაკი ალმირამ ყეფა შეწყვიტა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მისი საძულველი ადამიანი კუნძულზე აღარ იყო. ტერეზა ტიმარს მიუახლოვდა და ჰკითხა:

— იცნობთ ტოდორს?

— ვიცნობ, ერთხელ გალაცში შევხვდი, ჩემს გემზე ამოვიდა, თავი ისე ეჭირა, ვერ გაიგებდით, კონტრაბანდისტი იყო, თუ დაქირავებული ჯაშუში. იქამდის მიმიყვანა, რომ გემიდან დავითხოვე, აი, ესაა მთელი ჩვენი ნაცნობობა.

— მაინც, რამ გაფიქრებინათ, რომ შეეძლო ძაღლი მოეწამლა?

— ჩემდაუნებლიეთ მთელი თქვენი საუბარი მოვისმინე, სხვენში თითოეული სიტყვა მესმოდა.

— ალბათ, მისი მუქარაც გაიგონეთ, რომ მეუბნებოდა, ფულს თუ არ მომცემ, დაგასმენთო!

— გავიგონე.

— ღმერთო ჩემო! რას იფიქრებდით ჩვენზე? ალბათ, გგონიათ, რომ რაიმე დანაშაული გვაქვს ჩადენილი და ამ უკაცრიელ კუნძულზე ვიმალებით. ვინ იცის, უაჩაღის ოჯახად ან მართლმსაჯულებას გამოქცეულ რაიმე ბნელი საქმის ჩამდენ ადამიანებად ჩაგვთვალეთ?

— გეფიცებით, ასეთი არაფერი მიფიქრია, ქალბატონო! თქვენ შესანიშნავად გვიმასპინძლეთ და მე მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. მგონი, ქარი ჩადგა. ხვალ, ალბათ, შევძლებთ გზა განვაგრძოთ და იმას, რაც აქ გავიგონე, სამუდამოდ დავივიწყებ. შეგიძლიათ ენდოთ ჩემს პატიოსან სიტყვას!

— არა, არა, პირიქით, მე არ მინდა, რომ თქვენ ასეთი აზრით წახვიდეთ ჩვენგან. არ ვიცი, რატომ, მაგრამ პირველი დანახვისთანავე მომეწონეთ, კარგი ადამიანი ჩანხართ. არ შემიძლია ისე გაგიშვათ აქედან, რომ რაიმე ცუდი ფიქრი გაიყოლოთ ჩვენზე. მე თქვენ გაგანდობთ ჩემი მწარე ცხოვრების საიდუმლოს და თვითონ განსაჯეთ. როცა ამ კუნძულისა და ჩვენი ქოხის ისტორია გეცოდინებათ, აღარ იტყვით, გავემგზავრები აქედან და ამ ღამის ამბებს სამუდამოდ დავივიწყებო, პირიქით, ვერასდროს გულგრილად ვეღარ ჩაუვლით ჩვენს კუნძულს და გული აუცილებლად გამოგწევთ აქეთ, ჩვენი მყუდრო თავშესაფარისაკენ. აი, აქ ჩამოვსხდეთ და ყურადღებით მომისმინეთ.

IX. კუნძულელთა თავგადასავალი

ორმეტი წლის წინათ პანჩოვოში ვცხოვრობდი. ჩემი ქმარი, ბელოვარი, ქალაქის გამგეობის მოხელედ მუშაობდა. ახალგაზრდა იყო, ლამაზი, ჭკვიანი და კეთილი, ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა. მე ოცდაორი წლისა ვიყავი, ის — ოცდაათის. მალე ქალიშვილიც შეგვეძინა, ნოემი დავარქვით. ფუფუნებით არ ვცხოვრობდით, მაგრამ არაფერი გვაკლდა. ჩემი ქმარი კარგ გასამრჯელოს იღებდა, საკუთარი სახლი და საუცხოო ხეხილის ბაღი გვქონდა. როცა გავთხოვდი, მშობლები უკვე აღარ მყავდა, მათი დატოვებული ქონებაც ქმრისას შევუერთე და ვცხოვრობდით უზრუნველად.

ჩემს ქმარს ერთი გულითადი მეგობარი ჰყავდა, მაქსიმ კრისტიანი, იმ ახალგაზრდა კაცის მამა, აქ რომ იყო, ამ რამდენიმე წუთის წინ. ტოდორს მაშინ ცამეტი წელი უსრულდებოდა, საოცრად ცოცხალი ბავშვი იყო, ლამაზი, მხიარული და გონებამახვილი. ნოემი ახლადდაბადებული იყო. ჩემმა ქმარმა და კრისტიანმა შვილები ერთმანეთზე დანიშნეს. მეც მიხაროდა, ტოდორი ნოემის პაწაწინა ხელს ჩამოართმევდა ხოლმე, ცოლად გამომყვებიო? — ეკითხებოდა და ისიც უცინოდა.

კრისტიანი ვაჭარი იყო, ოღონდ გაქნილი კომერსანტი კი არა, უბრალო, პატიოსანი კაცი, რომელიც ბედის ანაბარად ცხოვრობს; თუ გაუმართლა, ხომ კარგია, და თუ არა, დაღუპვა რომ არ ასცდება.

მას ბედი ყოველთვის სწყალობდა და ეგონა, რომ ვაჭრობა ყველაზე იოლი და მომგებიანი საქმე იყო. გაზაფხულზე შემოივლიდა ახლო-მახლო სოფლებს, გაიგებდა პურის მოსავალს როგორი პირი უჩანდა და ამის მიხედვით ნარდად მოურიგდებოდა ხოლმე ადგილობრივ გლეხებს.

კომარომში ერთი მუდმივი კლიენტი ჰყავდა, ათანაზ ბრაზოვიჩი. ის გაზაფხულობით დიდ თანხას აძლევდა ხოლმე, ენდობოდა და კრისტიანიც შემოდგომობით ხორბალს უგზავნიდა. კრისტიანი ამით კარგ ფულს შოულობდა, მაგრამ დიდ რისკსაც ეწეოდა და მე სულ ის მაფიქრებდა, ასეთ საფრთხეში როგორ იგდებდა თავს. ვინაიდან მას სახლის გარდა არავითარი უძრავი ქონება არ გააჩნდა, ბრაზოვიჩი თავისი ფულის საფასურად სხვების თავდებობას სთხოვდა ხოლმე. ჩემი ქმარი შეძლებული კაცი იყო, თანაც კრისტიანის დიდი მეგობარი, ამიტომ თავდებობაზე უარს არასოდეს ეუბნებოდა.

ასე ოოლად შოულობდა ფულს კრისტიანი. მაშინ, როცა ჩემი ქმარი დილიდან საღამომდე თავისუფლებლად მუშობდა, ის ყავახანაში იჯდა ყალიონით ხელში და თავისსავე მსგავს საქმოსნებთან ძასლაათობდა.

მისი საქმეები კარგად მიდიოდა. ბედს ვერ დაემდურებოდა. ბაგრატ აი, დადგა 1816 წელი, და რომ იტყვიან, ღვთის რისხვად დაატყდა თავს ჩვენს მხარეს. გაზაფხულზე ნაოსებს კარვი პირი უჩანდა, საუცხოო ყანები მოვიდა, ყველაფერი კეთილ. ბორბალი იმ წელს იაფი იქნებოდა. ბანატში რომელმა ეაჭარმაც მოახერხა, ოთხ ფორინტად მორიგება, თავს ბედნიერად სთვლიდა, მაგრამ მთელი ზაფხული გადაუღებლად წვიმდა თექვსმეტი კვირის მანძილზე და ყანები სულ დაალპა. ძალე შიმშილობაც კი დაიწყო. შემოდგომაზე ხორბლის ფასმა ოც ფორინტამდე აიწია, მაგრამ ამ ფასადაც ვერ იშოვიდით, დიდი მიწების მფლობელებმა სათესლედ შეინახეს მთლიანად.

— მახსოვს ის წელი, — თქვა ტიმარმა. — სწორედ იმ წელს დავიწყე ცურვა დუნაიზე.

— იმ წელს კრისტიანმა ვეღარ შესძლო ბრაზოვიჩისთვის დაპირებული ხორბლის გაგზავნა და კანონით ვალდებული იყო წარმოუდგენლად დიდი, ნამდვილად საზღაპრო თანხა გადაეხადა მისთვის. მეტი რომ ვეღარაფერი გააწყო, ისესხა თავისი ახლო მეგობრებისაგან რამდენიც კი შესძლო, წაიღო მთელი თავისი ქონება და ღამით ჩუმად გაიპარა პანჩოვოდან. თქვენ წარმოიდგინეთ, საკუთარი ვაჟიც კი ბეჯის ანაბარად მიატოვა.

აბა, მითხარით, რა საჭიროა ამ ქვეყნად ფული, თუკი მას მხოლოდ ბოროტების წყაროდ აქცევენ? რად უნდათ ადამიანებს ფული, თუკი იმის მეტი ადარაფერი წმიდათაწმიდა ადარ იარსებებს მათთვის?

კრისტიანის მთელი ვალების გასტუმრება მეგობრებსა და მის თავდებად მყოფ პირებს მოუხდათ, მათ შორის ჩემ ქმარსაც. ათანაზ ბრაზოვიჩმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა უკლებლივ მოითხოვა. კრისტიანი მისი ფულებით ხელს ითბობდა, ვალების გადახდა კი ჩვენ დაგვაკისრეს.

გვეგონა, ჩვენი ქონების ნახევრით შევძლებდით ვალის გადახდას, მაგრამ ხელშეკრულებაში მარტო ის თანხა კი არ ყოფილა აღნიშნული, რაც კრისტიანს ასესხა, არამედ ისიც, რაც მას მოგების

სახით უნდა დარჩენოდა ხორბლის გაყიდვის შემდეგ. ბრაზოვიჩი მეკახეზე იყო და რას დაგვინდობდა, მით უფრო, რომ კანონი მის მხარეზე იყო.

ამ თანხის გადახდა ჩვენ არ შეგვეძლო და შევეხვეწეთ, ცოტა ნაკლებ მოგებას დასჯერებოდა, მაგრამ მან ყურიც არ გვათხოვა.

ყოველგვარი რწმენა დავკარგე: ღმერთისაც, ადამიანისაც და სარწმუნოებისაც. რაღა ძალა აქვს მას, თუკი ადამიანებს ასეთი ბოროტებისაგან არ დაიცავს?

საქმე სასამართლომდე მივიდა. მთელი ჩვენი უძრავ-მოძრავი ქონება გაიყიდა საჯარო ვაჭრობით. განა ეს არის კანონი, რომ პატიოსანი ხალხი უსახლკაროდ დატოვო იმ ვალების გადასახდელად, რომელიც არასოდეს აუღია? რატომ უნდა დაისაჯოს ადამიანი ვიღაც გაქნილი მატყუარასა და თაღლითისათვის, რომელიც მართლმსაჯულებას დაუძვრა ხელიდან და გულში იცინის, რომ მის მაგივრად სხვები აგებენ პასუხს მის დანაშაულზე?

ჩემმა ქმარმა ყოველი ღონე იხმარა, რომ სულ ხელცარიელნი არ დავრჩენილიყავით. სად არ იყო, ბუდაშიც, ვენაშიც. მაგრამ ვერაფერმა გვიშველა. ვერაგი და მატყუარა კრისტიანი გატაცებული ფულით საზღვარზე გადავიდა და თურქეთში მიიმალა. ჩვენ მოვითხოვეთ, რომ დაეჭირათ და პასუხისგებაში მიეცათ, მაგრამ გვიპასუხეს, ამის უფლება არა გვაქვსო.

მითხარით, მაშ რაღაა ხელისუფლება და რანი არიან ხელმწიფენი, მინისტრები და ძლიერნი ამა ქვეყნისანი, თუ თავიანთ ქვეშევრდომებს ვერ დაიფარავენ ასეთი ძალმომრეობისაგან.

ჩემმა ქმარმა ვეღარ გაუძლო ასეთ უსამართლობას და ერთ ღამეს თავი მოიკლა. ვერ შესძლო უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდნილი ოჯახისათვის რაიმე ეღონა, ვეღარ აიტანა ცოლის ცრემლებისა და მშიერი ბავშვის ტირილის ყურება და სიკვდილი ამჯობინა.

ამის შემდეგ სულ მარტო დავრჩი ჩვილ ბავშვთან ერთად. განა შეიძლება, კაცმა ასეთ გაჭირვებაში მიატოვოს ცოლ-შვილი ბედის ანაბარად და სიკვდილით უშველოს თავს?

ისედაც გაუბედურებულს ბედმა ახალი სადარდებელი გამიჩინა. უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დარჩენილს სარწმუნოებაზეც ხელი ამაღებინეს. მღვდელმა არად ჩააგდო ჩემი ხვეწნა-მუდარა და ნება არ მომცა უბედური ქმრის ნეშტი ქრისტიანული წესით მიმებარებინა

მიწისთვის. საკუთარი თვალით დავინახე, როგორ წაათრიეს მისი გვამი სასაფლაოს იქით და სადღაც ორმოში ჩააგდეს.

განა იმისთვის არსებობენ ეკლესიის მსახურნი, რომ ნუგეშისცემის მაგიერ სიცოცხლე ჯოჯოხეთად გადაგიქციონ?

რაღა დამრჩენოდა ამის შემდეგ ამქვეყნად? გადავწყვიტე, დუნაის ტალღებისათვის მიმეცა თავი ბავშვთან ერთად. ბევრი აღარ მიფიქრია, სიცოცხლეს უკვე ფასი აღარ ჰქონდა ჩემთვის და ბავშვით ხელში მდინარისაკენ გავეშურე. ისეთ ადგილს დავუწყე ძებნა, სადაც წყალი ღრმა იქნებოდა.

უცებ ვიღაცამ კაბაზე მომწია, მოვიხედე და ალმირა დავინახე, ჩემი ერთადერთი მეგობარი ამქვეყნად, რომელმაც ასეთ გაჭირვებაში არ მიმატოვა. ეს ამბავი ჩვენი საზაფხულო სახლის ბაღთან ახლოს მოხდა. სახლი უკვე დალუქული იყო და ბაღში ცალკე მოწყობილ სამზარეულოში ცხოვრების უფლებაღა მქონდა დროებით. ამ ჭკვიანი პირუტყვის გოხიერმა თვალებმა ჩამაფიქრა და დუნაის ნაპირთან ჩამოვჯექი.

ნუთუ მხეცზე უარესი გავხდი? ძაღლიც კი არ გაიმეტებდა თავის ლეკვს დასახრჩობად, მე კი, ადამიანმა, დედამ, შვილი გავიმეტე, მისი მოკვლა განვიზრახე. არა, არა, რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა ვიცოცხლო და ნოემი გავზარდო! მე ხომ ადამიანი ვარ! ვიხეტიალებ, საითაც გული გამიწევს, მოწყალებას ვთხოვ დედამიწას, ტყეს, მდინარეს! ადამიანებს კი არასოდეს!

გამახსენდა, როგორ მიამბობდა ხოლმე ჩემი საცოდავი ქმარი ჩვენგან სულ ახლოს მდებარე ერთი პატარა კუნძულის შესახებ. შემოდგომობით მიდიოდა ხოლმე იქ სანადიროდ და ღამეს კლდის გამოქვაბულში ათევდა. ბევრჯერ უთქვამს, კუნძულს პატრონი არა ჰყავს, დუნაის თითქოს თავისთვის შეუქმნია იგი და არც ერთი სახელმწიფოს მფლობელობაში არ შედისო, იქ არავინ ცხოვრობს და უპატრონო კუნძულს ეძახიანო.

თუკი პატრონი არა ჰყავს, ვინ დამიშლის, გავიფიქრე ჩემთვის, დუნაის და ღმერთს ვთხოვ ნება დამრთონ იქ ცხოვრებისა, ნუთუ უარს მეტყვიან? დავთესავ ხორბალს... მაგრამ თესლი რომ არა მაქვს? ან მიწას რით დავამუშავებ? არაფერია... გაჭირვება ყველაფერს მასწავლის!

ერთი ნავი მქონდა ჩუმად დამალული, ის ვერ იპოვეს, თორემ, ალბათ, იმასაც წამართმევდნენ. ჩავსხედით სამივენი შიგ და ამ კუნ-

ძულისკენ გამოვწიეთ. ნიჩაბი არასოდეს მჭერია ხელში, მაგრამ რომ გამიჭირდა, ესეც შევძელი.

როგორც კი ფეხი შემოვდგი ამ მიწაზე, რაღაც უცნაური კრძნობა დამეუფლა. ირგვლივ სამარისებური სიმყუდროვე იყო. სულ დამავიწყდა გადატანილი უბედურებაც და მიტოვებული კერაც. შემოვიარე ახლომახლო ადგილები, ფუტკრების ზუზუნი შემომესმა. იქვე ჭალაში მიწის თხილი დავინახე, აქეთ წაბლის ხეები იდგა, მზეზე რამდენიმე კუ თბებოდა. ბუჩქებსა და ხეებზე ათასნაირი კენკრა და ბაჟალო დამწიფებულიყო, მრავლად იყო ჟოლოც. აი, ასეთი ღვთის ნაწყალობევი უხვი სუფრა დამხვდა გაშლილი ამ უპატრონო კუნძულზე. იმედი მომეცა, ახლა უკვე შემეძლო მომავალზე მეფიქრა. გადავწყვიტე ეს ველური კუნძული სამოთხის ბაღად მექცია.

მოვძებნე ის კლდე, რომელშიც ბუნებრივად იყო გამოკვეთილი გამოქვაბულები. ყველაზე დიდში ჩემს განსვენებულ ქმარს თივა დაეგო, მეც იქ წამოვწექი, ბავშვს ძუძუ მივეცი და დავაძინე. შალი დავახურე, ალმირა გვერდით მივუწვინე და დავუბარე, აქ დარჩი და ჩემს მოსვლამდე ნოემის უყარაულე-მეთქი.

ისევ ჩავჯექი ნავში და უკან დავბრუნდი. სახლის აივანზე ტილოს დიდი ფარდა გვქონდა ჩამოფარებული, ჩამოვხსენი, შევახვიე მასში, რაც კი ხელში მომხვდა, ჭურჭელი, ქვაბები, ბაღში სამუშაო იარაღები, ერთ ფუთად შევკარი და ზურგით მივიტანე მდინარემდე. გამახსენდა, როგორ მივედი ოდესღაც ქმრის სახლში ოთხცხენიანი ეტლით, ახლა კი ძლივს მივათრევდი აქედან ამ მძიმე ტვირთს და თან იმის მეშინოდა, ვინმეს ქურდად არ ჩავეთვალე. მაშინ ყველაფერი არეული მქონდა თავში, კარგიც და ავიც, აღარ ვიცოდი რა შეიძლებოდა და რა არა. ისე გავრბოდი საკუთარი სახლიდან, უკან მოხედვისაც კი მეშინოდა. ბაღში გავლისას ყველა ხეს თითო ტოტი მოვაჭერი, ვაშლს, მსხალს, ატამს, ალუბალს, ლეღვს, ქლიავს და თან წამოვიღე. გამოთხოვებისას ვაკოცე ტირიფის ტოტებს, რომლის ქვეშაც ბევრი ტკბილი სიზმარი მენახა და სამუდამოდ გავშორდი იქაურობას.

მხოლოდ ერთი საფიქრალიღა მქონდა, კუნძულზე შხამიანი გველები ბუდობდნენ და მეშინოდა ნოემისთვის არ ეკბინათ. ალმირას ბედიც მაწუხებდა, რით უნდა გამომეკვება, ძაღლი ხომ ხილსა და თაფლს ვერ შეჭამდა. ის რომ შიმშილით მომკვდარიყო, უიმისოდ აქ არ მეცხოვრებოდა, შიშისაგან მოვკვდებოდი.

ჩემს ახალ კერას რომ მივაღწიე, პირველი, რაც თვალში მომხვდა, გველის დაკლაკნილი კუდი და თავი იყო, შუაწელი ძაღლს შეეჭამა. გონიერი პირუტყვი ბავშვის ფეხთით იწვა და ტუჩებს ილოკავდა, თითქოს მეუბნებოდა, აი, უკვე ვისადილეო. ამის შემდეგ ალმირა გველებზე ნადირობდა, ზამთარში თავიანთი სოროებიდანაც ამოაძვრენდა ხოლმე_და ამით იოლად გამოდიოდა. ამით ჩემმა ოთხფეხმა მეგობარმა თვითონვე იშოვა საჭმელი და მათი შიშისაგანაც გამანთავისუფლა.

თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ბატონო, რა შიში განვიცადე პირველ ღამეს ამ კუნძულზე. მე ხომ არავინ და არაფერი არ გამაჩნდა, ღმერთის, ბავშვისა და ამ ძაღლის მეტი. გადავიხურეთ სამივემ ტილოს ფარდა და გათენებამდე გაუნძრევლად გვეძინა.

მეორე დღესვე საქმიანობას შევუდექი. პირველყოფილი ადამიანივით ვშრომობდი, გაჭირვებამ ყველაფერი მასწავლა. დილით მინდვრის ბურღულის მოსაკრეფად წავედი, მისი თავთავებით ვიკვებებოდი. ღარიბთა ცოლებმა იციან მისი ცნობა, ეს ხომ მათთვის ნამდვილი ღვთის წყალობაა! მთელი ორი წელი ეს იყო ჩემი საზრდო და ყოველ დღე უფალს მუხლმოყრილი მადლობას ვწირავდი, რომ ასეთ წყალობას არ იშურებდა ჩემთვის. მაყალო, ვაშლი და პანტა მსხალი, გარეული ფუტკრის თაფლი, მიწის თხილი, გარეული იხვისა და კუს კვერცხები, ლოკოკინები, ზამთარში სოკოს ჩირი იყო ჩვენი ყოველდღიური საჭმელი.

დღე და ღამე ვმუშაობდი. ველური ვაშლის ხეზე დამყნობილმა ტოტებმა იხარა, გაჭირვებით დავბარე ყამირი მიწა და ვაზი ჩავყარე, ფუტკრებისთვის სკები შევკარი. სამხრეთის ფერდობზე ბამბა დავთესე, საკუთარი ხელით ვგრეხავდი მისგან ძაფს და ტანსაცმელს იმით ვიკერავდით. მეორე წლისთვის უკვე იმდენი თაფლი და სანთელი მქონდა, რომ გაცვლაც შემეძლო. კუნძულზე მოდიოდნენ ხოლმე მეწისქვილეები, ახლო-მახლო სოფლებიდან, კონტრაბანდისტები, ცუდი არაფერი უკადრებიათ, იცოდნენ, რომ ფულს არ ვღებულობდი და სურსათის სანაცვლოდ სამუშაო იარაღებს მაძლევდნენ, ან მძიმე სამუშაოს შესრულებაში მეხმარებოდნენ. ხოლო როცა ჩემმა ხეხილის ბაღმა ნაყოფი მოისხა, თავს უკვე ბედნიერ ქალად ვთვლიდი. ამ ნაყოფიერ მიწაზე ხეები ერთიორად უფრო სწრაფად იზრდება, მსხლის ისეთი ჯიშებიც კი გამოვიყვანე, წელიწადში ორ მოსავალს რომ იძლევა. ბუნების ბევრ საიდუმლოს ჩავწვდი და და-

ვრწმუნდი, რომ მებაღის სიმარჯვესა და ცოდნაზე ბევრად არის დამოკიდებული ხეხილის მსხმოიარობა. ცხოველებს რომ ესმით ადამიანისა და გრძნობენ მის სიყვარულსა თუ სიძულვილს, მე ვფიქრობ ხეებსაც ასევე შეუძლიათ ავისა და კარგის გარჩევა, ისინიც გრძნობენ ადამიანის მზრუნველობას და, ვინც მათი სულის სიღრმეში ჩაიხედავს და კეთილგონიერად მოეპყრობა, უხვად აჯილდოებენ ნაყოფით. ხეც ხომ ცოცხალი არსებაა და ვინც მას მოსჭრის, ჩემი აზრით მკვლელია. ხეები ჩემი მეგობრებია, მე მიყვარს ისინი და მათი წყალობით ვცოცხლობ. ჩემს ბაღში მოწეულ ხილს ვცვლი ოჯახისთვის საჭირო აუცილებელ ნივთებში, ფული არასოდეს ამიღია და არც ავიღებ, მე მძულს ფული, მისი შეხედვაც კი შიშის ჟრუანტელს მგვრის. მე ხომ ფულმა დამატოვებინა საკუთარი სახლი და ადამიანები, სამარეში ჩააწვინა ჩემი ქმარი და კინაღამ ჩემი და ბავშვის სიცოცხლეც შეიწირა! ფულის გახსენებაც კი არ მინდა!

რომ იტყვიან, შავი დღისთვის მარაგიც კი მაქვს. ზოგჯერ ხომ ყინვა, სეტყვა და გვალვა ერთიანად ანადგურებს ადამიანის მთელი წლის ნაშრომს. კლდისქვეშა გამოქვაბულსა და ნაპრალებში ღვინის თაფლისა და მატყლის მარაგი მაქვს, რისი შენახვაც შეიძლება. მოუსავლიანი წელი რომ დადგეს, ორ წელიწადს მეყოფა და აი, თუმცა ფული არ გამაჩნია და ამ თორმეტი წლის მანძილზე გროშიც არ მინახავს თვალით, მაინც მდიდარი ვარ. დიახ, უკვე თორმეტი წელია, რაც აქ ვცხოვრობთ სამნი, ალმირა ჩემი ოჯახის სრულუფლებიანი წევრია. ნოემი კი ამბობს ხოლმე ოთხნი ვართო, ის ნარცისასაც თვლის!

ახლომახლო სოფლებში იციან, რომ ჩვენ აქ ვცხოვრობთ, მაგრამ ჯერ არავის დავუბეზღებივართ, არავინ არ ერევა ჩვენს საქმეში, აქაური ხალხი მტკიცედ ინახავს ამ საიდუმლოს. საზღვრებიც ისეა დაცული, რომ ეს ამბავი ვერც ბუდამდე მიაღწევს, ვერც ვენამდე და ვერც სტამბულამდე. ან კი რატომ უნდა დამაბეზღონ? ვის რას დავუშავებ? ცუდი არავისთვის ჩამიდენია, ვცხოვრობ ჩემთვის. ეს კუნძული ხომ არავის არ ეკუთვნოდა, დუნაიმ და ღმერთმა ნება დამრთეს აქ მეცხოვრა, რისთვისაც ყოველდღე მადლობას ვწირავ!

თვითონაც არ ვიცი, მწამს თუ არა ღმერთი! რამდენი წელია უკვე არც ეკლესიაში ვყოფილვარ და არც მღვდელთან. ნოემის კი ამის შესახებ წარმოდგენაც არა აქვს. წერა-კითხვა მე თვითონ ვასწავლე, ღმერთზე, იესო ქრისტესა და წმინდა მოსეზეც ვუამბე, ისე, რო-

გორც მე წარმოიდგენია ნოემბერ იცის, რომ ღმერთი კეთილი, სამართლიანი, მოწყალე და ყოვლისშემძლეა და ყველგან არის. იესო ქრისტემ უდიდესი წამება ვანიცადა და თავისი რწმენით ღმერთს უტოლდება. წმინდა მოსე კეთილშობილებისა და მოყვასთა სიყვარულის მქადაგებელია, თავისი ხალხის მხსნელი, რომელმაც გაჭირვებაში ყოფნა არჩია მონობას. მაგრამ ჩემმა შვილმა არაფერი იცის იცის შესახებ, რომ არსებობს მხოლოდ რჩეულთა ღმერთი, სასტიკი, სისხლისმსმელი, ყოველთვის მსხვერპლს რომ ითხოვს ადამიანისაგან, არაფერი იცის ასევე იმ იესო ქრისტეზე, მუდამ რომ სდევნის თაყის მოძმეთ და ბრმა რწმენას მოითხოვს მისდამი, არც ანგარებისმოყვარე. კაცთმოძულე წმინდა მოსეს იცნობს, მხოლოდ საკუთარ თავს რომ აღმერთებს, როგორც ამას საეკლესიო წიგნებში წერენ და ფსალმუნს უგალობენ.

აი, ახლა თქვენ უკვე იცით, ვინცა ვართ და რატომ ვცხოვრობთ აქ. ახლა გეტყვით, რით გვემუქრება ის ახალგაზრდა.

როგორც გითხარით, ის იმ არამზადის ვაჟია, ვისი გულისთვისაც ჩემმა ქმარმა თავი შოიკლა და ჩვენ ადამიანური ცხოვრება დავტოვეთ. ცამეტი წლისა იყო მაშინ, მამამ ბედის ანაბარად რომ მიატოვა და არცაა გასაკვირველი, ასეთი რომ გაიზარდა. მარტოდმარტო დარჩენილი, შიმშილით რომ არ მომკვდარიყო, აქეთ-იქით დაეხეტებოდა და მოწყალებას თხოულობდა. მამამისმა, იმის მაგივრად, რომ მის მომავალზე ეზრუნა, მიატოვა და ბავშვობიდანვე დაუმახინჯა ცხოვრება. მართალი გითხრათ, ახლაც არ ვიცი, რითი ცხოვრობს, რას აკეთებს, აქ მოსულნი ათასნაირ ამბებს ჰყვებიან ხოლმე მის ბნელ საქმეებზე.

მამის გაქცევის შემდეგ თურქეთში წასულა თურმე მის საძებნელად. ზოგი ამბობს, მამა იპოვაო, ზოგი ამტკიცებს, კვალსაც ვერ მიაგნოო, ზოგს კი ჰგონია, რომ მამა გაქურდა, რაც ფული ჰქონდა წაართვა და სულ ერთიანად გაფლანგაო. ვინ იცის, რომელია მართალი, თვითონ მისგან კი სიმართლეს ვერ გაიგებ, მართალი სიტყვა არ ამოუვა პირიდან. ერთ ადგილასაც ვერ ჩერდება, სად არ დაეხეტება, ხან თურქეთშია, ხან იტალიაში, ხან პოლონეთში, ხან უნგრეთში და ყველგან შესანიშნავად გრძნობს თავს. ალბათ, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ეგ იცნობდეს და არ მოეტყუებინოს, გაქნილი თაღლითია, ათ ენაზე მაინც ლაპარაკობს და რომელ ქვეყანაშიც შევა, ალბათ, სიკეთეს არ ჩაიდენს. დღეს რომ თურქია, ხვალ ბერძნად

ასაღებს თავს, ზეგ იტალიელად, როგორც დასჭირდება, ხან მეზღვაურია, ხან ჯარისკაცი, ხან ვაჭარი, ერთხელ უთქვამს, პოლონელი გრაფი ვარო, შემდეგ რუსი თავადის ასულის საქმრო იყო, მერე გერმანელი ექიმი, გამოუცხადებია, ყოველგვარ დაავადებას ვკურნავო და წამლებიც კი გაუყიდია. სინამდვილეში ვინ არის და რას წარმოადგენს, ღმერთმა იცის მხოლოდ. ერთი კი ცხადია, რომ დაქირავებული ჯაშუში უნდა იყოს, ოღონდ არ ვიცი, რომელი ქვეყნის? თურქეთის სულთნისა, ავსტრიის იმპერატორისა თუ რუსეთის მეფის, ან, იქნებ, სამივესი ერთად. ისე კი არც ერთს არ დაინდობს, თუ დასჭირდა, მეორე წუთშივე გაყიდის.

აქ, ჩვენთან წელიწადში რამდენჯერმე შემოივლის, ერთი ღამის მეტს არ დარჩება, მაგრამ ყოველი მისი სტუმრობა ჯოჯოხეთური ტანჯვაა ჩემთვის. ნოემისაც სძულს, მას კი უყვარს აქ მოსვლა და ჩემი მომზადებული საჭმელები, თანაც ბავშვს აღიზიანებს. ჩემი საცოლე ხარო, ეუბნება. მაგრამ სხვა მიზეზიც უნდა ჰქონდეს აქ მოსვლისა, ალბათ, ამ კუნძულთან დაკავშირებული რაიმე საიდუმლო იცის. ის ხომ არამზადა და სულით ხორცამდე გაფუჭებული ადამიანია, რომელსაც ყოველგვარი ბოროტების ჩადენა შეუძლია. მან იცის, რომ ჩვენ აქ ცხოვრების უფლება არა გვაქვს, ხელისუფალთ ამის შესახებ არაფერი იციან, შეუძლია ავსტრიაში ან თურქეთში დაგვასმინოს და როცა ისინი ერთმანეთში დავას ასტეხენ, ჩვენ აქედან გაგვასახლებენ, როგორც ეს მთა ალიონსა და მდინარე ჩერნას შორის მდებარე ტერიტორიის გამო მოხდა.

ამ არამზადის ერთ სიტყვას შეუძლია დაგვღუპოს და ამ თორმეტი წლის მანძილზე საკუთარი ხელებით შექმნილი სამოთხედქცეული კარმიდამო სამუდამოდ დამაკარგვინოს. ეს ბაღნარი ისევ უდაბურ ტყედ იქცევა და გაველურდება, ჩვენ კი ქუჩა-ქუჩა მოგვიხდება ხეტიალი. მარტო ამასაც არ გვაკმარებენ, სამღვდელოება არ გვაპატიებს, რომ წლების მანძილზე ეკლესიაში არ ვყოფილვართ და ნოემის მონასტერში უკრავენ თავს. ახლა ხომ გესმით, ბატონო, რით შემუქრებოდა წუხელის და რატომ მეშინია მისი?

ტიმარმა მთვარეს ახედა და გაიფიქრა, ნეტავ შემეძლოს, რითიმე ვუშველოო.

— იმას ყოველ წუთში შეუძლია გაგვაუბედუროს, — განაგრძო ტერეზამ, — მისთვის უცხო არ არის ვინმეს დაბეზღება, მაგრამ მე ასე ადვილად ვერ დავთმობ ჩემს სახლ-კარს. როცა თურქები სერ-

ბიელი მილოშის არმიას ეომებოდნენ ამ ადგილებში, სერბიელ კონ-ტრაბანდისტებს ამ კუნძულზე სამი დიდი ყუთი თოფის წამალი მო-უტანიათ და დაუტოვებიათ. ვინ იცის, ისინი იქნებ კიდევაც შეიპყ-რეს და დახოცეს. მე ვიპოვე ის ყუთები და კლდის ძირში, ყველაზე ღრმა ნაპრალში, ჩავმალე. თუ ვინმე გაბედავს ძალით დამატოვები-ნოს ეს კუნძული, მაშინვე პატრუქს ცეცხლს წავუკიდებ და ავა-ფეთქებ.

ტიმარი სულგანაბული უგდებდა ყურს.

— მაგრამ ახლა, — თითქმის ჩურჩულით განაგრძო ტერეზამ, — მისი სტუმრობის მიზეზი სხვა რამეც უნდა იყოს, მისმა მოულოდ-ნელად წასვლამ დამაეჭვა. მხოლოდ ფულის გამოსართმევად არ იყო დღეს ეგ ჩემთან მოსული. მაგას, მგონი, თქვენი მგზავრების ნახვა უფრო უნდოდა. გააფრთხილეთ ისინი, თუ მათ რაიმე საიდუმლო აქვთ, ფხიზლად იყვნენ!

მთვარე ჩავიდა და აღმოსავლეთი მალე წითლად შეიღება. ჭალა-ში მოლაღურის სტვენა გაისმა. ტერეზასა და ტიმარს თავზე დაათენ-დათ. კუნძულ ოსტროვადან საყვირის ხმაც შემოესმათ, ადგომის ნიშანს იძლეოდნენ. ამდროს ერთი მეზღვაური მოვიდა და ტიმარს მოახსენა, გემი მზად არის გასამგზავრებლადო. სახლიდან ეთიმ ტრიკალისი და მისი ქალიშვილიც გამოვიდნენ.

ნოემიც დილაადრიან ამდგარიყო და საუზმედ თხის რძე, ქერის ყავა და თაფლის კვერები მოემზადებინა. ტიმეამ თავისი ყავა ნარ-ცისას დაალევინა. ნოემის ეწყინა, მისი ფისუნია უცხო გოგონას ასე რომ მიეჩვია.

— ის ბატონი სადღაა, წუხელ საღამოს რომ მოვიდა? — ჰკითხა ეთიმმა ტიმარს.

— შუაღამისას წასულა.

ეთიმს ფერი ეცვალა.

დიასახლისს მადლობა გადაუხადეს და გამოეთხოვნენ. ტიმარი ყველაზე ბოლოს გავიდა. მან ტერეზას თურქული შალი აჩუქა ნო-ემისთვის. ქალმა მადლობა გადაუხადა და აღუთქვა, ნოემი აუცი-ლებლად ატარებსო.

— მე ისევ დაგბრუნდები აქ! — უთხრა ტიმარმა და ხელი ჩამო-ართვა.

ტერეზამ და ალმირამ სანაპირომდე გააცილეს სტუმრები. ნო-ემი კლდის მწვერვალზე ავიდა, ხავსით მოფენილ ქვაზე ჩამოჯდა და

დიდხანს გასცქეროდა დუნაის ტალღებში ზიმავალ ნავს. ნარცისა მუხლებზე შეახტა და მიეტმასნა.

— მომცილდი აქედან! — გაუწყრა ნოემი, --- რა გინდოდა იმ უცხო გოგონასთან? ჩემზე ლამაზი რომ არის, მიგეწონაა? სანამ აქ იყო, გვერდიდან არ სცილდებოდი, ახლა რისთვისღა მოხვედი ჩემთან? აღარ მინდიხარ! აღარ მიყვარხარ!

შემდეგ ისევ ხელში აიტაცა ფისუნია, გულში ჩაიკრა, ერთხელ კიდევ გახედა მიმავალ ნავს და ცრემლები წამოსცვივდა.

X. ალი ჩორბაჯი

მეორე დღეს მშვენიერი ამინდი იდგა. „წმინდა ბორბალა“ თავისუფლად მიაპობდა დუნაის ტალღებს და სულ ზევით, უნგრეთისაკენ მიიწევდა. მთელი დღის განმავლობაში გემზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, საღამო ხანს კი ყველამ ადრე დაიძინა, წინაღამის უძილოები იყვნენ. მარტო ტიმარს არ ეწერა მოსვენება იმ ღამეს.

გემზე სამარისებური სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ ტალღების ხმაური არღვევდა მყუდროებას. უცებ ტიმარს გვერდითი კაიუტიდან რაღაც უცნაური ხმები მოესმა. პირველად მონეტების ჩხრიალს მიამსგავსა, შემდეგ საცობის ამოძრობის ხმას, თითქოს წყალიც ჩაასხესო ჭიქაში, ბოლოს კი კარგად გაარჩია, როგორ წარმოთქვა ვიღაცამ „ო, ალლაჰ!“ მაშინვე კაკუნის ხმაც მოესმა.

— ბატონო, შემოდით ჩემთან!

ეთიმ ტრიკალისი ეძახდა. ტიმარმა სასწრაფოდ ჩაიცვა და კაიუტაში შევიდა. იქ ორი საწოლი იდგა. მათ ერთმანეთისაგან მაგიდა ჰყოფდა. ერთ საწოლს ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული, მეორეზე ეთიმი იწვა. მაგიდაზე ხის კოლოფი და ორი პატარა შუშა იდგა.

— რას მიბრძანებთ, ბატონო? — ჰკითხა ტიმარმა.

— სათხოვარი მაქვს თქვენთან.

— რა მოხდა, რით შემიძლია დაგეხმაროთ?

— არაფერია, ახლავე ყველაფერი გათავდება, ვკვდები, თავი მოვიწამლე, ღვთის გულისათვის, ხმაურს ნუ ატეხავთ, გემუდარებით მომისმინეთ! ტიმეა ჯერ არ გაიღვიძებს, ხაშხაშის ნახარში დავალევინე, ასეა საჭირო, მან არ უნდა გაიგოს, რასაც თქვენ გეტყ-

ვით. ჩემთვის ნუ შეწუხდები, უკვე აღარაფერი მიშველის, ბევრი რამ უნდა გითხრა, დრო კი ცოტა მაქვს, ეს საწამლავი სწრაფად მოქმედებს.

არა, არა, ნურც შეეცდები ჩემს შველას, აი, ხელში მიჭირავს ამ საწამლავის საწინააღმდეგო საშუალება, საკმარისია მოვინდომო და ვიცოცხლებ, მაგრამ არ მინდა! ასეა საჭირო, მე უკეთ ვიცი, ჩემი სიცოცხლე აღარ შეიძლება! ახლოს დამიჯექი და ყურადღებით მომისმინე:

— მე ალი ჩორბაჯი ვარ და არა ეთიმ ტრიკალისი, იყო დრო, როცა კანდიის მმართველი ვიყავი, შემდეგ კი სტამბოლის ხაზინადარი... ახლა თურქეთში დიდი არეულობაა, სულთანს ბევრი სიახლე შემოაქვს, ბეგები ეურჩებიან, ამბოხებებს უწყობენ. ასეთ დროს ადამიანის სიცოცხლე დიდად არ ფასობს. სულთანი თავის ერთგულ მსახურთა ხელით ხოცავს მოწინააღმდეგეებს, ისინი კი ცეცხლს უკიდებენ სულთანის მომხრეთა სახლებს. სტამბოლის მმართველის ბრძანებით ექვსასზე მეტი კაცი ჩამოახრჩეს, მმართველი საკუთარმა მონამ მოკლა სოფიის ტაძარში, შეიხის დერვიში კი გალატის ხიდზე თავს დაესხა სულთანს და სიკვდილით დაემუქრა. სულთანის მიერ შემოტანილი ყოველი სიახლის საფასურად უდანაზაულო ადამიანთა სისხლი იღვრება. ბოსფორის სრუტეში ინგლისის გემის შემოყვანამ, ორასი თურქი მეთევზის სიცოცხლე შეიწირა. სულთანი რომ ადრიანოპოლში ჩავიდა, ოცდაექვსი წარჩინებული კაცი დააპატიმრეს, ოცი მოკლეს, ექვსი კი ისე აწამეს, იძულებული გახადეს, თავისივე ხალხი დაესმინათ. ისინი დახოცეს, ეპვმიტანილებს დევნა დაუწყეს და მალე უკვალოდ გააქრეს. სულთანის პირადი მდივანი, ვაფატ ეფენდი, სირიაში გაგზავნეს, გზაში ვიღაცები თავს დაესხნენ და ხმლებით აკუწეს. ემინ ფაშამ სადილზე მიიწვია პეტრევ-ფაშა და ბოლოს, როცა შავი ყავა მიართვეს, განუცხადა, სულთანის ბრძანებით საწამლავი უნდა დალიოო. პეტრევ-ფაშას თავზარი დაეცა, მაგრამ რა უნდა ექნა? მხოლოდ ისღა ითხოვა, ნება მომეცით, ყავაში ჩემი საკუთარი სწრაფად მოქმედი საწამლავი ჩავასხაო. მართლაც ლოცვა და ალლაჰის ხსენება ძლივს მოასწრო, ისე დალია სული. ამის შემდეგ ყველა წარჩინებული თურქი ბეჭდის თვალით საწამლავს ატარებს და მზად არის ყოველ წუთში გამოიყენოს.

მე დროზე მივხვდი, რომ მალე ჩემი ჯერიც დადგებოდა. შეთქ-

მულებაში მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ ორმა გარემოებამ მაიძულა გამოვქცეულიყავი. ერთი — სიმდიდრე იყო, მეორე — ჩემი ასული. სიმდიდრე მალე საჭირო გახდებოდა სულთანის ხაზინისათვის, ჩემი მზეთუნახავი ასული კი მისივე სერალისათვის.[1] არ იფიქრო სიკვდილისა მეშინოდა, არა, მაგრამ არც იმ აზრს შემეძლო შევრიგებოდი, რომ ჩემი ტიმეა სერალში მოხვდებოდა ან სიღარიბეში ჩავარდებოდა. და აი, გადავწყვიტე მომეტყუებინა ჩემი მტრები და გამოვქცეულიყავი. მხოლოდ ამ გზით შემეძლო გადამერჩინა აურაცხელი სიმდიდრე და ჩემი ასული.

ზღვით მგზავრობა სახიფათო იქნებოდა, ადვილად შეეძლოთ დაეჭწეოდნენ გემით, ამიტომ ვიშოვე უნგრული პასპორტი ბერძენი ვაჭრის სახელზე, მოვიპარსე წვერი და გალაცამდე მივაღწიე. იქ დავიქირავე ეს გემი, ვიყიდე ხორბალი და ჩემი სიმდიდრიდან რაც კი შემეძლო, თან წამოვიღე. გემის პატრონის ვინაობა რომ გავიგე, ჩემს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, ათანაზ ბრაზოვიჩი ჩემი ნათესავია, ტიმეას დედა ბერძენი ქალი იყო, ბრაზოვიჩების ოჯახიდან. ათანაზი ბევრი რამით არის დავალებული ჩემგან და ახლა ვთხოვ, სიკეთე სიკეთითვე გადამიხადოს. ალაჰი ყოვლისშემძლე და მოწყალეა! ვერავინ გაექცევა თავის ბედისწერას!

შენს მახვილ თვალს, რა თქმა უნდა, არ გამოჰპარვია, რომ მე გამოქცეული ვიყავი, მაგრამ არ იცოდი, ბოროტმოქმედი ვიყავი თუ პოლიტიკური დამნაშავე. პირნათლად ასრულებდი მოვალეობას და შენდაუნებურად მომეხმარე გაქცევაში. რაღაც სასწაულით ადვილად გამოვიარეთ რკინის ჭიშკარში, იოლად გადავურჩით ორშოვის კარანტინს და, როცა უკვე-ვფიქრობდი, რომ ყოველგვარმა განსაცდელმა გაიარა, დავინახე კაცი, რომლის ერთი შემოხედვაც ჩემთვის სიკვდილს უდრიდა. გუშინ კუნძულზე თურქეთის ჯაშუში ეკითვალთვალებდა. ჩვენ ერთმანეთი ვიცანით, მის გარდა არავის შეეძლო ჩემი კვალისთვის მოეგნო. მე ის ხელიდან დამისხლტა და ახლა პანჩოვოში ჩემს შესახვედრად, ალბათ, უკვე ემზადებიან...

ნუ შემაწყვეტინებ, ვიცი, რაც გინდა მითხრა, შენ ფიქრობ, ჩვენ უკვე უნგრეთის მიწაწყალზე ვართ და აქაური ხელისუფალნი, როგორც პოლიტიკურ ლტოლვილს, დამიცავენ. მართალია, მაგრამ მათ შეუძლიათ ქურდობა დამწამონ. ეს ცილისწამება იქნებოდა, თან მხოლოდ საკუთარი ქონება მომაქვს. თუ სულთანს ხარკის აღე-

[1] სერალი — სასახლე თურქეთში.

ბა სურს, მის განკარგულებაშია ჩემი ოცდაშვიდი სასახლე გალატში, მაგრამ მათ ეს არ ეყოფათ, განაცხადებენ, ქურდიაო, და ხაზინიდან მთელი განძეულობა გაიტაცაო. ავსტრია ყოველთვის უბრუნდებს თურქეთს ასეთ დამნაშავეებს, მით უმეტეს, თუკი ამას მსტოვარიც დაუმოწმებს. იმ კაცმა მიცნო და ჩემი ბედიც გადაწყვეტილია.

ალი ჩორბაჯის გაყვითლებულ შუბლზე ოფლმა დაასხა, სახეზე აკვდრის ფერი დაედო.

— წყალი დამალევინე, თორემ ლაპარაკი მიჭირს, სათქმელი კი ჯერ ბევრი მაქვს. ვეღარაფერი მიშველის და ჩემი სიკვდილით მინდა ვიხსნა ჩემი ასული და მისი მემკვიდრეობა. ასე ინება ალაჰმა და მის სურვილს წინ ვერავინ აღუდგება! დაიფიცე, რაც საფიცარი გაგაჩნია, რომ შეასრულებ ჩემს ანდერძს!

პირველი თხოვნაა, ნუ დამასაფლავებ დუნაის ნაპირზე, მუსულმანი ქრისტიანული წესით არ უნდა დაიმარხოს. მეზღვაურთა ჩვეულებისამებრ ტომარაში ჩამაწვინე, თავსა და ფეხებზე ქვები მომაბი, და ჩამიშვი დუნაის ფსკერზე, იმ ადგილას, სადაც წყალი ძალიან ღრმაა. შემომფიცე, შვილო, რომ შემისრულებ!

გემი კომარომში მიიყვანე, ტიმეასაც შენ უწდა უპატრონო! აი, ამ ყუთში ათასი ოქროა, დანარჩენი ჩემი ქონება ხორბალთან ერთად ტომრებშია. აქვეა ჩემი ანდერძი, ვწერ, რომ ვკვდები დიზენტერიით, რომ ჩემი ქონება მხოლოდ ათასი ოქროა. ეს საჭიროა, იმიტომ, რომ არავინ დაეაბრალოს ჩემი მოკვლა და გაძარცვა. გასამრჯელოდ არაფერს გიტოვებ, ისე მოიქეცი, როგორც შენი გული გიკარნახებს, სიკეთისთვის კი სამაგიეროს ყოვლისშემძლე ღმერთი გადაგიხდის!

ტიმეა ათანაზ ბრაზოვიჩთან მიიყვანე და ჩემი სახელით სთხოვე, იშვილოს! მასაც ჰყავს ქალიშვილი, დაე, ტიმეა მისი და გახდეს, ეს ათასი ოქროც გადაეცი, ტიმეას მოახმაროს. სთხოვე, ხორბლის გადმოტვირთვას თვითონ დაესწროს, საუკეთესო ხორბალი მომაქვს და ტომრები არავინ შემიცვალოს. კარგად დაიმახსოვრე, ტომრები არ შემიცვალონ!

მომაკვდავმა ანთებული თვალებით შეხედა ტიმარს, ეტყობოდა, თავს ძალას ატანდა.

— იმიტომ, რომ... ჰო, რას ვამბობდი? რაღაცის თქმა მინდა, მა-

გრამ უკვე გონება მერევა. რა მეწამული ღამეა, რა წითელი მთვარეა ცაზე... ჰო, ჰო, „წითელი ნახევარმთვარე“...

ამ დროს, ფარდის იქიდან, სადაც ტიმეა იწვა, კვნესა მოისმა. ამ ხმამ რაღაც სასწაულით ისევ დაუბრუნა გონება მომაკვდავს. შეშფოთებულმა წამოიწია და აკანკალებული ხელებით სასთუმალზე რაღაცას ძებნა დაუწყო, თვალები კინაღამ ბუდიდან ამოუცვივდა.

— აჰ, კინაღამ დამავიწყდა... ტიმეი! მას ხომ დასაძინებელი წამალი მივეცი, თუ დროზე არ გააღვიძებ, საბარადისო ძილით დაიძინებს! ამ შუშაში საწამლავის საწინააღმდეგო საშუალებაა, მე რომ მოვკვდები, ეს სითხე შუბლზე მოუსვი, შემდეგ საფეთქლებზე და გულს ქვემოთ, სანამ არ გაიღვიძებს. კინაღამ ჩემი ასულიც თან წავიყვანე! არა, არა, მან უნდა იცოცხლოს! სიტყვა მომეცი, რომ ტიმეას სიცოცხლეს დაუბრუნებ!

მომაკვდავმა ტიმარის ხელი მკერდზე მიიკრა, ის უკვე სიკვდილს ეჭიდებოდა.

— რას ვამბობდი? რა უნდა მეთქვა კიდევ? დიახ, „წითელი ნახევარმთვარე“...

ღია ფანჯრიდან მეწამული ნამგალა მთვარე მოჩანდა. იგი ნელ-ნელა მოცურავდა ღრუბლებიდან და ცას ანათებდა.

— ამ მთვარეს ხომ არ მანიშნებს? ან ვინ იცის, ნამგალა მთვარემ სულ სხვა რამ გაახსენა!

— დიახ, „წითელი ნახევარმთვარე!“—ამოილუღლუღა უკანასკნელად, ტიმარი თავისკენ მიიზიდა და საშინელ ტანჯვაში დალია სული.

XI. გაცოცხლებული ძანდაკება

ფიქრებში ჩაძირული ტიმარი მარტოდმარტო დარჩა საიდუმლოს, მიცვალებულსა და მის ასულთან ერთად, რომელსაც ჯერ ისევ ეძინა. შუაღამე უკვე გადასული იყო.

„რა იქნება, რომ არ შეასრულო მიცვალებულის ანდერძი, არ ჩაუშვა იგი დუნაის ფსკერზე და არ გააღვიძო მისი ასული? — ჩასძახოდა იდუმალი ხმა ტიმარს. — მართალია, მსტოვარი უკვე მიიტანდა პანჩოვოში ალი ჩორბაჯის ამბავს, მაგრამ ისინი შეგიძლია მოატყუო, ბელგრადში ჩახვიდე და იქაურ ხელისუფალთ განუცხა-

დო საიდუმლო. კანონით შენ გეკუთვნის ლტოლვილის ქონების მესამედი, მას ისედაც პატრონი აღარა ჰყავს, მისი მემკვიდრე, თუ მოინდომებ, ვეღარასოდეს გაიღვიძებს! შეგიძლია სულ იოლად გამდიდრდე, მერე კი პასუხსაც ვეღარავინ მოგთხოვს, მდიდარი კაცი ყოველთვის მართალია!"

„არა, მიჯობს ისევ ღარიბი ვიყო!" — თავისდაუნებურად აღმოხდა ტიმარს ამ იდუმალ ფიქრთა პასუხად. ერთხანს შიშმა შეიპყრო. სარკმელში ისევ გამოჩნდა წითელი ნამგალა მთვარე, რომელმაც მას მიცვალებულის უკანასკნელი სიტყვები მოაგონა. გამოერკვა, ფარდას მიუახლოვდა და გადასწია. თვალი ვეღარ მოაშორა ულამაზეს ტიმეას, რომელიც მარმარილოსაგან გამოთლილ ქანდაკებასა ჰგავდა: ბაგეები ოდნავ გაეღო, მშვენიერი შავი თმა სასთუმალზე ჩამოშლოდა, ცალი ხელი გულზე დაედო და თითქმის შეუმჩნევლად სუნთქავდა.

ტიმარმა სწრაფად გახსნა შუშა და ელექსირი საფეთქლებზე მოუსვა. იგი მოჯადოებული შეჰყურებდა ამ სრულქმნილ სილამაზეს და ფიქრობდა:

„როგორ შემიძლია, შენ სამუდამოდ დაგაძინო? ეს გემი მთლიანად თვალმარგალიტით რომ იყოს დატვირთული და შენს შემდეგ ჩემს საკუთრებად იქცეს, მაშინაც კი არ დავუშვებდი შენს სიკვდილს! არ არსებობს ამქვეყნად ისეთი განძი, რომლის ხელში ჩაგდება შენს ერთ შემოხედვაზე მეტ ბედნიერებას მომანიჭებდა. ვერავითარი ალმასების ბრწყინვალეობას ვერ შევადარებ შენი თვალების შუქს. შენზე უფრო მშვენიერი არსება ბუნებას, ალბათ, არ შეუქმნია!"

ტიმარმა შემდეგ შუბლზე მოუსვა, მაგრამ ტიმეას სახეზე ერთი ნაკვთიც კი არ შეტოკებულა. ელექსირი ახლა გულს ქვემოთ უნდა წაესვა. მან ფრთხილად ჩამოსწია ტიმეას ხელი, რომელიც ყინულივით ცივი იყო. ამ სიცივემ და უჩვეულო სილამაზემ კიდევ ერთხელ აფიქრებინა, რომ მის წინ მარმარილოს ქანდაკება იწვა. იდუმალმა ხმამ ისევ ჩასჩურჩულა.

„შეხედე, რა ლამაზია! გინახავს, ოდესმე ასეთი მშვენიერება? ვინ გაიგებს, ახლა რომ აკოცო?"

— არა, არა, ჩემს სიცოცხლეში არაფერი მომიპარავს! ეს კოცნა ხომ ქურდობა იქნებოდა! — უპასუხა ტიმარმა იდუმალ ხმას და ტიმეას ჩამოწეული სპარსული საბანი გაუსწორა. გულს ქვემოთ ელ-

ექსირს უსვამდა და თან მის სახეს თვალს ვერ აშორებდა. ეგონა, ხატი ესვენა მის წინ, რომლისგანაც ცივი, მაგრამ ბრწყინვალე შუქი გამოკრთოდა. უცებ შეირხა შავი წამწამები და ტიმეამ თვალი გაახილა. ტიმარმა მისი თანაბარი გულისცემა იგრძნო და მაშინვე გამოიღო ხელი საბნიდან, შუშას საცობი მოხსნა და ნესტოებთან მიუტანა. ქალიშვილმა შეისუნთქა მისი მძაფრი სუნი და გონს მოვიდა.

— ტიმეა! — ოდნავ გასაგონი ხმით დაუძახა ტიმარმა.

— მამა! — უპასუხა ტიმეამ და საწოლზე წამოიწია. ის განცვიფრებული შეჰყურებდა ტიმარს, საბანი გადახდოდა და ღამის პერანგი მხრებზე ჩამოსცურებოდა. ამ წუთში ზღაპრულ ქალღმერთს მოგაგონებდათ.

— ტიმეა! — ახლა უკვე ხმამაღლა დაუძახა ტიმარმა და თან ღამის პერანგი გაუსწორა. ქალიშვილი თითქოს ვერაფერს ხედავდა.

— ტიმეა! მამათქვენი მოკვდა.

არც ამ სიტყვებმა იმოქმედა. მის სახეზე ერთი ნაკვთიც არ შერხეულა, ვერაფერს გრძნობდა და გაქვავებულივით ერთ წერტილს მიშტერებოდა.

ტიმარი უცებ გამოერკვა, გარეთ გავარდა, შავი ყავა შემოიტანა, სასწრაფოდ მოადუღა, ფინჯანში ჩაასხა და საწოლს მიუახლოვდა. თითქმის ძალით გაუღო პირი ტიმეას და დაალევინა.

შავმა ყავამ მართლაც გრძნობაზე მოიყვანა ტიმეა და ისეთი ძალით ჰკრა ხელი ტიმარს, რომ მას ფინჯანი გაუვარდა ხელიდან. შემდეგ საწოლზე დაემხო, საბანი წაიხურა და ციებიანივით აკანკალდა.

— მადლობა ღმერთს! — აღმოხდა ტიმარს, — გადარჩა! ახლა კი მიცვალებულს მივხედავ.

XII. დასაფლავება მეზღვაურთა წესით

ოკეანეში ეს სულ უბრალოდ ხდება, მიცვალებულს ტილოს ტომარაში ჩააწვენენ, ფეხებზე ქვას ან რაიმე მძიმე საგანს მოაბამენ და წყალში გადაისვრიან. ფსკერზე მას მარჯანი და წყალმცენარეები დაფარავენ. მდინარეში მიცვალებულის გადაგდება კი არც ისე იოლი საქმეა. აქ ნაპირთან ახლო-მახლო სოფლებია, ეკლესია,

მღვდელი, რომლის ვალია ქრისტიანი თავის სამუდამო სამყოფელში გააცილოს, ამიტომ მონათლული კაცის ასეთი ახირებული ანდერძის ასრულება ძალზე ძნელია, თუმცა ტიმარმა მაინც გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, შეესრულებინა ეთიმ ტრიკალისის უკანასკნელი სურვილი.

ღუზა ჯერ არც ამოეღოთ, ტიმარმა მესაჭეს ეთიმის სიკვდილი რომ შეატყობინა.

— ასეც ვიცოდი, — პირჯვარი გადაიწერა ფაბულამ, — ცქვინი რომ გემის გასწრებას შეეცდება, სიკვდილი გარდუვალია.

— ნაპირზე უნდა გავიდეთ და მღვდელს ვთხოვოთ წესისამებრ დაასაფლაოს, მიცვალებულს გემზე ხომ ვერ დავიტოვებთ.

— ვცადოთ, მალე პლესკოვაცში მივალთ.

ეს იყო მდიდარი სოფელი საკუთარი მართლმადიდებლური ორგუმბათიანი ეკლესიით. აქაური მღვდელმთავარი მაღალი, წარმოსადეგი კაცი იყო, სქელი წარბებითა და გრძელი შავი წვერით. ის კარგად იცნობდა ტიმარს, რომელსაც არაერთხელ უყიდია მის საეკლესიო მამულებზე მოყვანილი ხორბალი. ტიმარი ახლაც პირდაპირ მისკენ გაეშურა.

— ცუდ დროს მოხვედი, შვილო ჩემო, — ეზოშივე შეეგება მოძღვარი, — წელს მოსავალი არ მოგვივიდა, რაც იყო, უკვე გავყიდეთ. — და იმისიც კი არ შერცხვა, რომ მის სტუმარს ბეღელში დადგმული საცეხველას ხმა ესმოდა.

— არაფერია, მამაო, — უპასუხა ტიმარმა, — ხორბლისთვის არ მოვსულვარ, გემზე კაცი მოგვიკვდა და გვინდა წესისამებრ დაგვიმარხოთ.

— ოო, ეს არც ისე იოლია, შვილო ჩემო, ჯერ უნდა მითხრა, ალსარების თქმა თუ მოასწრო, თუ ეკურთხა, უნიის წევრი ხომ არ იყო? უამისოდ მისი დასაფლავება არ შემიძლია.

— თქვენს კითხვებზე მხოლოდ უარყოფითი პასუხი შემიძლია მოგცეთ, — უპასუხა ტიმარმა, — გემზე მღვდელი არა გვყავს და იმ უბედურს ზიარება არ მიუღია, მამაო, თუ მისთვის პანაშვიდის გადახდა შეუძლებელია, გთხოვთ ეს წერილობით დამიმოწმოთ, რომ მისი ნათესავები დავარწმუნო, რატომ ვერ დავასაფლავე ქრისტიანული წესით, რა გაეწყობა, აქვე სანაპიროზე დავმარხავთ.

მღვდელმა მაშინვე მისცა ტიმარს ცნობა იმის შესახებ, რომ უარი ეთქვა მიცვალებულის საეკლესიო წესით დასაფლავებაზე. ამ

დროს მას ადგილობრივი მცხოვრებნი შემოეხვივნენ, და როცა გაიგეს რაში იყო საქმე, საშინლად განრისხებულები წინ აღუდგნენ, ჩვენს მიწაზე რომ მღვდლის კურთხევის გარეშე მიცვალებული დამარხეს, ღმერთი გაგვირისხდება და მოსავალს გვალვითა და ყინვით მრგვისპობსო. დაემუქრნენ, თუ მის ნაპირზე ჩუმად გადმოსვენებას და ახლო-მახლო დასაფლავებას გაბედავ, საქმე ცუდად წაგივაო. ბოლოს მაინც არ ენდნენ და ოთხი კაცი გააყოლეს გემზე, რომლებსაც ერთი დღე-ღამის სავალზე უნდა გაეცილებინათ, ვიდრე მათ მიწა-წყალს არ გასცდებოდნენ. ტიმარი ჯერ უარზე იყო, მაგრამ დიდი ბჭობის შემდეგ დათანხმდა.

როგორც კი გემზე დაბრუნდნენ, მან პირველ რიგში კუბო გააკეთებინა, ჩააწვინა შიგ მიცვალებული, მაგრამ სახურავი არ დალურსმა. როგორც კი ამას მორჩა, მაშინვე ტიმეასთან შევიდა. ის ისევ უგრძნობლად იწვა და სიცხისგან იწვოდა.

„კარგია, რომ უგონოდ წევს და მამის სიკვდილი არ გაუგია", — გაიფიქრა ტიმარმა და გემბანზე გამოვიდა. საღებავი აიღო და კუბოს თავზე ეთიმ ტრიკალისი და გარდაცვალების თარიღი დააწერა. სერბიელი ახალგაზრდები ირგვლივ შემოეხვივნენ და ჩათვლით კითხვა დაიწყეს.

— აბა, ახლა შენ სცადე, სანამ მე მოვალ, — მიუბრუნდა ტიმარი ერთ-ერთ მათგანს. მან, გახარებულმა იმით, რომ საშუალება მიეცა თავისი ცოდნა გამოემჟღავნებინა, ჩამოართვა ფუნჯი და მთელი გულმოდგინებით შეუდგა წერას, მაგრამ „S"-ის ნაცვლად „X" დაწერა.

— კარგი წერა გცოდნია! — გაამხნევა ტიმარმა, — შენი სახელი?

— იოზო ბერკიჩი.

— შენც ყოჩაღი ბიჭი ჩანხარ, შენ რაღა გქვია? — მიუბრუნდა ახლა მეორეს.

— მირკო იაკშიჩი.

— თქვენი სადღეგრძელო იყოს! თითო ჭიქა სლივოვიცა დავლიოთ! მე კი მიხაი ტიმარი ვარ. ისეთი გვარი მაქვს, მინდა უნგრელად გავასაღებ თავს, მინდა თურქად, მინდა ბერძნად. უბრალოდ მიხაი დამიძახეთ.

— გაგიმარჯოს, მიხაი!

შემდეგ ისევ ტიმეასთან შევიდა, ის ისევ უგრძნობლად იწვა და

ბოდავდა. ტიმარი არ დაიბნა, მან იცოდა, რომ დუნაის ყინულივით ცივ წყალს ყოველგვარი სენის განკურნება შეეძლო. მაშინვე სველი ტილოები დაადო შუბლსა და მუხლებზე.

„წმინდა ბორბალა“ ნელ-ნელა მიიწევდა ზევით. მთელი დღის განმავლობაში სერბიელები ისე დაუმეგობრდნენ მეზღვაურებს, რომ ნიჩბების მოსმაში ეხმარებოდნენ, ისინი კი თავის მხრივ თხის მწვადებით უმასპინძლდებოდნენ. მიცვალებული ისევ გემბანზე ესვენა.

საღამოხანს, ორი ღამის უძილო ტიმარმა იფიქრა, ცოტას დავისვენებო, მესაჭეს უბრძანა სულ პირდაპირი სვლით ევლო და როცა დაღამდებოდა, ღუზა ჩაეშვა, მაგრამ არც იმ ღამეს სძინებია. ტიმეასთან შევიდა და მის სასთუმალს არ მოსცილებია, მთელი ღამე ცივ ტილოებს უცვლიდა.

შუაღამისას რაღაც ყრუ ხმები მოესმა, ლურსმნების დაჭედების მსგავსი, მერე ღუზა ჩაუშვეს. ტალღები ხმაურით ეხეთქებოდა გემს, მაგრამ მეზღვაურთა ფეხის ხმა მაინც გაიგონა. ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა, ბოლოს კი კარგად გაარჩია წყალში რაღაც მძიმე საგნის ჩავარდნის ხმა. შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა და ჩამიჩუმიც აღარ ისმოდა.

ტიმარმა მხოლოდ გამთენიისას დატოვა ტიმეას კაიუტა, როცა უკვე სიცხემ დაუკლო და მშვიდად ჩაეძინა. მიცვალებული რა იქნაო, მაშინვე ის იკითხა.

შეგვეშინდა, სადმე ნაპირზე არ დაგესაფლავებინათ, კუბრ ქვებით ამოვავსეთ და მდინარეში ჩავუშვით, ახლა ის დუნაის ფსკერზე განისვენებს და ვნების მოტანა აღარავისთვის შეუძლიაო, უპასუხეს.

— ეს რა ჩაგიდენიათ, თქვე არამზადებო? რაღა პასუხი გავცე ადგილობრივ ხელისუფალთ? ვინ იცის, მისი გაძარცვაც კი დამაბრალონ! ახლავე დამიწერეთ ცნობა, რომ ჩუმად ჩააგდეთ გვამი მდინარეში! რომელმა იცით წერა?

უარის ნიშნად ყველამ თავი გააქნია.

— როგორ, თქვენ ხომ გუშინ წარწერის გაკეთებაში მომეხმარეთ?

— ჩვენ თითო ასოს წერა ძლივს ვიცით, — უპასუხეს ერთხმად.

— რაკი ასეა, იძულებული ვიქნები პანჩოვომდე წაგიყვანოთ, იქ პირადად მოახსენებთ კომენდატს, ან, იქნებ, წერაც გაიხსენოთ!

მუქარამ გასწრა, გლეხებმა პანჩოვოში წასვლას ამჯობინეს, იქვე მიეცათ ცნობა. მიხაილ საწერ-კალამი მოუტანა და ერთმა დაწერა, რომ ღამით, როცა ყველას ეძინა, ეთიმ ტრიკალისის გვამი დუნაის ფსკერზე ჩაუშვეს იმის შიშით, რომ ნაპირზე მისი დამარხვით ღმერთის რისხვა თავს არ დასტეხოდათ. შემდეგ ხელი მოაწერინა, მათი მისამართები ჩაიწერა და ნაპირზე გადასვა.

ალი ჩორბაჯიმ კი თავისი სურვილისამებრ დუნაის ფსკერზე ჰპოვა სასუფეველი.

XIII. მარჯვე ოინი

დილით ტიმეამ შესანიშნავ ხასიათზე გამოიღვიძა და ავადმყოფობა აღარც კი ახსოვდა. ჩაიცვა, გარეთ გამოვიდა და, მამამისი რომ ვერსად დაინახა, ტიმარს ჰკითხა, სად არისო?

— გუშინ ღამით გარდაიცვალა.

ტიმეა უცებ ვერ მიხვდა, რა უთხრეს და გაოცებულმა შეხედა, მერე გაფითრდა.

— სად არის ახლა?

— დუნაის ფსკერზე.

ტიმეა გემბანის მოაჯირს დაეყრდნო და წყალს გადახედა, ვერც სიტყვის თქმას ახერხებდა, ვერც ტირილს, უაზროდ მისჩერებოდა ტალღებს.

—უგონოდ რომ იწექით, მამათქვენმა მოულოდნელად დალია სული. სიკვდილის წინ დამიძახა და მთხოვა მთელი მისი ქონება თქვენთვის გადმომეცა. მისივე სურვილით ერთ მის საუკეთესო მეგობართან უნდა მიგიყვანოთ, ნათესავადაც გეკუთვნით თურმე დედის მხრიდან. იგი შვილივით მიგიღებთ და მფარველობას არ მოგაკლებთ, მასაც ჰყავს თქვენზე ცოტა უფროსი ქალიშვილი, მის და გახდებით. საკმაოდ მდიდარი ხართ, რაც ამ გემზეა, სულ თქვენ გეკუთვნით, მამათქვენმა ყოველი ღონე იხმარა, რომ ბედნიერი ყოფილიყავით და ღირსია მუდამ მადლიერების გრძნობით გაიხსენოთ.

თავისთვის კი გაიფიქრა: „მამაშენმა საკუთარი სიცოცხლე გასწირა, რომ შენ გეცოცხლა და თავისუფალი ყოფილიყავიო!“ თან გაოცებული შეჰყურებდა ტიმეას, რომელიც გაქვავებულივით იდგა და ხმას არ იღებდა. „იქნებ, ჩემი თანდასწრებით ერიდება გრძნო-

ბების გამომჟღავნებაო" გაიფიქრა და გასცილდა, მაგრამ გოგონას მაოტოდ დარჩენილსაც ერთი ცრემლი არ გადმოვარდნია თვალთაგან.

„საოცარი არსებაა! — ფიქრობდა ტიმარი, — თეთრი ფისუნია რომ დაიხრჩო, იმდენი იტირა, ძლივს დავამშვიდეთ, ახლა კი საკუთარი მამის სიკვდილმა სულ არ იმოქმედა, ან ვინ იცის, იქნებ, დიდმა მწუხარებამ ტირილის უნარიც კი წაართვა და ასე უაზროდ წყალს იმიტომ მისჩერებია. ასეც ხდება... "

მაგრამ ამ დროს ტიმარს სხვა უფრო მნიშვნელოვანმა ამბებმა შეაწყვეტინა ფიქრი. ჩრდილო-დასავლეთით, პანჩოვოს მხრიდან, მან გემისკენ მომავალი კანჯო დაინახა, რომელზეც იმპერატორის ალამი იყო აღმართული. როგორც კი კანჯო გემს მოუახლოვდა, კიბე მოადგეს და რვა შეიარაღებული ჯარისკაცი კაპიტნის მეთაურობით გემბანზე ამოვიდა.

— თქვენა ხართ, გემის უფროსი? — ჰკითხა ტიმარს მოახლოვებულმა კაპიტანმა.

— დიახ, ბატონო!

— თქვენს გემზე, თურქეთის ქვეშევრდომი, სტამბულიდან გამოქცეული ხაზინადარი იმყოფება ეთიმ ტრიკალისის სახელით, რომელმაც დიდძალი განძი მოიპარა და გამოიტაცა.

— დიახ, ნამდვილად გახლდათ ბერძენი ვაჭარი ეთიმ ტრიკალისი, მაგრამ მას განძეულობა კი არა, ხორბლით სავსე ტომრები მოაქვს, რაზედაც შემიძლია წარმოგიდგინოთ ორშოვის საბაჟოს მოხელეთა მიერ შემოწმების შედეგად შედგენილი საბუთი, აი, ინებეთ! თურქ ლტოლვილზე კი არაფერი ვიცი.

— სად არის ის კაცი?

— ბერძენი თუ იყო, ახლა წმინდა აბრამთან იქნება, ხოლო თუ თურქი იყო, როგორც თქვენ ბრძანებთ, მაშინ — მუჰამედთან.

— ამით გინდათ თქვათ, რომ ის მოკვდა?

— დიახ, ბატონო! შეგიძლიათ გასინჯოთ თვით ეთიმ ტრიკალისის ანდერძი, რომელშიც წერია, რომ ის ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, ავადმყოფობისგან.

კაპიტანმა კითხვა დაიწყო, თან ცალი თვალით ტიმეას უყურებდა, რომელიც ისევ ისე გაუნძრევლად იჯდა და მათი ლაპარაკისა არაფერი ესმოდა.

— მეზღვაურებსა და მესაჭეს შეუძლიათ დამიმოწმონ ეთიმ ტრიკალისის სიკვდილი.

— თუ მოკვდა, რა გაეწყობა! მითხარით ოღონდ, სად დამარხეთ მიცვალებული? ჩვენ ვნახავთ მას და სიკვდილის მიზეზსაც დავადგენთ, თანაც თან გვახლავს ერთი კაცი, რომელიც მას პირადად იცნობდა და ამტკიცებს, რომ ეთიმ ტრიკალისი და ალი ჩორბაჯი ერთი და იგივე პიროვნებაა, თუ ეს ასეა, კონფისკაციას გავუკეთებთ მის ქონებას. გვითხარით, სად არის მისი საფლავი?

— დუნაის ფსკერზე.

— შეგირჩევიათ თქვენც ადგილი! სხვა ვერაფერი მოიფიქრეთ?

— დამშვიდდით, კაპიტანო! აი, ინებეთ, პლესკოვაცის მღვდელმთავრის მიერ დაწერილი ცნობა, სადაც წერია, რომ მან ნება არ დაგვრთო ეთიმ ტრიკალისის ქრისტიანული წესით დასაფლავებისა და, გლეხების მოთხოვნით, მისი ნაპირზე გადმოსვენებაც კი აგვიკრძალა.

კაპიტანმა სიბრაზისაგან ხმლის სახელურს მოუჭირა ხელი და კინაღამ მოამტვრია.

— ეშმაკსაც წაუღიხართ! ამ მღვდლებისგან ხომ უსიამოვნების მეტს ვერაფერს გადაეყრები! ის მაინც გახსოვთ, რა ადგილას ჩაუშვით მიცვალებული წყალში?

— ახლავე აგიხსნით, პლესკოვაციდან გლეხებმა ოთხი კაცი გამომაყოლეს გემზე, რომ ჩუმად მათ მიწა-წყალზე არ დამესაფლავებინა მიცვალებული. ღამით, როცა ყველას გვეძინა, მათ ჩემს დაუკითხავად ჩაუგდიათ კუბო მდინარეში, რაზედაც მაქვს მათი წერილობითი მოწმობა. დამნაშავეებს თუ მოძებნით, შეგიძლიათ სასტიკად დასაჯოთ.

კაპიტანმა ესეც წაიკითხა და განრისხებულმა უკან დაუბრუნა.

— შესანიშნავია, კაცი ვერ შეგედავებათ! მღვდელმა არ დაგასაფლავებინათ მიცვალებული წესისამებრ, გლეხებმა ცხედარი მდინარეში ჩააგდეს და მოგცეს ცნობა, რომელშიც გამოგონილი გვარები და არარსებული სოფლის სახელი ჩაწერეს! ეს წყეული თურქი ახლა დუნაის ფსკერზე განისვენებს, სადღაც პანჩოვოსა და სენდროს შორის, მე კი თავი უნდა ვიმტვრიო და ვიპოვო როგორმე ეს ვიღაც კარაკასალოვიჩი. თუ ვერ დავადგინე, რომ გამოქცეული და მიცვალებული ერთი და იგივე პიროვნებაა, უფლება არა მაქვს ტვირთი ჩამოგართვათ. ვერაფერს გეტყვით, კარგად კი გამაცურეთ,

ბატონო გემის უფროსო! თქვენს საბუთებს, რომ იტყვიან, წყალი არ გაუვა! ახლა რომ მოგთხოვოთ მოწმობა ამ გოგონას ნათლობის შესახებ, იმედია, იმასაც წარმომიდგენთ!

— თუკი მიბრძანებთ, ახლავე!

ეს საბუთი კი ტიმარს ნამდვილად არ ჰქონდა, მაგრამ ისეთი მიამიტური დამაჯერებლობით უპასუხა, რომ კაპიტანმა ვეღარაფერი უთხრა, გაიცინა და მხარზე ხელი მოუთათუნა.

— ოქროკაცი ყოფილხართ, ბატონო! თქვენი გამჭრიახი გონებისა და სიმარჯვის წყალობით იხსენით ამ გოგონას მემკვიდრეობა! ბისი მამის გარეშე მას ვერც დავაპატიმრებ და ვერც ქონებას ჩამოვართმევთ! შეგიძლიათ თავისუფლად განაგრძოთ გზა, თქვენი გონიერება ფასდაუდებელია, ნამდვილი ოქროკაცი ხართ!

ამ სიტყვებით კაპიტანმა გემბანი დასტოვა, ჩაჯდა კანჯოში თავის მხლებლებთან ერთად და ერთხელ კიდევ მოხედა ტიმარს, თითქოს უნდა მისი სახე სამუდამოდ დაიმახსოვროსო.

ტიმარიც იდგა გაუნძრევლად და კანჯოს გაჰყურებდა.

„წმინდა ბორბალა“ მისი წყალობით კიდევ ერთ დიდ განსაცდელს გადაურჩა.

XIV. „წმინდა ბორბალას“ დაღუპვა

„წმინდა ბორბალას“ ახლა უკვე ვეღარაფერი დააბრკოლებდა და ტიმარის ერთადერთი საზრუნავი სანაპიროზე ცხენების გამყოლთა თვალყურის დევნებაღა იყო.

გემით მგზავრობა უნგრეთის დაბლობზე მოსაწყენია. აქ თვალს აღარ ატკბობს ციცაბო კლდეები და ჩანჩქერები, ძველისძველ ციხესიმაგრეთა ნანგრევები, თავისი ლეგენდებითა და ათასგვარი საინტერესო გადმოცემებით. ორივე ნაპირს მხოლოდ ტირიფებისა და ჩინარის ხეები გასდევს. რაღა უნდა ეამბნა ახლა ტიმარს ტიმეასათვის?

ქალიშვილი ზოგჯერ მთელი დღეები არ გამოდიოდა კაიუტიდან ჭამაც კი აღარ ახსოვდა.

ოქტომბერი იწურებოდა, მზიანი, ნათელი დღეები ავდარმა შეცვალა, ღამეები გაგრძელდა. ტიმეა ისევ მარტოობაში ათენ-აღამებდა, ხანდახან მისი ამოოხვრაღა ესმოდა ტიმარს.

— როგორ შეცვალა მამის სიკვდილმა? სულ გაყინა მისი გული და რამდენი სითბოა ახლა საჭირო მის გასათბობად? თუმცა, ვერ გამიგია, რატომ ვფიქრობ მასზე? — შეეკითხა ბოლოს ტიმარი საკუთარ თავს: — ასე ლამაზიც რომ არ იყოს, მდიდარია, მე კი ღარიბი, რად უნდივარ? აი, პირიქით რომ იყოს, მე მდიდარი და ის ღარიბი, მაშინ შეიძლებოდა, ახლა კი... ნეტავ რისთვის ვიღლი თავს ამ მდიდარ მზეთუნახავზე ფიქრითა და ოცნებით?

„ტიმეა არც ისე მდიდარია!“ — გაუელვა უცებ ტიმარს, — მამამ მას ათასი ოქრო დაუტოვა, ხორბალიც ასე ათი ათასი ოქრო ეღირება, შეიძლება, ძვირფასი ნივთებიც ჰქონდეს, პატარა ქალაქებში არც ისე ბევრ საპატარძლოს ექნება ამაზე მეტი მზითევი.

ერთმა გარემოებამ კი ღრმად ჩააფიქრა ტიმარი და ვერაფრით ვერ აიხსნა, მიუხედავად თავისი მახვილგონიერებისა.

თუკი ალი ჩორბაჯის თურქეთიდან მხოლოდ თერთმეტი ათასი ოქროს გადმოტანა უნდოდა, საიდანაც ათი ათასი ხორბალში დაბანდა, ეს ხომ სულ სამოცი გირვანქა გამოვიდოდა და სამგზავრო ჩანთითაც შეეძლო წამოეღოო. საოცარია, რისთვის დასჭირდა ამ ასობით ტომარა ხორბლის შეძენა, გემის დაქირავება და ამის გამო თვენახევრის დაკარგვა გზაში დუნაიზე? თანაც. ქარიშხალთან და ათასგვარ განსაცდელთან შებრძოლება! მას ხომ შეეძლო ამ ოქროთი თავისუფლად გადაეცურა დუნაი და ორი კვირის შემდეგ უკვე უნგრეთში ყოფილიყო?

ამის პასუხს ტიმარი ვერა და ვერ პოულობდა. ამასთან მეორე გამოცანა იყო დაკავშირებული.

თუ ალი ჩორბაჯის მთელი ქონება (საკუთარი თუ გატაცებული) მხოლოდ და მხოლოდ თერთმეტ-თორმეტ ათას ოქროს შეადგენდა რისთვისღა მოაწყო თურქეთის მთავრობამ ეს გამწარებული დევნა? რა აზრი ჰქონდა მის შესაპყრობად ოცდაოთხნიჩბიანი სამხედრო გალერისა და ჯაშუშების დადევნებას? ეს თანხა ჩემისთანა ღარიბისთვის არის დიდი ფული, თორემ თურქეთის სულთნისთვის ხომ რაღაც გროშებია. ეს ქონება თუნდაც ჩამოერთმიათ ალი ჩორბაჯისთვის, იმ ხარჯების გასტუმრების შემდეგ, რაც ეს დევნა დაუჯდათ. ერთი მოწევა ბურნუთი ძლივს მოუვიდოდა სულთანს, განა ღირდა ამისთვის თავის შეწუხება? ან, იქნებ, ტიმეას ხელში ჩაგდება უნდოდათ?

მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ეს მხოლოდ გულმა უკარნახა და მთავარი მაინც სხვა უნდა ყოფილიყო.

მოსაღამოვდა, ქარმა ღრუბლები გაფანტა და ახალი მთვარე გამოჩნდა.

„წითელი ნახევარმთვარე“.

მეწამული ნამგალა მთვარე თითქოს დუნაის ტალღებს ეხებოდა. ტიმარს მოეჩვენა, რომ მთვარეს ადამიანის სახე მიეღო და რაღაცას ანიშნებდა, მაგრამ ვერაფერი გაიგო. მთვარე ნელ-ნელა ჩაეშვა ძდინარეში და მისი შუქის ანარეკლი წყლის ზედაპირზე თვალისმომჭრელად აციმციმდა, თითქოს უნდოდა გემი მოტყუებით თან წარეტაცნა. მთვარემ ცალი თვალით ერთი კიდევ გამოჰხედა ტიმარს ეშმაკურად, თითქოს ეუბნებოდა, ხვალამდე მოითმინე და შენი საიდუმლოს ამოცნობაში მოგეხმარებიო.

მესაჭემ გადაწყვიტა, სანამ არ დაბნელდებოდა, ღუზა არ ჩაეშვა, კომარომი ხომ შორს აღარ იყო, ახლა ისინი ალმაშონთან მიცურავდნენ. ამ ადგილებს ფაბულა საკუთარი ხელისგულივით იცნობდა და თვალდახუჭულს შეეძლო გავლა. მისი აზრით, გემს არავითარი საფრთხე აღარ ელოდა, მაგრამ უცებ წყალქვეშ რაღაცას ძლიერად დაეჯახა და მტვრევის ყრუ ხმაც შემოესმა.

თავზარდაცემულმა მესაჭემ სანაპიროზე ცხენების გამყოლებს ისეთი საშინელი ხმით დაუყვირა, გაჩერდითო, რომ ტიმარს მკვდრისფერი დაედო და მთელი ამ ხნის მანძილზე პირველად დაკარგა იმედი.

— დავიღუპეთ! ფსკერი რაღაცამ გახვრიტა! — მესაჭემ ხელები თავში იტაცა და ტიმარის კაიუტას მივარდა.

— დავიღუპეთ!

ამას უკვე ვეღარაფერს უშველიდნენ. ადიდებულ დუნაის უზარმაზარი ხეები მოჰქონდა. ისინი ფსკერზე რაღაცას წამოედებოდნენ და შუა გზაში გახიდულნი აქ მომავალ გემებს ფსკერს უხვრეტავდნენ.

მესაჭეს შეუძლია თავისი გამოცდილების, სიმარჯვისა და გამბედაობის წყალობით გემი ხიფათს ააცილოს კლდეებს შორის მეჩეჩებსა და რიფებზე გამოვლისას, აქ კი ვერავითარი ძალა ვეღარ გადაარჩენს. დუნაიზე გემები ძირითადად ამით იღუპებიან.

—ვიძირებით! ვიძირებით! — იყვირეს მეზღვაურებმაც, თავი ზიანებეს ნიჩბებს და ტრიუმში ჩაცვივდნენ თავიანთი ბარგი ბარხა-

ნის გადასარჩენად, რაც კი ებადათ, სასწრაფოდ ვამოიტანეს და კანჯოში ვადასხდნენ. გემის ვადარჩენაზე ვიქრიც ზედმეტი იყო. ის უკვე ანივად შემობრუნდა და წინა სწილით ნელ-ნელა ჩაძირვა დაიწყო. სანამ ხორბლის ტომრებს გადმოტვირთავდნენ და გემს შეაკეთებდნენ, უკვე დუნაის ფსკერზე ალმოჩნდებოდნენ.

ტიმარი ტიმეას კაიუტაში შევარდა.

— სასწრაფოდ ჩაიცვით, აიღეთ თქვენი ნივთები და კანჯოში გადაჯექით! ვიძირებით!

ბაგრამ სანამ ტიმეა გონს მოვიდოდა, თბილი წამოსასხამი შემოახვია, მესაჭესთან მიიყვანა, სთხოვა ყურადღება მიაქციეო და თვითონ თავისი კაიუტისაკენ გაიქცა გემის სალაროს გადასარჩენად, სადაც ყოველგვარი საბუთები ინახებოდა.

იანოშ ფაბულამ, იმის მაგიერ რომ ტიმეას კანჯოში ჩაჯდომაში მოხმარებოდა, გაბრაზებულმა ჩხუბი დაიწყო:

— ხომ ვამბობდი, ეს ქალბატონი რაიმე უბედურებას გადაგვყარის-მეთქი, კარგი იქნებოდა წყალში გადაგვეგდო!

ტიმეამ მისი სიტყვები ვერ გაიგო, ბაგრამ მისმა ჩასისხლიანებულმა თვალებმა შეაშინა და ისევ თავის კაიუტაში შევარდა. იქ საწოლზე ერთ კუთხეში მიიყუჟა და ყურება დაუწყო წყალს, რომელიც თანდათან მაღლა იწევდა და სადაც იყო მასაც მისწვდებოდა. ისიც კი გაიფიქრა, წყალი თან წამიღებს, მამასთან მიმიყვანს და ისევ ერთად ვიქნებითო.

ტიმარმა ძლივს გამოათრია სალაროსთან ერთად ყველა საჭირო ნივთი და კანჯოში ტიმეას რომ ვერ მოჰკრა თვალი, იკითხა, რა იქნაო.

— ეშმაკსაც წაუღია ეგ ჯადოქარი! — ჩაიბურდღუნა მესაჭემ.

ტიმარი ისევ ტიმეას კაიუტისკენ გაიქცა. წყალი უკვე წელამდე სწვდებოდა, ხელში აიყვანა გოგონა და ჰკითხა, ნივთებიანი ყუთი რა უყავითო?

აქა მაქვსო, უპასუხა ტიმეამ.

ტიმარმა ძლივს მიაღწია კანჯომდე, ტიმეა სკამზე დასვა და ახლალა მიხედა „წმინდა ბორბალას“, რომელიც დუნაის ფსკერისკენ მიექანებოდა. რამდენიმე წუთში წყალმა მთლიანად შთანთქა გემი და ანძაღა მოჩანდა.

— ნაპირისაკენ! — უბრძანა ტიმარმა მენიჩბეებს და ტიმეას კიდევ ერთხელ ჰკითხა, ყუთი ხომ თანა გაქვთო?

— აი, აქა მაქვს, — უპასუხა ტიმეამ და თურქული ალვახაზის კოლოფი გაუწოდა.

— ეს კი არა, მეორე!

ტიმეას რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში თავისი ახალი დისთვის საჩუქრად წამოღებული ალვახაზი გადაერჩინა და მეორე კოლოფი, რომელშიც მთელი მისი ქონება იყო, კაიუტაში დაეტოვებინა.

—მოაბრუნეთ ნავი უკან! — დაუყვირა ტიმარმა მესაჭეს.

— შენ თუ გგონია, ვინმე ჩავა ახლა წყალში!

— მოაბრუნე სწრაფად! აქ მე ვარ უფროსი!

კანჯო ჩაძირული გემისკენ დაიძრა. როგორც კი მიუახლოვდნენ, ტიმარი კიჩოზე გადახტა და კაიუტისკენ წავიდა. ტიმეა თვალს არ აშორებდა და წყალში რომ ჩაიმალა, უიმედოდ გაიფიქრა, „ამანაც მიმატოვაო". ტიმარმა გემბანის სახელურს ჩაავლო ხელი და ცოცვით მიაღწია კაიუტას. გემი უკვე დაყირავებულიყო წყალში და ერთ პატარა შეცდომას შეეძლო თან ჩაეტანა. ბედზე კაიუტის კარი ღია დახვდა, წყალი უკვე ჭერამდე ასულიყო, სიბნელეში ხელებს აქეთ-იქით აცეცებდა, ყუთი ერთ კუთხეში იპოვა, სწრაფად დასტაცა ხელი. იღლიაში ამოიდო და უკან გამოსცურა.

ის წამები, ტიმარმა წყალში რომ გაატარა, მთელ საუკუნედ ეჩვენა ტიმეას. მან სუნთქვა შეიკრა და ცდილობდა გაეგო, რამდენ ხანს გაძლებდა ადამიანი წყალქვეშ ამოუსუნთქავად. მხოლოდ მაშინღა ამოისუნთქა, ტიმარი რომ გამოჩნდა, ხოლო როცა მან გადარჩენილი ოქროთი სავსე ყუთი გაუწოდა, სახე გაუნათდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად გაუღიმა. მაგრამ რა თქმა უნდა, ოქროები არ იყო ახლა მთავარი.

— ბატონო ტიმარ, თქვენ უკვე სამჯერ ჩაიგდეთ საფრთხეში სიცოცხლე ამ მარმარილოსაგან გამოთლილი ჯადოქრისთვის! — აღტაცება ვეღარ დამალა ფაბულამ.

რა თქვაო, ჩუმად ჰკითხა ტიმეამ.

მიხაილ გადაუთარგმნა.

ეს რომ გაიგო, ტიმეა თვალს აღარ აშორებდა ტიმარს და ჩურჩულით იმეორებდა თავისთვის „სამჯერ".

კანჯო ალმაშონისკენ მიცურავდა. უკვე საღამოს ბინდი ჩამოწვა და „წმინდა ბორბალას" ანძის შავი სილუეტი ძლივსღა მოჩანდა მდინარის ზედაპირზე. შორიდან იგი ხან ძახილის, ხან კი ამოუცნობელი საიდუმლოებით მოცულ კითხვით ნიშანს ემსგავსებოდა...

მეორე ნაწილი

ტიმეა

1. მამოგილი

„წმინდა ბორბალა“ საღამოს ექვს საათზე დაიღუპა, საათნახევრის შემდეგ კი ტიმარი და ტიმეა უკვე კომარომში იყვნენ. ტიმარმა ოთხცხენიანი ეტლი დაიქირავა და ბრაზოვიჩის სახლისკენ გასწიეს. რამდენიმე წუთში მივიდნენ. ტიმარი ეტლიდან გადმოსვლაში მიეხმარა ტიმეას, ოქროთი სავსე ყუთი წამოსასხამის ქვეშ დაიჭირა და სადარბაზო შესასვლელში შეიყვანა.

ეს იყო ცნობილი ვაჭრის, ათანაზ ბრაზოვიჩის ორსართულიანი სასახლე რაცის ქუჩაზე, რაც იმ დროს დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. გასული საუკუნის მიწისძვრის შემდეგ ყველა ერთსართულიან სახლებს აშენებდა.

პირველ სართულზე დიდი ყავახანა ჰქონდა, რომელიც მუდამ ხალხით იყო სავსე, მეორე სართული კი მთლიანად მის ოჯახს ეჭირა. სახლს ორი სადარბაზო შესასვლელი და ერთი უკანა კიბე ჰქონდა, რომელიც სამზარეულოზე გადიოდა.

ტიმარმა იცოდა, რომ ოჯახის უფროსი ამ დროს შინ არ დახვდებოდა და ტიმეა მარჯვენა სადარბაზოთი აიყვანა, რომელიც ქალბატონების მდიდრულად მორთულ ოთახებში ადიოდა. შესასვლელში ლაქია იჯდა. ტიმარმა სთხოვა მას ყავახანაში ჩასულიყო და „ბატონისთვის“ მისი მოსვლა მოეხსენებინა.

იმ დროს კომარომში მდიდარ ვაჭრებსა და ცნობილ პირებს, რომელთაც რაიმე წოდება არ გააჩნდათ, ასე იხსენიებდნენ. თვითონ კი ტიმეა მისაღებ ოთახში შეიყვანა.

უნდა ითქვას, რომ ტიმარი, განსაკუთრებით უკანასკნელ დღეს გადატანილი ამბების შემდეგ, ამ ფუფუნებისა და სიმდიდრის სამეფოს შესაფერისად არ იყო ჩაცმული, მაგრამ ამ ოჯახისთვის უცხო არ გახლდათ და ყოველთვის და ყოველნაირი ტანსაცმლით შეეძლო მისვლა. მას, რაკი მათ ემსახურებოდა, მაინცდამაინც თავიანთ სწორად არ თვლიდნენ, რომ მისი ჩაცმულობისთვის ანგარიში გაეწიათ.

ოჯახის დიასახლისს ერთი ახირებული ჩვევა ჰქონდა, სადარბაზოს კარის გაღების ხმას რომ გაიგებდა, აუცილებლად გამოიხედავდა თავისი ოთახიდან, რომ მოსამსახურის შემოსვლამდე გაეგო, ვინ მოდიოდა. ქალბატონ ზოფიას ეს ჩვევა ახალგაზრდობიდან მოსდევდა, მოახლედ რომ იყო. (მაპატიოს მკითხველმა, ეს საიდუმლო რომ გავეცი).

ბატონმა ათანასმა ახალგაზრდული გატაცების გამო საკმაოდ დაბალი წრის ქალი შეირთო ცოლად. ქალბატონი ზოფია ვერა და ვერ გადაეჩვია მოახლეობის დროინდელ ჩვევებს, და ახლაც, უკვე ბრწყინვალე ქალბატონს კაბა ყოველთვის ისე ჰქონდა შეკერილი, ნათხოვანი გეგონებოდათ, თმა მუდამ შუბლზე ჰქონდა ჩამოწეწილი და სამეჯლისოდ გამოწყობილიც რომ ყოფილიყო, აუცილებლად რაიმე ისეთ სამკაულს გაიკეთებდა, სულ რომ არ უხდებოდა მის მორთულობას. ასე გასინჯეთ, ზოგჯერ სტუმრებთან საშინაო ფოსტლებითაც კი გამოდიოდა. ახალი ჭორების დიდი მოყვარული გახლდათ და საზოგადოებაში თავის დაჭერით მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიდა. საუბრისას ათასნაირ უცხო სიტყვებს ხმარობდა და თანაც ისე უადგილოდ, რომ სტუმრები ყოველგვარი მორიდების გარეშე სიცილით იხოცებოდნენ. ქალბატონ ზოფიას კიდევ ერთი უცნაურობა სჭირდა, მშვიდი საუბარი არ შეეძლო, მისი პირის გაღება და წივილ-კივილის ატეხა ერთი იყო. ახლაც, შემოსული ტიმარი რომ დაინახა, ენად გაიკრიფა:

— აა, ეს თქვენა ხართ, მიხაი? ეს მზეთუნახავი ვინღაა? ამ ყუთში რა გაქვთ? მობრძანდით, მობრძანდით! გამოდი, ატალია, გამოდი! ტიმარი მოვიდა! ნახე, ვინ მოიყვანა!

მიხაიმ ტიმეას გზა დაუთმო, მერე თვითონ შევიდა და იქ მყოფთ თავაზიანად მიესალმა.

ტიმეა შემკრთალი ათვალიერებდა მისთვის ახალსა და უცხო გარემოს.

ოთახში დიასახლისის გარდა მისი ქალიშვილი და ახალგაზრდა მამაკაცი იყვნენ.

ქალიშვილი ლამაზი იყო. მშვენიერი, აშოლტილ ტანზე მჭიდროდ შემოტმასნული კორსაჟი მის მაღალ მკერდს კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდიდა. საუცხოოდ დავარცხნილი თმა, შეუდარებელი თვალწარბი, ოდნავ ამობურცული, ალუბლისფერი ტუჩები, თხელი ცხვირი, მარგალიტის მძივებივით ასხმული კბილები და ვარდისფრად

აყვავებული ლოყები გასლდათ მშვენება მისი მომჯადოებელი სახისა, რომელსაც გულგრილად ვერ შეხედავდით. ასეთი იყო ატალია. მედიდური გამოხედვა კი მის განუმეორებელ სილამაზეს კიდევ, უფრო ამაღლებდა და მიუწვდომელს ხდიდა.

ახალგაზრდა ოფიცერი ასე ოცდაათი წლისა იქნებოდა. მხიარული, ნათელი სახე და შავი, მოელვარე თვალები ჰქონდა, რომლებშიც ჩუმი, შინაგანი ცეცხლი იგრძნობოდა. მაშინდელი წესისამებრ, სუფთად გაპარსული სახე ჰქონდა, ლოყებზე ნახევარმთვარის მსგავსად დაყენებული ქილვაშებით. ვარდისფერი ხავერდის საყელოიანი და ასეთივე მანჟეტებით დამშვენებული ლურჯი მუნდირი ეცვა. ასეთი იყო სამხედრო ინჟინერ-ოფიცრების ფორმა.

საფორტიფიკაციო და საინტენდანტო სამსახურის უფროს ლეიტენანტს, ბატონ კაჩუკას ტიმარი კარგად იცნობდა. საოცარი შეთავსებაა, მაგრამ რას იზამთ. ასეთი იყო მაშინ სამხედრო სამსახური.

ახალგაზრდა ოფიცერი თავისი საყვარელი საქმიანობით, მშვენიერი ატალიას პორტრეტის ხატვით იყო გართული. ერთი უკვე დაემთავრებინა და ახლა მეორეზე მუშაობდა.

ყველას ყურადღება ტიმეამ მიიქცია. ამ თეთრ-ყირმიზა სახის მზეთუნახავის გამოჩენამ მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. იფიქრებდით, მასთან ერთად თვით სისპეტაკე და კეთილშობილება შემოვიდაო. მისი სილამაზით. გაოცებულმა ბატონმა კაჩუკამ ხელი ვეღარ დაიმორჩილა და უადგილო ადგილას სქელი ალისფერი ხაზი გაუსვა პორტრეტს, რომლის ამოშლაზეც შემდეგ ბევრი იწვალა. ყველა, ვინც კი იქ იმყოფებოდა. თვით ამაყი ატალიაც კი, ამ უცნობი მზეთუნახავის შემოსვლისას, უნებლიეთ ფეხზე წამოდგა და ერთმა აზრმა გაუელვა, ნეტავ, ეს არაჩვეულებრივი სილამაზის მქონე გოგონა ვინ არისო?

ტიმარმა რაღაც უთხრა ტიმეას ბერძნულად, ისიც მაშინვე დიასახლისთან მივიდა და ხელზე აკოცა. ქალბატონმა ზოფიამ გადაკოცნა. ტიმარმა კიდევ ჩასჩურჩულა და ტიმეა ახლა ატალიას მიუახლოვდა, მაგრამ შეხედა მხოლოდ და შედგა, ვერ გადაეწყვიტა, გადახვეოდა თავის ახალ დას თუ თავი შეეკავებინა. ატალიამ კიდევ უფრო მაღლა ასწია თავი და მედიდურად დაუწყო ყურება. ბოლოს ტიმეა დაიხარა და ხელზე აკოცა. ატალია არ ჩქარობდა ხელის გამორთმევას და თან თვალს არ აშორებდა ახალგაზრდა ოფიცერს, რომელსაც ყველაფერი დავიწყებოდა ამ ქვეყნად და მხოლოდ ტიმეას

ცქერით ტკბებოდა. მან კი უდიდესი სიმშვიდით გაუძლო ამდენი თვალის გამოცდელ მზერას და ძარღვიც არ შესტოკებია სახეზე.

ტიმარმა აღარ იცოდა რა ექნა, როგორ წარედგინა ტიმეა მათთვის და როგორ ემცნო მისი ამბავი უცხო კაცის თანდასწრებით.

ბატონმა ბრაზოვიჩმა იხსნა იგი ამ უხერხულობისაგან. იგი ერთი აურზაურითა და ყვირილით შემოვარდა ოთახში. ის-ის იყო მას ყავახანაში წაეკითხა „Allgemeine Zeitung"-ის ახალი ნომერი, რომელშიც იტყობინებოდნენ, რომ თურქეთის ფაშა და ხაზინადარი ალი ჩორბაჯი ასულთან ერთად გამოიქცა „წმინდა ბორბალათი", მოატყუა თურქი მდევრები და უნგრეთში ჩავიდაო.

„წმინდა ბორბალათი", ჩემი გემით! ალი ჩორბაჯი, ჩემი საუკეთესო მეგობარი და შორეული ნათესავიც მისი განსვენებული მეუღლის მხრიდან!

და როცა მსახურმა მოახსენა, ბატონი ტიმარი მოვიდა ვიღაც უცნობ მზეთუნახავთან ერთად დიდი ყუთითო, მან სკამი მოისროლა სიხარულით, იყვირა მართალი ყოფილაო, და თავქუდმოგლეჯილი გამოიქცა შინისკენ.

ბატონი ბრაზოვიჩი ძალზე მსუქანი, საოცრად დიდმუცლიანი კაცი გახლდათ. სახეზე სპილენძისფერი გადაჰკრავდა. როცა გაბრაზდებოდა, სულ გალურჯდებოდა ხოლმე. გრძელი, დაუგვარცხნელი ულვაშები მუდამ თუთუნისა და მაგარი სასმელების სურნელებით ჰქონდა გაჟღენთილი. ჩაწითლებული, გადმოკარკლული თვალების ზემოთ კი ბანჯგვლიანი, საოცრად ხშირი წარბები ჰქონდა. (იმის წარმოდგენაც კი ძნელია, რომ მშვენიერ ატალიას სიბერეში შეეძლება ასეთი თვალები ჰქონოდა).

ბატონი ბრაზოვიჩისთვის რომ მოგესმინათ, გაოცდებოდით, კი არ ლაპარაკობდა, მხეცივით ღრიალებდა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ქალბატონი ზოფიაც თითქმის წივილ-კივილით ლაპარაკობდა. იფიქრებდით, ამ ორ არსებას სანაძლეო აქვს დადებული, რომელი მეტს იყვირებს და რომელი უფრო ადრე გაუჩენს მეორეს ყელის ჭლექსან დამბლასო. ვინ ვის აჯობებდა, ჯერ არავინ იცოდა, მაგრამ ბატონ ბრაზოვიჩს ყურებში მუდამ ბამბა ჰქონდა ჩადებული, ქალბატონი ზოფია კი ყელსახვევს იხვევდა ყელზე.

ბატონ ბრაზოვიჩს იმდენი ერბინა, სულს ძლივს ითქვამდა, მაგრამ მაინც ისე ღრიალებდა, სად არის მიხაი იმ ქალიშვილთან ერთადო, რომ კედლები ზანზარებდა.

მიხაი მაშინვე მისკენ გაეშურა, რომ კარებშივე შეეჩერებინა, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, ბატონ ბრაზოვიჩის მუცელს, რომელიც ბევრად უსწრებდა წინ მის პატრონს, ასე ადვილად ვერაფერი დააკავებდა. მიხაიმ თვალით ანიშნა, უცხო კაცის თანდასწრებით ხომ ვერ გეტყვიო.

— მაგასთან დასამალი არაფერი მაქვს, შეგიძლია თავისუფლად ილაპარაკო, სულ მალე ეგ ჩემი ოჯახის წევრი გახდება. ხა-ხა-ხა! დიახ, შენ კი ნუ გეწყინება, ატალია! ეს უკვე ყველამ იცის, მიხაი, შეგიძლია ილაპარაკო, გაზეთში უკვე ეწერა ამის შესახებ!

— რა ეწერა? — იყვირა ატალიამ.

— შენზე კი არა, სულელო, ჩემი მეგობრისა და ნათესავის, სტამბულის ხაზინადარის, ფაშა ალი ჩორბაჯის შესახებ, რომელიც ჩემი გემით, „წმინდა ბორბალათი“ გამოქცეულა უნგრეთში თავის ასულთან ერთად და მთელი თავისი განძეულობა წამოუღია! ეს, ალბათ, მისი ქალიშვილია! მშვენიერი გოგონაა!

ამ სიტყვებთან ერთად ბატონმა ბრაზოვიჩმა ტიმეას უზარმაზარი ხელები მოხვია და თავისი ღვინითა და თამბაქოს სუნით გაჟღენთილი ტუჩებით ლოყები დაუკოცნა.

— ყოჩაღ, მიხაი, ყოჩაღ! რომ იცოდე, როგორ გამახარე ამ გოგონას მოყვანით! ზოფი, ღვინო მოართვი!

ქალბატონმა ზოფიამ ეს ვერ გაიგო, ბატონი ბრაზოვიჩი კი საკარძელში გადაწვა, ტიმეა მუხლზე დაისვა და თავზე ხელი გადაუსვა.

— ჩემი მეგობარი სადღაა? — ჰკითხა ტიმარს.

— გზაში გარდაიცვალა.

— გარდაიცვალა? ეს რა მითხარი! სამწუხაროა! — და უცებ შეუშვა ხელი ტიმეას.

— კიდევ სხვა უბედურებაც ხომ არაფერი მომხდარა?

ტიმარი მიუხვდა, რაც აწუხებდა და უპასუხა:

— მთხოვა, მისი ასული მთელი თავისი მემკვიდრეობით თქვენთვის ჩამებარებინა და გთხოვათ, მფარველობა გაუწიეთო.

ბატონმა ბრაზოვიჩმა ისევ მოხვია ხელები გაოცებულ ტიმეას და გულში ჩაიკრა.

— საკუთარი შვილივით მეყვარება! მის მემკვიდრეობასაც წესისამებრ მოვუვლი, რა გაქვს მაგ ყუთში, მიხაი?

— ალი ჩორბაჯის ქონება, რომელიც მისივე თხოვნით თქვენ უნდა გადმოგცეთ.

— ჰო, ეს კარგია, მიხაი, რამდენია ხომ არ იცი?

— ათასი ოქროა!

— როგორ? — განცვიფრდა ბატონი ბრაზოვიჩი და ტიმეას ხელი შეუშვა. — მხოლოდ ათასი? მაშ დანარჩენი შენ მიგითვისებია, აარამზადავ!

ტიმარს სახეზე ფერმა გადაჰკრა, გული ეტკინა, მის პატიოსნებას როგორ შეეხო, ძაგრამ თავი შეიკავა და მშვიდად უპასუხა:

— აი, ინებეთ განსვენებულის ხელით დაწერილი ანდერძი. აქ წერია, რომ ტიმეას ათას ოქროს უტოვებს, დანარჩენ ქონებას კი ათიათასი საწყაო ხორბლის ტომრები შეადგენს, რომლითაც დატვირთულია „წმინდა ბორბალა“.

— ეს სხვა საქმეა!

თავის გონებაში მაშინვე გადაიანგარიშა და ფულად ასოცდახუთი ათასი ფორინტი გამოვიდა. ამან ცოტა დაამშვიდა მისი ვაჭრული სული და ისევ მოეფერა ტიმეას.

— ჩემს მეგობარს სხვა ხომ არაფერი უთხოვია ჩემთვის? — მიუბრუნდა ტიმარს.

— გთხოვათ, პირადად დაესწროთ გემის გადმოტვირთვას, ეშინოდა, საუკეთესო ხორბალი მომაქვს და ტომრები არ შემიცვალონო.

— ჰო, რა თქმა უნდა, აუცილებლად დავესწრები! სად არის ახლა გემი?

— ალმაშთან, დუნაის ფსკერზე.

— რაო? რას ბოდავ, მიხაი!

— გემი წყალქვეშ რაღაცას დაეჯახა, ფსკერი დაუზიანდა და ჩაიძირა.

განრისხებულმა ბრაზოვიჩმა ტიმეას ხელი ჰკრა, სავარძლიდან წამოხტა და ბოლთის ცემა დაიწყო.

— როგორ? ჩემი საუკეთესო გემი ხორბალთან ერთად ჩაიძირა? მერედა რას მიკეთებდით, თქვე არამზადებო, პირუტყვებო, ლოთებო! ყველას კატორღაში გიკრავთ თავს! მთვრალები იქნებოდით! გასამრჯელოს ნულარ ელოდებით, ერთ კროიცარსაც ვერ მიიღებთ ჩემგან! შენ კი, როგორც გენებოს, ისე გადამიხადე გირაო, ათი ათასი, სამართალში მიგცემ, იცოდე!

— თქვენი გემი ხომ ექვსი ათას ფორინტად არის დაზღვეული ტრიესტის დამზღვევი საზოგადოების მიერ, კუთვნილ თანხას უკლებლივ მიიღებთ. — ისევ მშვიდად უპასუხა ტიმარმა.

— მაგას შენ არავინ გეკითხება! სულ ერთია, შენგან კომპენსაციით ავინაზღაურებ Lucrum cessans-ს. თუ არ იცი, ეს რა არის. იცოდე დღეიდან, ზარალს ნიშნავს. ათანაზ ბრაზოვიჩი ზარალს მიჩვეული არ არის! შენი დაგირავებული ათი ათასი უკანასკნელ კროიცარამდე ჩემი ზარალის ანაზღაურებას დასჭირდება!

— მაგასაც ვნახავთ! — უპასუხა ტიმარმა, — მაგაზე შემდეგ ვილაპარაკოთ, ახლა უმჯობესია ჩაძირულ გემსა და ხორბალს მივხედოთ, რაც უფრო დიდხნს დარჩება წყალში, მით უფრო დაეკარგება ფასი.

— ეშმაკსაც წაუღია!

— ესე იგი, თქვენ უარს ამბობთ და მის გადმოტვირთვას არ დაესწრებით?

— რა თავში ვიხლი! სველი, აშმორებული ხორბალი რა სარგებლობას მომცემს, სახამებელს ხომ არ გავაკეთებ მისგან? ეშმაკსაც წაუღია!

— ეშმაკს რად უნდა, ვცადოთ, იქნებ ახლო-მახლო სოფლები, მეწისქვილეებმა იყიდონ იაფად ან გლეხებმა სათესლედ და საქონლის საკვებად. ცოტა ფულს მაინც ავინაზღაურებთ.

ფულის ხსენებამ იმოქმედა ვაჭარზე, ამ სიტყვამ მის ბამბაჩადებულ ყურებშიც შეაღწია და ჩაილაპარაკა:

— კარგი, კარგი, ხვალ დილით ძინდობილობას გაგიფორმებ გაყიდვის თაობაზე.

— ხვალ გვიან იქნება, ხორბალი სულ დასველდება, დაყოვნება აღარ შეიძლება!

— არაფერი უშავს! საღამოს მე ღმერთსაც არ მივწერ წერილს!

— მე ყველაფერი გავითვალისწინე და ტექსტიც წინასწარ მოვამზადე, მხოლოდ თქვენი ხელის მოწერაა საჭირო, საწერკალამიც თანა მაქვს.

ამის გაგონებაზე ქალბატონი ზოფია ჩაერია ლაპარაკში.

— ჩემს ოთახში მელნით წერის უფლებას არავის მივცემ! ხალიჩას დამისვრით, ჯღაბნა თუ გინდა, შენს კაბინეტში წადი! და არ მიყვარს ხელქვეითს რომ ეჩხუბებიან, ეს ჩემი ოთახია!

— სახლი ხომ ჩემია! — დაიღრიალა ვაჭარმა.

— ოთახი ჩემია!

— აქ მე ვარ ბატონი!

— მე კი ქალბატონი ვარ!

ეს ჩხუბი ტიმარის სასარგებლოდ დამთავრდა. ბოლად გაცოფებულმა ბატონმა ბრაზოვიჩმა გადაწყვიტა დაემტკიცებინა, რომ ის იყო აქ უფროსი, დასტაცა ხელი ტიმარის მიერ სომზადებულ ქალამს და ხელი მოაწერა. მაგრამ როგორც კი ტიმარმა ეს ქაღალდი ხელში აიღო, ორივენი ეცნენ აქეთ-იქიდან და იმდენი ლანძღეს და აგინეს, რომ დუნაის ტალღებიც ვერ გარეცხავდა.

უნდა ითქვას, რომ ქალბატონი ზოფია ქმარს უფრო ლანძღავდა, ვიდრე ტიმარს.

— როგორ ენდობი ამ მაწანწალას, ლოთს, უქნარას, ყოველნაირად ხელიდან წასულ თაღლითს! — გაჰკიოდა მთელი ხმით, — სხვა გავგზავნოთ, ეგ არამზადა ფულს ღვინოში გაფლანგავს ან ბანქოში გაანიავებს! ამისთანა თაღლითს მხოლოდ ბრაზოვიჩისთანა სულელი თუ ენდობა!

ტიმარს ისეთივე გრძნობა დაეუფლა, როგორც რკინის ჭიშკარში გამძვინვარებულ სტიქიასთან ბრძოლისას, მაგრამ მაინც გასაოცარი მოთმინებითა და სიმშვიდით მოისმინა ბოლომდე ბატონისა და ქალბატონის ლანძღვა-გინება და ბოლოს ესღა უთხრა:

— თანახმა ხართ, თუ არა, ანდერძის თანახმად მეურვეობა გაუწიოთ ტიმეას და მის მემკვიდრეობას, თუ ქალაქის სამეურვეო საბჭოს გადავცე?

ამან ბატონი ბრაზოვიჩი შეაფიქრიანა.

— თუ თანახმა ხართ, წავიდეთ ჩქვენს კაბინეტში და დავაბოლოვოთ ეს საქმე. იცოდეთ, მე არ მიყვარს ბატონების ლანძღვა-გინების მოსმენა!

ცოლ-ქმარს თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, იმწამსვე გაჩუმდნენ. მყვირალა ხალხზე საერთოდ კარგად მოქმედებს მოსაუბრის მშვიდი ტონი. ოთახში ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა, ბოლოს ბატონი ბრაზოვიჩი ადგა და ტიმარს მიუახლოვდა:

— კარგი, კარგი, აიღე ეს ყუთი და წავიდეთ ჩემთან.

დიასახლისმა კი, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო, ღვინო შესთავაზა.

ტიმეას ამ ლაპარაკისა არაფერი ესმოდა, გაბრუებული შეჰყურებდა მათ და ვერაფერს მიმხვდარიყო. პირველად ხომ გადაეხვია

და გადაკოცნა ბატონმა ბრაზოვიჩმა, მერე რა მოხდა? რატომ შეეცვალა გამომეტყველება მეორე წუთში? ან ისევ შუხლებზე რატომღა დაისვა? რატომ უყვიროდნენ ტიმარს, რომელმაც ადგენ კარსაცდელს გაუძღო და აქაც თავი ასე ღირსეულად იჭირა? უკვირდა ისიც, რომ ბოლოს, ტიმარის ერთმა სიტყვამ ჩაიჩუმა და დააშოშმინა მისი ბატონები. მათმა ყვირილმა, ისევე როგორც ეამბვინვარებულმა ქარიშხალმა, დუნაის აქაფებულმა ტალღებმა და შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა, ვერ შეაშინა ტიმარი. ტიმეა ერთს მიხვდა მხოლოდ, რომ ტიმარი იყო მისი ერთადერთი კეთილმყოფელი, მისი მფარველი, რომელმაც „სამჯერ“ ჩაიგდო საფრთხეში სიცოცხლე მისი გულისთვის და გაჭირვების ჟამს არ მიატოვა. ის იყო ერთადერთი ადამიანი, ვისაც მისი მშობლიური ენა ესმოდა და ახლა მას უნდა დაშორებოდა. ვინ იცის, ველარასოდეს ენახა.

ტიმარი წასვლისას ტიმეას მიუახლოვდა და თურქული ალვახაზის კოლოფი გაუწოდა. ტიმეამ ჩამოართვა სამშობლოდან ატალიასთვის საგანგებოდ ჩამოტანილი საჩუქარი და მოწიწებით მიართვა ქალიშვილს.

ატალიამ კოლოფი გახსნა და ცხვირაბზეკით განაცხადა, ვარდის წყლის სუნი უდის, სწორედ ისეთი, ჩემი მოახლე კვირაობით, ეკლესიაში წასვლის წინ რომ ისხამსო.

ტიმეამ ატალიას ნათქვამი ვერ გაიგო, მაგრამ მის ზიზღით დამანჭულ სახეს რომ შეხედა, მიხვდა, რომ ქალიშვილს არ მოეწონა აღმოსავლური ტკბილეული და დანაღვლიანდა. ახლა ქალბატონ ზოფიას შესთავაზა, იმანაც უარი უთხრა, კბილები მტკივაო. გულნატკენი ტიმეა სულ დაიბნა, აღარ იცოდა რა ექნა, ბოლოს. მაინც გაბედა და ახალგაზრდა ოფიცერსაც შესთავაზა. იმას კი ძალიან მოეწონა, შეაქო და სიამოვნებით შეჭამა სამი ნაჭერი. ტიმეას სიხარულისაგან სახე გაუნათდა და მადლობის ნიშნად გაუღიმა. ტიმარი კარებში იდგა და ყველაფერი დაინახა. ხოლო როცა ტიმეას ისიც გაახსენდა და მისკენ შემობრუნდა ტკბილეულით, უკვე წასულიყო. მალე ახალგაზრდა ოფიცერიც გამოეთხოვა ყველას. ტიმეას განსაკუთრებული თავაზიანობით დაუკრა თავი, რითაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

რამდენიმე წუთში ბატონი ბრაზოვიჩი დაბრუნდა და ქალბატონ ზოფიას დიდხანს რაღაცაზე ელაპარაკებოდა. ტიმეას ზოგიერთი სი-

ტყვა ესმოდა და ამან კიდევ უფრო დააბნია, ვერ გაეგო, რა ჩდებოდა ამ სახლში.

ოჯახის უფროსები კი ამ დროს მის ბედ-იღბალს წყვეტდნენ.

მათი აზრით, ვინაიდან ტიმეას მთელი ქონება მხოლოდ და მხოლოდ თორმეტი ათასი ოქრო იყო, შეუფერებელი იქნებოდა ქალბატონად მიეღოთ, ატალიას სწორად. ქალბატონი ზოფია ამბობდა, მოახლედ დავიყენოთ, ჯობია რეცხვა, სახლის დალაგება და საჭმლის კეთება ისწავლოს, მასვე გამოადგებაო. ასეთი მზითვით მდიდარი კაცი არ ითხოვს, რომ მოსამსახურეებით იცხოვროს და ოჯახის მოვლა თვითონვე მოუხდებაო. ბატონი ბრაზოვიჩი არ ეთანხმებოდა, ხალხი რას იტყვისო. ბოლოს შეთანხმდნენ, შვილობილად გამოეცხადებინათ. სანევრად მოახლე იქნებოდა, მაგრამ ჩვეულებრივ მოსამსახურეზე ცოტა მაღლა იდგებოდა. მათთან ერთად ისადილებდა, ოღონდ მუშაობით ისევე უნდა ემუშავა, როგორც მოახლეს. დიდ სარეცხს, რა თქმა უნდა მას არ გაარეცხინებდნენ, მაგრამ ატალიას მაქმანებისა და თეთრეულის რეცხვა არ მოკლავდა, კერვაც უნდა ესწავლა და ატალიას ტუალეტისთვის თვალყური ედევნებინა. ბოლოს და ბოლოს, მათ ქალიშვილს საკუთარი მოახლე ხომ უნდა ჰყოლოდა. სამაგიეროდ ატალია მას მოდიდან გამოსულ კაბებს აჩუქებდა ხოლმე და, მათი აზრით, დიდი მადლიერი უნდა ყოფილიყო ბედისა, მათთან რომ მოხვდა და შეიფარეს.

ტიმეა მართლაც არ იყო უკმაყოფილო. მარტოდმარტო დარჩენილი და ყველასგან მიტოვებული, უცხოეთში გადმოხვეწილი, საოცრად მალე შეეჩვია ახალ გარემოს. იმითაც კმაყოფილდებოდა, რომ ნავახშმევს ატალიას გვერდით ჯდომა შეეძლო. ცდილობდა ყველასთვის ესიამოვნებინა, სადილობისას, სანამ ვინმე ეტყოდა, დაუზარებლად წამოხტებოდა ხოლმე დანა-ჩანგლისა და საინების გამოსაცვლელად. ცდილობდა მუდამ მხიარული ყოფილიყო, საწყენიც რომ შეხვედროდა, არ შეიმჩნევდა, ამით არავის ვაწყენინოო. განსაკუთრებით ატალიას გულის მოგებაზე ოცნებობდა, აღფრთოვანებული იყო მისი სილამაზითა და მშვენიერებით. ტიმეა ჯერ ისევ ბავშვი იყო და ეგონა, რომ ვინც ბუნებას ასე უხვად დაეჯილდოვებინა სილამაზით, გულიც კეთილი უნდა ჰქონოდა. თუმცა ატალიას ლაპარაკი არ ესმოდა, მაგრამ ცდილობდა მის სახეზე ამოეკითხა ყოველი მისი სურვილი.

ერთხელ ნავახშმევს ატალია როიალს მიუჯდა და დაკვრა დაიწყო ტიმეა მის ფეხთით მოთავსდა და თვალს ვერ აშორებდა მის მშვენიერ თითებს, თავისუფლად რომ დაჰქროდნენ კლავიშებზე. შემდეგ ატალიამ კაჩუკას მიერ დახატული თავისი პორტრეტი აჩვენა. ტიმეა გაოცებული შეჰყურებდა.

— შენ რა, პორტრეტი არ გინახავს? — გაუკვირდა ატალიას.

— აბა სად უნდა ენახა? — უპასუხა ბატონმა ბრაზოვიჩმა, — მაგათი სარწმუნოება ადამიანის სახის დახატვას კრძალავს, ამან გამოიწვია სწორედ არეულობა თურქეთში. სულთანმა თავისი პორტრეტი დაახატვინა და დარბაზში ჩამოჰკიდა, სადაც დივანხანას იწვევდა ხოლმე. საწყალი ალი ჩორბაჯიც ჩათრეული იყო ამ ამბოხებაში და იძულებული გახდა გამოქცეულიყო. ისე კი, დიდი სისულელე მოუვიდა იმ საცოდავს!

ტიმეამ მაძის სახელი რომ გაიგონა, ეგონა, კეთილად მოიხსენიაო, და მადლობის ნიშნად ბატონ ბრაზოვიჩს ხელზე აკოცა.

მალე ატალია დასაძინებლად წავიდა და ტიმეაც სანთლით ხელში უკან გაჰყვა. ქალიშვილი საძინებელ ოთახში თავისი ტუალეტის მაგიდას მიუჯდა, სარკეში ჩაიხედა და დაამთქნარა, შემდეგ სავარძელში გადაწვა, სახის გამომეტყველება არ მოეწონა.

ტიმეამ სავარცხელი და თავსამკაულები ამოაცალა და თმა დაუწნა. საყურეების მოხსნისას კი ისე ახლოს დაიხარა მისკენ, რომ ორივეს სახე გამოჩნდა, ერთი ვარდისფერლოყება, მომხიბლავი სილამაზისა, მეორე — თეთრ-ყირმიზი, მიბნედილი და ნაღვლიანი, ატალიას არ ესიამოვნა, ბზიკნაკბენივით წამოხტა და სარკე იქით გასწია, მოეჩვენა, რომ ტიმეას თოვლივით თეთრმა სახემ მის სილამაზეს ჩრდილი მიაყენა. ძილის დროაო, უთხრა და საწოლისკენ გაემართა.

ტიმეამ მისი აქეთ-იქით მიყრილი ტანსაცმელი მიაწყო, მის წინ დაიჩოქა და წინდები გახადა.

ატალიამ ეს ისე მიიღო, თითქოს ტიმეა მის მოახლედ ყოფილიყო დაბადებული.

ტიმეამ მისი თეთრი, ქანდაკებასავით გამოთლილი ფეხები გულში ჩაიკრა და დაუკოცნა.

ატალიამ ესეც შეიფერა.

შინ მიმავალმა კაჩუკამ ყავახანაში ტიმარს მოჰკრა თვალი, მას სველი ტანსაცმლის გამოცვლის დრო არა ჰქონდა და რომ არ გაციებულიყო, შავ ყავას სვამდა.

შემოიარე ჩემთან, პუნშით გაგიმასპინძლდებიო, დაპატიჟა ახალგაზრდა ოფიცერმა და ხელი ჩამოართვა.

— მადლობელი ვარ! — უპასუხა ტიმარმა, — დღეს ბევრი სასწრაფო საქმე მაქვს მოსაგვარებელი, დამზღვევ საზოგადოებაში უნდა შევიარო, რომ გემის ამოტვირთვაში მომეხმარონენ, იქიდან მთავარ მოსამართლესთან უნდა ვავიქცე, ვაჭრობას ხომ საბამართლოს აღმასრულებელიც უნდა დაესწროს ალმაშში, ამის შემდეგ ღორებით მოვაჭრეებს უნდა შევატყობინო ხვალინდელი ვაჭრობის შესახებ, ამაღამვე ტატაშიც ვარ წასასვლელი, სახამებელის ფაბრიკის პატრონთან, მას სხვებზე უკეთ შეუძლია სველი ხორბლის გამოყენება. ჰო, მართლა, შენთან ბარათი გამომატანეს ორშოვიდან.

ბატონმა კაჩუკამ წერილი წაიკითხა და ტიმარს მიუბრუნდა:

— ჩინებულია, მიხაი! როგორც კი შენს საქმეებს მორჩები, ძინახულე, ნახევარი საათით მაინც! ინგლისური ბაღის გვერდით ვცხოვრობ, შემოსასვლელ კარებზე ორთავიანი არწივია გამოსახული, უნდა მოგელაპარაკო, აუცილებლად შემოიარე!

ვეცდებიო, უპასუხა ტიმარმა და თავისი გადაუდებელი საქმეების მოგვარებას შეუდგა.

უკვე თერთმეტი საათი სრულდებოდა, ქალაქის ცნობილ პარკს რომ მიუახლოვდა, რომელსაც კომარომელებმა „ინგლისი“ შეარქვეს. ბატონი კაჩუკა მას უკვე ელოდა და დეწშჩიკმა პირდაპირ კაბინეტში შეიყვანა.

— მეგონა ვიდრე მე ვმოგზაურობდი, შენ და ატალია იქორწინებდით! — დაიწყო ტიმარმა.

— რაღაც არ გამოდის ეგ საქმე, ხან რა მიშლის ხელს, ხან რა! ზოგჯერ მეჩვენება, რომ ჩვენ ორში ერთ-ერთს, მე თუ ატალიას, მაინცდამაინც დიდად არ გვახარებს ეს ქორწინება.

— შენი რა მოგახსენო და, ატალია რომ ოცნებობს ამაზე, თქმა არ უნდა!

— რა გითხრა, იცი? არავისი აღარაფერი მჯერა, ყველასა და ყველაფრისადმი დავკარგე რწმენა, ერთში კი დავრწმუნდი, რაც უფრო

დიდხანს ჭიანურდება ეს საქმე, გულიც იჯერო ცივდება და ერთმანეთის ნაკლოვანებებსაც მეტად ვამჩნევთ. სულ სხვა საქმეა, როცა ქორწინების შემდეგ შეიტყობ რაიმეს, სხვა გზა არ არის, უნდა დაუთმო, აღარაფერი ეშველება! ახლა კი... მეგობრულად გირჩევ, თუკი ცოლის შერთვას გადაწყვეტ, დიდხანს ნუ იფიქრებ, დაყოვნება ამ საქმეში არ ვარგა.

— მდიდარ საცოლეს მაინც ანგარიში უნდა გაუწიო!

— მარტო სიმდიდრე დიდი ვერაფერი განძია, მზითევში მოტანილი ქონება ცოლს შეუძლია ისე გაანიავოს, რომ აღარაფერი დარჩეს, თანაც ბრაზოვიჩების ქონება არც ისე საიმედოა. მოხუცი ისეთ საეჭვო გარიგებებს ახდენს, რომ თვითონაც უჭირს მათში გარკვევა. მის ხელში უამრავი ფული ტრიალებს, მაგრამ რა მოგება რჩება წლის ბოლოს, ანგარიშს აღარ უწევს.

— ჩემი აზრით, მისი საქმეები ჩინებულად მიდის, ატალია კი ცალაბაზესი და ულანათლებულესი ქალია!

— შენ რაღაც საეჭვოდ აქებ ატალიას! — გაიცინა კაჩუკამ. — უმჯობესია შენი ამბავი მითხრა.

ახლა მას რომ მიხაის გულში ჩახედვა შესძლებოდა, დაინახავდა, რომ ტყუილუბრალოდ არ ჩამოუგდო ატალიაზე სიტყვა. სულ თვალწინ ედგა, როგორ გაულიმა ტიმეამ ახალგაზრდა ოფიცერს და ახლა შური ალაპარაკებდა, „შენ ატალიაც გეყოფა და ტიმეას ღიმილში ნუ მეცილებიო!“

— ახლა კი საქმეზე ვილაპარაკოთ, — დაიწყო კაჩუკამ, — ორშოვიდან მწერენ, რომ მფარველობა ვაგიწიო, ახლა შენთვის ეს მართლაც რომ საჭიროა. მართალია, გემის დაღუპვაში ბრალი არ მიგიძღვის, მაგრამ ვაჭრები ახალ გემს მაინც აღარ განდობენ. ბრაზოვიჩი გირაოს შენ მოგთხოვს. თანაც, ვატყობ, იმ გოგონას ბედიც გაწუხებს და გინდა დაეხმარო. ძითხარი, რა შემიძლია გავაკეთო შენი საქმეების მოსაგვარებლად?

— თვითონაც არ ვიცი.

— სამაგიეროდ მე ვიცი. აი, ყური, მიგდე, მომავალ კვირას, კომარომთან ახლოს, ყოველწლიური სამხედრო მეცადინეობა იწყება. ოცი ათასი კაცი ჩამოიყა სამი კვირით. მათი სამყოფი პურის დამზადებით კი ჭკვიანი კაცი ხელს მოიბანს. ამის შესახებ ყველა წერილობითი ცნობა ჩემს ხელში გაივლის. აქამდე უპირატესობა ბრაზოვიჩს ჰქონდა, ჩვეულებრივ, როცა ამდენი საქონლის მიწოდება

იყო საჭირო, მაგას ანდობდნენ ხოლმე, რადგან ვისთანაც საჭიროა. ოცი ათასს იხდიდა.

— როგორ თუ ვისთანაც საჭიროა?

— მოეშვი მაგ მიამიტობას, ასეა საჭირო. ასეთ საქმეში ვინც დაგეხმარება, პატივისცემა უნდა. ეს დასაბამიდან მოდის ასე. სხვაგვარად ვერ იცხოვრებ, განა ეს აქამდე არ იცი?

— ცოდნით კი ვიცი, მაგრამ მე არ გამიკეთებია.

— ძალიანაც დაგიშავებია! შენ მუდამ სხვისი მოგებისთვის მუშაობ თავდაუზოგავად, უკეთესი არ იქნება, საკუთარ თავზე იფიქრო? აი, შეგიძლია ეს მომენტი გამოიყენო. ასოცდაათი ათას ფორინტად პური დაამზადო და ოცდაათი ათასს შეჰპირდე, ვისაც საჭიროა.

— ბევრი რამ მიშლის ხელს, ჯერ ერთი, ფული არა მაქვს და ქრთამის მიცემაც არ შემიძლია, თანაც, არა მჯერა, რომ ეგ საქმე რაიმე სარგებლობას მომიტანს.

— ოჰ, მიხაი, მიხაი, შენგან ვაჭარი არ გამოვა! — გაიცინა კაჩუკამ. — დიდ საქმეში მთავარია, ვინმემ ხელი შეგიწყოს! ჩვენ ხომ სკოლის მერხიდან ვიცნობთ ერთმანეთს. მე დაგეხმარები, მუდამ შენს მეგობრად მიგულე! ფულიც გამოჩნდება. ბრაზოვიჩთან ხომ ათი ათასი გაქვს დაგირავებული, ეს სრულიად საკმარისია. ალმაშში შენ თვითონ იყიდი მთელ ხორბალს, მისი ღირებულება ასი ათასია, შენ კი ათი ათასი დაგიჯდება, ბრაზოვიჩს გირაოთი გაისტუმრებ და ბარი-ბარში იქნებით. ალმაშის, ნესმეის, ფუგატოსა და იჟის მეწისქვილეები სასწრაფოდ დაგიფქვავენ ხორბალს ორმაგ ფასად, გაახურებ ღუმელს და პურიც მზად იქნება. სამი კვირის შემდეგ კი შენი ხორბლიდან მტვერიც აღარ დარჩება. პურს თუ შემთხვევით ვინმე რამეს შეატყობს, იქვე ჩავაჩუმებთ, ჩემი იმედი გქონდეს! შენ კი სამ კვირაში სამოცდაათი ათასი სუფთა მოგება დაგრჩება! დამიჯერე, ეს რომ ბრაზოვიჩისთვის შემეთავაზებინა, სიხარულით ფეხზე აღარ იდგებოდა, ისე კი მიკვირს, თვითონ რომ ვერ მიხვდა.

ტიმარი ჩაფიქრდა, ჭკუაში დაუჯდა, წინადადება მართლაც რომ მაცდუნებელი იყო, სამ კვირაში ყოველგვარი შრომისა და რისკის გარეშე ასეთი მოგება სახუმარო საქმე არ გახლდათ! პირველ კვირას ჯარისკაცებს პური ცოტა მოტკბო მოეჩვენებოდათ, მერე ცოტა მომწარო, ბოლოს კი, ოდნავ შმორიანიც, მაგრამ ამას ვინ დაგიდევდათ,

ჯარისკაცს რასაც მიუტანენ, ის უნდა ჭამოს! მან უკვე წარმოიდგინა ეს ყოველივე და ტანში სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა.

— ოჰ, იმრე, იმრე, საიდან ისწავლე ასეთი ამბები? — ვეღარ დაფარა აღტაცება მიხაილ და თავის ძველ მეგობარს გადაეხვია.

— ეჰ, ჩემო კარგო, უკვე დიდი ხანია ალღო ავუღე ცხოვრებას და ახლა აღარაფერი მიკვირს. თავიდან მეც სხვაგვარი აზრები მქონდა, მაგრამ სიზმარივით გაჰქრა ყოველივე. სამხედრო სამსახური გმირობის, რაინდობისა და დიდების საასპარეზო მეგონა, სულ მალე კი დავრწმუნდი, რომ ძლიერნი ამა ქვეყნისანი სახელმწიფო საქმეებს თავიანთი ანგარებიანი ინტერესების მიხედვით სწყვეტენ და მთელი სამყარო ერთი-მეორის მოტყუების პრინციპზეა აგებული.

სამხედრო-საინჟინრო სასწავლებელი ფრიადზე დავამთავრე. კომარომში რომ გადმომიყვანეს სამუშაოდ, გული სიხარულით ამევსო, აქ თავისუფლად შემეძლო მთელი ჩემი საფორტიფიკაციო ცოდნა და ნიჭი გამომეყენებინა, მაგრამ იმედები მალე გამიცრუვდა. დავინახე, რომ ყველაფერი ფულზე იყიდებოდა. ჩემი პირველი პროექტი მოიწონეს, მაგრამ არ დაამტკიცეს, დამავალეს, ქალაქის ერთი ნაწილის რეკონსტრუქციის გეგმა შემედგინა, შენ იცი ის ადგილი, ისევ დანგრეულია. იმ სახლების აღება ნახევარი მილიონი დაჯდა. ზოგი მათგანი ბრაზოვიჩსაც ეკუთვნოდა და კარგი ფულიც გააკეთა, ისეთ ფასში მიჰყიდა მუნიციპალიტეტს, თითქოს ქოხმახები კი არა, სრა-სასახლეები ყოფილიყო. ამას ჰქვია ფორტიფიკაცია! განა ამისთვის ვისწავლე? რას იზამ, ადამიანი ყველაფერს ეჩვევა და ეგუება. ალბათ, შენც მოჰკრავდი ყურს ჩვენი ქალაქის ყველაზე ცნობილ ანეკდოტს; შარშან კომარომში მისი უდიდებულესობა, პრინცი ფერდინანდი ჩამოვიდა, და ციხე-სიმაგრის კომენდატს უთხრა, მეგონა, თქვენი შენობის კედლები შავი იქნებოდაო. რატომ, თქვენო უმაღლესობაო, რომ ჰკითხეს, უპასუხა, ყოველწლიურად საფორტიფიკაციოდ მარტო ათი ათასი ფორინტის მელანი გაქვთ გათვალისწინებული და მეგონა, მელნით ციხის კედელს ღებავდითო. ამ ოხუნჯობაზე მხოლოდ გაიცინეს და ამით დამთავრდა ყველაფერი. წესი ასეთია, თუ ბოროტმოქმედებას და ყალთაბანდობას ვერ გაუგებენ, ხმას არავინ ამოიღებს, ხოლო თუ გამოაშკარავდება, იცინიან. მე რაღა მენაღვლება, მე კი ვერ გავიცინებ? ან, იქნებ, შენ გირჩევნია მთელი სიცოცხლე სიღარიბეში გაატარო? მე დიდი ხანია გამოვეთხოვე ფუჭ ოცნებებს, შენც ამასვე გირჩევ! ახლა კი ალმაშს გა-

ემგზავრე და ჩაძირულ ხორბალს ძიხედე! ბგონი, შენი მეეტლეც მოვიდა, ნუღარ დააყოვნებ! ჯარისკაცებისთვის პურის დამზადების განცხადება ხვალ საღამოს ათ საათამდე შეგიძლია შემოიტანო. აბა, შენ იცი, ხვალ გელოდები!

— მოვიფიქრებ! — კიდევ ვერ გადაეწყვიტა ტიმარს.

— კარგი, იფიქრე, ოღონდ ისიც გაითვალისწინე, რომ ამით იმ ობოლ გოგონასაც სარგებლობას მოუტან, ათი ათასს მაინც მიიღებს, ისე კი ასი ფორინტიც არ შეხვდება.

ტიმეას სახელის ხსენებამ სასწაულებრივი ძალით იმოქმედა მასზე და რაღაც უხილავმა ძალამ უბიძგა გასასვლელისკენ. Fata nolentem trahunt.

რამდენიმე დღის შემდეგ ტიმარი ოთხცხენიან ეტლში იჯდა წამოსასხამში გახვეული და ფიქრებს მისცემოდა. შუაღამე გადასული იყო, ქალაქს ეძინა რატუშასთან ღამის დარაჯის ხმა მოესმა მხოლოდ. „ვის რა არის, შუბლზე არავის აწერიაო".

ამ დროს ქალაქის გოდოლზე ყარაულებმა ერთმანეთს გადასძახეს

„ვინ მოდის?"

„ყარაული!"

„გაიარე!"

ტიმარი კი ფიქრობდა, ნეტავ დღეს როგორი პური გამოცხვაო.

III. ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲜᲐᲛᲒᲐᲚᲐ ᲛᲗᲕᲐᲠᲔ

მეორე დღეს, ახლო-მახლო სოფლების წვრილვაჭრებთან და მეწისქვილეებთან ერთად ტიმარიც დაესწრო ვაჭრობას. ყველას ჩალის ფასად უნდოდა ბორბლის ხელში ჩაგდება და რაღაც გროშებს იძლეოდნენ. ბოლოს ტიმარს მოთმინების ფიალა აევსო და აუქციონერის ჩაქუჩის მორიგ დარტყმაზე ხმამაღლა დაიყვირა, მთელ ხორბალში ათი ათას ფორინტს ეძლევიო. იქ მყოფნი საკუთარ ყურებს არ უჯერებდნენ, ეგონათ მოგვეჩვენაო. გაოცებულნი ვაჭრებმა ერთი ალმაცერად გადახედეს ტიმარს, ხომ არ გაგიჟდაო, გაიფიქრეს და იქაურობას გასცილდნენ. ამ დროს ჩაქუჩის სამი დარტყმა გაისმა და ჩაძირული ხომალდის მთელი ტვირთი ბატონ მიხაი ტიმარის საკუთრებად გამოცხადდა. ყველა განცვიფრებული იყო, ვერ მიმხვდარიყვნენ, რად უნდოდა ამდენი სველი ხორბალი.

ამასობაში ტიმარმა ორი ერთმანეთს გადაბმული კანჯო გემს მიამაგრა, რომელიც გუშინდელს აქეთ კიდევ უფრო მეტად ჩაძირულიყო და ტომრების გადმოტვირთვა დაიწყო. წყალს ზემოთ მხოლოდ კიჩო და ერთი კაიუტაც დარჩენილიყო რაღაც განგებით. ტიმარმა მთელი თავისი ბარგი-ბარხანა იქ შეიტანა და განკარგულებების გაცემა დაიწყო.

ტრიუმიდან ჯალამბარით ამოჰქონდათ სველი ტომრები, ჯერ კიჩოზე აწყობდნენ, რომ წყალი დაწურულიყო და შემდეგ მესამე კანჯოთი ნაპირზე გადაჰქონდათ. მიწაზე ჭილობი იყო გაფენილი, ზედ ხორბალს ჰყრიდნენ და ფოცხით ასწორებდნენ. ტიმარი თან მეწისქვილეებს ურიგდებოდა, რომ სასწრაფოდ დაეფქვათ. ამინდმაც ხელი შეუწყო, ნიავი ქროდა და ხორბალი მალე შრებოდა. მთავარი ახლა დროზე გადმოტვირთვა იყო.

ტიმარმა იანგარიშა ხარჯები და გადაწყვიტა ნაღდი ფულით გასწორებოდა მუშებს. მისთვის უკვე ცხადი იყო, ეს საქმე თუ არ გაუმართლებდა, სულ გაღატაკდებოდა.

იანოშ ფაბულა წინასწარმეტყველებდა, ეს სულელური წამოწყება ტიმარს სულ მშრალზე დასტოვებს, და იქამდე მიიყვანს, რომ ცარიელი ტომარა თავზე ჩამოიცვას და ქუჩაის ტალღებში გადაეშვასო.

ტიმარსაც გონებას ურევდა საშიელი აზრები და ადგილს ვეღარ პოულობდა. მთელი დღე, მზის ჩასვლამდე, გემბანზე იდგა და თვალყურს ადევნებდა, როგორ ამოჰქონდათ ტომრები და კაიუტის წინ ერთი მეორის მიყოლებით აწყობდნენ. ყველა ტომარას ერთი და იგივე ნიშანი ჰქონდა, შავი საღებავით დახატული ხუთხიდიანი ბორბალი.

უმჯობესი არ იქნებოდა, განა, ლტოლვილებს თავიანთი ოქრო უბრალო სამგზავრო ჩანთაში ჩაეწყოთ და მშვიდად წამოსულიყვნენ? ნუთუ ამ ხორბლის ტომრებისთვის დაედევნენ? ღირდა კი ამის გულისთვის უცხო ქვეყანაში გადმოხვეწა და თავის მოწამვლა?

მტვირთავები საღამომდე შეუსვენებლივ მუშაობდნენ, მაგრამ სამი ათას ტომარაზე მეტის ამოღება ვერ შესძლეს. ტიმარმა ორმაგი გასამრჯელო აღუთქვა მათ, თუ მუშაობას განაგრძობდნენ და მთლიანად გადმოტვირთავდნენ. ხორბალი რომ კიდევ ერთი ღამე წყალში დარჩენილიყო, აღარაფრად ივარგებდა. ფულის მომატებამ ყველა წაახალისა და უფრო მეტი თავგამოდებით განაგრძეს მუშაობა.

ამ დროს ქარმა ღრუბლები გაფანტა, მეწამული ნამგალა მთვარე გაჩნდა და ცის კიდური წითლად შეღება. ტიმარს არ ესიამოვნა მისი დანახვა, „რას ამეკვიატაო“, გაიფიქრა და ზურგი შეაქცია. ახლად ამოტანილი ტომრების დათვლა დაიწყო, გულს გადავაყოლებო, მაგრამ ისევ წითელი ნამგალა მთვარე დაუდგა თვალწინ. ალბათ, დავიღალე და მომეჩვენაო, გაიფიქრა, მაგრამ მის წინ ტომარაზე ნამდვილად ეხატა წითელი ნახევარმთვარე. მიხაის ჟრუანტელმა დაუარა, სუნთქვა შეეკრა, საკუთარ თვალებს არ უჯერებდა. უცებ, თითქოს ბურანიდან გამოერკვაო, ზეწამოიჭრა, ის არისო, კინაღამ ხმამაღლა იყვირა და თვალწინ მომაკვდავი ეთიმი დაუდგა. ახლაღა მიხვდა მის უკანასკნელ სიტყვებს. აი, თურმე რას მეუბნებოდა მომაკვდავი, ან ვინ იცის, არც უნდოდაო ამის განდობა.

— ნეტავ, რა საიდუმლოს ფარავს ეს მეწამული ნამგალა მთვარე?

ტიმარმა მიმოიხედა, ხომ არავინ მიყურებსო, ტომარა თავის კაიუტაში შეათრია და კარი ჩაკეტა.

არავის შეუნიშნავს, მტვირთავებმა კიდევ ორი საათი იმუშავეს და ისე დაიღალნენ, რომ ფეხზე დგომა აღარ შეეძლოთ, თავით ფეხამდე დასველებულებს ამ ქარიან ღამეში სიცივე ძვალ-რბილში ატანდათ. ბოლოს, ძალაგამოლეულებმა გადაწყვიტეს შეესვენათ და დარჩენილი სამუშაო დილით დაემთავრებინათ, ნაპირზე გამოვიდნენ და იქვე სამიკიტნოში მათთვის საგანგებოდ გაშლილ მაგიდას შემოუსხდნენ.

ტიმარი მარტო დარჩა გემზე, მუშებს დაუძახა, ტომრები უნდა დავთვალო და ნაპირზე მე თვითონ გამოვალ ნავითო.

მთვარის შუქმა ფანჯრებში შემოანათა და წყლის ზედაპირიც ვერცხლისფრად აალივლივა. ტიმარს ხელები უკანკალებდა მეტისმეტი მღელვარებისაგან. ჯიბის დანას რომ ხსნიდა, უცაბედად ხელი გაიჭრა, სისხლის წვეთები ტომარას დაეცა, და მეწამული ნახევარმთვარის ირგვლივ პატარა წითელ ვარსკვლავებად მიმოიფანტა. როგორც კი ტომარას პირი მოხსნა, ოქროსფერი საუცხოო ხორბალი ხელებზე გადმოეცნა. ტომარა შუაზე გასჭრა, მთელი იატაკი ხორბლით მოიფინა, მის ფეხებთან კი ტყავის მოგრძო პარკი დაეცა.

ტიმარმა სასწრაფოდ გატეხა საკეტი და რაც შიგ იყო, საწოლზე წამოყარა, რომელზედაც რამდენიმე დღის წინ მარმარილოს ქანდაკება იწვა.

მთვარის შუქზე თვალისმომჭრელად აელვარდა ბრილიანტის, საფირონისა და ზურმუხტის თვლიანი ბეჭდები, ოპალითა და ფირუზით მოჭედილი სამაჯურები, თხილისოდენა მარგალიტის ყელსაბამები, ალმასითა და ლალით სავსე აგატის კოლოფი, ათასგვარი პატიოსანი თვლებით მოჭედილი ქამრები. რა არ იყო აქ; ტოპაზი, მუქი ლურჯი ფერის იშვიათი აქვამარინები, ქარვა. ბროლის კოლოფში უძველესი პლატინის ტალერები ეწყო, რომლებიც რუსეთის მეფეს გამოეგზავნა სტამბულში მშვიდობიანი ხელშეკრულების დადების ნიშნად. სულ ძირში ოთხი შეკვრა იდო, თითოში ხუთასი ოქროს ლუიდორი აღმოჩნდა.

ეს იყო მართლაც ფასდაუდებელი განძი, რომელიც ადამიანს კი არა, ეშმაკსაც შეაცდენდა!

ტიმარი თვალს ძლივს უსწორებდა ამ აურაცხელ პატიოსან თვალთა ბრწყინვალებას და ფიქრობდა, ამისთვის კი მართლაც ღირდა სამხედრო გალერისა და ჯაშუშების დადევნებაო. ალი ჩორბაჯისაც ამართლებდა, თავი რომ მოიწამლა და ეს ზღაპრული სიმდიდრე გადაარჩინა.

დიახ, ამისთვის ნამდვილად ღირდა გამძვინვარებულ სტიქიასთან შებმა რკინის ჭიშკარში. ვინც პატიოსანი თვლებისა და მარგალიტების ფასი იცის, მიხვდება, რომ მათი მფლობელი ტყუილად არ მჯდარა კანდიის მმართველად და სტამბულის ხაზინადრად.

ტიმარს თავი სიზმარში ეგონა, მეტისმეტი სიხარულისა და მღელვარებისაგან გაოგნებული საწოლზე წამოჯდა და აკანკალებული ხელებით ალმასებით სავსე კოლოფი აიღო, მთვარის შუქზე ათასფრად რომ ელავდა. მთვარე, თითქოს რაღაცას ელაპარაკებაო, ეშმაკურად უღიმოდა.

„ვისია ახლა ეს აურაცხელი სიმდიდრე?“ — თავისდაუნებურად აღმოხდა ტიმარს.

—„შენია!“ — ჩამოსძახა მთვარემ, — შენი საკუთარი ფულით იყიდე მთელი ეს ჩაძირული ხორბალი, შენ ხომ არ იცოდი, რომ შიგ განძს იპოვიდი? რაც იყიდე, შენია! მართალია, მომაკვდავმა მეწამული ნახევარმთვარე ახსენა და რაღაცას მიგახვედრა, მაგრამ ამის წარმოდგენა ხომ მაინც არ შეგეძლო? სულ იმის ფიქრში იყავი, სულთანმა რატომ დაადევნა მსტოვრები ალი ჩორბაჯისო. ახლა კარგად ხედავ ამის ძიზეზს. როცა ამ თითქმის გადასაყრელ ხორბალს ყიდულობდი, სულ სხვა მიზანი გქონდა, მაგრამ, როგორც

ჩანს, ღობალი გქონია, ბედმა გაგიღიმა! ოღონდ იცოდე, ამით ის წინ აღუდგა შენს სურვილს, მწარე და შმორიანი პური გამოგეცხო ჯარისკაცებისთვის!

სულთანმა ომებისა და თავდასხმების დროს ძარცვა-გლეჯით დაგროვა ეს განძი, ხაზინადარმა მოჰპარა მას, დუნაიმ კი ორივეს წაართვა, მას ახლა პატრონი აღარა ჰყავს, ის შენია!"

„შენ ის ისევე გეკუთვნის, როგორც სულთანს, როგორც ხაზინადარს, როგორც დუნაის".

„და როგორც ტიმეას?"

ამ დროს მთვარეს ღრუბლის პატარა ქულა გადაეფარა და ორად გააპო. ტიმარი ფიქრებში ჩაიძირა. მალე ისევ მოესმა მთვარის ხმა:

„ნუ იფიქრებ ამდენს, ეს განძეული შენია!"

მას გამბედაობა მაინც არ ჰყოფნიდა, ვერ გადაეწყვიტა აეღო თუ არა.

„ღარიბი კაცი ყოველთვის დაღუპულია ცხოვრებაში! რაც არ უნდა ერთგულად და პატიოსნად იმუშაოს, არამზადას ეძახიან, ცამდე მართალიც რომ იყოს, დამნაშავედ თვლიან! სამაგიეროდ მდიდარს ქება-დიდება არ აკლია, მასთან მეგობრობას ნატრობს დიდი თუ პატარა, რჩევას ეკითხებიან, ქვეყნის ბედ-იღბალს ანდობენ! ქალებსაც მდიდარი უყვართ! ხომ ნახე, ტიმეამ შენთვის ერთი უბრალო მადლობა და ღიმილიც კი არ გაიმეტა!"

„ახლა ეს ზღაპრული სიმდიდრე მას რომ მივუტანო და უთხრა, მიიღე, შენთვის ამოვიტანე დუნაის ფსკერიდანო, დიდად არ დაგიმადლის და ვერც შეაფასებს, ის ხომ ჯერ ისევ ბავშვია და შეიძლება ალვახაზის კოლოფი ამჯობინოს! თანაც, სულ ერთია, მის ხელში არავინ ჩააგდებს, მამობილი მიითვისებს და აღარ გამოუჩენს, ვინ დაუშლის?"

„და თუნდაც ტიმეამ მიიღოს მთელი თავისი მემკვიდრეობა, მდიდართა შორის უმდიდრესი ქალი გახდება და კიდევ უფრო მაღლიდან დაგიწყებს ყურებას, შეიძლება, აღარც კი შემოგხედოს! შენ ისევ სიღარიბეში დარჩები და მასზე ფიქრის უფლებაც არ გექნება! ახლა კი შეგიძლია ისე მოაწყო, რომ შენ გამდიდრდე და ის გაღარიბდეს. განა ამას არ ევედრებოდი, შენი ბედის ვარსკვლავს? აი, აგიხდა ნატვრა! შენ ხომ განზრახ არ ჩაგიძირავს ხომალდი? შენ ხომ მხოლოდ საკუთარ თავზე არ ფიქრობ? გადაწყვეტილი გაქვს ეს განძი ბრუნვაში გაუშვა, ერთი სამად აქციო, მიხვიდე ტიმეასთან და შე-

ნი სიმდიდრე და გული შესთავაზო, გინდა გამდიდრდე მხოლოდ იმიტომ, რომ ის გააბედნიერო, შენ სინდისი სუფთა გაქვს, უფრო კეთილშობილური ზრახვები ადამიანს არ შეიძლება ჰქონდეს!"

მთვარე ნახევრად დუნაის ტალღებში ჩაიძირა, ვერცხლისფრად აალივლივა წყლის ზედაპირი და თან ტიმარს ჩასჩურჩულა:

„ბედი კარზე მოგადგა, აბა, შენ იცი, ნურავისი შეგეშინდება, ამ საიდუმლოს ვერავინ გაიგებს, ერთადერთი ადამიანი, ვინც ამის შესახებ იცოდა, დუნაის ფსკერზე განისვენებს, სხვა კი ვერავინ მოგედავება!"

ტიმარმა თვალი გააყოლა ტალღებში მოციმციმე სხივს და შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. მთვარემ კიდევ ერთხელ ამოსძახა, „დღეიდან შენ მდიდარი კაცი ხარო!" და წყალში ჩაიმალა.

ირგვლივ ჩამობნელდა ტიმარი სულ მარტო დარჩა, ახლა უკვე საკუთარი გულისცემაც კი ესმოდა, საიდანაც იდუმალმა ხმამ ამოსძახა: „სხვისი ბედნიერება მოიპარე, ქურდი ხარო!"

ერთი საათის შემდეგ კი ოთხცხენიანი ეტლიო წმინდა ანდრიშის ტაძარს ჩაუქროლა და „ინგლისთან" გაჩერდა. ორთავიანი რაზინდს გამოსახულებიანი კარი შეაღო და სწრაფად ირბინა კიბე. მას ელოდნენ.

IV. ოქროს მადანი

...ერთხელ ჩეტატე მარეში ვიყავი.

ყოველგვარი ფანტასტიკური სიტყვაც კი უძლურია იმის გადმოსაცემად, რაც იქ ვნახე. მხოლოდ შედარებით შეიძლება ამის აღწერა.

წარმოიდგინეთ ვულკანის უზარმაზარი კრატერი, რომელიც უდიდესი ტელესკოპით მთვარეზე შეიძლება დაინახოთ. მოტიტვლებული მთა-გორები უძველეს ციხე-სიმაგრეთა ნანგრევებს გაგონებთ.

ჩეტატე მარე უზარმაზარი ცარიელი კრატერია, მის ირგვლივ ბალახსაც კი ვერ ნახავთ, სალი კლდეები და ქვის გროვებია მხოლოდ. ერთ ადგილას კლდეს ნაპრალი ჩასდევს კრატერის ფსკერამდე, აქაიქ წვეტიანი ლოდები აღმართულა, რომელთა შორის ისეა დარჩენილი ადგილი, თითქოს ტიტანთათვის ალაყაფის კარი გამოუჭრიათო.

შიგ რომ შეიხედავთ, მეორე წვეტიანმწვერვალიანი მთა მოჩანს, ისიც შიშველია და ქვა-ღორღით დაფარული. ოღონდ ქვები აქ მეტისმეტად წვრილია, მათ შორის ყველაზე მსხვილი ამეთვისტოს თვლის ოდენაა.

ესაა ჩეტატე მარე.

არ იფიქროთ, ბუნებრივი ქმნილება იყოს ეს ჩამქრალი ვულკანი, ის ადამიანის ნახელავია. ოდესღაც ამ ადგილას ოქროს მადანი ყოფილა. რომაელი დამპყრობლები მოერეკებოდნენ თურმე მონებს დაკიიდან და ოქროს ქვიშრობს ამუშავებინებდნენ. ასე წარმოიქმნა ეს კრატერი; ალაგ-ალაგ ცეცხლის ნაკვალევსაც შეამჩნევთ. მაშინ თოფის წამალი ჯერ არ იყო გამოგონებული, კლდის ასაფეთქებლად აქა-იქ ცეცხლს ანთებდნენ, შიგ ძმრის განსაკუთრებულ ხსნარს ასხამდნენ და კლდე ნამსხვრევებად იშლებოდა. აქეთ-იქით მიმობნეული ამოთხრილი მიწისაგან მთა-გორები წარმოიქმნა. ერთხელ ჩეტატე მარეს მწვერვალი ჩამოქცეულა და მაღარო ქვეშ ჩაუმარხავს. მანამდე კრატერი ორჯერ უფრო ღრმა ყოფილა. ნანგრევებში დღესაც პოულობენ რომაული კულტურის ნიმუშებს. ნაპოვნია თიხის დაფა წარწერით ოქროს მომპოვებელი მონის განთავისუფლების შესახებ, რომელშიც ჩატანებული ყოფილა მონის სატრფოს თმის კულული.

ჩეტატე მარეში ღარიბ-ღატაკი ხალხი ცხოვრობს, ისინი დღესაც კაბალურ პირობებში მუშაობენ ოქროს მოპოვებაზე. ჯოჯოხეთური შრომაა საჭირო მის მისაღებად, შემდეგ კი ეს მეფური ლითონი ადამიანებს იხდის თავის მონებად. ოქროს შემცველი ფენები მხოლოდ კლდის სიღრმეშია, თითქმის რამდენიმე წელია საჭირო მის დასამუშავებლად. ზოგჯერ კი წვალება სულ წყალში ეყრებათ ხოლმე, გაიელვებს ოქრო ყვითლად და ისე გაჰქრება, თითქოს დაიმალაო. [illegible] მეშაობა თავიდან უნდა დაიწყონ. ოქროს შემცველ ფენას დიდი სიფრთხილით ახარისხებენ მშრალ და სველ ქვასამტვრევში, შემდეგ დაფქვავენ და საცერში ატარებენ. პატარა მდინარე ვერეშ-პატაკის მთელ სიგრძეზე დილიდან საღამომდე გუგუნებენ სპეციალური დანადგარები ოქროს ნაწილაკების ქვიშისაგან გასასუფთავებლად, გრძელ გობში რჩება ამ ძვირფასი ლითონის პაწაწინა ნამცეცები, წვრილად დაფქული ქვა კი ცალკე ტომრებში იყრება; მას კიდევ მრავალნაირად ამოწმებენ, რომ ოქროს ფხვნილი არ შეჰყვეს, შემ-

დეგ სელაპის ტყავის პარკებით წნეხში ატარებენ, რომ ძირში ოქროს მტვერი დარჩეს. მას აგროვებენ და შაბათობით დიულოფეპერვარში მიაქვთ გასაყიდად.

ამას ეძახიან ოქროს მადანს.

მაგრამ ნუ ენდობით ამ სიტყვებს! აქ სიღარიბე მეფობს, ოქროს მომპოვებლები ჩამოგლეჯილ-ჩამოფლეთილნი დადიან, ქოხმახებში ცხოვრობენ, ღერღილით იკვებებიან და ჩვეულებრივზე ადრეც იხოცებიან. მათზე უფრო ღატაკი ხალხი, ალბათ, ამქვეყნად არ არსებობს!

ნამდვილი ოქროს მადანი კი სულ სხვაგან არის!

ჯარისკაცებისთვის პურის დამზადების შემდეგ ტიმარი შეძლებული კაცი გახდა. საუკეთესო სახლი იყიდა ქალაქის ცენტრში, რაცის ქუჩაზე, სადაც კომარომის რჩეული საზოგადოება ცხოვრობდა.

ეს არავის გაჰკვირვებია.

რამდენი მოიგო მან ამ საქმეში, არავინ იცოდა, მაგრამ მისი უეცარი გამდიდრება ყველას თვალში ხვდებოდა. თუმცა გასაკვირველი არაფერი იყო, კომერციაში ხშირად ხდება ასე, პირველი ნაბიჯია ძნელი, პირველი ასი ათასი ფორინტის შოვნა, თორემ შემდეგ საქმე თავისით მიდის, მით უმეტეს, თუ ბედიც გწყალობს.

ბატონი ბრაზოვიჩისთვის ცხადი იყო, ტიმარმა მასზე მეტი გადაუხადა იმას, ვინც პურის დამზადება მიანდო, მაგრამ ამდენი ფული სად იშოვა, ვერა და ვერ მიმხვდარიყო. ამ დღიდან ყოველნაირად ცდილობდა დაახლოებოდა და დამეგობრებოდა თავის ყოფილ ხელქვეითს, ხშირად პატიჟებდა სტუმრად და ტიმარიც დიდი სიამოვნებით დადიოდა მათთან. აქ მას ტიმეას ნახვა შეეძლო, რომელსაც უკვე ესწავლა უნგრული და ასეთ შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდა.

ქალბატონი ზოფიაც უკვე სხვაგვარად უღიმოდა ხოლმე, ერთხელ ატალიასაც ურჩია, მეტი ყურადღებით მოეპყარიო. ტიმარი ახლა უკვე მდიდარი კაცი იყო და საუკეთესო საქმროდ ითვლებოდა, მისი აზრით, სამ ოფიცერს მაინც სჯობდა, რომლებსაც ჯიბე გაფხეკილი ჰქონდათ და თავიანთი გაწკეპილი მუნდირისა და უამრავი ვალების მეტი არაფერი გააჩნდათ.

ატალიას გული მოსდიოდა და გესლიანად ეტყოდა ხოლმე... „აუცილებელი არ არის მეც მამაჩემის მსახურს გავყვე ცოლადო“. ქალბატონი ზოფია კარგად ხვდებოდა ამ ფრაზის დასაწყისს, „იმის გამო, რომ მამაჩემმა თავისი მოახლე ითხოვა...“ რაც ნიშნავდა, ისიც გეყოფა, რომ ჩემისთანა ბრწყინვალე ქალიშვილის დედობა გაბედეო!

ერთ საღამოს ბატონი ბრაზოვიჩი და ტიმარი მაგიდას შემოესხდნენ და ღვინის სმა დაიწყეს. ბრაზოვიჩი კარგად იტანდა ღვინოს, ტიმარს კი მალე მოეკიდა. კარგად რომ შეზარხოშდნენ, ვითომ და სასხვათაშორისოდ, ბატონი ბრაზოვიჩი შეეკითხა:

— მიხაი, გულახდილად მითხარი, როგორ მოახერხე ასე გამდიდრება. პური დიდი რაოდენობით მეც ბევრჯერ დამიმზადებია, ათასგვარი ხერხიც ვიცი, მაგრამ ასეთი მოგება ჯერ არა მქონია! აქ თითქოს ეშმაკის ხელი ურევია! ხომ წასული საქმეა, მართალი მითხარი!

— კარგი, გეტყვით, — გაეღიმა ტიმარს.

— შენობით მელაპარაკე! — შეაწყვეტინა ბრაზოვიჩმა.

— კარგი, ათანაზ, გეტყვი. ეშმაკი აქ არაფერ შუაშია. მე ხომ ჩაძირული ხორბალი ჩალის ფასად ვიყიდე, აღარ მიმიყიდია მეწისქვილეებისა და მეღორეებისათვის, როგორც ყველას ეგონა, სასწრაფოდ დავფქვი, პური გამოვაცხობინე ჯარისკაცებისათვის და კარგი მოგებაც დამრჩა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, მიხაი! აი, თურმე ვისგან უნდა ისწავლოს კაცმა ჭკუა! ისე, ჯარისკაცებს ყელზე ხომ არ დაადგათ პური?

— როგორ არა!

— მერე, არ იჩივლეს?

— იჩივლეს, მაგრამ რას დამაკლებდნენ, მთელი საინტენდანტო მოსყიდული მყავდა!

— ციხის კომენდანტი?

— ისიც.

ბატონ ბრაზოვიჩს თვალები ეშმაკურად აუციმციმდა.

— ესე იგი ჯარისკაცებს შენ აშმორებული ხორბლის პური აჭამე?

— ჰო, ჰო, — ჩაიცინა მიხაიმ, — არაფერია, მაგათი კუჭი აიტანს.

— ყოჩაღ, მიხაი, ყოჩაღ! ოღონდ ამის შესახებ არავისთან წამოგცდეს, მე არ გაგცემ, მაგრამ შენმა მტრებმა რომ გაიგონ, იცოდე, ძვირად დაგისვამენ!

ტიმარს ვითომ შეეშინდაო, შეშფოთებულმა შეხედა ბრაზოვიჩს და ხელებზე კოცნა დაუწყო, არსად წამოგცდეს და არ დამღუპოო. იმანაც დაამშვიდა, ნუ გეშინია, არ გაგცემო, შეგიძლია ჩემი იმედი გქონდესო, და მსახურს უბრძანა, ბატონი ტიმარი ფარნით სახლამდე მიეცილებინა, თან გააფრთხილა, თუ სიარული გაუჭირდეს, ხელი მოჰკიდე და მიეხმარეო.

რამდენიმე ხანში მსახური დაბრუნდა და მოახსენა, ტიმარმა ბარბაცით ძლივს მიაღწია თავის სახლამდე, ყველა კარზე აკაკუნებდა, თავისი ეგონა, ისე უგონოდ მთვრალი იყოო და როგორც კი ლოგინში ჩავაწვინე, მკვდარივით დაეძინაო.

მაგრამ ტიმარმა სიმთვრალე განგებ მოიგონა, როგორც კი ბრაზოვიჩის მსახური წავიდა, წამოხტა ლოგინიდან და წერილების წერაში დაათენდა თავზე. ის დარწმუნებული იყო, რომ ბრაზოვიჩი მის ამბავს მთელ ქალაქს მოსდებდა, პირველ რიგში კი, სადაც საჭირო იყო იქ განაცხადებდა.

იმ დროს სახელმწიფო ადმინისტრაციული აპარატის დევიზი იყო: „stehlen und stehlen lassen" — „მოიპარე და სხვასაც მოაპარინე". რა თქმა უნდა ამით ყველა კმაყოფილი რჩებოდა, მაგრამ ამის საპირისპიროდ საფრანგეთიდან შემოსული წესიც ძალაში იყო: „ôte toi, que je m'y mette". შენ ხომ გამდიდრდი, მეც ნუ დამივიწყებ!"

სახელმწიფო მოხელეები ერთმანეთს ეცილებოდნენ მეწველი ძროხის ახლოს ადგილების დაკავებაში, ერთნი რომ სწველიდნენ, მეორენი რქებით დაითრევდნენ ხოლმე და ხელიდან გამოაცლიდნენ, რომ რძე მხოლოდ თვითონ რგებოდათ.

სამი სამეფო კანცელარიის გარდა კიდევ იყო საკომერციო და საფინანსო პალატა, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სამეფო სამხედრო საბჭო, საიმპერიო საცენზურო და ქანდარმერიის საბჭო, სახელმწიფო საიდუმლო და საკარო კანცელარია და ბოლოს გენერალური სტატისტიკური დირექტორია.

მთელი სიბრძნე იმაში მდგომარეობდა, რომ გამოგეცნო, ამ რთული მექანიზმის რომელი ბორბალი უნდა აგემოძრავებინა საქმის მოსაგვარებლად. ვისი დახმარება აჯობებდა, როგორ და რანაირად? ვინ რითი უნდა გესიამოვნებინა შენი ჩანაფიქრის განსახორციელებლად? ეს იყო ყველაზე მთავარი!

ამიტომაც ტიმარს არ გაჰკვირვებია, როცა ბატონ ბრაზოვიჩთან დროსტარების შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს ციხე-სიმაგრეში გამოიძახეს და საფინანსო და საკომერციო საბჭოს მთავარმა მრჩეველმა საკმაოდ ცივი, ოფიციალური ტონით გამოუცხადა, რომ აქ დარჩებოდა გამოძიების ჩატარებამდე მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ და სახლისა და კანტორის გასაღებები ჩამოართვა. ყოველგვარი მისი საბუთი და ჩანაწერი უნდა გადაესინჯათ.

საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო.

საიდუმლომ, რომელიც ტიმარმა ბრაზოვიჩს გაანდო, სახელმწიფო ფინანსთა და კომერციული პალატის ყურამდე მიაღწია, რომელიც მუდამ სამხედრო სამინისტროს ექიშპებოდა. მას შემთხვევა მიეცა, სააშკარაოზე გამოეტანა მეტოქის ფარული ბოროტმოქმედება და სამხედრო დაკვეთები თავის ხელში მოექცია, რასაც სამივე საიმპერიო კანცელარია მხარს უჭერდა.

ეს ამბავი სახელმწიფო კანცელარიამაც გაიგო და სპეციალური კომისია შექმნა საქმის შესასწავლად, რომელიც სასტიკად გააფრთხილა არავინ დაენდო და მკაცრი ზომები მიეღო, საჭირო შემთხვევაში სამხედრო საბჭოს მთელი საინტენდატო კორპუსი დაეთხოვათ, დაეპატიმრებინათ კომენდანტი და სამხედრო ოლქის უფროსი, მთავარი ინტენდანტი კი სამართალში მიეცათ. ერთი სიტყვით, ნაბრძანები იყო, საქმე ბოლომდე მიეყვანათ. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, ანონიმურ წერილში დაწვრილებით იყო აღნიშნული ბოროტმოქმედების ფაქტები. ერთი შემთხვევაც რომ დადასტურებულიყო ჯარისკაცებისათვის შმორიანი პურის დამზადებისა, ტიმარს ვეღარაფერი უშველიდა.

კომისია მთელი რვა დღე-ღამის განმავლობაში შეუსვენებლივ მუშაობდა. მოუსმინეს ყველა მოწმეს, დაჰკითხეს ყველა, ვინც კი ამ საქმეში იყო გარეული, ადგილობრივი ხელისუფალნიც კი მოიშველიეს, მაგრამ ტიმარის წინააღმდეგ ერთი სიტყვაც არავის დასცდენია.

გამოირკვა, რომ ჩაძირული ხომალდიდან გადმოტვირთული მთელი ხორბალი ტიმარს ახლო-მახლო სოფლების მეწისქვილეებისა და გლეხებისათვის მიეყიდა და ჯარისკაცებისათვის გამომცხვარ პურში იქიდან ერთი მარცვალიც არ ერია. გამოიძახეს ჯარისკაცებიც, მაგრამ ყველამ ერთხმად განაცხადა, ასეთი გემრიელი პური ჯერ არ გვიჭამიაო.

ანონიმური წერილით წაყენებული ბრალდება არ დადასტურდა. პირიქით, გამოირკვა, რომ ტიმარს შედარებით იაფადაც კი დაემზადებინა საუკეთესო ხარისხის პური. ახლა უკვე სამხედრო საბჭოს შეეძლო იქით შესდავებოდა უსაფუძვლო გამოძიებისათვის. ოფიცრები აღშფოთებულნი იყვნენ ამ შეურაცხყოფით და იმუქრებოდნენ, ამ საქმეს ასე არ დავტოვებთო.

შეშინებულმა კომისიამ სასწრაფოდ გაამართლა დამნაშავენი, ტიმარს ათასჯერ მოუხადა ბოდიში, რომელმაც სულგრძელად აპატია და ამ ოქროკაცით აღფრთოვანებულმა სასწრაფოდ დატოვა კომარომი.

საპატიმროდან გამოსულ ტიმარს პირველი კაჩუკა შეეგება, ხელი ჩამოართვა, საქმის კეთილად დაბოლოება მიულოცა და უთხრა:

— მეგობრულად გირჩევ, ეს საქმე ასე არ დატოვო! წარმოიდგინე, ჩემშიც კი გაბედეს ეჭვის შეტანა, შენგან მოსყიდული ვეგონე! სასწრაფოდ გაემგზავრე ვენაში და მოითხოვე პასუხი აგებინონ დამნაშავეს, მაბეზღარა და ცილისმწამებელი სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს! შიში ნურაფრის გექნება, სიმართლე შენს მხარეზეა! თონე სანამ ცხელია, პური მანამ უნდა ჩააკრა!

ტიმარმა აღუთქვა, ასეც მოვიქცევიო.

ბატონ ბრაზოვიჩს რომ შეხვდა, იმასაც თავისი გეგმები გაანდო, მტერს სამაგიერო უნდა მივუზღაო .

— რა თქმა უნდა! — მოუწონა ვაჭარმა, — პირდაპირ აღშფოთებული ვარ ამ უსამართლობით! იმ არამზადამ მაინც როგორ გაბედა ასეთი უსინდისო ცილისწამება?

— ვინც უნდა იყოს, სულ ერთია, ვიპოვი და გავუსწორდები, ძვირად დავუსვამ ამ ოინს! ზეგ ვენაში მივდივარ საიმპერიო კანცელარიაში საჩივრის შესატანად!

— კარგს იზამ, აუცილებლად უნდა წახვიდე! — უპასუხა ბატონმა ბრაზოვიჩმა, გულში კი გაიფიქრა: „წადი, მეც იქ დაგხვდებიო“, და ერთი დღით იმაზე ადრე ჩავიდა ვენაში. ტიმარისათვის უნდა დაესწრო, რომ თავისი გავლენიანი ნაცნობების წყალობით ბიუროკრატიულ ლაბირინთში გაეხვია, საიდანაც თავს ვეღარ დააღწევდა. (ეს აუარებელი ფული დაუჯდა, მაგრამ რა გაეწყობოდა?!)

საიმპერიო კანცელარია ტიმარის საქმეს საფინანსო საკომერციო პალატას გადასცემდა, აქედან იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გადაგზავნიდნენ, რომელიც გაუთავებელ მიმოწერას გააბამდა ამის ეანო

საიმპერიო საცენზურო და ჟანდარმერიის საბჭოებთან და ბოლოს მას საიდუმლო კანცელარიაში გაუშვებდნენ. მისი აზრით გამოუცდელი და მიამიტი სიმართლისმაძიებელი ბოლოს და ბოლოს მოთმინებას დაკარგავდა და აღშფოთებული ბიუროკრატ მოხელეებს წაეჩხუბებოდა, რომლებიც მაშინვე აღძრავდნენ მის წინააღმდეგ ახალ საქმეს საიდუმლო კანცელარიაში და იქამდე მიიყვანდნენ, რომ შეხვეწნოდა, ოღონდ გამიშვით აქედან, აღარაფერს დავეძებო. თანაც სამედამოდ დაეკარგებოდა სიმართლის ძიების სურვილი.

მაგრამ ტიმარს ასე ადვილად ვეღარავინ დაუგებდა მახეს. ის უკვე დიდი ხანია მიხვდა თავის „კეთილისმსურველთა" ფარულ აზრებს, უკვე იცოდა, რომ ყოველ ნაბიჯზე მის მოტყუებას შეეცდებოდნენ და ფრთხილობდა, ანკესს არ წამოგებოდა.

მას შემდეგ, რაც პირველად იცრუა და პირველი დანაშაული ჩაიდინა, ეშმაკობაც შეემატა და გამოცდილებაც. მიხვდა, რომ მტრისთვის გული არ უნდა გადაეშალა და სიმართლე არასოდეს არ უნდა ეთქვა. ეს მოხდა პანჩოვოში, სადაც ასე ოსტატურად გააცურა საბაჟოს მოხელეები შემოწმებისას, მაგრამ მაშინ ის სხვის ინტერესებს იცავდა და არაფერი პირადული არ ამოძრავებდა, თავის მოვალეობას ასრულებდა მხოლოდ.

ახლა კი საკუთარი თავის დაცვა იყო საჭირო.

თავის ზღაპრული სიმდიდრის დამალვა მას არ უნდოდა, ამიტომ ხალხის თვალში როგორმე ისე უნდა მოეწყო, რომ იღბლიან კაცად ჩაეთვალათ, რომელსაც ბედი სწყალობდა და საქმე კარგად მისდიოდა. მას ხომ პირველივე ცდამ გაუმართლა და დიდი მოგება მისცა, თუკი ვინმე იფიქრებდა, რომ კონტრაბანდას ეწეოდა, საშიში არ იყო, ვერ დაუმტკიცებდნენ.

ჯარისკაცებისათვის პურის დამზადებით სინამდვილეში ტიმარს მოგება არ დარჩენია, პირიქით, დანახარჯი ძლივს აანაზღაურა, მაგრამ ამის შემდეგ რომ სახლი და პატარა გემები იყიდა და თანაც სულ ოქროთი იხდიდა ფულს, ყველა ფიქრობდა, ამით გამდიდრდაო. მასაც მხოლოდ სახელი სჭირდებოდა იღბლიანი კომერსანტისა, რომ მისი წყალობით ალი ჩორბაჯის განძეული ბრუნვაში გაეშვა.

როგორც კი ვენაში ჩავიდა, იმის მაგივრად, რომ საჩივარი აღეძრა, რაშიც მთელი სამხედრო საბჭო მხარს უჭერდა და კომარომელი მფარველებისაგან უამრავი სარეკომენდაციო წერილი ჰქონდა წამოღებული გავლენიან პირებთან, ისინი ხელჩანთაში დატოვა და სა-

ხელმწიფო პალატის კანცელარიისაკენ გაეშურა მინისტრთან აუდენციის სათხოვნელად.

მინისტრს მისი მისვლა არ გაჰკვირვებია, მაგრამ მის კაბინეტში ფანჯრიდან გადაძვრომას რომ არ შეეცადა, ამან ფრიად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და მაშინვე აუდენციის ნება დართო.

მინისტრი მაღალი, წარმოსადეგი კაცი იყო, ოდნავ მელოტი, სუფთად გაპარსული სახით, ორმაგი ნიკაპითა და საკმაოდ მკაცრი გამომეტყველების მქონე თვალებით. მკერდზე უამრავი რეგალია ებრწყინავდა. მან შემოსულს ახედ-დახედა, მისი ულვაშები შეათვალიერა და ხელები ფრაკის ქვეშ დაიწყო. ტიმარი ჩვეულებრივ, შავ უნგრულ კოსტიუმში იყო გამოწყობილი.

— აუდენციაზე ხმლის გარეშე რატომ მოსულხართ, თავადო? — ჰკითხა მინისტრმა მცირე პაუზის შემდეგ.

— აზნაური არ გახლავართ, თქვენო ბრწყინვალებავ!

— ჰმ.. თქვენ, მგონი, საჩივრის აღძვრა გინდათ, თქვენს მიმართ უსამართლოდ წაყენებული ბრალდების გამო?

— არა, თქვენო ბრწყინვალებავ, საჩივლელად არ მოვსულვარ. სახელმწიფო მოხელეებმა თავიანთი მოვალეობა შეასრულეს მხოლოდ, ისინი მოვალენი იყვნენ ჩემს გარდა ბევრი საკმაოდ მაღლა მდგომი პიროვნების საქმეც შეემოწმებინათ, და რამდენადაც მე აზნაური არ გახლავართ, უსაფუძვლო იქნებოდა, მომემართა თქვენთვის საჩივრით primae nonus-ის წესების დარღვევისათვის. პირიქით, მე მადლობელიც კი ვარ, როგორც დამბეზღებლის, ისე გამომძიებელი კომისიისა, რომ საკმაოდ მკაცრი შემოწმების შედეგად ჩემი პატიოსნება და სახელმწიფოს დაკვეთის შესრულებაში დიდი გულსხმიერება დამტკიცდა.

— ოო, ესე იგი, თქვენ არ უჩივით ანონიმური წერილის ავტორს?

— არა, ეს საჭიროდ არ მიმაჩნია, პირიქით, ამან ის შეიძლება გაბოიწვიოს, რომ სხვა დროს პატიოსანმა ადამიანებმა აღარ გაგაფრთხილონ თქვენ ნამდვილ ბოროტმოქმედებაზე. ჩემთვის ისიც საკმარისია, რომ გამამართლეს სამაგიეროს გადახდაზე არც ვფიქრობ, ამაზე დროის დაკარგვა არ ღირს.

მისმა აღმატებულებამ ამის გაგონებაზე ტიმარს მეგობრულად მოხვია ხელი.

— მომწონს თქვენი გადაწყვეტილება, გონიერი კაცი ყოფილ-

ხართ, ეს ამბავი მართლაც ბევრ დროს წაგვართმევდა. აბა, ახლა მომახსენეთ, რისთვის მოსულხართ?

— ერთი ხელსაყრელი წინადადება მინდა შემოგთავაზოთ.

— წინადადება?

— დიახ! ოღონდ თქვენი დახმარება და მფარველობა მჭირდება.

— გისმენთ!

— ავსტრიის იმპერიის მფლობელობაში შედის ილირიის მოსაზღვრე მიწები ლევეტინცში.

— დიახ! — შუბლი შეიკრა მინისტრმა, — მერედა რა გნებავთ?

— იმ მხარეში ბევრჯერ შემისყიდნია ხორბალი და იმ ადგილებს კარგად ვიცნობ. ის იჯარითა აქვს აღებული ვენის ბანკირს, ზილბერმანს. ჰოლდი ორმოც კროიცარად. იჯარით აღების ხელშეკრულების კომპეტენცია სახელმწიფო პალატის ხელშია, მაშინ როცა მიწის საფასური სამხედრო საბჭოს ეძლევა და საერთო თანხა წელიწადში ოცი ათას ფორინტს შეადგენს. ზილბერმანს მიწა სამად აქვს გაყოფილი და თავის მხრივ სხვებს აძლევს იჯარით ჰოლდს ფორინტად.

— რა არის ამაში ცუდი? მანაც სომ უნდა ნახოს მოგება?

— მართალი ბრძანდებით! მაგრამ მოიჯარადრეებმა კიდევ უფრო ჰატარა ნაკვეთებად დაჰყვეს მიწა და ადგილობრივ გლეხებს დაურიგეს მეტად მაღალ ფასებში. გლეხები ნატურით უხდიან საფასურს. ახლა კი, ორი უკანასკნელი მოუსავლიანი წლის შემდეგ, განსაკუთრებით კი წლევანდელი გვალვის გამო, იმდენი მოსავალიც ვერ აიღეს, რაც დათესეს. მიწათმოქმედებმა იჯარა ვეღარ გადაიხადეს, ზილბერმანმა თავი გაკოტრებულად სცნო და ხაზინაში შარშან აღებული ფული შეიტანა.

მისმა აღმატებულებამ აღშფოთება ვეღარ დამალა:

— უყურე ერთი, მაგ უქნარას, ბატონკაცურად კი ცხოვრობს და ხალხმა ეკვი რომ არ აიღოს, რვაათას ფორინტად ღირებული ცხენებით დაბრძანდებოდა, რომლებიც ახლა საჯარო ვაჭრობით იყიდება! მე მინისტრი ვარ, ჩემო ბატონო, და ისეთი ცხენები მეც კი ვერ შემიძენია!

ტიმარმა ისეთი სახე მიიღო, ვითომ ეს ვერ გავიგეო, და განაგრძო, — სახელმწიფო პალატა საჯარო საფასურს წელს ვერ მიიღებს, ვინაიდან, როგორც მთავარი მოიჯარადრის, ისე დანარჩენების მთე-

ლი ქონება მათი ცოლების სახელზეა გაფორმებული, როგორც მათი მზითევი, მაშინ, როცა, სამხედრო საბჭოს სალაროს ოცი ათასი ფორინტი აკლია და გადწყვეტილი აქვს ეს თანხა სახელმწიფო პალატის ბიუჯეტიდან შეივსოს.

მისმა აღმატებულებამ სათუთუნე გახსნა და ტიმარს მიაჩერდა.

— ჩემი უმორჩილესი თხოვნაა, — განაგრძო ტიმარმა, — ნება დამრთოთ, იჯარით ავიღო ლევეტინცის მამული სახელმწიფოსაგან ათი წლის ვადით, ჰოლდი ფორინტად.

— საინტერესოა!

— მოგეხსენებათ, რომ ახლა ნოემბერია და ეს წელი უკვე დაკარგულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მზადა ვარ დაუყოვნებლივ ავიღო მიწები და გასული წლის საფასურიც გადავიხადო.

მინისტრმა ოქროს სათუთუნე დახურა და მოსაუბრის წინადადებით აღფრთოვანებულმა გაიფიქრა: „მართლაც რომ ოქროკაცი ჩანს, ჭკუაც უჭრის და იმასაც კარგად ხედავს, რომ სახელმწიფო პალატა სამხედრო საბჭოსთვის ჯარის დაკვეთების უფლების ჩამორთმევაზე ოცნებობს და რომ კომარომში გამოძიებაც მხოლოდ ამის გამო მოეწყო. კომისია ვერაფერს გახდა, სამხედრო საბჭომ გაიმარჯვა გავლენიანი მფარველების წყალობით. ახლა კი სახელმწიფო პალატისთვის საზღვრისპირა რაიონების მიწათსარგებლობის უფლების ხელიდან გამოცლაც უნდათ. ისევ „bona vacca!“ საჭიროა, ამ ხელსაყრელი საბაბის, ზარალის, გამოყენება, რომელიც ხაზინას ლევეტინცის არენდატორის გაკოტრებამ მიაყენა. ეს ადამიანი კი, რომელსაც პალატამ დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მიაყენა. მის მტრებს კი არ მიემხრო, პირიქით, მასვე უწევს დახმარებას ამ გაჭირვებიდან თავის დაღწევაში. მართლაც რომ ოქროკაცია! უნდა დავაფასოთ!“ ხმამაღლა კი ეს უთხრა:

— ჩინებულია! ვხედავ, რომ ნამდვილად ღირსეული ადამიანი ხართ! მიუხედავად უსამართლო დაჩაგვრისა, ჩვენი არ დაიწყეთ, ჩვენ ამას გავითვალისწინებთ და თქვენ დარწმუნდებით, რომ არ შემცდარხართ, თქვენისთანა გონიერი კაცი სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა. ასეთ კეთილშობილურ საქციელს დიდად დავაფასებთ და ამის დასტური თქვენი თხოვნის დაკმაყოფილება იქნება. შეგიძლიათ დღეს საღამოსვე შემოიაროთ ჩემს კანცელარიაში და პასუხი მიიღოთ!

ტიმარმა მინისტრს წინასწარ გამზადებული წერილობითი თხოვნა გადასცა, მდაბლად დაუკრა თავი და დარბაზი დასტოვა.

ამის ბრწყინვალებას საუცხოო შთაბეჭდილება დარჩა მასზე. ჯერ ერთი, მან უარი თქვა საჩივარზე, რაც პალატას დიდ უსიამოვნებაში ჩააგდებდა, მეორეც, სახელმწიფოს მომგებიანი კონტრაქტი შესთავაზა, რაც ხაზინას ორჯერ მეტ შემოსავალს მისცემდა ადრინდელთან შედარებით, და ბოლოს, მისი მეშვეობით სახელმწიფო პალატა სამხედრო საბჭოსთან ორთაბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდოდა! არა, ეს ნამდვილად ოქროკაცი იყო, სამგზის ოქროკაცი!

მინისტრს კიდევ ერთი ამბავიც რომ სცოდნოდა, იტყოდა, ოთხგზის ოქროკაციაო, მაგრამ ეს მხოლოდ სადილზე სახლში მისვლისას შეიტყო. მეჯინიბე ეახლა და მოახსენა, ერთი უნგრელი გახლდათ, თქვენი დავალებით ნაყიდი ბანკირ ზილბერმანის რვაათასფორინტიანი ცხენები მოგართვათო.

ამ მოულოდნელი სიურპრიზით აღფრთოვანებულმა გაიფიქრა, ოთხგზის ოქროკაცი ყოფილაო!

საღამოხანს კი ,როცა ტიმარი პასუხის მისაღებად მის კანცელარიაში შევიდა, ყველა მოხელე მოწიწებით უღიმოდა. მათ სახეზე თითქოს ოქროს ათინათი ბრწყინავდა.

მისი აღმატებულება კარებშივე შეეგება მას და საწერ მაგიდასთან მიიყვანა, სადაც უკვე გამზადებული პაკეტი იდო.

— აბა, წაიკითხეთ!

პირველი, რაც თვალში მოხვდა ტიმარს, ეს იყო, იჯარით აღების ვადა არა ათი, არამედ ოცი წლით.

— საუცხოოა!

მეორე კი, რამაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, მისი ახალი წოდება „აზნაური მიხაი ტიმარ ლევეტინცი“ გახლდათ.

— როგორ მოგწონთ თქვენი ახალი ტიტული?

— ლამაზად ჟღერს, — გაეღიმა ტიმარს.

— სიგელს, თქვენთვის აზნაურობის ბოძების შესახებ ახლავე გამოვაგზავნით!

ტიმარმა ხელი მოაწერა კონტრაქტს და მდაბლად დაუკრა თავი მის მაღალაღმატებულებას.

— მოითმინეთ, რატომ ჩქარობთ? — შეაჩერა მინისტრმა, — ერთ საკითხზე მინდა მოგესაუბროთ. მთავრობის წმიდათაწმიდა

მოვალეობაა ღირსეულად აღნიშნოს და დააფასოს ქვეშევრდომთა ერთგულება, მხედველობიდან არ გაძორჩეს ისინი, ვინც კეთილსინდისიერად ასრულებს თავის პატრიოტულ მოვალეობას. ჩვენი სურვილია, სამეფო ორდენით პირველ რიგში დავაჯილდოვოთ ის, ვისაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ეროვნული მეურნეობისა და ეკონომიკის განვითარებაში. რას იტყოდით, ხომ არ გეგულებათ ვინმე, ამ ჯილდოს ღირსი?

მისი მაღალიმატებულება, რა თქმა უნდა, ფიქრობდა, რომ ტიმარი საკუთარ თავს დაუსახელებდა, ჩემზე უკეთესს ასეთს ვერავის იპოვითო და არც იქნებოდა გასაკვირველი, ასეთ შეკითხვაზე სხვაგვარი პასუხი უაზრობაც იქნებოდა, მაგრამ საბოლოოდ განცვიფრდა, როცა ტიმარმა მცირე ჩაფიქრების შემდეგ უპასუხა:

— თქვენო ბრწყინვალებავ, არის ერთი პატიოსანი, ყველასაგან პატივცემული ადამიანი, რომელიც ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრში ათენ-აღამებს, ეს გახლავთ პლესკოვაცის მღვდელმთავარი, კირილ შანდოროვიჩი; ჩემის აზრით, ყველაზე მეტად ის იმსახურებს ამ მაღალ ჯილდოს.

მინისტრს ვერ წარმოედგინა, რომ არსებობდა ქვეყნად ადამიანი, რომელიც ასეთ დროს საკუთარ თავზე მაღლა სხვას დააყენებდა, ტიმარმა კი რომელიღაც მიყრუებული სოფლის მღვდელი გაიხსენა, რომელიც კათოლიკეც კი არ იყო და, რა თქმა უნდა, მისი არც ნათესავი იქნებოდა და არც მეგობარი.

ეს კაცი ნამდვილი ბაჯაღლო ოქრო იყო, რომლის დასამუშავებლად ოქრომჭედელს სამი კარატი ვერცხლი მაინც დასჭირდებოდა.

— მაშ ასე, სამეფო ორდენს თქვენს მიერ დასახელებული მღვდელი მიიღებს, ოღონდ მანამდე წერილობითი განცხადება უნდა წარმოგვიდგინოს თავისი თანხმობის დასტურად.

— მღვდელმთავარი მეტად თავმდაბალი და მორიდებული კაცია, თქვენო ბრწყინვალებავ, თავს ნებას არ მისცემს ასეთი თხოვნით მოგმართოთ, თუ თქვენგან წინასწარ არ იქნება გაფრთხილებული.

— გასაგებია, ახლავე მიეწერ, თქვენი რეკომენდაცია სავსებით საკმარისია, სახელმწიფომ სწორედ ასეთ ფარულ ქველმოქმედ მოღვაწეებს უნდა მიაქციოს ყურადღება.

მაშინვე საწერ-კალამი აიღო და პლესკოვაცის მღვდელმთავარს, კირილ შანდოროვიჩს მისწერა, რომ წლების მანძილზე მისი დამსახურება, სახელმწიფოსა და ხალხისადმი ერთგული და პატიოსანი

სამსახური მთავრობის მახვილ თვალს არ გამოჰპარვია და თუ თვითონაც თანახმა იქნება, განზრახული აქვთ მისი დაჯილდოება სამეფო ორდენით.

ტიმარმა უღრმესი მადლობა გადაუხადა ბატონ მინისტრს ესოდენი დაფასებისათვის, მან კი თავის მხრივ აღუთქვა, რომ მფარველობას შემდგომშიც არ მოაკლებდა.

სამინისტროს დარბაზებსა და სამუშაო ოთახებში გავლისას ტიმარმა თვალი გადაავლო იქ მსხდომ ხალხს, რომლებიც, ვინ იცის, საიდან არ ჩამოსულიყვნენ და მოთმინებით ელოდნენ, როდის გამოიძახებდნენ და დარწმუნდა, რომ ის სულ სხვაგვარად მიიღეს. ნაცვლად იმისა, რომ რამდენიმე კვირა დაეკარგა იმათსავით ამ ბიუროკრატიულ ლაბირინთში, სულ ერთ საათში მოათავა თავისი საქმე. ოქროს ბრწყინვალება ყველგან გზას უნათებდა.

საღამოხანს ტიმარმა საბუთები ტყავის ჩანთაში ჩააწყო და ჩქარი ნაბიჯით სასტუმრო „ოქროს ცხვრისკენ“ გაემართა, სადაც ნერგეშ-უიფალუშელი მეეტლეები ჩერდებოდნენ ხოლმე. ვახშამსა და დასვენებაზე არც უფიქრია, სამიკიტნოში მოხარშული ძეხვი და ფუნთუშა იყიდა საგზაოდ და ერთ-ერთ მეეტლეს მიუახლოვდა.

— ძალიან მეჩქარება, ახლავე შეაბი ცხენები, ყოველ მილზე ფორინტს გიხდი ღვინისთვის, სიჩქარეში კი ორმაგ გასამრჯელოს მიიღებ!

ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა და ორ წუთში ეტლი უკვე ვენის ქუჩებში მიჰქროდა. ამაოდ უყვიროდა პოლიციელი, ქალაქში მათრახის ქნევა არ შეიძლებაო, ყურადღებას არავინ აქცევდა.

ვენიდან ზიმონში ფოსტა ცხენებით გადაჰქონდათ იმ დროისათვის. საფოსტო სადგურებში დღე და ღამე მორიგეობდნენ მეეტლეები. და როგორც კი მოახლოებული ეტლის ბორბლების ხმაურს გაიგონებდნენ, მაშინვე გამოჰყავდათ საჯინიბოდან დასვენებული ცხენები და მგზავრს დაუყოვნებლივ შეეძლო გზა განეგრძო, რა ამინდიც არ უნდა ყოფილიყო. რაც უფრო მეტს იხდიდა მგზავრი, მით უფრო დაუზოგავად მიერეკებოდა მეეტლე ცხენებს.

ორი დღე-ღამის განმავლობაში ტიმარი შეუსვენებლივ მიჰქროდა, სასადილოდაც კი არ გადმოსულა სადგურში; როგორც კი ზიმონში ჩავიდა, დიდხანს არ დაუყოვნებია, მაშინვე ლევეტინცში გა-

ემგზავრა, მოძებნა მამასახლისი, ახალი მოიჯარადრე ვარო, უთხრა და დაავალა გლეხებისთვის გამოეცხადებინა, რომ მიწა დაემუშავებინათ, რაშიც მოსავლის ნახევარს აძლევდა. ორი წლის ნასვენ მიწაზე ზღვა მოსავალი მოვიდოდა, თუ ამინდიც ხელს შეუწყობდა, შეიძლება კიდევაც მოესწროთ საშემოდგომო ხორბლის დათესვა.

— ეს ყველაფერი კარგია, ბატონო, მოხვნასაც მოვასწრებთ, ოღონდ სათესლე ხორბალი არა გვაქვს და ვერც ვიშოვითო, — განუცხადა მამასახლისმა, — ახლა დიდი ფულიც რომ შეაძლიო, არავინ მოგცემს. მდიდრებმა უკვე დათესეს, ღარიბი გლეხობა კი სიმინდსაც ძლივს შოულობს.

— თესლს მე გიშოვით! — დააიმედა ტიმარმა გლეხები.

ასე მოიარა ყველა სოფელი. გლეხებმაც მაშინვე გამოიტანეს გუთნები და მიწის ხვნა დაიწყეს.

სათესლე ხორბლის შოვნა არც ისე იოლი საქმე იყო, ახლო-მახლო არავის ჰქონდა, ვალახიიდან გემებით ჩამოტანას ვერ მოასწრებდნენ, მაგრამ ტიმარმა იცოდა, სადაც უნდა ეძებნა. მეორე დღესვე პლესკოვაცში ჩავიდა, სადაც რამდენიმე თვის წინ კინაღამ ჯოხებით სცემეს და მისი უწმინდესობა, მღვდელმთავარი კირილ შანდოროვიჩი ინახულა.

— რაო, შვილო ჩემო, კიდევ მოხვედი? — შეეგება ეს დიდად პატივცემული ღვთის მსახური, რომელიც მისი თავმდაბლობა რომ არა, ალბათ, უკვე დიდი ხანია მიიღებდა სახელმწიფოსაგან ჯილდოს თავისი უანგარო და კეთილსინდისიერი მოღვაწეობისათვის. — რაზე მოსულხარ? ხორბალი თუ გინდა, უკვე ორი თვის წინ გითხარი, რომ არა მაქვს. ვერაფერს მიიღებ ჩემგან! ვიცი შენი ათასნაირი ხრიკის ამბავი, სულ ერთია, არაფერს დაგიჯერებ, არ გენდობი!

— მე თქვენთან კეთილი განზრახვით მოვედი! — გაეღიმა ტიმარს.

— ვერ დაგიჯერებ, ვაჭრები ყველანი ერთნაირები ხართ, პატიოსანი ხალხის მოტყუებას ცდილობთ მხოლოდ! ხმას ავრცელებთ ხოლმე, ზღვა მოსავალი მოვიდა ყველგანო, რომ ხორბლის ფასი დასცეთ, ტყუილი ძვალსა და რბილში გაქვთ გამჯდარი.

— მხოლოდ სიმართლეს მოგახსენებთ, თქვენო უწმინდესობავ. მთავრობის დავალებით ვარ მოსული და მისი სახელით გთხოვთ ბეღელი გახსნათ. მთავრობამ იცის, აქაურ გლეხებს სათესლე ხორბა-

ლი რომ არა აქვთ და გადაწყვიტა სესხად მისცეს. ეს წმინდა საქმეა და ახლა თქვენც, ღვთის მსახური უფრო დიდ სამსახურს ვერასოდეს გაუწევთ მას. ჩემი სიტყვების სიმართლეში რომ დარწმუნდეთ, ხორბალს მე კი არ წავიღებ, გლეხებს გამოვაგზავნი.

— გლეხებს რომ ხორბალი არა აქვთ, შვილო ჩემო, ვიცი და ძალიანაც მეცოდებიან, მაგრამ არც მე მაქვს და რით დავეხმარო? მართალია ბეღელი დიდი მაქვს, მაგრამ ცარიელია.

— ცარიელი არ არის, თქვენო უწმინდესობავ, შარშანდელი ხორბალიც კი გაქვთ, სანაძლეოს დავდებ, სულ ცოტა ათი ათასი საწყაო მაინც გექნებათ, აი ვნახოთ!

— არაფერიც არა მაქვს და არც ბეღელში შეგიშვებ! რომც მქონდეს, ხუთ ფორინტადაც არ გავყიდი საწყაოს, გაზაფხულზე ფასები აიწევს, შვიდ ფორინტს მომცემენ და მაშინ ვილაპარაკოთ! ისე კი სცრუობ, მთავრობა აქ არაფერ შუაშია, ჩემი მოტყუება გინდა, მაგრამ ვერაფერს გახდები! მთავრობა ან შენ საიდან გიცნობს, ან მე, ვინა ვართ ჩვენ მისთვის?

ამ ძველი ციხე-სიმაგრის აღება არც ისე იოლი იყო, საჭირო გახდა მძიმე არტილერიის გამოყენება და ტიმარმა ჯიბიდან მინისტრის წერილი ამოიღო.

მისმა უწმინდესობამ ეს რომ წაიკითხა, საკუთარ თვალებს არ დაუჯერა, მაგრამ სახელმწიფო სავაჭრო და საკომერციო პალატის სამინისტროს ფურცელი ორთავიანი არწივის გამოსახულებიანი ბეჭდით, საკმარისი აღმოჩნდა მის დასარწმუნებლად.

ნატვრა აუხდა მღვდელმთავარს, რამდენი ხანი იყო სამეფო ორდენზე ოცნებობდა! ტიმარმა ეს კარგად იცოდა, ერთხელ, ხორბლის მიყიდვის შემდეგ მაღარიჩის დალევისას წამოცდა, სულ სერბიის პატრიარქს აჯილდოებენ და სხვას ვერავის ამჩნევენო. დიახ, მას ოცნებად ჰქონდა გამხდარ მკერდზე სამეფო ორდენის დაბნევა, რომ ყველას დაენახა, როგორ აფასებდა მის ღვაწლს მთავრობა და თვით მაზრის უფროსიც შურით გამსკდარიყო. მაშინ პატრიარქიც ანგარიშს გაუწევდა და მეტი პატივისცემით მოექცეოდა.

მაშინვე შეცვალა საუბრის კილო, მოწიწებით სკამი შესთავაზა და გაუღიმა.

— ჩამოჯექი, შვილო ჩემო, და ერთი დაწვრილებით მომიყევი, როგორ მოახერხე მის მაღალაღმატებულებასთან ასე დაახლოება, რომ ეს მნიშვნელოვანი საბუთი განდო და გამოგატანა!

ტიმარმა უამბო თავისი თავგადასავალი უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში, რომ უკვე დიდი ბარია თავი დაანება ბრაზოვიჩთან სამსახურს, შემდეგ როგორ მიიღო დაკვეთები მთავრობისა და სამხედრო საბჭოსაგან, როგორ მოხვდა ბატონ მინისტრთან, რომელთანაც ახლა საუკეთესო დამოკიდებულებაშია, თანაც დაუმატა, თქვენი უწმინდესობის დაჯილდოების შესახებაც მე ვურჩიეო.

— მე ვიცოდი, ასე შორს რომ წახვიდოდი, გატყობდი, რომ შესანიშნავი ადამიანი იყავი და მუდამ გაფასებდი. შენი ბერძნული გვარი და კეთილშობილური სახე მუდამ სიმპათიას იწვევდა ჩემში! შენისთანა პატიოსან კაცს ხორბალზე როგორ ვეტყვი უარს, რამდენიც გინდა წაიღე, ათი, თორმეტი ათასი საწყაო, თუ გინდა სულ წაიღე, რაცა მაქვს, ოღონდ იცოდე, კარგი კაცი რომ ხარ, იმიტომ გაძლევ და არა მინისტრის წერილის მოტანისათვის, ღარიბ გლეხობას მინდა დავეხმარო, მადლია მათთვის! ფასზეც მოვრიგდებით, ოთხ ფორინტად მოგცემ საწყაოს, თუ თანა გაქვს, ახლა მომეცი, თუ არა და მე თვითონაც ჩამოვალ ვენაში, მინდა პირადად გადავუხადო მადლობა მის მაღალადმატებულებას ასეთი წყალობისათვის! შენც ხომ წამოხვალ? ერთად წავიდეთ! მითხარი, როგორია მინისტრი? მაღალია, თუ დაბალი? გაბრაზება ხომ არ იცის? როგორ ფიქრობ, მაშინვე მომცემს ორდენს? ღვინო თუ უყვარს? საუცხოო კარლოცის ღვინო მაქვს, შენც გაგასინჯებ ჭაშნიკს!

ტიმარმა ბევრი იუარა, მეჩქარება ლევეტინციდან ფურგონების გამოგზავნაო, მაგრამ ვერაფერი გააწყო, სტუმართმოყვარე მასპინძელმა შიკრიკები გააგზავნა, ოღონდ მის ჭერქვეშ გაეთია ღამე.

მის უწმინდესობას განსაკუთრებული, მუცელგამობერილი ჭიქები ჰქონდა, რომელსაც ისე ვერ დასდგამდით მაგიდაზე, ბოლომდე თუ არ გამოსცლიდით. ახლა სწორედ ეს ჭიქები გამოიტანა, საუცხოო სუფრა გაუშალა და მთელი ღამე ქეიფში გაათენეს. მიუხედავად ამისა, ტიმარს მაინც არ მოეკიდა ღვინო.

მეორე დილით გლეხები ადრიანად მოადგნენ მის უწმინდესობას ხორბლის წასაღებად და მისი ბეღლის კარები მართლა ღია რომ დაინახეს, გაოცებულებმა ხუმრობით უთხრეს ტიმარს, დღეიდან შენი სახელი წმინდანთა სიაში უნდა შევიტანოთ, ნამდვილი სასწაული მოახდინეო.

სანამ გლეხებმა საშემოდგომო სამუშაოები არ მოათავეს, ტიმარი

მათთან დარჩა. მიწის ნაწილი საგაზაფხულო ხორბლის დასათესად და სათიბად დატოვეს, ეს ჰოლდზე მეტი საძოვრებად. თესვაც კარგ დროს მოუწიათ და თუ ამინდი არ უმტყუნებდათ, ზღვა მოსავალი უნდა მიეღოთ.

მთელი ოქტომბერი მშრალი და ქარიანი იყო, მაშინ დათესილ ყანებს კარგი დღე არ დაადგა, მღრღნელები შეესივნენ და სულ გაანადგურეს. ნოემბრის ნათესები ნაადრევმა თოვლმა და ყინვებმა დაეზიანა, შემდეგ კი დათბა და შობამდე სულ კარგი დარი იყო. სწორედ ამ დროს დათესეს ტიმარის მოიჯარადრეებმა ხორბალი. ახლა აღარც მავნებლები იყო და მარცვალმაც გაღივება მოასწრო თოვლის მოსვლამდე.

მიწათმოქმედება აზარტული თამაშივითაა, ან გაგიმართლებს, ან არა. ტიმარს ბედმა გაუღიმა.

მოსავალმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გლეხები ლოცავდნენ თავიანთ ახალ მოიჯარეს, მოსავლის ნახევარი ხომ მათი იყო. ტიმარმა კი ოცდაათი ხომალდი დატვირთა და კომარომში, დიერსა და ზემო დუნაის სხვა ქალაქებში ჩაიტანა. თუმცა ამ ხორბალში მას იმდენივე მოგება დარჩა, რაც სხვა ვაჭრებს მის მეათედში.

ახლა მასზე იყო დამოკიდებული, ნახევარ მილიონს აიღებდა ამ ხორბალში ასი ათასი მოგებით, თუ რაც შეიძლება იაფად მიჰყიდდა ღარიბ-ღატაკებს და უმცირესს დასჯერდებოდა, რითაც უკვე შეეძლო თავისი კონკურენტებისათვის ყელი გამოეჭრა. მათ ისე ათამაშებდა, როგორც კატა თაგვებს, ხორბალზე ფასის აწევ-დაწევა მის ხელში იყო.

ბრაზოვიჩის ყავახანაში ყოველ საღამოს ტიმარზე ლაპარაკობდნენ, ეს დალოცვილი ისე იქცევა, თითქოს მოპარული ჰქონდესო. ყველა ემუქრებოდა, ერთი ხელში ჩაგვივარდესო, მაგრამ მასთან ბრძოლა უკვე აღარავის შეეძლო. ვაჭრებში არასდროს გაერეოდა ხოლმე, მუდამ მოუცლელი იყო, მათთან სალაპარაკოდ არ ეცალა და არც არავის ანდობდა თავის გეგმებს. სულ ახალ-ახალ სარისკო საქმეებს ჰკიდებდა ხელს და მოგებაც ყოველთვის დიდი რჩებოდა.

ყველა განცვიფრებული იყო, ამის გაკეთება ხომ ჩვენც შეგვეძლო, მაგრამ დაწყებით მის მეტი ვერავინ ბედავდა. ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა, სულ მგზავრობაში იყო.

მართალია კომარომი დიდ სავაჭრო ცენტრად ითვლებოდა, მაგრამ მის სიმდიდრეს აღარ შეეფერებოდა და ვერ გაეგოთ, ვენაში რატომ არ გადადიოდა საცხოვრებლად. რა აჩერებდა ამ ქალაქში, მის მეტმა არავინ იცოდა. მართლაც რომ საოცარი იყო, ყველა ვაჭარი მტრად გადაეკიდა და ბრაზოვიჩის ყავახანას რომ ჩაუვლიდა, ერთხმად მიაძახებდნენ ხოლმე, „ერთი კისერი მოგვაგრეხინა შენთვისო!“

ტიმარს კი ფიცი ჰქონდა დადებული, რომ ეს საძულველი სახლი, როცა იქნებოდა, პატრონებიანად მისი უნდა გამხდარიყო. ეს იყო მისი კომარომში დარჩენის მიზანი.

მიუხედავად იმისა, რომ მილიონერი გახდა, ყველა ისევ ტიმარს ეძახდა, ვერა და ვერ შეეჩვივნენ მის ახალ წოდებას, თავად ლევეტინცს. ამასობაში კ.. ახალ წოდებასთან ერთად თავისი სახელი ბევრი კეთილი საქმი.. შეამკო. ღარიბთათვის საავადმყოფო გახსნა, სასულიერო პროტესტანტული სასწავლებლის მსმენელებს სტიპენდია დაუნიშნა, პარასკევობით მათხოვრებს სპილენძის ფულს ურიგებდა, ღუნაიზე დამხრჩვალ ...ბ.ზვაურთა ქვრივებს ყოველწლიური პენსია დაუნიშნა და მათ ობლებს მფარველობას არ აკლებდა. ყველა ერთხმად ოქროკაცს ეძახდა! იდუმალი ხმა კი ჩასძახოდა, „პატიოსანი კაცის სახელი ამაზე როგორ გასცვალეო!“

V. ატალიას ხუმრობა

ნასადილევს ბატონმა ბრაზოვიჩმა ჩიბუხი გააბოლა და მეუღლის ოთახში გავიდა.

ბატონი კაჩუკა ატალიას ესაუბრებოდა, ქალბატონი ზოფიაც იქვე ახლოს იჯდა ხელსაქმით, ვითომ სხვა არაფერი აინტერესებდა. (ერთი წელი იქნებოდა, რაც აქ ქარგა იდგა, უნდოდათ ყველას დაენახა, რომ მზითევს ამზადებდნენ).

სასიძო მთელ დღეს მათ სახლში ატარებდა და შინ მხოლოდ დასაძინებლად მიდიოდა. ეტყობოდა, კომარომში საფორტიფიკაციო საქმე კარგად მიდიოდა, რომ ბატონი სამხედრო ინჟინერი სულ საცოლესთან იყო. ძალიან კი გაჭიანურა საქმე, ხან რას იგონებდა, ხან რას, რომ რაც შეიძლებოდა შორს გადაედო ქორწილის დღე. ბოლოს, როგორც იქნა გადაწყვიტა, უკვე აღარაფერი უშლიდა ხელს,

კაპიტნობაც მიიღო, მათთვის ახალი სახლიც შერჩეული იყო და სულ მალე, ალბათ, ჯვარსაც დაიწერდნენ.

ბატონ ბრაზოვიჩს კი ამ ბოლო დროს რაღაც უგუნებობა დასჩემდა. განსაკუთრებით, საღამოობით, ყავის შემდეგ ყალიონს რომ გააბოლებდა ხოლმე, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს საწამლავი შეისუნთქაო. ეს საწამლავი მისთვის კართაგენად ქცეული ტიმარი იყო!

— რას არ გამოიგონებს ეს კაცი! ხორბლით მოვაჭრენი ზამთარში ჩვეულებრივ ისვენებენ, ამას კი, რომ იტყვიან, ღმერთი არ ასვენებს! ისეთ საქმეებს ჰკიდებს ხელს, ადრე აზრადაც რომ არავის მოსვლია! ბალატონი იჯარით აიღო და ყინულქვეშ იქერს თევზს, ამას წინათ, კენეშეს კონცხთან სამასი ცენტნერი დაიჭირეს, ასე თუ გაგრძელდა, გაზაფხულამდე სულ გაანადგურებენ. თანაც გული როგორ არ მოგივიდეს, მთლიანად ვენაში აგზავნიან ბალატონში დაჭერილ თევზს გერმანელები რატომ უნდა ჭამდნენ? დასწყევლის ღმერთი მაგას! იქამდე მიმიყვანს, რომ საკუთარი ხელით დავახრჩობ! მეზღვაურებს დავახვედრებ ხიდზე, რომ ხელი ჰკრან და წყალში ჩააგდონ, ან პოლიციელს მოვისყიდი და მოვაკვლევინებ, ამანაც თუ არ გამიმართლა, ცოფიან ძაღლს შევუგდებ ეზოში! მაგისთანა სახრჩობელაზე უნდა დაჰკიდო, ანდიალ ბანდისა და მარცი ზოლდიზე მეტად უნდა დაისაჯოს! მარცხი მხოლოდ იმას ართმევს კაცს, რაც ჯიბეში უდევს, ეს ოხერი კი მალე სულ მშრალზე დამტოვებს, მაგრამ არაფერია, დავასწრებ და ცეცხლს წავუკიდებ მის სახლ-კარს! აზნაურის წოდებაც თუ მისცეს, არჩევნებზე ვინ იცის, გვერდითაც კი მომისვან! სადილზე რომ მოხვდეს სადმე ჩემს გვერდით, საწამლავს ჩავუყრი საჭმელში. იმასაც ამბობენ, მაღალი წრის ქალიშვილებს თავს აწონებსო რას მოვესწარით! ეს ნაძირალა რამდენს ბედავს! ერთი რომელიმე მამაც ოფიცერთან მოუვიდოდეს უსიამოვნება, რომ დუელში გამოიწვიოს და გომბეშოსავით ხმალზე წამოაგოს, აი ასე!

ეს უკვე ბატონი კაჩუკას მისამართით იყო ნათქვამი, მაგრამ მან თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერ მიუხვდა თავის მომავალ სიმამრს, გულში კი გაიფიქრა, ალბათ, ამ ახლადგამომცხვარმა მილიონერმა დიდი ზარალი მიაყენა, ასე რომ გაცოფებულაო.

ბრაზოვიჩის ბრდღვინვაზე ორსართულიანი სახლის კედლები ზანზარებდა. ეს არ ესიამოვნა სასიძოს ქორწილის წინა კვირას.

— თუმცა, რატომ უნდა ველოდო, რომ სხვამ აუგოს ანდერძი მაგ ,,ბინდარას, თვითონ გავუსწორდები! — განაგრძო მცირე დუმილის შემდეგ, — მეც ხომ მაქვს იარაღი. — მაგიდიდან წამოდგა, ჩიბუხი გვერდით გადასდო და ბამბუკის დიდი ჯოხი გამოიტანა.

— მან რომ პირველად ჩემს სახლში ფეხი შემოდგა სწორედ მაშინ ვიყიდე, ალბათ, გული მიგრძნობდა, აი ნახეთ!—და საკმაოდ მოზრდილი ალესილი ხანჯალი ამოაძრო. — ვფიცავ, კედელზე მივაკრავ ღამურასავით!

ერთხანს თავის ჩასისხლიანებულ თვალებს ატრიალებდა, მერე დარჩენილი ყავა დალია, ქურქი მოისხა და ჩაილაპარაკა, საქმეზე მივდივარო, რაც ნიშნავდა. რომ ბანქოს სათამაშოდ მიდიოდა და გათენებისას დაბრუნდებოდა. არავის შეუჩერებია.

ციწრო ხვეული კიბე ძლივს იმაგრებდა ბატონ ბრაზოვიჩს, ქვევიდან ვიღაცა ამოდიოდა. როცა მიუახლოვდა, ტიმარი იცნო. ფიქოს ღმერთმა უსმინაო, მტერი თავისი ფეხით მოუყვანა, მარტოდმარტოს პირისპირ შეხვდა სიბნელეში, ისე შეეძლო მოეკლა, რომ მოწმეც არ ეყოლებოდა, მით უმეტეს, ტიმარი უიარაღოდ იყო მოსული, მას კი ხელში ხანჯალი ეჭირა, ასეთი მომენტი ყოველთვის ხომ არ ექნებოდა! მაგრამ როგორც კი იცნო, რისხვისა და შურისძიების გრძნობა სადღაც გაუქრა, ბამბუკის ჯოხი შეშინებულმა იღლიაში ამოიჩარა, თავისდაუნებურად ქუდი მოუხადა, ვითომც აქ არაფერიაო, გაუღიმა და მიესალმა:

— ბატონ ლევეტინცის ჩემი უმდაბლესი სალამი!

— ათანაზს გაუმარჯოს! შენ რა, სათამაშოდ მიდიხარ?

— ხე-ხე-ხე! — ცელქ მოწაფესავით ჩაიხითხითა ბატონმა ბრაზოვიჩმა, — შენ კი არ წამოხვალ, მიშკა?

— თუ თქვენ ერთი ორასი ფორინტი გინდათ მომიგოთ, შემიძლია ისე გაჩუქოთ, წამოსვლით კი ვერ წამოვალ, არ მიყვარს თამაში.

— კარგი, კარგი, ისევ ქალბატონებთან ადი, უფრო მხიარულად გაატარებ დროს, მე კი ,ველარ მოგისწრებ, აბა, ნახვამდის!

მათ ერთმანეთს მეგობრულად ჩამოართვეს ხელი.

ბატონი ბრაზოვიჩის მუქარისა საერთოდ არავის ეშინოდა, მის ცოლსაც კი. ეს იყო, ყვირილი იცოდა, თორემ ისევ თვითონაც მშიშარა გახლდათ. მან კარგად იცოდა, რომ ტიმარი მისი სახლის ხშირი სტუმარი იყო, მაგრამ ყოველთვის ცდილობდა ისე მოეწყო, რომ

შინ არ დახვედროდა ქალბატონი ზოფიას აზრით, ტიმარი ატალიას გულისთვის დადიოდა მათთან, ოისთვისაც, წესით ბატონ კაჩუკას დუელში უნდა გამოეწვია და ხმალზე წამოეგო. ის კი პირიქით, უფრო დაუახლოვდა და ორივენი მისი ოჯახის მუდმივი სტუმრები იყვნენ. თანაც უფრო მეგობრული და მხიარული კაპპანიის წარმოდგენაც კი შეუძლებელი იყო.

ბრაზოვიჩმა თავიდანვე ექვი აიღო, რომ კაჩუკამ გაუხსნა მას გზა სიმდიდრისაკენ და იმასაც ხვდებოდა, რატომ დაეხმარა. უკვე დიდი ხანია ატყობდა, რომ კაჩუკას ატალიასთვის თავის დანებება უნდოდა, ბევრჯერ შეეცადა მომავალი სიმამრი მოთმინებიდან გამოეყვანა, რომ წაჩხუბებოდა და სახლიდან დაეთხოვა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ბატონ ბრაზოვიჩს მასთან დამოკიდებულების გაფუჭება არ უნდოდა, უფრო მეტი სიყვარულით ექცეოდა და ცდილობდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ატალიაზე ჯვარი დაეწერინებინა.

ახალგაზრდა კაპიტანი, რა თქმა უნდა, ამჩნევდა, რომ მშვენიერ ატალიაზე ტიმარს თვალი რჩებოდა. სიმდიდრესაც რომ თავი დავანებოთ, მასთან სხვა ანგარიშიც ჰქონდა, სახელმწიფო პალატისა და საინჟენერო საბჭოს ურთიერთშეჯახებისას, ტიმარმა თავისი პირველი მფარველები დაიკარგა და სახელმწიფო პალატის მხარი დაიჭირა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას იმდენად უყვარდა თავისი მეგობარი, რომ ალბათ, საცოლის წართმევასაც აპატიებდა.

ატალიას ისევ ძველებურად სძულდა ტიმარი, მის თვალში ის მაინც მამამისის მსახურად რჩებოდა, თუმცა ამას არ ამჟღავნებდა და განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა. მას გაგიჟებით უყვარდა თავისი საქმრო, მაგრამ ტიმართან ისე იქცეოდა, რომ ეჭვიანობის გრძნობა აღეძრა მის გულში.

არც ქალბატონ ზოფიას ეხატა გულზე ტიმარი, და მხოლოდ იმიტომ უღიმოდა და თავს ევლებოდა, იქნებ, როგორმე ატალია ითხოვოს ცოლად და ჩვენთან ერთად იცხოვროსო.

ტიმარს კი თითოეული მათგანი სძულდა და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მათი განადგურება. სწორედ ამიტომ ხშირად დადიოდა მათთან, თავი მეტად თავაზიანად ეჭირა, მაგრამ არც სიფრთხილე ავიწყდებოდა.

თავის მხრივ ამ სახლში ყველა პატივისცემით ექცეოდა: მშვენიერი ატალია პიანინოს უკრავდა მისთვის, ქალბატონი ზოფია ყავითა

და მურაბით უმასპინძლდებოდა. ტიმარი მადლობას უხდიდა და ულიმილით სვამდა, მაგრამ გულში მაინც ფიქრობდა, ნეტავ საჭმელავი ხომ არ ჩამიყარესო.

მაგიდის შლას რომ დაიწყებდნენ, ტიმეა მაშინ გამოჩნდებოდა ხოლმე და ტიმარიც მეტს ვეღარავის ამჩნევდა. შვენიერ ტიმეას მართლაც თვალს ვერ მოაცილებდით, მას უკვე თხუთმეტი წელი შეუსრულდა და ნამდვილი მზეთუნახავი იყო. გამომეტყველება ისევ ბავშვური ჰქონდა და ეს კიდევ უფრო მომხიბლავს ხდიდა. უნგრული უკვე ისწავლა, მაგრამ უცხოური კილო მაინც შეიმჩნეოდა მის საუბარში, ზოგჯერ სიტყვები ავიწყდებოდა და ბოლოს ისე უალყილოდ ჩასვამდა ხოლმე წინადადებაში, რომ მსმენელები სიცილით იხოცებოდნენ. (ჩვენში ასეთი რამ მიღებული იყო სეიმზეც ეკ, ფრიად სერიოზული კამათის დროს).

ატალიასთვის კი ტიმეა ნამდვილი გასართობი საგანი იყო. აცმევდა თავის მოლიდან გამოსულ კაბებს და გულიანად კისკისებდა. კრინოლინი ახლა აღარავის ახსოვდა, თორემ თავის დროზე ყველას ეცვა და მის შესაფერ ვარცხნილობასაც ატარებდნენ, რაც შეიძლებოდა მაღლა აწეულ თმებს სავარცხელით იმაგრებდნენ და დიდ ბაფთებს იკეთებდნენ, რომლებიც უკან კოპებამდე ჰქონდათ ჩამოშვებული. ასეთი ჩაცმულობა ოთხი წლის წინ იყო მოდაში და ახლა მხოლოდ საკარნავალოდ თუ გამოდგებოდა.

ტიმეას ევროპული კაბები აქამდე რომ არ ენახა, დიდ რაჰეტ მიაჩნდა. დიდი სიამოვნებით იცვამდა ამ ძველმანებს და რაც უფრო ჭრელი იყო, მით უფრო მოსწონდა. სიხარულით ფეხზე აღარ იდგა ხოლმე, როცა ატალია თავის გამონაცვალ აბრეშუმის კაბას ჩააცნევდა და მაღლა აწეულ თმებზე შეუფერებელ ჭრელ ბაფთას გაიკეთებდა ამ ტანსაცმელში თავისი თავი მას ყველაზე ლამაზი ეგონა და როცა ქუჩაში გამოსულს ყურებას დაუწყებდნენ, ფიქრობდა, მოვწონვარო და გული საიმაყოთ ევსებოდა. ზურგს უკან კი ყველა დასცინოდა და, ეს რა საფრთხობელაია, ამბობდნენ.

სიცილით კი, რამდენიც არ უნდა ეცინათ მასზე, გული არ მოსდიოდა. იმდენად მიამიტი იყო, რომ არც კი იცოდა, რა იყო დაცინვა და რაზე უნდა გაბრაზებულიყო.

ატალიას ძალიან უყვარდა მისი სასაცილო მდგომარეობაში ჩაყენება, განსაკუთრებით მამაკაცების თანდასწრებით, სთხოვდა ხოლმე

მათ, არშიყობა დაუწყეთ ტიმეას, ვითომ მოგწონთო, ისიც იფერებდა [illegible] ქათ ,ნაურებს და უხაროდა, ამდენ ყურადღებას რომ აქცევდნენ. [illegible] შემყურე მთელი დარბაზი იცინოდა, ყველაზე მეტად კი ატალიას წკრიალა ხმა გამოირჩეოდა.

ქალბატონი ზოფია სულ ტუქსავდა და შენიშვნებს აძლევდა, რაც უნდა გაეკეთებინა, უყვიროდა და ლანძღავდა, ბუნებრივია, მასაც ყველაფერი ხელიდან უცვიოდა ასეთ დროს.

--- განა ასე გასწავლე, ფინჯნების შემოტანა? ნამდვილი დოყლაპია ხარ! აქამდე ვერ დაიმახსოვრე, ატალიას კოვზები? შენ შეჭამე ეს ნამცხვარი? კაბა რატომ დაგისვრია, ხომ არ გგონია, ყოველდღე ახლებს შეგიკერავენ? დანები ასე უნდა გაწმინდო? ვინ გატეხა ფინჯანი? კიდევ შენ იბრალებ, მოახლეს რომ გასამრჯელოდან არ დაუქვითო? შენ ხომ გროშიც არ გაგაჩნია!

— გეყოფა, დედა, თავი დაანებე მაგის ლანძღვას! ტიმეა მოახლე ხომ არ გგონია? თანაც ხომ იცი, არ მიყვარს, როცა მაგას უყვირიან!

ასეთ დროს ტიმეა ხელზე აკოცებდა ხოლმე ქალბატონ ზოფიას, ჩეში გულისთვის ატალიას არ გაუწყრესო, მერე ატალიასაც აკოცებდა გამოქომაგებისათვის, ბოლოს კი ორივეს ერთად, რომ შეერიგებინა.

ტიმეა სიმშვიდისა და კეთილშობილების განსახიერება იყო.

ქალბატონი ზოფია არც კი აცლიდა ხოლმე მას ოთახიდან გასვლასა და კარების მიხურვას, მაშინვე მოჰყვებოდა მასზე ლაპარაკს ვითომ თავის ქალიშვილთან, მაგრამ ისე, რომ კაჩუკასა და ტიმარსაც გაეგონათ.

— ბევრად უკეთესი იქნებოდა მოახლედ დაგვეყენებინა. ხომ იცი, რა უბედურებაც დაატყდა თავს! მთელი მისი ქონება, რაც კი ბატონმა ლევეტინციმ გადაურჩინა ხომალდის ჩაძირვისას, ერთ მიმამულეს მივეცით, იმ მიზნით, რომ ბრუნვაში გაეშვა და თანხა გაზრდილიყო, მაგრამ მოულოდნელად გაკოტრდა და ფულიც დაიკარგა ახლა მას სულს იქით აღარაფერი გააჩნია, კაბაც კი ნაჩუქარი აცვია!

(აჰ ასეა ხომ, უკვე გაფცქვენით! — გაიფიქრა ტიმარმა და ისე თავისუფლად ამოისუნთქა, თითქოს გამოცდები ჩაებარებინოს.)

— მე კი ის მაოცებს, გრძნობა რომ არ გააჩნია, გინდა ლანძღო, გინდა დასცინო, სულ ერთია მისთვის, არც კი გაწითლდება! — უპასუხა ატალიამ.

— ეს დამახასიათებელია ბერძნებისთვის! — შენიშნა ტიმარმა.

— ო, არა! — ტუჩები აპრიხა ატალიამ, — ეს არანორმალურობაა! რაც შეეხება მისი სახის სითეთრეს, ხელოვნურია. ჩვენი პანსიონის ყველა გოგონას შეეძლო ასეთი ფერის კანი ჰქონოდა, როცა კი მოისურვებდა, საკმარისი იყო ცოტაოდენი ცარცი და ნედლი ყავის მარცვლები შეეჭამათ. — თან თვალს არ აცილებდა კაჩუკას, რომელიც ყურადღებას აღარავის აქცევდა და სარკეს მისჩერებოდა, რომ შემოსული ტიმეა დაენახა. ატალია მიუხვდა ამას, არც ტიბარს გამორჩენია.

ამ დროს ტიმეაც გამოჩნდა სინით ხელში, რომლითაც ყავა მოჰქონდა. ეტყობოდა, მთელი გულისყური იქით ჰქონდა, რომ ხელიდან არაფერი გავარდნოდა. ამ დროს ქალბატონმა ზოფიამ ისე დაუყვირა, ფრთხილადო, რომ ხელები აუკანკალდა და სერვიზი აქეთ-იქით მიმოიბნა ხალიჩაზე. მის ბედზე არაფერი, გატეხილა, თორემ ქალბატონი ზოფია იქაურობას აიკლებდა წივილ-კივილით, ახლაც აპირებდა თავისებურად დაეწყო, მაგრამ ატალიამ ტუჩებზე თითი მიიდო და ანიშნა, ხმა არ ამოიღოო.

— ახლა შენ თვითონა ხარ დამნაშავე, დედა! რა საჭირო იყო ყვირილი? ტიმეა აქ დარჩება და ყავას მოახლე შემოიტანს!

ამით განაწყენებული დიასახლისი მაგიდიდან წამოდგა და სამზარეულოში თვითონ გავიდა.

ტიმეას რომ სინი გაუვარდა ხელიდან, ბატონი კაჩუკა მაშინვე წამოხტა, მარჯვედ შეაგროვა ფინჯნები და მიაწოდა. მან მადლობის ნიშნად გაუღიმა, რაც ატალიასა და ტიმარს არ გამოჰპარვიათ.

— რა იქნება, ბატონო კაპიტანო, ხუმრობით მისი თაყვანისმცემლის როლი გაითამაშოთ? — ჩასჩურჩულა ატალიამ საქმროს. — თავბრუ დაახვიეთ ქათინაურებით, თქვენ ეს არ გაგიჭირდებათ, ჩვენ კი ცოტას გავერთობით. ტიმეა, დღეს ჩვენთან ერთად ივახშმებ, აი აქ დაჯექი, ბატონი კაპიტნის გვერდით, — მიმართა ღიმილით ატალიამ.

რა იყო ეს, დაცინვა, შხამნარევი ხუმრობა, ეჭვიანობა თუ ვერაგობა, ამას მალე შევიტყობთ.

გახარებული ტიმეა მორიდებულად მიუახლოვდა მაგიდას. მის წინ მშვენიერი ატალია იჯდა და ისე შეჰყურებდა როგორც დედოფალი, რომელმაც დიდი მოწყალება მოიღო მასზე. გულში კი ფიქ-

რობდა, ერთი დღე მაინც გაიხაროს ჩემი საქმროს ყურადღებით. ამით რა დაძაკლდებაო.

კაპიტანმა საშაქრე შესთავაზა ტიმეას, მაგრამ მისმა აკანკალებულმა ხელებმა ვერცხლის მაშა ვერ დაიმორჩილა.

— არაფერია, თქვენი მშვენიერი თითებით აიღეთ! — ღიმილით გააცხენეა კაპიტანმა, მაგრამ ტიმეა უფრო დაიბნა და შაქარი ყავაში ბაგიეოად წყლით სავსე ჭიქაში ჩააგდო. მისთვის ხომ ჯერ არავის უთქვამს, მშვენიერი ხელები გაქვსო. მაგრამ ვინ იცის, კაპიტანმა მხოლოდ უბრალო თავაზიანობის გამო უთხრა, რომ უხერხული მდგომარეობიდან გამოეყვანა!

ტიმეას მაინც გულში ჩასწვდა მისი სიტყვები და ფარულად თავის თოვლივით თეთრ ხელებს დახედა, მართლა ასე მშვენიერია თუ არაო.

ატალიას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მას უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა ამ მიამიტი ბავშვის სასაცილოდ აგდება.

ტიმეა, ნამცხვარი მიართვი ბატონ კაპიტანს!

მან ფრთხილად აიღო ბროლის ლანგარი და ღიმილით შესთავაზა.

— შენ თვითონ აურჩიე!

სრულიად შემთხვევით ტიმეას გულის გამოსახულება მოხვდა ხელში, მან რა თქმა უნდა არც სახელი იცოდა მისი და არც მნიშვნელობა.

— ოო, ჩემთვის ეს მეტისმეტია! — იხუმრა კაპიტანმა. — მხოლოდ იმ შემთხვევაში ავიღებ, თუ ნებას მომცემთ, ნახევარი თქვენ შემოგთავაზოთ!

ამ სიტყვებთან ერთად მან ნამცხვარი შუაზე გატეხა და „გულის“ ნახევარი ტიმეას მიაწოდა. ტიმეამ მოწიწებით დაიდო საინზე და არ შეჭამა, მთელი საღამო სიყვარულით დაჰყურებდა. ბოლოს, ვიდრე ქალბატონი ზოფია ან რომელიმე მოახლე მაგიდას აალაგებდა, თვითონ გაიტანა სერვიზი სამზარეულოში და გულის ნახევარი სამახსოვროდ შეინახა.

არაფერია იმაზე აღვილი, რომ თავბრუ დაახვიო თხუთმეტი წლის გოგონას. მას ყველაფი სჯერა და განსაკუთრებით პირველი თაყვანისმცემლისა, რომელიც მის მშვენიერ ხელებს შეაქებს!

ბატონი კაჩეკა იმ მამაკაცთა რიცხვს ეკუთვნოდა, ლამაზ გოგონებს გულგრილად რომ ვერ ჩაუვლიან ხოლმე. არც ქალბატონებს სტოვებდა უყურადღებოდ და ასე გასინჯეთ, ქათინაურს ზოგჯერ

მოახლისთვისაც კი არ იშურებდა. მას უნდოდა, ყველა ქალს დღე და ღამ მასზე ეოცნება, თუმცა ატალიას შეეძლო დამშვიდებული ყოფილიყო, მაინც არ გასცვლიდა. მისი საცოლე შეუდარებელი სილამაზის ქალი იყო და ვერავის დაუყენებდა გვერდით. ტიმეასთან თამაში კი საშიში არ იყო, ის ჯერ მთლად ბავშვი იყო, თუმცა უკვე ეტყობოდა, რომ მალე ყველას დაჩრდილავდა სილამაზით. ესეც არ იყოს, ეს ხუმრობა დიდად ართობდა მის საცოლეს.

— ტიმეა, ბატონმა კაპიტანმა შენი ხელი გვთხოვა, რას იტყვი, გაყვები ცოლად? — უთხრა ერთ საღამოს დაწოლის წინ ატალიამ.

ტიმეამ ჯერ გაოცებულმა შეხედა, მერე გაწითლდა, სახე ბალიშში ჩამალა და საბანი წაიხურა.

ატალიას ესიამოვნა, მისმა ხუმრობამ ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება რომ მოახდინა, მას დიდხანს ესმოდა ტიმეას ბუტბუტი და ოხვრა, მეორე დღეს კი სულ ჩაფიქრებული დადიოდა და ხმა არავისთვის არ გაუცია. ატალიამ ამ თამაშში მოახლეებიც ჩარია და ყველა გააფრთხილა, ისე მოჰქცეოდნენ, როგორც საპატარძლოს, რომელიც სულ მალე ბატონ კაჩუკას უნდა გაჰყოლოდა ცოლად. ამაში ისინი ცუდს ვერაფერს ხედავდნენ და, პირიქით, მოუწონეს კიდეც ატალიას ეს ხუმრობა.

ერთხელ ატალიამ ტიმეას ქორწინების ბეჭედი აჩვენა და უთხრა: — კაპიტანმა შენთვის მოიტანა, ოღონდ, თითზე ვერ გაიკეთებ. სანამ სარწმუნოებას არ გამოიცვლი! თანახმა ხარ, მოგნათლონ?

ტიმეამ ხელები გულზე დაიდო და თავი დახარა.

— ეს ადვილი საქმე არ გეგონოს, ჯერ მთელი ბიბლია უნდა წაიკითხო, კატეხიზმები, ლოცვები და ფსალმუნები გაიზეპირო და ეკლესიაში იარო მღვდელთან.

იმ დღიდან ტიმეას მოწაფესავით ყოველდღე ხელში ლოცვანი ეჭირა და ეკლესიაში დადიოდა, გვიან ღამით, კი, როცა უკვე ყველას ეძინა, იზეპირებდა ლეგენდებს სამსონსა და დალილაზე, იესო ქრისტეზე და პეტიფარის მეუღლეზე. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან უჭირდა სწავლა, განსაკუთრებით კი გაუგებარი კატეხიზმებისა, მაინც მთელი გულმოდგინებით მეცადინეობდა.

— ეს ჩემი დამსახურებაა, მე რომ არა, ტიმეა არავითარ შემთხვევაში არ გამოიცვლიდა სარწმუნოებას, — ხშირად ეუბნებოდა ატალია ტიმარს, — ახლა კი შეხედეთ, როგორ ცდილობს!

ტიმარი ხედავდა, როგორ ატყუებდნენ ტიმეას, თან ამაში ცუდს ვერაფერს ხედავდნენ და. პირიქით, საქებრადაც კი მიაჩნდათ, მაგრამ შველა არ შეეძლო, არც დაუჯერებდა ტიმეა. სამწუხარო უფრო ის იყო, რომ მას ხშირად უხდებოდა ამ სახლში ყოფნა და თავისდაუნებურად მონაწილეობდა მათ საზიზღარ თამაშში.

ტიმეას არაერთხელ მოუკრავს ყური და თვით ბატონი ბრაზოვიჩისგანაც გაუგონია, ტიმარი აქ ატალიას გულისთვის დადისო, და არც უკვირდა: მდიდარი კაცი იყო და რაღა თქმა უნდა მდიდარს ითხოვდა ცოლად, თანაც ერთმანეთის შესაფერ წყვილად მიაჩნდა. ასე, რომ, მისი აზრით, სრულიად ბუნებრივი იყო, ღარიბ ოფიცერსაც მასავით ღარიბი გოგონა მოსწონებოდა.

ღიახ, მას სჯეროდა და დღე და ღამე მეცადინეობდა. მთელი ბიბლია რომ წაიკითხა, უთხრეს, ქორწილის დღე დანიშნულია და საჭიროა საქორწინო კაბისა და ათასნაირი მორთულობის მომზადებაო თეთრეულის შეკერვას. მაქმანების შერჩევასა და სხვა წვრილმანებს მართლაც დიდი დრო სჭირდებოდა. თანაც საპატარძლოს თავისი ხელით უნდა ამოექარგა საქორწინო კაბა, რაც არც ისე იოლი იყო. ასეთი ჩვეულება თურქებსაც აქვთ და ტიმეას ეს არ გაჰკვირვებია. აბრეშუმის. ვერცხლისა და ოქროს ძაფებით ამოქარგვის ხელოვნებას კარგად იყო დაუფლებული, თურქეთში ამას ბავშვობიდანვე ასწავლიდნენ. მას ამოსაქარგად მისცეს ატალიას საქორწინო კაბა, თქმით კი უთხრეს, შენიაო.

ტიმეამ კაბის კალთებისა და შლეიფისათვის საუცხოო არაბული ნაყში დახატა და მთელი გულმოდგინებით დაიწყო ამოქარგვა. დილიდან საღამომდე მუშაობდა, სტუმრების თანდასწრებითაც კი ქარგავდა და მისი ნახელავით ყველა აღტაცებაში მოდიოდა. ტიმეა ერთი წუთითაც არ აშორებდა თვალს კაბას, მას ახლა ბატონ კაჩუკას მეტი აღარავინ აინტერესებდა, ეს უგულო ადამიანები კი ზურგს უკან სიცილით იხოცებოდნენ და მის გულუბრყვილობას დასცინოდნენ.

ტიმარი ხედავდა ყოველივე ამას და ბრაზი აღრჩობდა. რამდენჯერ გამოსულა ამ სახლიდან ისე აღელვებული, რომ ლეგენდარული სამსონის მსგავსად მზად იყო საკუთარი ხელებით დაენგრია ეს არამზადების ბუნაგი. ოცნებობდა იმ დღეზე, როცა მათთან ანგარიშის გასწორებას შესძლებდა.

ამასობაში კი ახლოვდებოდა ქორწილის დღე, რომელსაც ტიმეა

ასე მოუთმენლად ელოდა. ეს დღე ბატონ კაჩუკასთვის მართლაც ქორწინების დღე იყო, ოღონდ არა მასთან, არამედ ატალიასთან. სხვადასხვა მიზეზების გამო ეს საქმე საკმაოდ გაჭიანურდა, მთავარი მიზეზი კი ბატონ ბრაზოვიჩის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება გახლდათ.

როცა ბატონმა კაჩუკამ ატალიას ხელი ითხოვა, სასიმამროს წინასწარვე განუცხადა, რომ ღარიბი ოფიცერი იყო და თავისი ხელფასი ყოველდღიური უმნიშვნელო ხარჯებისთვის ძლივს ჰყოფნიდა. ამ ფულით ფუფუნებას მიჩვეული ცოლის შენახვა, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო და მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწერდა ჯვარს ატალიაზე, თუ კარგ მზითევს მისცემდნენ. ბატონი ბრაზოვიჩი შეჰპირდა, ქორწილის დღეს ასი ათას ფორინტს ჩაგაბარებო, მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამ შეიცვალა და მისი მდგომარეობაც გაუარესდა. მას გზაზე გადაეღობა ტიმარი და საქმე ისე გაუხადა, რომ სასიძოსთვის დანაპირები თანხის გადახდა აღარ შეეძლო. ისე აურდაურია მისი საქმეები, რომ თვითონაც აღარ იცოდა, შესძლებდა თუ არა თავის დაღწევას.

ბატონმა ბრაზოვიჩმა ვადაწყვიტა სხვაგვარად მოევლო საქმისთვის, კაჩუკას შესთავაზა. ჩვენთან იცხოვრეთ, შენი ასი ათასი ფორინტი უმჯობესია ჩემთან დარჩეს. ბრუნვაში ვავუშვებ და ყოველ წელიწადს რვა ათას მოგებას მოგცემთ სულ ერთია, ამდენი ფული შენს ცოლს ხელში რომ ჩაუვარდეს, კაფალანგავსო. ან ჩემს რომელიძე, მამულს გაჩუქებთ, რომელიც შვიდი ათას ფორინტ შემოსავალს მოგცემთო. მაგრამ ოფიცერმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, განუცხადა, თუ ასი ათას ფორინტს არ ჩამაბარებ, საქმეს ჩავშლიო.

ბატონი ბრაზოვიჩი საგონებელში იყო ჩავარდნილი და არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა, ამიტომ იყო, რომ საქორწინო კაბას ისიც ტიმარივით ნაღვლიანად გადახედავდა ხოლმე.

ერთ საღამოს ახალი აზრი მოუვიდა თავში, მართალია ტიმარი არამზადაა და ჭირივით მძულს, მაგრამ რა იქნება, ატალია რომ ითხოვოსო. თუკი კაპიტანი უარს იტყვის, რა გაეწყობა, მთავარია ატალია გათხოვდეს და მისი ქმარი ვინ იქნება, ამას რა მნიშვნელობა აქვსო. მისი აზრით, ტიმარი მდიდარი იყო და უკეთეს საქმროდ ჩაითვლებოდა. მართალია ბევრი ცუდი გაეკეთებია მისთვის, მაგრამ საკმარისი იყო, ატალია ეთხოვა და მისი ფასი აღარავინ ეყოლებოდა ამქვეყნად. ასე ხშირად ატალიასთვის თუ არა, აბა რისთვის დადის

ტიმარი ჩემს სახლში? ნაძდვილად უყვარს, მაგრამ გრძნობის გამეღავნებისა ერიდება, შეიძლება კაჩუკასიც ეშინია, სხვა რომ არაფერი, ხმლით აჭუჭავს. ისევ მე უნდა მივეხმარო!

მან ყავაში ლიქიორი ჩაასხა, რომ მხნეობა შემატებოდა, დაიბარა, ტიმარი როგორც მოვა, ჩემთან შემოვიდესო და თავისი კაბინეტისკენ გაემართა.

დიდხანს იჯდა მარტო და ყალიონს ეწეოდა, ოთახი სულ ბოლით აავსო და ძლივსღა მოჩანდა; მსხვერპლის მოლოდინში ჩასისხლიანებული თვალები კიდევ უფრო გადმოეკარკლა, ადგილს ვეღარ პოულობდა. ბოლოს ადგა და ბოლთის ცემა დაიწყო. ამ დროს ტიმარიც შემოვიდა, ქალბატონ ზოფიას ეთქვა მისთვის, ათანაზი რომ ელოდა.

— ამიხსენით ერთი, რას ნიშნავს თქვენი ასეთი ხშირი სტუმრობა ჩემს სახლში? ჩემი ქალიშვილი ხომ არ შეგიყვარდათ? — შემოსვლისთანავე ეცა ტიმარს და სულის მოთქმა არ აცალა.

მისი აზრით, მორიდებული და გულჩათხრობილი ადამიანის გამოტეხვის საუკეთესო საშუალება სწორედ ეს იყო. ასეთი პირდაპირი კითხვა მშიშარა კაცს ყოველთვის დააბნევს და მაშინ უნდა გაახვიო კიდევაც ბადეში, ამოსუნთქვა არ უნდა აცალო, უკან დასახევი გზა უნდა მოუჭრა.

ბატონ ბრაზოვიჩს ეგონა, ესაა ტიმარი ქორწინების ბადეში გავახვიეო, მაგრამ ის მიუხვდა, გადაკრული რომ არ იყოს, ამდენს ვერ გაბედავდაო, და უპასუხა:

— შეგიძლიათ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, თქვენს ქალიშვილზე არც მიფიქრია, თუნდაც იმიტომ, რომ ის უკვე ჩემი მეგობრის საცოლეა. მე არ ვაპირებდი ლაპარაკის დაწყებას იმის შესახებ, თუ რატომ დავდივარ თქვენს სახლში, მაგრამ რადგანაც ასე გაინტერესებთ, მოგახსენებთ. მე სიტყვა მივეცი თქვენს განსვენებულ მეგობარსა და ნათესავს, რომ მის ობლად დარჩენილ ქალიშვილს მფარველობას გავუწევდი. მე აქ მხოლოდ იმიტომ დავდივარ, რომ ვიცოდე, როგორ პირობებში ცხოვრობს ის თქვენთან, ჩემთვის დიდი ხანია ყველაფერი ნათელია და ახლა, თქვენსავე ჭერქვეშ გიცხადებთ, რომ უსვინდისოდ ექცევით, არაადამიანურად! თქვენ მიითვისეთ მისი მემკვიდრეობა, ქარს გაატანეთ, გროში აღარ შეარჩინეთ, ახლა მთელი ოჯახი აბუჩად იგდებთ, დასცინით და გინდათ ისეთი სულიერი ტანჯვა მიაყენოთ, რომელსაც მთელი სიცოცხლე

ვერ დაივიწყებს! ღმერთმა მოგიზღოთ სამაგიერო! ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრაა ამ სახლში, ღმერთმა დაგიფაროთ, რომ ცოცხალი დამხვდეთ, როცა აქ დავბრუნდები!

ტიმარი შემობრუნდა, კარი გაიჯახუნა და გავიდა. ბატონმა ბრაზოვიჩმა ხმის ამოღება ვეღარ მოახერხა, თავზარდაცემული ისევ სავარძელში ჩაეშვა და ერთი ჭიქა კიდევ გადაჰკრა. ან კი რა უნდა ეპასუხა?

მისაღებ ოთახში ტიმარს მხოლოდ ტიმეა დახვდა, რომელიც საქორწინო კაბის ამოქარგვით იყო გართული. მუდამ მშვიდი სახე სიამაყის გრძნობით გაცისკროვნებოდა და გაბრწყინებული თვალებით შეჰყურებდა. კეთილშობილური გრძნობები ხომ ალამაზებს ადამიანს და ახლა კიდევ უფრო ლამაზი მოეჩვენა ტიმარს, რომელსაც აღელვებულ სახეზე დიდი ცვლილება ემჩნეოდა.

— ტიმეა, მოვედი რომ გამოგეთხოვოთ, გისურვებთ ბედნიერებას და ბავშვობის წლების რაც შეიძლება გაგრძელებას, მაგრამ თუ ოდესძე გაგიჭირდეთ, გახსოვდეთ, რომ ამქვეყნად არის ადამიანი, რომელიც თქვენი გულისთვის...

მაგრამ ვეღარ დაამთავრა, ხმა აღარ ემორჩილებოდა.

ტიმეა მიუხვდა და სცადა დაემთავრებინა გაწყვეტილი ფრაზა.

— სამჯერ...

ტიმარმა ხელი შეახო და ჩასჩურჩულა:

— სიცოცხლეს არ დაკზიგავ თქვენთვის არასდროს!

შემდეგ თავი დაუკრა და დარბაზი დასტოვა, ისე რომ არავის დამშვიდობებია. ან კი როგორ ეთქვა „კარგად იყავითო!“, როცა გულში ამ სახლის დაქცევის მეტს არაფერს ნატრობდა.

ტიმეამ საკერავი გადასდო. თვალი გააყოლა მიმავალ ტიმარს და ჩურჩულით გაიმეორა: „სამჯერ“. ნემსს ოქროს ძაფი გამოსძვრა.

ტიმარი სწრაფი ნაბიჯით დაეშვა კიბეზე და განრისხებულმა ერთ-ერთი მარმარილოს სვეტს მთელი ძალით დაჰკრა მუშტი.

იგრძნეს კი, ზევით, სახლის პატრონებმა ეს დარტყმა? იციან, რომ სადაცაა ჭერი თავზე ჩამოექცევათ და დროა ილოცონ? არა, პირიქით, ისინი ისევ ისე უზრუნველად განაგრძობდნენ მიამიტი ობოლი გოგონას დაცინვას, რომელიც ნაღვლიანი თვალებით დაჰყურებდა საქორწინო კაბას.

თავად ლევეტინცის ზღაპრული სიმდიდრის ამბავი მთელს უნგრეთს მოედო და ვენამდეც მიაღწია.

ყველა ოქროკაცს ეძახდა და არც იყო გასაკვირველი, რასაც კი მისი ხელი შეეხებოდა, ყველაფერი ოქროდ იქცეოდა ხოლმე. ეს იყო ნამდვილი ოქროს საბადო. რომელსაც ვერც ჩეტატე მარე შეედრებოდა, ვერც შელმეცი და ვერც ვოროშპატაკი.

თავის კონკურენტებში წინასწარხედვის განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეოდა, სხვებზე ადრე შეეძლო რაიმე ახალი წამოწყების შესახებ მთავრობის განზრახვას მიმხვდარიყო და ყველაზე მეტი სარგებლობა ენახა. საკმარისი იყო რაიმე საქმისთვის მოეკიდა ხელი, რომ მის გარშემო საქმოსნებისა და ვაჭრების მთელი ხროვა მოიყრიდა თავს, იქნებ, ჩვენც ხელი მოვითბოთო.

მაგრამ ტიმარს „ოქროკაცი“ შეარქვეს არა მარტო იმიტომ, რომ ჭკუა-გონება უჭრიდა და ბედიც სწყალობდა, არამედ იმიტომაც რომ არასდროს არავის მოატყუებდა და არც კონტრაბანდას ეწეოდა.

მსხვილ კომერციულ საქმეში კანონიერი მოგება ისედაც დიდია. ვინც სხვების მოტყუებისა და გაქურდვის ხარჯზე უფრო მეტის აღებას შეეცდება, დიდ უგუსურობას ჩაიდენს და საბოლოოდ დაკარგავს შემოსავლის წყაროს. ვინც ფორინტზე ერთ გროშ მოგებას სჯერდება, ყოველ დახარჯულ მილიონზე ორმოცდაათიათასს აიღებს და სულ ძალე მეორე მილიონს დააგროვებს. გაუმაძღარი ადამიანი კი ყოველთვის აგებს. მას ბედი არ სწყალობს და მიზანსაც ვერასოდეს მიაღწევს..

ტიმარს თავისი გასაოცარი ალღო არასოდეს ღალატობდა და მხოლოდ ისეთ საქმეებს ჰკიდებდა ხელს, რომლებიც დიდ მოგებას აძლევდა. უხვად ასაჩუქრებდა იმათაც, ვინც მომგებიან საქმეს აღმოუჩენდა და ისინიც მუდამ მას აძლევდნენ უპირატესობას. თავისი გამჭრიახი გონების წყალობით მთავრობისთვისაც დიდი სარგებლობა მოჰქონდა, ვინ იცის რამდენჯერ გამოუაშკარავებია კონკურენტების საიდუმლო მოლაპარაკება, მარჯვედ მოუტყუებია ისინი და მათი გეგმების ჩაშლით ხაზინა დიდი ზარალისაგან უხსნია. ამიტომ იყო, რომ კონკურენტებს სძულდათ და „ოქროკაცს“ მხოლოდ მთავრობა და ღარიბი ხალხი ეძახდა.

ტიმარმა ერთხელ ვენახები იყიდა მონოშტორში.

მონოშტორი უი-სონს ზემოთ ამაღლებულ გორაკს ჰქვია, რომელსაც გერმანელებმა „Sandhügel“ შეარქვეს. ეს ხრიოკი ქვიშნარი ნიადაგი სავენახედ უვარგისი იყო და აქ მოწეული ყურძნისგან კარგი ღვინო არ დგებოდა. მოსავალი მიწის დამუშავების ხარჯებს ძლივს ანაზღაურებდა, მიუხედავად ამისა, ტიმარმა საკმაოდ მოზრდილი ვენახი შეიძინა.

ამ ამბავმა კომარომში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ყველამ ის იფიქრა, რაკი ტიმარი ყიდულობს, ალბათ, რამე სახეირო იქნებაო. ბატონი ბრაზოვიჩი კი მაშინვე კაჩუკასთან გაიქცა.

— ახლა უნდა მი'შველო, შვილო, ბოლოს და ბოლოს მამა ვარ შენი. მართალი მითხარი, მთავრობა მართლა აპირებს მონოშტორში ცხე-სიმაგრის აშენებას? მე ვიცი, რომ სამსახურებრივი საიდუმლოების გამჟღავნება არ შეიძლება, მაგრამ გეფიცები, საფლავში ჩავიტან და სიტყვა არავისთან დამცდება! ტიმარი უკვე ყიდულობს მიწებს იმ ადგილებში, ალბათ, რაღაც იცის, მე ხომ გულხელდაკრეფილი არ ვიჯდები და შორიდან არ დავუწყებ ყურებას? მარტო ეს მითხარი, მართლა თუ აპირებენ მშენებლობის დაწყებას?

ბატონმა კაჩუკამ ვეღარ გაუძლო მის ხვეწნა-მუდარას და ზოგი რამ გაანდო. მას ადრეც არაერთი მიწის ნაკვეთი ჰქონდა ნაყიდი სულ იაფად და შემდეგ ქოხმახების დანგრევისას მთავრობისაგან იმდენი ფული ჰქონდა მიღებული, თითქოს სრა-სასახლეები ყოფილიყოს.

მომავალ სიძეს იმდენი ეხვეწა, ცალი თვალით მაინც შემახედე მშენებლობის გეგმაზეო, რომ ბოლოს დაითანხმა. ახლა უკვე იცოდა, რა ფართობი დასჭირდებოდა სახელმწიფოს. ტიმარს უკვე მოესწრო იმ ნაკვეთის ყიდვა, სადაც ციტადელი უნდა აეგოთ. საინტერესო იყო, რა თანხას გაიღებდა მთავრობა მიწების შესასყიდად. ამ საიდუმლოს გაცემისთვის ბატონი კაჩუკა შეიძლება სამართალშიც მიეცათ, მაგრამ მომავალ სიმამრს მაინც გაანდო, რომ იმაზე ორჯერ მეტს გადაუხდიდნენ, რაც მფლობელს უკანასკნელი გაყიდვის დროს ჰქონდა გადახდილი.

— საუცხოოა! — აღფრთოვანება ვეღარ დამალა ბატონმა ათანაზმა, მომავალ სიძეს გადაეხვია, ახლა უკვე მე ვიცი, ქორწილის დღეს ასი ათას ფორინტს დაგითვლიო, და გახარებული მიწის ნაკვეთის საყიდლად გაიქცა.

ბატონი კაჩუკა, რა თქმა უნდა სხვა მნიშვნელოვან ცნობებსაც მიაწვდიდა. მაგრამ სიხარულით თავბრუდახვეულ ბრაზოვიჩს მეტი აღარაფერი უკითხავს და ყველაზე მთავარი რაც იყო, ვერ გაიგო. ის ახლა იმ ბუზს ჰგავდა, გარეთ გაფრენს რომ ლამობს და უაზროდ ეხეთქება ფანჯრის მინას. კაჩუკას კი დიდად არ ენაღვლებოდა მისი ბედი, აღარც ატალია აინტერესებდა და არც მისი მზითევი. რაც იქნება, იქნება, ფიქრობდა თავისთვის, ეს საქმე თუ მოხდება, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუ ჩაიშლება და არც ამისთვის მოვიკლავ თავსო.

ბატონი ბრაზოვიჩი იმავე დღეს გაემგზავრა უი-სონში, მთელი ვენახები შემოიარა, ზოგი მაშინვე იყიდა ნაღდ ფულზე ხელსაყრელ ფასად, ვინც ვერ დაითანხმა გაყიდვაზე, სამმაგი ფასი შეაძლია, დარწმუნებული იყო, რომ დანახარჯს ორმაგად აინაზღაურებდა.

კომარომელმა საქმოსნებმა რომ დაინახეს, ბრაზოვიჩი ასე გაშმაგებული დარბოდა ვენახების შესაძენად, იფიქრეს, მას ხომ არ ჩამოვრჩებითო, და თვითონაც მაშინვე იქ გაჩნდნენ.

გაუგონარი ამბები ხდებოდა მონოშტორში, აქაურ ყურძენს საერთოდ არავითარ ყურადღებას რომ არავინ აქცევდა, ახლა დამწიფებამდე იყიდებოდა ძალიან ძვირად. აქ გაჩაღებულმა ვაჭრობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და ვენახების ფასებმაც საგრძნობლად აიწია, თუ აქამდე მთელი ეს მიწები მთავრობას ასი ათას ფორინტად შეეძლო შეეძინა, ახლა ამ გადამყიდველების ხელიდან უკვე ხუთასი ათასი ძლივს ეყოფოდა. მარტო ბრაზოვიჩმა ასი ათასი ფორინტის ვენახები იყიდა, ზოგი თავის ფულით, ზოგი ვალით, ხორბლის მთელი მარაგი ჩალის ფასად გაყიდა ამის გულისთვის და მიბარებული ფულიც კი დახარჯა, დარწმუნებული იყო, რომ წლის ბოლომდე დიდ მოგებას მიიღებდა აქედან, რაკი ტიმარი ერია საქმეში. ისე, ტიმარს შედარებით იაფად ჰქონდა ნაყიდი მიწა და ბევრი არაფერი შეხვდებოდა, სამაგიეროდ სხვები ხელს მოითბობდნენ. მისი აზრით, სახელმწიფო დიდს არაფერს კარგავდა, ხაზინაში ხომ ვაჭრებს შეჰქონდათ ფული, ახლა უბრალოდ უკან დაიბრუნებდნენ.

ტიმარმა კი მახე დაუგო ათანაზ ბრაზოვიჩს და ვენახების შესყიდვით გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა. მან იცოდა ის, რაც ყველაზე მთავარი იყო და რაც ათანაზმა აღარ ჰკითხა თავის მომავალ სიძეს.

კაპიტანმა კაჩუკამ სრული სიმართლე უთხრა, მთავრობას ნამდვილად ჰქონდა გადაწყვეტილი კომარომის ციხე-სიმაგრის გაფართოება და მშენებლობის ფართო მასშტაბით დაწყება, მაგრამ პირველ სამუშაოებს რომელ ნაკვეთზე დაიწყებდნენ ალარ უკითხავს. სიხარულისაგან დაბრმავებულ ბრაზოვიჩს. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, მშენებლობის გეგმა ოცდაათწლიანი იყო.

ტიმარმა მწარედ მოატყუა თავისი კონკურენტები და ამისთვის მათი წყეველა-კრულვა არ აცდებოდა, მაგრამ მარჯვე კომერსანტი ცდილობდა წყეველა მადლიერთა ლოცვა-კურთხევით გაეწონასწორებინა, თანაც ისე, რომ ლოცვა უფრო ეტი გამოსულიყო. მას უნარი შესწევდა სიკეთე და ბოროტება ისე შეეთავსებინა, რომ სიკეთეს დაეძლია.

ტიმარმა ახლაც თავის ბოროტ საქმეთა განსაზავებლად სიკეთის ჩადენა განიზრახა და იანოშ ფაბულა იხმო.

— ჩემო იანოშ, უკვე ახალგაზრდა ალარა ხართ, დროა მუშაობას თავი ანებოთ და დასვენებაზეც იფიქროთ.

— მართალსა ბრძანებთ, ბატონო, მაგაზე მეც ბევრჯერ მიფიქრია, დროა თავი დავანებო ტალღებთან ჭიდილს, თვალთაც ალარ მიჭრის ძველებურად, კარგი იქნება, თუ რაიმე მსუბუქ სამუშაოს გამომიძებნით თქვენს მამულში, — უპასუხა ფაბულამ დიდი ხნის მოკარნახესავით ჩასლეჩილი ხმით.

— მე უფრო სარფიანი საქმე მინდა შემოგთავაზოთ, იანოშ! ქალაქში ცხოვრებას მიჩვეული ხართ, რაც დღეობამდეც ვიცი, კომარომული ფუნთუშებიც ძალიან გიყვართ. აბა, რა უნდა აკეთოთ მიყრუებულ სოფელში? უკეთესი არ იქნება, თვითონ მოკიდოთ ხელი რაიმეს, თუნდაც მეეტლეობას!

— ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ არც ცხენები მყავს და არც ეტლი მაქვს.

— არაფერია, ერთსაც იშოვით და მეორესაც, აი ყური მიგდეთ: ვაგისა და დუნაის შესართავთან საძოვრები იყიდება, ახლავე წადით და მთლიანად იყიდეთ.

— ეგ რომ ჩავიდინო, ხომ ნამდვილი ვირი ვიქნები! იმ ხრიოკ მიწაზე ოდითგანვე არაფერი ხარობს ზოგიერთი სამკურნალო ბალახის მეტი, ადგილი კი დიდია და ბევრი ფულიც დამიჯდება.

— ახლა ლაპარაკის დრო არ არის, იანოშ, გააკეთეთ ის, რასაც გეუბნებით, აი, ორი ათასი ფორინტი, ის მიწა ხელიდან არ გაუშ-

ვათ, რადაც უნდა დაგიჯდეთ, არც არავინ შეიამხანაგოთ, ფული თუ დაგაკლდებათ, შე დაგიმატებთ, სესხად გქონდეთ და როცა გექნებათ, მაშინ დამიბრუნეთ, არც პროცენტს გამოგართმევთ, არც თამასუქს, ისე გენდობით.

იანოშ ფაბულა საგონებელში ჩავარდა.

— როგორ? არც სარგებელს მართმევთ და არც თამასუქს? ასე როგორ შეიძლება! არა, ამდენი ფული იმ ხრიოკში როგორ ჩავყარო? აქედან კარგი არაფერი გამოვა და ვინ იცის, ციხეშიც მიკრან თავი!

— დარდი ნურაფრის გექნებათ, იანოშ, სულ რაღაც ერთი წელი თუ იქნებით მისი მფლობელი, შემოსავალს კი კარგს მოგცემთ!

— ან რით დავამუშაო მიწა, ან რა დავთესო?

— ამ მიწას არც დამუშავება სჭირდება, არც დათესვა, მოსავალს კი დიდს მოგცემთ! ოღონდ სიტყვა არავისთან წამოგცდეთ, ახლა წადით და რასაც გეუბნებით ის გააკეთეთ!

იანოშს მისი სიტყვებისა არაფერი სჯეროდა, მაგრამ ისე იყო მიჩვეული ტიმარის ყოველგვარი ბრძანების შესრულებას, რომ უარი ვერ უთხრა, თანაც ახსოვდა, რომ ის ყოველთვის შეუძლებელს მიაღწევდა ხოლმე, ბევრი ისეთი საქმე ჰქონდა გაკეთებული, ეშმაკის მეტი რომ ვერავინ შესძლებდა. გადაწყვიტა ისე მოქცეულიყო, როგორც ტიმარმა ურჩია, თუმცა იცოდა, რომ დიდ სისულელეს სჩადიოდა.

ტიმარის უჩვეულო საქციელი კი იმით იყო გამოწვეული, რომ სახელმწიფო სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით კომარომის ციხე-სიმაგრე უნდა გაეფართოვებინათ და დიდ სამხედრო ბაზად ექციათ, მონოშტორის მაღლობზე ციტადელი უნდა აეგოთ, ხოლო ცალკეულ სიმაგრეთა მთელი ხაზით, ახლანდელი ნადორის ხაზით, დუნაის შენაკადი ვაგი დიორის მხარის დუნაის უნდა დაკავშირებოდა. სიმაგრეთა ხაზებსა და მონოშტორის ბატარეებს წრე უნდა შეეკრათ, რომელიც თვით ქალაქ კომარომსაც მოიცავდა. მთელი ეს სამუშაოები ოცდაათი წლის მანძილზე უნდა დაემთავრებინათ, რისთვისაც ათეულ მილიონობით ფორინტი იყო გათვალისწინებული.

ამ გრანდიოზულ გეგმას დამტკიცებამდე მრავალი ინსტანცია უნდა გაევლო, დამტკიცებისას კი ერთი თითქოსდა უმნიშვნელო, მაგრამ გადამწყვეტი მუხლი გაითვალისწინეს, რომლის შესახებაც ერთმა საკმაოდ გავლენიანმა და ვერაგმა პიროვნებამ ჩააწვეთა ზე-

მდგომ ხელისუფალთ. რამდენადაც მშენებლობას ყველა უბანზე ერთდროულად ვერ დაიწყებდნენ, საჭირო არ იყო მთელი მიწის თავიდანვე შესყიდვა, თავდაპირველად შეეძლოთ მხოლოდ ის ადგილები შეესყიდათ დუნაის ორ ტოტს შორის, სადაც ნადორის ხაზის სიმაგრეთა შენება უნდა დაეწყოთ. მონოშტორის მიწების შეძენა კი ოცი წლის შემდეგაც შეიძლებოდა.

კომარომელი ვაჭრები მხოლოდ მონოშტორის ქვიშნარი მიწებით დაინტერესდნენ და დიდი ფულიც ჩააყარეს, დუნაის შენაკადთა შორის ხრიოკი საძოვრების ყიდვა კი აზრადაც არავის მოსდიოდა. იანოშ ფაბულამ სულ იოლად ჩაიგდო ხელში ოცი ათას ფორინტად.

მალე ყველასთვის ცნობილი გახდა, რომ მონოშტორის მიწების შესყიდვა ოცი წლით გადაიდო. ის თანხა, რაც აქ იყო დაბანდებული, მთელი ამ ხნის მანძილზე არავითარ შემოსავალს არ მისცემდა მის მფლობელთ, პირიქით უდიდესი ზარალის ფასად უნდა ეხადათ სარგებელი მევახშეებისთვის. ასე ვერაგულად მოატყუა ტიმარმა თავისი მეტოქენი, განსაკუთრებით კი უბოროტესი მტერი ათანაზ ბრაზოვიჩი. როგორც კი მონოშტორში მიწები იყიდა, ტიმარმა თავისი გავლენიანი ნაცნობების წყალობით ისე მოაწყო საქმე, რომ ვენაში არ დაემტკიცებინათ სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილება მშენებლობის ერთდროულად დაწყების შესახებ.

ატალიას ქორწილამდე კი მხოლოდ სამი დღე იყო დარჩენილი.

ქორწილამდე ორი დღით ადრე იანოშ ფაბულა სულ სირბილით მივიდა ტიმარის სახლამდე და ისე აირბინა კიბეები, თითქოს წამოსასხამის ნაცვლად ფრთები შეასხესო. თან სიტყვებს თავს ვეღარ უყრიდა:

„ათიათასი! ოცი ათასი! ორმოცი ათასი! კომისია! გამოსასყიდი! იმპერატორი! მეფე! მოსავალი!“

— ვიცი, ვიცი, იანოშ! — როგორც იყო მიუხვდა ტიმარი. — დღეს მთავრობის კომისიამ შეაფასა მშენებლობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთები და რაშიც თქვენ ოცი ათასი გადაიხადეთ, ორმოცი ათასს გაძლევენ! თქვენ ოცი ათასი მოგება გრჩებათ, ასე არ არის? ესეც თქვენი დიდი მოსავალი! მეც ხომ ასე გიწინასწარმეტყველეთ!

— ნამდვილად ასე ბრძანეთ, ბატონო! წმინდა იანოშ ოქროპირი ყოფილხართ! ხუმრობა ხომ არ არის, სულ ტყუილუბრალოდ ოცი ათასი ფორინტი მიიღო! ამდენი ფული მთელი სიცოცხლის მანძილზე არ მინახავს ერთად! სიხარულისაგან თავბრუ მესხმის, ნება მომეცით თავდაყირა დავდგე და ხელებით გავიარო.

ტიმარმა გაიღიმა და თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად.

ფაბულამ ხელებით სამჯერ გაიარ-გამოიარა აივანზე და როცა ტიმარს მიუახლოვდა, ფეხზე წამოდგა.

— ახლაღა მივხვდი, რაში ყოფილა საქმე, იმდენი ფული მაქვს, რომ სინაგოგაც შემიძლია ვიყიდო!

(ეს უბრალო ხუმრობა არ იყო, კომარომელი ებრაელები სწორედ ახალი სამლოცველოს აშენებას აპირებდნენ გრაფი ზიჩის მამულში, ძველი კი საჯარო ვაჭრობით უნდა გაყიდულიყო.)

მაგრამ სანამ ფაბულა თავის განზრახვას სისრულეში მოიყვანდა, იმ დღეს ექვსჯერ მაინც ინახულა ტიმარი. პირველად მეუღლესთან ერთად ეწვია, მეორედ უმცროსი ქალიშვილი მიიყვანა, მესამედ — უფროსი გათხოვილი ქალი, მეოთხედ უფროსი ვაჟი, რომელსაც სასწავლებელი ახალი დამთავრებული ჰქონდა, მეხუთედ კი უმცროსი ვაჟი. მისმა მეუღლემ მადლობის ნიშნად მის პატივსაცემად გამომცხვარი საუცხოო კომარომული ფუნთუშა მიართვა, გათხოვილმა ქალიშვილმა საგანგებოდ თაფლში მოხალული ჭყინტი სიმინდი, უმცროსმა ქალიშვილმა, თაფლის კვერებით, წითელი კვერცხებით და ოქროსფერ ქაღალდში გახვეული ბერძნული თხილით სავსე, ფერად-ფერადი ქაღალდებით მორთულ-მოკაზმული ჯამი, უფროსმა ვაჟმა, რომელიც განთქმული მონადირე იყო, გალიით ჩიტბატონები მიართვა, უმცროსმა ვაჟმა კი ლექსი მიუძღვნა.

ფაბულას მთელმა ოჯახმა აღარ იცოდა, როგორ გადაეხადა მადლობა ტიმარისთვის, საღამოს კი ექვსივემ რაც შეეძლოთ ხმამაღლა უმღერეს: „სიცოცხლე და დღეგრძელობა ოქროკაცს!“

...მაგრამ საინტერესოა, რას მიართმევდნენ საჩუქრად კომარომელი ვაჭრები და განსაკუთრებით ბატონი ბრაზოვიჩი, როცა მის ბოროტ ხუმრობას მიხვდებოდნენ!

ქორწილამდე სამი დღე იყო დარჩენილი.

კვირა დღეს, ნასადილევს ატალია თავის მეგობრებთან წავიდა, მაშინ, გათხოვების წინ, ქალიშვილებს უფლება ჰქონდათ მარტო წასულიყვნენ სტუმრად.

ქალბატონ ზოფიას რომ იტყვიან, ბურთი და მოედანი დარჩა, არც სადმე იყო წასასვლელი, არც არავის ელოდა, არც მაღალი საზოგადოების ჭორების მოსმენა მოუწევდა მისთვის გაუგებარ გერმანულ ენაზე. როგორც იქნა, მარტო დარჩა და შესაძლებლობა მიეცა ახალგაზრდობის ბედნიერი დღეები გაეხსენებინა, როცა მოახლედ იყო ამ სახლში და კვირაობით, სადილობის შემდეგ, საათობით იჯდა ბაღში მოსამსახურეებთან ერთად და მოხარშულ სიმინდს შეექცეოდა.

აი, ახლაც თავისუფალი დღე ჰქონდა, მოხარშული სიმინდიც ედგა მაგიდაზე, მაგრამ არავინ ჰყავდა გვერდით, რომ ეჭორავა, მზარეული და პირისფარეშიც კი დაითხოვა. ისიც დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა, რომ შეეძლო სამზარეულოში მჯდარიყო და სიმინდიწ სარჩევი პირდაპირ იატაკზე დაეყარა, რასაც ვერც საწოლ ოთახში, ვერც სასტუმროში ვერ გააკეთებდა.

მალე თანამეინახეც გამოუჩნდა, სამზარეულოში ფეხაკრეფით შემოვიდა ტიმეა და სკამზე ჩამოჯდა. მასაც საქმე აღარაფერი ჰქონდა, საქორწინო კაბა უკვე ამოქარგა და საბოლოოდ გასაწყობად მკერავს წაუღეს. დანარჩენი საქორწინო მორთულობაც მხოლოდ ქორწილის წინ უნდა ყოფილიყო მზად.

ტიმეას ქალბატონ ზოფიასთან ბევრი საერთო ჰქონდა, ამ სახლში მასაც სამადლოდ ინახავდნენ. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ტიმეა მოსამსახურედ ჰყავდათ, მიუხედავად მაღალი წარმოშობისა, პატივცემული ზოფია კი თავის თავს მაინც მოახლედ თვლიდა, თუმცა მის ირგვლივ მყოფთათვის ქალბატონი იყო.

ტიმეა ქალბატონ ზოფიას გვერდით მიუჯდა, ისინი იმ ძიძასა და მზარეულს ჰგავდნენ მთელი კვირა ერთმანეთს რომ ეკინკლავებიან და დასვენების საათებს კი, ვითომც აქ არაფერიაო, მხიარულ საუბბარში ატარებენ.

ქორწილამდე მხოლოდ სამი დღე იყო დარჩენილი. ტიმეამ ირგვლივ მიმოიხედა და როცა დარწმუნდა მარტონი იყვნენ, ჩურჩულით ჰკითხა:

—დეიღა ზოფია, მითხარით, როგორ ხდება ჯვრისწერა?

ქალბატონმა ზოფიამ ეშმაკური ღიმილით გადახედა, გაიცინა და ისეთი თვალით დაუწყო ყურება, როგორც დიდი ხნის გამოცდილმა მოახლემ ახალბედას, რომლისთვისაც ბევრი რამ უნდა ესწავლებინა.

— ოჰ, ტიმეა, რომ იცოდე, რა სანახაობაა, ამაში მალე თვითონვე დარწმუნდები.

— ერთხელ მინდოდა ცალი თვალით მაინც შემეხედა საქორწინო ცერემონიალისთვის, — გაანდო ტიმეამ, — ჩუმად შევიპარე ტაძარში, როცა ჯვრისწერა მიმდინარეობდა, მაგრამ ნეფე-დედოფალი რომ ერთ ლამაზ მოოქროვილ ყუთს მიუახლოვდნენ, მხოლოდ ის დავინახე.

— ის არის საკურთხეველი!

— ამ დროს ვიღაც ბოროტმა ბიჭმა შემნიშნა და გარეთ გამომაგდო.

— აი, ყური მიგდე, — დაიწყო ქალბატონმა ზოფიამ და თან სიმინდის მარცვლები ჩაიყარა პირში, — ჯვრისწერა ასე ხდება: ოქრომკედით ნაქარგი ფარჩის წამოსასხამითა და თავზე ოქროს არაბჩინით გამოდის მღვდელი, ხელში ოქროს ყდაში ჩასმული წიგნი უჭირავს და გალობით კითხულობს. ნეფე-დედოფალი მუხლს იყრიან საკურთხეველის წინ, მღვდელი სათითაოდ ეკითხება მათ, უყვართ თუ არა ერთმანეთი.

— რა უნდა უპასუხონ?

— სულელო! უნდა უპასუხონ, რომ უყვართ ერთმანეთი. შემდეგ ორივენი მღვდელთან ერთად იმეორებენ ფიცს, რომ ერთმანეთის ერთგულნი იქნებიან და სიკვდილის მეტი მათ ვერაფერი დააშორებს. ისინი ფიცს სდებენ ღმერთისა და ყველა წმინდანის წინაშე, რომელსაც ამთავრებენ სიტყვებით, „უკუნითი უკუნისამდე“, და მთელი გუნდი კლიროსიდან იმეორებს „ამინ!“-ს.

ტიმეას ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

— შემდეგ მღვდელი ვერცხლის სინიდან იღებს ქორწინების ბეჭდებს და ნეფე-დედოფალს თითებზე უკეთებს, აერთებს მათ ხელებს და ოქროს ოლარს ახვევს. ამ დროს გუნდი ორღანის თანხლებით გალობს „უფალო შეგვიწყალე, უფალო შეგვიწყალე!“

ეს სიმღერით ნათქვამი სიტყვები განსაკუთრებით ჩასწვდა

გულში ტიმეას, ალბათ, ამ გრძნეულ სიტყვებსა და ლოცვას მოაქვსო ბედნიერება ახლადდაქორწინებულთათვის, გაიფიქრა მან.

— ამის შემდეგ ნეფე-დედოფალს ჭრელი აბრეშუმის წამოსასხამებს ახვევენ, თავზე ვერცხლის გვირგვინებს ადგამენ და მღვდელი აკურთხებს.

— ოჰ, რა კარგია!

ქალბატონმა ზოფიამ შეატყო, რომ ტიმეა მთელი გულისყურითა და ინტერესით მისჩერებოდა და რაც შეიძლებოდა დაწვრილებით აუწერა მთელი საქორწინო ცერემონიალი, ისიც კი არ გამორჩენია, რამდენ სანთელს ანთებენ ჯვრისწერის დროს.

— გუნდი ისევ გალობს „უფალო შეგვიწყალეს!“ მღვდელი იღებს ვერცხლის გვირგვინს, უწვდის ნეფეს, რომ ემთხვიოს და ადგამს თავზე შემდეგი სიტყვებით: „მონა ღვთისა ესა და ეს, ჯვარს იწერს მსევალ ღვთისა ამა და ამაზე“. შემდეგ დედოფალი ემთხვევა გვირგვინს.

— ბასაც ადგამს თავზე გვირგვინს?

— რა თქმა უნდა!

— შემდეგ დიაკონი კითხულობს ლოცვას, მღვდელი კი ხელს ჩასჭიდებს ნეფე-დედოფალს და სამჯერ შემოატარებს საკურთხევლის გარშემო, ამის შემდეგ მათ ხსნიან წამოსასხამებს და გვირგვინებს. ეკლესია ხალხითაა გაჭედილი, ყველა აღტაცებული შიჰყურებს ახალდაქორწინებულებს და ერთმანეთს ჩურჩულით ეუბნებიან: „ოჰ, რა ლამაზია დედოფალი! რა შესანიშნავი წყვილია!“

ოცნებებში ჩაძირული ტიმეა მოჯადოებულივით შეჰყურებდა და სიტყვის თქმას ვეღარ ახერხებდა. ქალბატონი ზოფია კი სულმოუთქმელად განაგრძობდა:

— მღვდელი იღებს ღვინით სავსე ოქროს სასმისს და ნეფე-დედოფალს ასმევს.

— ნამდვილ ღვინოს ასმევს? — ჰკითხა შეშფოთებულმა ტიმეამ. გაახსენდა, რომ მუსულმანებს ყურანი ღვინის სმას უკრძალავდა.

— რა თქმა უნდა, საუცხოო ღვინოს! თანაც ბოლომდე უნდა გამოსცალონ! ამ დროს მაყრიონი და დედოფლის მეგობრები ახალდაქორწინებულებს თაფლში მოხარშულ ხორბლის მარცვლებს აყრიან ლოცვა-კურთხევით, რომ მთელი სიცოცხლე ბედნიერად იცხოვრონ. ჯვრისწერა მართლაც რომ შესანიშნავი რამ არის და თვალი უფრო სასიამოვნოს ვერაფერს ნახავს.

ტიმეას თვალები უბრწყინავდა, საკუთარ თავზე წარმოიდგინა ყოველივე და სიხარულისა და შიშისაგან კანკალებდა. ქალბატონი ზოფია პირში სიმინდის მარცვლებს იყრიდა და გულში ეცინებოდა ამ სულელი გოგონას გულუბრყვილობაზე, თუმცა მასთან საუბარი დიდად ართობდა და სიამოვნებას ანიჭებდა.

მალე მათ მყუდროება დაურღვიეს, დერეფანში ნაბიჯების ხმა მოისმა და სანამ გამოერკვეოდნენ, ბატონი კაჩუკა შემოვიდა. მისმა მოულოდნელმა სტუმრობამ საბზარეულოში დიდი არევ-დარევა გამოიწვია. ქალბატონმა ზოფიამ აღარ იცოდა სად გაქცეულიყო, ფეხები საშინაო ფოსტლებში ჰქონდა წაყოფილი, კალთაში სიმინდის ნარჩენები ეყარა, რომელი ერთი უნდა დაემალა!

ტიმეა მასზე მეტად დაიბნა, თუმცა დასამალი არაფერი ჰქონდა.

— ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო, სადარბაზო შემოსასვლელი დაკეტილი დამხვდა და იძულებული გავხდი უკანა კიბით ამოვსულიყავი.

— რაღა ვქნა ახლა! ჩემი ქალიშვილი სტუმრად წავიდა თავის მეგობრებთან, მსახური ეკლესიაში გავუშვი, შინ მხოლოდ მე და ტიმეა დავრჩით და გადავწყვიტეთ მათ მოსვლამდე სამზარეულოში ვვემუსაიფა, მაპატიეთ, ბატონო კაპიტანო, ასეთ არეულობაში რომ შეგხვდით.

— არაფერია, ნუ შეწუხდებით, ქალბატონო, ჩემი ნუ მოგერიდებათ, პირიქით, ნება მიბოძეთ, შემოგიერთდეთ! — თავაზიანად უპასუხა კაპიტანმა.

— როგორ, აქ სამზარეულოში?.. სკამიც კი არ არის, რომ შემოგთავაზოთ...

ქალბატონმა ზოფიამ აღარ იცოდა, რა ექნა, მისაღებ ოთახში ვერ წაიყვანდა, საამისოდ არ იყო ჩაცმული, ვერც ის გადაეწყვიტა, ტიმეასთან ერთად გაეშვა და თვითონ ტანსაცმელი გამოეცვალნა, ან უხერხულობიდანაც ისევ კაპიტანმა გამოიყვანა. როგორც ყველა სამხედროს, მასაც უნარი შესწევდა, ყოველგვარი სიტუაციისთვის ალღო აეღო.

— აქ ისეთი სიმყუდროვეა, კაცი უკეთესს ვერაფერს ინატრებს! აი, იმ კათხაზე ჩამოვჯდები დიდი სიამოვნებით.

ახლა ერთი უხერხულობაღა რჩებოდა, სიმინდი, აქაც კაპიტანი მიეშველა.

— ვხედავ, ძალიან გყვარებიათ სიმინდი, მართლაც რომ კარგი

თავშესაქცევია სადილის შემდეგ. სიამოვნებით გეახლებით, მეც თუ გამიმასპინძლდებით, რამდენიმე მუჭა ჩამიყარეთ ქუდში.

ქალბატონმა ზოფიამ დიდად გაიხარა, კაპიტანმა რომ არ იუკადრისა მდაბიო ხალხის საყვარელი საჭმელი და კიდევ უფრო მეტი სიმპატიით განიმსჭვალა მისდამი.

— თქვენს მოსვლამდე ტიმეას ვუყვებოდი, როგორია ნათლობის ცერემონიალი ჩვენს ეკლესიებში, — დაიწყო ხასიათზე მოსულმა ქალბატონმა ზოფიამ.

ტიმეას შეეშინდა, სიმართლე არა თქვასო და კინაღამ გაიქცა სამზარეულოდან, მაგრამ საშიში არაფერი იყო, ქალბატონმა ზოფიამ მაშინვე შესცვალა საუბრის თემა.

— ვეხუმრე, მონათვლის წინ ემბაზში ჩაგაყურყუმელავებენ-მეთქი და წარმოიდგინეთ, ყველაზე მეტად თავისი საუცხოო ვარცხნილობის გაფუჭება დაეწანა.

საჭიროა, ერთი-ორი სიტყვით შევეხოთ ტიმეას ვარცხნილობასაც. მას მშვენიერი, ხშირი და გრძელი თმა ჰქონდა. ატალია თავის პარიკმახერს ავალებდა მეტად უცნაური ვარცხნილობა გაეკეთებინა მისთვის და ამით დიდად ერთობოდა. ხან ააჩეჩინებდა და მაღალი კოშკივით დაადგამდა თავზე, ხან ღამურას ფრთებივით გაუკეთებდა გვერდებზე, ხან თხის რქებივით დაუყენებდა, თან ისე გამოჰყავდა, ვითომ მისი გალამაზება უნდოდა, სინამდვილეში კი ყოველნაირად ცდილობდა რაც შეიძლება დაემახინჯებინა. ამას ყველა ამჩნევდა, მაგრამ ატალიას წყენას ერიდებოდნენ და არაფერს ეუბნებოდნენ.

ბატონმა კაჩუკამ გადაწყვიტა თვალი აეხილა მისთვის.

— ნამდვილად არ ღირს ასეთი ვარცხნილობისთვის თავის შეწუხება, უბრალო, სადად დავარცხნილი თმები უფრო დაგამშვენებდათ, თქვენ ისეთი საუცხოო ნაწნავები გაქვთ, რომ დასანანია მისი დაწვა ათასგვარი მაშებით. ძალიან გთხოვთ, ნუღარავის მისცემთ მისი წვალების ნებას, ასე შეიძლება ბუნებრივი ბრწყინვალებაც დაუკარგოთ, გაიუხეშოთ და ნაადრევადაც გაგცვივდეთ. თქვენს თმას ხელოვნური შელამაზება არ სჭირდება, შეგიძლიათ თვითონვე დაიწნათ და თავზე შემოიხვიოთ, ბევრად უფრო დაგამშვენებთ.

შესაძლოა, ბატონ კაჩუკას დაეწანა მისი მშვენიერი თმა და უბრალო ადამიანურმა გრძნობებმა ათქმევინა ეს, მაგრამ ტიმეაზე ბევრად უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე ეგონა.

იმავე წუთში ტიმეას მოეჩვენა, რომ სავარცხელიც და თმასარჭეებიც პიოდაპირ თავში ესობოდა და აუტანელ ტკივილს აყენებდა. ერთი სული ჰქონდა თმა ჩამოეშალა და სადად დაევარცხნა.

ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებია, კაპიტანს შეეცოდა დიასახლისი, რომელმაც აღარ იცოდა როგორ დაემალა დახეული ფოსტლები, საიდანაც თითები მოუჩანდა და წასასვლელად წამოდგა. თავაზიანად დაუკრა თავი, საღამოს კიდევ გამოგივლითო, შეჰპირდა და დროებით გამოეთხოვა.

როგორც კი კაპიტანი კარებში გავიდა, ტიმეამ სავარცხელი, გამოიძრო, თიეის ზვინივით აჩეჩილი თმა ჩამოიშალა და თბილი წყლით დაიბანა.

— ეს რა ჩაიდინე, სულელო? — იკივლა ქალბატონმა ზოფიამ,— რატომ გაიფუშე ვარცხნილობა? ატალია რას იტყვის, ხომ გაგიწყრება!

— გამიწყრეს! — მკვახედ უპასუხა ტიმეამ და თმის დაწვნა დაიწყო. ანაზდად, სიჯიუტის გრძნობა გაეღვიძა. კაპიტნის სიტყვებმა მხნეობა შემატა და მტკიცედ გადასწყვიტა ამიერიდან მხოლოდ მისი რჩევა მიეღო. ნაწნავი თავზე შემოიხვია და თავისუფლად ამოისუნთქა.

ქალბატონმა ზოფიამ გადაწყვიტა მისი ყურადღება ისევ მიეპყრო. გვერდით მიუჯდა და განაგრძო:

— ჰო, მართლა, სად გავჩერდით? გამახსენდა! ნეფე-დედოფალი ერთი ფიალიდან სვამენ ღვინოს და გუნდი მღერის „უფალო შეგვიწყალეს!“ მღვდელი სახარებას კითხულობს, შემდეგ გვირგვინებს ვერცხლის ლანგარზე აწყობს და მიმართავს ნეფეს: „სახელოვანი ყოფილიყავ, როგორც აბრამი, კურთხეული, როგორც ისაკი და გამრავლებული, როგორც იაკობი!“ შემდეგ დედოფალს ეუბნება: „სახელოვანი ყოფილიყავ, როგორც სარა, ამაღლებული, როგორც რებეკა და გამრავლებული, როგორც რახილი!“ ამის შემდეგ ნეფე-დედოფალი სამჯერ ჰკოცნის ერთმანეთს საკურთხევლის წინ, ყველა სტუმრის თანადასწრებით.

ტიმეამ თვალები დახარა, ეს რომ არ დაენახა.

ატალია როგორც კი დაბრუნდა, მაშინვე ტიმეას დაწნული თმა მოხვდა თვალში და განცვიფრებულმა უყვირა:

— ვინ მოგცა ნება, ვარცხნილობა ასე დაგემახინჯებია? სად არის შენი სავარცხელი, სარჭები, ბაფთა? ახლავე გაიკეთე ისე, როგორც გქონდა, გესმის, ახლავე!

ტიმეამ ჯიუტად გააქნია თავი.

— როგორ, უარის თქმასაც მიბედავ?

— დიახ!

ატალია გააცოფა მისმა პასუხმა, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, მისი სიტყვა ვინმეს არ შეესრულებინოს, მით უმეტეს, როგორ მოითმენდა ამას ტიმეასაგან, რომელიც მათ სახლში სამადლოდ ცხოვრობდა. ნეტავ რა მოუვიდა, რამ გადარია ეს გოგო, აქამდე ჩემი სიტყვა მაგისთვის კანონი იყო, გაიფიქრა და ერთი ისე შეხედა, თითქოს თვალებით უნდა შეეამოსო. ქალბატონი ზოფია შორიდან ტკბებოდა მათი ცქერით.

— ხომ გითხარი, ატალია გაგიჯავრდება-მეთქი?

— ახლავე გაიკეთე თმა ისე, როგორც გქონდა! — დაუყვირა მოთმინებადაკარგულმა ატალიამ.

— არა! — მტკიცედ უპასუხა ტიმეამ და მის მრისხანე მზერას თვალი გაუსწორა.

— მაინც რატომ არა? — დედამისივით იკივლა ატალიამ და სიბრაზისაგან ზუსტად მამასავით გადმოეკარკლა თვალები.

— იმიტომ რომ ასე უფრო ლამაზი ვარ! — უპასუხა ტიმეამ გაბედულად.

— ვინ გითხრა ეს?

— იმან...

ატალიას მეტისმეტი ბრაზისაგან ყბა გვერდზე მოექცა, კბილები გააკრაჭუნა და ისე მოღუნა თითები არწივის კლანჭებივით, თითქოს ესაა ტიმეას უნდა ეცეს და შუაზე გაგლიჯოსო, მაგრამ უცებ შედგა, ზურგი შეაქცია და დამცინავი სიცილით თავისი ოთახისკენ გაემართა.

იმავე საღამოს ბატონი კაჩუკა საცოლეს ვახშმად ეწვია. მაგიდაზე ატალია ისე თავაზიანად და ყურადღებით ეპყრობოდა ტიმეას, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

— როგორ ფიქრობთ, კაპიტანო, სადა ვარცხნილობა ხომ უფრო უხდება ტიმეას?

— ნამდვილად უხდება.

ატალიამ სხვების დასანახავად გაიღიმა, მაგრამ გულში გადა-

სწყვიტა ჭკუა ესწავლებინა მისთვის, რომ ასეთი თავხედობა სხვა დროს აღარ გაებედა. მთელი საღამო გვერდიდან არ იშორებდა ტიმეას, სულ ეფერებოდა და ეალერსებოდა, მოსამსახურეს უბრძანა, როგორც ქალბატონს ისე მოქცეოდა და ხელზე ეკოცნა მისთვის. ქალბატონი ზოფიაც პატარა საპატარძლოს ეძახდა.

მალე მკერავმა საქორწინო კაბა მოიტანა. ტიმეა თვალს ვერ აშორებდა, გახარებული ტაშს უკრავდა და ბავშვივით ცეკვავდა მის გარშემო.

— აბა, ჩაიცვი, ვნახოთ როგორ მოგიხდება! — გესლიანი ღიმილით შესთავაზა ცბიერმა ატალიამ.

ტიმეამ ჩაიცვა თავისი ხელით ამოქარგული ძვირფასი კაბა, მის თითქოსდა ხელოვნურად გამოქანდაკებულ მშვენიერ ტანს შესანიშნავად მოერგო და ისე უხდებოდა, რომ თვალს ვერ აცილებდა საკუთარ თავს. ოჰ, რა ლამაზი ვიქნები ამ კაბაშიო, გაიფიქრა და აქამდე უცნობმა, რაღაც უჩვეულო გრძნობამ გაიღვიძა მის გულში. ეს რა თქმა უნდა ვერ შენიშნა იმ ბოროტმა არსებამ, ასე მწარედ რომ ატყუებდა და დასცინოდა. მოსამსახურე გოგო სიცილს ძლივს იკავებდა, ის კი იდგა შორიახლოს და კმაყოფილი შეჰყურებდა თავის მსხვერპლს, რომელსაც აზრადაც არ მოსდიოდა, რომ დასცინოდნენ და თავის მშვენიერ ორეულს ბავშვური სიხარულით უღიმოდა სარკეში.

ატალიამ ახლა ფატა მოატანინა, ჯერ თვითონ მოიზომა და შემდეგ ტიმეას დაადგა თავზე. ჟასმინის თეთრი ყვავილები საოცრად მოუხდა მის ნაზ სახეს.

— მართლაც რომ დედოფალივით იქნები ამ ტანსაცმელში ჯვარის წერისას! ახლა კი მეც მინდა ვნახო, როგორ მომიხდება საქორწინო კაბა,—ჯერ კორსეტი ჩაიცვა, რომ უფრო გამოეკვეთა თავისი მშვენიერი ტანის სილამაზე და ბოლოს, ფატაც რომ დაიხურა, ტიმეამ აღტაცება ვეღარ დამალა და ისეთი სიყვარულით წარმოთქვა, რა მშვენიერი ხარო, რომ ერთი წამით აფიქრებინა, იქნებ, სჯობდეს ხუმრობა შევწყვიტოო, მაგრამ ბოროტებამ სძლია და გადაწყვიტა ისევ ბოლომდე ეწვალებინა. მისი ბრძანებით, ვისაც კი არ ეზარებოდა, ყველა ვერაგულად ატყუებდა და დასცინოდა. ტიმეას ამდენმა გადაკრულმა სიტყვამ მას თავბრუ დაახვია, კარებთან მიიყუჟა და კაჩუკას დაუწყო ლოდინი, მაგრამ როგორც კი ის გამო-

ჩნდა, თავქუდმოგლეჯილი გაიქცა და დაიმალა. მისი სახელის ხსენებაზეც კი იბნეოდა და ენა ერეოდა.

ნეტავ თუ ესმოდა რამე კაჩუკას მის ირგვლივ გათამაშებული კომედიისა?

შესაძლოა, ესმოდა კიდევაც და ვინ იცის, არც არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო ამ თამაშში მონაწილეობაზე, ან იქნებ აღსასრულის მოახლოებას გრძნობდა, რაც სხვებს აზრადაც არ მოსდიოდათ და გულგრილად ელოდა ამ საბედისწერო დღეს.

ქორწინების წინადღეს ატალიამ ტიმეას განუცხადა:

— დღეს მარხვა წმინდად უნდა შეინახო, ხვალ საკურთხevლის წინ წარსდგები, ჯერ მოგნათლავენ, შემდეგ ჯვარს დაგწერენ!

მართლაც ტიმეას მთელი დღე ლუკმა არ ჩაუდვია პირში, თუმცა შიმშილი ძალიან აწუხებდა და თითქოს განგებ მის გასაღიზიანებლად სწორედ მისი საყვარელი საჭმელები შემოჰქონდათ სადილზე. მოსამსახურეები და მზარეული ბევრს ეხვეწნენ, ცოტა მაინც შეჭამე, ჩუმად ყველა არღვევს წესსო, მაგრამ ამაოდ, მისმა არაჩვეულებრივმა ნებისყოფამ სძლია შიმშილს. თანაც იმ დღეს სულ სამზარეულოში ტრიალებდა, საქორწილო ნადიმისათვის ტკბილეულისა და ათასგვარი საჭმელების მომზადებაში ეხმარებოდა. უზარმაზარი მაგიდა სავსე იყო ნაირ-ნაირი ტორტებით, ღვეზელებით, ხილის წვენისაგან დამზადებული ჟელეთი და სხვა ნუგბარი საჭმელებით. ტიმეა ამას ზედაც არ უყურებდა, ატალია კი მის თვალწინ ყველაფერს გემოს უსინჯავდა.

იმ საღამოს ტიმეა ადრე დაწვა დასაძინებლად, სულ გათოშილი ვარო და ციებიანივით კანკალებდა, საბნის ქვეშაც კი კბილს კბილზე აცეძინებდა. გულქვა ატალიას ეს არ გაძოკპარვია და დაწოლის წინ გადაწყვიტა ერთი წვეთი შხამი კიდევ ჩაეწვეთებინა მისთვის, ბოროტი ღიმილით მიუახლოვდა და ყურში ჩასჩურჩულა: „კანკალი ხვალე ნახეო!“

ტიმეას ხვალინდელ დღეზე ფიქრი და ოცნება ისედაც მოსვენებას არ აძლევდა და ძილი არ ეკარებოდა, იმდენად იყო აფორიაქებული, რომ ლოცვაც კი ვერ გაიხსენა, ახ კი რა უნდა გახსენებოდა, წესიერად არც არავის უსწავლებია. (ეს ყველაფერი ხომ ხუმრობა იყო.) ბოლოს ბიბლიიდან ერთი ადგილი მოიგონა, სადაც ეგვიპტელთა სიკვდილით დასჯის ამბავი იყო მოთხრობილი, რომელიც ასე იწყებოდა „და მთელი წყალი სისხლად გადაიქცა“.

ატალია გულში ზეიმობდა და მისი ცქერით ტკბებოდა. ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ გაესწორებინა მისთვის, გაეხსენებინა ლოცვა, როშელიც იწყებოდა სიტყვებით „უფალო, განდევნე ავი სული ჩვენგან!“ ლოცვა, მით უმეტეს ქორწინების წინა ღამეს მისთვისაც არ იქნებოდა ურიგო, მიუხედავად დიდი სიმდიდრისა და სილამაზისა.

საწყალ ტიმეას მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, ან კი რა დააძინებდა, მის ჯერ ისევ ბავშვურ გულში ასე ნაადრევად და ვერაგულად გაღვიძებული, აქამდე შეუცნობი გრძნობა მოსვენებას არ აძლევდა. გარიჟრაჟზე ჩაეძინა მხოლოდ და საქორწილო სამზადისისათვის ატეხილმა ხმაურმაც ვეღარ გააღვიძა.

ატალიამ უბრძანა მოახლეს, საწოლ ოთახში ფარდები ჩამოეშვა ისე, რომ ნახევრად სიბნელე ყოფილიყო და სანამ საქორწინო კაბაში არ გამოეწყობოდა, არ გაეღვიძებინა.

მისი მორთვა კი სახუმარო საქმე არ იყო. ამპარტავანმა მზეთუნახავმა გადასწყვიტა, საქმროსა და უამრავი სტუმრის წინაშე მთელი თავისი განუმეორებელი სილამაზის ბრწყინვალებით წარმდგარიყო. საიდან აღარ იყვნენ ჩამოსული ნათესავები და მეგობრები მის ქორწილზე დასასწრებად! ვინ არ მოვიდოდა, სახელგანთქმული ვაჭრის, ათანაზ ბრაზოვიჩის ერთადერთი ასულის საქორწინო ცერემონიალზე! ამ რჩეულ საზოგადოებაში კი მშვენიერ ატალიას ვერავის დაუყენებდით გვერდით, აქ კი არა, მთელი ქვეყანაც რომ დაგვევლოთ, მასზე უფრო ლამაზ ქალს, ალბათ, ვერ იპოვიდით.

ქალბატონი ზოფიაც საუცხოოდ იყო გამოწყობილი, თუმცა ამ ახალი კაბისა და განსაკუთრებით ფეხსაცმელების ჩაცმას სიკვდილი ერჩია, ისე უჭერდა, რომ ნატრობდა, ნეტავ ეს ყოველივე მალე დამთავრდესო.

მალე საქმროც მოვიდა და როგორც ყოველთვის, ახლაც ჩვეული თავაზიანობით მიესალმა იქ მყოფთ, მაგრამ ეს თავაზიანობის ნიღაბი იყო მხოლოდ. საცოლეს საუცხოო ვარდების თაიგული მიართვა და ხმამაღლა განაცხადა, ბედნიერი ვარ, რომ ყველა ვარდზე უმშვენიერესსა და ულამაზეს ქალს ვუძღვნი ამ თაიგულსო, რისთვისაც ატალიამ მოხიბლავი ღიმილით დააჯილდოვა.

უკვე ყველა ადგილზე იყო ტიმეასა და ბატონი ბრაზოვიჩის გარდა. ტიმეა უბრალოდ გადაავიწყდათ კიდევაც, მაგრამ ოჯახის უფროსის გამოჩენას ყველა მოუთმენლად ელოდა.

დილაადრიან ციხე-სიმაგრის კომენდანტთან წავიდა და წუთი-

წუთზე ელოდნენ მის დაბრუნებას. სტუმრები ღელავდნენ, ეს ატა-ლიასაც გადაედო და ფანჯარაში ყურება დაიწყო. საქმროს გარდა ყველას მოუსვენრობა დაეტყო.

მაინც სად უნდა დაკარგულიყო ამდენ ხანს ბატონი ბრაზოვიჩი? წინა საღამოს საუცხოო ხასიათზე იყო, მეგობრებთან ქეიფობდა და ყველა გამვლელს ქორწილში ეპატიჟებოდა. გვიან ღამით შეზარ-ხოშებულმა კაჩუკას სახლს ჩაუარა, ფანჯარაზე დაუკაკუნა და და-უყვირა, ხვალ ასი ათას ფორინტს გაძლევო!

რა უნდა მომხდარიყო?

კომენდანტს ნათქვამი ჰქონდა მისთვის, რომ მინისტრთა საბჭომ მოიწონა მშენებლობის გეგმა და განკარგულებაც გასცა მიწების შესყიდვაზე, უფრო მეტიც, უკვე გაღებული იყო თანხები ჩალოკო-ზის მიწების შესასყიდად. მინისტრის ხელმოწერილ ქაღალდებს ფულის გაცემის თაობაზე იმ საღამოს ელოდებოდნენ, ასე რომ შე-ეძლო ჩაეთვალა, რომ ფული უკვე ჯიბეში ჰქონდა.

დილაადრიან ბატონი ბრაზოვიჩი პირველი გამოცხადდა ციხე-სიმაგრეში, კომენდანტმაც ბევრი აღარ ალოდინა და მაშინვე გამო-უცხადა, მოულოდნელად პატარა დაბრკოლება გამოჩნდაო.

— არაფერია, ეშველება ალბათ! — უპასუხა მშვიდად ვაჭარმა.

— სახელმწიფო საბჭოს შესახებ თუ იცით რამე?

— არა.

— წარმოიდგინეთ, მეც უკვე თხუთმეტი წელია ვმუშაობ და ჯერ არაფერი მსმენია მასზე. ის კი თურმე არსებობს და სწორედ ახლა შეგვახსენა თავი. როგორც უკვე მოგახსენეთ, მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა საფორტიფიკაციო მშენებლობის პროექტი და მიწის ნაკვე-თების შესყიდვის გეგმაც, მაგრამ ვიღაცის განცხადებამ დაარწმუნა მთავრობა, მიწის ყველა ნაკვეთის ერთდროულად შესყიდვა დიდ ზარალს მიაყენებს სახელმწიფოს და არც არის აუცილებელიო. რა თქმა უნდა მინისტრთა საბჭო თავის სიტყვას უკან ვეღარ წაიღებ-და, ამიტომ გადაწყვიტეს, სასწრაფოდ მოეწვიათ სახელმწიფო საბ-ჭოს სხდომა ამ სადაო საკითხის განსახილველად, რომელმაც მთავ-რობის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, ოღონდ მისი შესრულე-ბა დაყო ორ საფეხურად. გადაწყდა პირველ რიგში ის მიწები შე-ეძინათ, რომლებიც მშენებლობის დაწყებისთვისაა საჭირო, მონო-შტორის მიწების შესყიდვა კი პირველი რიგის მშენებლობების და-

მთავრებამდე გადაიდო, დაახლოებით თვრამეტი-ოცი წლით, ცოტა უნდა მოიცადოთ, ეს არის და ეს, კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო!

თავზარდაცემულმა ბატონმა ბრაზოვიჩმა სიტყვის თქმაც ვეღარ მოახერხა, დარეტიანებული იდგა და აღარ იცოდა რა ექნა. მართლაც არავის აზრად არ მოსვლია სახელმწიფო საბჭოს არსებობა და მინისტრების მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ, რომლებიც მოსყიდული ჰყავდათ, ახლა კი აი რა მოხდა! სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოო იყო და მას ვეღარავინ შეედავებოდა.

ასი ათასი ფორინტი მოგება დაკარგა ასე უეცრად, თუმცა მოგებას ვინღა დაეძებდა, ის ასი ათასიც წყალში ჩაეყარა, რითაც მიწები იყიდა, მათი ფასი ახლა გროშიც აღარ იყო. დაემსხვრა ტკბილი ოცნებებიც: ახალი მდიდრული სასახლის აშენებისა და ახალი ხომალდების შეძენისა. ოცნებად დარჩა ასევე ბიუჯისვაღე საზოგადოებით გაჭედილი გაცისკროვნებული ეკლესიაც. მის გონებაში უცებ ყველაფერი ერთმანეთში აირია, დედამიწაც დაყირავდა, და თვალთ დაუბნელდა. ოდნავ რომ გამოერკვა, უკვე ყველაფერი ორად ეჩვენებოდა, ციხე-სიმაგრის კედლები და ფანჯრები აქეთ-იქით ირწეოდა და ეგონა ის-ის იყო თავზე ჩამოექცეოდა...

•

ტიმეამ, როგორც იქნა, გაიღვიძა ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში და დიდხანს ვერ გამოერკვა, სად იყო. ბოლოს გაჭირვებით ჩაიცვა და ბარბაცით ძლივს მიაღწია დიდ დარბაზამდე, სადაც ატალიას რთავდნენ.

მზით გაჩახჩახებული საზეიმოდ მორთული დარბაზი ყვავილების კალათებითა და საქორწინო საჩუქრებით იყო სავსე. ამის დანახვაზე გონს მოვიდა, დღეს ხომ მისი ქორწილის დღე იყო! ბატონი კაჩუკაც იქვე იდგა ვარდების თაიგულით ხელში. მას რომ შეხედა, გული გადაუქანდა! თვალი გადაავლო იქ მყოფთ და ახლაღა შენიშნა რომ ატალიას მისი საქორწინო კაბა ეცვა. ნაბიჯის გადადგმა ვეღარ მოახერხა და ფერი წაუვიდა, რამდენიმე წუთი გაოცებისაგან პირდაღებული შეჰყურებდა ზღაპრული დედოფალივით მორთულ-მოკაზმულ ატალიას, რომელიც ამაყად მიუახლოვდა, ნიკაპი აუწია და დამცინავი ღიმილით მიმართა:

— ჯერ მე დავიდგამ გვირგვინს, ჩემო გოგონი, შენ კი სკოლაში

უნდა იარო და ასე ხუთი წლის შემდეგ იფიქრო გათხოვებაზე, თუ-კი, რა თქმა უნდა, ვინმე მოისურვებს შენს თხოვნას!

ყველამ სიცილი დაიწყო. ტიმეამ ხელები უმწეოდ ძირს დაუშვა და მშვენიერი თეთრ-ყირმიზი სახე კიდევ უფრო გაუფითრდა. ვერავითარი სიტყვებით ვერ გამოხატავდით ახლა მის განცდებს.

ბევრის გულში ტიმეამ სიბრალული გამოიწვია, ატალია მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა, მეტის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, თორემ სტუმრებს შეიძლებოდა არასასიამოვნო შთაბეჭდილება დარჩენოდათ მასზე, მიუხედავად იმისი თვალისმომჭრელი სილამაზისა. მაშინვე ტონი შესცვალა და რაც შეიძლებოდა ალერსიანად მიმართა:

— მოდი ჩემთან, ტიმეა, ფატა დამიმაგრე თმაზე.

ტიმეამ აკანკალებული ხელებით აიღო ფატა, არეული ნაბიჯით მიუახლოვდა ატალიას, ამ მოულოდნელობით დაბნეულმა ძლივს გახსნა ოქროს სარჭი და უნებლიეთ ოღნავ უჩხვლიტა. ამის მიზეზი უფრო ატალიას მოუსვენრობა იყო, თავს სულ აქეთ-იქით ატრიალებდა, მაინც ტიმეას დააბრალა, რა მოუხერხებელი ხარო, უყვირა და ხელში ჩაარტყა.

ამის მოთმენა აღარ შეიძლებოდა, ცემაც კი გაუბედეს ამ საზეიმო დღეს, ისიც საქმროს თანდასწრებით! ორი ცრემლი ჩამოუგორდა გაფითრებულ ლოყაზე და, ალბათ, ამან აავსო კიდევაც სამართლიანობის ქალღმერთის მოთმინების ფიალა.

ატალიამ თავისი სიფიცხე ნერვულობით ახსნა, სანერვულო კი მართლაც ჰქონდა, ბატონი ბრაზოვიჩი ჯერ კიდევ არ ჩანდა. მისი ნერვულობა მალე სხვებსაც გადაედო, გარდა საქმროსი, რომელიც მუდამ ინარჩუნებდა სიმშვიდესა და გულგრილობას. ეკლესიიდანაც შეატყობინეს, რომ მღვდელი მზად იყო და ნეფე-დედოფალს ელოდა, მათ პატივსაცემად უკვე ზარებიც შემოჰკრეს. ატალია სიბრაზისაგან ადგილს ვეღარ პოულობდა. შიკრიკს შიკრიკზე აგზავნიდნენ ციხე-სიმაგრეში ბატონ ბრაზოვიჩთან.

აი, როგორც იქნა, ეზოში მისი ეტლიც გამოჩნდა.

— ძლივს! — ჩაილაპარაკა ატალიამ, ერთხელ კიდევ ჩაიხედა სარკეში და მშვენიერ, ქალღმერთ იუნონას მსგავს ყელზე შემოხვეული მარგალიტის ყელსაბამი გაისწორა.

ამ დროს სადარბაზოდან რაღაც უცნაური ხმები მოისმა, უამრავი ხალხი ჩოჩქოლით ამორბოდა კიბეზე, მალე დარბაზში შეში-

ნებული ხმით ვიღაცამ იკივლა, სტუმრები შემოსასვლელისაკენ გაიქცნენ. ატალიას მეგობრებიც ამბის გასაგებად გამოვიდნენ, მაგრამ უკან აღარავინ შემოსულა. უცებ ქალბატონ ზოფიას კივილიც შემოესმათ. ამას ატალიამ ყურადღება არ მიაქცია, იცოდა დედამისის ხასიათი და საქმროს სთხოვა, გაეგო რა მოხდა.

კაპიტანი მაშინვე გავიდა და დედოფალთან მხოლოდ ტიმეაღა დარჩა. საქმრო მალე დაბრუნდა, მაგრამ აღარ შემოსულა დარბაზში, კარებიდან შემოსძახა ცივად:

— ბატონი ბრაზოვიჩი გარდაიცვალა!..

ამის გაგონებაზე ატალია უგრძნობლად დაეცა და ტიმეას რომ ხელი არ შეეშველებინა, ალბათ, თავს გაიტეხდა მარმარილოს მაგიღის კიდეზე. სახე ტიმეაზე მეტად გაფითრებოდა, რომელსაც მისი თავი მუხლებზე დაედო და ფიქრობდა: „ჩემი საქორწინო კაბა იატაკზე გდია მტვერშიო!“

საქმრო ერთხანს იდგა კარებში და ტიმეას შეჰყურებდა, შემდეგ ცივად. შეტრიალდა და იქაურობა დასტოვა, საცოლეს წამოდგომაშიც კი არ მიეშველა.

VIII. ტიმეა

„როგორ გდია მტვერში ჩემი საქორწინო კაბა!..“

ბრაზოვიჩების სახლში საქორწინო ნადიმი ქელეხმა შესცვალა, ატალიას კი უძვირფასესი აბრეშუმის საქორწინო კაბის ნაცვლად სამგლოვიარო ძაძების ჩაცმა მოუხდა. ტიმეასაც შავები ეცვა და ახლა ისინი ერთმანეთისაგან დიდად აღარ განსხვავდებოდნენ, შავი ძაძები ხომ მდიდარსა და ღარიბს ათანასწორებს. მაგრამ საქმე მარტო ძაძებში როდი იყო!

ათანაზ ბრაზოვიჩის მოულოდნელმა სიკვდილმა უბედურება უბედურებაზე დაატეხა თავს მის ოჯახს. საქმრომ მეორე დღესვე ნიშნობის ბეჭედი დაუბრუნა ატალიას და ისე მიატოვა, რომ მამამისის დასაფლავებასაც არ დაესწრო, თუმცა წესისამებრ მიცვალებულის ყველა ახლობელი, მეგობარი და ნაცნობი ვალდებული იყო უკანასკნელი პატივი ეცა მისთვის და ქუდმოხდილი გაჰყოლოდა სასაფლაომდე.

ბევრი სასტიკად ჰკიცხავდა ბატონ კაჩუკას ამ უღირსი საქცი-

ელისთვის და მხედველობიდან რჩებოდა ის გარემოება, რომ რადგანაც ბატონი ბრაზოვიჩი აღთქმულ ასი ათასს ვეღარ მისცემდა მზითვად, მასაც შეეძლო თავის მხრივ ისე მოქცეულიყო, როგორც საჭიროდ ჩათვლიდა.

მალე მოვალეებმაც სარგებლით მოითხოვეს თავიანთი ფული. ბრაზოვიჩების მთელი ქონება ერთი ხელის დაკვრით განიავდა, ოჯახი სულ უსახლკაროდ დარჩა. ისინი იმ თოვლის გუნდასავით მიექანებოდნენ ქვევით, გზადაგზა თოვლს რომ იკრებს, იზრდება და სადაცაა უფსკრულში უნდა ჩაიჩეხოს.

ახლა უკვე ყველა მიხვდა, რომ საქმრო გონივრულად მოიქცა და დროულად აარიდა თავი მოსალოდნელ უბედურებას. ბატონი ბრაზოვიჩის საქმეები სულ არეულ-დარეული იყო და ზარალის მეტს აღარაფერს იძლეოდა. იმდენი ვალი ჰქონდათ,-რომ მის გასტუმრებას განსვენებულის მთელი ქონება არ ეყოფოდა. ამას ისიც დაემატა, რომ მოქალაქეებისგან მიბარებული სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებებისათვის შემოწირული ფულიც გაფლანგული აღმოჩნდა. ბრაზოვიჩმა ტიმეასაც დაუკარგა მემკვიდრეობა და საკუთარ ოჯახსაც. მალე მათთან მევალეებთან ერთად სასამართლოს აღმასრულებლებმაც დაიწყეს სიარული და მთელი ქონება აუწერეს, დალუქეს ავეჯი და ოთახები, თან დამწუხრებული მეუღლისა და ქალიშვილის თანდასწრებით უდიერად იხსენიებდნენ განსვენებულს.

ამის შემდეგ საპარადო შესასვლელში გამოაკრეს განცხადება, რომ მთელი ქონება, დაწყებული საქორწინო კაბით და გათავებული სახლით გაიყიდებოდა საჯარო ვაჭრობით. სულ მალე, ულამაზეს ატალიას საკუთარი ჭერიც კი აღარ ექნებოდა. მეგობრებმა და ნაცნობებმაც ზურგი შეაქციეს. მთელი თავისი განძეულობიდან მხოლოდ ორი ნივთის გადამალვა შესძლო, ეს იყო საქმროს მიერ დაბრუნებული ქორწინების ბეჭედი და კალცედონის კოლოფი. კოლოფი ჯიბეში ჰქონდა დამალული, ღამით, ყველას რომ ეძინა, ადგა და მასში მოთავსებულ განძეულობას თვალი გადაავლო, შიგ სხვადასხვა სახის საწამლავი იდო. ეს საშინელი კოლექცია ატალიამ იტალიაში მოგზაურობისას შეაგროვა და ყველა დაშინებული ჰყავდა, ვინმემ რომ მაწყენინოს, საწამლავს დავლევო. მართლაც იძულებული იყვნენ, მისი ყოველი ახირებული სურვილი შეესრულებინათ.

ახლა დადგა მის ცხოვრებაში ყველაზე მძიმე წუთები, მამამ სი-

ღარიბეში დასტოვა, საქმრომ ქორწინების დღეს მიატოვა, რაღა დარჩენოდა ამქვეყნად? წარმოიდგინა, როგორი ცხოვრებაც მოელოდა. გახსნა კოლოფი და ყველაზე სწრაფადმოქმედი საწამლავი ამოიღო. მაგრამ დალევა ვერ შესძლო, ძალა არ ეყო საკუთარი სიცოცხლის მოსასპობად, სიკვდილი ძნელი ყოფილაო, გაიფიქრა და სარკეში ჩაიხედა. ან კი როგორ შეიძლებოდა ასეთი სილამაზის მოსპობა!

დახურა კოლოფი და ახლა ქორწინების ბეჭედი ამოიღო. მისთვის ესეც საწამლავი იყო და, შესაძლოა, უფრო ძლიერიც. ადამიანი, რომელმაც ეს ბეჭედი დაუბრუნა, საკუთარ თავზე მეტად უყვარდა.

აღარც საწამლავისა და აღარც ბეჭდის ყურება არ შეეძლო, ადგა და სასწრაფოდ დაიწყო ჩაცმა. მოახლე აღარ ჰყავდა, რომ მიხმარებოდა, ზოფიას და ტიმეას მოსამსახურეთა ოთახში ეძინათ, საწოლი ოთახები დალუქული იყო. არ იცოდა, რომელი საათი იყო, უკვე აღარ მართავდნენ, ყველა სხვადასხვა დროს აჩვენებდა, მაგრამ ახლა მისთვის ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

. ჩუმად გააღო კარი და ფეხაკრეფით გამოვიდა ქუჩაში, დაკეტვაზე არც უფიქრია, მოსაპარი მაინც აღარაფერი ებადათ. ქუჩაში ადამიანის ჭაჭანება არ იყო, ბნელოდა, მთელ ქალაქში მხოლოდ სამი ფარანი ბჟუტავდა: ერთი წმინდა სამების წინ, მეორე რატუშის შესასვლელთან, მესამე საყარაულოსთან.

ატალია სასტუმრო „ანგლიასკენ“ გაემართა. ამ ადგილს ცუდი სახელი ჰქონდა, აქ იყო ქალაქის პარკი, რომელიც საცხოვრებელ რაიონებს ციხე-სიმაგრისაგან ჰყოფდა, მის ჩაბნელებულ ხეივნებში საეჭვო ყოფაქცევის ქალები დადიოდნენ ხოლმე და ატალია შეიძლებოდა გზაზე მათ გადაჰყროდა, მაგრამ ახლა აღარაფერს დაგიდევდათ. აღარც ზიზღის გრძნობა გააჩნდა და არც შიშისა. მთელი მისი არსება საწამლავმა მოიცვა, რომელსაც ქორწინების ბეჭედი ასხივებდა. ადამიანს ხომ მანამდე ეშინია ტალახისა, სანამ შიგ ჩავარდებოდეს.

კუთხეში ყარაული იდგა, ატალია ცდილობდა უხმაუროდ გაევლო, რომ მას არ შეენიშნა. სასტუმროს შენობის ფასადი ბაზრის მოედანს გადაჰყურებდა, სადაც დღისით ახალი პური იყიდებოდა, ატალიამ აივნის ქვეშ გავლა ამჯობინა, ვერავინ დამინახავსო, მაგრამ უცებ რაღაცას დაეჯახა სიბნელეში — გზაზე უგონოდ მთვრალი ქა-

ლი იწვა და ლანძღვა-გინება დაუწყო, რატომ გამაღვიძეო. ატალიამ მას ყური არ ათხოვა და გზა განაგრძო. მალე სასტუმროს კუთხეში შეუხვია და თავისუფლად ამოისუნთქა — ყარაულის თვალი აქ ვეღარ მისწვდებოდა. ქალიშვილმა პარკი გადასჭრა და თავისი საქმროს სახლს მიადგა. მის ფანჯრებში ისევ ენთო სინათლე. ატალიამ ორთავიანი არწივის გამოსახულებით დამშვენებულ კარზე მეტისმეტი მღელვარებისაგან აკანკალებული ხელით დააკაკუნა. დენშჩიკმა გამოიხედა.

— კაპიტანი შინ არის? — ჰკითხა ატალიამ.

— შინ გახლავთ, მობრძანდით! — უპასუხა ახალგაზრდამ და ეშმაკურად გაიღიმა. ის კარგად იცნობდა მოსულს, რომელსაც არაერთხელ დაესაჩუქრებინა კაპიტნის მიერ გამოგზავნილი ყვავილების თაიგულისა და ახლადშემოსული ხილის მირთმევისთვის.

კაპიტანს ისევ ეღვიძა და სამუშაო კაბინეტში იყო. ეს გახლდათ უბრალოდ და სადად მოწყობილი ოთახი, კედლებზე რუქები ეკიდა, მაგიდაზე უამრავი წიგნი და საინჟინრო ხელსაწყოები ეწყო. შესვლისთანავე იგრძნობდით, რომ აქ სამხედრო პირი ცხოვრობდა, მთელი ავეჯი და იატაკიც კი თამბაქოს ბოლითა და სუნით იყო გაჟღენთილი.

ატალიას აქამდე მხოლოდ გარედან თუ შეეხედა ამ ოთახში, ისიც მალულად, როცა კვირაობით, ნასადილევს, დედასთან ერთად სამხედრო ორკესტრის მოსასმენად გაივლიდა ხოლმე. რაღა თქმა უნდა, ის სასახლე, რომელშიც ქორწინების შემდეგ უნდა ეცხოვრათ, ბევრად უფრო მდიდრულად გამოიყურებოდა, მაგრამ მევალეების მოთხოვნით ისიც დალუქეს.

ბატონი კაჩუკა დიდად გააოცა ასე გვიან ატალიას სტუმრობამ. მას, წინააღმდეგ სამხედრო წესდებისა, ლურჯი მუნდირის ზედა სამი ღილი შეხსნილი ჰქონდა, უფრო მეტიც, არც ცხენის ძუისაგან დაწნული ჰალსტუხი ეკეთა. ატალია თავჩაქინდრული გაჩერდა ზღურბლზე. კაპიტანი განცვიფრებული შეეგება:

—ღვთის გულისათვის, გამაგებინეთ, რა დაგემართათ? ამ შუაღამისას რამ მოგიყვანათ?

ატალიამ ხმა ვერ ამოიღო, მკერდზე მიეყრდნო და ატირდა. კაპიტანი არც კი მოეხვია, ხელი მოჰკიდა ცივად და სავარძელში ჩასვა, შემდეგ მუნდირის ღილები შეიკრა, ჰალსტუხი გაიკეთა და მის პირდაპირ ჩამოჯდა.

— მაინც რა მოხდა, რა დაგემართათ?

ატალიამ ცრემლები მოიწმინდა, ერთხანს მრავალმნიშვნელოვნად შეჰყურებდა, მაგრამ კაპიტანზე ამან არავითარი გავლენა არ მოახდინა და ბოლოს იძულებული გახდა აკანკალებული ხმით აეხსნა მოსვლის მიზეზი.

— ბატონო! სანამ ფუფუნებაში ვცხოვრობდი, თქვენ დიდ პატივს მცემდით და გიყვარდით კიდეც. ახლა თუ დარჩა თქვენს გულში ერთი ნამცეცი მაინც იმ გრძნობისა?

— რა თქმა უნდა! — უპასუხა კაჩუკამ ცივად, — მუდამ თქვენს მეგობრად მიგულეთ. მოულოდნელმა უბედურებამ, თავს რომ დაგატყდათ, მეც ბევრი რამ დამაკარგვინა, ჩემი ოცნება სამსახურში დაწინაურებაზე ოცნებად დარჩა და ისევ ღარიბ ოფიცრად დავრჩი, რომელსაც ცოლის შერთვის უფლება არა აქვს.

— ჩემთვის ეს ცნობილია და აქ იმისთვის არ მოვსულვარ, რომ ეს შეგახსენოთ, ახლა ორივენი ღარიბები ვართ, მაგრამ თუ თქვენც მოინდომებთ, მდგომარეობის გამოსწორება კიდევ შეიძლება. მამაჩემს ერთი მდიდარი ბიძა ჰყავს, მისი ერთადერთი მემკვიდრე მე ვარ. დღეს თუ ხვალ მოკვდება და მთელი მისი ქონება მე დამრჩება, მანამდე დაგელოდებით, ოღონდ შემომფიცეთ, რომ სხვას არ ითხოვთ ცოლად. აი, გიბრუნებთ ქორწინების ბეჭედს, წამიყვანეთ დედათქვენთან და სიტყვას გაძლევთ, რომ უკმაყოფილო არ დარჩება!

ბატონმა კაჩუკამ ისე ამოიოხრა, რომ სანთელი კინაღამ ჩააქრო.

— ეს შეუძლებელია. თქვენ დედაჩემს არ იცნობთ, ერთი გულცივი და უხასიათო ქალია, დიდი მომჭირნეობით ცხოვრობს პენსიით. ვერც კი წარმოიდგენთ, რა უსიამოვნება დამატეხა თავს, თქვენზე ქორწინება რომ გადავწყვიტე. წარმოშობით ბარონესაა და, რა თქმა უნდა, სასტიკი წინააღმდეგი იყო ჩვენი ქორწინებისა. თვითონ განსაჯეთ, როგორ შემიძლია მასთან წაგიყვანოთ? თქვენს გამო ჩემთანაც სამუდამოდ გაწყვიტა კავშირი.

ატალიას მღელვარებისაგან ლოყები გაუწითლდა, ორივე ხელი ჩასჭიდა თავის ვერაგ საქმროს და ჩურჩულით უთხრა:

— თუ ჩემს გამო თქვენ საკუთარ დედას დაშორდით, მაშინ მე მთელ ქვეყანასთან ვწყვეტ კავშირს!

კაჩუკას მისთვის ზედაც არ შეუხედავს, მაგიდაზე გეომეტრიული ფიგურების ხაზვა დაიწყო, და სინუსებისა და კოსინუსების შე-

ფარდებით სიყვარულსა და უგუნურებას შორის განსხვავების დადგენას შეუდგა.

ატალია კი განაგრძობდა:

— უკვე იმდენი დამცირება განვიცადე, რომ აღარაფრის მეშინია. თქვენს გარდა არავინ გამაჩნია ამქვეყნად. თქვენ რომ არ მეგულებოდეთ, ალბათ, თავს მოვიკლავდი! ისე ძლიერ მიყვარხართ, რომ მზად ვარ ყოველი თქვენი სურვილი შევასრულო, ჩემთვის უკვე სულ ერთია, თქვენი ხელით სიკვდილსაც კი სიხარულით შევხვდები!

კაჩუკა ისევ ხაზვას განაგრძობდა და ფიქრობდა, რა ეპასუხნა მისთვის.

— ატალია, გულახდილად მინდა გელაპარაკოთ, პატიოსანი კაცი ვარ და ჩემს თავს უფლებას არ მივცემ თქვენი დაბნეულობით ვისარგებლო. მეგობრულად მინდა კეთილი რჩევა მოგცეთ, გაემგზავრეთ ბელგრადში თქვენს მოხუც ბიძასთან, რომელიც დიდი სიამოვნებით გაგიწევთ მფარველობას და გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ სხვა ქალს არ შევირთავ ცოლად. დიდად მოხარული ვიქნები, თუ ისევ შევხვდებით და ისევ ისე მეყვარებით.

კაჩუკას ამ სიტყვებს კეთილი გული ალაპარაკებდა მხოლოდ, მის სახეზე კი ატალიამ ამოიკითხა, რომ არასოდეს ჰყვარებია ის, მას სხვა უყვარს, მასავით ღარიბი და ამის გამო ვერ უთხოვია. მას თავში ახალმა აზრმა გაუელვა.

— ხვალ რომ ბელგრადში წავიდე ბიძასთან, მოხვალთ ჩემს გასაცილებლად?

— რა თქმა უნდა, მოვალ, — ნაჩქარევად უპასუხა კაჩუკამ, — ახლა კი, გთხოვთ შინ წაბრძანდეთ! მოგაცილათ ვინმემ?

— არა, მარტო მოვედი.

— გულადი ქალი ყოფილხართ, მაგრამ მარტოს ვერ გაგიშვებთ.

— უხერხული იქნება, რომ გამაცილოთ, შეიძლება, ვინმემ თვალი შეგვასწროს და ქვეყნის სალაპარაკო გავხდებით. ჩემზე აღარ ვფიქრობ, რაც უნდათ ისა თქვან, თქვენ კი ფრთხილად უნდა იყოთ.

— ჩემი დენშჩიკი გაგაცილებთ.

— საჭირო არ არის, როგორმე მივალ სახლამდე, ხვალ დილისთვის გელოდებით!

— დილის რვა საათზე თქვენთან ვიქნები.

ატალია წამოსასხამში გაეხვია და სწრაფად გავიდა. მოეჩვენა,

რომ კაპიტანმა ხმალი შემოირტყა და გულში ესიამოვნა, შეიძლება შორიახლოს გამომყვესო, გაიფიქრა და სასტუმროს კუთხეში ცოტა ხანს შეჩერდა, მაგრამ არავინ გამოსულა. ცუდად ენიშნა და გუნება წაუხდა. წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, რომ იტყვიან, ისე იყო მისი საქმე. ახალმა ვერაგულმა აზრმა გაუელვა, ოღონდ საჭირო იყო კაჩუკას ბელგრადამდე გაეცილებინა, მაშინ ვერავითარი ძალა ეღარ გამოიხსნიდა მისი კლანჭებიდან.

სასტუმროს აივნის ქვეშ ისევ იმ მძინარე ქალს გადააწყდა, მაგრამ აღარ გაუღვიძია, მკვდარივით ეძინა ქვაფენილზე.

სახლს რომ მიუახლოვდა, საშინელმა ეჭვმა შეიპყრო, ვინ იცის, არც მოვიდეს დილაზე ჩემთან და ბელგრადამდე გაცილებას იმიტომ შემპირდა, რომ თავიდან მოვეშორებინეო. ამ არასასიამოვნო ფიქრებმა სულ აუფორიაქა გონება. გაჭირვებით ავიდა კიბეზე და ოთახში შევიდა. მაგიდაზე სანთლის ძებნისას დანა მოხვდა ხელში. უცებ საშინელმა აზრმა გაუელვა, რა იქნება, იმ საზიზღარ გოგოს გულში რომ დავცე, სულ ერთია ამქვეყნად ჩვენი ერთად ცხოვრება არ შეიძლება და ორივენი დავისვენებთო. მართალია ამის შემდეგ მასაც სიკვდილით დასჯიდნენ, მაგრამ აღარც ტიმეა იქნებოდა ცოცხალი და ეს იყო მისთვის მთავარი. დანით ხელში ტიმეასკენ გასწია, მაგრამ გაახსენდა, რომ მას ახლა დედამისთან ერთად მოახლეობა ოთახში ეძინა. დანა ხელიდან გაუვარდა და კანკალმა აიტანა. გაუხდელი მიწვა ლოგინზე, ლოცვა მოუნდა, მაგრამ მის ნაცვლად ბიბლიიდან ეგვიპტელთა სიკვდილით დასჯის ადგილი გაახსენდა ანაზდად, სწორედ ის, ტიმეა რომ კითხულობდა მისი ქორწილის წინა ღამეს. როგორ დასცინოდა, მაშინ მის გულუბრყვილობას! ახლა კი ეს საშინელი სტრიქონები მთელი ძალით ჩაესმოდა ყურში და მოსვენებას არ აძლევდა. ათასგვარი კოშმარული სურათი წარმოუდგა თვალწინ: სისხლის მორევი, საზიზღარი გომბეშოები, ქვის სეტყვა, კალიების ჯარი, უკურნებელი სენით დაავადებულ ადამიანთა შემზარავი წყლულები!

რაც შეეძლო მაგრად დახუჭა თვალები, მაგრამ არც ამან უშველა, ამ შემაძრწუნებელ მოჩვენებებს ვერ დაემალა, და ბოლოს, როცა დიდი წვალების შემდეგ ჩაეძინა, სიზმარშიც იგივე ესიზმრა.

დილით ამ კოშმარული სიზმრებიდან ატალია დოლის ხმამ გამოაღვიძა, ის-ის იყო მის თვალწინ სიკვდილით სჯიდნენ ახალგაზრდა ქალს, რომელსაც თავისი მეტოქე მოეკლა. აი, მუხლებზე დაჩოქილ-

მა უკვე თავი დასდო კუნძზე, ჯალათმა ალესილი ნაჯახი აღმართა, ბოსამართლემ განაჩენის უკანასკნელი სიტყვები წაიკითხა და დოლის ხმაც გაისმა.

ატალია ლოგინიდან წამოხტა და ყური მიუგდო, მას ახლა უფრო გარკვევით მოესმა დოლის ხმა, რომელიც საჯარო ვაჭრობის დაწყებას იუწყებოდა. ამ ხმის გაგონება ბევრად უფრო ძნელი ასატანი იყო მისთვის და ინატრა, ნეტავ ისევ სიზმარი იყოსო. იყიდებოდა ბრაზოვიჩების მთელი ქონება, ატალიასთვის აუტანელი იყო იმის მოსმენა, როგორ ასახელებდნენ ხმამაღლა მისთვის ბავშვობიდანვე ნაცნობ ნივთებს, რომლებსაც ჯერ კიდევ გუშინ თავისად თვლიდა და ახლა ჩაქუჩის დარტყმის შემდეგ ახალი მფლობელის საკუთრებად უნდა ქცეულიყო. ულმობელი ხმა კი ახლა სხვა ნივთს ასახელებდა: „ერთი! ორი!.. ვინ იხდის მეტს?.. სამი!“

ატალიამ ჩაიცვა შავი სამგლოვიარო კაბა, ერთადერთი ნივთი, რომელიც სასამართლოს აღმასრულებელმა დაუტოვა და დედისა და ტიმეას მოსაძებნად გავიდა. ისინი უკვე ჩაცმულები დახვდნენ სამზარეულოში.

ქონების აწერისას, საერთოდ რაც ზედ აცვიათ, არ ართმევენ და ქალბატონ ზოფიას თითქმის თორმეტი კაბა მაინც ჩაეცვა, ისე იყო გასქელებული, ვეღარ იცნობდით, ჯიბეებშიც ვერცხლის კოვზები ჩაეწყო და ძლივს დადიოდა. ტიმეას თავისი ჩვეულებრივი უბრალო კაბა ეცვა და რძეს ადუღებდა ყავისთვის.

ატალიას დანახვაზე ქალბატონი ზოფია წამოხტა და ტირილი დაიწყო: — ეს რა დღეში ჩავვარდით, ჩემო მზეთუნახავო გოგონი! რაღა გვეშველება? უკეთესი იყო ამ საშინელ დღეს არ მოვსწრებოდით! ალბათ, ამ ჩაქუჩის ხმამ გაგაღვიძა!

— რვა საათი ხომ არ არის ჯერ? — ჰკითხა ატალიამ.

— რაღა დროს რვაა, ვაჭრობა ცხრაზე დაიწყო.

— არავის უკითხავარ?

— ვიღას გავახსენდებით ახლა, ისიც დილაუთენია?

ატალია დარწმუნდა, რომ ბატონი კაჩუკა არ მოვიდა და რომ არ წაქცეულიყო, სკამზე ჩამოჯდა.

ტიმეამ საუზმე მოამზადა და ქალბატონებს მაგიდა გაუწყო, მაგრამ ატალიას დანა პირს არ უხსნიდა. ქალბატონი ზოფია, რაც კი შეეძლო, ეფერებოდა:

— დალიე ყავა, შვილო, დალიე, ჩემო ლამაზო გოგონი, ვინ

იცის. ხვალ კიდევ მოგვიმზადებს ვინმე საუზმეს? ყველამ ზურგი შეგვაქცია და მტრად გაგვიხდა. რა გვეშველება, სად უნდა წავიდეთ?

მიუხედავად ამისა, სიამოვნებით მიირთვა გემრიელი ყავა, ატალია კი, გუშინ ბელგრადში წასვლაზე რომ ოცნებობდა და მოუთმენლად ელოდა თავის საქმროს, ახლა იმაზე ფიქრობდა, თავი როგორ მოეკლა.

„ნეტავ ფინჯანში ქინძისთავი აღმოჩნდეს, ყელში გამეჩხიროს და დამახრჩოსო". შემდეგ ინატრა, უმჯობესი იქნება თაროდან უთო ჩამოვარდეს და თავი გამიხეთქოსო. ყველაზე უკეთესი კი ის იქნებოდა, სახლი მიწისძვრას დაეგრია და პატრონები ნანგრევების ქვეშ მოჰყოლოდნენ. მაგრამ სიკვდილი არსაიდან მოდიოდა.

ატალია ისევ გაუნძრევლად იჯდა და პირს არაფერს აკარებდა. ბოლოს მთელი დაგროვილი ბოღმა ქალბატონმა ზოფიამ ტიმეას გადმოანთხია.

— ამას რა ენაღვლება, რას კარგავს! სამადლოდ ჩვენ ვინახავდით და იმდენად უმადური აღმოჩნდა, ერთი ცრემლიც არ გადმოვარდნია ჩვენს უბედურებაზე! სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო, ტყუილად კი არ უთქვამთ! ვინ იცის, უხარია კიდევაც, ჩვენგან რომ მიდის, რა უჭირს. მოახლედ დაუდგება ვინმეს ან მოდელების სახლში იმუშავებს და ბედნიერად იცხოვრებს. მაგრამ დაიცადოს, ბევრჯერ გაგვიხსენებს!

ტიმეას საამისო არაფერი დაეშავებინა, მაგრამ ქალბატონი ზოფია მის ლანძღვას თავს არ ანებებდა, თითქოს მათი უბედურების მიზეზი ის ყოფილიყოს. ის რომ უდანაშაულო იყო, ძალიან კარგად იცოდა, მაგრამ დარდის გასაქარვებლად მისი ლანძღვა-გინებით იქცევდა თავს, ცოტას გულს გადააყოლებდა და ისევ ატალიას მიუბრუნდებოდა:

— რა გეშველება ახლა, ჩემო ლამაზო გოგონი, ვინღა გითხოვს ცოლად? ან როგორ უნდა იმუშაო შენი სათუთი ხელებით?

— თავი დამანებე! — შეუღრინა ატალიამ, — უმჯობესია, ფანჯარაში გაიხედო, ხომ არავინ მოგვაკითხა!

— ვინ მოგვაკითხავს, ვიღას რად ვუნდიეართ?

გარედან ისევ მოისმა ჩაქუჩის ხმა, მაგრამ ატალია ამას უკვე ყურადღებას აღარ აქცევდა, მხოლოდ საათის დარეკვისას შეკრთებოდა ხოლმე, თითქოს რაღაც გაახსენდაო, წამოხტებოდა, მერე

უცებ გამოერკვეოდა, ისევ ჩამოჯდებოდა, თვალი უშტერდებოდა.

ახლა რომ შეგეხედათ მისთვის, ნამდვილად ვეღარ იცნობდით, სწორუპოვარი სილამაზის ანარეკლიღა აჩნდა სახეზე, ტუჩები გალურჯებოდა და გასიებოდა, თვალები ჩაშავებოდა, ფერი დაკარგვოდა და შუბლზე ნაოჭები გასჩენოდა. სამოთხიდან განდევნილ გაბოროტებულ ანგელოზს მოგაგონებდათ.

შუადღე მოახლოვდა, ის კი, ვისაც დილიდან ელოდა, არა და არ ჩანდა.

გარეთ ხმაური მატულობდა, გაცხარებული ვაჭრობა მიმდინარეობდა. სასტუმრო ოთახების ავეჯი და ნივთები უკვე გაიყიდა და ახლა საწოლ ოთახებს მიადგნენ, რომლის იქითაც სამზარეულო იყო.

ქალბატონი ზოფია ხედავდა, რა სწრაფად იყიდებოდა ყველაფერი მათდა საუბედუროდ და ძალზე შეწუხებული იყო. ვერც კი ასწრებდნენ ნივთების დასახელებას და ჩაქუჩის დარტყმას, რომ უკვე გაყიდული იყო. ხალხიც უკმაყოფილოდ ჩოჩქოლებდა: „განა აქ რამეს იყიდი? ასე როგორ შეიძლება, ნამდვილი სულელია ვიღაც!“

ვინ იყო ეს სულელი, ვერ გაიგეს. იმან კი ბოლოს, სამზარეულოს მოწყობილობა ისე იყიდა, არც კი დაინტერესებულა, ენახა რა იყო შიგ.

ქალბატონ ზოფიას თვალს არც ის გამოჰპარვია, რომ გაყიდული ნივთების წაღებას არავინ ჩქარობდა.

დადგა ყველაზე გადამწყვეტი მომენტი. საჯარო ვაჭრობის მონაწილენი ეზოში გავიდნენ, ახლა უკვე სახლი უნდა გაყიდულიყო, გამოაცხადეს პირველი ღირებულება, ვიღაცამ დაბალი ხმით თავისი ფასი შეაძლია. ხალხი აჩოჩქოლდა, ერთმანეთში აირია წამოძახილები, სიცილი, ლანძღვა-გინება, ისევ გაისმა ხმები: „სულელია ვიღაცა, ნამდვილად ჭკუაზე შეიშალა!“

— ერთი! ორი!.. მეტს ხომ არავინ გადაიხდის? სამი!.. გაყიდულია! — უკანასკნელად გაისმა ჩაქუჩის ხმა და ბრაზოვიჩების სახლი ახალი მფლობელის ხელში გადავიდა.

— ახლა კი ყველაფერი დამთავრდა, შვილო! — ისევ აწუწუნდა ქალბატონი ზოფია, — დროა აქაურობა დავტოვოთ! გადავიხედოთ უკანასკნელად ჩვენი სარკმლიდან და წავიდეთ. ოჰ, ღმერთო, რა იქ-

ნება, სანამ ჯერ კიდევ აქა ვართ, ჩამოინგრეს წმინდა იანოშის ტაძრის სამრეკლო და თან ჩაგვიტანოს!

ატალია ისევ ისე გაუნძრევლად იჯდა, კედლის საათს თუ ახედავდა ხანდახან. უკვე თორმეტი სრულდებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, ვინ იცის, კაპიტანი ამდენ ხალხში მოსვლას მოერიდა და საჯარო ვაჭრობის დამთავრებას ელოდებაო. უცებ მართლაც ნაბიჯების ხმა შემოესმა.

— მგონი, ვიღაც მოდის! გესმის?

— არაფერი არ მესმის, შვილო!

— დერეფანში ვიღაც მოდის, ნაბიჯების ხმა მესმის!

სამზარეულოს მართლაც ვიღაც მოუახლოვდა და დააკაკუნა. ყველა სმენად გადაიქცა. იმავე წუთში კარი გაიღო და მიხაი ტიმარ ლევეტინცი შემოვიდა. ზღურბლთანვე შედგა და თავაზიანად თავი დაუკრა იქ მყოფთ.

ატალია ზეწამოიჭრა და შემოსულს მიაჩერდა, მის სახეზე გაოცება და ზიზღი ერთშანეთში არეულიყო. ქალბატონი ზოფია შიშნარევი იმედის თვალით შეჰყურებდა. მხოლოდ ტიმეა შეხვდა ჩვეული სიმშვიდით.

— მე ვიყიდე ეს სახლი თავისი ავეჯით, — დაიწყო ტიმარმა საზეიმო ხმით და ისე გაუსვა ხაზი ამ „მეს", თითქოს რომის პაპი ყოფილიყოს. — მაგრამ ჩემთვის არ მინდა, ვიყიდე მხოლოდ ამ კეთილი და სათნო გოგონასთვის, რომელიც მთელ ქვეყანას მირჩევნია! ქალბატონო ტიმეა! დღეიდან ამ სახლის სრულუფლებიანი დიასახლისი ბრძანდებით. ყველაფერი, რაც კი სასამართლოს აღმასრულებლის მიერაა აღწერილი, ავეჯი, ტანსაცმელი, ძვირფასეულობა, ფასიანი ქაღალდები, ცხენები და სხვა, თქვენ გეკუთვნით. ბრაზოვიჩის ყველა მევალე გავისტუმრე. მიიღეთ ეს ყოველივე ჩემგან და თუ პატარა კუთხეს დამითმობთ ამ სახლში, თუ თქვენს გულში მოიძებნება სულ მცირე ადგილიც კი ჩემთვის და ხელს არა მკრავთ, უბედნიერეს კაცად ჩავთვლი თავს და მზად ვიქნები მთელი სიცოცხლე გემსახურო!: შეუძლებელსაც კი გავაკეთებ თქვენი ბედნიერებისათვის!

ტიმეას სახე გაუბრწყინდა, თვალები სიხარულით აუციმციმდა, მათში ფარული სევდაც გამოკრთოდა, უდიდესი ერთგულებაც და გულწრფელი მადლობაც. თოვლივით ქათქათა სახეზე ნათელი გადასდიოდა და შინაგანი სიწმინდე გამოსჭვიოდა.

„სამჯერ... სამჯერ...“ — ჩურჩულით თქვა თავისთვის; მხოლოდ ტიმარი მიხვდა რას ნიშნავდა ეს.

რამდენჯერ იხსნა ამ ადამიანმა გარდუვალი დაღუპვისაგან, რამდენჯერ საფრთხეში ჩაიგდო თავი მისი გულისთვის, ყოველთვის კეთილი იყო მის მიმართ, არასოდეს დაუცინია მისთვის სხვებივით და არც ლაქუცით მოუბეზრებია თავი. განა შეიძლებოდა, მის თხოვნაზე უარი ეთქვა? მაგრამ მისი გული რომ სხვას ეკუთვნოდა!

— ნუ აჩქარდებით, ტიმეა, მე მზად ვარ გელოდოთ. არც ის იფიქროთ, რომ ჩემს სიყვარულს თავს მოგახვევთ. ახლა თქვენ თავისუფალი ხართ და როგორც გული გიკარნახებთ, ისე მოიქეცით, თუ ჩემს დანახვას არ მოისურვებთ, მითხარით და ახლოსაც არ გავეკარები ამ სახლს. ყოველივე კარგად აწონ-დაწონეთ, იფიქრეთ ერთი კვირა, ერთი თვე, და თუ გნებავთ მთელი წელიც კი.

ტიმეა ადგა და მტკიცე ნაბიჯით მიუახლოვდა ტიმარს. კეთილშობილ სახეზე ოდნავ შესამჩნევი ღიმილი დასთამაშებდა. იმ ავბედითი ქორწინების დღის შემდეგ შეუმჩნეველად გაზრდილიყო და სერიოზულობა და გამოცდილებაც მომატებოდა. მან მშვიდად შეხედა ტიმარს თვალებში და უპასუხა:

— მე უკვე მოვიფიქრე.

ქალბატონი ზოფია მისდამი შურსა და მტრულ განწყობილებას ვეღარ ფარავდა და ფიქრობდა, რა იქნება, უპასუხოს, „მე შენ არ მჭირდები და აქედან მიბრძანდი!“ ასეთი ჩერჩეტისგან ყველაფერია მოსალოდნელი, მას ხომ ის ლამაზი ოფიცერი მოსწონს! შეიძლება, გულმოსულმა ტიმარმაც უთხრას; „მაშ იყავი, ასე უსახლკაროდ, რაკი არ გინდივარ! ატალიას ვითხოვ ცოლად და სახლიც მისი იქნება!“ განა ცოტა ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ამპარტავან მდიდარ ქალბატონს უარი უთქვამს ღირსეული საქმროსთვის და იმას ჯავრის ამოსაყრელად მისივე მოახლე ან ბავშვების აღმზრდელი უთხოვია ცოლად?

მაგრამ ქალბატონ ზოფიას იმედი გაუცრუვდა, ტიმეამ ხელი გაუწოდა მიხაის და უთხრა:

— თანახმა ვარ, ცოლად გამოგყვეთ.

მიხაიმ მოწიწებით ჩამოართვა ხელი და გამომცდელად ჩახედა მშვენიერ თვალებში. ტიმეამ გაუძლო მის მზერას და გაიმეორა:

— მე თანახმა ვარ ცოლად გამოგყვეთ და მუდამ თქვენი ერთგული ვიქნები, ოღონდ ერთი თხოვნა შემისრულეთ.

ბედნიერების მწვერვალზე ასულ მიხაის დაავიწყდა, რომ ეაჭარმა დაუწერელ თამასუქს ხელი არ უნდა მოაწეროს და დაუფიქრებლად უპასუხა: — მთხოვეთ, რაც გინდათ და ჩათვალეთ, რომ თქვენი სურვილი უკვე შესრულებულია!

— გთხოვთ, — დაიწყო ტიმეამ, — თუ ცოლად შემირთავთ და ამ სახლის დიასახლისი გავხდები, ნება დართოთ ჩემს დეზობილსა და დას, ვის ოჯახშიც მე ვცხოვრობდი და მზრუნველობას არ მაკლებდნენ, დარჩნენ ჩვენთან. გთხოვთ მათ პატივისცემით მოექცეთ...

ტიმარს ცრემლი მოადგა თვალზე, ტიმეამ ეს შენიშნა და ხვეწნა დაუწყო:

— ხომ შემპირდით, რომ შემისრულებდით თხოვნას, ხომ შემისრულებთ? გთხოვთ დაუბრუნოთ ატალიას თავისი ძვირფასი კაბები და სამკაულები, გთხოვთ, ისე მოექცეთ, როგორც ჩემს დას, ქალბატონ ზოფიას კი ორივენი დედას დავუძახებთ!

ქალბატონი ზოფია მუხლებზე დაემხო ტიმეას წინ და ფეხები დაუკოცნა, თან რაღაც გაუგებარ სიტყვებს ბუტბუტებდა.

ტიმარმა ამ მძიმე მდგომარეობიდანაც იპოვა გამოსავალი. თავისი გასაოცარი ნიჭის წყალობით, მას ყოველნაირი მდგომარეობიდან შეეძლო თავის დაღწევა. მან ტიმეას ხელები დაუჭირა და მიმართა:

— თქვენ უკეთილშობილესი გული გაქვთ, ტიმეა! ნება მიბოძეთ ამიერიდან მხოლოდ სახელით მოგმართოთ! წამოდექით, ქალბატონო ზოფია, სატირალი აღარაფერი გაქვთ, უთხარით ატალიას, მომიახლოვდეს. მისთვის მე იმაზე მეტს გავაკეთებ, ვიდრე ტიმეამ მთხოვა, მის საქმროს განსვენებული მამამისის მიერ დანაპირებ თანხას გადავუხდი და ღმერთმა აბედნიეროთ!

ტიმარი შორს იხედებოდა, მზად იყო, ყოველგვარი მსხვერპლი გაეღო, ოღონდ ეს ავი სული ამ სახლიდან მოეშორებინა. ამიტომ მისი გათხოვებაც კი მოიფიქრა.

ქალბატონი ზოფია ტიმარს გადაეხვია:

— ოჰ, ბატონო ლევეტინცი! ჩვენო მფარველო ანგელოზო, ნება მომეცით ეგ ჭკვიანი თვალები დაგიკოცნოთ!

შემდეგ ტიმეა მასთან მიიყვანა, ორივე გადაკოცნა და მხურვალედ დალოცა: „ბედნიერები ყოფილიყავით!“

მისმა ბავშვურმა სიხარულმა უნებურად ყველას ღიმილი მოჰგვარა, ატალია კი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც შეეცადა, ყვე-

ლასთვის ხასიათი გაეფუჭებინა, დაცემული ანგელოზის მსგავსად, ქედის მოხრას მუდმივ ტანჯვა-წამებას რომ ამჯობინებს, ამაყად ზურგი შეაქცია ტიმარს და წარმოთქვა:

— მადლობას მოგახსენებთ, მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონი კა-ჩუკა მე აღარ მჭირდება, მისი ცოლი არასოდეს გავხდები, მირჩევ-ნია აქ დავრჩე, ტიმეას მოახლედ!

მესამე ნაწილი

უპატრონო კუნძული

I. მარმარილოს ქანდაკების ქორწილი

ტიმეასთან ნიშნობის შემდეგ ტიმარის სიხარულსა და ბედნიერებას საზღვარი აღარ ჰქონდა.

მისმა შეუდარებელმა სილამაზემ პირველი დანახვისთანავე დაატყვევა, აღტაცებაში მოდიოდა მისი მშვენებით და მშვიდი ხასიათით, რომელშიც თავისდაუნებურად თვითონაც ჰბაძავდა ხოლმე. ბრაზოვიჩები რომ უღირსად და უსვინდისოდ ექცეოდნენ, დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ, დიდ სულიერ ტანჯვას აყენებდა, ტიმარს, ლამაზი, ქარაფშუტა კაპიტნის არშიყობა კი წონასწორობას აკარგვინებდა და სიყვარულს უორკეცებდა.

ახლა, როგორც იქნა, აუსრულდა დიდი ხნის ნატვრა, ეს ულამაზესი გოგონა მას ეკუთვნოდა და სულ მალე მისი მეუღლე გახდებოდა.

ტიმარმა, თითქოს მძიმე ტვირთი ჩამოეხსნაო, სულიერადაც დაისვენა და თავისუფლად ამოისუნთქა. იმ დღიდან, რაც ჩაძირულ გემზე ალი ჩორბაჯის განძი იპოვა, მოსვენება ჰქონდა დაკარგული. მართალია არც სიმდიდრე და პატივი აკლდა, არც წარმატება, მაგრამ სინდისი ქენჯნიდა, მისი ხმა მუდამ ჩასძახოდა: შენ ობოლი გოგონას ქონება მიითვისე! ეს სიმდიდრე მისია! გგონია, ბედი გწყალობს? ტყუილია! ღარიბთა მფარველად მოგაქვს თავი? არც ამაში ხარ მართალი! ხალხმა ოქროკაცი შეგარქვა, შენ კი ქურდი ხარ!

ამიერიდან სინდისი სუფთა ექნებოდა, ტიმეას თავის ქონებას ერთიორად გაზრდილს უბრუნებდა. მართალია, ის ვერასოდეს გაიგებდა, რომ ამ ზღაპრული სიმდიდრის წყარო მისი კუთვნილი განძი იყო, მაგრამ დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა, მთავარი ის იყო, რომ ეგონა გამოისყიდა უნებლიეთ ჩადენილი დანაშაული და დამშვიდდა.

მაგრამ მართლა ასე იყო? ნამდვილად სუფთა ჰქონდა სინდისი?

ლეში დაბრუნებული სიმდიდრის ფასად ტიმეას სიყვარულს ითხოვდა. ეს გაცვლა-გამოცვლა გამოდიოდა, თავისებური ძალდატანებაც კი, მაგრამ ტიმარს ახლა ამაზე ფიქრისთვის არ ეცალა, ყოველნაირად ცდილობდა ქორწილი დაეჩქარებინა.

ტიმეას საქორწინო კაბა პარიზის საუკეთესო მკერავს შეაკერინა, დანარჩენი, რაც საჭირო იყო ქორწილისთვის ვენაში იყიდა, საპატარძლოს აღარ დასჭირეებია ექვსი კვირა ამოქარგვაზე ეწვალნა. უბედური ატალიას კაბა ძველ სკივრში ჩააგდეს, რომელსაც არაფრისთვის არ აღებდნენ ხოლმე და მიივიწყეს.

მაგრამ ქორწინებას დაბრკოლება გადაეღობა.

ტიმეა მონათლული არ იყო.

ტიმარი პროტესტანტი იყო და გადაწყვიტა ტიმეაც ამ სარწმუნოებაზე გადმოეცვანა, რომ ერთ ეკლესიაში ევლოთ, მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც ეგონა. საჭირო გახდა ტიმეა პროტესტანტულ წესებსა და დოგმატებს გასცნობოდა, რომ პირადად დაოწმუნებულიყო ძის უპირატესობაში იმ რელიგიასთან შედარებით, რომელსაც აქამდე მისდევდა. ამისთვის გარკვეული დრო იყო საჭირო.

მაჰმადიანურ რელიგიას არავითარი დოგმატები არ შეუმუშავებია მისი მიმდევარი ქალებისთვის. მათ უფლება არა აქვთ კაცებთან ერთად დაესწრონ წირვა-ლოცვას, აკრძალული აქვთ მეჭაში შესვლა, არც რიტუალური ფეხთბანა „აბდესტანი“, „გიუზიული“, და „ტიუპარეტი“ ეხებათ, არ ინახავენ რამაზანის დიდ მარხვას და არც ბაირამის დღესასწაულს. ისინი არ ლოცულობენ მეჭაში და არ ემთხვევიან წმინდა ქვას, კაბას, არ ინანიებენ ცოდვებს, არ სვამენ წყალს ზენზემეტის ჭიდან, მოლა არ აძლევთ დარიგებებს, არ ისმენენ მის ქადაგებას და არც ერთ საეკლესიო ცერემონიალში მონაწილეობას არ იღებენ, მათთვის ცოდვების მონანიებაც კი არ არის საჭირო. სულ ერთია, ალლაჰი მათ სულს მაინც არ მიიღებს. მათთვის არც იმქვეყნიური ცხოვრება არსებობს, სიკვდილის წინ მათთან არ მივა მთავარანგელოზი აზრაელი, რომ სული სხეულისგან გაჰყაროს, სიკვდილის შემდეგ მონკარი და ნაკირი არ დაჰკითხავენ, არავის აინტერესებს რამდენი სიკეთე და ბოროტება ჩაიდინეს სიცოცხლეში, არ განბანენ იზმაილის წყაროში, არ ჩააგდებენ მორჰუტის ორმოში, მათ მკვდრეთით არ აღადგენს ანგელოზ იზრაფილის

დაივლიან ალშორატის ხიდზე და არ ჩაცვივდებიან იქიდან ჯოჯოხეთში. რომელსაც შვიდი გარსი აკრავს და რომელთაგან ყველაზე ნორმალური ტემპერატურა „გეენაშია“, დანარჩენებში კი, ლადჰანაში, ჰოტამაში, საირში, საკარში, იაჰიმში და ალ-ჰავიატაში აუტანელი სიცხეა. მუსულმან ქალებს ეს არ აშინებთ, მაგრამ მათ არც სამოთხეში მოხვედრა და უზარმაზარი ხის ტუბას ჩრდილში ნებივრობა უწერიათ. იქ საჭირონიც არ არიან, თითოეულ მამაკაცს სამოთხეში სამოცდაჩვიდმეტი მარად ახალგაზრდა ქალწული ელის. მაჰმადიანი ქალი არაარაობაა, ყვავილსა ჰგავს, დაჭკნობის შემდეგ ფურცლები რომ ჩამოსცვივა და მიწად იქცევა, მის სულს კი ყვავილის სურნელივით დაუბერავს ქარი და თან წაიღებს.

ამიტომ იყო, რომ მოძღვარს დიდი შრომა და მეცადინეობა დასჭირდა ტიმეას დასარწმუნებლად და ჰეშმარიტების შესაგონებლად. წინათ მას არაერთი ებრაელი და კათოლიკე მოუქცევია თავის სარწმუნოებაზე, მაგრამ თურქი ქალი პირველი შემთხვევა იყო მისთვის და ძალიანაც გაუჭირდა.

პირველსავე დღეს, როცა მოძღვარმა საუცხოო ფერებში დაუხატა იმქვეყნიური ცხოვრება და უთხრა, რომ შეყვარებულები, ვინც აქ ერთმანეთს ეკუთვნიან, იქაც შეხვდებიან და ისევ ერთად იქნებიანო, ტიმეამ ჰკითხა:

— იმქვეყნად იმას შევხვდებით, ვინც გვიყვარს, თუ ვისთანაც ჯვარი გვაქვს დაწერილი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე იოლი იყო, მაგრამ მოძღვარმა პურიტანული პოზიცია მოიშველია:

— მხოლოდ ის უნდა გიყვარდეს, ვისთანაც ჯვარს დაიწერ ეკლესიაში და არა სხვა ვინმე!

წმინდა ეკლესიის მსახურის ასეთი განმარტება საესებით შეესაბამებოდა ცსოვრებისეულ სინამდვილეს. ისე კი, მისმა უწმინდესობამ საჭიროდ არ ჩასთვალა ბატონ ტიმარისთვის ეთქვა ამის შესახებ.

მეორე დღეს ტიმეამ ჰკითხა, მამაჩემის, ალი ჩორბაჯის სული თუ შეხვდებაო ჩემსას. რა თქმა უნდა, ამაზე დადებითი პასუხის გაცემა არ შეიძლებოდა.

— ესე იგი იქაც ბატონი ლევეტინცის მეუღლე ვიქნები? — ცნობისმოყვარეობა ვერ დამალა ტიმეამ.

— სწორედ ასე იქნება!

— თუ ჩვენ სამოთხეში მოვხვდებით, შევეხვეწები ბატონ ლევეტინცის, დაუთმოს მამაჩემს პატარა კუთხე, რომ ისევ ერთად ვიყოთ. როგორ ფიქრობთ, უარს ხომ არ მეტყვის?

— ასეთი რთული საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ეპისკოპოსებს შეუძლიათ, — უპასუხა მისმა უწმინდესობამ მცირეოდენი დაფიქრების შემდეგ, მესამე დღეს კი ტიმარს განუცხადა, უკვე დროა მოვნათლო და ჯვარიც დაგწეროთ, დანარჩენი თვითონ აუხსენითო.

მომავალ კვირას ტიმეა მონათლეს და პირველად შედგა ფეხი პროტესტანტულ ეკლესიაში, რომელმაც გააოცა თავისი უბრალოებით. თეთრად შეღებილმა კედლებმა და ჩვეულებრივი ხის კათედრამ სულ სხვაგვარი შთაბეჭდილება დასტოვა მასზე. ეს ყოველივე საკმაოდ ღარიბულად გამოიყურებოდა იმ ტაძართან შედარებით, ერთხელ ფარულად რომ შეიხედა საქორწინო ცერემონიალის დროს. იქ მოოქროვილი საკურთხეველი იდგა, ვერცხლის შანდლებში კელაპტრები ენთო, კედლები ხატებით იყო დაჭშვენებული და საკმეველის სურნელება იფრქვეოდა; მლოცველნი ზარის ხმაზე მუხლს მოიყრიდნენ ხოლმე, ზემოდან გალობა მოისმოდა, ეს ყოველივე უნებურად გაჯადოებდათ და უდიდესი მოწიწების გრძნობით იმსჭვალებოდით. აქ კი ქალები და კაცები განცალკევებით ისხდნენ სკამებზე, ხელში დავითნი ეჭირათ და როცა გუნდი გალობას წამოიწყებდა, ისინიც აჰყვებოდნენ ხოლმე. ფსალმუნს რომ მორჩნენ, მოძღვარი ამაღლებულ ფიცარნაგზე შედგა და ქადაგება დაიწყო. არც იგალობა, არც ოქროს სასმისიდან დალია, არც არაფერი გამოიტანა მლოცველებთან საკურხეველიდან, სულ ლაპარაკობდა განუწყვეტლივ. ტიმეას მისი სიტყვები არ ესმოდა, ერთი რამ კი აოცებდა, ეკლესიაში ამდენი ქალები არიან და მთელი ორი საათის განმავლობაში ხმა არ ამოუღიათო. რა საშინელი წესები ჰქონიათო, გაიფიქრა თავისთვის, „ამინ-ის“ თქმის ნებას მაინც აძლევდნენო ქადაგების დასასრულს.

ტიმეა კათედრის წინ იჯდა, პირველ რიგში, მრევლის მთავარი მზრუნველის მეუღლის გვერდით, რომელიც ძისი ნათლია უნდა გამხდარიყო. მას უნდა მიეყვანა იგი ემბაზთან, მეორე ნათლია კი მთავარი მზრუნველი უნდა ყოფილიყო.

მოძღვარმა საზეიმო ხმით წაიკითხა ლოცვა ემბაზთან, ტიმეამ თავი დახარა და მოინათლა წმინდა სამების სახელით, ამიერიდან

ბათი მოვალეობის შესახებ და მთავარი მზრუნველის მეუღლემ თავის ადგილზე მიიყვანა ტიმეა. ყველა ფეხზე წამოდგა და უხმოდ განაგრძეს ლოცვა, ხმამაღლა მხოლოდ მოძღვარი წარმოთქვამდა. ნეტავ რატომ შეშარქიეს ეუეანა, ჩემი სახელი ხომ ძალიან მიყვარდაო, გაიფიქრა ტიმეამ.

ლოცვის შემდეგ ისევ დასხდნენ და XXXIII ფსალმუნი უგალობეს „ო, ღმერთო, ისრაელისა!"-თი რომ იწყება. ტიმეას ამის გაგონებაზე შეეშინდა, ებრაულ რჯულზე ხომ არ მომაქციესო, მაგრამ შიში მალე გაეფანტა, მეორე, უფრო ახალგაზრდა მოძღვარმა კათედრიდან ქადაგება რომ დაიწყო და შემდეგი სიტყვებით დაამთავრა, მისი მაღალკეთილშობილება, მართლმორწმუნე კალვინისტი, მიხაი ტიმარ ლესეტინეი დაინიშნა და ცოლად თხოულობს მისი მაღალკეთილშობილების, აწ განსვენებული ბატონის, ალი ჩორბაჯის ერსულს ქრისტიან კალვინსტს, ტიმეა-ეუეანას. ტაძარში მყოფი ქალები ისევ სდუმდნენ, ტიმეა მორჩილად ისმენდა ყოველივეს.

ნიშნობიდან ქორწილამდე სულ ცოტა ორ კვირას მაინც უნდა გაევლო. ამ ხნის მანძილზე მიხაი ყოველდღე დადიოდა მის სანახავად. ტიმეა სიხარულით ხვდებოდა და ამით უდიდეს ნეტარებას განიცდიდა.

როცა არ უნდა მისულიყო, ატალია სულ ტიმეასთან იყო, მაგრამ რაღაცას მოიმიზეზებდა ხოლმე და მაშინვე გადიოდა ოთახიდან. სამაგიეროდ დედამისი შემოდიოდა მიხაის გასართობად, ხოტბას ასხამდა, რაც კი შეეძლო, და მისი საცოლე ქებით ცაში აჰყავდა. ასეთი სათნო არსება ჯერ არ მინახავსო, ეტყოდა ხოლმე მიხაის და „წმინდა ბორბალათი" მოგზაურობის ამბებს უყვებოდა, რომელიც ტიმეას ჰქონდა ნაამბობი. ვინ იცის, მერამდენედ უამბობდა, როგორ გადაარჩინა ტიმარმა სიკვდილს ხომალდის ჩაძირვის დროს, როგორ იხსნა თურქების ტყვეობისაგან, როგორ უშიშრად ჩაყვინთა წყალში და კაიუტაში დარჩენილი განძი გამოიტანა, როგორ ართობდა საინტერესო ზღაპრებითა და ლეგენდებით პირქუშ კლდეებში გამოვლილსას, როგორ უპოვა თავშესაფარი კუნძულზე, როგორ უვლიდა ავადმყოფს გემზე და მისი გულისხმიერება და მზრუნველობა რომ არა, ალბათ, ვერც გადარჩებოდა.

ქალბატონი ზოფია ისეთ ამბებს უყვებოდა ტიმარს, რაც ტიმეას

მეტმა არავინ იცოდა და მასაც გული სიხარულით ევსებოდა, რაკი ასეთი წვრილმანებიც არ დავიწყებია, ალბათ, ვუყვარვარო.

— ოჰ, რომ იცოდეთ, ბატონო ლევეტინცი, რა ძვირფასი ხართ ამ გოგონასთვის!

ტიმეას არ ერიდებოდა ამის მოსმენა, მისთვის უცხო იყო ამპარტავნობა, მიხაის მუდამ სადად და უბრალოდ ხვდებოდა, ნებას აძლევდა ხელი მოეკიდა და დიდხანს თვალებში ეცქირა მისთვის, შეხვედრისას და გამოთხოვებისას დიდი სიამოვნებით ართმევდა ხელს და უღიმოდა.

ქალბატონი ზოფია ყოველთვის რაღაც ახალს გაიხსენებდა ხოლმე ტიმეას ნაამბობიდან და მასაც სჯეროდა, რომ მომხიბლავ გოგონას მთელი გულით უყვარდა.

აი, როგორც იქნა, დადგა დიდი ხნის ნანატრი ქორწილის დღე. ქვეყნის შორეული კუთხეებიდანაც კი მოიწვიეს სტუმრები, მთელი უნგრეთის რჩეული საზოგადოება აქ იყო, ქუჩა ვეღარ იტევდა უამრავ კარეტებს, ყველაფერი ისე მეორდებოდა, როგორც ატალიას ქორწილს ბედუკუღმართ დღეს იყო, ოღონდ ახლა არავითარი უბედურება არ მომხდარა. ნეფე დედოფლის ეკლესიაში წასაყვანად მობრძანდა ბრაზოვიჩების ყოფილ სასახლეში, რომელიც ახლა ტიმეას ეკუთვნოდა. ბრწყინვალე საქორწილო სუფრა ტიმარის სასახლეში იყო გაშლილი, მისი ხელმძღვანელობა ქალბატონმა ზოფიამ ითავა. ატალია მარტოდმარტო დარჩა სახლში. ახლაც ისე იდგა სარკმელთან ფარდასამოფარებული, როგორც იმ დაწყევლილ დღეს, თავის საქმროს რომ ელოდა და შურის თვალით გაჰყურებდა საქორწინო პროცესიას. ერთი მეორის მიყოლებით დაიძრნენ ნეფედედოფლის, მაყრიონის, მეგობრებისა და მოწვეული სტუმრების კარეტები; სულ მალე მათ ისევ ჩამოუქროლეს ბრაზოვიჩების სასახლეს და ტიმარის სახლისკენ გასწიეს. ახალჯვარდაწერილები უკვე ერთ კარეტაში ისხდნენ. ატალია დიდხანს გასცქეროდა მათ ნაკვალევს.

ამ დღეს დიდი თუ პატარა ახლადდაქორწინებულთა ბედნიერებასა და კეთილდღეობაზე ლოცულობდა, გარდა ერთი ადამიანისა, რომელიც დაკარგულ ბედნიერებას მისტიროდა და მის დაბრუნებაზე ოცნებობდა.

საქორწინო ცერემონიალი ტიმეას ისე ბრწყინვალე არ მოეჩვენა, როგორც ერთხელ ქალბატონმა ზოფიამ დაუხატა. მოძღვარს არც

ოქრომკედით ნაქარგი სამოსი ეცვა, არც ოქროს მიტრა ეხურა, არც ვერცხლის გვირგვინები ჩანდა, არც არავინ გალობდა მათ პატივსაცემად. ნეფე გედის ბუმბულითა და დუგმებით დამშვენებულ ძვირფასი ხავერდის კოსტიუმში იყო გამოწყობილი, მშვენიერი შესახედავი იყო, მაგრამ რატომღაც სულ თავდახრილი იდგა და აზნაურული მედიდურობა არ უმჩნეოდა. ნეფე-დედოფლისთვის აბრეშუმის წამოსასხამები არ წამოუსხამთ, როგორც ტიმეა ელოდა, არც მოძღვარს შემოუტარებია საკურთხევლის ირგვლივ, არც ღვინო შეუსვამთ ერთი ფიალიდან, არც ერთმანეთისთვის უკოცნიათ საკურთხევლის წინ და საერთოდ არც იყო საკურთხეველი, იდგა შავ სამოსში ჩაცმული მოძღვარი და ქადაგებდა. პროტესტანტებთან მიღებული არ არის ნეფე-დედოფალმა მუხლი მოიყაროს ერთგულების ფიცის მიცემის დროს, ყოველგვარ სიმდიდრესა და სილამაზეს მოკლებულმა პროტესტანტულმა ქორწინებამ სრულებით ვერ ააღელვა მისი აღმოსავლური სული, ვინ იცის, იქნებ, ოდესღაც შეეგრძნო კიდევაც მისი მნიშვნელობა.

ბოლოს, დიდებული საქორწილო ნადიმი დასრულდა და ტიმეა მარტო დარჩა მეუღლესთან ერთად. მიხაი გვერდით მიუჯდა და ხელი მოჰკიდა, გული სიხარულით უცემდა; აუხდა დიდი ხნის ნატვრა, ფასდაუდებელი განძი, მთელ ქვეყანას რომ ერჩია, ახლა მისი იყო, მაგრამ რატომღაც ვერ გაბედა გულში ჩაეკრა, მოჯადოებული შეჰყურებდა უსიტყვოდ, ტიმეა კი თითქოს ვერ ამჩნევდა მის სიახლოვეს, ცივი და მიუკარებელი იყო. მას რომ მორცხვად თავი დაეხარა, ან ღაწვები შეფაკლოდა, მიხაი მოეხვეოდა, მაგრამ მისი სახის გულგრილი გამოხედვა ამის ნებას არ აძლევდა.

მიხაის გაახსენდა, „წმინდა ბორბალაზე“, იმ საშინელ ღამეს, სიცოცხლე რომ დაუბრუნა ტიმეას, იგი ასევე მარმარილოს ქანდაკებასავით ცივი იყო. არც მაშინ შეჰფაკლებია ლოყები, მხრიდან ღამის პერანგი რომ ჩამოუცურდა, მამის სიკვდილმა ერთი ძარღვიც ვერ შეატოკა მის სახეზე. ახლაც, როცა მასზე უზომოდ შეყვარებულმა მიხაიმ ენებით ანთებული თვალებით შეხედა და „ჩემო ძვირფასო!“ ჩასჩურჩულა, არც კი განძრეულა, იჯდა მარმარილოს ქანდაკებასავით და მშვიდად შეჰყურებდა, მზად იყო მისი ყოველი სიტყვა და სურვილი აესრულებინა. მიხაის შეეძლო მისი მშვენიერი თმები ჩამოეშალა, მოფერებოდა, ეკოცნა კიდევაც, მაგრამ სიყვარულის პასუხს ვერ მიიღებდა. ერთი წამით გაიფიქრა, იქნებ, გულ-

ში რომ ჩავიკრა, გათბესო ეს ცივი, ნატიფი ქანდაკება, მაგრამ მაშინვე უკუაგდო ეს აზრი, ასეთი საქციელი ხომ დანაშაულს უტოლდებოდა, ეს კი მას არ შეეფეროდა.

— ტიმეა! — ალერსიანად მიმართა ბოლოს, — შენ გესმის, რომ ახლა ჩემი ცოლი ხარ?

— დიახ. — მშვიდად უპასუხა ტიმეამ.

— მითხარი, გიყვარვარ?

ტიმეამ გაოცებით შეხედა თავისი მუქი ლურჯი ფერის მშვენიერი თვალებით.

— მითხარი, სულ არ გიყვარვარ? — მუდარით ჰკითხა ტიმარმა.

— რა არის სიყვარული?

— რა არის? ვერც ერთი ბრძენი ვერ აგიხსნის ამას, თუ არ გამოსცადე. შენ ისევ ბავშვი ყოფილხარ! — მწარედ ამოიოხრა ტიმარმა და წამოდგა. ტიმეაც ადგა.

— არა, არა, მე ბავშვი აღარა ვარ, ძალიან კარგად მესმის, რომ თქვენი ცოლი ვარ. მე ერთგულების ფიცი მოგეცით ღმერთის წინაშე და ჩემს აღთქმას შევასრულებ. იმდენი სიკეთე გაქვთ ჩემთვის ჩადენილი, რომ სიკვდილამდე თქვენი მადლობელი ვიქნები. დღეიდან ჩემი მბრძანებელი ხართ და ყოველ თქვენს სურვილს შევასრულებ.

მიხაი შეტრიალდა და სახეზე ხელები აიფარა, განა შეიძლებოდა წამებულს მოხვეოდა? ან ვინ გაბედავდა გულში ჩაეკრა წმინდანის ქანდაკება თავზე ეკლის გვირგვინითა და პალმის ტოტით ხელში?

„მე ყოველ თქვენს ბრძანებას შევასრულებ!“

მიხაი ახლაღა მიხვდა, რა დიდი შეცდომა დაუშვა, ცოლად მოიყვანა უმშვენიერესი მარმარილოს ქანდაკება.

II. მზარველი სატანა

ხდება ხოლმე, როცა ქმარი თავიდანვე ვერ შესძლებს ცოლის გულის დაპყრობას და დროის იმედი აქვს. ახლა ტიმარიც ამის იმედზეღა იყო.

მუსულმან ქალიშვილებს ბავშვობიდანვე უნერგავენ იმ აზრს, რომ ქორწილამდე არ უნდა იცნობდნენ თავიანთ მომავალ მბრძანებლებს, არც იმას ეკითხებიან, უყვართ თუ არა, ეს წვრილმანი არავის

აინტერესებს. მისი ვალია ქმრის მორჩილი იყოს, რომელსაც შეუძლია დააფასოს მისი სილამაზე და სათნოება, ხოლო თუ ღალატი შეამჩნია, მოკლას. ქალიშვილს ლამაზი სახე, ცოცხალი თვალები და სქელი ნაწნავები უდა ჰქონდეს, მის გულთან კი არავის ესაქმება.

მამობილის სახლში ტიმეას სულ სხვა აზრებს უნერგავდნენ, ასწავლიდნენ, რომ ქრისტიანს ნება აქვს ოცნებისა გარკვეული ზომის ფარგლებში, ხოლო თუ გადააჭარბა, დანაშაულად ჩაეთვლება და სასტიკად დაისჯება. ტიმეა მართლაც დაისაჯა ზედმეტი ოცნებისთვის.

ტიბარს რომ მიჰყვებოდა ცოლად, შეეცადა საკუთარი გრძნობები ჩაეკლა გულში ცოლქმრული მოვალეობის პირნათლად შესასრულებლად. ატალიასავით სიყვარულს რომ აჰყოლოდა, შუაღამისას იმ ქუჩაში ბოუფევდა გავლა, მძინარე ქალს რომ დაეჯახა, მაგრამ მას ამის გაკეთება არ შეეძლო, ამჯობინა გულში ჩაემარხა თავისი სიყვარული და ცოლად გაჰყვა კაცს, რომელთანაც მხოლოდ მადლიერების გრძნობა აკავშირებდა, დიდ პატივს სცემდა და ბევრით იყო დავალებული მისგან.

ასეთი შეეთხვევები ბევრია ცხოვრებაში და ყველა, ვინც კი უსიყვარულოდ თხოვდება, იმით ინუგეშებს თავს, დროთა განმავლობაში შემიყვარდებაო.

მიხაი მეორე დღესვე საქორწინო მოგზაურობაში გაემგზავრა ახალგაზრდა მეუღლესთან ერთად. სად არ იყვნენ, შემოიარეს მთელი შვეიცარია და იტალია, მაგრამ მათი ურთიერთდამოკიდებულება არ შეცვლილა. ვერც შვეიცარიის მომხიბლავმა მდელოებმა, ვერც იტალიის სურნელოვანმა ჰალებმა ვერ იმოქმედეს ტიმეას გაყინულ გულზე.

მიხაიმ ძვირფასი საჩუქრებით ააავსო მეუღლე, ყიდულობდა მისთვის ერთიმეორეზე ულამაზეს კაბებსა და სამკაულებს, აცნობდა დიდი ქალაქების ღირსშესანიშნაობებს და ართობდა, რითაც კი შეეძლო, მაგრამ სიყვარული ვერაფრით გაალვიძა მის გულში. მისი შეუდარებლად ლამაზი სახიდან მთვარის სხივებივით ცივი შუქი გამოკრთოდა მხოლოდ.

ამ მშვიდ, სათნო, მორჩილ და უაღრესად გულისხმიერ ქალს ტიმართან უდიდესი მადლიერების გრძნობის მეტი არაფერი აკავშირებდა, არც შინ და არც მოგზაურობაში ყოფნისას მცირეოდენი სულიერი სითბოც არ უგრძვნია მისგან, ტიმეას გული შეუვალი და სამუდამოდ დახურული აღმოჩნდა მისთვის.

საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ტიმარი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ცოლად შეირთო ქალი, რომელსაც არ უყვარდა და ვერც ვერასოდეს შეიყვარებდა.

ერთხანს ფიქრობდა, დავტოვებ კომარომს და ვენაში გადავალ საცხოვრებლად, იქნებ, იქ მდგომარეობა შეიცვალოსო, მაგრამ ბოლოს მაინც გადაწყვიტა ბრაზოვიჩების ყოფილ სასახლეში დარჩენილიყო და თავის ბინაში კანტორა მოეწყო. მაშინ სახლში აღარავინ მოაკითხავდა საქმეზე და მისი პირადი ცხოვრება გარეშე თვალთაგან დაფარული იქნებოდა.

საზოგადოებაში ტიმეა ყოველთვის მეუღლესთან ერთად დადიოდა, თავის დროზე თავაზიანად შეახსენებდა ხოლმე მიხაის, წასვლის დროაო, და დარბაისლური სიმშვიდით ემშვიდობებოდა იქ მყოფთ. ყველა მათ შენატროდა და შურდათ კიდევაც ტიმარისა, უბედნიერეს კაცად სთვლიდნენ ამქვეყნად. მისი მეუღლე ხომ ზღაპრულ სილამაზესთან ერთად ერთგულებისა და პატიოსნების განსახიერება იყო!

ასე რომ არ ყოფილიყო, ტიმარს ბოლოს და ბოლოს შეიძლება შესძულებოდა, მაგრამ მის უწმინდეს სახელს მტრების ცილისწამებაც კი ვერაფერს დააკლებდა.

გაზაფხულმაც ვერ გაალხო ტიმეას გაყინული გული, პირიქით, კიდევ უფრო სქლად შეამოავლო ყინულის საფარი და უფრო მიუკარებელი გახადა.

მიხაი საკუთარ ბედს სწყევლიდა.

მთელი მისი აურაცხელი სიმდიდრე, უთვალავ ფასდაუდებელ პატიოსან თვალთა ციმციმი უძლური აღმოჩნდა მის წინაშე, ოქროს თვალისმომჭრელმა ელვარებამ ვერ გაუნათა გზა მისი გულისაკენ, პირიქით, ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ ეს ზღაპრული სიმდიდრე და ფუფუნება აშორებდა მათ ერთმანეთისაგან, რომ სწორედ ეს სიმდიდრე აღმართულიყო გადაულახავ ზღუდედ მათ შორის. ღარიბულ ქოხში ცოლ-ქმარი უფრო ახლოსაა ერთმანეთთან, უბრალო გლეხი, ერთი პატარა ოთახის, საწოლისა და მაგიდის მეტი რომ არაფერი აბადია, უფრო ბედნიერია, ვიდრე მიხაი ტიმარი, რომლის სიმდიდრეც მთელს უნგრეთში სალაპარაკოდა აქვთ გამხდარი, მასზე ბედნიერია ხის მჭრელიც, ცოლთან ერთად შრომაში რომ ათენ-აღამებს და მაინც ლობიოს შეჭამანდის მეტი არაფერი გააჩნია. განა არა სჯობია მათი ერთი ტკბილი კოცნა ჩემს სიმდიდრეს?

ვინ იცის, ღარიბს უფრო შემიყვარებდაო, ფიქრობდა, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, საქმეები სულ კარგად მისდიოდა. ბედი ჩომ ხშირად მდიდარს უფრო სწყალობს. აღარ იცოდა, როგორ გაღარიბებულიყო, ისიც კი იფიქრა, იქნებ ფსონის ქაღალდში წავაგოო, მაგრამ აქაც უდიდესი მოგება ხვდა წილად. რომ იტყვიან ფული თავისით მოდიოდა მასთან, სადაც არ უნდა დამალულიყო, მაინც პოულობდა და ჯიბეებს უვსებდა.

სიხარულით გასცვლიდა მთელ თაკის სიმდიდრეს ცოლის ერთ ალერსიან კოცნაში.

ამბობენ ფული ყოვლის შემძლეაო! ოქროთი რას არ იყიდი! წუთიერ სიყვარულს, მოჩვენებით ღიმილს, ულამაზეს ქალთა ყალბ გრძნობებსა და ალერსს... მაგრამ იმ ერთადერთი ქალის სიყვარულის ყიდვა, მთელ ქვეყანას რომ ერჩია, ტიმარმა ვერ შესძლო.

რამდენჯერ სცადა მისი შეძულება, ისიც კი იფიქრა, მღალატობდეს მაინცო, მაგრამ ტიმეა საამისოდ იოტისოდენა მიზეზსაც არ აძლევდა. უიმისოდ სახლიდან ფეხს არ ადგამდა, მხოლოდ მასთან ერთად დადიოდა სასეირნოდ, საზოგადოებაში კი თავი ისე ეჭირა, რომ ქათინაურის თქმასაც ვერავინ უბედავდა. საღამოებზე არასოდეს ცეკვავდა, განაცხადა, ცეკვა არ ვიცი და ჩემთვის ახლა გვიანია სწავლაო, მხოლოდ დარბაისელ მანდილოსნებთან საუბრით ირთობდა თავს. მისი მეუღლე ერთი კვირითაც რომ წასულიყო სადმე ქალაქიდან, სახლიდან არ გამოვიდოდა, ერიდებოდა კიდევაც საზოგადოებაში ყოფნას, არაფერი შემატყონო.

მიხაის ეჭვები სტანჯავდა.

ამ სახლში ტიმეასთან ერთად ცხოვრობდა ატალია, რომელიც აჩრდილივით სულ თან დასდევდა, თითოეულ მის სიტყვასა და მოძრაობას თვალყურს ადევნებდა და უბრალო ამოოხვრაც კი არ გამორჩებოდა. ეს იყო ნამდვილი სატანა, ტიმეას გულში ჩამარხული იდუმალი აზრებისა და სიზმრების ამოცნობაც რომ შეეძლო. ატალიას ჭირივით სძულდა ცოლ-ქმარი და მიზეზს ეძებდა ტიმეას დასაღუპად, ნატრობდა ღალატის მცირეოდენი ნიშანი მაინც შეემჩნია მისთვის, მაგრამ ამაოდ!

ტიმეას გულკეთილობამ დაატოვებინა მიხაის ატალია და ზოფია თავის სახლში, მაგრამ გონივრულად რომ განესაჯა, მასზე უკეთეს მცველს ვერსად იშოვიდა. გამძვინვარებულ სატანად ქცეული ატა-

ლია, მიტოვებული საცოლე იმ ადამიანისა, რომელთან შეხვედრაც მას ახლა აღარ შეეძლო, მისი თვალთვალის მეტს არაფერს აკეთებდა, მაგრამ ჯერჯერობით დუმდა და მანამდე ტიმეას გასამართლება თვით მაღალ ღმერთსაც არ შეეძლო.

ატალია მართლაც რომ მფარველი სატანა იყო ამ სახლისა, მის მახვილ თვალს უმნიშვნელო წვრილმანიც კი არ გამოეპარებოდა, თან სულ იმის ცდაში იყო, ტიმეასთვის რითაც კი შეეძლო გული ეტკინა. ღვიძლ დასავით იმიტომ მექცევა, რომ თავისი დიდსულოვნება ყველას უნდა დაანახოსო, ფიქრობდა და, რაც შეეძლო, ხაზს უსვამდა თავის მოახლეობას. დღე არ გავიდოდა, ცოცხი არ აეღო ხელში და ოთახის დალაგება არ დაეწყო. ტიმეა, როგორც კი დაინახავდა, ხელიდან წაართმევდა ხოლმე, მაგრამ ახლა მისი კაბების წმენდას იწყებდა, სადილობისას, როცა სტუმრები ჰყავდათ, ძალით თუ გამოიყვანდნენ სამზარეულოდან.

ტიმეამ მას უკლებლივ დაუბრუნა მთელი ტანსაცმელი და საკაულები, კარადები სავსე ჰქონდა ფარჩისა და აბრეშუმის ძვირფასი კაბებით, მაგრამ ჯიბრით რომელიმე ძველ ხალათს ჩაიცვამდა, თან ძალით ამოიწვავდა ან დაილაქავებდა ხოლმე. იცოდა, ამით ტიმეას გულს ატკენდა და ყველაზე მეტად ეს ახარებდა. ძვირფას საკაულებს ხელს არ ახლებდა, ათ კროიცარად ღირებული უბრალო შუშის გულსაბნევი იყიდა და სულ იმას ატარებდა. ერთხელ ტიმეამ გამოართვა და შუშა ოპალის პატიოსანი თვლით შეაცვლევინა, შემდეგ შეაგროვა მის მიერ საგანგებოდ გამოძებნილი ძველმანები, ცეცხლში დასწვა და ისეთივე კაბები შეაკერინა მისთვის, როგორიც თვითონ ეცვა.

ტიმეას ბევრი რამ სწყინდა მისგან, მაგრამ გაბრაზებით არასოდეს გაბრაზებია.

ატალია მონასავით ფეხქვეშ ეგებოდა ტიმეას, მის ყოველ თხოვნას იმავე წუთში უსრულებდა და თან ენის მოჩლექით ელაპარაკებოდა: „ცემო მსვენიერო ტიმეა!“ „ცემო შულის ანგელოვო!“

ამას ტიმეა მოთმინებიდან გამოჰყავდა, მაგრამ არაფერს ეუბნებოდა. რამდენი არ ეხვეწა, შენობით მელაპარაკეო, ვერა და ვერ დაითანხმა.

ეს ბოროტი არსება მუდამ იმის ცდაში იყო, რაიმე ევნო მათთვის და, როგორმე ხასიათი რომ წაეხდინა, ერთი-მეორესთან აქებდა რაც კი შეეძლო.

ტიმეას რომ დაიმარტოხელებდა, ახლოს მიუჯდებოდა, ამოიოხრებდა და დაუწყებდა: „ოჰ, რა ბედნიერი ქალი ხართ, ტიმეა! რა შესანიშნავი ბეუღლე გყავთ! როგორ უყვარხართ!“ როგორც კი ტიბარი შემოვიდოდა, ახლა იმას უსაყვედურებდა: „სადა ხართ ამდენ ხანს, ტიმეას თვალები დააწყდა თქვენს მოლოდინში! შედით მასთან ფეხაკრეფით და თვალებზე ხელი ააფარეთ, თუ მიხვდება, რომ თქვენა ხართ! როგორ გაახარებთ!“

ცოლ-ქმარი მოთმინებით იტანდა მის დაცინვას, მაგრამ მისი თითოეული სიტყვა გულში ეკლად ესობოდათ. ატალიამ შესანიშნავად იცოდა, რომ ისინი უბედურები იყვნენ. ეს დესპოტი ქალი თავისი მლიქვნელობითა და-წრესგადასული მონური მორჩილებით ისე აბეზრებდა მათ თავს, რომ საკუთარ სახლში ადგილს ვღარ პოულობდნენ.

მარტო რომ დარჩებოდა, ატალია ჩამოიგლეჯდა მორჩილების ნიღაბს და გამძვინვარებულ მხეცად გადაიქცეოდა ხოლმე. გააგდებდა ხელიდან ცოცხს, აიღებდა ჯოხს და ვითომ მტვრის გასაცლელად, ისე გაშმაგებით ურტყამდა სავარძლებსა და ტახტს, თითქოს უნდა ყველას ჯავრი მათზე იყაროსო. შემდეგ კაბაზე სახელოს ან კალთას ჩამოიგლეჯდა, კარებს სახელურს ააგლეჯდა ან რამეს გატეხავდა და თავისი ნახელავით ნასიამოვნები ქაჯივით ხარხარებდა. სახლში მუდამ დამტვრეული ჭურჭლისა და ავეჯის გროვები იდგა, რაც მის არაადამიანურ სიბოროტესა და სიავეზე მეტყველებდა.

მთელი დღის დაგროვილ ბოღმას ატალია თავის უენო მსხვერპლს გადმოანთხევდა ხოლმე. ეს იყო უბედური დედამისი, რომელიც შიშით სიტყვის თქმას ვერ უბედავდა, მუდამ გაურბოდა მასთან მარტო დარჩენას, მაგრამ ქალიშვილი მაინც იპოვიდა და რისხვით დაატყდებოდა თავს. ჩხუბსა და ყვირილს ვინღა დაეძებდა, ეს სატანად ქცეული ქალი, რომელიც მხოლოდ იმიტომღა ცოცხლობდა, რომ ვინმესთვის ევნო, ცემასაც არ აკლებდა. საცოდავი ზოფია ერიდებოდა მასთან ერთ ოთახში ღამის გათევას, არაერთხელ უჩვენებია მოხუცი მზარეული ქალისთვის დალურჯებული ადგილები და ფრჩხილებით დაკაწრული მკლავები. ატალია მისი ცემით გულს რომ იჯერებდა, „რისთვის გამაჩინე ამქვეყნადო!“ მიახლიდა და კარებს მიუჯახუნებდა ხოლმე.

ამ სადისტ ქალს უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა, თუკი მოახერ-ხებდა და პანღურს ამოჰკრავდა ტიმეას საყვარელ ფინიას.

ტიმეასთან მუდამ მოსამსახურეებზე ჭორაობდა, სულ მათ ძაგ-ებაში იყო, არაფრის გამკეთებლები არ არიან და მთელ დღეს ლაყ-ბობაში ატარებენო.

გვიან ღამით, პირმოთნე, შხამნარევი ღიმილით გამოეთხოვებო-და ხოლმე ტიმეას და დასაძინებლად წავიდოდა. გახდაში არავის მოიხმარდა, პირდაპირ ზედ შემოიხევდა ხოლმე კაბას, შემდეგ თმებს ჩამოიგლეჯდა, ტანსაცმელს აქეთ-იქით ისროდა კუთხეებში, სან-თელს ისე ჩააქრობდა, რომ დიდხანს ებეუტა და ოთახი ბოლით. აევსო, გაშმაგებული ჩაწვებოდა ლოგინში, კბილებით ჩააფრინდე-ბოდა ბალიშს და ბრდღვნიდა. ამით რომ დაიღლებოდა, იმაზე იწყებ-და ფიქრს, მეორე დღეს რითი ევნო ირგვლივ მყოფთათვის და მთელ თავის სიბოროტეს ამაში აქსოვდა. მხოლოდ მაშინღა დაეძი-ნებოდა, როცა ღამის მყუდროებაში ტიმეას ოთახიდან გამოსული ტიმარის ფეხის ხმას გაიგონებდა. მის ბოროტ სულს ეს ხმა სიხარუ-ლით ავსებდა.

ის შესანიშნავად გრძნობდა, რომ ცოლ-ქმარი უბედური იყო და მოუთმენლად ელოდა განხეთქილებას მათ შორის, მაგრამ ორივენი გულში იმარხავდნენ თავიანთ გრძნობებსა და განცდებს და ერთი ზედმეტი სიტყვაც კი არ უთქვამთ ერთმანეთისთვის, ერთი ოხვრაც არ გაუგონიათ. ტიმეას გარეგნულად არაფერი ეტყობოდა, მიხაი კი სულ მოღუშული იყო. მართალია ძველებურად საათობით იჯდა ხოლმე მეუღლის ოთახში, ხანდახან მის ჩამოთლილ თითებსაც ეალერსებოდა, მაგრამ თვალებში ვეღარ უყურებდა, კაცებს ხომ არ შეუძლიათ თავიანთი გრძნობებისა და საიდუმლოების დაფარვა. ბოლოს სახლიდან გასვლასაც მოუხშირა, დაიბარებდა ხოლმე, ამა და ამ დღეს დავბრუნდებიო, და ყოველთვის რაღაც მიზეზით ადრე ბრუნდებოდა. მას მოჩვენებები და ეჭვი სტანჯავდა და ცდილობდა, როგორმე ცოლის ღალატს შესწრებოდა.

ერთხელაც გამოაცხადა, რომ თავის მამულში, ლევეტინცში აპი-რებდა წასვლას და ერთი თვის შემდეგ დაბრუნდებოდა. გულმოდგი-ნედ ჩაალაგა საჭირო ნივთები, თითქოს მართლა დიდი ხნით მიდიოდა და გამოთხოვებისას ცივად აკოცა მეუღლეს. ატალიამ ეს შენიშნა და დამცინავი მზერა ესროლა. სხვას ამისთვის შეიძლება ყურადღება

არ მიექცია, მაგრამ მიხაის არ გამოჰპარვია და შხამად დაეწვეთა დაჭრილ გულზე.

გუნებამოწამლული მიხაი დაუზოგავად მიერეკებოდა ცხენებს შუადღემდე, შემდეგ უცებ შემოაბრუნა ეტლი და შუაღამისას უკვე შინ იყო.

თავის ოთახში მას ცალკე ასასვლელი ჰქონდა და გასაღებსაც შუდამ თან ატარებდა. ფეხაკრეფით ავიდა თავის ოთახში და იქიდან ტიმეას საწოლში შეიპარა. მისი მეუღლის კარები მუდამ ღია იყო, ჩვეულებრივ გვიან ღამემდე კითხულობდა ხოლმე დაწოლილი და მოახლე სანთლის ჩასაქრობად შედიოდა. მის გვერდით ატალიასა და ზოფიას ოთახები იყო.

უკვე ყველას ეძინა და ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. მიხაიმ ფრთხილად გადასწია ფარდა და სანთლის შუქზე მძინარე მზეთუნახავის თოვლივით თეთრ სახეს მოჰკრა თვალი. უნებლიეთ გაახსენდა, როგორ უცემდა გული „წმინდა ბორბალაზე“, ვიდრე სიცოცხლეს დაუბრუნებდა ტიმეას. ქალს ღრმა ძილით ეძინა, ერთი ძარღვიც არ შესტოკებია სახეზე. საყვარელი ადამიანის მოახლოებას ქალი ძილშიც კი გრძნობსო, რომ ამბობენ, მართალი ყოფილაო, გაიფიქრა და ცოლისკენ დაიხარა. ტიმეას გული მშვიდად და თანაბრად ძგერდა. მიხაიმ ღალატის მცირეოდენი კვალიც ვერ შენიშნა, დიდხანს იდგა ასე და თვალს ვერ აშორებდა მის მშვენიერ სახეს, მერე უცებ შემობრუნდა და მოულოდნელობისაგან შეკრთა, მის წინ ატალია იდგა სანთლით ხელში. სახეზე დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა.

— ხომ არაფერი დაგავიწყდათ? — ჩურჩულით ჰკითხა გაოგნებულ ტიმარს, რომელიც დანაშაულზე წასწრებული ქურდივით გაქვავებულიყო ადგილზე.

— ჩუმად! საბუთები დამრჩა, — იცრუა მიხაიმ.

— ტიმეა ხომ არ გავაღვიძო, რომ მოგიძებნოთ?

მიხაის ყოველგვარი საბუთები და ქაღალდები თავის სამუშაო კაბინეტში ჰქონდა, ტყუილის თქმისა შერცხვა და აღარ იცოდა, როგორ გამოესწორებინა.

— არა, არა, მისი გაღვიძება საჭირო არ არის, აქ გასაღებს ვეძებდი.

— მერე, იპოვეთ? — ჩაისისინა ისევ ატალიამ და სანთელი მი-

უმარჯვა, შემდეგ კაბინეტამდე მიაცილა, სანთელი მაგიდაზე დაუდგა, მაგრამ წასვლას არ ჩქარობდა.

მთლად დაბნეულმა მიხაილ რაღაცას დაუწყო ძებნა ქაღალდებში, მაგრამ ვერ იპოვა, თვითონაც არ იცოდა, რა უნდოდა, ბოლოს საწერი მაგიდის უჯრა დაკეტა, აიხედა და ისევ ატალიას დამცინავ მზერას წააწყდა.

— ხომ არაფერი გნებავთ? — მლიქვნელურად ჰკითხა ატალიამ და თვალებში ჩიაჩერდა.

მიხაის ხმა არ გაუცია.

— ჩემთან საუბარს ხომ არ ინებებდით?

მიხაის თვალწინ ყველაფერი აირია და ენა დაება.

— არც ტიმეაზე გინდათ გელაპარაკოთ? — ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა ატალიამ და მიუახლოვდა, თან ნაპერწკლები სცვიოდა თვალთაგან, რომლებიც შხამიანი ისრის წვეტებივით ესობოდა ტიმარს და აჯადოებდა.

— რა იცით თქვენ ტიმეაზე?—ჰკითხა მოთმინებადაკარგულმა მიხაილ.

— ძალიან ბევრი. გინდათ, გიამბოთ?

მიხაი ორჭოფობდა.

— წინასწარ გაფრთხილებთ, როცა შეიტყობთ იმას, რაც მე ვიცი, ძალზე უბედური კაცი იქნებით.

— ილაპარაკეთ, მე გისმენთ!

— კარგი! ჩემთვის, ისევე როგორც თქვენთვის, დიდი ხანია ცნობილია, რომ ტიმეას არ უყვარხართ, ჩემზე უკეთ იცით, ვინც უყვარს, მაგრამ ის არ იცით, რომ თქვენი ერთგულია და სულ იმის ფიქრში ხართ, ხომ არ მღალატობსო. შეგიძლიათ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, მას თქვენს წინაშე არ მიუძღვის დანაშაული.

ტიმარს გააჟრჟოლა.

— ალბათ, სულ სხვა რამეს ელოდით ჩემგან, გეგონათ, ვაძაგებდი და სახელს გავუტეხდი თქვენს თვალში, მაშინ შეგეძლოთ შეგძულებოდათ და მიგეტოვებინათ კიდევაც, მაგრამ არა! თქვენ ცოლად მოიყვანეთ მარმარილოს ქანდაკება, რომელსაც არ უყვარხართ, ვერასოდეს შეგიყვარებთ, მაგრამ არც გიღალატებთ! ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. თქვენი სახელი და პატიოსნება საიმედოდ არის დაცული, ტიმეასთვის ზღაპრული არგუსი რომ მიგეჩინათ, გწამდეთ,

რომ ჩემზე უკეთ ვერ დაიცავდა. თითოეული მისი სიტყვა, აზრი და სურვილი ცნობილია ჩემთვის, ჩემს მახვილ თვალს მისი უმნიშვნელო მოძრაობაც კი არ გამოეპარება, სწორად მოიქეცით, ამ სახლში რომ დაბრუნდეთ და ახლა, თუმცა გძულვართ, მაინც ვერ გამაგდებთ, იმიტომ რომ ადამიანი, რომლისაც ყველაზე მეტად გეშინიათ ამქვეყნად, თქვენს კერას ვერ გაეკარება, ვიდრე მე აქა ვარ, ვერც ერთი საკეტი ვერ დაიცავს თქვენს კარებს ჩემზე უკეთესად! იცოდეთ, რომ თქვენს აქ არყოფნაში ეს სახლი მონასტერს ემსგავსება, სტუმრად ქალებსაც კი არ იღებენ, თქვენი ცოლის სახელზე მოსული წერილები გაუხსნელი აწყვია თქვენს საწერ მაგიდაზე, შეგიძლიათ წაიკითხოთ, ან პირდაპირ ღუმელში ჩაჰყაროთ. თქვენი მეუღლე უჩემოდ ფეხს არ ადგამს გარეთ და თუ გავისეირნებთ, მხოლოდ კარეტით. მისი საყვარელი ადგილია კუნძული, იქაც ყოველთვის მის გვერდითა ვარ, ვხედავ, როგორ იტანჯება, მაგრამ ერთი სიტყვითაც კი არ დაუჩივლია არასდროს, ანკი როგორ გაბედავს ამას ჩემთან. როცა მასზე უარესი წაბება გამოვცადე მისი მიზეზით. მე ხომ უბედნიერესი ქალი ვიყავი და ჩემს საქმროსაც ვუყვარდი, მაგრამ როგორც კი მან ფეხი შემოდგა ჩვენს სახლში, უბედურება უბედურებაზე დამატყდა თავს. არაფერია, მე არ ავტირდები, უკვე ყველაფერი გადავიტანე და შევეჩვიე ჩემს ბედს, ახლა ის უკვე აღარ მიყვარს და სიძულვილის გარდა არავითარი გრძნობა აღარა მაქვს მისდამი. თქვენ შეგიძლიათ ენდოთ ჩემს სიტყვებს და დამშვიდებული გაემგზავროთ, სადაც გნებავთ. მე საიმედოდ ვიცავ თქვენს სახლს. თუ დაბრუნებულს ცოლი ცოცხალი დაგხვდათ, იცოდეთ, რომ მას არ უღალატია თქვენთვის. ხოლო თუ გაბედა და თუნდაც შორიდან გაუღიმა იმ ადამიანს, ან მისი წერილი წაიკითხა, ვფიცავ, რომ საკუთარი ხელებით დავახრჩობ და მის დასაფლავებაზე მოგიწევთ ჩამოსვლა. ახლა ხომ გასაგებია, რას სტოვებთ ჩემი სახით ამ სახლში თქვენი წასვლისას? ალეესილ ხანჯალს, რომლის წვერი თქვენი მეუღლის გულისკენაა მიმართული და ყოველ წუთს მზად არის მის გასაპობად! ახლა, სადაც არ უნდა იყოთ, მოსვენებას ვეღარსად იპოვით, ყველგან ეს ხანჯალი უნდა გელანდებოდეთ და, მიუხედავად იმისა, რომ გძულვართ, იძულებული ხართ ჩემი სამსახური მიიღოთ!

ტიმარი გაქვავებულივით იდგა და ყურს უგდებდა ამ ავისმომასწავებელ აღსარებას.

— მე გითხარით ყველაფერი, რაც ვიცი ტიმეას შესახებ, თქვენს შესახებ და ისიც. რასაც მე განვიცდი, კიდევ ერთხელ გიმეორებთ, რომ ცოლად შეირთეთ ქალი, რომელსაც სხვა უყვარს და ის სხვა ადრე მე მეკუთვნოდა. თქვენ მომიკალით მამა, წამართვით მთელი ჩემი ქონება, საკუთარი სახლი, მაგრამ ამას არ დასჯერდით და ტიმეა გახადეთ მისი დიასახლისი. ამისთვის ღმერთმა დაგსაჯათ, თქვენი მეუღლე უბედურია და თქვენც იტანჯებით იმით, რომ გააუბედურეთ ქალი, რომელსაც ასე აღმერთებთ, ტიმეა ხომ ბედნიერებას ვერ ეღირსება, ვიდრე თქვენ ცოცხალი ხართ. ახლა თქვენ ყველაფერი იცით და ამ მწარე სინამდვილით მოწამლული შეგიძლიათ გაემგზავროთ, სადაც გნებავთ, მაგრამ, სადაც არ უნდა იყოთ, სიმშვიდესა და ბედნიერებას ვერსად ჰპოვებთ და მე ეს მახარებს!

აღგზნებული, გაბრწყინებული სახით, კბილების ღრჭენით დაჰყურებდა ეს ფურია სავარძელში უღონოდ მჯდარ მიხაის და ისე აღემართა მოკუმული ხელი, თითქოს უხილავი ხანჯალი უჭირავს და გულში უნდა ჩასცესო.

— ახლა კი... გამაგდეთ თქვენი სახლიდან, თუ შეგიძლიათ.

მის ულამაზეს სახეს ქალური სინაზის ნატამალიც აღარ შერჩენოდა, ენით გამოუთქმელ ღვარძლსა და სიძულვილს გამოხატავდა მხოლოდ.

— გამაგდეთ, თუკი შეგიძლიათ! — კიდევ ერთხელ გაუმეორა თავზარდაცემულ მიხაის და ამაყად, გამარჯვებული დემონის სახით გავიდა ოთახიდან. უკუნეთ სიბნელეში დარჩენილი მიხაი ახლაღა მიხვდა, რომ ატალია მათი მსახური კი არა, ამ დაწყევლილი სახლის დიასახლისის მცველი ავსული იყო.

როცა ატალია სანთლით ხელში ტიმეას საწოლისკენ გაემართა, იდუმალმა ხმამ ჩასძახა, უკან დასდევნებოდა და მიეხალა:

„მაშ დარჩი მარტო ამ საზიზღარ სახლში!“ შემდეგ შევარდნილიყო ტიმეას საწოლში, ხელში აეყვანა, როგორც „წმინდა ბორბალას“ დაღუპვის დღეს და ისეთ ადგილას წაეყვანა, სადაც მისი ბოროტი თვალი ვეღარ მისწვდებოდა, მაგრამ შეჩერდა, თუმცა ეს აზრი თავიდან არ გამოსდიოდა და მოსვენებას არ აძლევდა. ვინ იცის, იქნებ, სჯობდა კიდევაც, რომ ასე მოქცეულიყო.

ამ დროს კარი გაიღო, ზღურბლზე ისევ გამოჩნდა ატალია სანთლით ხელში, კიდევ ერთხელ შეხედა მას გამომწვევად, კიდევ ერთხელ შეაფრქვია ზიზღი და ისევ გაუჩინარდა.

ტიმარის ბედი გადაწყვეტილი იყო. სანთელი არ აუნთია, რომ მისი მოსვლა არავის შეემჩნია, ფრთხილად ჩაალაგა თავისი ნივთები, ფეხაკრეფით გამოვიდა და ქურდულად დატოვა საკუთარი სახლი. ამპარტავანი მზეთუნახავის სახით მოვლენილმა სატანამ გააძევა იგი.

აპრილის ცივი ღამე იყო, ქარი ქროდა და სველ თოვლს პირდაპირ სახეში აყრიდა. მიუხედავად ამისა, ტიმარმა ღია ეტლით წასვლა ამჯობინა, თუმცა ასეთ ამინდში კარგი პატრონი ძაღლსაც არ გააგდებდა.

III. გაზაფხულის უვავილობა

ზამთრის მიწურულის უკანასკნელი ავდარი მიხაის ქალაქ ბაიმდე მიჰყვა. გზა ტყე-ტყე მიდიოდა, რომელიც ალაგ-ალაგ ახალმოსულ თოვლს დაეფარა. ეს უამინდობა სწორედ რომ შეეფერებოდა მწარე ფიქრებით გონებადამძიმებული ტიმარის განწყობილებას.

გულქვა ატალიამ მართალი უთხრა, ცოლიცა და ქმარიც უბედურები იყვნენ, თანაც მიხაი თვითონ იყო ტიმეას გაუბედურების მიზეზი და ეს უფრო მეტად ტანჯავდა.

ეს იყო სასჯელი მისი არასწორი ნაბიჯისათვის.

ტიმეას კუთვნილი განძეული რომ იპოვა, იმიტომ უფრო მიითვისა, რომ მისი საშუალებით ოდესმე მის გულამდე მიეღწია და ბედნიერი კაცი გამხდარიყო, მაგრამ მწარედ მოტყუვდა.

ახლა ეს ოცნებადგამხდარი ქალი ცოლად ჰყავდა, მაგრამ უკანასკნელ გლახაზე უბედური იყო. მართლაც რომ მწარე ხვედრი არგუნა ბედმა. ამ აურაცხელი სიმდიდრის პატრონმა არ იცოდა, რა იყო ნამდვილი ბედნიერება.

ნუთუ ასე უნდა ვეწამო მთელი სიცოცხლე? ნუთუ სიყვარულის ღირსი არა ვარ?

მართლაც, გარეგნობას ვერ დაუწუნებდით მიხაის, წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო, სახის სწორი ნაკვთები და ცოცხალი, მეტყველი თვალები ჰქონდა.

რატომ არ უნდა შეჰყვარებოდა ქალს? რაღა ფასი ჰქონდა ახლა მის სიცოცხლეს? რაღად უნდოდა ან სიმდიდრე, ან სახელი და დიდება? მისი სიყვარული უარყოფილი იყო და კაცისთვის ხომ ამის შეგრძნებაზე უფრო მძიმე არაფერია.

უცებ ახალმა აზრმა გაუელვა, იქნებ, ადამიანების სამსახურში ვიპოვოო ბედნიერება. ვინც ოჯახში ვერ ჰპოვებს სითბოსა და სიყვარულს, გარეთ ეძებს.

გადაწყვიტა მებაღეობა-მეყვავილეობა დაეწყო, შემდეგ ქათმებისა და სხვა შინაური ფრინველების მოშენებისათვის მიეყო ხელი.

მაგრამ რა გამოვიდოდა აქედან, განა იციან ადამიანებმა სიკეთის დანახვა? ბაიში მისვლამდე ეს არასასიამოვნო ფიქრები ურევდა გონებას.

ბაიში შეჩერდა, აქ საკუთარი კანტორა და სავაჭრო ჰქონდა, აქვე მოსდიოდა წერილებიც სხვადასხვა კუთხიდან, ახლაც მთელი გროვა დახვდა, მაგრამ გულგრილად გახსნა თითოეული და ზერელედ გადაავლო თვალი. მისთვის უკვე სულ ერთი იყო, გაიყინებოდა თუ არა ჭარხალი და ბოლოკი, აიწევდა თუ არა ინგლისში გასატან საქონელზე საბაჟო გადასახადი და კეთილშობილი ლითონების ფასი.

ორმა წერილმა მაინც დიდად გაახარა, ერთი სტამბულიდან იყო. მეორე ვენიდან. გულისყურით წაიკითხა და ორივე ჯიბეში ჩაიდო. ამან თითქოს მხნეობა შეჰმატა და ისევ ჩვეული ენერგიით შეუდგა საქმეს. მოუსმინა მმართველებს, მითითება მისცა ნოქრებსა და მოურავებს და გზა განაგრძო.

ახლა ისევ გარკვეული მიზანი მიეცა მის მგზავრობას. ერთი აზრიღა ასულდგმულებდა, რაც შეიძლებოდა მალე გაეხარებინა ადამიანები, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ. სხვისი სიხარული მას ყოველთვის ენით აუწერელ სიამოვნებას ანიჭებდა.

მალე გამოიდარა კიდეც, მზემ გამოანათა და მისი სხივების სითბომ ზამთარს ძალა დაუკარგა. ბაის სამხრეთით უკვე გაზაფხულის სუნთქვა იგრძნობოდა. მიხაიც სულ ქვევით, სამხრეთისაკენ მიჰქროდა. მოჰაჩთან ტყე უკვე მწვანე სამოსელში ეხვეოდა, ზომბორის ირგვლივ მდელოები ხავერდივით ბალახს მოეფინა, ახალშენის მინდვრები გაზაფხულის ჭრელა-ჭრელა ყვავილებით იყო მოქარგული, პანჩოვოსთან კი ნუში და ატმები ჰყვაოდა და შორიდან ისე მოსჩანდა, თითქოს გორაკებზე მოვარდისფრო თოვლის თხელი საფარი და-

უფენიათო. ორი დღე მიხაი ამ ზღაპრულ სამეფოში მიჰქროდა. კომპარომში ჯერ ისევ თოვლი იდო, აქ კი, ქვემო დუნაის ამწვანებულ სანაპიროებზე, ათასფერი ყვავილები გადაშლილიყო.

თავის მამულში, ლევეტინცში მიხაიმ ღამე გაათია, დილით დავალებები მისცა მოურავს და ახლადშემოსული გემების სანახავად გაეპგზავრა ნავსადგურში. იქ ყველაფერი რიგზე დაუხვდა, სხვაგვარად არც შეიძლებოდა, გადმოტვირთვას ხომ მისი ერთგული იანოშ ფაბულას გამოცდილი თვალი დასტრიალებდა. ფაბულა მიესალმა მიხაის და უთხრა:

— საქმეს მე მივხედავ, ბატონო, შეგიძლიათ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ და გარეულ იხვებზე ნადირობით შეიქციოთ თავი!

მიხაი აქ მართლაც საჭირო არ იყო. დიდი ნავი ერთი კვირის სამყოფი სურსათ-სანოვაგით აავსებინა, ორლულიანი თოფი წაიღო და სანადიროდ გასწია. მისი ერთკვირიანი ნადირობა ახლა არავის გაუკვირდებოდა, ლერწმნარი ხომ ათასნაირი გარეული ფრინველით იყო სავსე, გუნდ-გუნდად დაცურავდნენ გარეული იხვები, ღალღები, ცხრატყავები, ტყის ქათმები, ყანჩები, რომლებზედაც ლამაზი ბუმბულისთვის ნადირობენ, შამბნარში კი ვარხვი და ეგვიპტური ყაჯირიც იყო. მონადირე თუ ამ ჭაობთა სამეფოში შემოიჭრებოდა, ასე ადვილად ვეღარ დააღწევდა თავს, მიხაი ტიმარი კი ნადირობის ტრფიალი იყო სწორედ.

მაგრამ ამჯერად მას თოფის გატენაც არ უფიქრია, პირდაპირ კუნძულ ოსტროვასკენ გასწია. კონცხს შემოუარა თუ არა, შამბნარს ზემოთ ნაცნობი ალვისხეების კენწეროებს მოჰკრა თვალი. ეს ადგილები გაუვალად ითვლებოდა, მაგრამ მიხაი აქ ერთხელ უკვე ნამყოფი იყო და ახლა თვალდახუჭულს შეეძლო გაეცურა.

...ნეტავ რას აკეთებენ ახლა ალმირა და ნარცისა?

თუმცა, გაზაფხულის ამ მშვენიერ დილას ნადირობის მეტს რას უნდა აკეთებდნენ?

მაგრამ ნადირობასაც ხომ თავისი წესები აქვს? ნარცისა მხოლოდ ღამღამობით იჭერს თაგვებს, ალმირასთვის კი ღამით ნადირობა არ შეიძლება. ნარცისას ჩიტებზე ნადირობა სასტიკად აქვს აკრძალული, ალმირას ზაზუნებზე, რომლებიც ორი წლის წინ მოჰყვნენ დუნაის ყინულებს და კუნძულზე დაბინავდნენ. გამოდის რომ ალმირასა და ნარცისას მხოლოდ წყლის ბინადართა დაჭერით შეუძლიათ შეიქციონ თავი, და განა ეს ნაკლები სიამოვნებაა?

აი, ალმირამ წყალში შესცურა, ჩუმად მიეპარა რაღაცას, ფრთხილად ჩაჰყო თათი ორმოში და იმავე წამში უკან ამოსწია, სამფეხზე შემდგარი კოჭლობითა და წკმუტუნით გამოიქცა ნაპირისკენ. თათზე მოზრდილმა შავმა კიბორჩხალამ მარწუხები შემოუჭირა. გამწარებულმა იქნია თათი, სანამ არ მოიცილა, შემდეგ ნარცისასთან ერთად ორივე მხრიდან ეცნენ მსხვერპლს. სული მისდიოდათ პირის ჩასატკბარუნებლად, მაგრამ კიბო ცდილობდა ხელიდან დასხლტომოდათ და წყლისკენ მიიწევდა. მონადირეები აქეთ-იქიდან თათებს ურტყამდნენ, სანამ ზურგზე არ გადააბრუნეს. ერთხანს სამივენი სულგანაბულნი შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

ალმირას უცებ ლერწმნარიდან რაღაც ხმაურობა შემოესმა და ყურები ცქვიტა, მაგრამ იცნო, ვინც უახლოვდებოდა კუნძულს და არ დაიყეფა.

მიხაილ ნავი ტირიფის ტოტზე მიაბა და ნაპირზე გადმოხტა. ალმირამ მაშინვე მიირბინა მასთან, მან ხელი გადაუსვა თავზე გონიერ პირუტყვს და ჰკითხა: „აბა, როგორა ხართ? ხომ ყველაფერი რიგზეა კუნძულზე?“

ძაღლმა თავისი ჭკვიანი თვალებით შეხედა და დაბალ ხმაზე დაიყეფა, რაც ნიშნავდა, კარგად ვართო.

ამ დროს მათი ყურადღება გამწარებულმა კნავილმა მიიპყრო. ნარცისამ, როგორც მოსალოდნელი იყო, თავი ვერ შეიკავა და ისე მიუახლოვდა მოკრუნჩხულ კიბორჩხალას, რომ მან ცხვირზე მარწუხები შემოუჭირა.

ტიმარი მარჯვედ გადახტა მისკენ, ხელი სტაცა და ისე მაგრად მოუჭირა, რომ აიძულა მსხვერპლისთვის მარწუხები შემოეხსნა, შემდეგ რაც ძალი და ღონე ჰქონდა ქვებზე დაანარცხა და სული გააფრთხობინა. ნარცისა მადლობის ნიშნად მხარზე შეახტა მხსნელს და ისე ამაყად გადმოხედა განადგურებულ მტერს, თითქოს თვითონაც მონაწილეობა მიეღო მის დამარცხებაში.

ამ რაინდული დახმარების შემდეგ ტიმარმა ნავის გადმოტვირთვა დაიწყო. სანოვაგე ზურგჩანთაში ჩააწყო და მხარზე გადაიკიდა, მაგრამ თოფისთვის რა ექნა, არ იცოდა, ხელში რომ დაეჭირა, ალმირა ეცემოდა, აქ დატოვებაც საშიში იყო, შეიძლებოდა ნაპირზე ვინმე ამოსულიყო და წაეღო; ბოლოს გამჭრიახი გონების წყალობით მაინც იპოვა გამოსავალი, ალმირას პირში დააჭერინა. უზარმაზარ

ნაგაზს ისე მოჰქონდა საკმაო სიმძიმის ორლულიანი თოფი, თითქოს პატარა ჯოხი ყოფილიყოს. ნარცისა ისევ მხარზე ეჯდა და კრუტუნით ეალერსებოდა.

მწვანეში გაკვალულ ბილიკზე წინ ალმირა მიუძღოდა, ირგვლივ სიჩუმე და მყუდროება სუფევდა. ამ დალოცვილ მიწაზე მიმავალ ტიმარს თავი სამოთხის ბაღში ეგონა.

ეს მართლაც რომ სამოთხე იყო! ხეხილი თეთრ-ვარდისფრად გადაპენტილიყო, აყვავებული ასკილის ბუჩქების ტოტები მიწას სწვდებოდა, ერთმანეთში გადახლართულიყო და საოცრად ლამაზი ყვავილოვანი გამოქვაბულები წარმოექმნა. ხავერდივით მწვანე პალახი ცისფერთვალა იებს მოექარგათ. ამომავალი მზის ოქროსფერი სხივებით გაცისკროვნებული ყვავილები საამო სურნელს აფრქვევდნენ და სიყვარულის ნექტარივით ათრობდნენ ადამიანს. კორდებზე სასიამოვნო ზუზუნი ისმოდა და ღვთიურ ხმებად ჩაესმოდა მიხაის, ახლადგადაშლილ ყვავილთა გულებიდან კი თითქოს ღმერთის ყოვლისმხილველი თვალი შემოჰყურებდა...

ეს ბუნების დიდებული ტაძარი იყო...

მას თავისი მგალობლებიც ჰყავდა, ბულბული და ტოროლა, რომელთა შეხმატკბილებულ გალობას თვით დავით წინასწარმეტყველის მშვენიერი ხმაც ვერ შეედრებოდა.

ბოლოს, აყვავებული იასამნის ბუჩქებიდან მიხაიმ კუნძულელთა ქოხი დაინახა და მოჯადოებულივით შედგა. ეს პატარა სახლი შორიდან ისე მოსჩანდა, თითქოს ცეცხლი წაჰკიდებიაო; მისი კედლებიცა და სახურავიც მცოცავ წითელ ვარდს დაეფარა და შორიდან ცეცხლის ალისფერ ენებს წააგავდა. სახლის წინ ათასფერი ვარდები ჰყვაოდა, უზარმაზარი პირამიდისებური ალვის ხეები, ცოცხალ ღობედ რომ შემოვლებოდა და ვარდების ტალავერი იქაურობას ზღაპრულ ელფერს აძლევდა.

როგორც კი მიხაი ვარდის ტალავერში შევიდა, აღტაცების შეძახილი მოესმა:

— ოო, ეს თქვენა ხართ, ბატონო ტიმარ! — და მისკენ გოგონა გამოიქცა. ეს იყო ნოემი, მიხაის ორი წელი იყო აღარ ენახა და ისე გაზრდილიყო და დაქალებულიყო, რომ ძლივს იცნო, უფრო ლამაზიც მოეჩვენა, ვარდისფერი ლოყები და ცისფერი თვალები საოცრად შვენოდა, სადა ფაქიზი კაბა ეცვა და ოქროსფერ თმებში წითელი ახლადგადაშლილი ვარდი ეკეთა.

ქალიშვილი სიხარულით მიესალმა და ხელი გაუწოდა. მიხაილ ხელი ჩამოართვა და მის სახეს თვალი ვეღარ მოაცილა.

— რამდენი ხანია ჩვენთან აღარ ყოფილხართ! — წამოიძახა ნოემმ გაბრწყინებული თვალებით.

— თქვენ კი, როგორ დამშვენებულხართ! — უპასუხა ტიმარმა გულწრფელი სიხარულით.

მაინც რა ძალა აქვს ბუნებას! ზოგიერთ ლამაზ გოგონას, ასაკში რომ შევა ისე შეუცვლის სახის ნაკვთებს, რომ სილამაზის ნატამალსაც აღარ დაუტოვებს, ზოგს კი ასე დაამშვენებს და დახვეწავს. ქალიშვილის სახეს ხომ იერს უცვლის შინაგანი თანდაყოლილი გრძნობები, კეთილშობილური გულისთქმა, ვნებათა აყოლა, მწუხარება, სიხარული და მღელვარება, თავისებურად მოქმედებს მის სულიერ სამყაროზე და გავლენას ახდენს მისი სახის ნაკვთებზე.

ნოემის თვალები სიხარულით უბრწყინავდა.

— ჩანს, არ დაგვიწყებივართ! — გაიღიმა ტიმარმა, თან მის პატარა თითებს ხელიდან არ უშვებდა.

— ჩვენ ხშირად გიგონებდით.

— დედათქვენი ტერეზა როგორ ბრძანდება?

— აი ისიც, ჩვენსკენ მოდის.

როგორც კი ალმირამ მასთან თოფით მიირბინა, ტერეზა მიხვდა, რომ კუნძულს კეთილი სტუმარი ეწვია და მის შესახვედრად გამოეშურა. შორიდანვე იცნო ტიმარი თავისი განუყრელი რუხი ფერის სერთუკით და ზურგჩანთით, და გაუღიმა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! ჩვენ დიდი ხანია გელით, მიხარია, რომ გაგვიხსენეთ და გვეწვიეთ! — მიმართა გახარებულმა ტერეზამ და გადაეხვია მიხაის, რომელსაც საკმაოდ მძიმე ზურგჩანთა ეკიდა.

— ალმირა! აბა, ჩამოართვი ჩანთა სტუმარს და შინ წაიღე.

— აქ შემწვარი ხორცი და სხვა სურსათ-სანოვაგეა, — უთხრა ტიმარმა.

— მაშ შენებურად თვალყური ადევნე, ალმირა, ნარცისამ არაფერი იეშმაკოს.

— განა ნარცისა ასეთი სულწასულია? — იწყინა ნოემმ.

ტერეზა მოეფერა და ნოემიმაც მაშინვე გაიღიმა.

— აბა, ახლა კი შინ მობრძანდით! — მიმართა მიხაილს ტერეზამ და შეგობრულად ხელკავი გაუკეთა. — ნოემი, შენც ჩვენთან წამოდი.

— ახლავე, ამ კალათას წამოვიღებ და მოვალ, თორემ უკვე საღამოა.

ბილიკზე ზეწარგადაფარებული მოზრდილი კალათა იდგა, ნოემის ის-ის იყო უნდა აეწია, რომ მიხაილმაც ხელი შეაშველა.

— მეც მოგეხმარებით, თორემ მარტოს გაგიჭირდებათ.

ნოემიმ გადაიკისკისა და თავი გადახადა კალათას, რომელიც ვარდის ფურცლებით იყო სავსე. მიხაილ მაინც არ დაიშალა და ერთად წამოიღეს ბილიკზე, რომელზეც აქეთ-იქით ჩარიგებული სურნელოვანი სუმბულის საამო სურნელი იფრქვეოდა.

— ამისგან ვარდის წყალს გამოხდით, არა? — დაინტერესდა ტომარი.

ტერეზამ ნოემის გადახედა, ნახე, ყველაფერში როგორ ერკვევაო.

— ჩვენთან, კომარომშიც ხდიან ვარდის წყალს, ძირითადად ღარიბი ქალების საქმიანობაა.

— მართლა? თუმცა რა გასაკვირველია, ვარდი ხომ ბუნებისაგან ნაბოძები წყალობაა ღარიბთათვის! ჯერ მარტო მისი შეხედვა რად ღირს, მაგრამ საქმე მარტო სილამაზე როდია, მას ადამიანისთვის დიდი სარგებლობაც მოაქვს. შარშანდელი წელი, მოგეხსენებათ, მოუსავლიანი იყო, ყინვამ ერთიანად გაანადგურა ხეხილიც, ყურძენიც და ნათესებიც, ზაფხულშიც კი ისე ციოდა და გადაუღებლად წვიმდა, რომ ფუტკარიც დაგვეღუპა და შინაური ფრინველი და საქონელიც გაგვიწყდა, ვარდები რომ არ გვქონოდა, ალბათ შიმშილით დავიხოცებოდით; ღვთის წყალობით ვარდი ყოველ წელს ჰყვავის და შარშან სწორედ მისი წყალობით გავიტანეთ თავი, სერბიელებს სამასი ლიტრი ვარდის წყალი გადავუცვალეთ ხორბალში, ასე რომ ეს უმშვენიერესი ყვავილი ჩვენი მარჩენალიც არის.

მალე ისინი სახლს მიუახლოვდნენ, რომელიც საკმაოდ გაფართოებული ეჩვენა მიხაილს, მისთვის საშრობი და ვარდის ფურცლის მოსაღუღებელი საზაფხულო სამზარეულო მიეშენებინათ; შუაცეცხლზე სპილენძის ქვაბი იდგა, ონკანიდან ნელ-ნელა მოწვეთავდა ვარდის წყალი, იქვე უზარმაზარ გეჯაში გამონაწური ვარდის ფურცლების ნარჩენები ილექებოდა, გრძელ ხის სკამზე კი ახლადმოკრეფილი ვარდის ფურცლების მთელი გროვა იყო, ქვაბში ჩაყრამდე ცოტა უნდა გაეშროთ.

მიხაი კალათის დაცლაში მიეხმარა ნოემის. სამზარეულოში ვარდის საუცხოო დამათრობელი სურნელი იფრქვეოდა. ნოემიმ თავი დასდო ვარდის ფურცლების გროვაზე და აღტაცებულმა წამოიძახა, ნეტავ, ვარდის ფურცლებით სავსე ბალიშზე დამაძინაო.

— სულელო, როგორ შეიძლება! — გაუჯავრდა ტერეზა, — ხომ ველარც გაიღვიძებდი, ვარდის მძლავრი სურნელი სამუდამოდ დაგაძინებდა!

— მერე რა, ასეთ სიკვდილს განა რამე შეედრება?

— უყურეთ ერთი, ამ საძაგელ გოგოს, მარტო უნდა დამტოვოს ამ კუნძულზე! — უსაყვედურა ტერეზამ.

ნოემი მივარდა დედას და კოცნა დაუწყო.

— არა, არა, ჩემო საყვარელო დედიკო, მე შენ არასდროს არ მიგატოვებ!

— განა შეიძლება, ბატონო ტიმარ, დედას ასე ეხუმროს შვილი, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ თოჯინებს ეთამაშებოდა?

— მართალი ბრძანდებით. — უპასუხა მიხაიმ.

— ახლა კი, ნოემი, ვარდის ქვაბს მიხედე, არ მიიწვას, მე კი სამზარეულოში წავალ და სუფრას გავ'მლი ჩვენი სტუმრისთვის, ერთ დღეს მაინც ხომ დარჩებით ჩვენთან, ბატონო ტიმარ!

— დღესაც დავრჩები და ხვალაც, თუკი რაიმე სამუშაოს გამოგიძებნით.

— ისეთ სამუშაოს გამოგიძებნით, რომ მთელი კვირა მოუნდეთ! — გაიცინა ნოემიმ.

— ერთი ამას დამიხედეთ! რა მოიგონე მაინც ასეთი, შე კუდრაჭა? — ღიმილით ჰკითხა ტერეზამ.

— აი, თუნდაც ვარდის ფურცლების გამოწურვა!

— მერე, ბატონმა ტიმარმა, იქნებ, არც იცის, ამას როგორ აკეთებენ?

— როგორ არ ვიცი, — შეეპასუხა ტიმარი, — რამდენჯერ მივხმარებივარ დედაჩემს.

— დედათქვენი, ალბათ, კარგი დიასახლისი იყო!

— შესანიშნავი.

ძალიან გიყვარდათ?

— ძალიან!

— ცოცხალია?

— არა, უკვე დიდი ხანია გარდაიცვალა.

— ვინა გყავთ ახლა?

— არავინ, სრულიად მარტო ვარ... — უპასუხა მცირე დაფიქრების შემდეგ... ეს სრული სიმართლე იყო...

ნოემიმ თანაგრძნობით ჩახედა თვალებში მიხაის, რომელიც ზღურბლზე უნდო გამომეტყველებით შეჩერებულ ტერეზას მისჩერებოდა.

— ნურაფერზე შეწუხდებით, მე იმდენი სანოვაგე მოვიტანე, რომ ყველას გვეყოფა.

— მაინც ვინ გამოგისტუმრათ ასე გულუხვად?—ჰკითხა ნოემიმ.

— ჩემმა იანოშ ფაბულამ.

— ჰო, მახსოვს, თქვენი მესაჭე, ყოჩაღი კაცია! აქ არის ახლა?

— არა, გემებს ტვირთავს გაღმა ნაპირზე.

ტერეზა მიხვდა ტიმარის ფარულ აზრებს, მაგრამ არაფერი თქვა, გულმა უკარნახა, თავი ისე დაეჭირა, თითქოს სჯეროდა მისი და სულ არ შიშობდა ნოემის გამო.

— ნოემი, დაათვალიერებინე სტუმარს კუნძული, მის აქ არ ყოფნაში ბევრი რამ შეიცვალა, მე კი სუფრას გავშლი და ქვაბსაც მივხედავ! — მიმართა ქალიშვილს.

ნოემი მიჩვეული იყო მისი ყოველი სიტყვის შესრულებას და მაშინვე აბრეშუმის ჭრელი თურქული შალი მოიხვია თავზე. ტიმარმა იცნო თავისი საჩუქარი.

ნოემიმ დედას აკოცა და გამოემშვიდობა. დედა-შვილი სულ მცირე ხნითაც კი კოცნის გარეშე არ შორდებოდნენ ერთმანეთს. ეს გასაგებიც იყო, მათ ხომ ერთმანეთის მეტი არავინ გააჩნდათ ამქვეყნად. ნოემიმ ერთხელ კიდევ შეხედა დედას, მან თავი დაუქნია, რაც ნიშნავდა „წადიო“ და ტიმართან ერთად ბილიკს გაუყვა, რომელიც ისეთი ვიწრო იყო, რომ ორნი ძლივს ეტეოდნენ; ალმირა უკან მისდევდა მათ და ხანდახან მათ შუა გამოჰყოფდა ხოლმე თავის უზარმაზარ თავს, რომ ერთმანეთისაგან დაეცილებინა.

სამი წლის განმავლობაში კუნძულზე მართლაც ბევრი რამ შეცვლილიყო, ხეები და ბუჩქები გაზრდილიყო, ბილიკი უკვე მთელ კუნძულს ჩასდევდა, ხშირი ბუჩქნარი ჭალაში მთლიანად ამოეძირკვათ, განსაკუთრებით ალვის ხეები გაზრდილიყო, ველურ ხეებზე ჯიშიანი ხეხილი დაემყნათ, ბუჩქნარის ნაწილი ცოცხალ ღობედ დაეტოვები-

ნათ ბაღის გარშემო, ყველაფერს მზრუნველი ხელი ეტყობოდა. ბაღის იქით ამწვანებული მდელო გადაშლილიყო, სადაც ცხვრები და თხები გაეშვათ საბალახოდ. ერთი თეთრი ბატკნისთვის წითელი ბაბთა შეებათ კისერზე, ეტყობოდა, ნოემის ის გამორჩევით უყვარდა.

პატრონი რომ დაინახეს, მაშინვე მისკენ გამოქანდნენ და პატივისცემის ნიშნად საძოვრის ბოლომდე მიაცილეს კიკინით.

მდელოს იქით ატეხილ ჭალაში საუცხოო კაკლის ხეები იდგა.

— ეს ხეები დედაჩემის სიამაყეა და თავდავიწყებით უყვარს, — შენიშნა ნოემიმ, — ისინი თხუთმეტი წლისანი არიან, მე ერთი წლით უფროსი ვარ მათზე.

ეს ისეთი უშუალობით იყო ნათქვამი, რომ ტიმარს გაეღიმა.

კაკლის ხეების მარჯვნივ ჭაობი იყო. ტიმარი კარგად იცნობდა ამ ადგილებს, პირველად რომ მოვიდა კუნძულზე, ჭაობზე მოუხდა გამოვლა. ახლა ეს ადგილი ყვითელ შროშანებსა და დიდ თეთრ ყვავილებს დაეფარა, ჭაობის შუაგულში კი ორი ყარყატი იდგა გაუნძრევლად და ბუნების სიმშვენიერით ტკბებოდა.

ტიმარმა ცოცხალი ღობის კარი შეაღო და ისინი დაბურულ ტყეში შევიდნენ. მას ძალზე მოსწონდა ეს უდაბური ადგილები. მაგრამ ნოემის სახეზე შიში ამოიკითხა.

— ისევ მარტონი ხართ, ამ კუნძულზე? — ჰკითხა მიხაიმ.

— დიახ, მხოლოდ ბაზრობის დღეებში მოდიან ხოლმე იმ ნაპირიდან სავაჭროდ, ზამთარში ხისმჭრელები გვეხმარებიან ბუჩქნარის ამოძირკვაში და გასამრჯელოდ ხეები მიაქვთ, სხვა სამუშაოს თვითონ ვუძღვებით.

— ხეხილის მოვლა-პატრონობა არც ისე იოლი საქმეა, ჯერ მარტო მუხლუხებთან რამდენი ბრძოლაა საჭირო.

— ამ მხრივ თითქმის უზრუნველყოფილი ვართ, ჩვენი ფრთოსანი მეგობრები გვეხმარებიან, ყოველგვარ მავნე მწერებს ანადგურებენ და თანაც ისე სასიამოვნოდ გალობენ, რომ მათ მოსმენას არაფერი სჯობია.

უცებ ნოემიმ იკივლა, მთლად გაფითრდა, უკან გადაიწია და ტიმარს ხელი რომ არ შეეშველებინა, ალბათ, წაიქცეოდა.

— რა მოგივიდათ?

ნოემიმ სახეზე ხელი აიფარა და ტირილით უთხრა:

— აი, იქ...

— სად?

— აი, შეხედეთ!

ბალახზე უზარმაზარი მეკეკებიანი გომბეშო იჯდა და შეშინებული შეჰყურებდა მათ, ყოველ წუთში მზად იყო მახლობელ ორმოში გაღამხტარიყო.

— ასე გეშინიათ გომბეშოსი?

— ძალიან მეშინია, რომ მომიახლოვდეს, ალბათ, შიშისგან მოვკვდები.

— ასეთები ხართ ქალიშვილები, გომბეშოებისა გეშინიათ, საშინელი შესახედავნი რომ არიან, ლამაზი ფისუნიები კი გიყვართ. მაგრამ, ერთი შეხედვით, ამ საზიზღარ არსებას უდიდესი სარგებლობა მოაქვს ადამიანისათვის, არსებობენ ზოგიერთი სახეობის ხოჭოები, მუხლუხა ჭიები და პეპლები, რომლებიც ღამღამობით შეესევიან ხოლმე ხეხილს, როცა ჩიტებს სძინავთ. სწორედ მაშინ ესხმის თავს მათ გომბეშო და ანადგურებს. რომ უყუროთ, როგორ სპობს იგი ხეხილის მტრებს, სულ შეგეცელებათ აზრი მასზე. ეს მახინჯი არსება სრულიად უვნებელია, აი, შეხედეთ, როგორ ეპარება იმ მოლურჯო ხოჭოს, ნორჩი ყლორტებისა და კვირტების ყველაზე საშიშ მტერს, მის ერთ მატლს შეუძლია ხე გაახმოს. აი, ჩვენმა მახინჯმა მეგობარმა მიზანში ამოიღო მსხვერპლი, ნახეთ, როგორ ემზადება ნახტომისათვის, აი, ისკუპა კიდევაც და მავნებელი უკვე მის ხელთაა, მისი ფეხებიღა მოჩანს გომბეშოს პირიდან. ახლა ხომ დარწმუნდით, რა სარგებლობა მოაქვს მას ადამიანისათვის?

ნოემიმ ტაში შემოჰკრა სიხარულით, მის გამოხედვაში ზიზღი უკვე აღარ იგრძნობოდა. მან ნება დართო მიხაის ხელკავი გაეკეთებინა და უფრო ახლოს მიეყვანა ჭაობთან. მიხაიმ ბევრი საინტერესო უამბო გომბეშოებსა და ბაყაყებზე, გააცნო მათი უცნაური ზნე-ჩვეულებანი, მოუყვა ცისფერ ბაყაყზე, პრუსიის მეფემ 4500 ტალერად რომ იყიდა, შემდეგ მომღერალ ბაყაყზე, ღამე რომ ანათებს და სახლებში რომ უყვარს შეძვრომა; მის ხმას ბრაზილიაში ბევრჯერ ოპერის მომღერლებისა და ორკესტრის ხმაც კი დაუფარავს.

ნოემი გულიანად კისკისებდა, უკვე აღარ ეშინოდა ბაყაყისა, მაგრამ მიხაის უმტკიცებდა, საზიზღარი ხმით ყიყინებენო.

— როგორ გითხრათ, მათი ყიყინი ხომ საალერსო საუბარია მხოლოდ, მარტო მამალი მაყაყები ყიყინებენ, დედალი ბაყაყები კი

ვერავითარ ბგერებს ვერ გამოსცემენ. მამალი ბაყაყი მთელი ღამის განმავლობაში უმღერის სატრფოს: ო, რა მშვენიერი ხარ, რა ლამაზი, რა წარმტაცი! მთელ ქვეყანაზე ბაყაყზე უფრო მოსიყვარულე და ნაზ მიჯნურს, ვერ შეხვდებით!

მისმა სიტყვებმა ნოემის გული აუჩუყა.

— გარდა ამისა, ბაყაყებს მეცნიერული ალღოც აქვთ, ამინდის გამოცნობაც შეუძლიათ, წვიმის წინ წყლიდან ამოდიან და მთელი ხმით ყიყინებენ, ხოლო თუ გვალვაა მოსალოდნელი, გუბეში იმალებიან.

ნოემი სმენად იყო გადაქცეული.

— აი, ახლავე დაგიჭერთ ბაყაყს! — უთხრა ტიმარმა, — აი, შეხედეთ, რა უწყინარი არსებაა! ნახეთ, ხასხასა ბალახივით მწვანე ფერისაა, თათები ადამიანის პაწაწინა ხელებს მიუგავს. როგორ უცემს გული! როგორ შემოგვცქერის თავისი ჭკვიანი, ოქროსფერ ბუდეში ჩასმული შავი თვალებით, სულ არ ეშინია ჩვენი!

ნოემიმ ხელი გაიწოდა ბაყაყისაკენ, მაგრამ მაშინვე უკან წაიღო.

— ნუ გეშინიათ, დაადეთ ხელი, ამისთანა უწყინარი არსება ქვეყნად არ არსებობს, გინდათ, ხელისგულზე დაგისვათ?

ნოემიმ გაიცინა და უშიშრად გაშალა ხელი, თან მახაის შეჰყურებდა თვალებში. როგორც კი ხელის გულზე სიცივე იგრძნო, შეკრთა, მაგრამ მაშინვე გადაიკისკისა ბავშვივით, რომელსაც მდინარეში შესვლისა ეშინოდა და, წყალში როცა აღმოჩნდა, დიდად გაიხარა.

— აი, ხომ ხედავთ, ბაყაყი არც კი ინძრევა, ძალიან მოეწონა თქვენი ხელი. მოდით, სახლში წავიყვანოთ, მურაბის ქილაში წყალი ჩავასხათ, პატარა კიბე ჩავუდგათ და შიგ ჩავსვათ; ამინდის გამოცნობაში დაგვეხმარება. თუ კიბეზე ამოფოფხდება და წყლიდან ამოხტომას შეეცდება, აუცილებლად იწვიმებს. მომეცით, მე წამოვიყვან.

— არა, არა, ჩემთან იყოს! — უპასუხა ნოემიმ.

— მაშინ ოდნავ მოუჭირეთ ხელი, რომ არ გადახტეს და წავიდეთ, შინ დაბრუნების დროა.

ნოემი წინ გაუძღვა და შორიდანვე დაუძახა ტერეზას:

— დედა, დედა! ნახე, რა დავიჭირეთ! ნახე, რა ლამაზი ჩიტია!

— შენ ხომ იცი, რომ ჩიტების დაჭერა არ შეიძლება! — გაუწყრა ტერეზა.

— ვიცი, მაგრამ ეს ჩიტი ისე მოგვეწონა, რომ ბატონმა ტიმარმა დაიჭირა ჩემთვის, აი, ნახე!

ტერეზას გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, ნოემის ხელში ბაყაყი რომ დაინახა

— ნახე, როგორ აპაჭუნებს თვალებს, ჩვენ მას ქილაში ჩავსვამთ და ბუზებს დავუჭერთ, ის კი ამინდს შეგვატყობინებს წინასწარ, ჩემი საყვარელი ბაყაყი.

— ნამდვილი სასწაულმოქმედი ყოფილხართ, ბატონო! ნოემის ისე ეშინოდა ბაყაყებისა, რომ მათ დანახვაზე მზად იყო ცხრა მთას იქით გადაკარგულიყო...

ნოემიმ აივანზე მაგიდის გაშლა დაიწყო და თან დედას მთელი ლექცია წაუკითხა ბატრახტოლოგიაში, ერთი სიტყვა არ გამორჩენია ტიმარის ნაამბობიდან, დაწვრილებით მოუყვა, რა სარგებლობა მოაქვთ მათ ადამიანებისათვის.

ამასობაში ტიმარმა ტირიფის ტოტებისგან პატარა კიბე დაწნა, ქილაში ჩააყუდა, ნახევრად ჩაასხა წყალი და ბაყაყი შიგ ჩასვა, შემდეგ ქაღალდით თავი მოუკრა და პატარა ნახვრეტი დაუტოვა ბუზების ჩასაყრელად. ბაყაყი მაშინვე ქილის ფსკერზე მიიყუჟა ერთ კუთხეში და ბედს შეურიგდა. მას ახლა არც ბუზების დარდი ჰქონდა და არც ყიყინის ხასიათზე იყო, ნოემის კი გაუხარდა, არ იწვიმებს და თბილი ამინდი იქნებაო.

— ბატონო, თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა კეთილი საქმე ჩაიდინეთ, ჩვენი კუნძული ხომ ნამდვილ სამოთხის ბაღს დაემსგავსებოდა, ნოემის ბაყაყებისა რომ არ შინებოდა, აქამდე სულ პაწაწინა ბაყაყიც რომ დაენახა, ღობის იქით ვერ გაიყვანდით, ახლა კი ვეღარ მიცვნია... თქვენ ის ბუნებას დაუახლოვეთ, საკუთარ სტიქიას დაუბრუნეთ, ბუნება ხომ მისი ოჯახია.

— ტკბილი ოჯახი, — გაიმეორა ტიმარმა.

ტერეზამ ამოიოხრა.

— რა იყო, დედა?— ჰკითხა ნოემიმ.

— ხომ იცი...

ტიმარი მიუხვდა. ნოემიმ მაშინვე შეცვალა საუბრის თემა.

— გინდათ, მოგიყვეთ, ბაყაყების რატომ მეშინია? ერთხელ, დიდი ხნის წინათ, ერთმა ბოროტმა ბიჭმა დიდი გომბეშო დაიჭირა და ცემა დაუწყო, თან ამტკიცებდა, ჭინჭრით რომ ვცემო, ხარივით,

ღრიალს დაიწყებსო. მართლაც მოწყვიტა ჭინჭარი და მთელი ძალით დაჰკრა გომბეშოს, რომელმაც სიმწარისაგან ისეთი ღრიალი ატეხა, ეგონოს მთელ თავის მოდგმას საშველად უხმობდა, კანი თეთრი ქაფით დაეფარა. ამის შემდეგ სულ მგონია, ბაყაყები სადმე ჩამისაფრდებიან და დამშხამავენ. ის ბოროტი ბიჭი კი სიცილით კვდებოდა საცოდავი გომბეშოს ყვირილზე,

— ვინ იყო ის მხეცი? — ჰკითხა ტიმარმა.

ნოემიმ ხელი ჩაიქნია და არ მოისურვა მისი სახელის ხსენება. ტიმარი მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყო, და ტერეზას გადახედა, იმანაც თავის დაქნევით დაუმოწმა.

— იმის შემდეგ თუ ყოფილა აქ? — ჰკითხა ტიმარმა.

— როგორ არა, ყოველ წელს მოდის და სიცოცხლეს მიმწარებს, მემუქრება, კუნძულს დაგატოვებინებთო, და ხანდახან მთელი ჩვენი თაფლის, სანთლისა და მატყლის მარაგი მიაქვს. მე ვაძლევ, რასაც კი მთხოვს, ოღონდ თავიდან მოვიცილო.

— წელს ჯერ არ მოსულა, — შენიშნა ნოემიმ.

— ნუ გეშინია, მალე დაგვიკრავს თავს!

— ნეტავ ახლა მოვიდოდეს!

— რატომ მაინცდამაინც ახლა? — ჰკითხა დედამ.

— რა ვიცი, მინდა, რომ ახლა მოვიდეს.

ერთ ჩემს სიტყვას შეუძლია ესენი გააბედნიეროსო, გაიფიქრა მიხაილ, მაგრამ თავი შეიკავა იმ ბავშვივით, მაგიდაზე თავის საყვარელ ნამცხვარს რომ მოჰკრა თვალი და ბოლოსთვის, ყელის ჩასატკბარუნებლად შემოინახა.

როგორც კი ივახშმეს, მზეც ჩავიდა და ცის კიდური უზარმაზარ ოქროს გუმბათს დაემსგავსა. გაზაფხულის თბილი საღამო იყო.

მასპინძლები სტუმართან ერთად კლდის მწვერვალზე ავიდნენ ხის კიბით, საიდანაც მშვენიერი სანახაობა იშლებოდა. ხის კენწეროებსა და ლერწმნარს იქით დუნაი მოედინებოდა, კუნძული კი ზღაპრულ ზღვას მოგაგონებდათ ვარდისფრად აყვავებული ვაშლის ხეების, მოწითალო ატმის ყვავილებისა და თეთრად გადაპენტილი მსხლისა და ქლიავის ფერად-ფერადი ტალღებით. ამ ყვავილთა ზღვაში ცეცხლისმფრქვეველი ვულკანივით აღმართულიყო წითელი ვარდებით დაფარული კლდე, რომლის მწვერვალზეც სუმბული დაერგოთ.

— რა სილამაზეა! — თავისდაუნებურად აღმოხდა განცვიფრებულ ტიმარს.

— ეს ადგილები თქვენ ზაფხულში უნდა ნახოთ! — წამოიძახა ნოემიმ, — მთელი კლდე ყვითელი ყვავილებით იფარება, მწვერვალზე კი ცისფერი სუმბული ჰყვავის.

— აუცილებლად გეწვევით ზაფხულში! — აღუთქვა ტიმარმა.

— მართლა? — გაუხარდა ნოემის და ხელი გაუწოდა მიხაის, რომელმაც პირველად მის ცხოვრებაში რაღაც უჩვეულო, სასიამოვნო სითბო იგრძნო.

ნოემი ახლა დედას მოეხვია კისერზე. ირგვლივ ყველაფერი გარინდულიყო, ბაყაყების ყიყინიღა ისმოდა აქა-იქ.

— გესმის, ბაყაყების ხმა? — ჩურჩულით ჰკითხა ნოემიმ დედას. — იცი, რას მღერიან ახლა? „ჩემო მშვენიერო! ჩემო ლამაზო! ჩემო საყვარელო!“ — და მან სამჯერ აკოცა დედას.

მიხაის აღარაფერი ახსოვდა ამქვეყნად, გულზე ხელები გადაეჯვარედინებინა და ბუნების სიმშვენიერით ტკბებოდა. ალვის ხეთა მწვერვალებიდან ახალი მთვარე ამოცურდა და ვერცხლისფერი სხივები მოჰფინა გარემოს.

უცნაური, აქამდე უცნობი გრძნობა დაეუფლა მთელ მის არსებას, ვერ გაეგო, რა იყო ეს, სიყვარულის ნაღველი თუ შიში? მტანჯველი მოგონება თუ მაცდური იმედი? ამაღლებული გრძნობა თუ ცხოველური ინსტინქტი? ბუნდოვანი, გაურკვეველი წინათგრძნობა თუ გაზაფხულზე გამოღვიძებული სიცოცხლის შეგრძნება?

გაახსენდა, რომ ოდესღაც ასევე შეჰყურებდა ჩამავალ მთვარეს, ჩაძირული გემის კიჩოს იქით წყლის ზედაპირს უკანასკნელ ვერცხლისფერ სხივებს რომ აფრქვევდა. მისი ფიქრები ახლა შორს დაჰქროდა, შორს, მთვარის სხივებით განათებულ ცის კიდურზე და მთვარისგან ელოდა პასუხს შეკითხვაზე, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა.

„არც შენ გესმის ჩემი, — მიმართა ბოლოს,—მაგრამ არაფერია, მე აქ ისევ მალე დავბრუნდები და მაშინ მიხვდები ყოველივეს!“

IV. ოგობა ვარდებში

ვინც საკუთარი შრომით ცხოვრობს, უფლებას ვერ მისცემს თავს დიდხანს იდგეს კლდის მწვერვალზე და ამომავალი მთვარის ცქერითა

და ბუნების სიმშვენიერით დატკბეს. ტერეზას თხები და ცხვრები ჰყავდა მოსაწველი, ნოემის კი ბალახი უნდა მოეტანა მათთვის. ტიმარი ჩიბუხს ეწეოდა და თან დიასახლისს ესაუბრებოდა. მას ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს გლეხის ბიჭი ყოფილიყოს, თავს რომ აწონებს გულისსწორს. ბოლოს ვარდის ქვაბს წყალი დაუმატეს და ძილის დროც მოვიდა.

ტიმარმა სთხოვა, საფუტკრესთან გაეშალათ მისთვის ლოგინი. ტერეზამ ახალი, სურნელოვანი თივა დაუგო, ნოემიმ კი საუკეთესო ბალიში შეურჩია საგულდაგულოდ. როგორც კი დაწვა, მაშინვე ჩაეძინა, მთელი ღამე ესიზმრებოდა, რომ მებაღედ აიყვანეს საუცხოო ბაღში და უზარმაზარი ქვაბით ვარდის წყალს ხდიდა.

დილით გვიან გაიღვიძა, მზე უკვე დიდი ხნის ამოსული იყო. ღამე შესანიშნავად გაატარა, კარგად დაისვენა. ფუტკრებს დილიდანვე ზუზუნი გაჰქონდათ მის ირგვლივ და ნექტარს აგროვებდნენ. ტიმარმა შენიშნა, რომ ვიღაცის მზრუნველ ხელს მის საწოლთან საპარსი დაედო. ყოველდღე პირის პარსვას იყო მიჩვეული და უცხო ოჯახში ასეთმა ყურადღებამ დიდად გაახარა. რამდენიმე წუთში უკვე მზად იყო და სტუმართმოყვარე მასპინძლებთან ერთად სასაუზმოდ გაშლილ მაგიდას მიუჯდა. ახალი რძე და კარაქი მიირთვეს და მუშაობას შეუდგნენ.

მიხაიმ ვარდის ფურცლების გამოწურვა დაიწყო. ნოემი ახლადდაკრეფილ ვარდებს ფურცლებს აცლიდა, ტერეზა კი გამოსახდელი ქვაბის ირგვლივ ტრიალებდა.

მიხაი ათასნაირ საინტერესო ამბებს უყვებოდა ნოემის ვარდების შესახებ, მაგრამ იმის თქმა კი ვერ მოახერხა, შენი ლოყებიც ახლადგაშლილი ვარდის ფურცლებივით არისო. უამბობდა სხვადასხვა ჯიშის ვარდებზე, რომლებიც საზღვარგარეთ ხშირი მოგზაურობის დროს ენახა. ნოემი მთელი გატაცებით უსმენდა და მიხაი მის თვალში სულ უფრო და უფრო მაღლდებოდა. გამოუცდელ გოგონებზე ხომ საერთოდ დიდ შთაბეჭდილებას სტოვებენ ჭკვიანი, მცოდნე კაცები.

— თურქეთში ვარდის წყალს სასმელებსა და საჭმელებშიც კი ურევენ, იქ საითაც გაიხედავ, ყველგან ვარდები ჰყვავის, კრიალოსანსაც კი ვარდის ფურცლებისაგან აკეთებენ. დაფქულ ფურცლებს წნეხავენ განსაკუთრებულ ყალიბებში და პატარა ბურთულებს იღე-

ბენ, მას ამიტომ ვარდის გვირგვინსაც ეძახიან. აღმოსავლეთში ერთი უჩვეულო სილამაზისა და საუცხოო სურნელოვანი ვარდი ხარობს, რომლისგანაც ვარდის ზეთს იღებენ და შესამურვადაც ხმარობენ. ამ ვარდის ბუჩქის სიმაღლე ორ საჟენს აღწევს, უამრავი თეთრი ვარდებით დახუნძლული ტოტები მიწაზე აქვს დახრილი და მის უნაზეს სურნელს ვერაფერს შეადარებ ამქვეყნად. მის წყალში ჩაყრილი ფურცლები მზეზე რომ დადგათ, ცისარტყელას ყველა ფერებში ბრწყინავს. ეს ვარდი ზამთარშიც ჰყვავის და ბევრი კარგი თვისება აქვს. ცეილონის ვარდისა და Rosa del Rio-ს ფურცლები მოწითალო ფერად ღებავს თმასა და წვერს, რამდენიმე წელიწადს სძლებს და თმის ძირებსაც ამაგრებს. ამიტომ არის, რომ აღმოსავლეთში დიდად განვითარდა ვარდის ფურცლებით ვაჭრობა. მოგორიული ვარდების სუნი ისე ათრობს ადამიანს, როგორც მაგარი ღვინო. ვილმორინის ვარდს ერთი პაწაწინა მწერი დასტრიალებს თავს და საკმარისია უჩხვლიტოს თავისი ხორთუმით მის ღეროს, რომ მუშტისოდენა ბუსუსებიანი წამონაზარდი წარმოიქმნება. ეს რომ ატირებულ ბავშვს თავქვეშ დაუდონ, მაშინვე დაამშვიდებს და ტკბილად დაიძინებს.

— გინახავთ ის ადგილები, სადაც ასეთი საუცხოო ვარდები ხარობს? — ჰკითხა ნოემიმ.

— დიახ, მე საშუალება მქონდა მრავალი ქვეყანა შემომევლო, ნიყავი პარიზში, ვენაში, კონსტანტინოპოლში.

— შორს არის აქედან ეს ქალაქები?

— თუ ფეხით წახვალთ, ვენამდე ოცდაათი დღე დაგჭირდებათ, კონსტანტინოპოლამდე ორმოცი.

— თქვენ ხომ გემით იყავით?

— გემს უფრო მეტი დრო უნდა, ნავსადგურებში დატვირთვასა და გადმოტვირთვაზე დიდხანს ვიერდებოდით.

— ტვირთი ვისი იყო?

— გემთმფლობელისა.

— ისევ ბრაზოვიჩთან მუშაობთ?

— თქვენ ეს საიდან იცით?

— მესაჭემ გვითხრა მაშინ.

— არა, ბრაზოვიჩი უკვე გარდაიცვალა.

— გარდაიცვალა! — თავი ვეღარ შეიკავა ტერეზამ, — მის ცოლსა და ქალიშვილს რაღა მოუვიდა?

— მისი სიკვდილის შემდეგ გაკოტრებულები დარჩნენ.

— ღმერთო, დიდებულო! დაილოცოს შენი სამართალი! ჩვენძა ცოდვამ უწიათ!

— დედა, დედა! შენ ხომ კეთილი ხარ, ნუ ამბობ ამას! — მოეფერა ნოემი.

— ბატონო ჩემო! მე მაშინ გიამბეთ ჩვენი ოჯახის ტრაგედია, მაგრამ ახლა ცოტას დავამატებ. როცა მთელი ქონება აგვიწერეს და სრულიად გავღატაკდით, ბევრი ვემუდარე ბრაზოვიჩს, თავშესაფარ მაინც დაეტოვებინა ჩვენთვის, მაგრამ ამაოდ. ბოლოს გადავწყვიტე, მის ცოლ-შვილთან მივსულიყავი და მუხლებში ჩავვარდნოდი, მეგონა, ისინი მაინც შემიცოდებდნენ და ქუჩაში არ გამაგდებდნენ. ავიყვანე ბავშვი ხელში და პაპანაქება სიცხეში ფეხით ჩავედი კომარომში, კითხვა-კითხვით მოვძებნე მათი მდიდრული სასახლე, რამდენიმე საათი ვიჯექი კიბეზე, მაგრამ შიგ არავინ შემიშვა, სანამ თვითონ არ გამობრძანდა ქალბატონი თავის ხუთი წლის გოგონასთან ერთად. მე ფეხებში ჩავუვარდი ტირილით და შევეხვეწე დამხმარებოდა, ეთხოვა ქმრისთვის, რომ უსახლკაროდ არ დაეტოვებინეთ, მაგრამ პასუხად მან კიბეზე დამაგორა, ძლივსღა მოვასწარი ბავშვისთვის ხელი მომეხვია, რომ ძირს არ დაცემულიყო, მე კი მთელი ძალით დავეცი და თავი დავკარი კიბის საფეხურს, აი, შეხედეთ, დღესაც მეტყობა ნაჭრილობევი შუბლზე. იმ ბოროტი ქალბატონის ხუთი წლის გოგონა კი იცინოდა, მე რომ ძლივს წამოვდექი ატირებული ბავშვით და კოჭლობით გავცილდი იქაურობას. აი, რატომ მახარებს ახლა მათი უბედურება! დაილოცოს იმის მარჯვენა, ვინც ის მტარვალები იმ კიბიდან ჩამოჰყარა ძირს, საიდანაც მე დამაგორეს!

— დედა, მაინც ნუ იტყვი ამას!

— არა, მე მიხარია მათი სიღარიბე, ისინი ღირსნი არიან ქუჩა-ქუჩა დაეხეტებოდნენ და მოწყალებას სთხოვდნენ თავიანთ ძველ ნაცნობებს, რომლებიც ალბათ ზურგს შეაქცევენ! ნეტავ, თუ შერჩათ ძველებური სიბოროტე და ამპარტავნობა?

— ისინი არ გაღატაკებულან, ქალბატონო, — უპასუხა მიხაილ, — გამოჩნდა კეთილი კაცი, რომელმაც ისინი შეიფარა და მზრუნველობას არ აკლებს.

— სულელი ყოფილა ის უბედური! — ვეღარ მოითმინა ტერეზამ, — რატომ აღუდგა წინ ბედისწერას? ის ალქაჯები სახლში როგორ შეუშვა, მასაც ხომ დაღუპავენ?

ნოემიმ დედასთან მიირბინა და ტუჩებზე ხელი ააფარა, შემდეგ გულში ჩაეკრა და კოცნა დაუწყო.

—ნუ, ჩემო საყვარელო დედიკო, ნუ დასწყევლი, ნუ ილაპარაკებ ასე! ნუღარ გაიმეორებ იმ საშინელ სიტყვებს!

ტერეზა გამოერკვა.

— ნუ გეშინია, შვილო, ჩემს სიტყვებს რა შეუძლია! — მოეფერა იგი ქალიშვილს, — ღმერთს ისედაც ბევრი საზრუნავი აქვს, ჩემთვის სადა სცალია? გულს ვიფხან მხოლოდ, ჩემი წყევლა ჯერ არავის მისვლია!

მისი წყევლა კი ტიმარს ეკუთვნოდა მხოლოდ, მან შეიყვანა საკუთარ სახლში ის ავი სულები.

ნოემიმ სცადა საუბრის თემა შეეცვალა, და ტიმარს მიუბრუნდა:

— ხომ არ იცით, სად შეიძლება ვიშოვოთ მოგორიული ვარდი, რომლის სურნელიც ადამიანს ათრობს?

— თუ ძალიან გინდათ, მე გიშოვით.

— მითხარით, სად ხარობს?

— ბრაზილიაში.

— შორს არის, აქედან?

— დედამიწის მეორე ნახევარსფეროში.

— იქ მხოლოდ ზღვით შეიძლება, წასვლა?

— დიახ, ექვსი თვე უნდა გემით .

— რისთვის უნდა წახვიდეთ იქ?

— საქმე მაქვს, თანაც მოგორიულ ვარდს ჩამოგიტანთ.

— არა, არა, ნუ წახვალთ, აღარ მინდა.

ისევ მუშაობას შეუდგნენ. სამზარეულოდან გამოსული ნოემის თვალზე მიხაიმ ცრემლი შენიშნა.

ნაშუადღევს ვარდის წყლის გამოხდა მოათავეს, ტერეზამ მადლობა გადაუხადა სტუმარს დახმარებისათვის და კუნძულზე გასეირნება შესთავაზა.

— ქვეყანა მოვლილი გაქვთ, რა არ გინახავთ, იქნებ, მირჩიოთ, კიდევ რა სასარგებლო მცენარეების გაშენება შეიძლება ჩვენს პატარა სამოთხეში?

ტერეზამ ალმირას დაუბარა სახლისთვის ეყარაულნა და კარმიდამოს არ მოსცილებოდა და სტუმართან ერთად ტყისკენ გასწიეს.

გონიერი პირუტყვი მაშინვე კიბის პირას წამოწვა, მაგრამ მალე

მოუსვენრობა დაეტყო და ყურები ცქვიტა, ეჭვი არ იყო, ავად ენიშნა რაღაც. ამ დროს სიმღერის ხმაც მოისმა მორიდან, ვიღაცა გერმანულ სიმღერას მღეროდა: Sie trägt, wenn ich nicht irre, einschwarzes Camisol". ეტყობოდა, ამით დიასახლისებისთვის თავისი მოსვლა უნდოდა ეცნობებინა, რომ ძაღლი მოეშორებინათ. ალმირას არ დაუყეფია.

ვარდებში ტოდორ კრისტიანი გამოჩნდა. ყვითელი ღილებით გაწყობილი მუქი ლურჯი ფრაკი ეცვა, ხელზე პალტო ჰქონდა გადაკიდებული.

ალმირა არ განძრეულა, იცოდა, რომ სტუმარი კიბეზე ასვლას ვერ გაბედავდა. ან კი რა უნდა ექნა? ყოველთვის, როცა ეცემოდა და დაუღრენდა ხოლმე, ისევ მას უჯავრდებოდნენ და ჯაჭვით აბამდნენ. ახლა გადაწყვიტა, ხმა აღარ გაეცა, თავის ნებაზე მიეშვა და თვალყური ედევნებინა მხოლოდ.

ტოდორი ჩვეული თავხედობითა და ფარისევლობით მიუახლოვდა უზარმაზარ შავ ნაგაზს, რომელსაც ისე სძულდა, ნება რომ მიეცათ, ალბათ, ნაფლეთებად აქცევდა.

— სერვუს[1]! ალმირა, რა ხანია ერთმანეთი არ გვინახავს, მოდი ჩემთან, შენი პატრონები სად არიან? დაიყეფე რაა! თორემ ვერ გაიგებენ, რომ მოვედი. ჩემი საყვარელი დედიკო ტერეზა მაინც სად წავიდა?

ალმირამ ზედაც არ შეხედა.

— ალმირა, საყვარელო, აი, რა მოგიტანე, შემწვარი ხორცის ნაჭერი! აჰა, აიღე! რაო, არ გინდა? ნუ გეშინია, მოწამლული არ არის. ოჰ, რა სულელი ყოფილხარ!

ჭკვიანი ძაღლი ახლოსაც არ გაეკარა ხორცის ნაჭერს, ნარცისამ კი ვეღარ გაუძლო ცთუნებას და მიუახლოვდა (კატები ხომ სულწასულები არიან). ალმირამ შეუღრინა მსუნაგ ფისუნიას, თათებით ორმო ამოთხარა და შიგ ჩაფლა.

— რა ფრთხილია ეს საზიზღარი ძაღლი! — ჩაიბურტყუნა გაბრაზებულმა ტოდორმა. — ბოლოს და ბოლოს, შემიშვებ თუ არა სახლში?

ალმირამ უხმოდ გააღო პირი და თავისი ალესილი კბილები გამოაჩინა. ეს ნიშნავდა, რომ სახლის კარები მისთვის დაკეტილი იყო.

---

[1] სერვუს — გამარჯობა. (უნგრ.). ახმარება შენობით მიმართვისას.

— სულელო, ჩემი კბენა გინდა? აბა ერთი გაბედე! მაინც სად დაიკარგნენ შენი პატრონები? სამზარეულოში ხომ არ არიან?

ტოდორი ხის ფარდულში შევიდა, მაგრამ იქ არავინ დაუხვდა. უცებ ვარდის წყალს მოჰკრა თვალი, ბოროტი ღიმილით პირი და ხელები შიგ ჩაიბანა და დიდად კმაყოფილი დარჩა თავისი ავკაცობით, რომ დიასახლისთა ამდენი წვალებით მომზადებული სურნელოვანი წყალი წაბილწა. მიმოიხედა და გასაფუჭებელი რომ ვეღარაფერი დაინახა, ისევ გარეთ გამოსვლა ამჯობინა, მაგრამ კარებში უკვე ალმირა გაწოლილიყო და პირდაღებული მისჩერებოდა. საკმარისი იყო ერთი ზედმეტი მოძრაობა, რომ ეს არამზადა მის ბრჭყალებში მოქცეულიყო.

— გარეთ არ მიშვებ, არა? რა გაეწყობა! აქ დავრჩები და დიასახლისების მოსვლამდე ცოტას დავისვენებ.

ამ სიტყვებთან ერთად ნოემის მოკრეფილი ვარდის ფურცლების გროვაზე წამოწვა.

— შესანიშნავია! ვიქნები ასე ლუკულუშის საწოლზე! ჰა-ჰა-ჰა!

მალე სასეირნოდ წასული დიასახლისები და მიხაი დაბრუნდნენ. ნეტავ ალმირა აივნის კიბეს რატომ მოსცილებია და აქ, სამზარეულოში რას ყარაულობსო, გაუკვირდა ტერეზას.

— რა იყო, ალმირა, რა მოხდა?

ტერეზას ხმა რომ გაიგონა, ტოდორმა გადაწყვიტა ახალი ოინი მოეწყო მათთვის, ვარდის ფურცლების გროვაში შეძვრა და დაიმალა. ნოემიმ რომ შემოიხედა, უცებ თავი გამოჰყო და დაუძახა:

— მე მოვედი, ჩემო ლამაზო, შენი საყვარელი საქმრო!

ნოემიმ უნებურად უკან დაიხია.

— რა არის მანდ? — მიირბინა შეშინებულმა ტერეზამ.

— იქ, ვარდებში... — ენა დაება ნოემის.

— რა არის? ობობა?

— ჰო, უზარმაზარი ობობა...

თავისი ხუმრობით ნასიამოვნები ტოდორი სიცილით გაძოძვრა ვარდის ფურცლებიდან და კისერზე ჩამოეკიდა ტერეზას, რომელიც შუბლშეკრული მისჩერებოდა.

— ჰა-ჰა-ჰა! ხომ შეგაშინეთ! ჩემო საყვარელო დედიკო, შენი სიძე გესტუმრა, ზღაპრულ ფერიასავით გამოვცურე ვარდის ზღვიდან! ჰა-ჰა-ჰა!

ახლა ნოემის მიუბრუნდა, მაგრამ ის მარჯვედ დაუსხლტა ხელიდან და ტოდორმა მაშინღა შენიშნა იქვე მდგარი მიხაი ტიმარი. მისი დანახვა არ ესიამოვნა თავხედ სტუმარს, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ფერი ეცვალა და ხასიათი წაუხდა. ტიმართან მას მეტად არასასიამოვნო მოგონებები აკავშირებდა.

— აჰ! სერვუს, ბატონო კაპიტანო! ისევ აქ შევხვდით ერთმანეთს, ახლაც თურქი ფაშა ხომ არ მოგყავთ გემით? ჰე-ჰე-ჰე!

ტიმარმა არაფერი უპასუხა.

ტოდორი ნოემის მიუახლოვდა და წელზე მოხვია ხელი. ქალიშვილმა ზიზღით მოიშორა.

— თავი დაანებე ნოემის! — მკაცრად უთხრა ტერეზამ, — რისთვის მობრძანებულხარ?

— კარგი, კარგი, რატომ მიჯავრდები? ჯერ არც კი მოვსულვარ და უკვე სახლიდან მაგდებ? განა უფლება არა მაქვს, ჩემს საცოლეს მოვეხვიო? რატომ გეშინიათ ჩემი ასე?

— ალბათ, არის ამის მიზეზი.

— კარგი, შევრიგდეთ. ახლა მე არაფრის სათხოვნელად არ მოვსულვარ, პირიქით, უამრავი ფული მოგიტანეთ! შეგიძლია შენი ყოფილი სახლი დაიბრუნო იქ, ოდესღაც რომ წაგართვეს, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მამაჩემის დანაშაული გამოვისყიდო.

ტოდორს ცრემლი მოადგა თვალზე, მაგრამ ამას არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. არავის სჯეროდა არც მისი თვალთმაქცური სიცილისა და არც ნაძალადევი ცრემლებისა.

— შინ შევიდეთ, სალაპარაკო მაქვს თქვენთან, აქ ხომ ვერ გეტყვით ყველას გასაგონად?

— ბატონი ტიმარი ჩვენი ძველი მეგობარია, მასთან დასამალი არაფერი გვაქვს, შეგიძლია ილაპარაკო, ისე კი, შევიდეთ, ხომ უნდა გასადილო, მოგშივდებოდა!

— ჰა-ჰა-ჰა! რა ჭკვიანი მყავხარ, ჩემო საყვარელო დედიკო! მართლაც რომ მგელივით მშია! რა სჯობია ახლა შენს გამომცხვარ ღვეზელს! შეიძლება თითები ჩაიკვნიტოს კაცმა, შენ შეუდარებელი მზარეული ხარ ამქვეყნად! ერთხელ თურქეთის სულთანთან მოვხვდი სადილზე, მაგრამ შენისთანა გემრიელი საჭმელები მის სუფრაზეც არ მინახავს!

ტერეზასაც ჰქონდა სუსტი მხარე, არ შეეძლო უხვად არ გამასპინძლებოდა ყველას, ვინც კი კუნძულზე ფეხს შემოსდგამდა.

ტოდორ კრისტიანს თავზე ახალი მოდის ქუდი ეხურა, რომლითაც შესვლისას განზრახ წამოედო კარნაგელს და ყველას გასაგონად თქვა:

— პირდაპირ საშინელებაა ეს ახალი მოდის ქუდები, ეშმაკმა დალახვროს! თანაც მე ისე მივეჩვიე მაღალ კარებს ჩემს ახალ სახლში!

— ნუთუ მართლა გაქვს საკუთარი სახლი? — ჰკითხა გაოცებულმა ტერეზამ და მაგიდის გაშლა დაიწყო.

— ზღაპრული სასახლე მაქვს ზღვის პირას! მე ახლა ქალაქ ტრიესტის მთავარი გემთმშენებლის რწმუნებული გახლავართ...

— ტრიესტის? — შეეკითხა ტიმარი, — რა გვარია შენი უფროსი?

— ის მხოლოდ დიდ საზღვაო გემებს აგებს და არა ბრტყელძირა კარჭაპებსა და პატარა ბარჟებს, მდინარეში რომ დაცურავენ... — დამცინავად გამოსცრა კბილებში ტოდორმა და ამაყად გადახედა მიხაის.

— მისი გვარია signore Scaramàlli.

ტიმარმა აღარაფერი უპასუხა, საჭიროდ არ ჩათვალა ეთქვა მისთვის, რომ სწორედ სინიორ სკარამელი აგებდა მისი შეკვეთით დიდ საზღვაო გემს.

— ფული ჩეჩქივით მაქვს! არც კი ვიცი, რაში დავხარჯო! — დაიტრაბახა ტოდორმა. — ჩემს ხელში მილიონები ტრიალებს, პატიოსანი კაცი რომ არ ვიყო, შემეძლო კარგადაც ამეწაპნა. ჰო, მართლა, ჩემს საყვარელ ნოემის საჩუქარი მოვუტანე. გახსოვს, ნიშნობის ბეჭედს რომ დაგპირდი? რომელი თვალი უფრო გაგახარებდა, ლალი თუ ზურმუხტი? არა, ორივეს ბრილიანტი სჯობია, დიახ, სამნახევარკარატიანი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი მოგიტანე! აი, შეხედე!

ტოდორმა ჯიბეში ხელი ჩაიყო და ქექვა დაიწყო. „დამიკარგავს!“ წამოიძახა უცებ შეშინებულმა და თავისი გახვრეტილი ჯიბე გადმოაბრუნა.

ნოემიმ გადაიკისკისა.

— ტყუილად იცინი, ჩემო ლამაზო! არაფერიც არ დამიკარგავს. ჩექმაში ჩავარდებოდა, აი, ისიც! განა შეიძლებოდა, ჩემი ნოემის დასანიშნი ბეჭედი დამეკარგა? ნახე, ჩემო საყვარელო დედიკო, როგორი საუცხოო ბეჭედი მოუტანა შენმა მომავალმა სიძემ თავის

საცოლეს, აბა, რას იტყვი? თქვენ კი, ბატონო, თუ ერკვევით ძვირფას ქვებში, იქნებ, გვითხრათ, რა ეღირება ეს ბრილიანტი?

ტიმარმა გულდასმით გასინჯა ძვირფასი ქვა და განაცხადა:

— ყალბია, მისი ფასი ხუთი გროში თუ იქნება.

— ძვირფასი ქვებისა თქვენ რა გაგეგებათ! უბრალო მეზღვაური ხართ და მეტი არაფერი. შეიძლება სიმინდის მარცვლებში ერკვეოდეთ კარგად, ნამდვილი ალმასი კი, ალბათ, თვალითაც არ გინახავთ!

როცა ტოდორი დარწმუნდა, რომ ნოემი არაფრის გულისთვის ამ ბეჭედს ხელზე არ გაიკეთებდა, ნეკზე წამოიცვა და სადილზე სულ აქეთ-იქით ატრიალებდა, რომ ყველას დაენახა და შურით გამსკდარიყვნენ. თან ცდილობდა იქ მყოფნი თავისი ახლანდელი მდგომარეობით გაეკვირვებინა და მხოლოდ გემთმშენებლობაზე ლაპარაკობდა. გემსაშენში ყოველწლიურად მილიონობით კუბომეტრი ხეტყე გვჭირდებაო, ტრიესტის ახლო-მახლო ფიჭვი თითქმის აღარც კი დარჩა და მალე, ალბათ, ამერიკიდან დაგვჭირდება შემოტანაო. ბოლოს, კარგად რომ გამოძღა, მთავარზე გადავიდა.

— ახლა კი, ჩემო საყვარელო დედიკო, მოგახსენებთ, რისთვისაც მოვედი.

ტერეზამ ალმაცერად გადახედა.

— შეიძლება ერთი ხელის მოსმით სამივე გავმდიდრდეთ, მე მინდა თქვენ გაგაბედნიეროთ. რამდენიმე დღის წინ სინიორ სკარამელიმ მითხრა, ბრაზილიაში უნდა გაგგზავნოო.

— მერე და, პირდაპირ იქ წასულიყავი! — ამოიოხრა ტერეზამ.

ტოდორი მიუხვდა და გაიღიმა.

— საქმე ის არის რომ ბრაზილიიდან შემოაქვთ გემთმშენებლობისთვის საჭირო ხე-მასალა; მაკაია და მურუმურუ გემის ძირის გასაკეთებლად, პარიპოუ და პატავოუა ქიმისა და გვერდების ზედა ნაპირების მოსაპირკეთებლად, მანგროვე, როიოკი და გრატგალი წყალში არ ლპება. არის ისეთი ხეც, „mort aux rats", რომლის სუნსაც ვირთხები ვერ უძლებენ. „რკინის ხისაგან" საჭეს აკეთებენ, შოურგუმის ხისგან ნიჩბებს, ფერნამბუკის, მანშინელისა და „გველეშაპის სისხლისგან", ასევე კაშუარის, „ეშმაკის ყავის", ტეაკის, შანტალისა და მაჰაგონისაგან საუცხოო ავეჯი მზადდება საზღვაო გემებისათვის. კასკარილას, ტაკამაჰაკას, ვოლადორს და მაოუს მატლები და ხოჭოები ვერ აზიანებენ.

— სისულელეების ლაპარაკს თავი დაანებე! — შეაწყვეტინა ტერეზამ, — ტყუილად ცდილობ ამ უცნაური ხეების სახელებით გამაბრუო, უმჯობესია მითხრა, აქ რისთვის მობრძანებულხარ! რატომ პირდაპირ ბრაზილიაში არ წახვედი, სადაც ამისთანა მშვენიერი ხეები ხარობს!

— იმიტომ, რომ ბრწყინვალე აზრი მომივიდა! რატომ უნდა წავიდე-მეთქი შორეულ ბრაზილიაში,—მოვახსენე სინიორ სკარაბელის, — როცა აქვე ახლოს საუცხოო ხე-მასალა მოიპოვება. მე ვიცი-მეთქი ერთი კუნძული დუნაიზე, რომელიც ტყითაა დაფარული, აქაური ხეებისგან საუკეთესო მასალა დამზადდება და არაფრით ჩამოუვარდება სამხრეთამერიკიდან შემოტანილს.

— ასეც ვფიქრობდი! — ჩაილაპარაკა ტერეზამ.

— ალვის ხე შესანიშნავად შესცვლის პატავოუას, კაკალი კი არაფრით ჩამოუვარდება მაჰაგონის, წითელ ხეს. აქ, ჩვენს კუნძულზე ასობით ასეთი ხეა.

— ეს კაკლის ხეები ჩემია!

— ვაშლის ხე ბევრად სჯობია ბრაზილიურ კასკარილას.

— ვაშლის ხეებიც არ დაგვიწყებია!

— რა თქმა უნდა, ქლიავისა კი ტეაკზე უკეთესია.

— და შენ გინდა, რომ ბატონი სკარამელისთვის ჩვენი ხეხილის ბაღი ასჩეხო? — ჰკითხა შეშფოთებულმა ტერეზამ.

— სამაგიეროდ გავმდიდრდებით! ბატონი სკარამელი თითო ხის ძირში ათ ფორინტს იძლევა და მე დამავალა ხელშეკრულება დამედო თქვენთან, აი, ყველაფერი მზადაა, შენი ხელის მოწერაღაა საჭირო: ხოლო როცა ამ ყოვლად უსარგებლო ხეებს გავკაფავთ, ტრიესტში გადავალთ საცხოვრებლად. მის ადგილზე თურქული ალუბლის ბაღი შეგვიძლია გავაშენოთ, რომლისგანაც საუცხოო სურნელოვანი ჩიბუხები მზადდება. ამ ხეებს არავითარი მოვლა-პატრონობა არა სჭირდება, აქ მოურავს დავტოვებთ მხოლოდ, რომ ყოველწლიურად ვარნიდან ჩამოსულ ვაჭრებს ალუბლის ტოტები მიჰყიდოს. ბაღის ყოველი ათი ჰოლდიდან ხუთიათას ოქროს მივიღებთ.

ტიმარმა თავი ვეღარ შეიკავა და გაიღიმა, მას ჯერ არ სმენოდა მსგავსი სპეკულაციის შესახებ.

— რა გაცინებთ, ბატონო, ჩემი საქმისა მე ვიცი!

— მეც ვიცი! — უპასუხა ტერეზამ, — ყოველთვის, როცა შენ აქ

გამოჩნდები, რაიმე უბედურება მოგაქვს ჩვენთვის. ძალიან კარგად იცი, რომ ფული არა მაქვს, მაგრამ მაინც მოდიხარ, ჩვენი მთელი წლის სარჩო მიგაქვს გასასყიდად. აქამდე ხმას არ ვიღებდი და გაძლევდი, რასაც მოითხოვდი, ღმერთია მოწამე! მაგრამ ახლა ეს აღარ გყოფნის და გინდა მთლად გამაუბედურო. თავზეხელაღებულ ყაჩაღზე დაუნდობელი ყოფილხარ! შენ გადაწყვიტე საბოლოოდ გაბედიდო ჩემი საკუთარი ხელებით დარგული ხეები, რომლებიც შეიღებივით გაშიზრდია. რომლებიც მე მარჩენენ და რომელთა გარეშეც სიცოცხლე არ შემიძლია! გრცხვენოდეს, ტოდორ! ან კი როგორ გამიბედე ამის თქმა! იქნებ, გვონია, შენი მონაყოლი ზღაპრების მჯერა, შენ გინდა ეს ხეხილის ბაღი ასჩეხო და პირველივე შეეხებოდი მენახშირეს მიჰყიდო გროშებზე. ასე ადვილად ვერ მიიტაცებ! თავიდან მომწყდი შენი ბოროტი ზრახვებით, სანამ მოფიქრება არ დამიკარგავს და თერქული ალუბლის წნელით არ ამიპრეხია შენ-თვის ზურგი!

— კარგი, კარგი, ჩემო საყვარელო დედიკო ტერეზა, მე მხოლოდ კარგი მინდა შენთვის. როგორ ფიქრობ, განა მე უსაქმოდ მოვიდოდი? დღეს ხომ ჩემი სახელწოდების დღეა! ნოემიც ამ დღეს არის დაბადებული! ჩვენს განსვენებულ მამებს აკვანშიც ვყავართ დანიშნული, მათი წმიდათაწმიდა სურვილი იყო ჩვენ დაქორწინებულიყავით, როცა ნოემის თექვსმეტი წელი შეუსრულდებოდა და განა შემეძლო, ამ დღეს არ მოვსულიყავი თქვენთან? მე მიყვარს ნოემი, მაგრამ მოგეხსენებათ, მარტო სიყვარულით ვერ იცხოვრებ. მართალია, სინიორ სკარამელისგან კარგ ფულს ვიღებ, მაგრამ ძვირფასი სასახლე ვიყიდე და ბევრიც დამიჯდა. ნოემის ხომ მისცემ მზითევს, მის მეტი ვინა გყავს ამქვეყნად!

ნოემი მოღუშული იჯდა კუთხეში და თავი კედლისთვის მიეღო.

— დიახ, შენ ვალდებული ხარ მზითევი მისცე ნოემის. თავი დაანებე ძუნწობას და ხეების ნახევარი მომეცი! ნუთუ არ გეშეტება? მოდი, კაკლის ჭალა მოგვეცი, კარგი მყიდველი მყავს!

ტერეზას მოთმინების ფიალა აევსო.

— მე არ ვიცი, როდის არის შენი სახელწოდების დღე. — ამიმართა მან არამზადას, — მაგრამ ძალიან კარგად მახსოვს ნოემის დაბადების დღე. ნოემი ამ დაწყევლილ დღეს არ არის დაბადებული, თანაც იცოდე, შენს მეტი კაცი რომ აღარ მოიძებნოს ამქვეყნად, ნოემი მაინც არ გამოგყვება ცოლად. ამაში დარწმუნებული ვარ!

— ხა-ხა-ხა-ხა! ეს უკვე ჩემი საქმეა!

— მაშ იცოდე, ჩემს საუცხოო კაკლის ხეებზე ფიქრიც კი ზედმეტია. ნოეს კიდობნის გაკეთება რომ გინდოდეს, იმისთვისაც არ მოგცემ! ერთადერთ ხეს გაჩუქებ მხოლოდ, შეგიძლია თავი ჩამოიხრჩო მასზე. სულ ერთია, ადრე თუ გვიან სახრჩობელა მაინც არ აგცდება. ასე რომ შენი სახელწოდების დღეს ამაზე უკეთეს საჩუქარს ჩემგან ნუ ელოდები!

ამ სიტყვებზე ტოდორ კრისტიანი ფეხზე წამოხტა, მაგრამ წასვლა არც უფიქრია, სკამი შემოაბრუნა, ზურგზე გადაწვა და თავხედურად დაუწყო ყურება ტერეზას.

— ვხედავ, ძალიან გყვარებივარ, მაგრამ ხომ იცი, საკმარისია ჩემი ერთი სიტყვა...

— თქვი! ამ ბატონთან დასამალი არაფერი გვაქვს, მან უკვე ყველაფერი იცის.

— რომ ეს კუნძული შენ არ გეკუთვნის!

— დიახ.

— საკმარისია მე ეს განვაცხადო ვენაში ან სტამბულში...

— და ჩვენ აქედან გაგვასახლებენ.

— დიახ, გავაკეთებ ამას! — უკანასკნელი შხამიანი ისარი სტყორცნა ტერეზას, თან ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და გაუწოდა.

— თუ ახლავე არ მოაწერ აქ ხელს, იცოდე, დაგაბეზღებ!

ტერეზას თავზარი დაეცა. ტიმარმა ვეღარ გაუძლო ამ წრესგადასულ თავხედობას, მხარზე ხელი დაადო ტოდორს და მოუპირა.

— თქვენ ვერ გააკეთებთ ამას, ბატონო!

— რას ვერ გავაკეთებ?

— იმას, რომ სადმე განაცხადოთ ამ კუნძულის არსებობის შესახებ და რომ ის ვინმემ თვითნებურად დაიკავა.

— იქნებ, ამიხსნათ, რატომ ვერ გავაკეთებ?

— იმიტომ, რომ უკვე სხვამ განაცხადა ამის შესახებ.

— ვინ სხვამ?

— მე.

— თქვენ? — დაიყვირა გაცოფებულმა ტოდორმა და მუშტი აღმართა.

— თქვენ? — ძლივსღა მოახერხა სიტყვის თქმა ტერეზამ და თავზე ხელი იტაცა.

— დიახ, მე განვაცხადე ვენაშიც და სტამბულშიც, — მშვიდად განაგრძო ტიმარმა, — რომ დიდი კუნძულის ახლოს არის უსახელო, უკაცრიელი პატარა კუნძული, რომელიც დუნაის ორმოცდაათი წლის წინათ შეუქმნია და ვთხოვე ნებართვა მისი იჯარით აღების შესახებ ოთხმოცდაათი წლის ვადით, რისთვისაც ვენის მთავრობას ყოველწლიურად ერთი ტომარა კაკალი უნდა მივართვა, თურქეთის სულთანს კი ერთი ყუთი ხმელი ხილი. ეს-ეს არის ორივე მთავრობისგან თანხმობა მივიღე.

ტიმარმა ჯიბიდან ბაიში მიღებული ორი წერილი ამოიღო, რომლებშაც დიდად გაახარა. როგორც კი გამდიდრდა, მან მაშინვე გადაწყვიტა მფარველობა გაეწია ამ უპატრონო ოჯახისთვის და მყუდრო, მშვიდი ცხოვრება შეექმნა. კუნძულის იჯარით აღება მას დიდი ფული დაუჯდა, თუმცა გარეშე თვალისთვის ეს შეუმჩნეველი დარჩა.

— საიჯარო უფლებები მე ამ კუნძულის პირველ მცხოვრებთა სახელზე გავაფორმე, აი, ინებეთ.

ტერეზა ფეხებში ჩაუვარდა მიხაის, რომელმაც არამზადა ტოდორის მუდმივი მუქარისაგან იხსნა. ნოემიმ გულზე ხელი დაიდო, რომ მისი გრძნობები არავის შეენიშნა.

— ასე რომ, ბატონო კრისტიან, ოთხმოცდაათი წლის განმავლობაში ამ კუნძულზე აღარაფერი გესაქმებათ!

ტოდორი ბრაზისაგან მთლად გაფითრდა და ტუჩებზე ქაფძორეულმა ზიზღით დაიღრიალა:

— კი, მაგრამ ვინა ხართ თქვენ? რა უფლებით ერევით ამ ოჯახის საქმეებში?

— იმ უფლებით, რომ მე ის მიყვარს! — წამოიძახა ნოემიმ, გულში ჩაეკრა მიხაის და კისერზე ხელები შემოხვია.

ტოდორი ადგილზე გაქვავდა, ამას უკვე აღარ მოელოდა, გაშმაგებული მუშტებით დაემუქრა ტიმარს და თავქუდმოგლეჯილი გავარდა გარეთ. თვალები ისეთი სიძულვილითა და რისხვით ანთებოდა, რომ იფიქრებდით, მზად არის შუაზე გაგლიჯოსო.

ნოემი კი ისე ჩაეკრა მიხაის, თითქოს მასთან ერთ არსებად გადაქცევა უნდაო.

V. სამყაროს ბილმა

ნოემის ამით უნდოდა დაეცვა ტიმარი გაცოფებული ტოდორისაგან, მაგრამ მისი წასვლის შემდეგაც დიდხანს ვერ მოსცილდა.

რატომ მოეხვია მიხაის? ან რამ ათქმევინა: „მე ის მიყვარს?“

ვინ იცის, იქნებ ამით უნდოდა სამუდამოდ მოეშორებინა თავიდან საზიზღარი ადამიანი? იქნებ, მისთვის უკანასკნელი იმედი უნდოდა წაერთმია? ანდა იცოდა კი ამ უკაცრიელ კუნძულზე გაზრდილმა გოგონამ ზრდილობის ნორმები, საზოგადოებაში მიღებული ზნეჩვეულებანი? ის, რომ თავისი გრძნობების საიდუმლო გულში უნდა შეენახა? რომ არსებობდა ეკლესიისა და მთავრობის მიერ დაწესებული მკაცრი ზნეობრივი ნორმები, რომლებიც განსაზღვრავდნენ ქალისა და კაცის დამოკიდებულებას?

ხომ არ ურევდა ერთმანეთში სიყვარულისა და მადლიერების გრძნობას იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც ეს პატარა სამოთხე აჩუქა მას და დედამისს და სამუდამო მუქარისა და განცდებისაგან იხსნა?

იქნებ, უნდოდა საკუთარი მკერდით დაეფარა მათი მხსნელი, როცა ტოდორმა თოფს წამოავლო ხელი?

ან იქნებ იფიქრა, საწყალ მიხაის ისეთივე ღარიბი დედა ჰყოლია, როგორიც მე მყავს, ახლა აღარავინ გააჩნია ამქვეყნად, სრულიად მარტოა და რატომ არ უნდა გავხდე მისთვის „ვინმეო“? განა ის აქ დაბრუნდებოდა, რაღაც რომ არ ეწეოდეს აქეთ და თუ მას ვუყვარვარ, მეც რატომ არ უნდა შევიყვაროო?

მაგრამ რა საჭიროა ხელები ვაფათუროთ მის სულსა და გულში, საიდანაც პირველი სიყვარულის დიდმა გრძნობამ ამოხეთქა. ნოემი თვითონაც ვერ აგიხსნიდათ, რა იყო ეს. მას უბრალოდ თავდავიწყებით უყვარდა. ის არ დაეძებდა, ჰქონდა თუ არა ამის უფლება, არც იმაზე ფიქრობდა, სიხარულს მოუტანდა ეს სიყვარული თუ უბედურებას. მას უყვარდა და არაფერზე აღარ ფიქრობდა, არც თავის მართლებაზე ღმერთისა და ხალხის წინაშე, არც მონანიებაზე. ეს იყო წმინდა, უანგარო სიყვარული, ასეთი იყო ნოემი.

საწყალი ნოემი! რამდენი ტანჯვა ელის ამ სიყვარულისთვის!

...მიხაიმ პირველად თავის სიცოცხლეში გაიგო, რომ ვიღაცას უყვარდა, უყვარდა ნამდვილი, წრფელი სიყვარულით, უბრალო, ღარიბი მეზღვაური, უყვარდა ისეთი, როგორიც იყო და არაფერს მოითხოვდა მისგან სანაცვლოდ.

რაღაც მაცოცხლებელმა სითბომ დაუარა სხეულში ისეთი ძალით, მკვდარსაც რომ გამოაცოცხლებდა და მისი გულის უხილავი სიმები

შეატოკა. მან ნაზად მოხვია ხელი ქალიშვილს და ჩურჩულით ჰკითხა:

— შართლა გიყვარვარ?

ნოემიმ თავი დაუქნია.

მიხაიმ ტერეზას შეხედა. ის მიუახლოვდა მათ და ნოემის თავზე ხელი დაადო თანხმობის ნიშნად. სამივენი უხმოდ შეჰყურებდნენ ერთმანეთს, თითქოს საკუთარი გულისცემა უნდათ გაიგონო.

ბოლოს სიჩუმე ტერეზამ დაარღვია:

— ო, რომ იცოდეთ, რამდენი ცრემლი აქვს დაღვრილი თქვენს გამო! ნეტავ დაგენახათ, რამდენჯერ ასულა კლდის მწვერვალზე და საათობით მისჩერებია იმ მხარეს, საითაც თქვენ გასცურეთ! რამდენჯერ გაუმეორებია ძილში თქვენი სახელი!

ნოემიმ ხელით ანიშნა, მეტი აღარაფერი ეთქვა, და უფრო მაგრად ჩაეკრა მიხაის, რომელმაც იგრძნო, რომ, როგორც იქნა, იპოვა ისეთი არსება, ვისაც მისი შეყვარება შეეძლო, რომლისთვისაც საჭირო იყო თვითონ ის და არა მისი სიმდიდრე.

ამ წუთში მიხაიმ იგრძნო, რომ ამდენი ხნის ხეტიალის შემდეგ მიადგა ქვეყნის დასალიერს, სადაც ნათელი ცის ქვეშ ახალი, აქამდე უცნობი სამყარო გადაიშალა მის წინ, რომელიც ახალ, ბედნიერ ცხოვრებას ჰპირდებოდა. დაიხარა და ნოემის შუბლზე აკოცა.

მათ ირგვლივ ახლადგადაშლილ ყვავილთა საამო სურნელი იფრქვეოდა, ფუტკრების ზუზუნი და ჩიტების გალობა ისმოდა მხოლოდ, რომლებიც ჩასძახოდნენ, „უნდა შეიყვაროო!“

გაურკვეველი ნეტარების გრძნობა დაეუფლა ორივეს, ბაღში გამოვიდნენ, ერთმანეთს თვალებში შეჰყურებდნენ და აღფრთოვანებულნი გაიძახოდნენ: „შენც ისეთივე ფერის თვალები გქონია, როგორიც მე მაქვს“.

თითქოს ცასა და დედამიწას პირი შეეკრა მათ მოსაჯადოებლად. ერთმანეთს შეხვდნენ ახალგაზრდა გოგონა, რომელსაც ჯერ არავინ ჰყვარებოდა და კაცი, რომელსაც ჯერ არავისგან სიყვარული არ ეგრძნო.

ბზე დიდი ხნის ჩასული იყო, დაბინდდა, მაგრამ ისინი მაინც არ აპირებდნენ წამოსვლას, მათი გულები ნეტარებასა და სიხარულს აევსო. მალე მთვარეც ამოვიდა და იქაურობა გაანათა. ნოემიმ კლდის მწვერვალზე აიყვანა ტიმარი, საიდანაც არაერთხელ ცრემლიანი თვალებით გასცქეროდა მის ნაკვალევს.

ტიმარი სუმბულის სურნელოვან ბუჩქებს შორის ხავსზე ჩამოჯდა. ნოემი გვერდით მიუჯდა, ოქროსფერკულულებიანი თავი მხარზე მიადო და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ახედა. ტერეზა მოშორებით იდგა და ბედნიერების ღიმილი გადაჰფენოდა სახეზე.

მთვარე ვერცხლისფერი სხივებით ანათებდა გარემოს და მაცდურად ჩასჩურჩულებდა ტიმარს: „შენია ეს განძი, მხოლოდ შენი; არაფერი არ გაკლდა ქვეყანაზე სიყვარულის გარდა და ახლა ისიც იპოვე! შეგიძლია დასტკბე ამქვეყნიური ნეტარებით და ახალი ცხოვრება დაიწყო! ვისაც ქალი შეიყვარებს, ის ხომ ნახევრად ღმერთია! შენ კი უსაზღვროდ უყვარხარ!“

...იდუმალი ხმა კი ჩასძახოდა: „ქურდი ხარ!“

პირველმა კოცნამ ახალი სამყარო გადაუშალა მიხაის, მისი გულის სიღრმეში ჩამარხული ახალგაზრდული გრძნობები გამოაღვიძა. წლების მანძილზე საქმიან მოგზაურობებს, ვაჭრობასა და ყოველდღიურ ცხოვრებაზე ზრუნვას რომ ჩაეხშო და მთელი ძალით უბიძგა მოახლოებული ბედნიერებისაკენ. ერთხელ მან თითქოს შეაღწია კიდევაც სამოთხის ბაღში, მაგრამ იქ ხეთა ტოტები სურნელოვანი ყვავილების მაგიერ ჭირხლით აღმოჩნდა დაფარული. ამ სიცივემ მასაც გაუყინა გული და დიდხანს უაზროდ დაეხეტებოდა. ბოლოს უდაბნოში დაქანცული მოგზაურის მსგავსად ოაზისს მიადგა და აქ იპოვა ის, რასაც ამდენ ხანს უშედეგოდ ეძებდა, იპოვა გული, რომელსაც მისი სიყვარული შეეძლო.

ათასნაირი აზრები ირეოდა მის გონებაში. ცხოვრებაში პირველად იგრძნო ასეთი უცნაური მღელვარება, თითქოს ეშინოდა კიდეც მოულოდნელად მოზღვავებული ბედნიერებისა, აღარ იცოდა, გული გაეღო მისთვის, თუ გასცლოდა აქაურობას. ვერ გარკვეულიყო, რას უქადდა ბედი, სიხარულს თუ მწუხარებას. სად იყო ახლა ღმერთი, რომ პასუხი გაეცა მისთვის? თუმცა ღმერთი მხოლოდ ყვავილებს პასუხობდა, კოკრებს რომ შლიდნენ, ჩიტებს, ბუდეებს რომ იშენებდნენ, ადამიანს კი არა.

მიხაიმ საკუთარი გულის ცემას მიუგდო ყური.

თვალებში ჩახედეო, უკარნახა გულის ხმამ. ქალიშვილის შუქმფენ თვალებში ჩახედვა ცოდვად არ ჩაითვლება, მაგრამ ვინც ერთმანეთს თვალებში ჩახედავენ და თვალს ვეღარ მოაშორებენ, თავის-

დაუნებურად სიყვარულის გრძნობა ეუფლებათ და ერთ არსებად გადაიქცევიან ხოლმე.

ნოემის რომ თვალებში ჩახედა, მიხაის ყველაფერი დაავიწყდა ამქვეყნად. მისმა თვალებმა ახალ სამყაროში გადაახედა, რომელიც ნეტარებასა და განცხრომას ჰპირდებოდა.

ბავშვობის შემდეგ მას აღარავის სიყვარული არ უგრძვნია. მხოლოდ ერთხელ სცადა ბედნიერებაზე ეფიქრა, ვინ მოთვლის რამდენი წვალება გადახდა მისთვის, რამდენი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა. ბოლოს კი, როცა უკვე ეგონა, მიზანს მივაღწიეო, მწარედ მოტყუებული დარჩა, დაიმსხვრა და გაიფანტა მისი ოცნებები, დაეკარგა მიზანი და რწმენა ცხოვრებაში.

და ახლა ამ თვალებმა უთხრეს, რომ უყვართ იგი. მარტო თვალები კი არა, აქ ყველა და ყველაფერი მის სიყვარულზე ლაპარკობდა: ხის ტოტებზე გადაშლილი ყვავილები, ცხოველები, ხელებს რომ ულოკავდნენ, ნოემის ბაგეები, მისი გულის საიდუმლო რომ გათქვეს, მისი შეფაკლული ლოყები და ვნებით ანთებული თვალები. თვით ნოემის დედაც კი, რომელიც უნდა ფარავდეს ამ საიდუმლოს, ეუბნება: „ისე ძალიან უყვარხარ, რომ შენი სიყვარული მოჰკლავსო.“

...არა, მე ვერ დავუშვებ მის სიკვდილს...

კუნძულზე გატარებული ეს ერთი დღე ტიმარისთვის მთელ ცხოვრებას უდრიდა. ვერ გარკვეულიყო, სიზმარში იყო, თუ ცხადში. მის ბედნიერებას საზღვარი აღარ ჰქონდა. აღარაფერი ახსოვდა ახლა თავისი ოცნებისა და სიყვარულის გარდა.

მხოლოდ მესამე ღამეს, მთვარის სხივებით განათებული ხეების ქვეშ რომ იწვა, სინდისის გრძნობამ გაიღვიძა მასში.

„გესმის, შენ ახლა რას აკეთებ? შენი საქციელი ქურდობასა და მკვლელობას უტოლდება! ხომ იცი, როგორი გაჭირვებით დასაწლდა ყველასგან მიტოვებული საწყალი ქალი ამ უკაცრიელ კუნძულზე ჩვილი ბავშვით. მისმა ქმარმა თავი მოიკლა და ადამიანურად დამარხვაც არ აღირსეს. ქალმა შეიძულა ხალხი და დაკარგა რწმენა ღმერთისადმი. შენ ახლა ქურდულად შემოიჭერი მის ცხოვრებაში და გინდა უკანასკნელი ნუგეში წაართვა. ამით იმ მტარვალებზე უფრო მეტ ბოროტებას ჩაიდენ, ვინც მას ესოდენი ტანჯვა მიაყენა და ვისაც ბედმა სამაგიერო მიუზღო. შენ სულიერ სიმშვიდეს სტაცებ ამ ადამიანებს, გულს სტაცებ უდანაშაულო არსებას და სანაცვლოდ

შენსას არ უტოვებ. ამას შეშლილის მეტი არავინ ჩაიდენს! უმჯობესია გასცილდე აქაურობას!“

მიხაის მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, ვერა და ვერ დააღწია თავი სინდისის ქენჯნას. ვერც კი გაიგო, თავზე როგორ დაათენდა.

გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ დაეტოვებინა კუნძული და აღარ დაბრუნებულიყო ძალიან დიდხანს, ვიდრე არ დაივიწყებდნენ და თვითონაც არ დაივიწყებდა იმ სამ დღეს, როცა სჯეროდა, რომ მასაც ჰქონდა უფლება ამქვეყნიურ ბედნიერებაზე ფიქრისა.

სანამ მზე ამოვიდოდა, მთელი კუნძული შემოიარა, სახლს რომ მიუახლოვდა, სუფრა უკვე გაშლილი დახვდა სასაუზმოდ.

— უკვე დროა გამოგეთხოვოთ! — მიმართა მან ტერეზას.

— ასე მალე! — გაუკვირდა ნოემის.

— საქმეს უნდა მიხედოს, შვილო! — უპასუხა ტერეზამ.

— ნავსადგურში უნდა დავბრუნდე, — აუხსნა მიხაიმ.

გასაკვირველი არაფერი იყო, მეზღვაურს ხომ მართლაც ბევრი საქმე აქვს. მისთვის აღარ უთხოვიათ დარჩენილიყო. იმედი ჰქოხდათ, ისევ დაბრუნდებოდა. უნდა დალოდებოდნენ, რამდენიც საჭირო იქნებოდა, მთელი წელიწადი და მთელი სიცოცხლეც კი...

ნოემი ისე შეაწუხა მიხაის წასვლის ამბავმა, რომ ახლადმოწვეული რძისთვის პირი არ დაუკარებია. მაგრამ ხმა არ ამოუღია, იცოდა, რომ არ შეიძლებოდა მისი დაკავება, საქმეს ხომ ვერ უღალატებდა.

ტერეზამ თვითონვე გამოუტანა მიხაის თოფი და ჩანთა და მზრუნველობით ჰკითხა, გატენილი თუაო.

— არა, რა საჭიროა! — მიუგო მიხაიმ.

— ურიგო არ იქნებოდა გაგეტენა და თანაც მსხვილი საფანტით, — ურჩია ტერეზამ, — მდინარის იქითა მხარეს ზოგჯერ მგლები დაძრწიან შამბნარში, შეიძლება სხვა ნადირსაც გადაეყარო.

და სანამ თოფი არ გაატენინა, არ მოეშვა. შემდეგ ნოემის მიუბრუნდა:

— თოფი შენ თვითონ წაიღე, თორემ ალმირას ამბავი ხომ იცი!

ტერეზამ აღარ გააცილა მიხაი, რომ ხელი არ შეეშალა მათთვის.

ახალგაზრდები უხმოდ მიჰყვებოდნენ ვარდების ბუჩქებს ხელიხელჩაკიდებულნი. ნოემი უცებ შედგა, მიხაიც შეჩერდა და თვალებში ჩახედა.

— რაღაცის თქმა გინდა?

ნოემი ცოტა ხანს დაფიქრდა და უპასუხა:

— არა, არაფერი.

მაგრამ მიხაის უკვე სიტყვის უთქმელადაც შეეძლო ამოეკითხა მისი აზრი და ფიქრი. ნოემის უნდოდა ეკითხა:

„მითხარი, ჩემო ძვირფასო, რა მოუვიდა შემდეგ იმ ლამაზ გოგონას, შენთან ერთად რომ გვესტუმრა მაშინ, ტიმეა რომ ერქვა?“ მაგრამ არაფერი უთხრა.

განშორებისას მიხაის გული შეეკუმშა. ნოემიმ თოფი გაუწოდა და ჩასჩურჩულა:

— ფრთხილად იყავით, ხიფათს არ გადაეყაროთ.

შემდეგ ხელი ჩამოართვა, თვალებში შეხედა და ვედრების კილოთი ჰკითხა:

— დაბრუნდებით ჩვენთან?

მიხაი მოაჯადოვა მისმა ხმამ, კიდევ ერთხელ ჩაიკრა გულში და ჩურჩულით უთხრა:

— რატომ ასე არ მეკითხები: „დაბრუნდები, ჩვენთან?“ რატომ არ გინდა მითხრა „შენ“?

ნოემიმ უარის ნიშნად თავი გააქნია.

— მითხარი „შენ“! — არ ეშვებოდა მიხაი.

ქალიშვილმა მორცხვად დამალა სახე მის მკერდზე და ვერ მოახერხა ამის თქმა.

— ნუთუ არ შეგიძლია, არ გინდა, მითხრა „შენ“? გეშინია ამის თქმა?

ნოემიმ სახეზე ხელები აიფარა.

— ნოემი, გემუდარები, მითხარი ეს ერთად ერთი პატარა სიტყვა და მე უბედნიერესი კაცი ვიქნები ქვეყანაზე! ნუ გეშინია, ჩუმად მითხარი ყურში, უამისოდ ვერ წავალ!

ნოემიმ უარის ნიშნად თავი გააქნია.

— აბა, მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ძვირფასო ნოემი! — მიმართა მიხაიმ და ნავში გადახტა. ხშირმა ლერწმნარმა მალე დაფარა კუნძული, მაგრამ ის დიდხანს უყურებდა აკაციის ხეზე მიყრდნობილ გოგონას, ნაღვლიანად რომ გასცქეროდა მის ნავს და შორიდანაც რომ ვერ მოახერხა დაეძახა მისთვის: „ნახვამდის, მიხაი!“

VI. TROPICUS CAPRICORNI[1]

მეორე ნაპირზე ნავი ერთ მეთევზეს მიაბარა და სთხოვა მის დაბრუნებამდე შეენახა.

მაგრამ დაბრუნდებოდა კი, ოდესმე ამ ადგილებში?

გადაწყვიტა ფეხით წასულიყო ნავსადგურამდე, სადაც იანოშ ფაბელა დატოვა. ნავით დინების საწინააღმდეგოდ მოუხდებოდა ცურვა, ეს კი იოლი არ იყო და თანაც დუნაის ტალღებთან შესაჭიდებლადაც არ იყო ახლა განწყობილი.

მიხაის გრძელი გზა ჰქონდა გასავლელი სანაპიროზე, რომელიც მუდამ იცვლიდა ფორმას წყალდიდობისას. ეს თავნება მდინარე, სადაც მოხვდებოდა, იქ გაანგრევდა ხოლმე ჯებირს და სულ სხვა ადგილას მოუხვევდა. ასე წლიდან წლამდე ერთ ნაპირს რომ ჩამორეცხავდა და ჩამოშლიდა, მეორეზე გადაჰქონდა ნაშალი, რომელიც თანდათან ტირიფნარით იფარებოდა. დაკვირვებულ თვალს სულ ადვილად შეეძლო წყლის ნახელავი შეემჩნია.

ამ გაუვალ, უღრან ტევრში საცალფეხო ბილიკებიც იყო, რომლებიც მეთევზეებისა და ღარიბი გლეხების მეტმა არავინ იცოდა, ფიჩხის შესაგროვებლად რომ დადიოდნენ აქ. ზოგჯერ ქარიშხლისაგან სახურავმოგლეჯილი მიტოვებული ქოხიც შეიძლებოდა გენახათ, რომელშიც ხშირად შეუფარებია თავი მონადირეს ან მართლმსაჯულებას გამოქცეულ დამნაშავეს; ხან კი ძუ მგელს თავისი ლეკვებისათვის ბუნაგად გაუხდია.

ტიმარმა თოფი მხარზე გადაიკიდა და ფიქრებში ჩაძირულმა განაგრძო გზა.

...არ შეიძლება შენი აქ დაბრუნება, — არწმუნებდა საკუთარ თავს, — შენ ის „ერთი" დანაშაულიც გეყოფა მთელი შენი სიცოცხლე, მეორეს ნუღა დაუმატებ! საკმარისია, ერთი რომ მოატყუე, გონს მოდი! ბავშვი აღარა ხარ, ამდენი რომ არ გესმოდეს! რაღა დროს შენი ვნებებს აყოლაა? ან ვინ იცის, იქნებ, ეს არც არის ვნება და უბრალო გატაცებაა მხოლოდ, ან უფრო უარესიც, მამაკაცური თავმომწონეობა! შენ სიამოვნებას განიჭებს ის, რომ აწალგაზრდა ქალიშვილმა უარჰყო მასზე დანიშნული ლამაზი ჭაბუკი, ყველას გა-

[1] თხისრქის ტროპიკი (ლათ.). — ამ შემთხვევაში ბრაზილიის პოეტური სახელწოდება.

საგონად განაცხადა, რომ შენ უყვარხარ და გულში ჩაგეკრა. მაგრამ აბა დაფიქრდი, მას სძულს ეს მშვენიერი გარეგნობის ახალგაზრდა მხოლოდ იმიტომ, რომ ის არამზადაა, რომ იცოდეს, შენც ისეთივე მატყუარა ხარ, როგორ გგონია, შეგიყვარებდა?

...დავუშვათ რომ მას გაგიეებით უყვარხარ, რას მოგიტანთ ეს ორივეს? ძალიან რომ დაუახლოვდეთ ერთმანეთს, მერე დაშორებაც გაგიძნელდებათ, შენი ცხოვრება ორად გაიყოფა, ხან აქ უნდა იყო და ხან იქ, ორივე უნდა ატყუო, ორი ოჯახი გექნება და სიმშვიდეს ვერც ერთში ვერ ჰპოვებ. როცა ერთს დასტოვებ, სიყვარულის დაკარგვის შიში არ მოგასვენებს, მეორეს დასტოვებ, და შენი ოჯახის პატიოსნებაზე ფიქრი დაგტანჯავს.

...ცოლს არ უყვარხარ, მაგრამ უსაზღვროდ ერთგულია შენი, შენს ტანჯვასაც კი იზიარებს. ორივე უბედურები ხართ, მაგრამ დამნაშავე შენა ხარ მხოლოდ, მას ჯერ სიმდიდრე მოჰპარე, შემდეგ თავისუფლება წაართვი, ახლა კი გინდა ცოლქმრული ერთგულებაც დაარღვიო.

...მართალია, ის ვერასოდეს ვერ გაიგებს შენს ღალატს, რომელიც აუტანელ სულიერ ტკივილს მიაყენებდა. შენ, როგორც ვაჭარი, ნახევარ წელიწადს მაინც სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობ. ამას შენი საქმე მოითხოვს და ეჭვსაც ვერავინ აიღებს, გაზაფხულიდან შემოდგომამდე კუნძულზე რომ დარჩე... მაგრამ იმ ქალიშვილს რაღას ეტყვი?

...მას ხომ იმ ქარაფშუტებივით ვერ მოექცევი, დღეს რომ ერთი მიატოვებს და ხვალ სხვასთან რომ ეძებენ თანაგრძნობას. შენ იცი, რომ მამამისმა თავი მოიკლა, განა შეგიძლია სათამაშოდ გაიხადო მისი გრძნობები!..

...გინდა ის ცოლად გაიხადო ზეციური კურთხევის გარეშე? შენ ხომ მაშინ არავითარი უფლება არ გექნება ამ ახალ ოჯახზე ამქვეყნიური მიწიერი კანონებით, ისევე, როგორც მას შენზე?

...ეს გოგონა არაჩვეულებრივი არსებაა, ასე იოლი არ გეგონოს მისი ხელში ჩაგდება, ის თავის სულსა და გულს გთავაზობს და ოცნებობს, რომ შენც მხოლოდ მას ეკუთვნოდე; განა შეგიძლია, შენ ეს? აბა, დაფიქრდი, რა მომავალს უმზადებ მას შენი საქციელით, როგორი უბედურებისკენ უბიძგებ!.

...ღამით ხომ მოსვენებას აღარ მოგცემენ მკვლელთა აჩრდილები! ან, იქნებ, მოჩვენებებისა არ გეშინია?

...ესეც არ იყოს, როგორ ჩამოიცილებ გზიდან ძოძულებულ საქმროს? ის ხომ გაქნილი ავანტიურისტია და არაფერზე უკან არ დაიხევს? დევნას დაგიწყებს, რადაც უნდა დაუჯდეს, მოგძებნის, გაიგებს, ვინცა ხარ, შეიტყობს შენს საიდუმლოს და მუდამ მისი შიშისა და მუქარის ქვეშ იქნები, სიცოცხლეს გაგიმწარებს. ვერავითარი ძალა მას ვეღარ მოგაცილებს, ეკლესიაში ჯვარდაწერილ საცოლეზე მეტად დაგიახლოვდება და სიკვდილის მეტი ვეღარაფერი დაგაშორებთ. ან შენ უნდა მოკლა, ან იმან უნდა მოგიღოს ბოლო. შესანიშნავია, არა? ოქროკაცო! მაშინ ხომ შენ, რომელმაც საყოველთაო აღიარებას მიაღწიე, ვისაც ყველა პატივს გცემს და გაღმერთებს შენი საქველმოქმედო საქმეებისა და სიკეთისათვის, დამნაშავის სკამზე აღმოჩნდები მართლმსაჯულების წინაშე!

მღელვარებისაგან ოფლმა დაასხა, ქუდი მოიხადა და შუბლი მოიწმინდა. გაზაფხულის სასიამოვნო, თბილი ნიავი ქროდა და ნაზად ეალბუნებოდა. დანაშაულის შემსუბუქება სცადა საკუთარი სინდისის წინაშე:

...ნუთუ ამქვეყნად ბედნიერება არ მიწერია? მალე ორმოცი წლისა გავხდები, მთელი სიცოცხლე შრომაში გამიტარებია და მერე რისთვის? მხოლოდ იმიტომ, რომ სხვებმა განცხრომაში მშვიდად იცხოვრონ და ჩემთვის ეს ყოველივე მიუწვდომელი იყოს?

...რატომ არ უნდა ვყოფილიყავი ბედნიერი საკუთარ სახლში? ნუთუ ქალის სიყვარულის ღირსი არა ვარ? იმაზე მეტად, მე რომ ჩემი ცოლი მიყვარდა, სიყვარული აღარ არსებობს! მე ხომ მას ვაღმერთებდი! განა მისმა სიცივემ არ მიმიყვანა სასოწარკვეთილებამდე? მას ხომ არ ვუყვარვარ!

...მისი ქონება მივითვისე? არა, არც ეს არის მართალი, მე რომ ის მაშინ მისი მამობილის ხელში ჩამეგდო, სულ ხელცარიელს დასტოვებდა და ახლა სამათხოვროდ გაუხდებოდა საქმე. დღეს კი მთელი მისი სიმდიდრე მისსავე ხელშია. მე ხომ ჩემი ტანსაცმლის მეტი, ზედ რომ მაცვია, თან არაფერი წამოვიღია, რატომ უნდა ჩამთვალონ ქურდად.

...ნოემის მე ვუყვარვარ და ამას ახლა ვერავითარი ძალა ვეღარ შეცვლის. განა ის ბედნიერი იქნება უჩემოდ? მე რომ მასთან აღარასოდეს დავბრუნდე, ის დარდს გადაჰყვება.

...და აქ, ამ უკაცრიელ, გარე სამყაროსაგან მოწყვეტილ კუნძულ-

ზე, სადაც არც საზოგადოებრივ და არც რელიგიურ კანონებს ძალა არა აქვს, სადაც მხოლოდ ბუნებისა და პირველგრძნობათა სამეფოა, ვინ იცის, იქნებ, სწორედ აქ შეიძლებოდეს იმ ჭეშმარიტი ბედნიერების პოვნა, რომელიც უგუნურმა საზოგადოებამ უარჰყო!

...ის არამზადა კი, ჩვენს შორის რომ დგება, არც ისე საშიშია. მას ხომ ფულის მეტი არაფერი უნდა, ბოლოს და ბოლოს მივცემ, რასაც მოითხოვს და ახლოსაც აღარ გაგვეკარება.

გაზაფხულის სიო ახლადტანაყრილ ალვის ხეთა ფოთლებს აშრიალებდა. ბილიკი ფიჩხისგან გაკეთებული ფაცხისკენ მიიკლაკნებოდა, მისასვლელი მაყვლის ბუჩქებს დაეფარა.

ტიმარმა ისევ მოიწმინდა შუბლზე ოფლი, ქუდი დაიხურა და საკუთარ თავთან საუბარი განაგრძო.

...მართალია, შენ ამქვეყნიური ბედნიერება არ განგიცდია, უსიხარულო ცხოვრება გაქვს, მაგრამ ღამით, როცა ძილის წინ თვალს ვადააველებ განვლილ დღეს, თავისუფლად შეგიძლია იფიქრო: „ცუდი არავისთვის გამიკეთებია“. განა დასთმობდი, შენს სულიერ სიმშვიდეს იმ სიხარულის ფასად, რომელიც ღამე მოსვენებას დაგიკარგავდა?

იდუმალმა ხმამ კი ისევ ჩასძახა:

...ვინა თქვა, რომ სიყვარული ცოდვაა და ტანჯვა ქველმოქმედება? უნახავს ვინმეს ის ორი ანგელოზი, რომელთაგან ერთი მარჯვნივ უზის ღმერთს და ტანჯულთა სიას წერს, მეორეს კი შავ წიგნში შეაქვს იმათი სახელები, ვინც უარი არ თქვა სიყვარულსა და ბედნიერებაზე?

ამ ფიქრებში ჩაძირული ტიმარი უცებ ორმა გასროლამ გამოაფხიზლა. ტყვიებმა ზუზუნით გადაუარა თავზე და ქუდი გაუხვრიტა, რომელიც ბუჩქებში დაეცა. ვიღაცამ ფიჩხის ქოხიდან ისროლა.

თავზარდაცემული მიხაი უნებურად შედგა, ეს ორი გასროლა თითქოს აკვიატებულ ფიქრთა პასუხად ენიშნა წამით, მაგრამ მაშინვე გამოერკვა, განრისხებულმა თოფი მოიმარჯვა, ჩახმახი შეაყენა და თვალის დახამხამებაში ქოხთან მიიჭრა.

მის წინ შიშისაგან აკანკალებული ტოდორ კრისტიანი იდგა ორლულიანი რევოლვერით ხელში, რომელსაც ჯერ ისევ ბოლი ასდიოდა.

— მაშ ეს შენა ხარ? შენ! — დაუყვირა მიხაიმ.

— შეიბრალეთ! — ძლივს ამოილუღლუღა ტოდორმა, იარაღი ხელიდან გააგდო და ვედრება დაუწყო. გაფითრებული ძლივს იდგა ფეხზე და ვეღარაფერს ხედავდა.

ტიმარი მალე გონს მოვიდა, შიშმა და მრისხანებამ გადაუარა და თოფი ძირს დაუშვა.

— მოიახლოვდი! — მშვიდად მიმართა არამზადას.

— მეშინია, თქვენ მე მომკლავთ!

— არ მოგკლავ! — უთხრა მიხაილ და ჰაერში ისროლა. — ა ი, ახლა მეც განიარაღებული ვარ, შეგიძლია დამშვიდებული იყო.

აკანკალებულმა ტოდორმა მაინც ძლივს გაბედა ნაბიჯის გადადგმა.

— ჩემი მოკვლა გინდოდა, შე უბედურო? როგორ მეცოდები!

ბოროტმოქმედი თვალს ვეღარ უსწორებდა.

— შენ ჯერ სრულიად ახალგაზრდა ხარ და უკვე მკვლელობის ჩადენა განიზრახე! საბედნიეროდ არ გაგიმართლა, გირჩევ, სანამ გვიან არ არის, ხელი აიღო ავკაცობაზე და პატიოსანი ცხოვრება დაიწყო! შენ ხომ დამნაშავედ არ დაბადებულხარ? უკეთმართმა ცხოვრებამ გაგაბოროტა მხოლოდ. მე ვიცი შენი წარსული და არც გადანაშაულებ. სამწუხაროა ოღონდ, რომ შენს ცოდნას, გასაოცარ ნიჭსა და უნარს ავკაცობას ახმარ, აქეთ-იქით დაწანწალებ და საქვეყნოდ ცნობილი თაღლითი და მატყუარა ხარ. განა თვითონ კი მოგწონს, ასეთი ცხოვრება? გონს მოდი, სანამ გვიან არ არის. მე ბევრი გავლენიანი ნაცნობი მყავს, დაგეხმარები და სადმე მოგაწყობ. ოღონდ სიტყვა მომეცი, რომ სწორი გზიდან აღარ გადაუხვევ. აი, ჩემი ხელი!

მკვლელი მუხლებზე დაეცა იმ ადამიანის წინ, რომელსაც რამდენიმე წუთის წინ ტყვია ესროლა, ორივე ხელი მის გამოწვდილ ხელს ჩასჭიდა და ცრემლების ფრქვევით კოცნა დაუწყო.

— ნება მომეცით, ბატონო, მუხლმოყრილი ვიდგე თქვენს წინაშე! თქვენ პირველი ადამიანი ხართ, ვისაც გული შესტკივდა ჩემთვის და ადამიანურად დამელაპარაკა! პატარაობიდანვე, უპატრონო ძაღლივით ყველა გარეთ მაგდებდა, რომ არ მექურდა, ალბათ, შიმშილით ამომხდებოდა სული. არასოდეს არავის მოსვლია აზრად დამხმარებოდა, გარდა ერთი გარეწარისა, რომელმაც გზას ამაცდინა. ამის შემდეგ ისეთ სამარცხვინო ცხოვრებას ვეწეოდი, რომ სულ მეშინოდა, არავინ მიცნოს-მეთქი, ჩემს ვერაგობასა და გაიძვერობას

საზღვარი აღარ ჰქონდა. ახლა კი დახმარების ხელს მიწვდით თქვენ, რომელსაც რამდენიმე დღეა აქ გდარაჯობთ, რომ სიცოცხლეს გამომესალმებინეთ! თქვენ გინდათ ჩემივე თავისგან მიხსნათ. ნება მომეცით მუხლმოყრილი ვიდგე თქვენს წინაშე და გისმინოთ. მზად ვარ ყოველი თქვენი ბრძანება შევასრულო!

— ახლავე ადექით! ვერ ვიტან სენტიმენტალობას. მამაკაცის ცრემლები კი ჩემში ეჭვს იწვევს.

— მართალი ბრძანდებით! — უპასუხა ტოდორ კრისტიანმა. — განსაკუთრებით ჩემს ცრემლებს თქვენ ვერ ენდობით. მე ხომ ცნობილი კომედიანტი ვარ და ბევრჯერ ამითაც მიშოვია ფული. რა გასაკვირია, რომ ჩემი ნამდვილი ცრემლებისა აღარა გჯეროდეთ. როგორმე თავს შევიკავებ.

— უკეთესი იქნება. მით უმეტეს, რომ ახლა თქვენთვის მორალის კითხვას არ ვაპირებ, საქმეზე მინდა მოგელაპარაკოთ. თქვენ თქვით, რომ ბანკირ სკარამელისთან მუშაობთ და ახლა მისივე დავალებით ბრაზილიაში მიემგზავრებით.

— ეს ყველაფერი ჩემი გამოგონილია, ბატონო.

— ასეც ვფიქრობდი. რა კავშირი უნდა გქონდეთ მასთან?

— ვმუშაობდი ოდესღაც მის გემთსაშენში.

— გამოგაგდეს, თუ გამოიქეცით?

— გამოვიქეცი.

— რაღა თქმა უნდა, ფულსაც გამოიყოლებდით?

— დიახ, ასე სამასი-ოთხასი ფორინტი წამოვიღე.

— გირჩევთ, ფული დაუბრუნოთ, მე ვიცნობ ბატონ სკარამელის.

— არა, არა, მასთან მუშაობა აღარ მინდა.

— ბრაზილიაში ხომ გინდათ წასვლა?

— ესეც სიცრუე იყო. იქიდან არასოდეს შემოუტანიათ ხე-მასალა.

— მით უმეტეს, იმ ხეთა ჯიშები, რომლებიც თქვენ ჩამოთვალეთ, მხოლოდ სამედიცინო ხელსაწყოებისა და საღებავების დასამზადებლად თუ გამოდგება.

ტოდორს გაეღიმა.

— მართალია. ფულის შოვნა მინდოდა და გადავწყვიტე ერთი ხელოსნისთვის მიმეყიდა კუნძულის ტყის ნაწილი, მაგრამ ტერეზა მიმიხვდა.

— ალბათ, არც ნოემის სანახავად უნდა იყოთ აქ მოსული?

— რა თქმა უნდა, არა! თითქმის ყველა ქვეყანაში თითო ცოლი მაინც მყავს.

— ჰმ! შემიძლია ბრაზილიაში ერთი კარგი საქმე შემოგთავაზოთ. კომისიონერის ადგილია, რომელმაც უნგრული, გერმანული, იტალიური, ინგლისური, ფრანგული და ესპანური ენები უნდა იცოდეს.

— მე თავისუფლად ელაპარაკობ და ვწერ ამ ენებზე.

— ვიცი. გარდა ამისა ჩინებულად ფლობთ ბერძნულ, პოლონურ და რუსულ ენებსაც. სწორედ თქვენი შესაფერი სამუშაოა. იმედი მაქვს, იქ კარგად შეაფასებენ თქვენს ცოდნასა და უნარს. წელიწადში დაახლოებით სამი ათას დოლარს მაინც მიიღებთ იმ პროცენტების გარდა, რაც მოგებიდან გექნებათ და რომლის ზრდაც თქვენზეა დამოკიდებული.

ტოდორ კრისტიანს თავი სიზმარში ეგონა, არ სჯეროდა, რომ მართალი იყო ეს ყოველივე და მადლობის თქმასაც ვეღარ ახერხებდა. თან ფიქრობდა, ვინ იცის, იქნებ, მეხუმრებაო.

— ხომ არ დამცინით, ბატონო?

— არც მიფიქრია. ეს-ეს არის ჩემი მოკელა გინდოდათ, თავი ხომ უნდა დავიცვა როგორმე; შემეძლო ახლავე მომეკალით, მაგრამ ჩემი სინდისი არ მაძლევს ამის ნებას. იძულებული ვარ სხვა ღონე ვიხმარო. გადავწყვიტე ადამიანად გაქციოთ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება თქვენ ბედნიერებას მიაღწიოთ და მეც დამშვიდებული ვიყო. ვფიქრობ, თქვენ ახლა გესმით ჩემი და უფრო მეტად რომ დარწმუნდეთ ჩემი სიტყვების სიმართლეში, ეს საფულე აიღეთ. ამით სკარამელის ვალსაც გაისტუმრებთ და ტრიესტამდე სამგზავროდაც გეყოფათ. ტრიესტში ჩემი წერილი დაგხვდებათ და იქ გაიგებთ, რა უნდა გააკეთოთ შემდეგ. ახლა კი დროა ჩვენ-ჩვენ გზას დავადგეთ.

ტოდორმა აკანკალებული ხელებით საფულე აიღო, მიხაიმ კი ტყვიებით გახვრეტილი ქუდი დაიხურა და მიმართა:

— თუ ეს ორი გასროლა თქვენთვის ჩვეულებრივი მკვლელობის ცდა იყო, თვითონვე განსაჯეთ, გიჯობთ ჩემთან შეხვედრას ერიდოთ იქ მაინც, სადაც კანონებს ძალა არ დაუკარგავთ, ხოლო, თუ შეყვარებული რაინდის შეურაცხყოფილ გრძნობათა პასუხია, მაშინ იცო-

დეთ, რომ ჩვენი მომავალი შეხვედრისას პირველი ორი სროლა ჩემ-ზე იქნება...

ტოდორმა ორივე ხელით პერანგი ჩამოიხია მკერდზე და შესძახა:

— თუ კი ოდესმე თვალში შეგეჩხირებით, პირდაპირ გულში მესროლეთ! მომკალით, როგორც ცოფიანი ძაღლი! — მან თავისი გადაგდებული რევოლვერი აიღო და მიხაის გაუწოდა, — აი, ჩემივე იარაღით მომკალით, თუ სადმე გზაზე გადაგეღობოთ, მესროლეთ ყოველგვარი გამოკითხვისა და გასამართლების გარეშე!

და სანამ რევოლვერი ჩანთაში არ ჩაუდო, არ მოეშვა.

— მშვიდობით! — უთხრა ტიმარმა და სწრაფად გასცილდა იქაურობას.

ტოდორი ერთხანს იდგა ასე გაოგნებული და მის ნაკვალევს გაჰყურებდა, მერე უცებ წამოხტა და სირბილით დაედევნა.

— ერთი სიტყვა, მხოლოდ ერთი სიტყვა, ბატონო ჩემო! თქვენ ადამიანური გრძნობები გააღვიძეთ ჩემში და კაცად მაქციეთ. ნება მომეცით, თუ ოდესმე წერილს მოგწერთ, „მამა“ გიწოდოთ! აქამდე ეს სიტყვა ჩემში მხოლოდ ზიზღს იწვევდა, დღეიდან კი სიკეთისა და ნდობის სიმბოლოდ იქცევა. მამა! მამა!

კიდევ ერთხელ დაუკოცნა ხელები მიხაის და შამბნარში გაუჩინარდა. იქ მიწაზე დაეხო და დიდხანს ტიროდა ბალახებში თავჩარგული. ეს ნამდვილად გულწრფელი მონანიება და მის სიცოცხლეში, ალბათ, პირველი სინანულის ცრემლები იყო.

ნოემი დიდხანს, ძალიან დიდხანს იდგა იმ აკაციის ქვეშ, სადაც მიხაის გამოეთხოვა და მის ნაკვალევს გაჰყურებდა. ტერეზა მისმა დაგვიანებამ ისე შეაშფოთა, რომ საძებნელად წამოვიდა, იქვე მის გვერდით ჩამოჯდა და ქსოვა დაიწყო.

— დედა, სროლის ხმა გაიგონე იმ ნაპირზე?

ყური მიუგდეს, მაგრამ ჩამი-ჩუმი აღარ ისმოდა.

— რა იყო ნეტავ?

— მონადირეები იქნებიან, შვილო, — სცადა მისი დამშვიდება ტერეზამ, მაგრამ ნოემი გაფითრდა და აკაციის ყვავილების ფერი დაედო სახეზე.

— ო არა, არა! ის აქ აღარასოდეს დაბრუნდება! — წამოიძახა შეწუხებულმა და ხელები გულზე დაიდო.

მას თავისთვის ვერ ეპატიებინა, რომ, გამოთხოვებისას, არ უთხრა მიხაის „შენ!“, რასაც ასე დაჟინებით სთხოვდა.

— ჩემო ფაბულა! — მიმართა ტიმარმა თავის ერთგულ მოურავს. — დღეიდან არც დიერში და არც კომაროომში ხორბალს აღარ წავიღებთ.

— მაშ რას ვუზამთ?

— ახლვე დავფქვავთ. ჩემს მამულში ხომ ორი წისქვილია, დუნაიზე კიდევ ოცდაათს ავიღებთ იჯარით და სავსებით საკმარისი იქნება.

— ამდენი ფქვილის გასაღებლად უზარმაზარი ფქვილის დუქანი დაგვჭირდება.

— მართალი ბრძანდებით, ფქვილის ტომრებს პატარა გემებით კარლოვეცში ჩავიტანთ, იქიდან კი ხარის ურმებით ტრიესტში, სადაც უკვე მზად არის ჩემი ახალი ხომალდი ბრაზილიაში წასასვლელად.

— ბრაზილიაში? — ჰკითხა გაოცებულმა ფაბულამ, — მე იქ წასვლელი არა ვარ.

— არც ვფიქრობ თქვენს იქ გაგზავნას, იქ სხვა უნდა წავიდეს, თქვენ მხოლოდ ფქვილის დაფქვა და ტრიესტში გაგზავნა გევალებათ. ჩემი მამულების მოურავები და მეწისქვილეები დღესვე მიიღებენ შესაბამის მითითებებსა და განკარგულებებს. თქვენ უხელმძღვანელებთ ყველას ჩემი აქ არყოფნის დროს.

— მადლობას მოგახსენებთ! — უპასუხა ფაბულამ და თავჩაღუნული გამოვიდა ბატონ ლევეტინცის კანტორიდან.

— ნეტავ, როგორ მოუვიდა თავში ამისთანა სისულელე! — ბუტბუტებდა თავისთვის, მაგრამ ისე ხმამაღლა, რომ შეიძლებოდა სხვებსაც გაეგონათ. — მაინც რამ აფიქრებინა ბრაზილიაში ფქვილის გაგზავნა? მე ხომ ვიცი, რაც არის ეს ბრაზილია! ტყუილად ხომ არ ვსწავლობდი გეოგრაფიას მის უწმინდესობა ბატონ ონოდისთან! ბრაზილიის დედაქალაქია რიო-დე-ჟანეირო, იქიდან სხვა ქვეყნებში გააქვთ ბამბა, თამბაქო, შაქარი და ყავა. იქ არის ალმასის ცნობილი საბადოები. ინდიელები, პორტუგალიელები, ჰოლანდიელები, ინგლისელები და გერმანელები ცხოვრობენ იქ და უნგრელიღა აკლიათ სწორედ! თანაც ფქვილის შეტანა რომ განუზრახავს იმ ქვეყანაში, სადაც ხეთა ღეროები და ტოტები ფქვილითა და ბურღულით არის

სავსე. ზოგი ხე კი, ზუსტად პურისმაგვარ ნაყოფს ისნამს, გამოცხობა უნდა მხოლოდ და ჩვენებურ პურს არაფრით ჩამოუვარდება. განა ჭკვიანი კაცი ამას გააკეთებს? ეს ბატონ ლევეტინცის კიდევ ერთი ახირებული სურვილია! თუმცა რა გასაკვირველია, რომ ესეც უდიდესი მოგებით დამთავრდეს. ადვილი შესაძლებელია, ბრაზილიიდან მისი ხომალდი ოქროს ქვიშით სავსე დაბრუნდეს. მაგრამ რა ვქნა, მაინც სისულელედ მეჩვენება!..

ფაბულა ცამდე მართალი იყო. ახლა თვით ტიმარიც მის აზრს იზიარებდა. ამ ფქვილის გაგზავნით შეიძლებოდა ასი ათასი ფორინტი წყალში გადაეყარა.

მაინც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, განეხორციელებინა თავისი დიდი ხნის სურვილი და სავაჭრო მოქმედების არე გაეფართოებინა. ანდა რატომ არ უნდა მოეკიდა ხელი ცნობილ უნგრელ ვაჭარს დიდი საქმისათვის ? მას უკვე მოსწყინდა მუდმივი დავა ხორბლის ფასების აწევ-დაწევაზე, ხელსაყრელი მომენტის ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლა, რომ სამინისტროებისაგან იჯარით აეღო სახაზინო მიწები, ყოველგვარი ხარჯები თვითონ დაეფარა, სესხად მიეცა ორმოცდაათი პროცენტი გავლენიანი მოხელეებისთვის, როცა კი დასჭირდებოდათ და ეს ყოველივე რაღაც საცოდავი ორი მილიონის საშოვნელად. განა უმჯობესი არ იქნებოდა, უფრო დიდი საქმისთვის მოეკიდა ხელი?

საგარეო ვაჭრობის დაწყებაზე ტიმარი დიდი ხანია ოცნებობდა. მას უკვე მზად ჰქონდა ორთქლის წისქვილები და ტრიესტში აგებული დიდი სავაჭრო ხომალდი. მაგრამ ახლა ამ საქმეში თავი და თავი მაინც ნოემი იყო, ტოდორ კრისტიანთან შეხვედრამ უბრალოდ დააჩქარა მისი ჩანაფიქრის განხორციელება. საგარეო ვაჭრობა მისთვის ახლა მეორეხარისხოვან საქმედ იქცა, მთავარი იყო ტოდორი მთელი ნახევარსფეროთი დაეშორებინა აქაურობისთვის.

ვინც კი უყურებდა, როგორი მზრუნველობით დასტრიალებდა თავს ტიმარი თავის წისქვილებს, ფქვილის ტომრებსა და გასამგზავრებლად გამზადებულ გემებს, რომელთა დატვირთვასაც უშუალოდ ხელმძღვანელობდა, აღფრთოვანებული ფიქრობდა, ვაჭარიც ასეთი უნდაო! მისი ფარული აზრები კი გარეშე თვალისთვის მიუწვდომელი იყო.

სამი კვირის შემდეგ საუკეთესო უნგრული ფქვილით დატვირთუ-

ლი ხომალდი „Pannonia“ ტრიესტში უკვე მის ბრძანებას ელოდა. ეს იყო საუცხოო სამიალქნიანი გალიოტი, რომლის დანახვაზე, თვით იანოშ ფაბულამაც კი ვერ დაფარა აღტაცება.

ტიმარს არ უნახავს ეს გემი, მისი გამგზავრების დღესაც კი არ ჩამოვიდა ტრიესტში, ხან პანჩოვოში იყო, ხან ლევეტინცში. ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდა სკარამელის სავაჭრო სახლი. ტიმარმა გარკვეული მიზეზების გამო არ ისურვა მისი სახელი გარეულიყო ამ საქმეში, მხოლოდ მიმოწერით უკავშირდებოდა სკარამელის სავაჭრო ფირმას.

ერთ საღამოს ტოდორ კრისტიანის წერილი მიიღო. კონვერტი რომ გახსნა, მის გაოცებას საზღვარი აღარ ჰქონდა, შიგ ასფორინტიანი იდო წერილთან ერთად, რომელშიც ეწერა:

„მამა!

როდესაც ამ წერილს მიიღებთ, მე უკვე ღია ზღვაში ვიქნები მშვენიერი „Pannonia“-ს გემბანზე, როგორც სკარამელის სავაჭრო სახლის აგენტი ბრაზილიაში. გულწრფელად გიხდით მადლობას თქვენი რეკომენდაციისათვის. სავაჭრო ფირმისაგან წინასწარ მივიღე ორი თვის ხელფასი, ამ თანხიდან გიგზავნით ას ფორინტს და უმორჩილესად გთხოვთ, გადასცეთ პანჩოვოში სასტუმრო „თეთრი გემის“ პატრონს. ამ პატიოსანმა ადამიანმა ერთხელ მასესხა ეს ფული და ახლა უდიდესი მადლიერების გრძნობით ვუბრუნებ. ღმერთმა გადაგიხადოთ სამაგიერო ჩემდამი ესოდენი სიკეთისათვის!“

ტიმარმა შვებით ამოისუნთქა. ეს კაცი გამოსწორების გზას დაადგა, ძველი ვალები გაიხსენა და მათ საკუთარი დანაზოგიდან იხდის. რა უნდა იყოს, უფრო სასიხარულო, ვიდრე გზასაცდენილის პატიოსანი ცხოვრებისაკენ შემობრუნება! ყველას როდი შეუძლია დაეხმაროს საკუთარ მკვლელს, ხელი ააღებინოს ბოროტებაზე და ახალი ცხოვრება დააწყებინოს, ავანტიურისტი პატიოსან კაცად აქციოს. ტალახში ამოსვრილი მარგალიტი გაწმინდოს და პირვანდელი ბრწყინვალება დაუბრუნოს! ეს მართლაც რომ ძველ ქრისტიანთა საკადრისი სათნოებაა! შენ კეთილშობილების განსახიერება ხარ!

შინაგანი ხმა კი ჩასძახოდა:

„მკვლელი ხარ!“

„შენ იმ ადამიანის გადარჩენა კი არ გახარებს, არამედ ის, რომ თავიდან მოიშორე. უფრო მეტად გაიხარებდი, შენი ახალთახალი

ხომალდი ქარიშხალს რომ დაეღუპა ოკეანეში და ტვირთიცა და მგზავრებიც მის ფსკერზე აღმოჩენილიყვნენ. შენ ახლა ვაჭრობა სულ არ გაინტერესებს, არც მოგებასა და ზარალზე ფიქრობ, შენი გონება ახლა ამაგონისა და პლატის ჭაობებს დასტრიალებს, ყოველ ზაფხულს ყვითელ ციებას რომ ავრცელებენ, ვეფხვივით რომ ჩაუსაფრდება ხოლმე უცხოელებს და მუსრს ავლებს. კარგად იცი, რომ ასი კაციდან სამოცი მაინც მისი მსხვერპლი ხდება და ოცნებობ, მათ რიცხვში ისიც აღმოჩნდეს! აი, რა გიხარია შენ! მკვლელო!"

ტიმარს ნამდვილად უხაროდა, რომ თავიდან მოიცილა ძტერი, მაგრამ სანდისის ქენჯნა და მომავალი უბედურების ბუნდოვანი წინათგრძნობა ამ სიხარულს უმწარებდა და მოსვენებას უკარგავდა.

ტიმარი ისე შეიცვალა, ვეღარ იცნობდით. გაჰქრა მისი ჩვეული სიდინჯე და გულგრილობა. მის ყოველ ნაბიჯსა და მოქმედებას ეცნაური, გაურკვეველი მღელვარება ახლდა თან. სულ ერთმანეთის საწინააღმდეგო ბრძანებებს იძლეოდა, სადღაც გაემგზავრებოდა და შუაგზიდან ბრუნდებოდა უკან. დაკარგა ყოველგვარი საქმის ინტერესი, უბრალო რამეზე გაჯავრდებოდა ხოლმე და მოთმინებას ჰკარგავდა. ბევრჯერ უნახავთ, როგორ დაეხეტებოდა საათობით დუნაის ნაპირზე გონებაარეული, სახლში შესვლა არ უნდოდა. ხან კაბინეტში ჩაიკეტებოდა და არავის იღებდა. ქვეყნის ყველა კუთხიდან მოსული წერილები გაუხსნელი ეყარა საწერ მაგიდაზე.

მის გონებას თითქოს ბინდი გადაეფარა. აღარაფერი არსებობდა მისთვის ამქვეყნად ერთი ოქროსფერთმიანი გოგონას გარდა, რომელსაც რამდენიმე დღის წინ კუნძულზე დაეშვიდობა.

იყო დღეები, როცა მასთან დაბრუნების მეტი არაფერი უნდოდა, ხან კი მის სამუდამოდ დავიწყებას ცდილობდა. ბოლოს ცრუმორწმუნედ გადაიქცა. ეჩვენებოდა, რომ ღმერთი რაიმე ნიშანს მისცემდა, ან სიზმარში ნახავდა, როგორ უნდა მოქცეულიყო, მაგრამ სიზმარშიც მხოლოდ იმ გოგონას სახეს ხედავდა, ერთსა და იმავე დროს ბედნიერსა და ტანჯულს. ხან მის გვერდით რომ იყო, ხან კი სადღაც ჰქრებოდა. ამან კინაღამ ჭკუიდან შეშალა, გადაწყვიტა ისევ საქმეს შესდგომოდა, იქნებ, ყოველდღიურ საზრუნავს გაექარვებინა ნაღველი.

ჯერ წერილების კითხვა დაიწყო, მაგრამ ამან ვერ უშველა. სანამ ბოლომდე ჩავიდოდა, დასაწყისი აღარ ახსოვდა. დაჰყურებდა წერილებს და ორი ცისფერი თვალის მეტს ვერაფერს ხედავდა. ბოლოს ერთმა წერილმა მიიქცია მისი ყურადღება, მძიმედ მოხვდა ხელში მაშინვე იცნო ტიმეას ხელი...

რაღაც უჩვეულო გამომაფხიზლებელმა სიცივემ დაუარა სხეულში.

აი, ზეციური ნიშანიც!

ამ წერილმა გონს მოიყვანა.

ტიმეა სწერდა, მისი უერთგულესი ცოლი, ანგელოზური კეთილშობილების განსახიერება. მის ერთ ტკბილ სიტყვას შეეძლო უდიდესი გავლენა მოეხდინა, სწორი გზისკენ შემოებრუნებინა.

კონვერტში რაღაც მძიმე საგანი იდო, საჩუქარი იქნებაო, გაიფიქრა, მეორე დღეს ხომ მისი დაბადების დღე იყო. რა ძვირფასი იყო მისთვის წერილიც და საჩუქარიც!

ფრთხილად გახსნა კონვერტი, მაგრამ იქიდან მისი საწერი მაგიდის გასაღები გადმოვარდა მხოლოდ.

წერილში კი ეწერა:

„ბატონო ჩემო!

თქვენი საწერი მაგიდის უჯრაში გასაღები დაგრჩათ, ამაზე ფიქრმა რომ არ შეგაწუხოთ, გიგზავნით ფოსტით. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

ტიმეა“.

ეს იყო და ეს.

ტიმარს ნამდვილად დაავიწყდა გასაღები იმ ღამეს, საიდუმლოდ რომ დაბრუნდა შინ და ატალიას სიტყვებმა რომ აურიეს გონება.

მხოლოდ გასაღები და მეტი არაფერი! რამდენიმე ცივი სიტყვის მეტი ვერაფერი გაიმეტა მისთვის!

შეწუხებულმა წერილი გვერდზე გადასდო. უცებ საშინელმა აზრმა გაუელვა.

თუ ტიმეამ გასაღები იპოვა, ხომ შეიძლებოდა უჯრაც გაეხსნა და ენახა, რა იყო შიგ. ყველა ქალი ცნობისმოყვარეა, გახა ასეთ შეძთხვევას ხელიდან გაუშვებდა?.. თუ უჯრაში ქექვა დაიწყო, იქ ბევრ ნაცნობ ნივთს წააწყდებოდა...

როცა ტიმარმა ალი ჩორბაჯის განძის გამოყენება დაიწყო, დიდი

სიფრთხილე გამოიჩინა, უძვირფასესი სამკაულები ხელუხლებლად შეინახა. საკუთარი თავი რომ არ გაეცა, ალმასებიც კი ბუდეებიდან ამოიღო და ისე გაყიდა. უამრავ ძვირფას ნივთებს შორის ერთი პატიოსანი თვლებით მოჭედილი საუცხოო მედალიონი იყო ახალგაზრდა ქალის მინიატურული პორტრეტით, რომელიც ძალიან ჰგავდა ტიმეას. ეს ნამდვილად მისი დედის, მშვენიერი ბერძენი ქალის პორტრეტი იყო. ტიმეას რომ ეს მედალიონი ენახა, მაშინვე ამიხდებოდა, რომ მამამისის მთელი განძეული მის ხელში მოხვდა, რომლის წყალობითაც ისე გამდიდრდა, რომ თვით ტიმეას ყიდვაც კი შესძლო.

თუ ტიმეას ცნობისმოყვარეობამ სძლია და ყველაფერი შეიტყო, ალბათ, უკვე ვეზიზღები! განა მისი ცივი წერილიც ამასვე არ ადასტურებს?

საშინელმა ეჭვებმა უბიძგა მიხაის საბოლოოდ გადაეწყვიტა თავისი ბედი. აქამდე კიდევ ვერ გარკვეულიყო, განეგრძო მიუწვდომელი მწვერვალისაკენ სწრაფვა თუ თავქვე დაშვებულიყო. ახლა სხვა გზა აღარ ჰქონდა, თავქვე უნდა დაშვებულიყო!

სულ ერთი იყო, ცოლისგან ნიღაბჩამოხსნილი უკვე ვეღარ შესძლებდა კეთილშობილი „ოქროკაცის“ თამაშს. ტიმეამ დაინახა მისი ნამდვილი სახე და რაღა აკავშირებდა ახლა ამ სამყაროსთან? გადაწყვიტა კუნძულზე დაბრუნებულიყო, მაგრამ მაინც არჩია ერთბაშად არ დაეყარა ფარ-ხმალი.

ტიმეას წერილი მისწერა და სთხოვა, კომარომში მის სახელზე მოსული წერილები გაეხსნა, პასუხი გაეცა, როგორც საჭიროდ მიიჩნევდა, ან საქმეთა მმართველისთვის გადაეცა. ასევე ნება დართო მისი არყოფნის დროს დამოუკიდებლად მიეღო და გაეცა ფული და საწერი მაგიდის გასაღები უკან გაუგზავნა, რომ საჭირო ქაღალდები და ხელშეკრულებები ხელთ ჰქონოდა. ამ გზით ცდილობდა მიხაი, წაგებული პარტიის გადარჩენას. თუ საიდუმლო ჯერ გამოაშკარავებული არ არის, სულ მალე ცნობილი გახდებაო, ფიქრობდა და ეჩვენებოდა, რომ რაც უფრო ახლოს მიიყვანდა ცოლს მასთან, უფრო ვერ შეამჩნევდა. თუკი რამეს ეჭვის თვალით უყურებ, სიბნელეში ხომ უფრო მეტად შენიშნავ ბუსავით, ვიდრე დღის სინათლეზე. მასაც ამის იმედი ჰქონდა.

ყველას გამოუცხადა, დიდი ხნით საქმეზე მივდივარო და დაიბარა, წერილები კომარომში გადაეგზავნათ მისი ცოლისთვის.

ნაშუადღევს ნაქირავები ეტლით გაემგზავრა ლევეტინციდან, რომ მისი ასავალ-დასავალი არავის სცოდნოდა.

რამდენიმე დღის წინ ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, სულ ღმერთის ნიშანს ელოდა, იმედი ჰქონდა, რომ უბილავი ძალა სწორი გზისკენ შემოაბრუნებდა. ახლა კი ამაზე ფიქრიც აღარ უნდოდა, მთელი მისი არსება ერთ სურვილს მოეცვა მხოლოდ, რაც შეიძლებოდა მალე დაბრუნებულიყო კუნძულზე.

სტიქიის ძალა წინ აღუდგა და მის შეჩერებას ცდილობდა, ემუქრებოდა და ყოველნაირად ხელს უშლიდა.

საღამოხანს, როცა უკვე შორიდანვე გამოჩნდა დუნაის სანაპიროზე ახლადაყრილი ალვისხეთა ზოლი, ზემოთ უცებ რაღაც უცნაური მოშავო-მოწითალო ფერის ღრუბელი შენიშნეს, რომელიც უზარმაზარი ბოლქვივით ეხვეოდა და მათკენ მოექანებოდა.

მეეტლემ ლოცვა დაიწყო და მძიმედ ამოიოხრა, მაგრამ როცა ეს ღრუბელი კვამლივით გაიშალა მათ თავზე, უკვე ლანძღვა-გინებაზე გადავიდა.

„გოლომბოცის კოღოები!“

ეს საზიზღარი მწერები გოლომბოცის კლდეთა ნაპრალებში ბინადრობენ, დროდადრო გუნდ-გუნდად გამოდიან ველზე და ღვთის რისხვად ატყდებიან თავზე საცოდავ პირუტყვებს. მათგან თავის დაცვა ყოვლად შეუძლებელია.

კოღოები თვალის დახამხანებაში დაესივნენ ცხენებს, დაუწყეს დაუზოგავად კბენა ყურებში, თვალებში, ნესტოებში, ზურგზე და სულ გადარიეს. გამწარებულმა პირუტყვებმა ერთბაშად აიწყვიტეს, გაშმაგებულები შემობრუნდნენ და ჩრდილო-დასავლეთით გააქროლეს ეტლი. ტიმარი მიხვდა, რომ გაცოფებული ცხენების დამორჩილება აღარავითარ ძალას არ შეეძლო და გადმოხტომა არჩია. ბედზე ნახტომი მეტად მარჯვე გამოუვიდა და არაფერი უტკენია. როგორც კი წამოდგა, ცხენებს გახედა, ისინი ისევ ისე მიჰქროდნენ და, ალბათ, ვეღარაფერი შეაჩერებდათ.

წინათგრძნობას რომ აჰყოლოდა, ტიმარი ამის შემდეგ მაინც უნდა გამობრუნებულიყო უკან, მაგრამ საშინელი სიჯიუტის გრძნობამ სძლია და გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, წასულიყო. უკან დაბრუნება აღარ შეეძლო, შეუპოვრად მიიწევდა წინ, მიდიოდა ნოემისთან, საითაც ტიმეას წერილიც უბიძგებდა.

დუნაის ნაპირას ალვის ხეთა ჭალაშიღა გაახსენდა, რომ გადმოხტომისას თოფის აღება ვეღარ მოასწრო. ტირიფის ტოტი ძოტეხა და იმით მიიკვლევდა გზას ბუჩქნარში. სიარული უჭირდა. მალე ჩამობნელდა კიდევაც და სულ დაკარგა ორიენტაცია; შამბნარში გზა აებნა და რაც უფრო ცდილობდა თავის დაღწევას, უფრო მეტად შედიოდა სიღრმეში. ბოლოს ერთ ქოხს მიადგა და გადაწყვიტა იქ გაეთია ღამე. იქვე დაყრილი ფიჩხისა და ხმელი ტოტებისაგან ცეცხლი დაანთო, სანადირო ჩანთიდან პური და ქონი ამოიღო და ივახშმა.

ჩანთაში ის რევოლვერიც აღმოაჩნდა, რომლითაც ტოდორ კრისტიანმა ესროლა. ალბათ, მაშინ ამ ქოხში იყო ჩასაფრებულიო, გაიფიქრა, რევოლვერი ამოიღო, მაგრამ ახლაღა გაახსენდა, რომ საპირისწამლე ეტლში დარჩა. მაინც იმედი მიეცა, როცა ადამიანს ესვრიან და გადარჩება, ასე იოლად აღარ დაიღუპებაო.

დაღამდა, სულ ახლოს მგლის ყმუილიც გაისმა და ერთი უზარმაზარი მგელი ქოხის უკანა კედელთანაც კი მიიპარა. ტიძარძა მალე მისი მწვანედ ანთებული თვალები დაინახა სიბნელეში და იძულებული გახდა მთელი ღამე უძილოდ გაეტარებინა. ან კი რა დააძახებდა, როცა ირგვლივ მშიერი მგლები დაძრწოდნენ და შორიდან უთვალთვალებდნენ თავიანთ მსხვერპლს.

უცებ ქოხის სიღრმიდან გველის სისინი მოესმა და თავისდაუნებურად შეაკრთოლა; ამ დროს მის ფეხქვეშ რაღაც გაცოცდა, თურმე კუსთვის დაებიჯებინა ფეხი.

გათენებამდე თვალი არ მოუხუჭავს, ცეცხლს აჩაღებდა და ალმოდებული წნელით ჰაერში ათასნაირი უცნაური გამოსახულებები გამოჰყავდა ცეცხლოვანი იეროგლიფების მსგავსი, რომლებშიც თავის აფორიაქებულ ფიქრებს აქსოვდა.

რა საშინელი ღამე იყო! ადამიანი, რომელსაც ძვირფასი ავეჯით მოწყობილი სასახლეები ჰქონდა და ახალგაზრდა, ულამაზესი ცოლი ჰყავდა, აქ, ამ ნახევრადდანგრეულ, აშმორებულ ქოხში მარტოდმარტო ათევდა ღამეს. ირგვლივ შიმშილისაგან კბილებდაკაწკაწებული მგლები დაძრწოდნენ, სახურავზე გველი მიცოცავდა.

დღეს კი მისი დაბადების დღე იყო.

რა მხიარულება უნდა ყოფილიყო ახლა მის ოჯახში! როგორ მოუნდა იქ ყოფნა!

მიხაი მეტად ღვთისმოშიში და მორწმუნე იყო ბავშვობიდან, ყოველ საღამოს ლოცულობდა. ლოცვა მართლაც ყოველგვარ გასაჭირს უმსუბუქებდა, გაჭირვება კი ბევრი შეხვედრია ცხოვრებაში. ღმერთი მუდამ მისი შემწე იყო და ყოველგვარ საქმეში წარმატებას აღწევდა.

ამ საშინელ ღამეს კი ვეღარ შესძლო ლოცვა და სწორედ თავისი დაბადების დღეს უარჰყო ღმერთი. აღარ უნდოდა ეთხოვა მისთვის „ნუ დამაბრკოლებო გზაზე!“

ბოლოს, როგორც იქნა ინათა და ღამის მტაცებლები ტევრში გაუჩინარდნენ. ტიმარმა სასწრაფოდ დატოვა თავისი თავშესაფარი და ნაპირისკენ მიმავალ ბილიკს დაუწყო ძებნა. აქ მას ახალი დაბრკოლება ელოდა, დუნაი ადიდებულიყო და ნაპირები გადმოელახა. მღვრიე-მოყვითალო ნიაღვარს თან მიჰქონდა ნაპირებზე ძირიანად მოგლეჯილი ტირიფები და ლერწმები.

მეთევზის ქოხი, ვისთანაც ნავი ჰქონდა მიბარებული, მაღალ გორაკზე იდგა, მაგრამ წყალი სწრაფად მიიწევდა ზევით და უკვე მის ზღურბლს სწვდებოდა. ქოხი ცარიელი იყო, მეთევზეები გახიზნულიყვნენ; მისი ნავი იქვე ხეზე იყო მიბმული, მაგრამ ვინ გაბედავდა ასეთ დროს დუნაის აქაფებულ ტალღებთან შებმას.

ამით თითქოს უხილავი ძალა ანიშნებდა ტიმარს, უკან დაბრუნებულიყო, მას კი არაფრის გაგონება აღარ უნდოდა.

„სულ ერთია, მაინც წავალ! ვერავითარი ძალა ვერ შეშაჩერებს!“ — არწმუნებდა საკუთარ თავს.

დაკეტილი ქოხის კარი შეამტვრია, ნიჩბები და ბარჯი გამოიტანა, ჩაჯდა ნავში, ხელსახოცით მიიბა ფეხები კიჩოსთან სკამზე და მძლავრად უბიძგა ნავს წყლისაკენ. დინებამ მაშინვე გაიტაცა ნავი ქვემოთ.

ადიდებული დუნაი ყველასა და ყველაფრის მრისხანე მბრძანებელია, ამდროს ის ძირფესვიანად გლეჯავს არა მარტო ხეებს, არამედ მთელ ტყეებსაც კი. ადამიანი კი, რომელიც მის ტალღებს შებღვავს, მისთვის პაწაწინა ჭიას წარმოადგენს, რომელიც თვალის დახამხამებაში შეუძლია შთანთქას. მაგრამ ახლა ეს ჭია არ შეეპუა სტიქიის ძალას და მასთან შებმა გაბედა.

ტიმარი მთელი ძალით უსვამდა ნიჩბებს, ძალ-ღონეს არ ზოგავდა, მაგრამ ნავი კაკლის ნაჭუჭივით ქანაობდა ტალღებზე. პირქარი

სცემდა და მის უკან გამორიყვას ლამობდა, მაგრამ ის მაინც შეუპოვრად მიიწევდა წინ მის დასაღუპად ამოვარდნილი ქარიშხლისა და დინების წინააღმდეგ.

ქუდი მოიხადა და ნავში ჩააგდო. ქარი უწეწავდა ოფლისგან დასველებულ თმებს, ყინულივით ცივი წყლის შხეფები სახეზე სცემდა, მაგრამ მის შინაგან ცეცხლს მაინც ვერ ანელებდა. მას აეკვიატა აზრი, რომ სწორედ ახლა პატარა კუნძულზე ნოემის სიცოცხლე საფრთხეში იყო. იმდენად ძლიერი იყო სწარფვა მის გადასარჩენად, რომ დაღლასაც ვეღარ გრძნობდა.

ადიდებული დუნაი და გამძვინვარებული ქარიშხალი ხომ საშინელებაა ერთად, მაგრამ ადამიანის ვნება და შეუპოვრობა მასზე ძლიერი აღმოჩნდა. ახლაღა მიხვდა ტიმარი, როგორი ძლიერი ნებისყოფა და ტიტანური ძალა ჰქონია თურმე. წარმოუდგენელი ენერგიულობითა და ძალით უსვამდა ნიჩბებს დიდხანს და ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწია დიდ კუნძულამდე.

ცოტა სული მოითქვა. კუნძული მთლიანად წყალს დაეფარა. „უპატრონო კუნძულამდე“ რომ მიეღწია, დინებას ჯერ ზემოთ უნდა აჰყოლოდა დიდი კუნძულის გავლით, შემდეგ კი ქვემოთ უნდა დაშვებულიყო.

როგორც კი ჭალას გასცდა, საოცარი სანახაობა გადაიშალა მის წინ. ლერწმნარი, უპატრონო კუნძულს გარს რომ ერტყა, მთლიანად წყალს დაეფარა და ხეების კენწეროებიღა მოჩანდა. ირგვლივ მხოლოდ წყალი იყო და იფიქრებდით, მშრალი მიწის პატარა ნაგლეჯიც აღარსად დარჩენილაო.

შუაში მწვანით შემოსილი კლდე მოჩანდა, რომლის მწვერვალზეც ცისფრად ჰყვაოდა სუმბული და ფერდობებზე ჩიტავაშლა გადაშლილიყო.

ტიმარმა სწორედ ამ კლდისკენ აიღო გეზი, ნიჩბის ყოველი მოსმა საოცნებო მიზანს უახლოებდა, მაგრამ რაც უფრო მცირდებოდა მანძილი, მით უფრო ელეოდა მოთმინება.

ხეხილის ბაღიც წყალში ჩაძირულიყო. ვარდის ხეივანი გადარჩენოდა მხოლოდ დუნაის რისხვას. აქ მოეყარათ თავი თხებსა და ცხვრებს და ერთ კუთხეში მიყუჟულიყვნენ.

შორიდან გახარებული ალმირას ყეფა შემოესმა. გოხიერმა პირუტყვმა იცნო და ნაპირთან მოირბინა, ცოტა ხანს აქეთ-იქით დარბოდა, მერე წყალში გადახტა და ნავისკენ გასცურა.

ხედავდა, ნეტავ მიხაი აყვავებული ჟასმინის ბუჩქთან ვარდისფერ ფიგურას, ასე რომ ილტვოდა მისკენ და გამძვინვარებული მდინარის ნაპირთან სულ ახლოს რომ მისულიყო?

აი, მიხაი გადმოხტა ნავიდან, რომელიც ტალღებმა მაშინვე გაიტაცეს, მაგრამ რაღად უნდოდა ნავი? ისინი ერთმანეთის მეტს ვეღარაფერს ხედავდნენ ადამისა და ევას მსგავსად.

მთლად გაფითრებული ნოემი ერთ ადგილას იდგა და ნაბიჯის გადადგმას ვეღარ ახერხებდა. მიხაი სირბილით რომ მიუახლოვდა, გულში ჩაეკრა და აღფრთოვანებულმა შესძახა:

— შენ დაბრუნდი! ეს შენა ხარ? შენ! შენ! შენ!

დიდხანს იდგნენ გადახვეულები სამოთხის ბაღში. ჟასმინის ბუჩქი მათ ყვავილებს აფრქვევდათ თავზე ვერცხლის გვირგვინების მსგავსად, მოლაღურებისა და ტოროლების გუნდი კი საქორწინო საგალობელს უმღეროდათ...

VII. ოჯახური სითბო

ტიმარის ნავი მაშინვე ტალღამ გაიტაცა, ის, კი, რომლითაც კუნძულის მცხოვრებნი პირველად აქ მოვიდნენ, უკვე დიდი ხანია დალპა და დაიშალა. ასე, რომ ტიმარი ვეღარ დასტოვებდა კუნძულს შემოდგომამდე, სანამ ხილის შესასყიდად ვაჭრები არ მოვიდოდნენ, მანამდე კი კვირეებსა და თვეებსაც უნდა გაევლო, ბედნიერ კვირეებს და ბედნიერ თვეებს.

დიახ, ეს იყო სრული ნეტარების დღეები!

უპატრონო კუნძულზე ჰპოვა ტიმარმა მშობლიური კერა, აქ იგრძნო პირველად შრომისა და დასვენების სიტკბო.

როგორც კი წყალმა დაიკლო, მაშინვე მუშაობას შეუდგა. პირველ რიგში წყალსაგდები რუები უნდა გაეთხარა ტაფობში ჩამდგარი წყლის გასაყვანად. ხელები სულ დაუკოჭრდა მიწის მუშასავით, დილიდან საღამომდე მიწას თხრიდა, მაგრამ სამაგიეროდ საღამოობით ბარითა და ნიჩბით დაბრუნებულს ისეთი სიყვარულით ელოდნენ, რომ ყველაფერი ავიწყდებოდა. ნოემისა და ტერეზას სურდათ მიხმარებოდნენ მუშაობაში, მაგრამ მიხაიმ არ დაანება, ეს მამაკაცის საქმეაო.

ბოლოს, როცა დაამთავრა და წყალი მიუგდო თხრილებში,

ისეთი სიამაყით გადახედა თავის ნამუშევარს, თითქოს დიდი საგმირო საქმე ჩაედინოს, რითაც, ალბათ, თავის მართლებას ცდილობდა საკუთარი სინდისის წინაშე.

ეს დღე კუნძულზე ნამდვილ დღესასწაულად იქცა. მისი მცხოვრებნი ხომ არც რელიგიურ დღესასწაულებს ზეიმობდნენ, არც კვირა დღეს, მათთვის სადღესასწაულოდ ის დღეები ითვლებოდა, როცა ღმერთი რაიმეთი გაახარებდათ.

კუნძულელები მეტად სიტყვაძვირნი იყვნენ. წმინდა დავითის ასორმოცდაათი ფსალმუნი ერთ ლოცვაში შეეძლოთ გადმოეცათ, მგოსანთა ლექსებში ხოტბაშესხმული სიყვარულის გრძნობას კი უსიტყვოდაც შესანიშნავად გამოხატავდნენ მათი თვალები.

მიხაი დღითი-დღე აღტაცებაში მოჰყავდა ნოემის ერთგულებას, თანაგრძნობასა და დამყოლ ხასიათს. მისთვის უცხო იყო ეჭვიანობა და ახირება, არასოდეს წუწუნებდა და არ წუხდა მომავალზე, თავს ბედნიერად გრძნობდა და სხვისი გაბედნიერებაც შეეძლო. თავს არ აბეზრებდა შეკითხვებით: „რა მეშველება, შენ რომ წახვალ? მიმატოვებ, თუ თან წამიყვან? ჩემი სიყვარული თუ გახარებს? როგორია შენი სარწმუნოება? ხომ არავინ მყავს მოცილე შენს სიყვარულში? სად მუშაობ? როგორია ის საზოგადოება, სადაც შენ სცხოვრობ?“ მის სახეზე და თვალებში მხოლოდ ერთ შეკითხვას ხედავდა: „გიყვარვარ?“

ქალბატონი ტერეზა ზოგჯერ ეტყოდა ხოლმე, ვინ იცის, იქ რამდენი საქმე გაქვს და ყველაფერს მიხედვა უნდაო, მიხაი კი ამშვიდებდა, ფაბულას მზრუნველი ხელი უყურადღებოდ არაფერს დასტოვებსო. შემდეგ ნოემის გადახედავდა ხოლმე, რომლის ცისფერი თვალები, ისე შეჰყურებდნენ ტიმარს როგორც მზესუმზირა მზეს.

ამ დროს, როცა ტიმარი კუნძულზე ჯებირებს აკეთებდა და დილიდან საღამომდე მძიმე ფიზიკური შრომით იქარვებდა შინაგან მღელვარებას, მისი ოცდაათი ხომალდი დუნაის ტალღებს მიაპობდა, ერთი გალერა ზღვაში იყო გასული, მრავალმილიონიან ქონებას კი ქალი განაგებდა. ვინ იცის, ამ ქალს, იქნებ, სულ გაენიავებინა და ქარისთვის გაეტანებინა მთელი ქონება!

მართალია, თავს აქ ბედნიერად გრძნობდა, მაგრამ მაინც უნდოდა გაეგო, რა ხდებოდა მის სახლში. მისი არსება თითქოს გაორებულიყო და ერთსა და იმავე დროს ორივე ადგილას იმყოფებოდა.

აქ სიყვარულს ვერ. სთმობდა, იქ კი თავის სიმდიდრეს და საზოგადოებრივ მდგომარეობას.

მას თავისუფლად შეეძლო, როცა მოისურვებდა, დაეტოვებინა კუნძული. დუნაი ხომ ზღვა არ იყო, ისეთ მეზღვაურს კი, როგორიც მიხაი ტიმარი იყო, ყოველთვის შეეძლო მისი გადაცურვა. არც დაუშლიდნენ წასვლას, მათ ხომ კარგად იცოდნენ, რომ იქ საქმეები ელოდა. მაგრამ ნოემისთან მარტო რომ დარჩებოდა, ყველაფერი ავიწყდებოდა. ამქვეყნად მხოლოდ მისი სიყვარულითღა ცოცხლობდა და ნეტარების მორევში ცურავდა.

„ასე ძლიერ ნუ შემიყვარებ!“ — ეტყოდა ხოლმე ნოემი.

გადიოდა დრო. დადგა შემოდგომა, ხეხილის ბაღში დახუნძლული ტოტები ძლივს იმაგრებდა დამწიფებულ ნაყოფს. წითელ-ყვითლად დაფერილ ვაშლებსა და მსხლებს თვალს ვერ მოაცილებდით. ბომწვანო ნაყოფს მზის სხივებზე ლოყები შეუწითლდა, ყვითელს ჭიაფერის წინწკლები გაუჩნდა, მოწითალოს მწვანე ლაქები დაეტყო. თითოეული მათგანი მომღიმარი ბავშვივით გამოიყურებოდა ფოთლებიდან.

ტიმარი ეხმარებოდა ქალებს ხილის კრეფაში, ერთი-მეორეზე სცლიდა უზარმაზარ კალათებს და აღტაცებული ამბობდა: რამდენია! მთელი სიმდიდრეა! ოქროა, ოქრო!

ერთხელ, ნაშუადღევს, ნოემისთან ერთად ხილით სავსე კალათა რომ მოჰქონდა, მიხაიმ სახლთან უცხო ხალხი შენიშნა. ესენი ვაჭრები იყვნენ, მათ ქვეყნის ამბები მოიტანეს გარე სამყაროსაგან მოწყვეტილ კუნძულზე. ტერეზამ ჩვეულებრივ ხორბალი მოითხოვა მათგან, მაგრამ ახლა წინა წლებთან შედარებით ნაკლები შესთავაზეს, იფიცებოდნენ, ხორბალი გაძვირდაო, კომარომელი ვაჭრები მთელ ხორბალს ერთიანად ყიდულობენ, ფქვავენ და საზღვარგარეთ აგზავნიანო.

ტერეზას მათი არა სჯეროდა, ტიმარი კი დიდი ინტერესით უსმენდა, საზღვარგარეთ ფქვილის გატანა ხომ მისი წამოწყებული იყო. ამ სასიამოვნო ახალმა ამბებმა მოსვენება დაუკარგა და გამგზავრება გადაწყვიტა.

კუნძულის ბინადართ ეს არ გაჰკვირვებიათ, იფიქრეს, საქმე მოითხოვსო, იმედი ჰქონდათ, რომ მომავალ გაზაფხულზე ისევ დაბრუნდებოდა. ნოემიმ ესღა სთხოვა მხოლოდ, ჩემი ხელით შეკერილი ტანსაცმელი აიტარეო.

თვალის ჩინივით გავუფრთხილდებიო, აღუთქვა ტიმარმა.

— ზოგჯერ მაინც გამიხსენე! სულ ნუ დაივიწყებ შენს ნოემის!

მიხაიმ აღარ იცოდა, როგორ დაემშვიდებინა და სთხოვა ვაჭრებს, ერთი დღეც მოეცადათ. ის დღე სულ ნოემისთან გაატარა. ხელიხელჩაკიდებულებმა შემოირბინეს თავიანთი საყვარელი ადგილები, ერთი ბუჩქიდან მიხაიმ ფოთოლი მოწყვიტა, მეორიდან ყვავილი და ნოემის გაუწოდა, ორივეზე მხოლოდ მათთვის გასაგებ ენაზე ეწერა: „ხომ არ დამივიწყებ, დიდხანს რომ არ მნახო?“

შეუმჩნევლად მოსაღამოვდა, დადგა განშორების ჟამიც. ნოემის არ უტირია, მას სჯეროდა, რომ მიხაი დაბრუნდებოდა. სამგზავროდ საჭმელი მოუმზადა და სანადირო ჩანთაში ჩაუდო.

— სანამ მეორე ნაპირზე გახვალთ, დაღამდება კიდევაც, მაგრამ იარაღი ხომ გაქვს, — უთხრა ნოემიმ.

— არა მაქვს და არც არის საჭირო.

— როგორ, აბა ეს რა არის? — მან ჩანთიდან ტოდორის რევოლვერი ამოიღო, შეათვალიერა და უცებ სულ გაფითრდა, იცნო ვისიც იყო. ვინ იცის, რამდენჯერ უტრაბახია ამით კუნძულზე, რამდენჯერ დამუქრებია ალმირას, მოგკლავო.

— ეს ხომ მისი რევოლვერია?

ტიმარი შეაკრთო მისი სახის გამომეტყველებამ.

— ამას წინათ, აქედან რომ წახვედი, — დაიწყო ნოემიმ, — იმ ნაპირზე დაგხვდა და გესროლა, არა?

— ეს რამ გაფიქრებინა?

— მე გავიგონე ორი გასროლა, ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ორი. ეს რევოლვერი შენ წაართვი მას!

ტიმარი განცვიფრებული უსმენდა, საყვარელი ადამიანის გული თურმე იმასაც გრძნობდა, რასაც თვალი ვერა ხედავდა. დამალვა უკვე აღარ შეიძლებოდა.

— შენ ის მოჰკალი? — ჰკითხა ნოემიმ.

— არა.

— აბა, რა მოუვიდა?

— იმისი ნულარ გეშინია, ბრაზილიაში გაემგზავრა. ახლა ჩვენსა და მას შორის მთელი დედამიწის ნახევარია.

— მე კი ვამჯობინებდი, რომ აქვე ახლოს ყოფილიყო, ოღონდ მიწის ქვეშ!

— შენ ამბობ ამას? შენ? რომელსაც პეპელას ქინძისთავზე წამოგებაც კი არ შეგიძლია?

— ეს ნამდვილად არ შემიძლია, მაგრამ მზადა ვარ საკუთარი ხელებით დავაღრჩო ყველა, ვინც კი შენს წართმევას მომინდომებს, ყველა, ვინც უნდა იყოს ის, ადამიანი, ეშმაკი თუ ჯადოქარი!... — ამ სიტყვებით მოეხვია მიხაის და გულში ჩაეკრა.

VIII. საგვარეულო განძეული

მეორე ნაპირზე რომ გავიდა, მიხაი ისევ მეთევზის ქოხთან შეჩერდა. მის გონებაში ახლა ხან ამქვეყნიურ სამოთხედქცეული კუნძულის ზღაპრული სურათები სცვლიდნენ ერთმანეთს, რომლის ყველაზე მაღალ მწვერვალზე გოგონა იდგა და თავსაფარს აქნევდა, სანამ ტიმარი თვალს არ მიეფარა და კუნძულიც საღამოს ბინდმა არ 'მთანთქა, ხან კი საკუთარი სახლი წარმოუდგებოდა ხოლმე თვალწინ და ნატრობდა, ცალი თვალით მაინც დამანახა, რა ხდება ახლა კომარომშიო.

მოხუცმა მეთევზემ, როგორც კი დაინახა მიხაი, წუწუნი დაიწყო:

— ბატონო, რომ იცოდეთ რა მოხდა! ვიღაც თავზეხელაღებულმა ქურდმა იმ საშინელი წყალდიდობისას თქვენი ნავი მოიპარა! თანაც ქოხის კარები შეუმტვრევია და ნიჩბებიც წაუღია! ქვეყანაზე ქურდსა და მაწანწალას რა გამოლევს!

ტიმარს გაუხარდა, რომ ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა კაცი, რომელმაც ქურდი უწოდა. ის ხომ ნამდვილად ქურდი იყო და ნეტავ მართლა იმ ნავის მეტი არაფერი მოეპარა!

— ასე მკაცრად ნუ გავკიცხავთ იმ კაცს! — უპასუხა შეწუხებულ მოხუცს, — ვინ იცის, როგორ სჭირდებოდა ნავი! არაფერია, ახალს ვიყიდი. ახლა კი, აი რას გთხოვ: თუ შეგიძლია შენი ნავით ამაღამვე ნავსადგურში მიმიყვანე!

კარგმა გასამრჯელომ გასჭრა და გამთენიისას უკვე ადგილზე იყვნენ.

ტიმარს არ უნდოდა ვინმეს დაენახა, საიდან და როგორ მოვიდა, მეეტლეთა საყვარელ დუქანში შევიდა, დაიქირავა ეტლი და ლევეტინგში გაემგზავრა. გადაწყვიტა აქ შეეტყო ახალი ამბები, გაეგო, რა მოხდა მისი კუნძულზე ყოფნის დროს და შემდეგ წასულიყო კომარომში.

ლევეტინცში საუცხოო ორსართულიანი სასახლე ჰქონდა, მის ერთ ფლიგელში მოხუცი მოურავი ცხოვრობდა მეუღლით, მეორე კი მისთვის იყო განკუთვნილი. იქ ბაღიდანაც შეიძლებოდა შესვლა ცალკე კიბით. კიბე პირდაპირ ოთახში ადიოდა, ერთსა და იმავე დროს კანტორაც რომ იყო და კაბინეტიც. მისი ამდენი ხნით გაუჩინარების მიზეზი რომ არავის გაეგო, დიდი სიფრთხილით უნდა მოქცეულიყო, ყოველგვარი წვრილმანი უნდა გაეთვალისწინებინა. არავის უნდა დაენახა, რომ ხუთი თვის მოგზაურობის შემდეგ მხოლოდ სანადირო ჩანთით დაბრუნდა, რომელშიც ნოემის შეკერილი ტილოს ხალათი ედო. სეზონისთვისაც შეუფერებლად იყო ჩაცმული, თანაც გახუნებული, ალაგ-ალაგ დაკერებული ტანსაცმელი ეცვა.

კაბინეტის გასაღები მუდამ თან ჰქონდა, ჩუმად უნდა შეპარულიყო იქ, გამოეცვალა და სამგზავრო ჩემოდანი აეღო, რომ შორეული მოგზაურობიდან დაბრუნებულს დამსგავსებოდა. შეუმჩნეველად გაიარა ბაღი, ავიდა კიბეზე და ის იყო გასაღები ამოიღო, რომ შიგნიდან გაკეთებული გასაღები შენიშნა. არ ესიამოვნა. ამ ოთახში იყო მთელი მისი ქაღალდები და საბუთები, ვის უნდა გაებედა აქ შესვლა მისი ნებართვის გარეშე?

აღშფოთებულმა შეაღო კარები, მაგრამ გაოცებული შედგა. საწერ მაგიდასთან იჯდა ის, ვის ნახვასაც ყველაზე ნაკლებად მოელოდა აქ. ეს იყო ტიმეა.

მოჩვენება რომ დაენახა ახლა მის მაგივრად, ალბათ, ის ერჩია. მიხაი დააბნია ამ მარმარილოს ქანდაკების მშვიდმა გამოხედვამ. ტიმეამ კალამი დადო და ფეხზე წამოდგა.

მაგიდაზე სქელი საბუღალტრო დავთარი იყო გადაშლილი. ათასნაირი გრძნობები აირია ტიმარის გონებაში: თან შეეშინდა, ცოლმა რომ ნახა საიდუმლო მოგზაურობიდან მოულოდნელად დაბრუნებული, თან გაუხარდა აქ მისი დანახვა. კანტორაში მისმა მუშაობამ კი დიდად გააოცა.

ტიმეასაც თვალები გაუფართოვდა გაოცებისაგან, მაგრამ არ შეიმჩნია, მაშინვე მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა.

ცოლის ფერმკრთალი სახის გულგრილი გამოხედვა ისევ გამოცანად დარჩა მისთვის, ვერაფერი ამოიკითხა მასზე, ნეტავ, თუ იცის რამე? ეჰვი თუ აქვს აღებული? ნეტავ, რა იმალება ამ ცივი გულგრილობის მიღმა? ფარული ზიზღი თუ სადღაც გულის სიღრმეში ჩამარხული თავგანწირული სიყვარული? ან, იქნებ, იმ გულცივ არ-

სებათა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც არავითარი გრძნობა არ გაა-ჩნიათ?

ტიმარი ისე იყო დაბნეული, აღარ იცოდა რა ეთქვა ცოლისთვის, ის კი თითქოს ყურადღებასაც არ აქცევდა მის უცნაურ ჩაცმულობას. ქალის თვალი რას არ შენიშნავს, მაგრამ შეუძლია თავი ისე დაიჭიროს, თითქოს არაფერი შეუმჩნევიაო.

— მიხარია, რომ დაბრუნდით! — ჩურჩულით უთხრა ბოლოს ტიმეამ. — თითქმის ყოველდღე გელოდით. თქვენი ტანსაცმელი გვერდით ოთახშია, გამოიცვალეთ და შემოდით, მანამდე მეც დავამთავრებ ანგარიშს. — ამ სიტყვებთან ერთად კალამი აიღო და პირში ჩაიდო, რითაც საშუალება აღარ მისცა მიხაის ეკოცნა მისთვის, ქმარმა ხელზე აკოცა და გავიდა.

გვერდით ოთახში მისთვის მზად იყო სუფთა პერანგი, საგულდაგულოდ დაუთოვებული კოსტიუმი და გაწმენდილი ჩექმები. ყველაფერი ისე დახვდა, როგორც სახლში. საიდან გაიგო ტიმეამ, რომ დღეს უნდა დავბრუნებულიყავი? შეუძლებელია მას ეს სცოდნოდა. ალბათ, მართლაც ყოველდღე მელოდა და, ვინ იცის, როდიდან?

მაინც რამ მოიყვანა აქ? რას აკეთებს?

ტიმარმა სასწრაფოდ დაიბანა და ახალი კოსტიუმი ჩაიცვა. ძველი ტანსაცმელი და ღაზლით ათასფრად ნაქარგი ტილოს ხალათი გარდერობში დამალა, რომ არავის დაენახა. ქალებს ხომ შესანიშნავად შეუძლიათ ნაქარგების ამოკითხვა. ხელებს დიდხანს იბანდა საპნით, ეშინოდა, არავის შეემჩნია ასე დაკოჟრებული და მზემოკიდებული რომ ჰქონდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ჩაიცვა და კაბინეტში გავიდა.

— საუზმე მზადაა, — მიმართა ტიმეამ და ხელკავი გაუკეთა.

სასადილო ოთახში მიხაის ახალი სიურპრიზი ელოდა, მაგიდა სამი კაცისთვის იყო გაშლილი. ნეტავ მესამე ვინ უნდა იყოსო, გაიფიქრა და რაღაც უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა.

ტიმეამ ზარი დარეკა. მაშინვე ერთი კარიდან მოახლე შემოვიდა, მეორეში კი ატალია გამოჩნდა.

— აი თურმე ვინ არის მესამე!

ტიმარი რომ დაინახა, ატალიას სახე ბრაზითა და ბოროტებით წამოენთო:

— აა, ბატონო ლევეტინცი! როგორც იქნა, ინებეთ შინ დაბრუნება! საუცხოოა! კარგად კი მოიფიქრეთ, მეუღლეს რომ დაუბარეთ:

„აი, ჩემი გასაღებები და საბუთები, ჩემო ძვირფასო, საქმეს შენ მიხედე!“ თვითონ კი უკვე ხუთი თვეა დასეირნობთ და ამბავიც არ ვიცით თქვენი!

— ატალია, გაჩუმდი! — სცადა მისი შეჩერება ტიმეამ.

— რატომ? მე ხომ იმას არ ვსაყვედურობ, ასე რომ დაიგვიანა, ეს მისი საქმეა, ამას ბევრი ქმარი აკეთებს, ხდება ხოლმე ისიც, რომ ქმარი კარლსბადში გაისეირნებს, ცოლი ემსში და ხელს არ უშლიან ერთმანეთს დროსტარებაში. მადლობას მოგახსენებთ, რომ ამდენი ხანი ამ მიყრუებულ სოფელში გაგვყინეთ! სხვა რომ არა იყოს რა, აქ ჩამორჩენილი გლეხებისა და კოღოების მეტი არაფერია! თქვენი მეუღლე დილიდან საღამომდე კანტორაში ზის და მეწისქვილეებთან და გემის მეპატრონეებთან ვაჭრობას უნდება, საბუღალტრო წიგნში აღნიშვნები შეაქვს და თითქმის ყველა ქვეყანაში აგზავნის წერილებს. საღამოობით ინგლისურსა და ესპანურს სწავლობს, საზღვარგარეთელ აგენტებთან მიმოწერის საწარმოებლად. კარგად მოგეხსენებათ, რომ ასეთი საქმიანობა არავითარ სიამოვნებას არ წარმოადგენს ახალგაზრდა ქალისთვის!

— ატალია! — მკაცრად შეაწყვეტინა ტიმეამ.

ტიმარი უხმოდ მიუჯდა მაგიდას, რომელზეც მისი საყვარელი სადილის სერვიზი და სასმისები დაინახა და კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ აქ ყოველდღე ელოდნენ. მაინც ადგილს ვერ პოულობდა და სულ ეკლებზე იჯდა. ატალიას სიტყვა აღარ დაუძრავს, მაგრამ მალულად თვალი გააპარა მისკენ და მისმა ბოროტი ღიმილით გაცისკროვნებულმა სახემ აგრძნობინა, რომ განსაცდელს ჯერ არ გაევლო.

ნასაუზმევს ტიმეამ ისევ კანტორაში შეიყვანა, საწერ მაგიდასთან დასვა და სააღრიცხვო წიგნი გადაშალა.

— აქ თქვენ შეგიძლიათ ნახოთ, როგორ ვაწარმოებდი საქმეებს იმ დღიდან, რაც მე მომანდეთ.

— და თქვენ სხვის დაუხმარებლად აკეთებდით ამას?

— დიახ, თქვენ ხომ ასე ინებეთ, წერილიდან შევიტყე, რომ ახალი საქმე წამოიწყეთ — საზღვარგარეთ ფქვილის გატანა. ამავე დროს მივხვდი, რომ ამ საქმის წარმატებაზე იყო დამოკიდებული არა მარტო მთელი ჩვენი კაპიტალის ბედი, არამედ სავაჭრო რეპუტაციაც. უფრო მეტიც, ვაჭრობის ახალი მნიშვნელოვანი ფორმის განვითარება. მე კარგად ვერ ვერკვევი სავაჭრო საქმეებში, მაგრამ,

ვფიქრობ, მარტო საქმის ცოდნა არ კმარა, საჭიროა თვითონ უხელმძღვანელო და პირადად შეამოწმო ყოველივე. არავითარ შემთხვევაში არ უნდა ენდო სხვას. თქვენი წერილის მიღებისთანავე ლევეტინცში გადმოვედი და თვითონვე დავიწყე საქმის მართვა. იმედი მაქვს, ყოველი წვრილმანი წესრიგში დაგხვდებათ, საღრიცხვო ჩანაწერები და სალაროში არსებული ნაღდი ფულის რაოდენობა თანაბარია.

მიხაი განცვიფრებული შეჰყურებდა მეუღლეს, რომელიც ასე მშვიდად ისროდა აქეთ-იქით მილიონებს, გასაოცარი სიმარჯვითა და საქმის ცოდნით უშვებდა ბრუნვაში და დიდ მოგებასაც იღებდა თურმე. ქარაფშუტა ადამიანის ხელში შეიძლებოდა კიდევაც გაკოტრებულიყო.

— ბედი მწყალობდა და, ამ საქმეში გამოუცდელობის მიუხედავად, ხუთი თვის მანძილზე ხუთასი ათასი ფორინტი მოგება მივიღე. ეს ფული მაშინვე ბრუნვაში გავუშვი ჩემი შეხედულებისამებრ.

ტიმარმა ვერ წარმოიდგინა, სად უნდა გამოეყენებინა ტიმეას ეს ფული.

— ბრაზილიაში ფქვილის გატანის თქვენი პირველი ცდა დიდი წარმატებით დამთავრდა. უნგრული ფქვილი მოწონებით სარგებლობს სამხრეთ ამერიკის ბაზრებზე. ამას იწერებიან თქვენი აგენტები რიო-დე-ჟანეიროდან და ერთხმად აქებენ ტოდორ კრისტიანის სიმარჯვესა და პატიოსნებას.

ტიმარი კი თავისთვის ფიქრობდა, ჩემი ყოველი სულელური წამოწყება წარმატებით როგორ უნდა დამთავრდეს, როდემდის უნდა მწყალობდეს ბედი ასეო.

— ასეთი ცნობების მიღებისას, თქვენ რა თქმა უნდა, გამოიყენებდით შემთხვევას და ახალი ბაზრების დაპყრობას შეეცდებოდით. მეც გადავწყვიტე ასევე მოვქცეულიყავი, ავიღე იჯარით ახალი წისქვილები, დავიქირავე ახალი გემები და დავტვირთე ფქვილით. ახლა მილიონნახევარი ფორინტის ღირებულების ფქვილით დატვირთული გემები სამხრეთ ამერიკაში მიდის. როცა ასეთი დიდი რაოდენობის საქონელი მიგაქვს, ყოველგვარი კონკურენცია გამორიცხულია.

ტიმარი გაოცებას ვეღარ მალავდა. ეს ქალი ყველა კაცზე უფრო გაბედული აღმოჩნდა. სხვა ქალი მის ადგილზე ამ მონაგებ ფულს ვეღარ გაიმეტებდა ბრუნვაში გასაშვებად და გადამალავდა. ტიმეამ

კი არა მარტო გააგრძელა ქმრის მიერ დაწყებული საქმე, არამედ საგრძნობლადაც გააფართოვა.

— დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენც ასევე მოიქცეოდით! —

— რა თქმა უნდა! — ჩაილაპარაკა ტიმარმა.

— როგორც კი ეს საქმე წამოვიწყე, მაშინვე კონკურენტების მთელი ხროვა დამესხა თავს. ახლა ისინიც ყიდულობენ ხორბალს დასაფქვავად და ბრაზილიაში აგზავნიან. მაგრამ ჩვენთვის ეს საშიში არ არის. არც ერთმა მათგანმა არ იცის, რაში მდგომარეობს უნგრული ფქვილის უპირატესობა.

— რა უპირატესობა?

— ახლავე აგიხსნით. რომელიმე ვაჭარს თავისი ცოლისთვის რომ ეკითხა ამის შესახებ, რა თქმა უნდა, მაშინვე შეიტყობდა. ჩემთვის კი ძნელად მისახვედრი არ იყო. სულ ადვილად შევნიშნე, რომ მსოფლიო ბაზრების პრეისკურანტებში ხორბლის არც ერთი ჯიში არ იყო ისეთი მაღალი კუთრითი წონით, როგორც უნგრული. ამერიკულს რომ გავუწიოთ კონკურენცია, საჭიროა ყველაზე მძიმე წონის მქონე ხორბლის ფქვილის გაგზავნა. ჩვენი მეტოქენი კი ყველაზე მსუბუქმარცვლიანს აგზავნიან. რა თქმა უნდა, ჩვენი ფქვილი ბევრად უკეთესია და მოგებულიც ჩვენ დავრჩებით.

ტიმარის გაოცებას საზღვარი აღარ ჰქონდა. ამ ნაზ ქალს ყოველგვარ ამქვეყნიურ სიამოვნებაზე უარი უთქვამს და მთელი ის დრო, რაც მან კუნძულზე ნებივრობაში გაატარა, კანტორაში მუშაობდა თურმე. ამ აურაცხელ ქონებას ხომ მოვლა უნდოდა! რაოდენ ყურადღებასა და დაძაბულ მუშაობას მოითხოვდა ვაჭრობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან, რაოდენ მოსაწყენი იყო მისთვის, მაგრამ ძალასა და ენერგიას არ ზოგავდა და ცდილობდა კიდევ უფრო მეტი პატივითა და დიდებით შეემოსა ქმრის სახელი მისი ქონების გადიდებით.

ამ განსაცვიფრებელი სილამაზის ახალგაზრდა ქალმა დაივიწყა საკუთარი თავი, გადასახლდა მიყრუებულ სოფელში, უდიდესი გულმოდგინებით შეისწავლა მისთვის სრულიად უცნობი სავაჭრო საქმე, უცხო ენები, აწარმოებდა მიმოწერას შემსყიდველებთან და შესანიშნავად უძღვებოდა უზარმაზარ მეურნეობას.

მისმა მოქმედებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, მთელი არსებით ჩაება ამ მეტისმეტად რთულ საქმიანობაში და პირად სიამოვნებაზე არც უფიქრია.

მიხაი მოწიწებით ეამბორა მეუღლეს ხელზე, როგორც საყვარელ მიცვალებულს კოცნიან ხოლმე ახლობლები მიწაში ჩაშვების წინ.

იქ, კუნძულზე განცხრომისა და ნეტარების წუთებში, როცა ტიმეა გაახსენდებოდა, ზღვისპირა აგარაკებზე წარმოიდგენდა ხოლმე. მას იმდენი ფული ჰქონდა, რომ ყოველგვარი სურვილი შეეძლო აესრულებინა. ახლა კი დარწმუნდა, რომ მის საქმეებში ჩაფლული ანგარიშსა და მიმოწერაში ატარებდა დროს. მასწავლებლის დაუხმარებლად შეისწავლა ორი უცხო ენა და სრული ერთგულებითა და მონდომებით ასრულებდა ქმრის დავალებას.

ტიმეამ გასაოცარი სიზუსტით ჩააბარა ანგარიში მისი უზარმაზარი წარმოების შესახებ, საქმის ღრმა ცოდნით უყვებოდა საბირჟე გარიგებების, საქონლის გადაზიდვის, მიწათმოქმედების საფაბრიკო-საქარახნო წარმოებისა და თამასუქების განაღდების შესახებ. ისე კარგად ერკვეოდა საკმაოდ რთულსა და გონებისამრევ სავაჭრო ტერმინებში როგორიცაა: კონსოლი, რენტა, იჯარა, ქვეიჯარა, მონაწილეობა, რეგალიები, ღალა, ბეგარა, კონდიციური საქონელი, გადაზიდვის ხარჯები, საცავწონა. ტონაჟი, წონითი ტონაჟი, საზღვარგარეთული ზომა-წონისა და ფულის ერთეულები, იფიქრებდით მთელი სიცოცხლე ამის შესწავლაში გაუტარებიაო.

ხშირად დასჭირვებია დავის ატეხვა, სარჩელის წარდგენა, მეტისმეტად რთული კონტრაქტების დადება, ზედმიწევნით ცოდნას რომ მოითხოვს და ყოველივე ამას უდიდესი სიზუსტითა და საქმის ცოდნით აკეთებდა.

ტიმარმა გონებაში აწონ-დაწონა მეუღლის მიერ შესრულებული სამუშაო და დარწმუნდა, რომ მის მაგივრად ამ ხუთი თვის მანძილზე თვითონ რომ ემუშავა, დილიდან საღამომდე თავს ვერ აიღებდა და ერთი წუთითაც ვერ დაისვენებდა. რაღა თქმა უნდა, უფრო გაუძნელდებოდა ახალგაზრდა ქალს, რომელსაც ჯერ უნდა შეესწავლა და გარკვეულიყო მისთვის სრულიად უცნობ საქმიანობაში, ვინ იცის, ღამითაც კი არ ეძინა!

— რამდენი გიმუშავიათ, ტიმეა, რამდენი სიძნელე გადაგილახავთ!

— მართალია, პირველად გამიჭირდა, მაგრამ თანდათან შევეჩვიე და შრომა სასიამოვნო გახდა ჩემთვის.

რა ძნელად მოსასმენი საყვედურია. ახალგაზრდა ქალი შრომაში პოულობს შვებას.

მიხაიმ ისევ აკოცა ხელზე მეუღლეს და გული შეეკუმშა. რას არ მისცემდა სანაცვლოდ, ოღონდ გაეგო, რაზე ფიქრობდა ახლა ტიმეა. მის მიერ გამოგზავნილი საწერი მაგიდის გასაღები გონებიდან არ შორდებოდა, თუ ძან უკვე ყველაფერი იცის, მაშინ მართლმსაჯულების მსახური დგას მის წინ, რომელიც სულ მალე მკაცრ განაჩენს წაუკითხავს დამნაშავეს.

— კომარომში ხომ არ ყოფილხართ მას შემდეგ? — ჰკითხა ტიმარმა.

— ერთხელ ვიყავი, სკარამელისთან დადებული კონტრაქტი დამჭირდა, რომელიც თქვენი საწერი მაგიდის უჯრაში იდო.

ტიმარმა იგრძნო, რომ ძარღვებში სისხლი ეყინებოდა, მაგრამ ტიმეას სახეზე ვერაფერი ამოიკითხა.

— ახლა ჩვენ კომარომში დავბრუნდებით. ფქვილით ვაჭრობის საქმე კარგად მიდის, ცნობებს კი ზამთრის დაწყებამდე მაინც ვერ მივიღებთ.

— კარგი იქნება, — უპასუხა ტიმეამ.

— მაგრამ თქვენ, იქნებ, შვეიცარიაში ან იტალიაში ინებებდით გამგზავრებას? რა შეედრება ახლა იქ ყოფნას?

— არა, მიხაი, ჩვენ ისედაც დიდი ხნით მოგვიხდა ერთმანეთთან დაშორება, ერთად ვიყოთ ახლა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სიტყვებთან ერთად ტიმეამ მეგობრულად გაუწოდა ხელი, მიხაი მაინც ვერ მიხვდა, რატომ უნდოდა მას „ერთად ყოფნა". თვითონ კი, გამბედაობა არ ეყო, თუნდაც ერთი საალერსო სიტყვა ეთქვა მისთვის პასუხად. აღარ უნდოდა ეცრუა, მაგრამ იმ დღეს მაინც მოუხდა ტყუილის თქმა და არაერთხელ. თუმცა, სულ რომ არ ამოეღო ხმა, ტიმეას თვალებში რომ უყურებდა მოურიდებლად, ესეც ტყუილის თქმას უდრიდა მისი მხრიდან.

ხაქმეების გადაბარებამ სადილობამდე გასტანა.

სადილად ორი სტუმარი ჰყავდათ მიწვეული, მოურავი და მისი უწმინდესობა მღვდელმთავარი.

მისი უწმინდესობა თავის მოვალეობად თვლიდა ამ მხარის ბატონ-პატრონი მოენახულებინა და როგორც კი მისი ჩამოსვლის ამბავი გაიგო, მკერდზე ორდენი დაიბნია და სტუმრად ეწვია.

მღვდელმთავარმა სახლში ფეხი შემოდგა თუ არა, მაშინვე ტიმარის ქებას მოჰყვა, ათასნაირ ხოტბას ასხამდა, როგორც ამ კუთხის

მფარველსა და მწყალობელს. ნოეს ადარებდა, კიდობანი რომ გააკეთა, იოსებს, ხალხი შიმშილისაგან რომ იხსნა, მოსე წინასწარმეტყველს, ზეცას ბურღული რომ სთხოვა; დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მის მიერ ფქვილით ვაჭრობის განვითარებას და აღფრთოვანებული ამბობდა, ამის მსგავსი ევროპაში ჯერ არაფერი მომხდარაო.

საჭირო იყო ტიმარს მადლობა გადაეხადა მისთვის და საპასუხოდ რაიმე ეთქვა, მაგრამ ენა ებმებოდა და ათასგვარ სისულელეს ამბობდა, თან სიცილს ძლივს იკავებდა. ერთი სული ჰქონდა ეთქვა: „არ გეგონოთ, ამ ვაჭრობით ყველა თქვენგანის გაბედნიერება მინდოდა, არა, ეს საქმე მხოლოდ იმიტომ წამოვიწყე, რომ ერთი ლამაზი გოგონასთვის აბეზარი საქმრო ჩამომეცილებინა. და თუ შემდეგ დიდი წარმატება ჰპოვა, ეს ჩემს გვერდით მჯდომი ქალბატონის დამსახურებაა მხოლოდ! მოდით, ვიცინოთ!“

სადილზე ყველა მხიარულობდა, ღვინომ თავისი გაიტანა და ხასიათზე მოვიდნენ. მისი უწმინდესობა ქალების დიდი მოყვარული გახლდათ და ქათინაურებს არ იშურებდა ტიმეასა და ატალიასთვის, რაზედაც მოურავი სულ დასცინოდა. ამ მხიარული მოხუცების ოხუნჯობაზე ტიმარიც ვერ იკავებდა სიცილს, მაგრამ როგორც კი ცოლის ყინულივით ცივ სახეს შეავლებდა თვალს, მაშინვე სერიოზულ გამომეტყველებას მიიღებდა.

სადილი შებინდებამდე გაგრძელდა. სტუმრები უკვე ერთი-მეორეს აჩქარებდნენ, წასვლის დროაო, და თან ჩუმად ანიშნებდნენ, ამდენი ხნის განშორების შემდეგ ახალგაზრდებს, ალბათ, მარტო დარჩენა ურჩევნიათო.

— მართლაც კარგი იქნება წასვლას თუ მოიფიქრებენ, — ჩასჩურჩულა ტიმარს ატალიამ, — ტიმეას საღამოობით საშინელი თავის ტკივილი აწუხებს და მთელი ღამე არ სძინავს. ხომ ხედავთ, რა გაფითრებულია?

— ტიმეა, თქვენ შეუძლოდ ხართ? — ჰკითხა მზრუნველობით ტიმარმა.

— არა, არაფერი არ მაწუხებს, — მშვიდად უპასუხა ტიმეამ.

— არ დაუჯეროთ. მას შემდეგ რაც ლევეტინცში გადმოვსახლდით, ყოველდღე თავის ტკივილი აწუხებს. ალბათ, დაძაბული მუშაობის გამო. აქაური ჰავაც ძალზე ცუდად მოქმედებს მასზე. ამ დღეებში მის თმაში ჭაღარაც კი შევნიშნე... მას არ უნდა თავისი ავად-

მყოფობით ვინმე შეაწუხოს და არაფერს უჩივის, მე ხომ ვიცი მისი ხასიათი. ფეხზე დგომაც რომ აღარ შეეძლოს, ხმას არ ამოიღებს.

ტიმარი უდიდეს სულიერ ტანჯვას განიცდიდა, მაგრამ მაინც არ ეყო გამბედაობა, ეთქვა ცოლისთვის: „შენ შეუძლოდ ხარ, ნება მომეცი, შენს საწოლ ოთახში ვიყო შენს გვერდით!“

არა, არა! ძილში „ნოემის“ სახელი რომ წამომცდეს? თუ ტიმეას ?ელი ღამე არ სძინავს, ხომ გაიგონებს სხვა ქალის სახელს? ეს შეუძლებელია!

მეორე დღეს მთელი ოჯახი კომარომში გაემგზავრა საფოსტო ეტლით. მკა უკვე დამთავრებული იყო, მხოლოდ სიმინდის ყანები და ლერწამი თუ გამოჩნდებოდა აქა-იქ. გზაში საინტერესო არაფერი იყო და მგზავრები მოწყენილობისაგან თვლემდნენ

ნაშუადღევს მიხაილ უკვე ვეღარ გაუძლო ცოლის უსიტყვო ბზერას, თამბაქოს მოწევა მინდაო, მოიმიზეზა და კოფოზე ავიდა მეეტლის გვერდით.

ყოველ გაჩერებაზე ატალია წუწუნით იკლებდა იქაურობას. ყველაფერი ნერვებს უშლიდა: ცუდი გზები, მტვერი, ბუზები და ვინ მოთვლის კიდევ რა. მისი აზრით, სამიკიტნოებში სისუფთავე არ იყო, საჭმელები უგემური იყო, საწოლები მაგარი, ღვინო მჟავე, წყალი მღვრიე, დამხვდურნი მასში მხოლოდ ზიზღს იწვევდნენ. მთელი მგზავრობის განმავლობაში ეს თავნება ქალი სულ ჭირვეულობდა და მხოლოდ იმაზე ლაპარაკობდა, რომ ძალიან ცუდად გრძნობდა თავს, გული ერეოდა, აციებდა და ტკივილებისაგან თავი უსკდებოდა. მისმა გაუთავებელმა წუწუნმა მიხაის მთელი გზა გული გაუწყალა, ტიმეასგან კი, რომელსაც, შესაძლოა, მგზავრობის პირობები უფრო მეტადაც აწუხებდა, ერთი ამოოხვრაც არ გაუგია.

ბოლოს, როგორც იქნა, კომარომსაც მიაღწიეს. ქალბატონი ზოფია გახარებული მიეგება მათ, — ამდენი ხანი სადა ხართ, თქვენზე დარდმა გამაშაღარავაო. სინამდვილეში კი ძალიან სიამოვნებდა მარტოდ მარტო ცხოვრება, რადგან მთელი სახლის ბატონ-პატრონი. იყო და დიდ განცხრომაშიც გახლდათ. ერთადერთი მისი საზრუნავი ნაცნობებთან სიარული და ჭორაობა იყო.

სახლში შესვლისას მიხაი რაღაც გაურკვეველმა მღელვარებამ მოიცვა, ახლა, აქ უნდა გარკვეულიყო, რა იმალებოდა მისი ცოლის მარმარილოსავით ცივ გამოხედვაში და ეს სახლი მისთვის ან სამოთ-

ხელ უნდ· ქცეულ· „ო ამიერიდან ან ჯოჯოხეთად. მან ტიმეა თავის ოთახა·ლ·ე ნიაცილ· ტიმეამ საწერი მაგიდის გასაღები გაუწოდ·

საწერი მაგიდა ძველისძველი ნაკეთობა იყო, მისი ამობურცულ· კარების უკან სხვადასხვა ზომისა და ფორმის უჯრები იყო მოთავსებული. ზოგში საბუთები და კ·ნტრაქტები ეწყო, ზოგში ფასიანი ქაღალდები და ძვირფასი ნივთები. უჯრები რკინისა იყო, მაგ·ამ წითელი ბისფრად იყო შეღებილი და საიდუმლო საკეტი ჰქონდა გასაღები ორივე მხარეს ერთნაირად ტრიალებდა, საჭირო იყო მხოლოდ გცოდნოდათ, როგორ უნდა გადავეწია·. ტიმეამ იცოდა ეს საიდუმლო.

მიხაიმ გულის ფანცქალით გამოაღო საიდუმლო უჯრა. აქ ინახავდა ის ძვირფას ნივთებს, რომელთა გაყიდვაც არ შეიძლებოდა. პატიოსან თვალთა მცოდნე ოსტატებს შეეძლოთ ეცნოთ, ისეთ ი·ვიათობას წარჩოადგენდა! მათ თვალის ერთი გადავლებით შეეძლოთ ზუსტად განესაზღვრათ მათი წარმოშობა და ღირებულება. რა თქმა უნდა, ყველას დააინტერესებდა, საიდან ჰქონდა ეს უნიკალური ნივთები. საქვეყნოდ მათი გამოტანა მხოლოდ პირველი მფლობელის მესამე თაობის წარმომადგენელს შეეძლო, მის წინაპარს სად და როგორ ჰქონდა შეძენილი, უკვე სულ ერთი იყო.

თუ ტიმეას ცნობისმოყვარეობამ სძლია და უჯრები დაათვალიერა, ძვირფას ნივთებსაც ნახავდა, ამ ალმასებით მოჭედილი მედალიონის ხელში აღებისას კი დედამისის სახის ამოცნობა არ გაუჭირდებოდა. მისთვის ნათელი გახდებოდა, რომ მან მამამისის ქონება მიითვისა, გამდიდრდა და შემდეგ კეთილშობილი კაცის ნიღაბ-ამოფარებულმა ცოლად შეირთო იგი. უფრო მეტიც, შეეძლო ეფიქრა, რომ მამამისის უეცარ სიკვდილსა და მის დასაფლავებაშიც მისი ხელი· ერია.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ რით უნდა აიხსნას მისი ასეთი თავგამოდებული ზრუნვა მეუღლის სახელისა და პატიოსნებისათვის? ნუთუ შეიძლება, იფიქრო· იმ ადამიანის ღირსებასა და პატიოსნებაზე, ვისაც ესოდენ მიუტევებელი დანაშაული მიუძღვის, მხოლოდ იმიტომ, რომ ის შენი მეუღლეა და ერთგულების აღთქმა მიგიცია მისთვის. ამაზე ფიქრიც კი აუტანელი იყო მისთვის და გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, სიმართლე შეეტყო. სხვა გზა არ ჰქონდა, ისევ ტყუილი უნდა ეთქვა. მან მედალიონი უჯრიდან ამოიღო და ტიმეასთან შევიდა.

— ჩემო ძვირფასო, ამ მოგზაურობის [illegible] თურქეთ[illegible] ვიყავი, იქ ჩემი საქმიანობის შესახებ შემდეგ [illegible] [illegible]კუტარში ერთმა სომეხმა ოქრომჭედელმა ალმასებით მოჭედილი უძვირფასესი მედალიონი შემომთავაზა, რომელშიც მშვენიერი ქალის სურათი იყო ჩასმული და საოცრად გგავდათ თქვენ. მე [illegible] [illegible] [illegible]

გა წუთი, როდესაც შეეძლო მეუღლის ტუჩები დაეკოცნა, მაგრამ გული წინ აღუდგა მის გონებას: არ შეიძლება! მას შემდეგ, რაც უპატრონო კუნძულზე მოხდა, შენ აღარა გაქვს ამის უფლება.

სამაგიეროდ ახალი კეთილშობილური აზრი მოუვიდა. დაბრუნდა თავის ოთახში და მთელი გადამალული განძეული ამოიღო უჯრიდან (საცარი ქალია სწორედ, ხომ შეეძლო ყველა უჯრა გაეჭეჭა, მან კი საჭირო საბუთები ამოიღო მხოლოდ და ხელი არაფერს ახლო!).

განძეული სანადირო ჩანთაში ჩააწყო, ლევეტინცში დაბრუნებისას ზურგზე რომ ეკიდა და ისევ ცოლთან შევიდა.

— მე ჯერ ყველაფერი არ მითქვამს თქვენთვის, იმ მედალიონთან ერთად ეს ძვირფასი ნივთებიც გიყიდეთ, აი, მიიღეთ ჩემგან საჩუქრად!

და მან ტიმეას მთელი განძეული კალთაში ჩაუყარა. ეს იყო უამრავ პატიოსან თვალთა გროვა, რომელიც ათას ერთი ღამის ზღაპრის საუნჯეს მოგაგონებდათ.

ატალია გაოცებული შეჰყურებდა და შურით სკდებოდა. შურისძიების ცეცხლით ანთებულ თვალებს ვერ აცილებდა და სიბრაზისაგან დამუშტული ხელებით გაქვავებულივით იდგა. (ხომ შეიძლებოდა, ეს ყველაფერი ჩემი ყოფილიყო!).

ტიმეა კი გულგრილად დაჰყურებდა მის მუხლებზე დაყრილ ზღაპრულ განძეულს. პატიოსან თვალთა ციმციმი, ლალისა და ალმასის ბრწყინვალები მის გაყინულ გულს ვერ ათბობდა!

მეოთხე ნაწილი

ნოემი

I. ახალი სტუმარი

ზამთრის დღეები ათასი საქმითა და საზრუნავით იქცევს ადამიანს. ბევრი საქმეა, როგორც მდიდარხ ვაჭრები იტყვიან ხოლმე.

ბატონი ლევეტინცი თანდათან ეჩვეოდა და იფერებდა თავის მაღალ მდგომარეობას. ამქვეყნიური ცხოვრების ყოველი სიკეთე ხომ მდიდარი კაცისთვისაა მოგონილი. ის ახლა ხშირად დადიოდა ვენაში და არავითარ იმ გართობას არ იკლებდა, მხოლოდ რამდენიმე, მდიდართა შორის უმდიდრესთათვის რომ არის ხელმისაწვდომი. ვის არ აცთუნებს ასეთი ფუფუნება, მით უმეტეს, როცა მილიონებს მანეთიანებივით ათამაშებ! ტიმარს ყველაფრის უფლება შეეძლო მიეცა თავისთვის, საშუალება ჰქონდა საიუველირო მაღაზიაში ერთდროულად ორი უძვირფასესი ნივთი ეყიდა საახალწლო საჩუქრად, ერთი იმ ქალისთვის, ოჯახში მის მაგივრობას რომ ეწეოდა მისი ყოველი დროსტარებისა და ქეიფის დროს, მეორე კი იმისთვის, მდიდრულ სასტუმროებს, მორთულ-მოკაზმულ ეტლებს, მაქმანებსა და ძვირფას სამკაულებს რომ არ იკლებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოცეკვავე ან მომღერალი იყო მხოლოდ.

მას წვეულებებს უმართავდნენ თანამოსაქმე მილიონერები, დარბაისელი, წარჩინებული მანდილოსნები ჩაის უსხამდნენ და თავაზიანი ღიმილით ესაუბრებოდნენ. მაგრამ არც სხვაგვარ წვეულებებს აკლდებოდა, სადაც თავაშვებულ მხიარულებას ბოლო არ უჩანდა და ქალები შამპანურზე უარს არ ამბობდნენ. აქ მას ხშირად ეკითხებოდნენ, როდის აირჩევდა ბოლოს და ბოლოს ღირსეულ სატრფოს ოპერის მომღერალ მომხიბლავ ქალთაგან?

ტიმარს ამ სიტყვებზე ლოყები შეუწითლდებოდა ხოლმე, რაც საერთო სიცილ-ხარხარს იწვევდა.

— რას ბრძანებთ! ბატონი ლევეტინცი დარბაისელი კაცია, სანი-

მუშო. ერთგული მეუღლეა! — ნაძალადევი სერიოზულობით წარმოთქვამდა ხოლმე რომელიმე მილიონერი.

— რა თქმა უნდა! — დაუმატებდა მეორე, — მას ისეთი ლამაზი და ჭკვიანი ცოლი ჰყავს, რომ მის ბადალს მთელს ვენაში ვერ იპოვით! ასეთ შემთხვევაში ერთგულება ძნელი საქმე არ არის!

— ძუნწია და მეტი არაფერი! — იტყოდა მესამე მის ზურგს უკან, — მაგას ალბათ დღე და ღამე არ სძინავს იმის დარდით, რომ ის მზეთუნახავი უამრავ ფულსა ჰყრის ფარჩა-აბრეშუმითა და მაქმანებით მორთვა-მოკაზმაში!

ვიღაც კი ჩურჩულით საიდუმლოდ ყვებოდა მის საიდუმლოს, ტიმარი ერთი იმათგანია, ყველასა და ყველაფრის მიმართ გულგრილნი რომ არიან მუდამ და ვერაფრით აცთუნებ. ეს, რა თქმა უნდა, მეტისმეტად აღიზიანებს მომხიბლავ, იმედგაცრუებულ მანდილოსნებს, რომელთაც თავისი ცხოვრების მიზნად მამაკაცების მოჯადოება დაუსახავთ, ისინი ყოველნაირად ცდილობენ მისი გულის დაპყრობას, მაგრამ ამაოდ, ასეთ უგრძნობ კერპს ვერავითარი თილისმით ვერ გააბამ მახეში.

— სანიმუშო ქმრის მაგალითია! — ხოტბას ასხამდნენ ერთნი.

— დოყლაპიაა! — კილავდნენ ზურგს უკან მეორენი.

ტიმარი კი არავის ყურადღებას არ აქცევდა და ფიქრებით თავის საყვარელ ნოემისთან იყო. უკვე ექვსი თვე იყო, რაც არ ენახა, დღე და ღამე მასზე ფიქრობდა. თანაც ამის შესახებ სიტყვის თქმა არ შეეძლო ვინმესთან, რომ ნაღველი ცოტა მაინც შეემსუბუქებინა.

სულ იმის ცდაში იყო, თავისი გრძნობები არ გაეცა, მაგრამ ერთხელ სადილობისას ცოლთან კინაღამ წამოცდა: შეხედე ამ ვაშლებს, სწორედ ისეთია, როგორც ნოემის კუნძულზე! მეორედ ტიმეას თავი სტკიოდა და ძლივს შეიკავა თავი, რომ არ ეთქვა: საკმარისი იყო ნოემისთვის შუბლზე ხელი დამედო და მაშინვე დაუამდებოდა ხოლმეო. ტიმეას საყვარელი თეთრი ფისუნია სულ ნარცისას აგონებდა და ერთხელ კინაღამ გაუწყრა. ოჰ, ნარცისა, შენი პატრონი როგორ მიატოვეო!

ისე, დიდი სიფრთხილე მართებდა, მის სახლში ხომ ისეთი არსება იმყოფებოდა, რომელიც ტიმეასა და მის ყოველ უმნიშვნელო მოძრაობასაც კი ზომავდა და უთვალთვალებდა.

ატალიამ შეამჩნია, რომ ძოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ ტიმარი ჩვეულებრივზე უფრო მხნედ და ხალისიანად გამოიყურე-

ბოდა. მის მახვილ თვალს არ გამოჰპარვია ეს ცვლილება და მიხვდა, რომ აქ რაღაც საიდუმლო იფარებოდა. განა ის აიტანდა, რომ ამ სახლში ვინმე ბედნიერი ყოფილიყო? მას მოსვენება დაუკარგა იმან, რომ ტიმარი ისე აღარ იტანჯებოდა, როგორც მას ურდოდა და გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, შეეტყო სად პოვა ბედნიერება!

ოკეანისგადაღმა ვაჭრობის საქმე საუცხოოდ მიდიოდა. ახალი წლის დასაწყისშივე მიიღეს ცნობა, რომ გემი მშვიდობით ჩავიდა ადგილზე და მოგება განაღდებული იყო. სამხრეთ ამერიკაში უნგრულ ფქვილს ისეთი მოწონება ხვდა, რომ ადგილობრივსაც კი მისი სახელით ასაღებდნენ. ბრაზილიაში მყოფმა ავსტრიის კონსულმა მთავრობას სასიხარულო ამბავი აცნობა, მაღალხარისხოვანმა უნგრულმა ფქვილმა დიდად გაითქვა სახელი და საგარეო ვაჭრობის სფერო საგრძნობლდ გააფართოვაო.

სამშობლოს წინაშე ასეთი დამსახურებისათვის ვაჭრობის დარგში და ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის, ტიმარი ხელნწიფის მრჩეველის ტიტულით და წმინდა იშტვანის ორდენის მცირე ჯვრით დააჯილდოეს.

როცა ორდენი მკერდზე დააბნიეს და საზეიმო ვითარებაში გაისმა შეძახილები: „მოწყალეო ხელმწიფეე!“, მის სულში ჩამჯდარმა დემონმა დაცინვა დაუწყო: „ყოველივე ამას შენ ხომ ორ ქალს, ნოემის და ტიმეას უნდა უმადლოდე“.

— განა სულ ერთი არ არის? — ფიქრობდა იგი. — მეწამული ფერის საღებავიც ხომ სრულიად შემთხვევით აღმოაჩინეს! ერთი მწყემსის შეყვარებული გოგონას ძაღლმა მეწამული ფერის ლოკოკინას უკბინა თურმე და მთელი დრუნჩი მოისვარა. ამით დიდად დაინტერესდნენ და შემდეგ უკვე მთელ ქვეყანაზე გავრცელდა, როგორც ვაჭრობის საგანი.

კომარომის საზოგადოებამაც დიდი შეფასება მისცა ბატონ ლევეტინცის ღვაწლს. მარტო სიმდიდრე დიდ დამსახურებად არ ჩაეთვლება ადამიანს, მაგრამ თუ ხელმწიფის მრჩეველის ტიტულს მიანიჭებენ, ეს უკვე საერთო აღიარებას და პატივისცემას ნიშნავს.

ყველა ტიმართან მოიჩქაროდა მოსალოცად: მოხელეები, ამქრები, მაგისტრატის წარმომადგენლები, წარჩინებული სასულიერო პირები, ნაცნობ-მეგობრები და ისიც საუცხოოდ იფერებდა ამ მაღალ მდგომარეობას.

მოსალოცად მოვიდა გემთსაშენის უფროსი, ბატონი იანოშ ფაბულაც. ის თავისი თანამდებობის საკადრის კოსტიუმში იყო გამოწყობილი, ძვირფასი მუქ-ლურჯი მაუდის სადღესასწაულო დოლმანი ეცვა, ბერძნული თხილისოდენა ლოკოკინისნაირი ვერცხლის მოელვარე ღილებით დამშვენებული. გულზე ვერცხლისავე ყელსაბამით კომარომში გამოჭედილი დიდი მედალიონი ეკიდა იულიუს კეისრის გამოსახულებით. კომარომის დანარჩენი გემთმშენებლებიც ასე მორთულ-მოკაზმულნი ეწვივნენ. მაშინდელი ჩვეულების თანახმად მოსალოცად მოსულ სტუმრებს საგანგებოდ გაშლილ სუფრასთან იწვევდნენ სადილად. ასეთი პატივი, რაღა თქმა უნდა, ბატონ ფაბულასაც ხვდა წილად.

ფაბულა მეტად კეთილი, პატიოსანი და პირდაპირი კაცი იყო. ღვინომ გამბედაობა შემატა და თავი ვეღარ შეიკავა, რომ არ ეთქვა დიასახლისისთვის, პირველად რომ გნახეთ, რას წარმოვიდგენდი, თუ თქვენგან ასეთი ბრწყინვალე ქალბატონი დადგებოდა და თანაც ბატონი ლევეტინცის მეუღლე გახდებოდითო. დიდია ღმერთის განგება, ადამიანის გონება იმას რას მიხვდება! ყველაფერი ისე მოხდა, უკეთესს რომ ვერ ინატრებს კაცი! გულით მიხარია ამ ოჯახის ბედნიერება! ნეტავ ღმერთი შეისმენდეს იმ ადამიანთა ვედრებას, ვისთვისაც ბატონ ლევეტინცის თავისი წყალობით ბედნიერება მოუტანია და ახალ მიწიერ სტუმარს მოუვლენდეს პატარა ანგელოზის სახით!

შეშინებულმა ტიმარმა ღვინით სავსე ჭიქას უნებურად ხელი დააფარა; თუკი ღვინო ასე ალაპარაკებს ამ კაცს, ვინ იცის, მეც რა არ წამომცდესო, და გადაწყვიტა წვეთი აღარ დაელია. ფაბულას სიტყვებმა მაინც ხასიათი გაუფუჭა „რაღა ვქნა, ღმერთმა მათი ვედრება რომ შეისმინოსო!“ ენადგაკრეფილი კეთილი მოხუცი კი თავის საუკეთესო სურვილებს უხვად აფრქვევდა და თან რჩევა-დარიგებებსაც არ იშურებდა.

— ასე როგორ შეიძლება, ბატონო! მისი ბრწყინვალება თავს სულ არ ზოგავს, ადამიანი ხომ ერთხელ ცოცხლობს ამქვეყნად! მის ადგილზე მე დიდხანს არასოდეს დავტოვებდი ასეთ ლამაზ ცოლს მარტოდ. ის კი მუდამ რაღაც ახლის გამოგონებაზე ფიქრობს და თანაც ყველგან უშუალოდ თვითონ უნდა წავიდეს და უხელმძღვანელოს. მასთან ხომ ვერაფერს გააწყობ, რამდენიც არ უნდა ეხვეწო! თუმცა რასაც ხელს მოჰკიდებს, ყველაფერი წარმატებით მთავრ-

დება! აბა, ვის მოუვიდოდა აზრად აქედან ბრაზილიაში ფქვილის გაგზავნა? პირველად რომ გავიგე ამის შესახებ, კადნიერებად ნუ ჩამოშართმევთ და გულმოსულმა გავიფიქრე, ჩვენი ბატონი ნამდვილად გაგიჟებულა, სანამ ადგილზე ჩაიტანენ, ის ფქვილი ხომ აღარაფრად ივარგებს-მეთქი! თანაც იმ ქვეყნებში ბომ დიდი ხეები პურს ისხამს, ბუჩქები კი ფუნთუშებს, მაგრამ ხომ ნახეთ, რა მოგება ხვდა წილად! ეს კი მხოლოდ იმიტომ, რომ ბატონმა თვითონ მოჰკიდა ხელი ამ საქმეს!

ფაბულას უკანასკნელ სიტყვებში მიხაიმ ფარული ირონია იგრძნო და აღარ დააყოვნა პასუხი:

— სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ თქვენი ქება-დიდება ქალბატონს უფრო ეკუთვნის, ამ საქმეს ხომ პირადად ის ხელმძღვანელობდა.

— ქალბატონსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ საქმეში, — უპასუხა იანოშმა, — გთსოვთ მომიტევოთ, ბატონო ჩემო, მაგრამ, რაც ვიცი, ვიცი. სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვე, სად გაატარეთ თქვენ ზაფხული და მთელი ის დრო, რაც წასული იყავით.

ამ სიტყვებით შეძრწუნებულ ტიმარს თმები ყალყზე დაუდგა. ნუთუ მართლა იცის ამ კაცმა ჩემი ასავალ-დასავალი? ესღა მაკლდა სწორედ!

იანოშმა ჭიქის ზემოდან გადახედა და ეშმაკურად თვალი ჩაუკრა.

— აბა, ახლა რას იტყვით, ვუთხრა ქალბატონს, სად იყავით ზაფხულში? გაგცეთ?

ტიმარი შიშისაგან ადგილზე გაქვავდა. ატალია თვალს არ აცილებდა და ცდილობდა მისი სახის ნაკვთების არც ერთი მოძრაობა არ გამოჰპარვოდა. თავს ძალა დაატანა და გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, გულგრილი გამომეტყველება შეენარჩუნებინა, არავის არ უნდა შეემჩნია, რომ შეზარხოშებული სტუმრის სიტყვებმა შეაშფოთა იგი.

— რახან ასეა, რა გაეწყობა, მოუყევით სად გავატარე ზაფხული. — ხელოვნური სიმშვიდით განაცხადა მიხაიმ.

— ყველაფერს ვიტყვი, არაფერს არ დაგიმალავთ, — განაცხადა გახალისებულმა ფაბულამ და ღვინით სავსე სასმისი მაგიდაზე დადგა. — ჩვენი ბატონი, როგორც მოგეხსენებათ, ისე წავიდა, სიტყვაც არავისთვის უთქვამს, ჩაჯდა გემში და ბრაზილიას გაემგზავრა! დიახ,

დიახ! თქვენ ამერიკაში იყავით და პირადად ხელმძღვანელობდით ფქვილით ვაჭრობას, ამიტომ იყო ასეთი დიდი წარმატება რომ კვხვდა წილად.

— რა ხუმარა ყოფილხარ, ჩემო იანოშ! — გაიცინა ტიმარმა და შვებით ამოისუნთქა. — ატალია, გთხოვთ შავი ყავა მოიროვათ ბატონ ფაბულას.

— ხომ მართალს ვამბობ? — თავისას არ იშლიდა იანოში, — რაც არ უნდა დამალოთ, მე ვერას გამომაპარებთ! ძალიან კარგად ვიცი, რომ ბრაზილიაში იყავით, სამი ათასი მილი გადასცურეთ და ორაერთ ქარიშხალსა და ველურ კაციჭამიათა თავდასხმებს გადაურჩით. ეს საიდუმლო მხოლოდ ღმერთმა იცოდა, ახლა თქვენც გაგანდეთ და იმედი მაქვს, ქალბატონო, რომ ზომებს მიიღებთ და შემდეგისთვის აუკრძალავთ ატლანტის ოკეანესთან ასეთ თამაშს!

ტიმარმა ქალებს შეხედა. ტიმეას სახეზე შეშფოთება და გაოცება ამოიკითხა, ატალია კი დაბოღმილი მისჩერებოდა. ორივემ ისევე დაიჯერა ეს გამოგონილი ამბავი, როგორც თვითონ იანოშს სჯეროდა და შეეძლო კიდევაც ჯვარზე დაეფიცა, რომ მისი ნაამბობი სრული სიმართლე გახლდათ.

თვით ტიმარიც იძულებული იყო ღიმილით დაედასტურებინა, რომ ფაბულა მართალი იყო. ოქროკაცი ისევ სტყუოდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა.

ფაბულას მონაყოლმა ახლა სწორედ მდგომარეობიდან გამოიყვანა. უნგრეთში ძველი დროიდანვე დამკვიდრებული იყო ჩვეულება, ლეგენდები შეეთხზათ გამოჩენილ ადამიანებზე, ხალხის თვალში კიდევ უფრო ასამაღლებლად, თუნდაც საამისო არაფერი გაეკეთებინოთ, მაგრამ ისე დამაჯერებლად ჰყვებოდნენ, რომ ბოლოს და ბოლოს თვითონაც სჯეროდათ და უტყუარ ისტორიულ ფაქტებად მიიჩნევდნენ ხოლმე.

ამის შემდეგ ტიმარს, როცა დიდი ხნით მიდიოდა, ათასი რამ შეეძლო მოემიზეზებინა და ამით პირიქით ამაღლებულიყო კიდევაც ყველას თვალში, ამას ცოლის უდიდეს ერთგულებასა და სიყვარულში ჩაუთვლიდნენ. აბა, რომელი ქმარი ეტყოდა საყვარელ ცოლს, ამერიკაში მივდივარო, როცა მაშინ ოკეანეში მგზავრობა ათას ხიფათთან და განსაცდელთან იყო დაკავშირებული.

ტიმარმა სულ ადვილად შესძლო თავისი ვითომდა ამერიკაში გამგზავრება ყველასთვის სინამდვილედ მოეჩვენებინა, ამაში თვით

ატალიასაც კი ეჭვი არ ეპარებოდა. ის კარგად იცნობდა ქალის გულს, შესანიშნავად გრძნობდა ტიმეას განცდებს და გრძნობასაც, რომელსაც ის ებრძოდა. ტიმეა ცდილობდა, რაც შეიძლებოდა შორს ყოფილიყო იმ ადამიანისაგან, რომელიც უყვარდა და ტიმარის არყოფნის დროს მიყრუებულ სოფელში გადასახლდა. იქ მოსაწყენი საბუღალტრო წიგნებით ცდილობდა გაექარვებინა თავისი ნაღველი, დილიდან საღამომდე ისეთ საქმეებში იყო ჩაფლული, რომელსაც შეუძლია ჩაახშოს ყველა ადამიანური გრძნობა, გარდა სიხარბისა და ფულის მომხვეჭელობისაკენ ლტოლვისა. ასე ცდილობდა ჩაეკლა თავისი სიყვარული.

თუკი უბედური ქალი ასეთი გზით ცდილობდა დარდის გაქარვებას, რატომ არ უნდა მოქცეულიყო კაციც ასევე? ან კი, როგორ შეიძლებოდა ტიმარს განდეგილივით უდაბნოსაკენ, ოკეანის უკიდეგანო ტალღებისაკენ ლტოლვის სურვილი არა ჰქონოდა, რომ იქ ეპოვა სულის სიმშვიდე.

მაგრამ ატალიას აზრად როგორ მოუვიდოდა, რომ კაცი ბევრად უფრო იღბლიანი გამოდგა, რომ მან ჰპოვა მალამო თავისი დაკოდილი გულისთვის და რომ სახლიდან წასულს სხვაგან ბედნიერება ელოდა?

ატალია, ალბათ, სიცოცხლესაც არ დაიშურებდა ამ საიდუმლოს ამოსაცნობად, ოღრამ უპატრონო ყუნძულის ირგვლივ შემოვლებული ლერწმნარი მეფე მიდასის დალაქის ლერწამივით მოლაპარაკე არ აღმოჩნდა.

ატალია ყოველ ღონეს ხმარობდა სინამდვილის გასაგებად, მაგრამ ტიმარი და ტიმეა შინ და გარეთ უბედნიერესი ცოლ-ქმარის შთაბეჭდილებას სტოვებდნენ. ქმარს უამრავი ძვირფასი სამკაულები მოჰქონდა ტიმეასთვის, რომლებითაც ის სიამოვნებით ირთვებოდა და საზოგადოებაში გამოჩენისთანავე ყველას ყურადღებას იპყრობდა. თვალისმომჭრელი ბრილიანტების მირთმევა ცოლისთვის კი უდიდესი სიყვარულისა და ერთგულების დამამტკიცებელი საბუთი იყო.

ატალია ხშირად ფიქრობდა და, პასუხს ვერ პოულობდა — ნუთუ ტიმარი და ტიმეა იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნიან, რომელთათვისაც სიყვარული მხოლოდ ძვირფასი ქვებით მოოჭვილი სამკაულების მირთმევითა და მისი მიღებით გამოიხატება? — ან, იქნებ, ამქვეყნად არსებობენ ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ბედ-

ნიერნი იყვნენ უსიყვარულოდ? თუმცა ყოველივე ამას ტიმეას მისამართით ფიქრობდა მხოლოდ და არა ტიმარისა, რომელიც დღეებს ითვლიდა, როდის გავიდოდა ზამთარი და სულმოუთქმელად ელოდა წყლის წისქვილების ამუშავებას.

წინა წელს წარმატებით დამთავრდა ვაჭრობა, ახლა საჭირო იყო ოკეანის იქეთა მხარეს მისი კიდევ უფრო გაფართოვება. ცოლს ურჩია რომელიმე ზღვისპირა აგარაკზე დაესვენა ზაფხულში. საქმის წარმოება კი შუამავლებსა და მოურავებს დაავალა.

თვითონ სად მიდიოდა, არავინ ეკითხებოდა. შეიძლება ისევ სამხრეთ ამერიკაში წასულიყო ან ეგვიპტესა და რუსეთში. მას კი გული სამხრეთისაკენ მიუწევდა. როგორც კი ალვის ხეებმა კვირტები გამოიტანა, შინ ვეღარ ჩერდებოდა, ნოემის სახე დღე და ღამე მოსვენებას აღარ აძლევდა.

მალე ტიმარი კომარომიდან გაემგზავრა. ლევეტინცში არ გაჩერებულა, მხოლოდ აუცილებელი მითითებები მისცა მოურავებსა და მმართველს და ნება დართო ისე ემოქმედათ, როგორც საჭიროდ ჩასთვლიდნენ. ღამის გათევა გოლოვაცში გადასწყვიტა, მისი უწმინდესობის ბინაში, რომელსაც მკერდზე უკვე ორდენი უბრწყინავდა.

გვიან საღამოს მიუახლოვდა ტიმარი მის სახლს და სამზარეულოს გავლით დარბაზში შევიდა, სამზარეულოში მოგიზგიზე ცეცხლთან, მშვენიერი ახალგაზრდა ქალი ფუსფუსებდა. დარბაზში ტიმარს ქვრივი მღვდელმთავარი მარტო დაუხვდა, მაგრამ მაგიდა რატომღაც ორი კაცისთვის იყო გაშლილი.

მისმა უწმინდესობამ საპატიო სტუმარი მეტად თავაზიანად მიიღო, მიულოცა მაღალი ჯილდო და ერთი წუთით სამზარეულოში გავიდა მის პატივსაცემად განკარგულების გასაცემად.

— საერთოდ „ჩვენ“ არც ისე ხელგაშლით ვცხოვრობთ.

— „ჩვენ?“ — შეეკითხა ტიმარი ეშმაკურად.

— აი, აი, აი! შე ეშმაკო! — თითი დაუქნია მღვდელმთავარმა სიცილით და მაგიდაზე საუცხოო სერემის ღვინო დადგა, — ვახშმის მომზადებამდე თითო ჭიქა გადავკრათ!

ყოველი შემდეგი ჭიქის დალევისას მისი უწმინდესობა სულ უფრო მეტად უბედავდა ტიმარს წეღანდელ შენიშვნაზე პასუხი გაეცა.

— რანი ვართ მაინც ადამიანები! ყველაფერში მაინცდამაინც

ცუდს ვხედავთ. ადამიანი ხის კუნძი ან ქვის ლოდი ხომ არ არის?

ტიმარი ცდილობდა თავისი ნათქვამი გამოესწორებინა და მის ყოველ სიტყვას კვერს უკრავდა. მისი უწმინდესობა კი საყვედურით იქნევდა თავს და რაც უფრო მეტს სვამდა, ლაპარაკის მადაც ემატებოდა. ვახშამი დიდებული ჰქონდათ და კარგად შეზარხოშებული მღვდელმთავრი სულ ენად გაიკრიფა.

ის კეკლუც ახალგაზრდა ქალს, სამზარეულოში რომ ტრიალებდა, ნაირ-ნაირი საჭმელები შემოჰქონდა სუფრაზე, მაგრამ როგორც კი ტიმარი მალულად თვალს შეავლებდა, მისი უწმინდესობა მაშინვე მუქარით უქნევდა თითს და ადამიანთა შურიანობაზე იწყებდა წუწუნს.

— რაკი ასეა, მაშ დამიმტკიცოს ვინმემ ბიბლიის მაგალითზე, რომ მე ვცდები და ის პირმოთნე წმინდანები მართალნი არიან!

ტიმარი სრულებითაც არ ფიქრობდა ამის დამტკიცებას.

— სარას მეუღლე აბრამი ხომ ფრიად პატივცემული პატრიარქი და ღვთისმსახური იყო? მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ყველასთვის კარგად არის ცნობილი აგართან მისი ურთიერთობის ამბავი, მაინც უდიდეს წმინდანად ითვლება.

მიხაილ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ან თუნდაც პატრიარქი იაკობი ავიღოთ. ჯერ ლეაზე იქორწინა, შემდეგ რახილი შეუყვარდა და ისიც ცოლად მოიყვანა. განა მაშინ აზრად მოსვლია ვინმეს, ამის გამო სასამართლო მოეწყო მისთვის? შემდეგ წმინდა დავითს, ხელმწიფეს, რამდენი ცოლი ჰყავდა? ექვსი! მაგრამ ამასაც არ დასჯერდა და მეშვიდე მოიყვანა, მისი ქმარი კი მოაკვლევინა. ყოველივე ამას მაინც არ შეუშლია ხელი ასორმოცდაათ ფსალმუნში ხოტბა შეესხათ მისი სიწმინდისათვის. სოლომონ ბრძენს კიდევ ოთხასი ცოლი ჰყავდა! და განა ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება, ჩვეულებრივ მოკვდავს მოვთხოვოთ, რომ მეფე დავითზე ალალ-მართალი და წმინდა იყოს, ან სოლომონ ბრძენზე მეტად უკრიდეს გონება?

კეთილ მღვდელმთავარს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ამ თავისი ქადაგებით გზას ულოცავდა სტუმარს დუნაის იქითა მხარეს გადასასვლელად.

ტიმარს ნახევარი დღის საკალიღა აშორებდა ნოემისაგან.

უკვე ნახევარი წელი იყო, რაც მათ ერთმანეთი არ ენახათ და ახლა მთელი მისი აზრი და გონება მასთან შეხვედრაზე ოცნებას

დაეპყრო. ერთადერთი სურვილი ამოძრავებდა მთელ მის არსებას, რაც შეიძლებოდა მალე ესახა იგი.

უძილოდ გაატარა მთელი ღამე. გათენებასაც აღარ დაელოდა, რომ სტუმართმოყვარე მასპინძელს გამომშვიდობებოდა, გადაიკიდა მხარზე თოფი და სანადირო ჩანთა და ჩქარი ნაბიჯით გაუყვა გზას დუნაის ტყიანი ნაპირისაკენ.

დუნაი წლიდან წლამდე აფართოებს თავის კალაპოტს, გადმოდის ნაპირზე და ბუჩქნარით ფარავს იქაურობას, რის გამოც ოცდაბუთი წლის წინათ აშენებული სასაზღვრო საგუშაგოებიც მასთან ერთად უკან იწევს. თუ ვინმეს საზღვარგარეთის პასპორტი არა აქვს და საიდუმლოდ უნდა დუნაის გადაცურვა, საკმარისია ახალ უღრანამდე მიაღწიოს, რომ უკვე მეგობარი ნეიტრალური სახელმწიფოს ტერიტორიაზე აღმოჩნდეს.

ტიმარმა წინდაწინ გაგზავნა ახალი ნავი თავისი ნაცნობი მეთევზის ქოხისკენ, თვითონ კი ჩვეულებრივ ფეხით განაგრძო გზა. როგორც კი მიუახლოვდა, მარტო ჩაჯდა ნავში და ლერწმნარისკენ უბიძგა.

აპრილი იყო. კუნძულ ოსტროვაზე ამწვანებული ხეები უკვე ჰყვაოდნენ, იქითა ნაპირზე კი სულ სხვა სურათი გადაიშალა ტიმარის თვალწინ, უპატრონო კუნძულს თითქოს ცეცხლი წაჰკიდებია და ხეები ერთიანად გაურუჯიაო. რაც უფრო უახლოვდებოდა მას, მით უფრო ნათლად ამჩნევდა, რომ ფოთლებს მოწითალომეწამული ფერი გადაჰკრავდა.

ნავი თავისუფლად მიცურავდა ლელიანში. როგორც კი ტიმარმა ნაპირზე ფეხი შედგა, დარწმუნდა, რომ ტერეზას საყვარელი კაკლის ჭალა გამხმარიყო, ერთი ხეც კი არ გადარჩენილიყო. ამის დანახვამ გული ატკინა ტიმარს. ამ დროს მას აქ აყვავებული ასკილის ბუჩქებით გარშემორტყმული ზურმუხტისფრად ამწვანებული ჭალა ხვდებოდა ხოლმე. ახლა კი ეს გადამხმარი, პირქუში ტყე ავისმომასწავებლად ეჩვენა!

ტიმარი ბილიკს აუყვა ზემოთ. ელოდა, რომ ალმირა მხიარული ყეფით მიეგებებოდა, მაგრამ ირგვლივ ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. შეშფოთებულმა ნაბიჯს უმატა. ძირს ჩამოცვენილ ფოთლებს მთლად დაეფარა ბილიკი, ჩიტების ჭიკჭიკიც არსაიდან ისმოდა. ქოხს რომ მიუახლოვდა, გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო, მის ბინადართ ხომ არაფერი დაემართათო. ვინ იცის, რა მოხდა, მან კი ამბავიც არ იცის,

რომ დახოცილიყვნენ, დამმარხავიც არავინ ჰყავდათ. მთელი ნახევარი წელი მას ხომ მათთვის არ ეცალა: ჯერ იყო და ქვეყნის ინტერესებისათვის იმდენი ფული დააბანდა, რომ საზოგადოებაში პირველი კაცის სახელი მოიპოვა, შემდეგ წვეულება-საღამოებზე დაჰყავდა თავისი მზეთუნახავი მეუღლე და ყველგან საყოველთაო აღიარებასა და პატივისცემას იმსახურებდა. კუნძულის ბინადართ კი მფარველად მხოლოდ ზეცა ჰყავდათ და ისიც კი არ იცოდა, წყალობის თვალით დაჰყურებდა ის მათ ბთელი ამ ხნის განმავლობაში თუ რისხვით.

ის იყო ტიმარმა კიბის საფეხურზე ფეხი შედგა, რომ კარი გაიღო და ქალბატონი ტერეზა გამოვიდა. ეს კეთილი ქალი შებლმეკრული და შეშინებული ეჩვენა ტიმარს. მის დანახვაზე ნაღვლიანმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

— აა, თქვენ უკვე ჩამოხვედით? — ჰკითხა და ხელი ჩამოართვა. — რატომ გაქვთ სახე მოღუშული?

— ხომ მშვიდობით ხართ? — კითხვითვე უპასუხა ტიმარმა.

— არაფერი გვიჭირს, — უპასუხა მშვიდი ღიმილით ქალმა.

— ძალიან შევწუხდი, გამხმარი კაკლის ხეები რომ დავინახე, — აუხსნა ტიმარმა თავისი უგუნებობის მიზეზი.

— წარსული ზაფხულის წყალდიდობამ დაღუპა. ეს ჯიში ტენიან ნიადაგს ვერ იტანს.

— თქვენ და ნოემი ხომ კარგად ხართ?

— ჩვენ კარგად ვართ, სამივენი.

— როგორ? ვინ არის მესამე?

ტერეზამ გაიღიმა, შემდეგ ამოიოხრა, ისევ გაიღიმა, მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— ერთი ღარიბი კონტრაბანდისტის ცოლი მშობიარობას გადაჰყვა ამ კუნძულზე, ბავშვი ჩვენ დავიტოვეთ აღსაზრდელად, აი, ის არის მესამე.

ტიმარი ანგარიშმიუცემლად შევარდა შინ. შუა ოთახში წნელით დაწნული აკვანი იდგა, ერთ მხარეს ალმირა ეჯდა, მეორე მხარეს ნოემი. ის აკვანს არწევდა და უცდიდა, როდის შემოვიდოდა ტიმარი.

მიხაი მოჯადოებულივით შედგა აკვნის წინ, ნოემის შეხედა. მის სახეზე უნდოდა ამოეკითხა სინამდვილე.

ნოემის სახე გაცისკროვნებული ეჩვენა, მისი თვალებიდან სინაზე

და სიყვარული გამოკრთოდა და ანდამატივით იზიდავდა. ქალმა გაუღიმა და წამწამები დახარა. ტერეზამ ხელი მოჰკიდა.

აკვანში ლოყებღაჟღაჟა ჩვილი იწვა წინწამოწეული ვარდისფერი ტუჩებით, პაწაწინა მომუშტული ხელები სახეზე დაეწყო. და ეძინა.

— აბა, ახლა სიმართლე მითხარით, ხომ არ გვიწყრებით, საწყალი კონტრაბანდისტის ობოლი ბავშვი რომ შევიფარეთ? თვით ღმერთმა მოგვივლინა მისი თავი.

ხომ არ გვიწყრებითო? მიხაი მუხლებზე დაეცა მის წინ, ორივე ხელი აკვანს შემოხვია, გულში ჩაიკრა და ტირილი აუვარდა. ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა ლოყებზე. კაცები ასე მხოლოდ მაშინ ტირიან, როცა გულში დაგუბებული სულიერი ტკივილი მთელი ძალით ამოხეთქავს ხოლმე. მან სულ დაკოცნა ეს ღმერთის მიერ მოვლენილი არსება, დაუკოცნა ტანსაცმელი, პაწაწინა ხელები და ფეხები, ვარდისფერი ლოყები. ბავშვი სასაცილოდ იმანჭებოდა მისი კოცნისაგან, მაგრამ მაინც არ იღვიძებდა. ბოლოს დიდი ცისფერი თვალები გაახილა და გაოცებული მიაშტერდა უცნობ კაცს, თითქოს ეკითხებოდა „რა გინდა ჩემგანო?“ შემდეგ ისევ გაიცინა, თვალები დახუჭა და დაიძინა, წინააღმდეგობა აღარ გაუწევია კოცნაზე.

— ასეთ შეხვედრას არ ელოდა, ალბათ! — ჩაილაპარაკა ტერეზამ და მალულად ცრემლი მოიწმინდა.

— მე კი, მგონი, არც უნდათ მომესალმონ! — ვითომდა წყენით ჩაიჩურჩულა ნოემიმ.

მიხაი არ ამდგარა, ისევ ისე დაჩოქილი მიუახლოვდა, მისი ხელი გულში ჩაიკრა და თავი კალთაში ჩაუდო. შემდეგ სანამ ბავშვს ეძინა, ხმა აღარ ამოუღია.

ბოლოს პატარამ გაიღვიძა და ტირილი დაიწყო, მოშიებოდა. საბედნიეროდ, აქ მისი ენა კარგად ესმოდათ.

მიხაის ოთახიდან გასვლა სთხოვეს, როგორც ნოემიმ თქვა, მას არ უნდა სცოდნოდა რით იკვებებოდა საცოდავი კონტრაბანდისტის ვაჟი.

პარმაღზე გამოსული ენით გამოუთქმელ ნეტარებას განიცდიდა. აღფრთოვანებული თითქოს რომელიღაც უცნობ მნათობზე ამაღლებულიყო სულ სხვა სამყაროში და იქიდან ისე დაჰყურებდა დედამიწას, როგორც სხვა პლანეტას. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მთელი თავისი ქონება იქ, მიწაზე დასტოვა და თავბრუდამხვევი ძა-

ლითა და სისწრაფით აღარ იზიდავდა. ის თავისი ძველი ცხოვრების ორბიტიდან გამოვარდა და მიზიდულების ახალი ცენტრი ახლა ახალი ყოფის სულ სხვა მიზნებს უსახავდა.

მაგრამ შესძლებს კი, სამუდამოდ გაწყვიტოს კავშირი ძველთან და ახალ სამყაროში გადმოსახლდეს, რომელიც ამდენ ბედნიერებას ჰპირდება?

ფიქრებთან მარტო დარჩენილი მიხვდა, რომ მას არც ერთის დათმობა არ შეეძლო, ხან ცაში სურდა ამაღლებულიყო ანგელოზებთან, ხან კი ისევ მიწაზე დაშვებულიყო, რომ თავისი მილიონები დაეთვალა. მის გონებას ახლა ამ საკითხის გადაჭრა არ შეეძლო, ეს მის ძალ-ღონეს აღემატებოდა.

ჩვილ ბავშვებს ტყუილად როდი ეძახიან ანგელოზებს. „ანგელოსი“ ბერძნული სიტყვაა და „მოციქულს“ ნიშნავს. ბავშვები მართლაც სხვა სამყაროს მოციქულნი არიან. მათი პაწაწინა უმეცარი სახეებიდან და თვალებიდან რაღაც უხილავი, სასწაულმოქმედი ძალა გამოკრთის, რომელიც თანდათან ჰქრება, როგორც კი ბავშვი ლაპარაკს იწყებს. ეს ცისფერი შუქმფენი ელვარება, შარავანდედის სხივებად რომ ეფინება სახეზე, მხოლოდ ჩვილი ბავშვის თვალებს გააჩნია.

მიხაილ ბავშვი ბალახზე დაფენილ თხის ტყავზე დააწვინა და რამდენიმე საათი მისი ცქერით სტკბებოდა, თვალს ვერ აშორებდა მისი თვალების შუქს, ცისარტყელას ყველა ფერებში რომ ბრწყინავდა. ბოლოს ბავშვმა ყვავილის ღეროსკენ გაიწოდა პაწაწა ხელი. მიხაილ მაშინვე მიაწოდა ყვავილი. პატარამ ისე მაგრად ჩასჭიდა თითები, რომ ვეღარავინ გამოართვა, შემდეგ კი ბავშვების ჩვეულებისამებრ პირისკენ წაიღო.

მიხაილ ყოველდღე აკვირდებოდა, როგორ იზრდებოდა პატარა, ყურს უგდებდა მის მიერ წარმოთქმულ ბგერებს და მათი მნიშვნელობის ამოცნობას ცდილობდა, ნებას აძლევდა ულვაშებზე დასჭიდებოდა, ძილის წინ კი -ნანას უმღეროდა.

ნოემის მიმართ გრძნობაც სულ შეეცვალა, სიყვარულისა და ვნების მაგივრად ისეთი სულიერი სიმშვიდე და ნეტარება იგრძნოციებ-ცხელების შეტევის გავლის შემდეგ რომ დაეუფლება ხოლმე ადამიანს.

თვით ნოემიც ძალიან გამოიცვალა. სახეზე ახლა სინაზე და ერთგულება აღბეჭდოდა მხოლოდ და მთელი მისი არსება სათნოებას,

კეთილშობილებას, თავდაჭერილობას გამოხატავდა. თავი ისე ღირსეულად ეჭირა, რომ მის ირგვლივ მყოფთა პატივისცემასა და აღფრთოვანებას იწვევდა.

ტიმარი თავისი ბედნიერებით ვეღარ ძღებოდა. უკვე რამდენიმე დღე გავიდა, მაგრამ ჯერ კიდევ არა სჯეროდა, რომ ეს ყოველივე სიზმარი არ იყო, რომ ეს თიხით შელესილი ქოხი, სადაც მომღიმარი ნოემი კალთაში ჩაწვენილ ჩვილს ნანას უმღეროდა, მოჩვენება არ იყო.

შემდეგ ფიქრებში ჩაძირულმა მთელი კუნძული შემოიარა.

„რა იქნება შემდეგში? რა შეგიძლია მისცე შენ ამ ბავშვს? ბევრი ფული? — რად უნდა, აქ მისი ფასი არ იციან. იქნებ, თვალუწვდენელი მამულები?—არც ეს შეიძლება, ამ კუნძულს ვერავითარ მიწის ნაკვეთებს ვერ შემოუერთებ. ან, იქნებ, თან წაიყვან და მდიდარ მებატონედ, ცნობილ კაცად გაზრდი? — არ გაგატანენ ეს ქალები. მათაც წაიყვან? — ისინი კიდევაც რომ დაგეთანხმონ, მაინც ვერ გააკეთებ ამას, იმათ შენი ვინაობა რომ გაიგონ, შეგიძულებენ! მხოლოდ და მხოლოდ აქ, ამ უკაცრიელ კუნძულზე შეუძლიათ ბედნიერნი იყვნენ. მხოლოდ აქ შეუძლია ბავშვს ამაყად თავაწეულმა იაროს, აქ მას არავინ შეეკითხება გვარსა და სახელს.

ქალებმა მას ადეოდატი (ღმერთისგან ნაბოძები) დაარქვეს, ვვარი კი არა აქვს. არც შენ შეგიძლია მისცე“.

ფიქრებში ჩაძირული ტიმარი დიდხანს უაზროდ დაეხეტებოდა კუნძულზე. ვერც კი იგრძნო, ბუჩქნარისა და მინდვრის ყვავილებით მოფენილი კორდის გავლით როგორ აღმოჩნდა გამხმარი კაკლების ჭალაში. ფეხებქვეშ ჩამოცვენილი ფოთლებისა და ხის ხმელი ტოტების ლაწა-ლუწი მოესმა ანაზდად. შედგა, მიმოიხედა. ეს უძვირფასეს საშენ მასალად გამოსადეგი ხეები სულ ერთიანად გადამხმარიყო, ფოთლები გასცვენოდა და ერთი სასიცოცხლო ყლორტიც კი აღარსად ჩანდა.

მიხაის უცებ ახალმა აზრმა გაუელვა და მაშინვე ქოხისკენ გაეშურა.

— ტერეზა, ისევ თუ გაქვთ ის სადურგლო ხელსაწყოები, ამ ქოხის ასაგებად რომ ხმარობდით?

— საკუჭნაოში მაქვს შენახული.

— გამომიტანეთ, თუ შეიძლება, მე რაღაც მოვიფიქრე. მინდა ის გამხმარი კაკლის ხეები ავჩეხო და დოდის სახლი ავუშენო.

ტერეზამ გაოცებით შეხედა, ნოემიმ კი გულში ჩაიკრა პატარა და ჩაკოცნა, თითქოს ეუბნებოდა: „ხომ გესმის?“

მიხაიმ ტერეზას სახეზე უნდობლობა ამოიკითხა.

— დიახ, დიახ! — კიდევ გაუმეორა თხოვნა, — მე მინდა მარტომ, სხვის დაუხმარებლად ავაშენო სასახლე, სწორედ ისეთი, მუხის ხისგან რომ აგებენ სეკები და ვალახები, ოღონდ მუხის ნაცვლად კაკალს გამოვიყენებ. ეს ნამდვილად მეფის საკადრისი სასახლე იქნება! დიდი რომ გაიზრდება, იმას ვაჩუქებ!

პასუხად ტერეზამ მხოლოდ გაუღიმა.

— რახან ასეა, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მიხაი! — მიმართა ბოლოს. — ოდესღაც მეც ხომ საკუთარი ხელით ავაშენე ეს ქოხი, როგორც მერცხალი აგებს ხოლმე თავის ბუდეს, კედლები თიხით შევლესე და ჩალამ-კალმით გადავხურე. ოღონდ იცოდეთ, რომ მარტო ვერ შესძლებთ, გაგიჭირდებათ, დიდ ხერხს მაინც ორი ადამიანი სჭირდება.

— განა ორნი არა ვართ? — ჩაერია ნოემი. — როგორ ფიქრობთ, მე ვერ დავეხმარები? ან, იქნებ, გგონიათ, რომ სუსტი ხელები მაქვს?

ამ სიტყვებით სახელო აიწია, რომ თავისი ძლიერი კუნთები გამოეჩინა.

მკლავი მართლაც ძლიერი ჰქონდა, მომრგვალებული და მშვენივრად ჩამოსხმული, ნადირობის ქალღმერთ დიანას მსგავსი.

მიხაიმ მხრიდან თითებამდე სულ დაუკოცნა და აღფრთოვანებულმა შესძახა: „ჩინებულია!“

— ოჰ, რა კარგია, ერთად ვიმუშავებთ! — იძახოდა გახარებული ნოემი. — დილაადრიან ერთად წავალთ ხოლმე ტყეში, იქ ხეზე ჩამოვკიდებთ დოდის აკვანს და ვიმუშავებთ, დედა შუადღისას საჭმელს მოგვიტანს, იქვე ხის მორზე ვისადილებთ და ისევ გავაგრძელებთ მუშაობას. რა შეიძლება იყოს ამაზე უკეთესი!

მაშინვე შეუდგნენ საქმეს. მიხაიმ ცული აიღო ხელში და კაკლის ჭალისაკენ გასწია, მაგრამ როგორც კი ერთი ძირი წააქცია და ტოტები აჩეხა, ხელისგულები სულ დაუბერდა. ნოემი ამხნევებდა, არაფერია, კაცებს მუშაობისგან ხელები სულ დაკოჟრებული აქვთ, ქალებს კი არაო.

მესამე ხის მოჭრის შემდეგ უკვე საჭირო გახდა ნოემის დახმარება და ისიც მთელი მონდომებით შეუდგა საქმეს. თავისი გულ-

მოდგინე მუშაობით, გასაოცარი ენერგიითა და ამტანობით აღტაცებაში მოჰყავდა მიხაი, ხერხს ისე მოხერხებულად ხმარობდა, იფიქრებდით, ბავშვობიდან ამის მეტი არაფერი უკეთებიაო.

მიხაი და ნოემი ახლა, როგორც ხისმჭრელი ცოლ-ქმარი, დილით ჯერ ისევ ღამიანად დგებოდნენ, დილაადრიან სჭრიდნენ ხეებს და უზარმაზარ მორებს ხერხავდნენ. შუადღისას ტერეზას მათთვის ლობიოს გემრიელი შეჭამანდი მოჰქონდა. მადიანად შეექცეოდნენ და შემდეგ ერთ საათს ისვენებდნენ. ნოემი ნაფოტებისა და ნახერხის რბილ გროვაზე მოთავსდებოდა ხოლმე, მიხაი კი მის გვერდით ბალახზე. ნოემი ქმარს სახეზე წინსაფარს გადააფარებდა, რომ ბუზებს არ შეეწუხებინა, თვითონ ბავშვს კალთაში ჩაისვამდა და ართობდა, რომ არ ატირებულიყო და მამა არ გაეღვიძებინა.

საღამო ხანს მთელი ოჯახი შინ ბრუნდებოდა. ხის მჭრელს ზურგით სადურგლო ხელსაწყო-იარაღები მოჰქონდა, ცოლს კი ბავშვი მოჰყავდა. მთელი დღის ნამუშევრებს კერა გაჩაღებული ხვდებოდათ და შორიდანვე სცემდათ გემრიელი საჭმელის სუნი. ნოემი როგორც კი ბავშვს დააწვენდა, მაშინვე ჩიბუხს გაუტენიდა ხოლმე ქმარს და სამზარეულოდან მუგუზალიც კი მოჰქონდა მისთვის. შემდეგ ყველანი სუფრას შემოუსხდებოდნენ და მადიანად შეექცეოდნენ ვახშამს. ქოთანში ერთი ნამცეციც არ უნდა დარჩენილიყო, თორემ როგორც ფიქრობდნენ, მეორე დღეს კარგი დარი არ იქნებოდა. ნავახშმევს მუშაობით დაღლილები მაინც არ აცლიდნენ ერთმანეთს მთელი დღის შთაბეჭდილებების გაზიარებას და იმის მოყოლას, თუ რას აკეთებდა და როგორ იქცეოდა პატარა.

ამის შემდეგ კი უკვე არც ერთს აღარ მოსდიოდა აზრად, ეკითხა მეორისთვის „გიყვარვარ?""

მიხაი თანდათან ისე დაოსტატდა მოჭრილი ხეების ტოტების აჩეხვაში და მათ გაშალაშინებაში, ისე ოსტატურად ხმარობდა ცულს, რომ ნოემი გაოცებული შეჰყურებდა ხოლმე და ერთხელ კიდევაც ჰკითხა:

— მართალი მითხარი, დურგლად ხომ არ გიმუშავია როდისმე?

როგორ არა, გემთმშენებლობაშიც კი მიმუშავიაო, უპასუხა მიხაიმ.

— ძალიან მაინტერესებს, როგორ გამდიდრდი ისე, რომ შეგიძლია მთელი ზაფხული აქ გაატარო და რაც მოგესურვება ის აკე-

თო? ასე მხოლოდ იმას შეუძლია ცხოვრება, ვისაც უფროსი არა ჰყავს და თვითონ არის ყველაფრის ბატონ-პატრონი.

— როცა იქნება, ყველაფერს გიამბობ, — შეჰპირდა მიხაი.

მაგრამ ნოემიმ ვერა და ვერ მოახერხა იმის გაგება, თუ რა ძალამ აამაღლა მიხაი ისე, რომ შეუძლია თავის სურვილზე იცხოვროს, თვეების განმავლობაში ხერხოს ხეები და მასთან გაატაროს დრო. მისი აზრით ასე იქცევიან მხოლოდ ძლიერნი ამა ქვეყნისანი.

მიხაი უამბობდა მას ათასგვარ საინტერესო ამბებს სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობის შესახებ, მაგრამ რაც თვითონ მას შეეხებოდა, ოსტატურად უვლიდა გვერდს: მას უნარი შესწევდა თავი დაეძვრინა ნოემის ცნობისმოყვარე შეკითხვებიდან, მაშინვე მუშაობას დაიწყებდა ხოლმე, ღამით კი, დასაძინებლად რომ წვებოდნენ, მისგან რამის გაგება ყოვლად შეუძლებელი იყო. ამ დროს ქალების უამრავი შეკითხვებისაგან თავის დასაცავად განგებას მეტად საიმედო საშუალება გამოუგონია კაცებისთვის, ღრმად ჩაძინება, რის წინაშეც ცოლების ყოველგვარი ფანდი და ხრიკი უძლურია.

უპატრონო კუნძულზე ამდენი ხნის გატარების შემდეგ მიხაიმ შენიშნა, რომ ეს ადგილი არც თუ ისე საიმედოდ იყო დაცული გარეშე თვალთაგან, როგორც აქამდე ეჩვენებოდა. ეჭვი არ იყო, კუნძულის არსებობის შესახებ იცოდა ადამიანთა ერთმა ჯგუფმა, მაგრამ ისინი არც ფიქრობდნენ ამის შესახებ განეცხადებინათ ხელისუფალთათვის. ისინი მაშინდელი ცივილიზაციისაგან განდგომილნი იყვნენ.

Status extra statum!

ამ კუნძულის ნაპირებთან სახელმწიფო და საეკლესიო კანონები უკვე აღარ ვრცელდებოდა.

ეს ადამიანები ორი სახელმწიფოს, უნგრეთისა და სერბიის სასაზღვრო ზოლში ცხოვრობდნენ. აქ მათთვის მეტად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები იყო შექმნილი. ამ ადგილებში მოედინებოდა უძველესი, უდიდესი მდინარე, მისი მიხვეულ-მოხვეული კალაპოტი ბუჩქნარით დაფარული კუნძულებით იყო სავსე, ნაპირებს გაუვალი ტყის ზოლი ჩასდევდა. წყლისპირა ხეთა კენწეროები მდინარის ზედაპირისკენ იყო გადაზნექილი, ძირებისათვის რომ შეგეხედათ კი იფიქრებდით, სადაცაა დინების მიერ ჩახრამულ ნაპირთან ერთად ჩამოიქცევაო. სასაზღვრო საგუშაგოები და სავალი

გზები აქ დიდი მანძილით იყო ერთმანეთისგან დაშორებული. შორიახლოს არც ერთი დიდი სოფელი არ ჩანდა. ყველას ეგონა, რომ ამ ადგილებში სამხედრო რეჟიმი მოქმედებდა. სინამდვილეში კი ეს იყო პირველყოფილი, ხელშეუხებელი თავისუფლების სამეფო. არავინ იცოდა ვისგან იცავდნენ ამ ადგილს მესაზღვრეები. ძველისძველი მტრები, თურქები უკვე დიდი ხანია აქ აღარ გამოჩენილან. შეიარაღებული მცველები ახლა სასაზღვრო საბაჟოთა დასაცავადღა თუ იყო საჭირო. აქ კონტრაბანდა კაპიტალისტური წყობის ყველაზე ნიშანდობლივ გამოვლენას წარმოადგენდა. კონტრაბანდისტებს ხომ თავიანთი კანონები და წესები ჰქონდათ, თავიანთი ფარული ხელისუფლება: ეს იყო სახელმწიფო სახელმწიფოს გარეთ.

მიხაის არაერთხელ შეუმჩნევია წყლის პირას მდგარი ტირიფის ჩრდილქვეშ მიბმული, უპატრონოდ მიტოვებული კანჯო ან ნავი, რამდენიმე საათის შემდეგ კი, როცა ისევ დაბრუნებულა იქ, უკვე აღარ დახვედრია. ბევრჯერ უნახავს აგრეთვე სანაპიროზე დაყრილი რაღაც ფუთები და შეკრული ნივთები, რომლებიც ისევე უკვალოდ გამქრალა. ვიღაც საიდუმლოებით მოცული ადამიანები ამოდიოდნენ კუნძულის სანაპიროზე, დროებით აფარებდნენ თავს და ისევ ისე უხმაუროდ სტოვებდნენ. ქოხთან ახლოს კი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში მიდიოდნენ ხოლმე, როცა აუცილებლად სჭირდებოდათ ტერეზა.

ალმირა მაშინვე ყეფას ასტეხდა ხოლმე, თუკი ვინმე უცხო მოუახლოვდებოდა ქოხს და მიხაიც თავს ანებებდა მუშაობას და იმალებოდა. აქ ის არავის არ უნდა ენახა. მართალია წვერი მოშვებული ჰქონდა, რამაც სახე საგრძნობლად შეუცვალა, მაგრამ მისი გამოჩენა მაინც საშიში იყო. შესაძლებელია, აქ ისეთი ვინმე მოსულიყო, ვისაც ის ადრეც ჰყავდა ნანახი და ეს არც თუ ისე სასიამოვნო იყო მისთვის.

ეს ადამიანები მოდიოდნენ ტერეზასთან მხოლოდ მაშინ, როცა დიდი გასაჭირო ადგათ. როცა დიდ რისკს სწევდნენ, და ჩასაფრებული გუშაგები მძიმედ დასჭრიდნენ ხოლმე. ექიმთან მისვლას ვერ ბედავდნენ, ის გასცემდათ და სასჯელი არ ასცდებოდათ, ამიტომ იყო, რომ კუნძულის დიასახლისს სთხოვდნენ შველას. მან ბევრი უებარი წამლის დამზადება იცოდა სამკურნალო ბალახებიდან, როგორც ჭრილობებისათვის, ისე სხვა დაავადებების მოსარჩენადაც, როგორიც იყო, მაგალითად, ციმბირის წყლული. ტერეზა მათ მკურ-

ნალობდა და ისინიც თავის მხრივ საიდუმლოდ ინახავდნენ მის ექიმბაშობას, რასაც საშინლად სდევნიდნენ ექიმები და მეაფთიაქენი.

ზოგჯერ მათ ერთმანეთში დავაც მოუვიდოდათ ხოლმე და ვერ რიგდებოდნენ. საქმის გასარკვევად სახელმწიფო მოსამართლესთან არ მიესვლებოდათ, მაშინვე ბორკილებს დაადებდნენ და სატუსაღოში უკრავდნენ თავს. ასეთ შემთხვევებშიც ისევ კუნძულის დიასახლისს მიადგებოდნენ, როგორც მეტად გამჭრიახი გონების ადამიანს, შესჩივლებდნენ თავიანთ გასაჭირს და როგორც ის გადაწყვეტდა საქმეს, კანონი იყო, მომჩივანისთვისაც და მოპასუხისთვისაც. მისი განაჩენი საბოლოო იყო და ვეღარავინ შეედავებოდა.

იყო შემთხვევებიც, როცა მტრობისა და შუღლის მიზეზი შურისძიება იყო. ტერეზას უნარი შესწევდა მოქიშპენი დაეზავებინა და მტრობაზე ხელი აეღებინებინა.

ბევრჯერ აქ მოსულან ბოროტმოქმედნიც, საშინელი, პირქუში შესახედაობის ადამიანები, რომლებსაც საკუთარი სინდისის ქენჯნა აწუხებდათ, მოძღვართან მისვლისა ეშინოდათ, ვერ ენდობოდნენ და ციხეში ჯდომას კი ჯოჯოხეთში ყოფნა ერჩიათ.

ასეთთა სულიერი ტკივილების დასაყუჩებლადაც გააჩნდა ტერეზას უებარი მალამო. ღმერთს შეავედრებდა ხოლმე მათ ცოდვებს და შვებას აძლევდა მათ სულს.

მისი ზღურბლისთვის დევნილს და საეჭვო პირსაც რომ გადმოებიჯებინა, შიმშილისა და დაღლილობისაგან ქანცმილეულს, ტერეზა, არასოდეს ჰკითხავდა, ვინ იყო და სად მიდიოდა. სუფრას გაუშლიდა, დააპურებდა, მოასვენებდა და გამოთხოვებისას საგზალსაც გაატანდა ხოლმე.

უამრავი ხალხი იცნობდა ამ ღვთისნიერ ქალს და უსაზღვროდ პატივს სცემდა, აფასებდა მის ერთგულებას, გულუხვობას, სამართლიანობასა და ჭკუა-გონებას. ალბათ, არც მოიძებნებოდა ამქვეყნად ისეთი საიდუმლო კავშირი, რომლის წევრებიც ისე ერთგულნი ყოფილიყვნენ თავიანთი ბელადისა, როგორც ეს უსახლკარო, დევნილი ლატაკნი იყვნენ თავიანთი მწყალობლისა და ღამრიგებლისა. მათ ისიც კარგად იცოდნენ, ტერეზას ფული რომ არა ჰქონდა და ამდენად ანგარების მიზნითაც კი არავის მოუვიდოდა აზრად ემტრო მისთვის.

მიხაი ბოლოს დარწმუნდა, რომ მოხვდა ისეთ ადგილას, სადაც

ცივილიზაცია ჯერ კიდევ ძალიან დიდხანს ვერ შეაღწევდა. აქ მას შეეძლო სრულიად უშიშრად განეგრძო თავისი სამუშაო, მის სამყაროამდე ვერასოდეს ვერ მიაღწევდა მისი ამბავი, ამბავი ხელმწიფის მრჩეველის, მიხაი ტიმარ ლევეტინცისა, ბრწყინვალე თავადისა და ვაჭარ-მილიონერისა, რომელიც ამ უსახელო კუნძულზე დილიდან საღამომდე უბრალო დურგალივით ოფლში გაწუწული მუშაობდა და დასვენებისას კი ჯაყვა დანით ტირიფის ტოტებს ჭრიდა, რომ მზისა და წვიმისაგან დაეცვა ერთი პატარა ბიჭუნა, რომელსაც საკუთარი სახელი და გვარიც კი არ გააჩნდა.

მაგრამ ვერასოდეს ვერავინ მიხვდებოდა, რაოდენ სიხარულს ანიჭებდა მას ეს შრომა, არც ის იცოდნენ, როგორი გულისყურით ადევნებდა თვალს ამ პატარას ყოველ მოძრაობას, როგორ სწავლობდა ის პირველი სიტყვების გამოთქმას, და რა ნეტარებას განიცდიდა, როცა ხედავდა, როგორ ცდილობდა მისი პაწაწა ტუჩები დანაწევრებულად წარმოეთქვათ ერთი პატარა სიტყვა:

„მამა!“

ეს სიტყვა მან ყველაზე ადრე ისწავლა, ან კი როგორ შეეძლო არ ესწავლა სიტყვა, რომელიც იმ ადამიანს ეკუთვნოდა, ასე რომ უღიბოდა და ეფერებოდა მუდამ.

მას სულ არ აწუხებდა ის ამბავი, დედამისი ღარიბი კონტრაბანდისტის ვაჟს რომ ეძახდა, რომელსაც აღარც დედა ჰყავდა და არც მამა.

მაგრამ აი დადგა დრო, როცა პატარას ცხოვრების სიმწარეც უნდა გამოეცადა, კბილებმა დაუწყო ამოსვლა. რამდენი უძილო ღამე გაათიეს მაშინ მის საწოლთან. ნოემი მთელი დღე შინ რჩებოდა, მიხაი კი ყოველ საათში ერთხელ ამბის გასაგებად მორბოდა, აიყვანდა ხოლმე ხელში, არწევდა მკლავზე დაწვენილს. და უმღეროდა:

„ჩემი სატრფოს ჩალის ქოხი
სასახლეებს მირჩევნია...“

უნდა გენახათ, როგორ გაიხარებდა ხოლმე, როცა ამით ტკივილს შეუმსუბუქებდა ბავშვს და ჩააძინებდა!

მიხაი შეუსვენებლივ მუშაობდა და ერთ მშვენიერ დღეს შენიშნა, რომ მორები უკვე მზად იყო. მიხვდა, რომ ამის შემდეგ გაუჭირდებოდა. დურგლობა ისევე, როგორც ყველა სხვა ხელობა, თავისებურ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს. მართალია, ნოემის

აქამდე ატყუებდა, ხელობა ვიციო, მაგრამ ახლა უკვე აღარ იცოდა, რა ექნა.

შემოდგომა მოახლოვდა, ტერეზა და ნოემი მიჩვეულები იყვნენ, რომ ამ დროს მიხაი ყოველთვის სტოვებდა კუნძულს. იცოდნენ, იქაც ბევრი საქმე ჰქონდა. ალბათ, სეზონური სამუშაო აქვს, ზაფხულობით ისვენებს, ზამთარში შეუსვენებლივ მუშაობსო, ფიქრობდნენ ისინი. ბევრი სხვა ვაჭრებიც ასე იქცეოდნენ.

შინ, კომარომშიც დაახლოებით ასევე ჰქონდათ წარმოდგენილი მისი მუშაობა, ოღონდ განსხვავება ის იყო, რომ ტიმეას აზრით ტიმარი ზაფხულობით იყო მეტისმეტად დატვირთული, ყველგან პირადად ხელმძღვანელობდა ყველა საქმეს და ამით საფუძველს უყრიდა მის წარმატებით დაგვირგვინებას.

ასე ატყუებდა ნოემის შემოდგომიდან გაზაფხულამდე, ხოლო ტიმეას გაზაფხულიდან შემოდგომამდე. თავს კი იმით ინუგეშებდა, რომ ამ წესს ზუსტი თანამიმდევრობით იცავდა.

ამ წელს მეტისმეტად ჩქარობდა კომარომში დაბრუნებას და ჩვეულებრივზე ადრე დასტოკა კუნძული.

მისი იქ არყოფნის დროს საქმეები ისეთი წარმატებით მიდიოდა, რომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დიდ სახელმწიფო ლატარიაშიც კი ყველაზე მაღალი მოგება მას ხვდა წილად, ლატარიის ბილეთი კი სადღაც საწერი მაგიდის უჯრაში ჰქონდა მიგდებული და აღარც ახსოვდა. ტირაჟის გათამაშებიდან სამი თვის შემდეგ სრულიად შემთხვევით გახსენდა ეს ბილეთი და მისი განაღდებისას მიღებული ასი ათასი ფორინტი ისეთი თავადიშვილური ჟესტით ჩაიდო. ჯიბეში, თითქოს ეს ფული სათვალავში ჩასათვლელი არც იყო.

მთელი ქალაქი მის სიმდიდრეზე ლაპარაკობდა. თავად ლევეტინცის იმდენი ფული აქვს, რომ აღარ იცის სად წაიღოსო.

მართლაც რაში უნდა გამოეყენებინა ეს ფული?

გადაწყვიტა სეკეისა და ზარანდის სოფლებიდან რამდენიმე საუკეთესო დურგალი მოეწვია. ამ მხარის ოსტატებს საქვეყნოდ ჰქონდათ სახელი განთქმული, ისეთ საუცხოო ხის კოშკებსა და სასახლეებს აგებდნენ სეკეიელი და რუმინელი თავად-აზნაურებისათვის, რომ საუკუნეებს უძლებდა. შიგნიდან ოთახები შესანიშნავი ჩუქურთმებით იყო დამშვენებული. სახლიც და ავეჯიც, როგორც წესი, ერთი და იმავე ხისგან მზადდებოდა ერთი და იმავე ოსტატის

ხელით. მათ ნამუშევარს წუნი არ დაედებოდა, ყველაფერი მხოლოდ ხისა იყო და ლურსმანს არა ხმარობდნენ საერთოდ. მშენებლობისთვისაც მხოლოდ ხის საუკეთესო ჯიშებს, მუხას, კაკალსა და რცხილას იყენებდნენ.

II. ხეზე ამოკვეთის ოსტატი

შინ დაბრუნებულ მიხაის ტიმეა ავად დაუხვდა.

მაშინვე საუკეთესო ექიმები ჩამოიყვანა ვენიდან, რომლებმაც დაკვირვებით, გულმოდგინედ გასინჯეს ავადმყოფი და ერთხმად ურჩიეს მისი აგარაკზე წაყვანა. მათი აზრით, კარგი იქნებოდა, თუ ზამთარს იტალიაში, მერანოში გაატარებდა.

მიხაიმ თვითონ ჩაიყვანა შეუღლე აგარაკზე ატალიასთან ერთად და საუკეთესო ბაღით გარშემორტყმული საუცხოო, შვეიცარული სტილით აგებული ვილა დაუქირავა მყუდრო ადგილას. აქ ყოველგვარი პირობა იყო შექმნილი იმისთვის, რომ ტიმეას კარგად დაესვენა.

ზამთარში მიხაიმ რამდენჯერმე ინახულა ტიმეა ერთ უცნობ მოხუცთან ერთად და დარწმუნდა, რომ მას იქაურობა მოსწონდა და კმაყოფილი იყო.

ოომარომში დაბრუნებისთანავე გადაწყვიტა, ზუსტად ასეთივე ვილა აეგო მეუღლისთვის დუნაის ნაპირზე. მოხუცმა სეკეიელმა ოსტატმა საგულდაგულოდ გადმოიხატა ჩუქურთმები, ავეჯი და მისი გარეგნული ფორმა, და ჩამოსვლისთანავე შეუდგნენ მუშაობას მიხაის ერთსართულიან სახლში რაცის ქუჩაზე. მას განზრახული ჰქონდა ტიმეასთვის სიურპრიზი მოეწყო და ამიტომ ამის შესახებ არავის არ უნდა სცოდნოდა. სამუშაო დროზე რომ მოესწრო, ხელოსანმა ქარგალი მოითხოვა, მაგრამ მიხაის შეეშინდა, საიდუმლო არ გასთქვანო და თვითონ იკისრა მისი დახმარება. დილიდან საღამომდე შეუსვენებლივ მუშაობდა, რანდავდა, ახარატებდა, ბურღავდა და ათასნაირ ჩუქურთმებს ჭრიდა ისე, რომ ოსტატი აღტაცებაში მოჰყავდა.

მიუხედავად იმისა, რომ აღთქმა ჰქონდა მიცემული, დურგალმა

მაინც ვერ შეინახა საიდუმლო. მისი ტუჩები თვით მეფე სოლომონს თავისი ბეჭდითაც რომ დაელუქა, ალბათ, აღთქმას მაინც გასტეხავდა. ერთ კვირა დღეს, თავის თანამესუფრეებთან ერთად კარგად რომ შეზარხოშდა, საიდუმლოდ მოყვა, როგორ ძვირფას საჩუქარს უმზადებდა ბატონი ლევეტინცი თავის საყვარელ მეუღლეს:

— ჯერ მორებსა და ფიცრებს ვამუშავებთ და ამას როგორც მოვრჩებით, სახლსაც გავმართავთ მონასტრის ბაღში. რომ იცოდეთ, თვით ბატონი მეხმარება მუშაობაში, ამისთანა სიმდიდრის პატრონი ისე მუშაობს დილიდან-საღამომდე, გაგიკვირდებათ! ისე მარჯვედ და ოსტატურად ხმარობს იარაღებს, ნამდვილი ქარგალი გეგონებათ, ბევრ გამოჩენილ დურგალს შეშურდებოდა მისი! ყველა საქმე მიატოვა და გვერდიდან არ მცილდება, უნდა საკუთარი ნახელავიც შეურიოს, ფიქრობს უფრო მეტად ნასიამოვნები დარჩება მისი მზეთუნახავი მეუღლე, როცა ამას შეიტყობს. ოღონდ, იცოდეთ ამის შესახებ სიტყვა არავისთან წამოგცდეთ, ბატონმა სასტიკად ამიკრძალა ამისი თქმა.

მაგრამ ახლა უკვე ლაპარაკიც ზედმეტი იყო საიდუმლოს შენახვაზე. სულ მალე მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობდა. რაღა თქმა უნდა, ქალბატონმა ზოფიამაც გაიგო და მაშინვე ატალიას მისწერა, რომელმაც წაკითხვისთანავე მიახარა ტიმეას ეს ახალი ამბავი. ასე, რომ ტიმეამ უკვე წინასწარ იცოდა, რომ კომარომში ჩასვლისთანავე ქმარი დუნაისპირა მონასტრის ეზოში წაიყვანდა, სადაც საუცხოო ხეხილის ბაღი ჰქონდათ. აქ ის დაინახავდა ზუსტად ისეთივე ვილას, როგორშიც მერანოში ცხოვრობდა, სარკმელთან დახვდებოდა მაგიდა ამოსაქარგი პატარა კალათით, რცხილისგან გაკეთებული თარო საყვარელი წიგნებით, თელის ტოტებისგან დაწნული სავარძელი აივანზე. ოღონდ არ უნდა დავიწყებოდა, რომ ყოველივე ამას პირველად ხედავდა და მოჩვენებითი ღიმილი და სიხარული არ უნდა დაეშურებინა თავისი აღფრთოვანების გამოსახატავად, ღირსეულად უნდა შეექო ოსტატის ხელოვნება. და როცა ის უპასუხებდა: „აქ მე არაფერ შუაში ვარ, ყველაზე უმშვენიერესი ჩუქურთმები ლავგარდანზე, სვეტის თავებსა და მოაჯირზე ჩემი ქარგლის ხელითაა შესრულებული“, უნდა ეკითხა, ვინ იყო ქარგალი, ხოლო როცა შეიტყობდა, რომ თვით ბატონი ლევეტინცის ხელით იყო შესრულებული ეს ურთულესი სამუშაო, ისევ უნდა გაეღიმა და საკადრისი ხოტბა შე-

ესხა, სიტყვები არ უნდა დაეშურებინა ესოდენ ძვირფასი საჩუქრისთვის, რომელიც იტალიაში გატარებულ დღეებს მოაგონებდა მუდამ.

სიტყვები, მხოლოდ სიტყვები! მას სხვა არაფერი შეეძლო.

სულ ერთი იყო, სიმდიდრესა და თვალმარგალიტში ჩასმის ნაცვლად, ლუკმა-პურის შოვნაში რომ გაეტარებინა მთელი დღე, მის სიყვარულს მაინც ვერ ეღირსებოდა.

ყველაფერი სწორედ ასე მოხდა. გაზაფხულზე კომარომში დაბრუნებულ ტიმეას ქმარმა საუცხოო სასახლე დაახვედრა საჩუქრად და დიდი წვეულება გაუმართა. ტიმეას სახეზე სევდანარევი ღიმილი შეგეძლოთ შეგენიშნათ მხოლოდ, ტიმარი კმაყოფილი ჩანდა თავისი გულუხვობით, სტუმრები კი მიუხედავად იმისა, რომ ქება-დიდებას და კეთილ სურვილებს არ იშურებდნენ, შურით სავსე თვალებით შეჰყურებდნენ და მის დაფარვას ვერც ახერხებდნენ.

ქალები აღფრთოვანებულნი იყვნენ და ამტკიცებდნენ, ქვეყნად არ არსებობს ქალი, რომელიც ასეთი იდეალური ქმრის ღირსი იყოსო. კაცები კი ენამახვილობდნენ და გადაკრულად ამბობდნენ, ცოლის გულის მოგება საჩუქრებითა და პირფერობით ცუდი ნიშანიაო. ზოგიერთების აზრით კი, ქმარი რომ ხარატობას დაიწყებდა, საეჭვოც იყო.

მხოლოდ ერთი ატალია არ იღებდა ხმას და ამაოდ ცდილობდა არიადნას ძაფის პოვნას, ტიმარის საიდუმლოს ამოსაცნობად.

ტიმეას ამბავი მისთვის ნათელი იყო; ის იტანჯებოდა და თანდათანობით დნებოდა, სულში მომაკვდინებელი საწამლავი ჰქონდა ჩაწვეთებული, რომელიც ერთბაშად არა ჰკლავს ადამიანს, მაგრამ დღითი-დღე აცლის ძალ-ღონეს და სიკვდილის პირას მიჰყავს. მისი შველა არავითარ ძალას აღარ შეეძლო, ეს ცხადი იყო მისთვის, მაგრამ მიხაი? მისი ამბავი აოცებდა ატალიას, ის არც თუ ისე ცუდად გამოიყურებოდა, მის სახეზე შეგეძლოთ ამოგეკითხათ, რომ ბედნიერი იყო, მაგრამ სად ჰპოვა მან ეს ბედნიერება, სად? ეს კითხვა ატალიას მოსვენებას არ აძლევდა და ცდილობდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, სინამდვილე შეეტყო.

— ტიმეას სულ თვალებში შეჰყურებს, ცდილობს მის ყოველ სურვილს უთქმელად მიუხვდეს და შეუსრულოს. საზოგადოებაში თავი ისე უჭირავს, როგორც უბედნიერეს მეუღლეს, მუდამ მშვენი-

ერ ხასიათზეა, თვით მასთან, ატალიასთანაც კი თავისუფლად უპირავს თავი, თითქმის გულგრილადაც კი, თითქოს მისი სიტყვები აღარც ახსოვდეს, ასე რომ აუფორიაქა მაშინ გული და გონება, მის დამცინავ ღიმილსაც კი აღარაფრად აგდებს, ამას წინათ საცეკვაოდაც კი მიიწვია ბალზე.

ნუთუ მართლა გაბედნიერდა? ან, იქნებ, მოჩვენებითია ეს ყველაფერი? ნუთუ ჯერ კიდევ მიუწვდომელს ეპოტინება და ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს, ტიმეას გული დაიპყროს? თუ ეს ასეა, ამაოა მისი ყოველი ცდა, მის ოცნებას ახდენა არ უწერია!

ატალიამ კარგად იცოდა საკუთარი გამოცდილებით, რომ ეს შეუძლებელი იყო. მას ახლა არაერთი თაყვანისმცემელი ჰყავდა, რომლებიც შეძლებულად ცხოვრობდნენ და ჩიტის რძესაც არ მოაკლებდნენ, მაგრამ ვერც ერთი მათგანი მის ხელსა და გულს ვერ ეღირსებოდა. მისთვის ერთი კაცის გარდა არავინ არსებობდა ამქვეყნად, მას მხოლოდ მისი სიყვარული შეეძლო და ის ერთიც ახლა თვალის დასანახავად სძულდა. ამიტომ იყო, რომ ტიმეასი მხოლოდ მას ესმოდა, მაგრამ ტიმარისა ვერაფერი გაიგო. ეს კაცი მისთვის გაპოცანად რჩებოდა თავისი მომღიმარი სახით, პირმოთნეობით და დიდსულოვნებით. ეს იყო ოქროკაცი, რომელზედაც ჟანგის პაწაწინა ლაქასაც ვერ შენიშნავდით.

ატალიას გამომცდელ მზერას რომ დაიჭერდა, მიხაი გულში დასცინოდა:

„ამაოდ ცდილობ ჩემს საიდუმლოს ჩასწვდე, არც შენ და არც ვინმე სხვას აზრადაც არ მოგივათ, რისთვის ვმუშაობდი მთელი ზამთარი ხუროდ. მე ხელობა მინდოდა მესწავლა მხოლოდ, რომ სწორედ ასეთივე სასახლე ავუშენო ერთ პატარა არსებას, რომელსაც საკუთარი გვარიც არ გააჩნია. იქ მასთან ერთად ცხოვრობს ერთი გოგონა, რომელიც მთელ ქვეყანას მირჩევნია და რომლის გულისთვისაც ხელები ასე დავიკოჟრე. და თუმცა შენ ავი სული ხარ, მაინც ვერასოდეს გაიგებ ამას!“

გაზაფხულზე ტიმარმა ისევ მოიწვია ცნობილ ექიმთა კონსილიუმი. მათ ამჯერად ბიარიტცის სამკურნალო წყლებზე წასვლა ურჩიეს ტიმეას. მან ისევ დიდი მზრუნველობით ჩაიყვანა მეუღლე აგარაკზე და ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ იქ ფუფუნებით ეცხოვრა. მხედველობიდან არ გამორჩენია არც მისი მორთულობა, არც სამკა-

ულები, არც ეტლები, რომ მასავით ჩაცმულ-დახურულს არცერთ ინგლისელ ლედის და რუს ჰერცოგინიას არ გაევლო. წამოსვლისას უამრავი ფული დაუტოვა და სთხოვა შინ დაბრუნებამდე სულ დაეხარჯა. არც ატალიასთვის დაუკლია ყურადღება, აგარაკზე წარადგინა, როგორც ტიმეას ბიძაშვილი, რაც იმას ნიშნავდა, რომ მასაც დღეში სამჯერ უნდა გამოეცვალა ტანსაცმელი.

განა შეიძლებოდა, ოჯახის უფროსის მოვალეობის უკეთესად შესრულება?

ეს საქმე რომ მოათავა, პირდაპირ ვენაში გაემგზავრა. იქ იყიდა ყველა საჭირო ხელსაწყო-იარაღი, როგორც ჩუქურთმების ამოსაჭრელი, ისე სადურგლო, ყუთებში ჩააწყო და პანჩოვოში გაგზავნა.

ახლა მთავარი იყო, როგორმე საიდუმლოდ გადაეტანა ისინი უპატრონო კუნძულზე. აქ მეტისმეტი სიფრთხილე იყო საჭირო. აქაურ მეთევზეებს არაერთხელ ჰყავდათ შემჩნეული, რომ ნავით გადადიოდა კუნძულზე და იქიდან რამდენიმე თვის შემდეგ ბრუნდებოდა. შეიძლებოდა, ისინი დაინტერესებულიყვნენ, ვინ იყო ის და რა საქმე ჰქონდა იქ.

როგორც კი მისი ტვირთი პანჩოვოში მივიდა, ტიმარმა ბრძანა, იგი დუნაის ნაპირას მიეტანათ და იქ ალვის ხეთა ჭალაში დაეტოვებინათ. შემდეგ მიიყვანა მეთევზეები, უთხრა მათ, იარაღი მიმაქვსო, და სთხოვა დახმარებოდნენ კუნძულზე გადატანაში.

ახლა უკვე შეეძლო თავისი საიდუმლო ზღვის ფსკერზე დამარხულად ჩაეთვალა. ამიერიდან, როცა უნდა მოსულიყო აქ, ეჭვის თვალით აღარავინ შეხედავდა. მეთევზეებმა იგი სერბიისა და ჩერნოგორიის თავისუფლებისათვის მებრძოლთა წარგზავნილად მიიღეს და ეს სრულიად საკმარისი იყო, რომ საიდუმლოდ შეენახათ მისი ამბავი. მათთვის ის გმირი იყო და მისი საქმე წმინდათაწმინდად ითვლებოდა.

ღამით მეთევზეებმა თავის ყუთებთან ერთად უპატრონო კუნძულზე გადაიყვანეს, ბუჩქნარით დაფარული საიმედო ადგილი მოძებნეს და ყუთები იქ დააწყეს. ტიმარის დიდი თხოვნის მიუხედავად, გასამრჯელო არ აიღეს, ღმერთმა ხელი მოგიმართოსო, დაუძახეს და გამოემშვიდობნენ.

მშვენიერი მთვარიანი ღამე იყო. მარტოდ დარჩენილი მიხაი წამით შედგა და ბულბულის გალობას მიუგდო ყური, შემდეგ კი სახ-

ლისკენ მიმავალ ბილიკს დაუწყო ძებნა. კორდზე რომ გავიდა, სადაც შემოდგომამდე ხეებს თლიდა, დაინახა, რომ მორებზე ჩალა გადაეფარებინათ სისველისაგან დასაცავად. მალე ვარდების ხეივანსაც მიაღწია, ვარდები უკვე დამჭკნარიყო, მათი ყვავილობისას იგი განცხრომასა და ფუფუნებაში ატარებდა დროს ტიმეასთან ერთად ჯერ მონასტრის ბაღში მოწყობილ საზაფხულო სასახლეში, შემდეგ კი ზღვისპირა აგარაკზე. ამ წელს ძალიან დაუგვიანდა ჩამოსვლა, აქ კი, ვინ იცის, როგორ მოუთმენლად ელოდნენ! მაგრამ რა გაეწყობოდა, ეჭვი რომ არავის აეღო, ათასი ხრიკებისთვის უნდა მიემართა.

ფეხაკრეფით მიუახლოვდა ნაცნობ სახლს. შიგნიდან ჩამი-ჩუში არ ისმოდა, ეს კეთილად ენიშნა, რაკი ალმირა არ შემოეგება, იგი სამზარეულოში ჰყავდათ ჩაკეტილი, რომ ღამე მის ხმას ბავშვი არ გაეღვიძებინა.

ოჰ, რამდენჯერ დასიზმრებია ეს სახლი! თუმცა სიზმარი რაა, ზოგჯერ ცხადშიც ელანდებოდა! რამდენჯერ ესიზმრა, რომ მიუახლოვდა და ის-ის იყო ფეხი უნდა შეედგა, ხან ეჩვენებოდა, რომ ხანძარი გასჩენოდა და იწვებოდა, მის ბინადართა შესახებ კი არავინ არაფერი იცოდა. ერთხელ ისიც კი ესიზმრა, თითქოს ზღურბლს რომ გადააბიჯა, შეიარაღებული ყაჩაღები დაესხნენ თავს და დაუყვირეს: „სწორედ შენ გელოდით!“ ხელ-ფეხი შეუკრეს და სარდაფში ჩააგდეს. ხშირად ეჩვენებოდა, რომ ქოხში შესულს საშინელი სანახაობა წარმოუდგა თვალწინ: იატაკზე, მის წინ, ახლობელ ადამიანთა გვამები ეყარა სისხლში მოსვრილი, იქით ნოემი ეგდო გაშლილი ოქროსფერი თმით და გულზე თავგაჭეჭყილი ბავშვი ესვენა. ასეთი კოშმარული სიზმრები მოსვენებას უკარგავდა და ადგილს ვეღარ პოულობდა. საყვარელ ადამიანთა ბედი ადარდებდა, რომლებიც იძულებული იყო ამდენი ხნით მიეტოვებინა. ისიც კი დაესიზმრა ერთხელ, რომ ნოემი ჩვეულებრივი ღიმილით აღარ შეხვდა და გესლიანად ჰკითხა: „სად იყავით აქამდე, ბატონო ლევეტინი?“

და აი, როგორც იქნა, მოვიდა და აქაურობის მშვიდობით დახვედრამ ყოველგვარი კოშმარული მოჩვენებები და ფიქრები გაუფანტა. დარწმუნდა, რომ აქ ძველებურად ცხოვრობდნენ მისი მოყვარული კეთილი ადამიანები და გულზე მოეშვა.

ახლა საჭირო იყო ხმა მიეწვდინა მათთვის. სარკმელთან მივიდა, სანახევროდ ვარდის ტოტს რომ დაეფარა და თავისი საყვარელი სიმღერა წამოიწყო:

მაშინვე იცნეს და ერთ წუთსაც არ გაუვლია, რომ სარკველი გაიღო და გახარებული ნოემის მომღიმარი სახე გამოჩნდა.

— ჩემო მიხაი!

— შენი ვარ, შენი! — უპასუხა ტიმარმა და მოეხვია.

— დოდი როგორ არის?

— სძინავს.

— ჩუმად, არ გავაღვიძოთ!

— რაღას უყურებ, შემოდი! — ჩურჩულით უთხრა ნოემიმ.

— მეშინია, არ შევაშინო, არ იტიროს!

— ოჰ, რას ამბობ, სულაც არ არის მტირალა, ის ხომ უკვე ერთი წლისაა!

— უკვე ერთი წლისაა! როგორ გაზრდილა!

— შენს სახელსაც ამბობს!

— ნუთუ ლაპარაკიც ისწავლა?

— სიარულსაც სწავლობს!

— ხომ არ დარბის კიდევაც?

— უკვე ყველაფერს ჭამს!

— რას ამბობ, განა ადრე არ არის მისთვის? როგორ შეიძლება!

— შენ რა იცი! აი, ნახავ!

— საწოლის ფარდა გადასწიე, რომ მთვარის შუქმა გაანათოს, მინდა დავხედო.

— არ შეიძლება, მთვარის შუქი მავნეა მძინარე ბავშვისთვის, ავად გახდება.

— შენ ჯერ ისევ ბავშვი ხარ!

— ბავშვებზე იმდენი რამ ნსმენია გადმოცემით, რომ ძალიან ეზურად ცოუმორწმუნე გავხდი. ბავშვის მოვლა იმიტომაც არის ქალის საქმე, რომ მას ყველაფერი სჯერა. უმჯობესია შინ შემოხვიდე და დოდის დახედო:

— არა, სანამ არ გაიღვიძებს არ შემოვალ, ისევ შენ გამოდი.

— ვერ გამოვალ, მაშინვე იგრძნობს და გაიღვიძებს, დედაჩემმა ღრმა ძილი იცის.

— მაშ დარჩი მასთან, მე კი აქ ვიქნები.

— არ გინდა დაისვენო?

— არაფერია, სადაცაა გათენდება, მიდი მასთან, ოღონდ ფანჯარას ნუ დაკეტავ.

მიხაი გარეთ დარჩა და ფანჯარაში დაიწყო ყურება. იატაკს მთვარის სხივები სცემდა. სიჩუმეში უცებ ბავშვის ტირილი შემოესმა. ნოემიმ ნანა უმღერა, მათი საყვარელი სიმღერა: „ჩემი სატრფოს ჩალის ქოხი", და აკოცა.

იდაყვებით ფანჯრის რაფას დაეყრდნო და მძინარეთა სუნთქვას ყური მიუგდო. ასე იდგა, ვიდრე ოთახში ამომავალი მზის სხივები არ შეიჭრა. პირველმა დოდიმ გაიღვიძა და გაიცინა. ამით ამცნო ირგვლივ მყოფთ, ადგომის დროაო, და მხიარულად ტიტინი დაიწყო.

მიხაიმ ახლა კი აიყვანა ხელში და უთხრა:

— სანამ შენ სახლს არ აგიშენებ, არსად აღარ წავალ, ხომ კარგი იქნება, დოდი?

ბავშვმა ტიკტიკით უპასუხა.

— „ძალიან კარგი იქნებაო!" — გადაუთარგმნა ნოემიმ.

III. ნოემი

დაიწყო ტიმარის ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი დღეები. მხოლოდ ხანდახან აეკვიატებოდა ხოლმე ფიქრი თავის მეორე ცხოვრებაზე, რომელსაც როცა იქნებოდა უნდა დაბრუნებოდა.

ოჰ, რომ შესძლებოდა იქიდან თავის დაღწევა, რა ბედნიერი იქნებოდა და რა სიხარულით დარჩებოდა აქ სამუდამოდ!

ისე კი, სულ ადვილად შეიძლებოდა ამის მოგვარება — აღარ დაბრუნდებოდა იქ და ეს იქნებოდა. პირველ წელიწადს ძებნას დაუწყებდნენ, ორი წელი იგლოვდნენ, სამი წლის შემდეგ იშვიათადღა გაიხსენებდნენ და შემდეგ დავიწყებას მიეცემოდა მისი სახელი. მალე თვითონაც დაივიწყებდა ამ სამყაროს და ერთადერთი ნოემიღა ეყოლებოდა ამქვეყნად.

ნოემი ხომ ფასდაუდებელი განძი იყო!

მასში გაერთიანებული იყო ქალის ბუნების ყველა საუკეთესო თვისება: სათნოება, კეთილშობილება და გულკეთილობა. მისი უცხო სილამაზე ერთბაშად არ გეცემოდათ თვალში, არც ერთფეროვნებით მოგაბეზრებდათ თავს. სახის გამომეტყველება ხასიათისა და გან-

წყობილების მიხედვით ეცვლებოდა და სულ სხვადასხვაგვარ იერს, აძლევდა მის თავისებურ, ყველასაგან განსხვავებულ სილამაზეს. მასში თანაბრად იყო შერწყმული სინაზე და მგზნებარება, მომხიბლავი ქალის სიმშვიდე და ტყის ფერიის ველური სილამაზე. მის სიყვარულში იოტისოდენა ეგოიზმიც კი არ შეიმჩნეოდა, მთელი არსებით საყვარელ ადამიანს ეკუთვნოდა, მის ჭირსა და ლხინს იზიარებდა, სახლში რაც კი გააჩნდა, ყველაფერი მხოლოდ მისი სიამოვნებისთვის უნდოდა. მუშაობაშიც მუდამ მხარში ედგა და ყოველთვის კარგ ხასიათზე მყოფი მასაც ამხნევებდა. თუ რამე წამოსტკივდებოდა, საკმარისი იყო მიხაის შუბლზე ეკოცნა მისთვის, რომ მაშინვე დაამებოდა. ნოემი უსაზღვროდ ერთგული იყო ადამიანისა, რომელიც უყვარდა და ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ისიც მხოლოდ მას აღმერთებდა. ბავშვს რომ ჩაისვამდა კალთაში და ეფერებოდა, მიხაი მათი ცქერით ვეღარ ძღებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ნოემი მხოლოდ მისი საკუთრება იყო, ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა სამაგიერო მიეზღო მისთვის. ჯერ ისევ ბედისწერასთან ჭიდილში იყო.

საფასური მეტისმეტად დიდი იყო!

თუმცა განძიც, რომლისთვისაც ის უნდა გაეღო, განუზომლად ძვირფასი იყო მისთვის!

„ახალგაზრდა ქალი კალთაში ჩასმული მომღიმარი ბავშვით“.

მისი გულისთვის კავშირი უნდა გაეწყვიტა მთელ სამყაროსთან, უარი უნდა ეთქვა მრავალმილიონიან ქონებაზე, საზოგადოებაში მიღწეულ მაღალ მდგომარეობასა და წოდებაზე, უამრავ ყოვლისშემძლე მეგობარზე, სამუდამოდ უნდა მიეტოვებინა თავისი საქვეყნოდ ცნობილი საწარმოები, რომელთა განვითარებაზეც დამოკიდებული იყო მრეწველობის მრავალი დარგის აღმავლობა მის სამშობლოში და, რაც მთავარი იყო, სამუდამოდ უნდა გამოსთხოვებოდა ტიმეას!

ეს კი ყველაზე მძიმე იყო მისთვის! მას სულ ადვილად შეეძლო მდინარის ფსკერიდან ამოღებული განძი დაეთმო და დაუნანებლად ისევ მდინარის ტალღებში გადაეშვა, მაგრამ იმის გაფიქრებაც კი, რომ ის, ვის სიყვარულსაც ვერავითარი ძალით ვერ მიაღწია, ბედნიერებას სხვის სიყვარულში ნახავდა, გონებას ურევდა.

შესაძლოა, მას ახლა თვითონაც არ ესმოდა, რა ხდებოდა მის

გულში, სილამაზე იმ ქალისა, რომელმაც მისი შეყვარება ვერ შესძლო, თანდათან ჭკნებოდა, როცა ის განცხრომასა და ნეტარებაში ატარებდა დღეებს აქ, სადაც შეიყვარეს.

ამასობაში სახლის მშენებლობაც სწრაფად მიიწევდა წინ. ხელობაში გაწაფული მიხაი უკვე მარჯვედ ჭრიდა ღარებს და ძელებსა და ფიცრებს ამაგრებდა. მალე წამოიმართა კაკლის ხის საუცხოოდ გარანდული ფიცრებისაგან აგებული კედლები. მორები ისე იყო ჩამაგრებული ერთი-მეორეში, რომ დახელოვნებული ოსტატის ნახელავისგან ვერ გამოარჩევდით. სახურავიც სეკეურად გადახურა, თევზის ქერცლისებურად გაშალაშინებული ყავარით. სადურგლო სამუშაოები დაამთავრა, ჩუქურთმების ამოჭრა და ავეჯის დამზადებაღა იყო საჭირო. ყველაფერი მარტო3 სხვის დაუხმარებლად გააკეთა, ირიჟრაჟებდა თუ არა, სამუშაოდ მიდიოდა და მზის ჩასვლამდე ხერხი და შალაშინი ეჭირა ხელში, მთელი მონდომებით მუშაობდა და სულ მისი სიმღერა ისმოდა. შინ მხოლოდ შებინდებისას ბრუნდებოდა, სადაც გემრიელი ვახშამი და ჩიბუხი ელოდა. ნავახშმევს ნოემისთან ერთად ჩამოჯდებოდა ხოლმე სკამზე სახლის წინ და აბოლებდა. ნოემი პატარა დოდის დაუსვამდა მუხლებზე და ცდილობდა მთელი დღის განმავლობაში ნასწავლი ახალი სიტყვა ეთქმევინებინა მისთვის.

ეს ერთი სიტყვა მას მთელი სამყაროს სიბრძნეს ერჩია!

— მითხარი, გასცვლიდი დოდის რაიმე ამქვეყნიურ სიმდიდრეზე, თუნდაც ალმასებით მოფენილ მინდორზე? — ჰკითხა ერთხელ სიცილით ნოემიმ.

— ანგელოზებით სავსე ცაზეც კი არ გავცვლიდი.

ამ დროს პატარამ ხელი სტაცა მის ჩიბუხს, დაეჭიდა და სანამ კბილებიდან არ გამოაცალა არ მოეშვა. მაგრამ როგორც კი ხელში ჩაიგდო, ხელიდან გააგდო და ნამსხვრევებად აქცია.

გაჯავრებულმა მიხაიმ მსუბუქად მიარტყა პატარა ხელზე. ბავშვმა ჯერ გაოცებულმა შეხედა, შემდეგ დედას მიეკრა და ტირილი დაიწყო.

— აი, ხედავ? — ნაღვლიანად შენიშნა ნოემიმ, — შენ შეგიძლია უბრალო თიხის ჩიბუხზეც კი გასცვალო...

მიხაიმ თვითონაც ბევრი ინანა, ეს როგორ მომივიდა, ხელი როგორ ვატკინეო, და აღარ იცოდა რა ექნა. დაუწყო კოცნა, ეფერა,

ვალერსა, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ბავშვმა თავი ჩარგო დედის მკერდში და ტიროდა. მთელი ღამე ისე ჭირვეულობდა, ვეღარ დააძინეს. ბოლოს მიხაის მოთმინება გამოელია და ნოემის უთხრა: ახლავე თუ ასე მივაჩვიეთ, მეტისმეტად თავნება გამოგვივაო. ნოემიმ ხმა არ გასცა, საყვედურით სავსე თვალებით შეხედა მხოლოდ.

მეორე დღეს მიხაი ჩვეულებრივზე ადრე ადგა და სამუშაოდ წავიდა. დილიდანვე უხასიათოდ იყო და სიმღერა არც გახსენებია. ნაშუადღევს კი მუშაობა ვეღარ შესძლო, იგრძნო, რომ ძალ-ღონე ელეოდა და შინ დაბრუნდა.

ნოემის მის დანახვაზე ელდა ეცა, არ მოეწონა მისი სახის ვამომეტყველება.

— რაღაც ვერა ვარ კარგად, თავი ტყვიასავით მაქვს დამძიმებული, ტანში მამტვრევს და ძლივს ვდგეევარ ფეხზე, — უთხრა მისვლისთანავე ნოემის.

მან მაშინვე გაუშალა ლოგინი, ტანთ გახადა და ჩააწვინა. ხელები ყინულივით ცივი ჰქონდა.

ქალბატონმა ტერეზამაც მოირბინა, ხელები და შუბლი გაუსინჯა, ნამდვილად აციებსო, თქვა და თბილად დაახურა.

მიხაი კი გრძნობდა, რომ უფრო მძიმე სენით იყო დაავადებული. იმ ხანებში სწორედ ტიფი მძვინვარებდა იმ ადგილებში, ზაფხულში კი წყალდიდობის დროს უფრო მეტად გავრცელდა. მას გონება ჯერ არ დაეკარგა და ახლა იმას სწუხდა, ექიმიც კი არ არის ახლოს, რომ მიშველოს, ნამდვილად მოვკვდებიო.

ათასგვარი საშინელი ფიქრები აეკვიატა: არავინ იცის, რომ აქა ვარ, რა ეშველება ტიმეას? ამბავსაც ვერავინ მიუტანს. ანდა ნოემის რა პასუხს ვაძლევ? რა ეშველება მარტოდ-მარტოს ამ უკაცრიელ კუნძულზე? ჯერ ჩემი ცოლი არც კი გამხდარა და უკვე დაქვრივება ელის. ან პატარა დოდის აღზრდაში ვინ მოეხმარება? როცა გაიზრდება, როგორ გაუჭირდება უჩემოდ!

ვინ ეტყვის ტიმეას, რომ ქვრივია და შავი ძაძების ჩაცმაა საჭირო? ნუთუ მთელი სიცოცხლე ჩემს მოლოდინში უნდა გაატაროს?

ორი ქალი სამუდამოდ გაუბედურდება ჩემს გამო!

ყველაზე მეტად კი ის აწუხებდა, რომ გონდაკარგულს ზედმეტი არაფერი წამოებოდებინა, ნოემი და ტერეზა ხომ მის საწოლს არ მოსცილდებოდნენ. ეშინოდა არაფერი წამოსცდენოდა თავისი აურა-

ცხელი სიმდიდრის, სასახლეების, მოურავებისა და ცოლის შესახებ. ხომ შეიძლებოდა ტიმეას სახე მოსჩვენებოდა და დაეძახნა მისთვის? მისი სახელი კი ნაცნობი იყო ნოემისთვის.

შეძრწუნებული ელოდა იმ საშინელ წუთს, როცა შეიძლებოდა მისდაუნებურად გაეცა საიდუმლო, რომელსაც ასე საგულდაგულოდ ინახავდა.

ფიზიკურ ტკივილებთან ერთად სინდისის ქენჯნაც აწუხებდა, ჯერ კიდევ ვერ ეპატიებინა საკუთარი თავისთვის, დოდის რომ ჩაარტყა ხელში. ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო ამბავი უმძიმეს დანაშაულად მიაჩნდა და მოსვენებას აღარ აძლევდა. ოჰ, როგორ უნდოდა, დოდი მოეყვანათ ახლა მისთვის, რომ გულში ჩაეკრა.

— ნოემი! — ძლივსღა ამოილუღლუღა.

— რა გინდა? — ჰკითხა ნოემიმ.

მაგრამ უკვე გონება დაჰკარგა და ვეღარაფერი უთხრა. ძალღონით სავსე, ძლიერი ორგანიზმის მქონე ვაჟკაცებს ავადმყოფობა უფრო ადვილად ერევა და მძიმე ფორმებშიც მიმდინარეობს. გონდაკარგულს მალე ბოდვაც დააწყებინა. ნოემი შეშფოთებული უსმენდა მის თითოეულ სიტყვას და აღარ იცოდა რა ექნა, მისი ტუჩებით თითქოს სულ სხვა ადამიანი ლაპარაკობდა. მისთვის აღარ არსებობდა არავითარი საიდუმლო, ამბობდა ყველაფერს, რაც ხდებოდა მის სულსა და გულში, რაც კი იცოდა.

ტიფით ავადმყოფის ბოდვა ძალიან წააგავს სულით ავადმყოფისას, ორივეს გონება ერთი აკვიატებული აზრის გარშემო ტრიალებს. ავადმყოფის წარმოდგენაში ცოცხლდება ერთი და იგივე ადამიანის სახე და მის მეტს ვეღარაფერს ხედავს.

მიხაის ქალის სახე აეკვიატა, ოღონდ ეს იყო ნოემი და არა ტიმეა. მხოლოდ მას ელაპარაკებოდა და ცოლის სახელი ერთხელაც არ დასცდენია მის ტუჩებს. ეტყობოდა, მისთვის აღარ დარჩენილიყო ადგილი მიხაის გულში.

ავადმყოფის ბოდვა სასიამოვნოც იყო ნოემისთვის და სამწუხაროც. სევდასაც ჰგვრიდა და სიხარულსაც. მას სასოწარკვეთილებაში აგდებდა ის, რომ მიხაი ისეთ უცნაურ და საოცარ ამბებს ჰყვებოდა, რაც მეტად მძიმე ავადმყოფობას შეეძლო გამოეწვია მხოლოდ, მაგრამ ის, რომ სულ მის ხსენებაში იყო, უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა.

მიხაის ერთხელ მოეჩვენა, რომ ბრწყინვალე სასახლეში იყო დიდებულებთან ერთად.

„თქვენო მაღალიმატებულებავ, ვის უნდა გადასცეთ ეს ორდენი? უპატრონო კუნძულზე ცხოვრობს ერთი გოგონა, რომელიც ყველაზე მეტად იმსახურებს ამ მაღალ ჯილდოს, გთხოვთ მას უბოძოთ! მას ჰქვია ნოემი. რა გვარია? განა კითხულობენ დედოფლის გვარს? ნოემი იქ პირველი ქალია, ატეხილი ჭალებისა და ვარდებით დაფარული კუნძულის დედოფალია ღვთის წყალობით. როცა მე იმ კუნძულის მეფე გავხდები, იქ მინისტრთა კაბინეტს მოვაწყობ, ხორცის მეთვალყურედ ალმირას დავნიშნავ, რძისა ნარცისას. ისინი ჩემი ერთგული ქვეშევრდომები იქნებიან და არც არასდროს მოვთხოვ ანგარიშს“.

შემდეგ თავის სასახლეებზე დაიწყო ლაპარაკი:

„ნოემი, როგორ მოგწონს ეს დარბაზები? მოოქროვილი ჭერი და მის ფონზე მოცეკვავე ბავშვები? ხომ ჰგვანან ჩვენს პატარა დოდის? მაგრამ ეს კი არ მომწონს, ასე მაღლა რომ არიან, გატყობ, შენ გცივა აქ, მეც მცივა. რა სჯობია ახლა შენს პატარა ქოხში ცეცხლის პირას ჯდომას! წავიდეთ ისევ იქ, მე არ მიყვარს ეს ძვირფასი სასახლეები. ამ ქალაქში ხშირია მიწისძვრები, მეშინია, თავზე არ ჩამოგვექცეს ეს სახლი. მაგრამ ის ვინ არის, კარებიდან რომ გვითვალთვალებს? ჰოო, ვიცანი, ერთი ბოროტი და შურიანი ქალია! იქით ნუ გაიხედავ, არ გაგთვალოს! ოდესღაც მას ეკუთვნოდა ეს სასახლე, ახლაც სულ აქ არის, აქაურობას არ სცილდება. იცოდე, ეს ავი სულია, აი, ხანჯალი უჭირავს ხელში, შენი მოკვლა უნდა, ალბათ. წავიდეთ, გავშორდეთ აქაურობას!“

მაგრამ გაქცევა ვეღარ მოასწრეს, ფულის მთელი გროვა დაეყარა მიხაის თავზე.

„ადგომა აღარ შემიძლია! ოქროები მაყრია ზემოდან და სულს მიხუთავს, მიშველეთ, ოქროში ვიღრჩობი! ჭერმაც კი ვეღარ გაუძლო და ჩამოინგრა, სუნთქა მიჭირს, ნოემი! ხელი მომეცი, გამომათრიე როგორმე ამ ოქროებიდან!“

მისი ხელი ნოემის ისედაც ხელში ეჭირა და ფიქრობდა, ეს საშინელი სენი როგორ უწყალოდ სტანჯავს, საწყალ მეზღვაურებს თავი მუდამ ოქროში ჩაფლული ეჩვენებათო.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ ნოემის დაუწყო ლაპარაკი:

„შენ არ გიყვარს, ალმასები? სულელო, ნუ გეშინია მისი ბრწყინ-ვალების, არ დაგწვავს! თუმცა, შენ მართალი ხარ, როგორ არ დაგ-წვავს? აქამდე არავის მიუქცევია ამისთვის ყურადღება, სინამდვი-ლეში კი მისი ბრწყინვალება ჯოჯოხეთის ცეცხლზე უარესია! სახე-ლებიც კი ერთმანეთსა ჰგავს: „დიამანტი“, „დიაბოლუსი“! გინდა, წყალში გადავყაროთ? მოიხსენი და მდინარეში გადავუშვათ. მე ვიცი ის ადგილი, საიდანაცაა ამოღებული, სჯობს, უკანვე დავაბრუნო! ნუ გეშინია, წყალში დიდხანს არ დავრჩები, შენ აქ დარჩი და ილო-ცე. არაფერია, მე შემიძლია ჩავყვინთო წყალში და სანამ შენ ამო-ისუნთქავ, ამოვალ. ჩაძირული ხომალდის ერთ კაიუტაში უნდა შევ-ცურო მხოლოდ. მაგრამ მოიცა, ეს ვინ წევს აქ, საწოლზე?“

თავზარდაცემული ზეწამოიჭრა და გაქცევას აპირებდა. ნოემიმ დიდი გაჭირვებით ჩააწვინა ისევ ლოგინში.

„ვიღაცა წევს იქ, საწოლზე!“

„მაგრამ მისი სახელის ხსენება არ შემიძლია!“

„შეხედე, როგორ ანათებს ფანჯრებს მთვარის მეწამული შუქი! მომაშორე თავიდან მისი სხივები, არ მინდა მისი სინათლე, თვალებს მატკივებს, აი, სულ ახლოსაა, ფარდები ჩამოაფარე!“

ფარდები უკვე ჩამოფარებული იყო და გარეთაც უკუნეთი სიბ-ნელე სუფევდა.

როგორც კი სიცხემ ცოტა დაუკლო, მოეშვა და მაშინვე ნოემის შეხედა.

„ოჰ, რომ იცოდე, რა ლამაზი ხარ, ნოემი, ალმასების გარეშე!“ მაგრამ მალე ისევ ბოდვა დააწყებინა:

„ის ბოროტი კაცი ახლა დედამიწის მეორე ნახევარსფეროშია, დედამიწა შუშისა რომ იყოს, იქიდანაც დაგვინახავდა, მაგრამ მე ხომ ვხედავ? ესე იგი ისიც მხედავს! მოიცა, მოიცა, ეს რას აკეთებს? ჩხრიალა გველებს იჭერს, რისთვის უნდა ნეტავ? თუმცა, ვიცი, ვი-ცი, როცა დაბრუნდება, ალბათ, ჩვენს კუნძულზე გაუშვებს. აქ არ მოუშვათ, არა! ალმირა, ალმირა, სადა ხარ? ფხიზლად იყავი, ეცი, არ გაუშვა! აი მახრჩობელა გველს შეეფეთა, დიახ! ურჩხულმა პირი დააღო და გადაყლაპა, რა საშინელია, როგორ იკლაკნება! მე რას მომჩერებიხარ! ნოემი, სახეზე დამაფარე, არ შემიძლია მისი ყუ-რება!“

ერთ კოშმარულ მოჩვენებას მეორე სცვლიდა.

„გემების მთელი ფლოტილია ზღვაში ფქვილით არის დატვირთული. აი, ქარიშხალიც ამოვარდა, ამას ტორნადოს ეძახიან! გემები ნაფოტებივით შეაქანა, ჰაერში აიტაცა, ერთმანეთს შეაჯახა და ნამსხვრევებად აქცია! ფქვილის წვიმა წამოვიდა, მთელ ქვეყანაზე მიმოიფანტა და ყველაფერი გადაათეთრა, ფქვილმა დაფარა ზღვა, ზეცა და მიწა. გაოცებული მთვარე ღრუბლებიდან იყურება, ქარი კი ფქვილს აყრის გაწითლებულ ცხვირზე. შეხედე, ნოემი, რა სასაცილოა! პრანჭია ბებრუცუნას არა ჰგავს, დანაოჭებულ სახეზე პუდრს რომ დაიყრის ხოლმე? რატომ არ იცინი, ნოემი?“

ნოემის აბა რა გააცინებდა? მწუხარებისაგან სულ ხელებს იმტვრევდა, დღე და ღამე გვერდიდან არ სცილდებოდა, დღისით მის სასთუმალს უჯდა, ღამე კი, იქვე მისი საწოლის წინ დაგებულ ჩალობზე იწვა. მას ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ შეიძლებოდა ავადმყოფობა გადასდებოდა, დაიხრებოდა ხოლმე მის ბალიშზე და ცხელ შებლსა და სიცხისგან გამხმარ ტუჩებს უკოცნიდა.

ქალბატონი ტერეზა შინაური წამლებით ცდილობდა მისთვის სიცხის დაწევას, ფანჯრებზე ჩარჩოები ჩამოხსნა, რომ ოთახში მეტი სუფთა ჰაერი შემოსულიყო. მისი აზრით, ეს ყველაზე საუკეთესო საშუალება იყო ტიფის წინააღმდეგ. კრიზისი მეცამეტე დღესაა მოსალოდნელია, აუხსნა ნოემის, ამის შემდეგ ავადმყოფი ან გამოჯანმრთელდება, ან მოკვდებაო.

რამდენი მძიმე დღე და ღამე გაატარა ნოემიმ მიხაის საწოლთან მუხლებზე დაჩოქილმა! ღმერთს ევედრებოდა, მოწყალე თვალით გადმოეხედა მისთვის, გადაერჩინა საყვარელი ადამიანი! სიამოვნებით დასთმობდა საკუთარ სიცოცხლეს, ოღონდ ის გადარჩენილიყო!

ნოემი სიკვდილსაც კი სთხოვდა, დაებრუნებინა სიცოცხლე მიხაისთვის და სამაგიეროდ მისი მიეღო. იმას კი აღარ ფიქრობდა, რომ ულმობელი სიკვდილი არავის ლოცვა-ვედრებას ანგარიშს არ უწევს.

მრისხანე ანგელოზმა მაინც შეისმინა მისი ვედრება.

მეცამეტე დღეს ავადმყოფს სიცხემ დაუკლო და აღარ აბოდებდა, ნერვიული აღგზნება სისუსტემ და მოთენთილობამ შეცვალა. ეს უკეთესობისაკენ შემობრუნება იყო. ახლა უკვე კარგი მოვლა-პატრონობითაც შეიძლებოდა მისი გადარჩენა. მისი გამოჯანმრთელება ბევრად იყო დამოკიდებული სულიერ სიმშვიდეზე, საჭირო იყო

არაფერზე არ აეღელვებინათ, ისედაც გაღიზიანებული იყო მაღალი სიცხეებისაგან, ყოველგვარ აღშფოთებას, შიშსა თუ წყენას შეეძლო მისი სიკვდილი გამოეწვია.

მეცამეტე ღამეს ნოემი სულ ფხიზლობდა, ბავშვის სანახავადაც კი არ გამოსულა, რომელსაც ტერეზასთან ეძინა მეორე ოთახში.

დილით, როცა მიხაის ღრმად ჩაეძინა, ტერეზამ ყურში ჩასჩურჩულა, პატარა დოდი ძალიან ავად არისო.

ბავშვის ავადმყოფობაღა აკლდა საწყალ ნოემის!

დოდის დიფტერიტი შეხვდა, ბავშვების ყველაზე საშიში დაავადება, რომლის წინაშეც ზოგჯერ მედიცინაც კი უძლურია.

თავზარდაცემული ნოემი მაშინვე მის ოთახში გაიქცა. ბავშვს სახე ისე შესცვლოდა, ძლივს იცნო. მიუხედავად ტკივილებისა, არც ტიროდა, არც კვნესოდა. ყველაზე მძიმე კი ის იყო რომ არ შეეძლო შეეჩივლა, რა აწუხებდა, მათ კი არ იცოდნენ, რით ეშველათ.

ნოემიმ დედას შეხედა, მისი თვალები თითქოს ეკითხებოდნენ: ნუთუ შენც არაფერი შეგიძლია? ვის არ დახმარებიხარ, ვინ არ გაგიკურნავს? დოდისთვის კი არავითარი წამალი არ მოგეძებნება!

— არ არსებობს ასეთი წამალი, — უპასუხა ნაღვლიანად ტერეზამ.

ნოემი მუხლებზე დაეცა ბავშვის საწოლთან.

— რა გტკივა, გენაცვალე, ჩემო სიცოცხლევ, შემომხედე ერთი შენი ლამაზი თვალებით!

მაგრამ ბავშვი თვალდახუჭული იწვა და არაფერი ესმოდა. ბოლოს, დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ გაახილა თვალები. სიკვდილის შიში ამოიკითხა ნოემიმ მის გამოხედვაში და გულგახეთქილმა შეჰყვირა:

— ნუ მიყურებ ასე, ნუ მიყურებ!

ბავშვს არ უტირია, ხველება აუტყდა მხოლოდ.

— ღმერთო ჩემო, ხომ დავიღუპე, მიხაიმ მისი ხველება რომ გაიგონოს მეორე ოთახში!

მას ხელში ეჭირა ბავშვი და თან ყური იქით ჰქონდა, არ გაიღვიძოსო. როგორც კი მიხაის ხმა გაიგო, დოდი დააწვინა და ახლა იმასთან გაიქცა.

დიდი შეტევების შემდეგ მიხაი ძალიან დასუსტებული იყო, ყველაფერზე ჯავრობდა და ნერვიულობდა.

— სადა ხარ აქამდე, როცა მჭირდები, არასოდეს არა ხარ ჩემთან! — მიახალა შემოსვლისთანავე.

— ნუ ჯავრობ! — სთხოვა ნოემიმ, — ცივი წყალი მოგიტანე!

— ტერეზა ვერ მოიტანდა? მეტი რა საქმე აქვს! ფანჯარაც ღია დაგიტოვებია, ხომ შეიძლება ვირთხა შემოვიდეს, როცა მძინავს! აბა, ნახე კარგად, ხომ არ შემოსულა?

ციებ-ცხელებიან ავადმყოფებს ხშირად ეჩვენებათ ვირთხები.

— აქ ვირთხა კი არა, კოღოც ვერ შემოფრინდება, ფანჯარაზე ხომ ბადე მაქვს გაბმული.

— ჰოო, აბა სად არის წყალი?

ნოემიმ წყალი მიაწოდა, მიხაი კი ისევ აბუზღუნდა:

— ეს არის ცივი წყალი? დუბელა წყალს მასმევ, გინდა რომ წყურვილმა მომკლას!

ნოემი მოთმინებით იტანდა მის ყოველგვარ ჭირვეულობას და როგორც კი დაიძინებდა, მაშინვე დოდისთან გარბოდა, მასთან კი ტერეზა რჩებოდა. ასე სცვლიდნენ ერთმანეთს. ტერეზა როგორც კი შეამჩნევდა, რომ მიხაი იღვიძებდა, ნოემის ატყობინებდა, ისიც მაშინვე სტოვებდა დოდის და მასთან გამორბოდა. ასე მიმოდიოდა ნოემი ავადმყოფებთან მორიგეობით, თანაც მიხაისთან ათასგვარი მიზეზებით უნდა გაემართლებინა თავი, ხან რას იგონებდა, ხან რას. ავადმყოფები ხომ მეტისმეტად ეჭვიანები არიან და სულ ის ეჩვენებათ, რომ მათ ირგვლივ მყოფნი მხოლოდ მათ გაღიზიანებას ცდილობენ და ყველაფერში ატყუებენ. რაც უფრო მეტადაა დასუსტებული ავადმყოფი, მით უფრო მეტად ეჭვიანობს, ადვილად ეშლება ნერვები სულ უბრალო მიზეზითაც კი და წონასწორობას კარგავს.

ასეთ შემთხვევაში კი, ზოგჯერ სულ მცირე გაგულისებამაც შეიძლება მოკლას ადამიანი. ის, ვისაც ასეთი ავადმყოფის მოვლა უხდება, პირდაპირ გაწამებულია. ასე იყო სწორედ ნოემიც.

ბავშვის მდგომარეობა დღითი-დღე უარესდებოდა. ტერეზამ უკვე დაკარგა მისი ხსნის იმედი, ნოემის კი ტირილის უფლებაც არ ჰქონდა, რომ მიხაის მისი ნამტირალევი თვალები არ დაენახა და მიზეზის გამოკითხვა არ დაეწყო.

კრიზისიდან მეორე დღეს მიხაის უკეთესობა დაეტყო და მაშინვე საჭმელი მოითხოვა. ნოემიმ ბულიონი მოუტანა, მიხაის ძალიან მო-

ეწონა და სულ შეეშალა. ნოემი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. დოდი რას აკეთებსო, ჰკითხა ბოლოს.

ნოემი შეცბა, აღარ იცოდა, რა ექნა, მაგრამ მალევე გამოერკვა, შეეშინდა, შეშფოთება არ შემატყოსო, და სძინავსო, უპასუხა.

— სძინავს? როდის ეძინა ხოლმე ამ დროს, ავად ხომ არ არის?

— არა, არა, რას ამბობ, სძინავს.

— მაშ რატომ არ მოგყავს ჩემთან, როცა ღვიძავს?

— შენ გძინავს ხოლმე, როცა ის იღვიძებს.

— კარგი, კარგი, ორივეს რომ გვეღვიძება, მაშინ მომიყვანე, რომ იცოდე, როგორ მომენატრა!

— აუცილებლად მოგიყვან.

ბავშვის მდგომარეობა კი სულ უფრო უარესდებოდა. ნოემი უმალავდა მის ავადმყოფობას და რას აღარ იგონებდა, მაგრამ მიხაი სულ იმის ხსენებაში იყო.

— იმ პატარა ხეს კაცუნათი თუ თამაშობს?

— ხელიდან არ უშვებს. (...სიკვდილის საშინელ აჩრდილს!)

— მე არ მკითხულობს?.

— სულ შენზე ლაპარაკობს (...მალე, ალბათ, ღმერთთან ილაპარაკებს!)

— ჩემს მაგივრად აკოცე.

ნოემიმ გამოსათხოვრად აკოცა მომაკვდავ ბავშვს.

გავიდა ერთი დღე.

დილით რომ გამოიღვიძა, მიხაის არავინ დახვდა ოთახში. ნოემი შთელი ღამე დოდის საწოლს არ მოსცილებია, ცრემლიანი თვალებით შეჰყურებდა, როგორ ებრძოდა სიკვდილს, დარდისაგან გული გახეთქვაზე ჰქონდა, მაგრამ მახაისთან მაინც ღიმილით შევიდა.

— დოდისთან იყავი? — ჰკითხა ავადმყოფმა.

— ჰო.

— ისევ სძინავს?

— სძინავს.

— მართალი მითხარი!

— ნამდვილად სძინავს.

ნოემი ახლა არ სტყუოდა, ერთი წუთის წინ მან საკუთარი ხელით დაუხუჭა თვალები ბავშვს, რომელმაც სამუდამოდ დაიძინა. მაგრამ მას უფლება არ ჰქონდა თავისი მწუხარება გამოემჟღავნებინა და ავადმყოფთან ისევ მომღიმარი სახით შევიდა.

ნაშუადღევს მიხაილ ძალზე უხასიათოდ გაიღვიძა. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო ნერვიულობდა და ადგილს ვეღარ პოულობდა. საღამოს გაბრაზებულმა მოიხმო ნოემი, ის ჩვეული ღიმილით შევიდა და სიყვარულით სავსე თვალებით შეხედა. მიხაილ ისევ უნდოდ გამომეტყველებით მისჩერებოდა და მიზეზს ეძებდა საჩხუბრად. უცებ მის გულზე დაბნეული ნემსი და ძაფი შენიშნა და ესიამოვნა.

— აი, თურმე რას აკეთებდი! განა ახლა ამის დროა? ახლა მოგინდა, ახალი კაბის შეკერვა?

(„სუდარას ვკერავდი პატარა დოდისთვის!“) — უპასუხა ნოემიმ გულებაში, ხმამაღლა კი უთხრა:

— რუშებს ვაკერებდი ჩემს პერანგს.

— ამაოებავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ!

ნოემის გაეღიმა მის სიტყვებზე და უპასუხა, „მართალი ხარო“.

გავიდა კიდევ ერთი დღე. მიხაილ მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. სულ დოდიზე წუხდა, ნეტავ რას აკეთებსო, და ნოემის ყოველ წუთში ამბის გასაგებად გზავნიდა.

ისიც რამდენჯერაც მეორე ოთახში გავიდოდა, შვილის გაციებულ სხეულს ჰკოცნიდა და მის გასაგონად ხმამაღლა ეფერებოდა: „ისევ გძინავს. ჩემო საყვარელო დოდი? ისევ გძინავს, ჩემო პატარა? მითხარი ხომ გიყვარვარ?“

მიხაილთან რომ შევიდოდა, არწმუნებდა, ყველაფერი რიგზეა, ჩვენი დოდი თავს შესანიშნავად გრძნობსო.

— რაღაც ძალიან დიდხანს სძინავს დღეს? რატომ არ აღვიძებ?

— ახლავე გავაღვიძებ, — მშვიდად უპასუხა ნოემიმ.

მიხაილ მალე ჩასთვლიმა, ოღონდ მაშინვე გამოიღვიძა.

— იცი, ნოემი, თითქოს დოდის ხმა შემომესმა, რომ იცოდე, რა კარგად მღეროდა!

ნოემიმ რაღაც არაადამიანური ძალით შეიკავა თავი, რომ არ ატირებულიყო და გაიფიქრა, ის უკვე ზეცაშია ანგელოზებთან და, ალბათ, იქიდან მოგესმა მისი სიმღერაო. საღამოს ისევ გაგზავნა ნოემი დოდისთან, წადი დააძინე და ჩემს მაგივრადაც აკოცეო.

— რა თქვა ბავშვმა? — ჰკითხა შემოსვლისთანავე.

ნოემის ლაპარაკი აღარ შეეძლო, დაიხარა მისკენ და ლოყაზე აკოცა.

— აი, თურმე რა გითხრა დოდიმ, მაგას ვენაცვალე! — წამოიძახა გახარებულმა და მის ხსენებაში ჩაეძინა. ბავშვმა თითქოს გაუნაწილა თავისი ძილი.

მეორე დილით მიხაიმ ისევ დოდიზე დაიწყო ლაპარაკი.

— ოთახის ჰაერი აწყენს ბავშვს, უმჯობესია ბაღში გაიყვანოთ, სუფთა ჰაერზე.

მის გასაყვანად უიმისოდაც უკვე ემზადებოდნენ. ტერეზამ თვითონ გაუთხარა საფლავი ღამით ძეწნის ქვეშ.

— გადი შენც მასთან, ბაღში, მე ცოტას დავიძინებ, უკეთ ვგრძნობ თავს.

ნოემი გავიდა და გასაღებით გადაკეტა კარი. უხმოდ გამოასვენეს ჰატარა მიცვალებული და მიწას მიაბარეს. ნოემიმ ბორცვი არ დატოვა მის საფლავზე, მიხაის ხშირად გაახსენებს ამ სამწუხარო ამბავს და მის გამოჯანმრთელებაზე იმოქმედებსო. ხის ქვეშ მიხაის საყვარელი თეთრი ვარდის ბუჩქი დარგო და ისევ ავადმყოფთან დაბრუნდა.

— სად დატოვე დოდი? — ჰკითხა მიხაიმ.

— ბაღში.

— რა აცვია?

— ცისფერბაბთებიანი თეთრი ხალათი.

— ის ძალიან უხდება. ხომ არ შესცივა?

— არა, თბილად არის (სამი ფუტი სიმაღლის მიწა აყრია ზემოდან.)

— როცა ბაღში წახვალ, იცოდე, წამომიყვანე და მაჩვენე.

ნოემის ამის მოსმენა უკვე აღარ შეეძლო, გარეთ გამოვარდა, ტერეზას ჩამოეკიდა კისერზე და მოეხვია, ტირილით კი არ უტირია, ეს არ შეიძლებოდა. შემდეგ დიდხანს, ძალიან დიდხანს დაეხეტებოდა ბაღში, ძეწნის ქვეშ, დოდის საფლავზე ახლადგადაშლილ, ვარდის კოკორი მოსწყვიტა და მიხაის წამოუღო. ტერეზაც უკან გაჰყვა.

— აბა, სად არის დოდი? — ჰკითხა მოუთმენლად მიხაიმ.

ნოემიმ დაიჩოქა მის საწოლთან და კოკორი მიაწოდა. მიხაიმ გამოართვა და უსუნა.

— საოცარია, სუნი არა აქვს, თითქოს ვინმეს საფლავზე იყოს ამოსული.

ნოემი მაშინვე ოთახიდან გავიდა.

— რა დაემართა? — ჰკითხა ტერეზას გაოცებულმა.

— ნუ გეწყინებათ, — მშვიდად მიმართა ტერეზამ, — თქვენ ძმიშვილ იყავით ავად, ახლა ღვთის წყალობით საშიში აღარაფერია, გადარჩით, მაგრამ სავსებით ჯერ არ მორჩენილხართ, გამოჯანმრთელებისას კი მით უფრო გადასადებია. მე უფლებას არ ვაძლევდი ნოემის ბავშვი მოეყვანა თქვენთან, შეიძლება, წინდაუხედავად მოვიქეცი, მაგრამ მე მგონი, ასე სჯობდა.

— ძალიან კარგად მოქცეულხართ, — უთხრა მიხაილ და ხელი ჩამოართვა, — მე კი ამდენი ვერ მოვიფიქრე. რა გონიერი ქალი ხართ, ტერეზა! ალბათ, გვერდით ოთახიდანაც გაიყვანდით.

— დიახ, ჩვენ მას ბაღში მოვუწყეთ მყუდრო ბინა.

ტერეზა არ სტყუოდა.

— რა კეთილი ხართ, ახლავე წადით ბავშვთან და ნოემი გამოიგზავნეთ, მე აღარა ვთხოვ მას დოდი მომიყვანოს, ოღონდ, როცა წამოვდგები, ხომ წამიყვანთ მასთან?

— რა თქმა უნდა!

ამ ტყუილის თქმა აუცილებელი იყო, ავადმყოფი დაამშვიდეს და დაარწმუნეს, რომ ბავშვის ნახვა შეუძლებელი იყო მის გამოჯანმრთელებამდე.

რამდენიმე დღეში მიხაი უკვე კარგად გახდა, მაგრამ ისე იყო დასუსტებული, რომ წამოდგომა უჭირდა. ნოემიმ ტანთ ჩააცვა, მხარში ამოუდგა და ოთახიდან გაიყვანა. იქვე სახლის წინ გამართულ სკამზე ჩამოსხდნენ ერთმანეთის გვერდით.

ზაფხულის თბილი დღე იყო. მიხაის ეჩვენებოდა, რომ ფოთოლთა შრიალი და ფუტკრების ზუზუნი ძლივს აღწევდა მის ყურამდე, რაღაცას ჩასჩურჩულებდა, მაგრამ ვერ გაეგო. განსაკუთრებით კი ერთი აზრი აეკვიატა. ნოემის თვალებში მან რაღაც ფარული სევდა ამოიკითხა და გული შეეკუმშა. ერთი სული ჰქონდა, გაეგო რა ჭოხდა.

— ნოემი!

— რა იყო მიხაი?

— ნოემი, შემომხედე!

ნოემიმ თავისი ნაღვლიანი თვალებით შეხედა.

— სად არის პატარა დოდი?

ნოემიმ ამ უბედურების დაფარვა ვეღარ შესძლო, აკანკალებული და განაწამები სახე ზეცისკენ აღაპყრო და წარმოთქვა:

— იქ არის... იქ!..

— მოკვდა? — ჩურჩულით ჰკითხა მიხაიმ.

ნოემრ გულში ჩაეკრა და ამდენი ხნის შეკავებული ცრემლები გადმოღვარა. ტიროდა დიდხანს, ძალიან დიდხანს. მიხაიმ ხელი მოხვია და ხმა აღარ ამოუღია, თვითონ არ ტიროდა, გაოცებული შეჰყურებდა და ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო. როგორ ამაღლდა მის თვალში ეს ქალი, რომელიც ესოდენ განუზომელი მწუხარების ჟამსაც კი მის სიმშვიდეზე ფიქრობდა, როგორ შესძლო დაემალა დარდი და მზრუნველობა არ დაეკლო მისთვის, საიდან ჰქონდა ამდენი ძალა? რა უსაზღვრო ყოფილა მისი სიყვარული!

ბოლოს, ტირილით გული რომ იჯერა, ნოემის ისევ ღიმილმა გადაურბინა სახეზე. მიხაის მოეჩვენა, ცისარტყელას მზემ სხივები შეაფრქვიაო.

— როგორ შესძელი ეს დაგემალა ჩემთვის? — ჰკითხა გაოცებულმა.

— ეს შენს ჯანმრთელობაზე ცუდად იმოქმედებდა!

— შენს თვალებზე ერთი ცრემლიც არ შემინიშნავს!

— შენთვის არ შეიძლებოდა ამის გაგება!

— ჩემგან რომ მიდიოდი, თურმე მას დასტრიალებდი თავს, მე კი გსაყვედურობდი!

— შენ საწყენი არაფერი გითქვამს ჩემთვის, მიხაი.

— ჩემს მაგივრად რომ ჰკოცნიდი, შენ გრძნობდი, რომ ეს უკანასკნელი, გამოსათხოვარი კოცნა იყო! შენ მის დასამარხად სუდარას ჰკერავდი, მე კი ცილი დაგწამე, კაბებს იკერავ-მეთქი! შენ მე მიღიმოდი, როცა გული ასეთი დარდით გქონდა სავსე! ოჰ, ნოემი, რომ იცოდე, როგორ გაღმერთებ!

მასაც ხომ მისი სიყვარულის მეტი არაფერი უნდოდა.

ფოთლებისა და ბალახის შრიალი, ფუტკრებისა და კელების ზუზუნი აღარ იყო ახლა მიხაისთვის გაუგებარი, ბოლოს დუმილი ისევ მან დაარღვია.

— სად დამარხეთ? წამიყვანეთ მის საფლავზე.

— ოღონდ დღეს არა!—შეეხვეწა ნოემი,—შორს არის, შენთვის ჯერ არ შეიძლება ამდენი სიარული, დაიღლები, ხვალ წავიდეთ.

მაგრამ არც მეორე და მესამე დღეს არ წაიყვანა ნოემიმ დოდის საფლავზე.

— მე განგებ არ ავამაღლე ბორცვი და არც ხის ქანდაკება გავუკეთე, რომ შენ არ გეპოვნა და არ გევლო იქ. ვიცი, იქ დააღამებდი და გაათენებდი და ხელახლა ავად გახდებოდი, მისი ყოველი დანახვა მწუხარებას გაგიახლებდა.

მაგრამ მიხაი მაინც დანაღვლიანდა და სულ დარდობდა. ბოლოს, როცა იმდენად მოღონიერდა, რომ მარტომ შესძლო სიარული, დოდის საფლავს დაუწყო ძებნა.

ერთ დღესაც გახარებული დაბრუნდა ქოხში, ხელში ნახევრად გაშლილი თეთრი ვარდის კოკორი ეჭირა. ეს იმ ვარდისა იყო, ხუნი რომ არ ჰქონდა.

— ის ვარდია? — ჰკითხა ნოემის.

გაოცებულმა ნოემიმ თავი დაუქნია. ესე იგი, მათ ვერ შესძლეს დაემალათ მისთვის დოდის საფლავი.

მიხაიმ ადვილად მიაგნო ახლადდარგულ ვარდის ბუჩქს. მან ხომ საკუთარი ხელისგულივით იცოდა კუნძულის ყოველი კუთხე-კუნჭული. ამან ცოტა დაამშვიდა, თითქოს მძიმე ტვირთი ჩამოეხსნა.

მთელი დღეები ქოხის წინ იჯდა სკამზე, ჯოხით აგორებდა პატარა კენჭებს და თავისთავს ელაპარაკებოდა:

„შენ ამბობდი, რომ არაფერზე გასცვლიდი დოდის ამქვეყნად, თვით ალმასებით მოფენილ მინდორზეც კი! რაღაც უბრალო, თიხის ჩიბუხის გულისთვის კი ხელში ჩაარტყი“.

ჯერ ისევ დაუმთავრებელი საუცხოო კაკლის ხის სასახლე სულ მიატოვა და იქით გახედვაც აღარ უნდოდა, მის ირგვლივ მინდორი ბალახმა და ყვავილებმა დაფარა.

დარდმა და ავადმყოფობამ მიხაი ძალზე დაასუსტა, აღარაფერი არ ახალისებდა ცხოვრებაში ნოემის გარდა.

IV. ᲛᲔᲚᲐᲜᲫᲝᲚᲘᲐ

თეთრი ვარდის ბუჩქი მთლად გადაპენტილიყო. ტიმარი სულ თავს დასტრიალებდა მას და თითოეული კოკრის გაშლას თვალს ადევნებდა. გაშლილ ვარდებს კრეფდა, გულის ჯიბეში იწყობდა და ახმობდა.

ამაზე აყოლებდა გულს.

ნოემის ალერსი და სიყვარულიც ვეღარ უქარვებდა ნაღველს, მის ერთ სიტყვას შეეძლო სიხარული დაებრუნებინა მისთვის, მაგრამ ვერა და ვერ უთხრა ნოემიმ ხმამაღლა სათქმელი. მიხაი კი ვერაფერს ხვდებოდა, მის გულისტკივილს მწარე მოგონებები კიდევ უფრო ამწვავებდა.

ნოემი ხედავდა, მის დარდიან გულს რომ ვერაფრით შველოდა და ბოლოს ურჩია, ხომ არ აჯობებს, რომ წახვიდეო.

— სად წავიდე?

— იქ, იქნებ, ცოტა გადაგავიწყდეს და გული გადააყოლო. ახლავე ჩაგილაგებ ტანსაცმელს, ხვალ ხილის ვაჭრები გადაგიყვანენ ბდინარეზე.

მიხაიმ არაფერი უპასუხა, თავი დაუქნია მხოლოდ. თვითონაც კარგად გრძნობდა, რომ ასე ადვილად ვერ მოერეოდა ავადმყოფობას, ნერვებიც ღალატობდა. აქ დღე და ღამე დოდიზე დარდობდა და კიდევ ცოტა ხანს რომ დარჩენილიყო, შეიძლებოდა გაგიჟებულიყო ან თავი მოეკლა.

მაგრამ თავის მოკვლა ხომ სულმოკლე ადამიანთათვის არის გამოსავალი უბედურებიდან, ეს ყველაზე იოლი გზაა. ყოვლგვარი უიმედობა, სულიერი და ფიზიკური ტკივილები, მარცხი, სინდისის ქენჯნა, უსამართლობა, გაცრუებული ოცნებები, კოშმარული მოჩვენებები, ახლობელთა გარდაცვლილი სახეების ზმანება—ერთ წუთში გაჰქრება ღამის სიზმარივით, რევოლვერის ჩახმახს ხელი რომ გაანოჭკრა.

გამგზავრების წინა საღამოს, ნავახშმევს, მიხაი, ნოემი და ტერეზა ქოხის წინ ბაღჩაში ჩამოსხდნენ. სულ ახლახან ოთხნი ვიყავითო, უნებურად გაიფიქრა მიხაიმ და გული შეეკუმშა.

მთვარე ვერცხლისფერ ღრუბლებს მოეფარა. ნოემიმ მიხაის ხელი მუხლებზე დაიდო, ხელისგულები შემოხვია და იკითხა: მთვარე როგორიაო.

„ეს ჩემი ავბედითი ვარსკვლავია! ნეტავ არასოდეს დამენახა მეწამული ნამგალა მთვარე!“ — გაიფიქრა მიხაიმ და მუშტები მოკუმა.

— მთვარე ცივი პლანეტაა, თითქმის ისეთივე, როგორც დედაშიწა, ოღონდ მასზე სიცოცხლე არ არის, არც მცენარეებია, არც ცხო-

ველები, არც ჰაერი და წყალი, არც ფერები, არც ხმები, — უპასუხა ქალიშვილს ტერეზამ.

— სრულებით არაფერი? — გაუკვირდა ნოემის. — ნუთუ ეს უზარმაზარი მნათობი დაუსახლებელია და იქ არავინ ცხოვრობს?

— ეს არავინ იცის, — განაგრძო ტერეზამ, — ახალგაზრდობაში, როცა პანსიონში ვსწავლობდი, ხშირად ვაკვირდებოდით ხოლმე მთვარეს ტელესკოპით. მისი ზედაპირი სულ გადათხრილია. ამბობდნენ, ეს დიდი ხნის წინათ ჩამქრალი ვულკანების კრატერებიაო. ჯერ კიდევ არ გამოუგონიათ ისეთი ხელსაწყოები და ტელესკოპები, რომლებითაც შესაძლებელი იქნებოდა შეგვესწავლა, არის თუ არა იქ სიცოცხლე. თუმცა მეცნიერებისთვის ცნობილია, რომ მთვარეზე არ არის წყალი და ჰაერი, მათ გარეშე კი სიცოცხლე შეუძლებელია.

— მაგრამ, იქნებ, მაინც ცხოვრობენ იქ ადამიანები? — დაიჩემა ნოემიმ.

— მართლა ასე ფიქრობ?

— გინდათ, გიამბოთ, როგორა მაქვს ეს ყოველივე წარმოდგენილი? ძალიან ხშირად მარტო დარჩენილს დარდი შემომწოლია გულზე, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა დიდხანს ვმდგარვარ მდინარის პირას და ტალღებისთვის მიცქერია. მორევი თითქოს თავისკენ მიზიდავდა, მიხმობდა, მიტაცებდა: რომ იცოდე, რა კარგია აქ! როგორ დაისვენებ, რა სიმყუდროვეა!

მიხაიმ შეშფოთებული თვალებით შეხედა.

— ნუ გეშინია, მიხაი! ეს ხომ წინათ იყო, დიდი ხნის წინათ. მაშინ ვფიქრობდი, ჩემი სხეული თუ მდინარის ფსკერზე განისვენებს, სული, ალბათ, მთვარეზე წავა, სხვაგან სად უნდა წავიდეს-მეთქი. ახლა კი დარწმუნებული ვარ ამაში. თუკი მთვარეზე არც წყალია და არც ჰაერი, არც ხმები და ფერები, სრული სიმშვიდე ყოფილა სწორედ სულების მოსასვენებლად.

ტერეზა და მიხაი შეშფოთებულები წამოხტნენ და გაეცალნენ. მას კი ვერ გაეგო, რატომ შეაწუხა ისინი ასე მისმა გულუბრყვილო საუბარმა. მან ხომ არ იცოდა, რომ მამამისმა თავი მოიკლა და ისიც, ვისი ხელიც ერთი წუთის წინ თავის ხელებში ეჭირა, შორს აღარ იყო ამავე გადაწყვეტილებამდე.

მიხაიმ შენიშნა, სიგრილეაო, და ყველანი შინ შევიდნენ. აქამდე მთვარეზე აკვიატებულ აზრს ახლა ახალი მიემატა. პირველი ტიმე-

ასთან იყო დაკავშირებული, მეორე ნოემისთან მისთვის ძნელი იყო მთვარის ყურება, რომელიც მუდამ მის პირველ შეცოდებასა და ცხოვრებაში საბედისწერო ნაბიჯს აგონებდა.

მეორე დღეს მიხაილ კუნძული დასტოვა. ისე ჩაუარა ევერდიო დაუმთავრებელ კაკლის ხის სასახლეს, ზედაც არ შეუხედია.

— გაზაფხულზე ხომ ისევ დაბრუნდები? — ჩასჩურჩულა ნოემიმ.

ის უკვე მიჩვეული იყო იმ აზრს, რომ წლის გარკვეული ნაწილის განმავლობაში მიხაილ მას არ ეკუთვნოდა. (მაგრამ ვის ეკუთვნოდა იგი ამ დროს, არასოდეს უკითხავს მისთვის.)

კომარომამდე მგზავრობამ კიდევ უფრო მოქანცა მიხაილ, ისე ღონემიხდილი შევიდა სახლში, რომ ტიმეას მის დანახვაზე ელდა ეცა, ძლივს იცნო. თვით ატალიაც კი შეშფოთებული უყურებდა, თუმცა მას ჰქონდა საამისო მიზეზი.

— ავად იყავით? — ჰკითხა ტიმეამ და გულში ჩაეკრა.

— მძიმე ავადმყოფობა გადავიტანე.

— მოგზაურობის დროს გახდით ავად?

—ჰო,—მოკლედ მოუჭრა ტიმარმა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს დაკითხვას უწყობდნენ.

— დიდხანს იწექით?

— ასე, რამდენიმე კვირას.

— ღმერთო ჩემო! ალბათ, მომვლელიც არავინ გყავდათ უცხო ქვეყანაში!

— „როგორ არ მყავდა, ციდან ჩამოსული ანგელოზი მივლიდა!“ — კინაღამ წამოცდა მიხაილს, მაგრამ დროზე შეიკავა თავი და უპასუხა:

— ფულით ყველაფერს იშოვის კაცი.

ტიმეას შეეძლო თავისი განცდები დაეფარა და მიხაილ ვერავითარი ცვლილება ვერ შენიშნა მის სახეზე, მის გამოხედვაში გულცივობის მეტს ვერაფერს ამოიკითხავდით. გამოთხოვებისას ისე ცივად აკოცეს ერთმანეთს, რომ ეს მოვალეობის მოხდას უფრო ჰგავდა, ვიდრე დიდი ხნის უნახავი ცოლ-ქმრის დამშვიდობებას.

— ღვთის გულისათვის, თავს გაუფრთხილდით, ბატონო! — ჩასჩურჩულა ატალიამ გასვლისას.

მიხაილ მაშინვე იგრძნო, რა შხამიც ერია მის მზრუნველობაში. სანამ ტიმარი ცოცხალი იყო, ტიმეას ტანჯვას ბოლო არ მოეღებოდა,

ხოლო თუ დაქვრივდებოდა, გზა ხსნილი ექნებოდა ბედნიერებისკენ. ატალიას ჯოჯოხეთში ჩავარდნა ერჩია ტიმეას ბედნიერებას და ამიტომ იყო, მისი ჯანმრთელობა რომ ადარდებდა.

ეს რომ იგრძნო მიხაილ, კიდევ უფრო მეტად შესძულდა სიცოცხლე. ატალიას ვერაგობას საზღვარი აღარ ჰქონდა, მის კარგად ყოფნაზე ლოცულობდა, რომ ამით ტიმეასთვისაც და მისთვისაც სიცოცხლე გაემწარებინა. რომ შესძლებოდა, ეს დემონი, ალბათ, ორიგის საფუთარი ხელიბით დაახრჩობდა. მაგრამ მათი ტანჯვა უფრო მეტ სიამოვნებას ასიებდა!

ყველა ამჩნევდა, როგორ საოცრად გამოიცვალა ტიმარი ზაფხულში. იმდენად მოტეხილი, გულჩათხრობილი და არაჭათგამოლეული ჩანდა, რომ ადრინდელი მხიარულების კვალიც კი წაშლილიყო მის სახეზე და საკუთარ აჩრდილს დამსგავსებოდა.

იმ დღეს თავის კაბინეტში ჩაიკეტა და მთელი დღე იქ გაატარა. ნაშუადღევს მისი მდივანი რომ შევიდა, საწერ მაგიდაზე დამხობილი დაუხვდა. დიდი ანგარიშის წიგნი ისევ ისე იყო გადაშლილი, ეტყობოდა, შიგ არ ჩაეხედა.

მოურავებმა და ნოქრებმა მისი ჩამოსვლა რომ შეიტყვეს, მაშინვე მისკენ გამოეშურნენ ანგარიშების ჩასაბარებლად, მაგრამ ის მათ ყურსაც არ უგდებდა. ისე პასუხობდა შეკითხვებზე და ხელს უწერდა საბუთებზე ზოგჯერ სულ სხვა ადგილას აწერდა ხელს, ან კიდევ ერთსა და იმავე ქაღალდზე ორჯერ.

ბოლოს ყველა გაისტუმრა, კარები ჩაიკეტა და გამოაცხადა, მეძინებაო. მაგრამ დიდხანს ესმოდათ, როგორ სცემდა ბოლთას ოთახში.

სადილზე მიხაილ ისეთი მოღუშული იჯდა, დალაპარაკება ვერავინ გაუბედა: უხმოდ ისადილეს. მას პირი არაფრისთვის დაუკარებია. ერთი საათის შემდეგ კი მსახური იხმო და გაუწყრა, სადილს რატომ აგვიანებთო. მაშინ, როცა სადილობა უკვე დიდი ხნის გადასული იყო. საოამოხანს ისე იყო გადაღლილი, ფეხზე ძლივს იდგა. სავარძელში ჩაჯდა თუ არა ჩასთვლიმა, მაგრამ როგორც კი თავის ოთახში შევიდა და საწოლს მიუახლოვდა, ძილი გაუკრთა.

„ოჰ, რა ცივია ეს საწოლი!"

ყველაფერი ცივია ამ სახლში! ავეჯი, სურათები და ძველისძველი ფრესკებიც კი, ჭერიდან რომ გადმოჰყურებენ და ეუბნებიან: „რისთვის მოხვედი ამ სახლში? შენ აქ უცხო ხარ!"

„ოჰ, რა ცივია ეს საწოლი!“

სავახშმოდ მის დასაძახებლად ტიმეამ მსახური გაგზავნა, მაგრამ ის უკვე საწოლში დახვდა. ეს რომ გაიგო, მაშინვე მისი ოთახისკენ გაეშურა შეშფოთებული, კიდევ ავად ხომ არ გახდაო.

— აროფერია, ნუ სწუხხართ, — უპასუხა მიხაიმ, — მგზავრობამ დამღალა ალბათ.

— ექიმს ხომ არ გამოვუძახოთ?

— არა, საჭირო არ არის, გთხოვთ დამშვიდდეთ, მე კარგად ვგრძნობ თავს.

ტიმეამ ძილი ნებისა უსურვა და ისე გავიდა ოთახიდან, შუბლზეც კი არ დაუდვია ხელი.

მიხაიმ ვერა და ვერ დაიძინა, იწვა საწოლში და ყურს უგდებდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ. არსაიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, მისი ოთახის ახლოს ყველანი ფეხის წვერებზე დადიოდნენ და ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, რომ არ გაეღვიძებინათ.

იწვა მიხაი ფიქრებში ჩაძირული და არ იცოდა, სად გაქცეულიყო. სიზმრების სამყაროში მაინც მომახვედრაო, ნატრობდა, მაგრამ იქ არც ისე იოლი იყო შეღწევა, როგორც საიქიოში. ოცნებათა სამყაროში ხომ ძალით_ვერ შეხვალ! იქნებ, ოპიუმის მიღებამ მიშველოსო, გაიფიქრა, მაგრამ ეს საშიში იყო, შეიძლებოდა, სამუდამოდ დასძინებოდა.

აკვირდებოდა, როგორ თანდათან ჩამობნელდა ოთახში, ძლივსღა მოჩანდა ავეჯი და ბოლოს უკუნეთმა სიბნელემ მოიცვა იქაურობა, ისეთმა, როგორიც ქვესკნელში შეიძლება იყოს ან სიზმარში თუ ნახავ. წარმოიდგინა, რომ ეძინა და სიზმარს ხედავდა, თან გრძნობდა, რომ კომარომის სასახლეში იწვა, თავის საწოლ ოთახში. გვერდით პატარა მაგიდა ედგა ძველებური ჩინური ბრინჯაოს ღამის ნათურით, რომელსაც ფაიფურის მოხატული შუქფარი ამშვენებდა. საწოლს ზემოთ მუსიკალური კედლის საათი ეკიდა, აბრეშუმის ფარდები იატაკს სწვდებოდა. მისი უზარმაზარი საწოლი ხელოვნების საუცხოო ნიმუშს წარმოადგენდა, მას მეორე გამოსაწევი საწოლიც ჰქონდა დატანებული, ასეთები ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ზოგიერთ ძველებურ ოჯახში.

მიხაის ისიც კარგად ახსოვდა, რომ კარი ღია დატოვა და ყველას შეეძლო მასთან შემოსვლა. ხომ შეიძლებოდა ვინმეს მისი მოკვლა

განეზრახა? მაშინ, ალბათ, ვერც კი შეამჩნევდა, სად დაძთავრდებოდა სიზმარი და დაიწყებოდა სიკვდილი, ან იყო კი, განსხვავება სიზმარსა და სიკვდილს შორის?

უცებ მოეჩვენა, რომ ვიღაცამ კარები გააღო და ოთახში შემოვიდა. ნაბიჯები ქალისა იყო, ოდნავ გაიშრიალა ფარდამ და მისკენ ვიღაც ქალი დაიხარა.

— შენა ხარ, ნოემი? აქ საიდან გაჩნდი? ხომ არავინ დაგინახა? — ჰკითხა შემკრთალმა.

უკუნეთ სიბნელეში მიხაი ვერაფერს ხედავდა, მაგრამ ესმოდა და ვრძნობდა, როგორ ჩამოჯდა ვიღაც მის საწოლზე და მის სუნთქვას ყურს უგდებდა.

ასე იჯდა ხოლმე ნოემი . მთელი ღამე მის სასთუმალთან მისი ავადმყოფობის დროს და ერთი წუთითაც არ შორდებოდა.

— ნუთუ უკან გამომყევი, რომ აქაც მომიარო? რა კეთილი ხარ, ნოემი! მაგრამ შენი აქ დარჩენა არ შეიძლება, გამთენიისას უნდა დამტოვო!

ამ დროს კედლის საათმა დარეკა და მისმა ზარის ხმამ მიხაის აუწყა, რომ შუაღამე გადასული იყო. საწოლზე ჩამომჯდარი არსება წამოდგა და ქანქარა გააჩერა, მის ხმას მძინარე რომ არ გაეღვიძებინა. ამისთვის მას მიხაის საწოლზე დახრა მოუხდა და მან უნებურად გაიგონა მისი გულის ცემა.

„რა ჩუმად, ოდნავ გასაგონად გიცემს გული!“ — ჩურჩულით თქვა მიხაიმ ძილში.

შემდეგ მოეჩვენა, რომ ვიღაც მაგიდის უჯრაში ასანთს ეძებდა.

„სანთელი გინდა აანთო? არა, არა, ეს დიდი წინდაუხედაობა იქნება შენგან. დერეფანში ვინმემ რომ გაიაროს, უთუოდ შეგნიშნავს“.

მაგრამ ქალმა ასანთი გაჰკრა და ღამის ნათურა აანთო.

მიხაიმ მისი სახე ვერ დაინახა, მაგრამ ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ნოემი იყო. აბა, სხვა ვინ გაათევდა ღამეს მის საწოლთან?

ქალმა შუქფარი ისე შემოაბრუნა, რომ სინათლე სახეზე არ დასცემოდა მძინარეს.

„ოჰ, ნოემი! შენ ისევ ღამის თევას აპირებ ჩემს საწოლთან? როდისღა დაიძინებ?“

თითქოს ამის პასუხად ქალმა მის წინ დაიჩოქა და ფრთხილად გამოსწია შიგ დატანებული მეორე საწოლი. მიხაის შიშისა და სიხარულის ერუანტელმა დაუარა.

„შენ ჩემს გვერდით აპირებ დაწოლას? ოჰ, რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ და როგორ მეშინია!“

შემდეგ ქალი გამოწეულ საწოლზე დაწვა, ...ძინარე ...ის გულში კი შიში და სიხარული ერთმანეთს შესჭიდებოდა. ...ი სული ჰქონდა, დახრილიყო მისკენ, მოხვეოდა, ჩაეკოცნა და თან ხმამაღლა ეყვირა: „საჩქაროდ გასცილდი აქაურობას! ...ავინ დაგინახოს!“ მაგრამ ძალა არ ეყო წამომდგარიყო და ...ი ამოეღო, თითქოს ტყვია ჩაესხათ სხეულში.

მალე ქალმაც დაიძინა.

მიხაი უფრო ღრმად ჩაიძირა მოჩვენებებში. მის გონებაში ...თასნაირი მოგონებები და მომავლის სურათები აირია, რა არ ესიზმრა, რა საოცრებამ არ გაიელვა მის თვალწინ და ბოლოს ისევ მძინარე ქალის გვერდით აღმოჩნდა. ისიც ეჩვენებოდა, რომ მან გამოიღვიძა და ქალს ისევ ეძინა.

ბოლოს, როგორც იქნა, ინათა და ფანჯარაში მზის სხივები შემოიჭრა.

„გაიღვიძე, გაიღვიძე!“ — ჩურჩულებდა მიხაი ძილში. — „შინ დაბრუნდი, ჩქარა! მზის სხივებმა აქ არ უნდა მოგისწროს.“

ის თანდათან ფხიზლდებოდა და მისი გონება ღამის მოჩვენებებს ებრძოდა.

„შენ ხომ სულაც არა ხარ აქ! ეს ყოველივე ხომ სიზმარია!“

მან მთელი ძალ-ღონე დაძაბა, რომ მოჩვენებებისაგან თავი დაეღწია. უკვე გათენებულიყო, მზის სხივებს ჩამოშვებულ ფარდებშიც შემოეღწია. მოხატული შუქფარი განათებული იყო მაგიდაზე, გამოსაწევ საწოლში კი ნამდვილად ქალს ეძინა.

„ნოემი!“ — აღმოხდა მიხაის.

მძინარე შეიშმუშნა და თავი ასწია.

ეს იყო ტიმეა...

— გნებავთ რამე? — ჰკითხა მაშინვე.

ის მიხაის ხმამ გამოაღვიძა, სახელი კი, ვის დაუძახა, ვერ გაარჩია. მიხაი ჯერ კარგად არ გამორკვეულიყო სიზმრებიდან და გაოცებული შეჰყურებდა ნოემის ტიმეად გადაქცევას.

— ტიმეა! — ძლივსღა წარმოთქვა ენის ბორძიკით და ...თახ შეეცადა ძილი და სიზმრები გაეფანტა.

— მე ვარ! — უპასუხა ქალმა და ხელით შეეხო მის საწოლს.

— ნუთუ ეს შესაძლებელია? — წამოიძახა მის წინ მდგომი არსების დანახვით შეშინებულმა და სახეზე საბანი აიფარა.

— თქვენზე ფიქრმა არ მომასვენა და აქ შემოვედი, იქნებ, ღამე რამე დასჭირდეს-მეთქი, — მიმართა ტიმეამ.

მის გამოხედვაში გულწრფელობა და ნდობა გამოსჭვიოდა, ხმაში კი მზრუნველობა და სინაზე. ეს ქალი მთლიანად ერთგულების განსახიერება იყო.

მიხაი მალე გონს მოვიდა, ჯერ შეეშინდა, შემდეგ კი საკუთარი საქციელის განსჯას მოჰყვა გუნებაში, შეეცოდა ტიმეა და საშინელი გულისტკივილი იგრძნო მის მიმართ. ამ ქალს ქმრის სიცოცხლეშივე შეეძლო ქვრივად ჩაეთვალა თავი, მას ხომ ერთხელაც არ უგრძნია მასთან სიხარული და მაინც მისი ტკივილებისა და მწუხარების გასაზიარებლად მოვიდა აქ. არა, მას უფლება არა ჰქონდა მისი მზრუნველობა მიეღო, პირიქით, რაც შეიძლებოდა შორს უნდა დაეჭირა თავი მისგან, ის მოვალე იყო მის წინაშე, მაგრამ ყველაზე უფრო ის აწუხებდა, რომ იძულებული იყო მუდამ ეცრუა მასთან.

ბოლოს, როგორც იქნა, ძალა მოიკრიბა და მიმართა:

— ტიმეა, ძალიან გთხოვთ ეს აღარასოდეს გააკეთოთ. ნუ შემოხვალთ ჩემს საწოლ ოთახში, მე გადამდები ავადმყოფობა გადავიტანე გზაში და მეშინია არ გადაგდოთ. მართალია, უკვე გამიარა, მაგრა მაინც უკეთესი იქნება, თუ შორს იქნებით ჩემგან, კიდევ ერთხელ გთხოვთ, ნუ შემოხვალთ ჩემთან.

ტიმეამ ამოიოხრა, თვალები დახარა და ოთახიდან გავიდა. მას კაბაც კი არ გაუხდია იმ ღამეს, ჩაცმული იწვა ქმრის გვერდით.

მისი გასვლისთანავე მიხაიც წამოდგა და სასწრაფოდ ჩაიცვა. საშინლად აფორიაქებული იყო, რაც უფრო დიდი დრო გადიოდა ამ გაორებულ ცხოვრებაში, მით უფრო მეტი წინააღმდეგობების ჩიხში ექცეოდა. მოვალეობა, რომელიც ორივე მხრიდან იტვირთა, თანდათან აუტანელი ხდებოდა. მან ერთდროულად ორი კეთილშობილი, თავდადებული არსების ბედზე პასუხისმგებლობა იკისრა, მაგრამ ორივე გააუბედურა და თვითონაც მათზე უფრო უბედური გახდა. სადღა უნდა ეძებნა ნუგეში, სად?

ერთი მათგანი მაინც რომ გულცივი და ქარაფშუტა ყოფილიყო, შეიძლება შესძულებოდა ან ფულით გამოესყიდა მისგან თავი, მაგრამ ორივე მაღალი სულის ადამიანები იყვნენ და მათი უბედურება

ლოდივით აწვა გულზე. იმდენად მძიმე იყო მისი დანაშაული, რომ ვერავითარი ძალა ვერ გაამართლებდა.

როგორ უნდა აეხსნა ტიმეასთვის, ვინ იყო ნოემი, ან ნოემისთან რა უნდა ეთქვა ტიმეას შესახებ? იქნებ, გაეყო თავისი განძი მათთვის? ან ერთისთვის განძეული მიეძღვნა, მეორისთვის კი თავისი გული? მაგრამ ეს ხომ შეუძლებელი იყო.

რატომ ერთმა ძაინც არ დაარღვია ერთგულება და არ მისცა მიზეზი განდგომისა? რატომ არიან ორივე ასე კეთილშობილნი და სულით მაღალნი?

კომარომში ყოფნამ კიდევ უფრო შეარყია მისი ჯანმრთელობა. მთელი დღეები ოთახიდან არ გამოდიოდა, ხმას არავის სცემდა, აღარაფერი არ აინტერესებდა და დილიდან საღამომდე გაუნძრევლად იჯდა ერთსა და იმავე ადგილზე. თუ ვინმე მიზეზს ჰკითხავდა, ყველას ერთ პასუხს აძლევდა, ახლახან გადატანილი ავადმყოფობის ბრალიაო.

ბოლოს ტიმეამ ექიმებს მიმართა რჩევისათვის. მოიწვიეს კონსილიუმი, რომელმაც ერთხმად ურჩია მიხაის ზღვისპირა აგარაკზე წასვლა.

მიხაიმ განაცხადა, რომ არ სიამოვნებდა ბევრ ხალხში ყოფნა. მაშინ ზომიერი აგარაკი შესთავაზეს გრილი ჰავით, სადაც სეზონი უკვე დამთავრებული იყო და დამსვენებლები ნაკლებად იქნებოდნენ. ასეთი იყო ტატრაფიურედი, ელოპოტოკი ან ბალატონ-ფიურედი. იქაური სიმყუდროვე და ცივ წყალში ბანაობა მას ძალიან მოუხდებოდა.

მიხაიმ გაიხსენა, რომ მას ჰქონდა საზაფხულო აგარაკი ტყიან ხეობაში ბალატონის ტბასთან, რომელიც რამდენიმე წლის წინ შეიძინა თევზის სარეწის იჯარით აღების დროს, და ორჯერ-სამჯერ თუ იყო იქ ნამყოფი. გადაწყვიტა შემოდგომა იმ აგარაკზე გაეტარებინა, ექიმებმაც მოუწონეს არჩევანი.

ბალატონის მთიანი სანაპირო იშვიათი სილამაზით იყო ცნობილი და ტემპეს თვალწარმტაც ველს აგონებდა მნახველს. თოთხმეტი მილის მანძილზე ბაღები და ვენახები იყო გადაჭიმული სანაპიროს გაყოლებით და ერთმანეთს მისდევდა მყუდრო სოფლები, რომელთა შორისაც აქა-იქ მდიდარ მებატონეთა ვილები და საუცხოო აგარაკები მოჩანდა.

თვალუწვდენი ტბის ფირუზისფერი მოლივლივე ზედაპირი ზღვის მყუდრო ყუოეს წააგავს. ზოგჯერ აქაფებული ტალღებით გამძვინვარებული ასკდება ნაპირებს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში წყალი მშვიდია. აქაური ჰავა ცნობილი იტალიის რივერასაც კი უწევს მეტოქეობას. სტუმართმოყვარე გულღია ხალხი და შესანიშნავი მინერალური წყლები უამრავ დამსვენებელს იზიდავს, განსაკუთრებით ძელანქოლიით შეპყრობილი ადამიანისათვის აქაურ შემოდგომაზე უკეთესი არაფერია. შემოდგომით ამ დალოცვილ მხარეში უფრო მოხუცი პროფესორები და კუჭის ავადმყოფობით დაავადებული მღვდლები მოდიან. აქ სრული სიმშვიდეა განმარტოვების მოყვარულთათვისაც, ხალხს რომ გაურბიან და სულიერ სიმყუდროვეს რომ ეძებენ. შემოდგომით ბალატონის სანაპიროზე მუდამ მეორე გაზაფხულია.

მიხაიც ბალატონზე გაემგზავრა ექიმების რჩევით, მაგრამ მათ ბხედველობიდან გამორჩათ ის გარემოება, რომ ზაფხულის მიწურულს ტბის მთელი სანაპირო და მისი შემოგარენი საშინლად დაისეტყვა. ეს თვალწარმტაცი კუთხე ისე განადგურდა, რომ მნახველი გულგრილად ვერ შეხედავდა. საუცხოო ვენახები, სადაც ახლა, სწორედ მოსავლის აღებისას სიმღერა და მხიარულება უნდა ყოფილიყო, უპატრონოდ მიეტოვებინათ და აქა-იქღა შერჩენოდა მწვანე ფოთოლი. ახლადმოყრილ ლერწებს ეკლიანი აბრეშუმა (გველის ღობე) შემოხვეოდა, მყრალ ბალახნარს დაეფარა ხეხილის ყლორტებიც, რომლებიც გაყვითლებულიყვნენ და ჩამომხმარიყვნენ. დასეტყვილი პურის ყანებიც შამბნარს დაეფარა, ეკალბარდი, ოროვანდი, კატა-ბარდა და ბირკავა ამოსულიყო ხორბლის ნაცვლად. ყველაფერი უპატრონოდ იყო მიტოვებული და პირქუშად გამოიყურებოდა, დიდი ხანი იყო, ამ ადგილებში ადამიანს არ გაევლო, ბილიკებსა და ნაურმალზეც დანდური ამოსულიყო, აქა-იქ თავცეცხლაც შერეოდა.

მიხაი სწორედ ამ დროს ჩამოვიდა ბალატონზე თავის საზაფხულო აგარაკზე. ეს იყო ძველებური ორსართულიანი სასახლე დიდი აივნით, რომელიც ბალატონს გადაჰყურებდა. საუკეთესო ქანდაკებებით დამშვენებული აივანი ლეღვისა და შავი თუთის ხეების ჩრდილში იყო ჩაფლული. ეტყობოდა, რომ მდიდარი კაცის აშენებული იყო. თვალი მასზე უკეთესს ვერაფერს ნახავდა. მის მემკვიდ-

რეებს დიდად არ აინტერესებდათ ეს განმარტოებული მყუდრო სასახლე, ფიქრობდნენ, რომ აქ მხოლოდ ავადმყოფებს უნდა ეცხოვრათ და სულ იაფად გაყიდეს.

ახლომახლო ადამიანების ჭაჭანება არ იყო, ცოტა მოშორებით რამდენიმე სახლი იდგა, მაგრამ ახლა ისინიც გამოკეტილი იყო. მარნები და საწნახელი არც კი გახსენებიათ იმ წელს. ბალატონ-ფიურედის დასასვენებელი სახლებიც ცარიელი იყო, ფარდები ჩამოეფარებინათ და დარაბები მოეხურათ. ნაოსნობა ტბაზე შეწყვეტილი იყო. სამკურნალო მინერალურ წყლებზეც არავინ დადიოდა, ჭადრების ხეივანი ფოთლებით იყო მოფენილი, დაგვასაც არავინ ფიქრობდა, და თუ შემთხვევით გაივლიდა ვინმე, ფოთლებს შარიშური გაჰქონდათ

მთელი ეს მხარე ისე დაცარიელებულიყო, რომ ადამიანს კი არა. ყარყატსაც იშვიათად შეხვდებოდით. ხანდახან ტბის გამძვინვარებული ტალღები თავგამეტებით ეხეთქებოდა ნაპირს და მხოლოდ მათი ზვირთცემა თუ დაარღვევდა მყუდროებას.

ბალატონში ღრმადაა შეჭრილი ერთი მთა, რომელზედაც ძველებური ორგუმბათიანი მონასტერი დგას. აქ განმარტოებით ცხოვრობს შვიდი ბერი, აქვეა განსვენებულ მღვდელმთავართა აკლდამები.

ამ მყუდრო სავანეში ჩამოვიდა ტიმარი დასასვენებლად მხოლოდ ერთი მსახურის თანხლებით, რომელიც მალე უკანვე გაუშვა. სრულიად საკმარისად ჩასთვალა მეთვალყურე და მოხუცი მებაღე, რომელსაც ყურთაც დაჰკლებოდა და ძალზეც დაბერებულიყო.

პირველ ხანებში მაინც იყო თავისებური ხმაური, აგარაკზე აქაიქ კიდევ ცხოვრობდა ხალხი. აქ იყო ერთი დიდი სახლის პატრონი თავისი ოჯახითა და შინამოსამსახურეებით, ასევე ახლომახლო ადგილ-მამულთა მოურავები. ეკლესიაში ყოველდღე ირეკებოდა ზარები ცისკრის ლოცვაზე. ერთ საღამოს, ქალიშვილის სახელწოდების დღეს, სახლის პატრონმა დიდი წვეულება გამართა. რა გააკეთეს იმ დღეს სამზარეულოში, რა მოხარშეს და შეწვეს! იმდენი ხანი ენთო ცეცხლი ღუმელში, რომ ბოლოს ალი საკვამლე მილიდან სახურავს მოედო, სულ დაიწვა საბანაო ოთახი და შენობის ის ნაწილი, რომელშიც მოსამსახურეები ცხოვრობდნენ. ამისთვის დიდად არავინ შეწუხებულა, მალე გაემგზავრნენ კიდეც და ჩამომწვარი ნანგრევები მომავალ გაზაფხულამდე უპატრონოდ დატოვეს.

ხანძრის შემდეგ ამ ადგილს აღარავინ გაჰკარებია, შორით ბალატონის ტალღების იდუმალი ხმაურიღა ისმოდა მხოლოდ.

ტიმარი მთელ დღეებს ტბის პირას ატარებდა, მარტოდმარტო იჯდა საათობით და ყუოს უგდებდა მისი ტალღების ჩურჩულს. ბალატონი ხან სულ მშვიდი იყო, ხან კი კარგ ამინდშიც უცებ აბობოქრდებოდა, აზვირთდებოდა და უზარმაზარი ტალღებით აწყდებოდა ნაპირს. მის ფირუზისფერ წყალში გემი და კანჯო ხომ არასდროს დადიოდა, პატარა იალქნიან ნავსაც კი ვერ შენიშნავდით. ეს იყო მკვდარი ზღვა.

ბალატონის ტბას ორგვარი ზემოქმედების სასწაულმოქმედი უნარი გააჩნდა: სხეულს უკაკებდა ადამიანს, სულს კი სევდით ევსებდა. აქ ადამიანი თავისუფლად სუნთქავს, მადაც ემატება, მაგრამ მისი მშვიდი, უმოძრაო ტალღების ცქერა ხშირად დარდსა და ნაღველს ჰგვრის და თავისდაუნებურად ფიქრებში იძირება.

სანაპიროზე აღმართული მთაგრეხილის თვალწარმტაც სანახაობას აგვირგვინებს გარდასულ დღეთა გმირული დიდების ანარეკლად შემორჩენილი ციხე-კოშკთა ნანგრევები. სიგლიგეტისა და ჩობანცის ციხე-დარბაზთა უმშვენიერეს ბაღებში დღესაც ამწვანებულა აწ განსვენებულ დიდგვაროვანთა ოჯახთა ქალების ხელით დარგული სალბი და სუმბული. ციხე-სიმაგრეთა კედლები კი წლითი-წლობით თანდათან იშლება და ინგრევა. ერთ-ერთი კოშკის წინა კედელი რაღაც სასწაულით გადარჩენია ჟამთა სიავეს და როცა მას უყურებ, გგონია, სადაცაა ჩამოიქცევა სხვა სახლებთან ერთად. ტიჰანის მთის აღმოსავლეთი ფერდობი ჩამოქცეულა. აქაურ ხანდაზმულ მცხოვრებთ ჯერ კიდევ ახსოვდათ ის დრო, როცა ნახევარკუნძულზე მონასტერს ურმითაც კი შემოუვლიდი, შემდეგ გზა თანდათან დავიწროვდა და ბოლოს საცალფეხო ბილიკი ძლივსღა დარჩა. დღეს მეფე ენდრეს დროს აშენებული კედლები ხრამის პირზეა და ქვა და ნაშალი ცვივა. მთის მწვერვალზე ოდესღაც ორი ტბა ყოფილა, ახლა ისინი თითქმის დამშრალა. სასოფლო გზის გვერდით ძველისძველი ხავსმოკიდებული, მიტოვებული სამლოცველო დგას. ძველი ნამოსახლარი უკვე დიდი ხანია საქონლის საბალახოდ უქცევიათ. ბალატონის ტალღებს მასში ჩამოშლილი მთის ქანების სანაცვლოდ ნაპირზე გამოაქვს ადამისდროინდელი გაქვავებული ლოკოკინები და თხის ჩლიქების მსგავსი ნიჟარები. ამ მეტად თავისებური ტბის ბინადარნი სრულიად განსხვავებულნი არიან და თითქოს ამით ერთხელ კიდევ ადასტურებენ იმ ამბავს, რომ ოდესღაც

აქ უზარმაზარი ზღვა იყო, რომელიც შემდეგ ძალიან შორს გადასულა აქედან. მის თევზებს, კიბორჩხალებს, წყლის გველებს [illegible] ინვა ბინადართ მოთეთრო ელფერი გადაჰკრავთ, მათი [illegible] ერთ მტკნარ წყალში არ მოიპოვება. შლამიანი ფსკერი მოფენილია წვეტიანი კრისტალებით, რომლის შეხებაც სხეულს ოდნავ სწვავს, მაგრამ ძალიან სასარგებლოა ორგანიზმისთვის. აქვე გვხვდება ღრუბელიც, რომლის შეხებაც კანზე ბებერებს აჩენს, წყალი მტკნარია და სასმელად ვარგისია. ბალატონს ბევრი თაევანისმცემელი ჰყავს, ყოველწლიურად რომ მოდიან აქ, მისი თვალწარმტაცი სანაპიროს სანახავად.

ტიმარიც ერთი იმათგანი იყო.

მთელი საათობით დაცურავდა მის მოლივლივე ტალღებში, შუადღემდე მის სანაპიროზე დასეირნობდა და საღამოხანსაც დიდად ეძნელებოდა მასთან განშორება.

არც ნადირობით ირთობდა თავს, არც თევზაობით, ერთხელ კი წამოიღო თან თოფი, მაგრამ სადღაც ხის ტოტზე ჩამოჰკიდა და იქვე დაავიწყდა. ერთხელაც, თევზაობა რომ მოუნდა, უზარმაზარი ფარგა წამოეგო ანკესზე, გადასძალა და ანკესიანად გაუსხლტა ხელიდან. რასაც კი ხელს მოჰკიდებდა, ბოლომდე ვერ მიჰყავდა, ყურადღება გაფანტული ჰქონდა, მისი აზრები სადღაც შორს დაჰქროდნენ, ერთ წერტილს მიაშტერდებოდა სივრცეში და დიდხანს თვალს ვეღარ აშორებდა.

შემოდგომის მიწურული იყო, გრძელ ღამეებში წყალი საკმაოდ ცივდებოდა და დიდხანს ბანაობა შეუძლებელი ხდებოდა. მაგრამ გრძელ ღამეებსაც აქვთ თავისებური სილამაზე: ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, ვარსკვლავთცვენა, მთვარის შუქი.

ტიმარმა დიდი ტელესკოპი გამოიწერა და გვიან ღამით ცის მნათობებს, პლანეტებსა და ციურ სხეულებს უთვალთვალებდა. ერთ მათგანზე ზამთარში თეთრი ლაქები მოჩანდა, ზაფხულში კი მოწითალო ელფერი გადაჰკრავდა. დიდი ინტერესით აკვირდებოდა საიდუმლოებით მოცულ მთვარეს. თავისი მოციმციმე მთაგრეხილებით, კლდეებით და ღრმულებით ვულკანიდან ამოხეთქილი ლავის ნაწილს აგონებდა. აქ არავინ იყო იმ ადამიანთა სულების მეტი, ვინც თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე. აქ ისინი სრულიად განმარტოებულნი არიან, არც სიხარულს გრძნობენ, არც დარდსა და

ტკივილს, იქ არც წყალია, არც ჰაერი, არც ფერები, არც ხმები, არც ცხოველები, იქ არაა სიცოცხლე. მაგრამ ვინ იცის, მათ, იქნებ, შერჩენილი აქვთ მეხსიერება? მაშინ ხომ მათი შეხედვა ტიმარისთვის ჯოჯოხეთზე უარესი იქნებოდა! მათ მთვარეზე, ალბათ, ახსენდებათ მიწიერი ცხოვრება, ადამიანები, სიყვარული, სიცოცხლე და სიკვდილი! ნოემიც ხომ ამას ამბობდა მაშინ!

და ახლა, მიუხედავად შინაგანი წინააღმდეგობისა, იდუმალი ხმა ჩასძახოდა, რომ მისი ადგილიც იქ იყო. ეს იყო, ალბათ, მისი ბედისწერა და სხვა გზა არ ჰქონდა. თავისი გაორებული ცხოვრებისათვის საკუთარი თავის მეტს ვერავის დასდებდა ბრალს. ამ ორი ქალიდან მას არც ერთის დათმობა არ შეეძლო და ახლა, როცა ორივესგან შორს იყო, კიდევ უფრო აშკარად ხედავდა თავის გამოუვალ მდგომარეობას.

ის აღმერთებდა ტიმეას!

და ნოემიც გაგიჟებით უყვარდა.

ერთთან ტანჯვა აკავშირებდა, მეორესთან სიხარული.

ერთი სიმართლისა და სიწმინდის განსახიერება იყო, მეორე მხოლოდ ქალი იყო მთელი თავისი არსებით.

მან გონების თვალით გადახედა განვლილ წლებს და შეეცადა დაედგინა, სად დაუშვა შეცდომა?

როცა ტიმეას განძეული მიითვისა?

თუ მაშინ, როცა ის ცოლად შეირთო?

ან, იქნებ, მაშინ, როცა ცოლის გულცივობაში დარწმუნებულმა, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ნოემისთან ჰპოვა ბედნიერება?

პირველი შეცოდებით მაინცადამაინც სინდისის ქენჯნას არ განიცდიდა. ტიმეა ახლა სრული ბატონ-პატრონი იყო თავისი სიმდიდრისა, რომელიც დუნაის ფსკერიდან ამოიღო, მან ის გადაარჩინა მხოლოდ და კანონიერ მფლობელს დაუბრუნა.

მეორე დანაშაულსაც ჰქონდა თავისი გამართლება.

მან ხომ სიყვარულით შეირთო ტიმეა ცოლად, მასაც უარი არ უთქვამს, პირიქით, სიხარულითაც კი მიიღო მისი წინადადება. როცა ტიმეას ხელი სთხოვა, თავისი მდგომარეობით სავსებით ღირსეული საქმრო იყო მისთვის და არც ის იცოდა, რომ მას სხვა უყვარდა და თანაც ისე თავდავიწყებით, რომ მის მეტს ვეღარავის შეიყვარებდა!

მესამე დანაშაულს კი შენდობა არ უხვრხდებოდა.

როგორც კი შეიტყვე, რომ ცოლს არ უყვარხარ და თქვენს შორის მესამე ადამიანი დგას, ასე ლაჩრულად არ უნდა გაქცეულიყავ, — მიმართა საკუთარ თავს,—უნდა მისულიყავი მასთან და გეთქვა: „მე შენ მიყვარხარ და პატივს გცემ, როგორც ჩემი სიყრმის მეგობარს, ჩემთვის უძვირფასესი ადამიანი ხარ, მაგრამ ერთმა ჩვენთაგანმა უნდა დატოვოს ეს ქვეყანა, ორივესთვის ერთობ მცირე აღმოჩნდა ეს სამყარო, წავიდეთ რომელიმე განმარტოებულ კუნძულზე და დაე ტყვიამ გადაწყვიტოს, ვის უწერია ჩვენს შორის სიცოცხლე ამქვეყნად!“ აი, ეს იქნებოდა ვაჟკაცისათვის ღირსეული საქციელი და არ შეიძლებოდა ცოლსაც გული არ მობრუნებოდა შენსკენ. იმ სხვამ ხომ სწორედ გულადობით დაიპყრო მისი გული და მისი იდეალი გახდა! შენს ხელში საბრძოლველად შემართული ხმალი უფრო მეტად მოიზიდავდა შენსკენ მის გულს, ვიდრე შენი ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტი. სიყვარულს ხვეწნა-მუდარით ვერ მიაღწევ, ქალის გული უნდა დაიპყრო! რადაც უნდა დაგჯდომოდა, უნდა მიგეღწია ტიმეას სიყვარულისთვის, თუნდაც ამისთვის ძალდატანება დაგჭირვებოდა. ისევე როგორც სულთანს, როშელიც ტყვეთა პაზარზე ყიდულობს მონებს თავისი ჰარამხანისთვის, შეგეძლო გებრძანებინა მისთვის. გეცემნა კიდეც და მაშინ იძულებული გახდებოდა დამორჩილებოდა ბედისწერას. ამის მაგივრად შენ ტიმეა მსხვერპლად აქციე, რომლის ყოველი შემოხედვა საყვედურით გავსებს და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის სიცივესა და სიძულვილს შენს მიმართ.

მიუხედავად ამისა, შენ მაინც არ გყოფნის გამბედაობა, მიხვიდე მასთან და უთხრა: „ტიმეა, მე ავი სული ვარ თქვენს სატანჯველად მოვლინებული, გავაუქმოთ ჩვენი ქორწინება.“

მაგრამ შენ რაღაცის გეშინია.

ალბათ იმისა, რომ ტიმეას შეუძლია გიპასუხოს:

„მე არ მსურს თქვენთან განქორწინება. — ტყუილად გგონივართ ტანჯული. — მე ერთგულების ფიცი მომიცია და სიკვდილამდე არ დავარღვევ“.

შემოდგომის ღამეები უფრო გაგრძელდა, დღეებმა იკლო, ტბაში წყალიც თანდათან ცივდებოდა, მაგრამ ყოველდღიური ბანაობა მაინც დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ტიმარს. ცურვისას ხომ სიცივეს ვეღარ გრძნობს ადამიანი. სხეული ძველებურად გაუკაჟდა, კუნთებში

ძალა მოემატა, ნერვები დაუწყნარდა და გადატანილი ავადმყოფობის კვალიც აღარ ემჩნეოდა. სულიერი ტკივილი კი უფრო გაუორკეცდა.

ჰიპოხონდრიით დაავადებული ადამიანი როცა განიკურნება, სულიერადაც თანდათან მშვიდდება, მაგრამ თუ ჯანმრთელი, ჯან-ღონით სავსე კაცი მელანქოლიაში ჩავარდება, ეს ძალიან საშიშია და ხშირად უკურნებელიც. ჰიპოხონდრიანი ვერ იტანს სიცივეს, ოთახშიც კი ქურქში გახვეული ზის, ზაფხულობით ფანჯრებს კეტავს, ეშინია ორპირი ქარის, მადა არა აქვს, მოთმინებიდან გამოჰყავს ექიმები თავისი ჟინიანობით, ჩუმ-ჩუმად ექიმბაშების წამლებს ღებულობს და ამავე დროს სამედიცინო წიგნებშიც იქექება, თვალყურს ადევნებს, რომ მის ოთახში ერთი და იგივე ტემპერატურა იყოს. ხშირად ისინჯავს მაჯისცემას და საშინლად ეშინია სიკვდილისა. — მელანქოლიით შეპყრობილი კი სულ სხვაგვარად იქცევა, გულგაღეღილი უქუდოდ დაეხეტება წვიმასა და ქარში, ღია სარკმელთან სძინავს და არავითარ საშუალებას არ ხმარობს სიცოცხლის გასახანგრძლივებლად.

დაიწყო შემოდგომის ნათელი ღამეები, ტიმარი საათობით იჯდა ფანჯარასთან და ტელესკოპით ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შეჰყურებდა. მას ართობდა ციური სხეულების ციმციმი, მათი მოძრაობა უსასრულო სივრცეში, მთვარის შეხედვას კი ვერ იტანდა, ეს ისევე საძულველი იყო მისთვის, როგორც დეპუტატობის კანდიდატისთვის საარჩევნო ოლქი, სადაც ის გააშავეს.

ერთ ღამეს მას პირდაპირ ბედმა გაუღიმა, მოწმე გახდა ისეთი იშვიათი ციური მოვლენისა, რომელიც ასტრონომებმა მატიანეში შეიტანეს, როგორც ერთადერთი მოვლენა. ცაზე გაიელვა კუდიანმა ვარსკვლავმა, ციურ სხეულთა ერთ-ერთმა საოცრებამ.

„აი ჩემი ვარსკვლავი!“ — გაიფიქრა მან. — „მისი შუქიც ისევეა მიმოფანტული, როგორც ჩემი სული, ისიც ჩემსავით უმიზნოდ დაეხეტება ამქვეყნად, მისი არსებობაც ამაო დიდებისა და სახელის შეძენაა მხოლოდ და მეტი არაფერი!“

შემდეგ ტიმარი მთელი ღამის განმავლობაში აკვირდებოდა ამ იშვიათი მნათობის მოძრაობას. მასთან ერთად იმავე მიმართულებით მიემართებოდა იუპიტერიც თავისი ოთხი თანამგზავრით. მათ ერთმანეთისათვის გზა უნდა გადაეჭრათ. როგორც კი კუდიანი ვარსკვლავი ოდნავ მიუახლოვდა იუპიტერს, მისი მოელვარე კუდი მიზიდულობის ძალით ორად გაიპო. იფიქრებდით, ამ უზარმაზარ პლანეტას სურს ვარსკვლავი მის მბრძანებელ მზეს მოსტაცოს.

და ეს ყოველივე დედამიწის განცვიფრებულ ბინადართა თვალწინ ხდებოდა.

მეორე ღამეს ვარსკვლავის კუდი ორად გაიყო და სხვადასხვა მხარეს გაემართა, იუპიტერის ყველაზე დიდი და შორეული თანამგზავრი კი სულ ახლოს გამოჩნდა.

„ნეტავ რა მოუვა ჩემს ვარსკვლავს?“ — გაუელვა ტიმარს.

მესამე ღამეს, როცა იუპიტერი თითქმის ვარსკვლავის გვერდით აღმოჩნდა, მისმა მანათობელმა ბირთვმა ელვარება დაკარგა და ცაზე მიმოიფანტა.

მეოთხე დღეს ვარსკვლავი შუაზე გაიხლიჩა და მისგან ორი დამოუკიდებელი მნათობი წარმოიქმნა მოციმციმე თავით და კუდით. ეს ციური სხეულები უმიზნოდ მიმოდიოდნენ სივრცეში და ერთმანეთის მიმართ მახვილ კუთხეს ქმნიდნენ მიახლოებისას. როვორც ჩანს, ცაზეც ხდება ასეთი გაორება?!

ტიმარი თვალს ,ვერ აშორებდა ამ არაჩვეულებრივ მოვლენას. სანამ ვარსკვლავები არ გაუჩინარდნენ. იშვიათმა სანახაობამ წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა მასზე და საბოლოოდ გადაწყვიტა განშორებოდა ამ ქვეყანას.

თვითმკვლელობის მრავალი მიზეზი არსებობს, მაგრამ მათ შორის ყველაზე დაუძლეველი ადამიანს უჩნდება სამყაროზე ხანგრძლივი დაკვირვების დროს. ადამიანი, რომელიც ციურ სხეულებზე არამეცნიერული თვალსაზრისით აწარმოებს დაკვირვებას, მხოლოდ ბუნების საიდუმლოებათა ჩაწვდომის სურვილით, ზედამხედველობის გარეშე არ უნდა დავტოვოთ, განსაკუთრებით თვალ-ყური უნდა ვადევნოთ ღამით, უნდა დავუმალოთ პისტოლეტი, დანები, საგულდაგულოდ უნდა გავუჩხრიკოთ ტანსაცმელი, რომ სადმე საწამლავი არ ჰქონდეს დამალული.

დიახ, ტიმარს უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი თავის მოკვლა. მტკიცე ხასიათის, ძლიერი ბუნების ადამიანებს ეს აზრი წლების მახძილზე უმუშავდებათ და საგანგებოდ უჩნდებათ მისი განხორციელების საშუალებები. ტიმარის გონებაში ახლა უკვე სავსებით მომწიფებული იყო ეს აზრი და როგორც კი ბალატონზე ავდრიანი დღეები დაიწყო, კომარომში დაბრუნდა. ყველა, ვინც კი მას დაინახავდა, ერთხმად გაიძახოდა, რა შესანიშნავ ფერზე ხართ, რა მშვენივრად გამოიყურებითო.

ტიმარიც ცდილობდა გაემართლებინა მათი აზრი და თავს ძალას ატანდა, რომ მხიარული და უზრუნველი კაცის იერი მიეღო. მხოლოდ ტიმეას არ გამოჰპარვია მისი ფარული სევდა და მზრუნველობით ჰკითხა: „რა გაწუხებსო?“

მთელი მისი ავადმყოფობის მანძილზე ცოლი განსაკუთრებული გულისხმიერებით ექცეოდა, მაგრამ მისი მზრუნველობა კიდევ უფრო მეტად უბიძგებდა საბედისწერო ნაბიჯისაკენ.

ყოველგვარი თვითმკვლელობა უგუნურობისა და შეშლილობის გამოვლენაა მხოლოდ და ადრე თუ გვიან შესამჩნევი ხდება. შეშლილთა დიდი უმრავლესობა, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც თავის მოკვლას აპირებს, ცდილობენ თავი არ გამოამჟღავნონ და განზრახული საიდუმლოდ შეინახონ, მაგრამ სწორედ ეს სიფრთხილე გასცემს ხოლმე მათ. ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება, გონივრულად და სერიოზულად დაიჭირონ თავი, მაგრამ მათი უაზრო გამომეტყველება და ზედმეტი ყბედობა, უადგილო ხუმრობა და სიცილი თავისდაუნებურად აფიქრებინებს მნახველს, საწყალი, თავის ჭკუაზე ვერ უნდა იყოსო.

ტიმარმა ეს ყოველივე გაითვალისწინა და თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად სახლიდან წასვლა ამჯობინა.

მაშინვე ანდერძის წერას შეუდგა, რომლითაც მთელი თავისი ქონება ტიმეას და ღარიბებს დაუტოვა. ამის გარდა ტიმეას ცალკე. განსაკუთრებული თანხაც გამოუყო. იმ შემთხვევაში, თუ ოდესმე, მისი სიკვდილის შემდეგ გათხოვდებოდა და გაღარიბდებოდა, აქედან მასა და მის შვილებს წლიურად ათასი ფორინტი დაენიშნებოდათ.

ამას რომ მორჩა, მომავალი მგზავრობის გეგმა შეადგინა და გადაწყვიტა, როგორც კი ამინდი საშუალებას მისცემდა, ეგვიპტეში გამგზავრება მოემიზეზებინა და უპატრონო კუნძულზე წასულიყო.

სიკვდილი სწორედ იქ უნდოდა.

ნოემისაც თუ დაითანხმებდა, ორივენი ერთად გამოესალმებოდნენ სიცოცხლეს და მაშინ უკვე ვეღარაფერი დააშორებდათ.

ოჰ! რა თქმა უნდა, ნოემი უარს არ ეტყოდა! ან კი რაღა დარჩენოდა მას ამქვეყნად მიხაის გარეშე? განა უკეთესი არ იქნებოდა ორივეს ერთად განესვენათ პატარა დოდის გვერდით?

ზამთარში ხან კომარომში იყო, ხან ღიორსა და ვენაში, მაგრამ სიმშვიდეს ვერსად პოულობდა.

ასეთი სენით შეპყრობილ ადამიანებს ჰგონიათ, რომ ყველა გრძნობს მათ მდგომარეობას და განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებენ თვალს მათ თითოეულ ნაბიჯს. ზოგიერთი ნაცნობის სახის გამომეტყველებამ და გადაკრულმა სიტყვებმა მიახვედრა, რომ მათთვის უკვე ცნობილი იყო მისი მდგომარეობა. საეჭვო ჩურჩულიც გაიგონა ერთხელ ზურგს უკან, არც ის დარჩენია შეუმჩნეველი, როგორ ანიშნებდნენ ხოლმე ერთმანეთს თვალით მისი გამოჩენისთანავე, ეჩვენებოდა, რომ მისი დანახვა ქალებს შიშს ჰგვრიდა, კაცები კი ცდილობდნენ არ შეემჩნიათ. ხან ეჩვენებოდა, რომ დაბნეულობისაგან ათასგვარ სისულელეს სჩადიოდა, ყველა ამჩნევდა მის სიგიჟეს და უნდოდათ გაეცინათ, მაგრამ თავს იკავებდნენ. ესეც აღიზიანებდა და ფიქრობდა, ალბათ, ჩემი ეშინიათო.

სინამდვილეში კი ვერავინ ვერაფერს ამჩნევდა, ის იქამდე ჯერ არ იყო მისული, რომ საუბრისას მოულოდნელად წამომხტარიყო სკამიდან, ან ვინმესთვის პილპილი შეეყარა თვალებში. თუმცა, ერთხელ, როცა იანოშ ფაბულა ესტუმრა და ფრიად სერიოზულ საქმეებზე ესაუბრებოდა, მეტად უცნაურმა ჟინმა მოუარა, მოუნდა ორივე ხელით მხრებზე დაყრდნობოდა და თავზე გადახტომოდა. მთელი თავისი ძალისა და ნებისყოფის დაძაბვა დასჭირდა, რომ თავს მორეოდა და არ წამომდგარიყო.

მის გამოხედვაში ახლა ხშირად შენიშნავდით რაღაც აკის მომასწავებელს, მისი დაჟინებული მზერა შიშის ერუანტელს ჰგვრიდა ირგვლივ მყოფთ, ატალიასაც ხშირად დაუჭერია ასეთი მზერა.

მაგიდასთან მჯდარი ტიმარი მოურიდებლად მიაშტერდებოდა ხოლმე ატალიას სახეში ან თვალს ვეღარ აცილებდა მის მშვენიერ ტანს. ან კი როგორ შეიძლებოდა, კაცს გულგრილად შეეხედა მისი ღვთაებრივი სილამაზისთვის!

ატალია მართლაც საოცრად ლამაზი იყო, ყელი და გულ-მკერდი ზღაპრულ ქალღმერთს, არიადნას მიუგავდა. მის აუწერელ მშვენებას ტიმარი თვალს ვეღარ აცილებდა და თვალებით ჭამდა. ატალია გრძნობდა ყოველივე ამას და ადგილს ვეღარ პოულობდა.

რამდენჯერ უფიქრია მისი სილამაზით მოჯადოებულ ტიმარს, ერთხელ მაინც რომ ჩამაგდებინა ხელში ეს თეთრყირმიზი ყელი და

შეუდარებელი ხავერდოვანი გულ-მკერდი, ალბათ, ხვევნითა და ალერსით დავახრჩობდიო.

მხოლოდ ტიმეას არ ეშინოდა მისი, მან საერთოდ არ იცოდა რა იყო შიში.

ტიმარმა გადაწყვიტა გაზაფხულის დადგომამდე მოეკლა თავი. ან კი რა საჭირო იყო, ბუნების გამოღვიძებას დალოდებოდა, როცა სამუდამოდ დაძინება ჰქონდა განზრახული?

გამგზავრების წინადღეს მიხაილ დიდი წვეულება გამართა, ისეთებიც კი დაჰპატიჟა, ვისაც მაინცდამაინც ახლოს არ იცნობდა, იანოშ ფაბულა გვერდით მოისვა და სთხოვა, თუ დილამდე ისე დავთვრები, რომ მაგიდიდან ადგომას ვეღარ შევძლებ, უბრძანე ჩემს ეტლში ცხენები შეაბან, ჩამსვან და აქედან წამიყვანონო.

მას უნდოდა საკუთარი სახლი და მშობლიური ქალაქი გონდაკარგულს დაეტოვებინა, მაგრამ დილით, როცა უკვე ყველას აქეთიქით ეძინა და იანოშიც სავარძელში ხვრინავდა, მხოლოდ თვითონღა იყო ფხიზლად. ღვინომ მასზე ისევე არ იმოქმედა, როგორც ერთხელ საწამლავმა მეფე მითრიდატზე. სულით ავადმყოფებს ხომ ღვინო არ ათრობს.

ტიმარი გარეთ გამოვიდა, თვითონვე მოძებნა თავისი ეტლი და მარტოდმარტო გაემგზავრა.

უცებ ყველაფერი აირია მის გონებაში: სინამდვილე, ფანტაზია, სიზმრები, მოგონებები, სიმთვრალე და ჰალუცინაცია. მოეჩვენა, რომ მძინარე წმინდანის საწოლთან იდგა, ტუჩებში აკოცა თეთრი მარმარილოსაგან გამოთლილი ქანდაკების მსგავს მზეთუნახავს, მაგრამ ვერ გააღვიძა, შემდეგ კარებს უკან, ჩაბნელებულ დერეფანში, არაჩვეულებრივი სილამაზის ქალი შენიშნა, თვალები ვარსკვლავებივით უბრწყინავდა, ვარდისფერი ბაგეებიდან მარგალიტის მძივებად ასხმული კბილები მოუჩანდა. ქალმა სანთელი ზემოთ ასწია, გაუღიმა და ჰკითხა: „საით გაგიწევიათ, ბატონო?“

ტიმარი მიუახლოვდა ამ მომხიბლავ ფერიას და ყურში ჩასჩურჩულა:

— მივდივარ, რომ ტიმეა გავაბედნიერო...

ამის გაგონებაზე მშვენიერი ღვთაებრივი სახე მედუზას თავად

გადაიქცა, რომელზედაც საუცხოო კულულების ნაცვლად გველები ასისინდნენ. ალბათ, ესეც ჰალუცინაცია იყო.

ტიმარმა შუადღისას გამოიღვიძა, როდესაც ერთ-ერთ სადგურში მეეტლე ახალ ცხენებს უბამდა ეტლში. კომარომიდან უკვე შორს იყვნენ, ახლა მას ვეღარავითარი ძალა ვერ დააბრუნებდა უკან.

გვიან ღამით მიაღწია ქვემო დუნაიმდე, იქ უკვე ელოდნენ წინასწარ დაქირავებული ნაცნობი მეთევზეები, რომლებმაც მაშინვე გადაიყვანეს კუნძულზე.

ერთადერთი იმედიღა ასულდგმულებდა მიხაის, იქნებ, ნოემი ცოცხალი აღარ იყოსო! ხომ შეიძლებოდა მართლაც ასე ყოფილიყო! რა მძიმე ტვირთი მოეხსნებოდა მაშინ მხრებიდან! აღარ დასჭირდებოდა მისი დარწმუნება, რომ სჯობდა ორივეს გადაედგათ ეს საბედისწერო ნაბიჯი!

ადამიანი, რომელსაც ასეთი აკვიატებული აზრები აქვს, მთელი არსებით ცდილობს მათ განხორციელებას და ოცნებობს ყოველივე ისგან დამოუკიდებლად მოხდეს მისი სურვილისამებრ!

მან უკვე წარმოიდგინა თეთრი ვარდის ბუჩქის გვერდით მეორე ბუჩქი ნოემის საფლავზე წითლად გადაშლილი ვარდებით, სულ მალე კი, ალბათ, მესამე ვარდის ბუჩქიც აყვავდებოდა ოქროკაცის საფლავზე.

ასეთი ილუზიებით შეპყრობილი მიჰყვებოდა ტიმარი სანაპიროს. ჯერ ისევ ღამე იყო, მთვარის შუქი ანათებდა იქაურობას. დაუმთავრებელი კაკლის ხის სასახლე განმარტოებით იდგა ბალახით დაფარულ მინდორზე აკლდამასავით. ფანჯრები და კარები საგულდაგულოდ შეეფუთათ, რომ თოვლისა და წვიმისაგან დაცული ყოფილიყო.

მიხაიმ პატარა სახლისკენ გასწია. ალმირა გამოეგება, ხელი გაულოკა, უხმოდ ჩაავლო კბილები წამოსასხამის კალთაში და მთვარის შუქით განათებულ ფანჯარასთან მიიყვანა. მიხაიმ შეიხედა ოთახში და კარგად გაარჩია ერთადერთი საწოლი, რომელზედაც ტერეზას ეძინა.

სწორედ ისეა, როგორც ვფიქრობდი, ნოემი უკვე ვარდის ბუჩქის ქვეშ განისვენებს, მით უკეთესი!

ფანჯარაზე დააკაკუნა.

— მე ვარ, ტერეზა!

ტერეზა მაშინვე გამოვიდა .

— მარტოს გძინავთ, ტერეზა?

— დიახ.

— ნოემი სადღაა, დოდისთან ხომ არ წავიდა ზეცაში?

— არა, პირიქით, დოდი ჩამოვიდა ნოემისთან.

გაოცებულმა ტიმარმა სიტყვის თქმა ვეღარ მოახერხა. ტერეზამ ღიმილით მოჰკიდა ხელი და მეორე ფანჯარასთან მიიყვანა. ოთახში ღამის ნათურა ენთო, თეთრ ქათქათა საწოლზე ოქროსფერთმიანი ბავშვის გვერდით იწვა ნოემი.

— ვინ არის? — ხმის კანკალით იკითხა ტიმარმა.

— ეს ხომ პატარა დოდია, ნუთუ ვერ იცანით? — გაიცინა ტერეზამ, — იქ, ზეცაში, უჩვენოდ მოეწყინა და ისევ დაგვიბრუნდა. ღმერთს შეეხვეწა თურმე: „შენ აქ ანგელოზები არ გაკლია, დამაბრუნე მათთან, ვისაც ჩემს მეტი არავინა ჰყავსო“, და უფალმაც დაგვიბრუნა.

— როგორ?

— ჰმ, ძველი ამბავი განმეორდა, ისევ გარდაიცვალა ღარიბი კონტრაბანდისტის ცოლი და ჩვენ ვიშვილეთ მისი ობოლი ბავშვი. იმედია, არ გვიწყენთ ამას?

მიხაი მთელი სხეულით ციებიანივით კანკალებდა.

— იძინონ დილამდე, ნუ გავაღვიძებთ! — უთხრა ტერეზამ. — ბავშვს ავნებს ძილის დაფრთხობა, თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, თორემ მერე გვიანღა იქნება! ასე არ არის?

მიხაი ერთხანს გაოგნებული იდგა, მერე უცებ ქუდი მოიხადა, ქურთუკი და წამოსასხამი იქვე მიაგდო და სახელოები დაიკაპიწა. ახლა ტერეზას შეეშინდა, ხომ არ გაგიჟდაო, მაგრამ საშიში არაფერი იყო. მიხაიმ მიირბინა კაკლის ხის დაუმთავრებელ სახლთან, გამოხსნა შეფუთული კარები და ფანჯრები, ამოალაგა ხელსაწყო-იარაღები და მუშაობას შეუდგა. ფიცარი დააკრა თითქმის უკვე შეკრულ კარს და საგულდაგულოდ გააშალაშინა. ისე გაერთო მუშაობაში, რომ ვერც კი გაიგო, როგორ დაათენდა თავზე.

ნოემის ესიზმრა, თითქოს ვიღაც მუშაობდა დაუმთავრებელ სასახლეში, შალაშინის ხმაც კი მოესმა, რომელსაც ხანდახან სიმღერა ფარავდა: „ჩემი სატრფოს ჩალის ქოხი, სასახლეებს მირჩევნია!“ მაგრამ როცა გამოიღვიძა და თვალები გაახილა, შალაშინის ხმაც და სიმღერაც ისევ ისმოდა.

თითქმის ყველას გაძარცვა შესძლო ტიმარმა ამქვეყნად.

ტიმეას ჯერ მამის მილიონები წაართვა, შემდეგ საყვარელი ადამიანი, ბოლოს კი უღალატა.

ნოემის გული მთლიანად დაისაკუთრა.

ცხოვრებაზე ისედაც გულგატეხილ ტერეზას ადამიანებისადმი ნდობა დაუკარგა, უპატრონო კუნძული წაართვა, რომ ისევ დაებრუნებინა და მისი მადლობა დაესახურებინა.

ტოდორ კრისტიანი თავის სამყაროს მოსწყვიტა და მოტყუებით დედამიწის მეორე ნახევარსფეროზე გადაისროლა.

ატალიას წაართვა მამა, დედა, მშობლიური სახლი, საქმრო, ამქვეყნიური ბედნიერება და იმქვეყნიური სასუფეველი.

კაჩუკას ბედნიერებაზე ოცნების საშუალებაც კი მოუსპო.

უპატიოსნო გზით მოიპოვა ირგვლივ მყოფთა პატივისცემა, ღარიბ-ღატაკებს და ობლებს მადლიერების ცრემლებს აფრქვევინებდა, მეფეს ორდენი დასტყუა ვითომდა დიდი დამსახურებისათვის. ყველა სიკეთე, რითაც კი სარგებლობდა, მიტაცებული ჰქონდა. მოტყუებით კონტრაბანდისტების ერთგულებაც კი მოიპოვა თავისი საიდუმლოს დასაფარავად.

და ბოლოს თვით ღმერთის გაქურდვაც კი შესძლო, პაწაწინა ანგელოზი მოსტაცა ციდან.

მას საკუთარი სულიც კი აღარ ეკუთვნოდა, მთვარეს აღუთქვა. მაგრამ მთვარეც მოატყუა.

უკვე მზად იყო საწამლავი, რომელიც მას პირდაპირ მთვარეზე წაიყვანდა სამუდამოდ დასაძინებლად, ეშმაკები უკვე კბილებს ილესავდნენ და სიხარულით მოელოდნენ თავიანთ მსხვერპლს, მაგრამ ისინიც მოატყუა, აღარ მოიკლა თავი.

დედამიწაზე ჰპოვა სამოთხე და აკრძალული ნაყოფი მოკრიფა ხიდან, როცა მთავარანგელოზი არ უთვალთვალებდა. ამ მუუდრო სავანეში ადვილად ახერხებდა საზოგადოებრივი კანონების დარღვევას, ატყუებდა ყველას, მღვდელს, მეფეს, მოსამართლეს, გადასახადების ამკრეფთ, პოლიციას და ყოველთვის საოცრად სწყალობდა ბედი..

შეცდომაში შეიძლება შეიყვანო ყველა, მაგრამ საკუთარ თავს ხომ ვერ მოატყუებ?

ტიმარს გული ყოველთვის ფარული სევდით ჰქონდა სავსე, მაშინაც კი, როცა იცინოდა, კარგად იცოდა, ვინც იყო და რას წარმოადგენდა და სულითა და გულით უნდოდა სინამდვილეში ისეთად ქცეულიყო, როგორადაც მიაჩნდათ. მაგრამ ეს ყოვლად შეუძლებელი იყო.

ზღაპრული სიმდიდრე... საყოველთაო აღიარება და პატივისცემა... სიყვარული და ბედნიერება... გააჩნდა თითქმის ყველაფერი, რაც კი ადამიანმა შეიძლება ინატროს, მაგრამ არც ერთი მათგანი საკუთარი ღირსებით არ დაუმსახურებია. პატიოსნების, კაცთმოყვარეობის, თავდადების, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობის გრძნობები გულის სიღრმეში გადაეშალა და შემთხვევით ცთუნებას გაეტაცნა. ყველას უყვარდა, პატივს სცემდნენ, ანგარიშს უწევდნენ, თვითონ კი საკუთარი თავი სძულდა.

ბედს ისეთი ჯანმრთელობით დაეჯილდოებინა, რომ გადატანილმა საშინელმა სენმაც კი ვერაფერი დააკლო, პირიქით, თითქოს ძალღონეც მოემატა და საგრძნობლად გაახალგაზრდავდა. მუშაობდა მთელ ზაფხულს და შარშან მიტოვებული სახლის მშენებლობა სულ დაამთავრა. ისეთი ჩუქურთმები ამოკვეთა, თვალს ვერ მოაცილებდით, ნამდვილი ხელოვნების ნიმუშები იყო.

აივანს სულ სხვადასხვა ფორმისა და სილამაზის სვეტები ამოუყენა საბრჯენად. ერთი ერთმანეთში გადახლართული გველების გამოსახულება იყო, რომელთა თავებიც ლავგარდანთან შეერთებით სვეტის თავს ჰქმნიდნენ, მეორე ლიანებით შემოხვეულ პალმას მოგაგონებდათ, მესამე ხის ტოტებში გადახლართულ ვაზს, რომელთა ფოთლებში ხვლიკები და ციყვები მოჩანდნენ, მეოთხეს კი ლერწმის კონაში ვერ გამოარჩევდით. შიგნიდან სახლის კედლები ათასფერი მოზაიკითა და საუცხოოდ ამოკვეთილი ფიგურებით იყო დამშვენებული, მაგიდები და სკამები იშვიათი ოსტატობით გამოკვეთა, კარადა და საათის ბუდე კაკლის ხისა და რცხილისაგან გააკეთა, თეთრი რცხილა საოცრად უხდებოდა მუქი კაკლის ხეს და ფერთა საუცხოო ჰარმონიას ჰქმნიდა. შეუდარებელი სილამაზის საწოლი კი ხელოვანის მეტად მაღალ გემოვნებაზე მეტყველებდა. კარებებისა და დარაბების გასაღებადაც მეტად საოცარ ხერხს მიმართა, ხის განსაკუთრებული საგდულებით პირდაპირ კედლებში იწეოდა. მისი ახირებული სურვილი იყო, სახლი მხოლოდ იმ მასალით აეგო, რაც კუნ-

ძულზე იშოვებოდა, ამიტომ იყო, რომ ერთი ლურსმანიც არაფერში უბმარია, ყველაფერი მხოლოდ ხისა იყო.

ტიმარმა თავისი მახვილგონიერების წყალობით ყველა თავსატეხ საქმეს შესანიშნავად გაართვა თავი, მაგრამ, როცა ფანჯრების შემინვაღა დარჩა, საგონებელში ჩავარდა. მართლაც, რით შეიძლებოდა შეეცვალა მინა? ჯერ ბადე გააკრა, მაგრამ ეს მხოლოდ ზაფხულში გამოდგებოდა და ისიც კარგ ამინდში, თორემ წვიმის დროს, დარაბებს თუ არ დახურავდნენ, ოთახებში შემოასხამდა. შემდეგ სცადა მინა ბუშტით შეეცვალნა, როგორც ამას ესკიმოსები აკეთებენ; მაგრამ ამ დიდებულ სასახლეს არც ეს მოუხდა. რაღაც უნდა ეღონა ისევ. ბოლოს, კლდის ძირას შემთხვევით აღმოაჩინა ქარსის შრე, რომელსაც ფურცლოვან თაბაშირს ეძახიან. დიდი სიფრთხილით გაასუფთავა და გახლიჩა გამჭვირვალე მინერალი თხელ ფენებად; ეს იყო უმძიმესი სამუშაო, მყიფე შრეები ხელში ემსხვრეოდა, მაგრამ, მიუხედავად დიდი წვალებისა, უბრალო ხელოსნად ქცეულმა უმდიდრესმა და საკმაოდ განებივრებულმა ბატონმა ამასაც უდიდესი წარმატებით გაართვა თავი.

მიხაი სიხარულით ფეხზე ძლივს იდგა, როცა ყოველგვარი სამუშაოები დაამთავრა და თავისი უძვირფასესი ადამიანები ახალ სახლში ჯადაიყვანა. „შეხედეთ. შეხედეთ!—იძახოდა აღტაცებული.—ეს ყველაფერი ჩემი გაკეთებულია! თვით ხელმწიფეც კი ვერ შესძლებდა ასეთი საჩუქარი მიეძღვნა თავისი დედოფლისთვის!“

მეორე დოდის ოთხი წელი შეუსრულდა, როცა მიხაიმ „დოდის სასახლის“ მშენებლობა დაასრულა. ახლა უკვე დრო იყო ბავშვის აღზრდაზე ეზრუნა.

დოდი მეტად ჯანმრთელი, მხიარული და საზრიანი ბავშვი იყო. მიხაიმ გადაწყვიტა თვითონ ესწავლებინა მისთვის წერა-კითხვა, ცურვა, ვარჯიში, ხოლო როცა გაიზრდებოდა, მებაღეობა და სადურგლო საქმე, მისი აზრით, ეს ყველაზე გამოსადეგი ხელობა იყო ცხოვრებაში. ბავშვთან მეცადინეობაში ატარებდა მთელ დღეებს და ფიქრობდა, რომ უკვე ყველაფერი რიგზე იყო და ასე უზრუნველად შეეძლო გაეტარებინა მთელი სიცოცხლე, მაგრამ, როგორც იტყვიან, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, და ერთ მშვენიერ დღეს ბედისწერამ შეახსენა თავი: „მოიცა, არც ისეა საქმე, შენ რომ გგონია!“ შემდეგ კი სულ მალე მიხვდა, რომ ეს ტერეზას ხმა იყო და არა ბედისწერისა.

რვა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ტიმარმა პირველად შედგა ფეხი ამ პატარა კუნძულზე, ნოემი და ტიმეა მაშინ ჯერ ისევ ბავშვები იყვნენ. ნოემის ახლა ოცდაორი წელი შეუსრულდა, ტიმეას ოცდაერთი, ატალიას ოცდახუთი, ტერეზას ორმოცდახუთი, თვითონ მას ორმოცდაორი, პატარა დოდის კი ხუთი.

დადგა ყამი, როცა ერთ-ერთ მათგანს უნდა დაეტოვებინა ეს ქვეყანა. დასასრულს მიუახლოვდა იმ ადამიანის ცხოვრება, ვისაც ამდენი ტანჯვა-წვალება არგუნა ბედმა. ეს იყო ტერეზა.

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, როცა ნოემიმ ბავშვი წაიყვანა სასეირნოდ, ტერეზამ ტიმარი იხმო:

— ყური მიგდე, მიხაი, მე დიდი ხნის სიცოცხლე აღარ მიწერია, შეიძლება, შემოდგომამდე ვერც მივაღწიო, ჩემი დღეები დათვლილია, მე გულით ავადმყოფი ვარ და უკვე ოცი წელია ვებრძვი ამ საშინელ სენს. არ გეგონოს რაიმეს ვაჭარბებდე, ჩემი განკურნვა შეუძლებელია, აქამდე სულ ვმალავდი ჩემს ავადმყოფობას და არასოდეს ვუჩიოდი, იმ სიხარულმა კი, რომელიც შენ მომანიჭე, სიცოცხლე გამიხანგრძლივა. უამისოდ, ალბათ, უკვე დიდი ხანია სამარეში ვიქნებოდი. მაგრამ ახლა ვგრძნობ, რომ მალე ჩემი აღსასრულიც დადგება. მთელი წელია უძილობა დამჩემდა, ღამეებს თეთრად ვათენებ, ვიცი, რომ ეს უძილობა მალე სამუდამო ძილით შეიცვლება. დროც არის უკვე, მე დავიმსახურე ეს სიმშვიდე. სულ ყურს ვუგდებ ჩემი გულის ცემას, ხან აჩქარებულია, ხან მიჩერდება ერთი წუთით, შემდეგ ისევ შეტოკდება და ასე მეორდება დაუსრულებლად, სიკვდილის წინ იცის ხოლმე ასე. ზოგჯერ ისეთი თავბრუსხვევა მაქვს, ფეხზე ძლივს ვდგავარ. ეს უკანასკნელი ზაფხულია ჩემთვის. მალე ბოლო მოეღება ჩემს გატანჯულ ცხოვრებას. ბედს მაინც არ ვემდური, აღსრულდეს ნება მისი! სადარდებელი აღარაფერი მაქვს, ნოემის უკვე ჰყავს ჩემი მაგიერი, ვინც ჩემს სიყვარულს შეუცვლის. თავს არ შეგაწყენ შეკითხვებით, არც არავითარ აღთქმას მოვითხოვ შენგან, რა ფასი აქვს ცარიელ სიტყვებს, მთავარი ადამიანის გრძნობებია. შენ უჩემოდაც კარგად იცი, რა ძვირფასი ხარ ნოემისთვის და ის შენთვის! მეც მეტი არაფერი მინდა, შემიძლია სრულიად დამშვიდებულმა დავტოვო ეს ქვეყანა და უფალი აღარაფერზე ვედრებით არ შევაწუხო, მან ხომ შემისრულა ყოველივე, რაც კი შემეძლო მეთხოვა. განა ასე არ არის, მიხაი?

მიხაილ თავი ჩაღუნა. მას უკვე დიდი ხანია ეს ამბავი სიზმარშიც ელანდებოდა. გრძნობდა, რომ ტერეზას ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა. მისი სახის გამომეტყველებით ხვდებოდა, როგორ ებრძოდა ქალი საშინელ სენს და გულის კანკალით ფიქრობდა. რომ შეიძლებოდა მალე მისი აღსასრული დამდგარიყო. რა ეშველებოდა მაშინ ნოემის? როგორღა შესძლებდა წასულიყო აქედან მთელი ზამთარი და მარტოდმარტო დაეტოვებინა პატარა ბავშვთან ერთად? ვინღა იქნებოდა მათი პატრონი?

წინათ მიხაი ყოველნაირად ცდილობდა ეს უსიამოვნო ფიქრები გაეფანტა, მაგრამ ახლა ყოველივე მთელი სიცხადით დაუდგა თვალწინ. სხვა გზა არ ჰქონდა, რამე უნდა ეღონა.

ტერეზამ სრული სიმართლე უთხრა. იმავე დღეს, როცა ერთ ხილით მოვაჭრე ქალთან ერთად ბაღში ატმის კალათებს სცლიდა, გული შეუწუხდა და ძლივს მოაბრუნეს. მესამე დღეს ისევ მოვიდა ვაჭარი ქალი, ტერეზამ თავს ძალა დაატანა და შეეცადა ბაღში ისევ თვითონ გასულიყო, მაგრამ ისევ ცუდად გახდა. ვაჭარი ქალი ძალიან შეაწუხა ამ ამბავმა. რამდენიმე დღის შემდეგ კი ნოემიმ და მიხაილ ტერეზა ბაღში აღარ გაუშვეს. ნაცნობმა ვაჭარმა ქალმა კი წასვლისას ყოველ შემთხვევისთვის დაუბარა მათ, საწყალი ტერეზასთვის აღსარების თქმა ურიგო არ იქნებაო.

მისმა სიტყვებმა მიხაი მთელი სერიოზულობით დააფიქრა. ის გრძნობდა, რომ ტერეზა ნოემისთვის მხოლოდ დედა და ერთადერთი ნუგეში კი არ იყო მისი არყოფნის დროს, არამედ მეტად მაღალი სულის მქონე შესანიშნავი ადამიანი. მიუხედავად იმისა, რომ ბედისწერამ თავის მსხვერპლად აქცია და ადამიანის წამების თითქმის ყველა იარაღი გამოსცადა მასზე, მაინც ვერ გასტეხა მისი რკინისებური ნებისყოფა. ტერეზა სულით მაინც არ დაცემულა, არც ჩივილით დაუმცირებია თავი, მოთმინებით იტანდა ყველაფერს და მუშაობაში იქარვებდა ნაღველს. მთელი მისი ცხოვრება და, ბოლოს, ასეთი უშიშარი შეხვედრა სიკვდილთანაც ნამდვილი გმირობა იყო.

და კიდევ ერთი აზრი მოუვიდა მიხაის, ბედმა ნამდვილად იმიტომ შემახვედრა ამ ქალს, რომ ჩემი დახმარებით დაეჯილდოებინა ყველა იმ გადატანილი ტანჯვა-წამებისთვის და მეც მომენანიებინა ჩემი ცოდვები, სიცრუის უზარმაზარი ბრწყინვალე კედლით რომ მაქვს დაფარული საზოგადოების თვალშიო. მართლაც, ყოველგვარი სი-

კეთე, რაც კი ტიმარს ოდესმე ჩაუდენია თავის სიცოცხლეში. დაკავშირებული იყო ამ პატარა მიწის ნაკვეთთან.

როცა ტკივილებით გატანჯული ტერეზა მის თვალწინ ასეთი ძოთმინებით ებრძოდა საშინელ სენს, მიხაი გრძნობდა, რომ სიკვდილის შემდეგ ეს ქალი უზარმაზარ მემკვიდრეობას უტოვებდა და მისი მაგივრობა მას უნდა გაეწია.

ნოემიმ ჯერ არაფერი იცოდა დედის ავადმყოფობის შესახებ, მისთვის უკეთესი იყო, რაც უფრო გვიან შეიტყობდა ამ ამბავს. მას აუხსნეს, რომ მისი ცუდად ყოფნა ზაფხულის სიცხის ბრალი იყო.

მიხაი სულ უფრო და უფრო მეტ მზრუნველობასა და ყურადღებას იჩენდა ტერეზას მიმართ. ოჯახში მსუბუქი საქმის გაკეთების ნებასაც არ აძლევდა, ყოველნაირად ცდილობდა მშვიდი ატმოსფერო შეექმნა მისთვის, რითაც შეეძლო ართობდა პატარა დოდის, რომ ხმაური არ აეტეხა და ბებია არ გაეღვიძებინა. მაგრამ ამაო იყო მისი ყოველგვარი ცდა, ტერეზას უძილობა სტანჯავდა.

ზაფხული მიიწურა, თბილმა, სასიამოვნო დღეებმა თითქოს გამოაკეთეს ტერეზა, მაგრამ ეს მოჩვენებითი აღმოჩნდა. შემოდგომის დამდეგს შეტევებმა და გულის წასვლამ მოუხშირა. ხილით მოვაჭრე ქალი, რომელიც დროდადრო მოდიოდა კუნძულზე, ძალიან წუხდა მის ავადმყოფობას და სულ იმას გაიძახოდა, უკვე დროა, მღვდელმა აღსარება ითქმევინოს და ზიარება მიაღებინოსო.

ერთ დღესაც, როცა მთელი ოჯახი სადილობდა, ალმირას ყეფა შემოესმათ, ეტყობოდა, ვიღაც უცხომ შემოდგა ფეხი კუნძულზე. ტერეზამ ფანჯარაში გაიხედა და შეშფოთებულმა მიმართა მიხაის:

— ახლავე მეორე ოთახში გადი, რომ მოულოდნელმა სტუმარმა აქ არ გნახოს!

მიხაიმაც გაიხედა გარეთ და როგორც კი იცნო მოსული, ფერმა გადაჰკრა, მასთან შეხვედრა არც თუ ისე სასიამოვნო იქნებოდა მისთვის. თვით მისი უწმინდესობა, მღვდელმთავარი შანდოროვიჩი მობრძანებულიყო კუნძულზე. მას რაღა თქმა უნდა, არ გაუჭირდებოდა ბატონი ლევეტინცის ცნობა!

— მაგიდა გაიტანეთ და თქვენც გადით! — უთხრა ტერეზამ ნოემის და დოდის. მას თითქოს რაღაც სასწაულით ადრინდელი ძალა დაუბრუნდა, თვითონვე მიეშველა მათ მაგიდის გატანაში, ტახტი მიადგა საჩქაროდ შუა კარს და ამით მეორე ოთახში გასასვლელი გზა გადაუღობა სტუმარს.

მას შემდეგ, რაც მიხაიმ უკანასკნელად ნახა მღვდელმთავარი, ბევრი დრო გავიდა. მას წვერი კიდევ უფრო მოეშვა, ჭაღარაც მომატებოდა, მაგრამ ღაჟღაჟა ლოყები მეტყველებდა, რომ ჯერ ისევ ძველებურად ჯანზე იყო და ბედს არ ემდუროდა.

მისი უწმინდესობის თანმხლები პირნი, დიაკვანი და ეკლესიის სალაროს მსახური, გარეთ დარჩნენ აივნის წინ და, რაც შეეძლოთ, ალმირასთან გაშინაურებას ცდილობდნენ.

ტერეზა მარტო დახვდა მღვდელმთავარს ოთახში. მისმა უწმინდესობამ მარჯვენა ხელი წინ გასწია, რომ საშუალება მიეცა მისთვის, ხედ მთხვეოდა, მაგრამ ტერეზა ადგილიდანაც არ წამომდგარა.

— შენ რა, ვერ მიცანი, შე ცოდვილო? — ჰკითხა მკვახედ.

— ძალიან კარგად გიცანით, ბატონო, ისიც კარგად ვიცი, ცოდვილი რომ ვარ, მაგრამ თქვენ აქ რამ მოგიყვანათ, ვერ გამიგია.

— მაშ ვერ გაგიგია, რამ მომიყვანა, არა შე ბებერო კუდიანო? უსვინდისო მოლაყბევ და ღვთისგან განდგომილო! ან, იქნებ, არ იცი, ვინცა ვარ?

— როგორ არ ვიცი, სწორედ ის მღვდელმთავარი ხართ, ვინც ჩემი ქმრის ქრისტიანული წესით დასაფლავების ნება არ მომცა.

— დიახ, მე არ მოგეცი ნება იმიტომ, რომ სიკვდილის წინ მას აღსარება არ უთქვამს, და თუ არ გინდა, შენც მასავით ძაღლივით ჩაგაგდონ ორმოში, გონს მოდი და ცოდვები მოინანიე, სანამ გვიან არ არის. დღეს თუ ხვალ შენი აღსასრულიც დადგება, ღვთისმოსავმა ქალებმა მამცნეს შენი მძიმე ავადმყოფობის შესახებ და შემევედრნენ მოვსულიყავი შენთან. ეს მათ უნდა უმადლოდე ჩემს სტუმრობას!

— ცოტა ხმადაბლა ილაპარაკეთ, ბატონო, გვერდით ოთახში ჩემი ქალიშვილია, არ მინდა შეიტყოს ჩემი ავადმყოფობის შესახებ და ნაადრევად იდარდოს.

— მაშ იქ შენი ქალიშვილია? იქნებ, კაციც არის მასთან ერთად და ბავშვიც?

— სწორედ ასეა.

— და ეს კაცი მისი ქმარია?

— დიახ.

— მერე და ვინ დასწერა მათ ჯვარი?

— ვინც ჯვარი დასწერა ადამსა და ევას, თვით მაღალმა ღმერთმა.

— რა ხისულელეს როშავ! ასეთი რამ მხოლოდ ერთხელ შეიძლებოდა მომხდარიყო ამქვეყნად და ისიც იმიტომ, რომ მაშინ არც ეკლესია იყო და არც საკურთხეველი. ახლა კი ქორწინება და ჯვრისწერა არც ასე იოლი საქმეა.

— მე კარგად ვიცნობ თქვენს კანონებს, სწორედ მათ მაიძულეს თავშესაფარი მეძებნა ამ უკაცრიელ კუნძულზე და იცოდეთ, რომ აქ მათ უკვე აღარ ვემორჩილები!

— ესე იგი შენ წარმართი და ურწმუნო ხარ!

— საკუთარი სინდისის წინაშე პირნათელი ვარ და ასევე მოვკვდები!

— ასეთი აზრების პატრონი წესიერს რას ჩაუნერგავდი ერთადერთ ქალიშვილს? გრცხვენოდეს, შე უსვინდისო!

— რისი უნდა მრცხვენოდეს მაინც, იქნებ, ამიხსნათ?

— იმისი, რომ მიუტევებელი ცოდვა გაქვს ჩადენილი, მიუღებელი ყველა მორწმუნე ქრისტიანისთვის.

— მე ჩემს საქციელში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

— უგუნურო ქმნილებავ! ჩანს, შენ მხოლოდ ფიზიკური ტკივილი გაწუხებს და სულის განწმენდაზე არ ჰფიქრობ! მე ყოველ ღონეს ვხმარობ, რომ სწორ გზაზე დაგაყენო და როგორმე შენს სულს სასუფეველი დაუმკვიდრო იმ ქვეყნად, შენ კი ჯოჯოხეთისკენ მიიწევ! გწამს თუ არა, რომ მიცვალებულთა სულები მკვდრეთით აღდგებიან და მხოლოდ სამოთხეში მოხვედრილნი გადარჩებიან?

— არა მწამს და არცა მაქვს იმის სურვილი, რომ მკვდრეთით აღვდგე. ვოცნებობ, რომ მშვიდად განვისვენო ძეწნის ჩრდილში. ჩემი გვამი გაიხრწნება, მაგრამ ხის ფესვების საზრდოდ იქცევა და ამით ჩემი ნაწილი მის ახლად ამოყრილ ყლორტებს გადაეცემა. მეც მეტი არაფერი მინდა, რა უნდა იყოს იმაზე სანეტარო, რომ შენი ხელით დარგული ხის მწვანე ფოთლების ძარღვებში გააგრძელო არსებობა. დიახ, მე არა მწამს ღმერთის განგება, რომელიც თავის უსუსურ ქიმდევრებს იმ ქვეყნადაც არ აძლევს მოსვენებას. ჩემი ღმერთი კი მოწყალეა, ესაა ბუნება, ყოველ ცოცხალ არსებას, ადამიანს, ცხოველს თუ მცენარეს სამუდამო სასუფეველს რომ უმკვიდრებს.

— ოღონდ შენისთანა შეჩვენებულ არამზადას არა, შენ ჯოჯოხეთის ცეცხლი არ აგცდება! სულ ერთია, სატანას კლანჭებს ვერსად წაუხვალ!

— აბა, მაშ დამიმტკიცე, რომ საღვთო წერილში წერია ჯოჯოხეთისა და სატანის არსებობის შესახებ, თუ ამას დამიმტკიცებ, მაშინ მეც ვირწმუნებ შენს სიტყვას.

— ცეცხლში დაიწვას შენი ენა, შე ღვთისმგმობელო! ესღა გაკლდა, სატანის არსებობასაც რომ უარჰყოფ!

— დიახ, უარვყოფ და მტკიცედ მწამს, რომ გამჩენს ის არასოდეს შეუქმნია! რქიანი ეშმაკი თქვენ თვითონ გამოიგონეთ უმეცარი ხალხის დასაშინებლად!

— ღმერთო, შენ შემიწყალე, დამიფარე ცთუნებისაგან! ნეტავ მიწა გასკდებოდეს და თან ჩაიტანდეს ამ ურწმუნოს! ვინ იცის, ბავშვსაც ასეთ სისულელეებს ასწავლის!

— ბავშვს ის ასწავლის, ვინც იშვილა.

— ვინ არის ის?

— ბავშვი მას მამას ეძახის.

— რა ჰქვია იმ კაცს?

— მიხაი.

— რა გვარია?

— არასოდეს მიკითხავს ეს მისთვის.

— როგორ თუ არ გიკითხავს, აბა რა იცი შენ მის შესახებ?

— ის, რომ პატიოსანი კაცია და თავდავიწყებით უყვარს ნოემი.

— მაინც ვინ არის, თავადია, გლეხია, ხელოსანი თუ მეზღვაური? ან, იქნებ, კონტრაბანდისტია?

— ჩვენსავით ღარიბია.

— რომელ სარწმუნოებას მისდევს, კათოლიკეა, ლუთერანი, კალვინისტი თუ იუდეველი?

— ეს ჩემი საქმე არ არის.

— მარხვას თუ ინახავ?

— მახსოვს, ერთხელ ორი წელი ვიმარხულე, ხორცის პატარა ნაგლეჯიც კი არ მინახავს თვალით.

— ვინ მონათლა ბავშვი?

— ღმერთმა. ნაწვიმარზე ცისარტყელის ქვეშ იდგა ცოტა ხანს.

— შეგაჩვენათ ღმერთმა, წყეულო წარმართებო!

— წარმართებს რატომ გვეძახით, განა ჩვენ კერპთაყვანისმცემლები ვართ? მთელი კუნძული რომ დაიაროთ, კერპს კი არა, რაიმე უბრალო გამოსახულებასაც ვერ ნახავთ, ფულზე ამოკვეთილსაც კი,

რომელსაც თაყვანს სცემენ თქვენთან. თვითონ შენც აღმერთებ ვერცხლზე ამოკვეთილ ორთავიან არწივს და მით უფრო ოქროზე. ადამიანები ქრისტეზე ნაკლებად როდი აღმერთებენ ოქროს არწივს! მაგრამ როგორც კი კაცს ოქროსა და ვერცხლის არწივები გაუფრინდება, ღმერთიც ზურგს შეაქცევს ხოლმე!

— როგორ, წმინდანის დაცინვასაც ბედავ, შე ჯადოქარო?

— კი არ დავცინი, სრულ სიმართლეს მოგახსენებთ. ღმერთმა უდიდეს ტანჯვაში ჩამაგდო. ოდესღაც მეც ბედნიერი ვიყავი, მქონდა საკუთარი სახლი, ოჯახი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი დავკარგე. დავქვრივდი, უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დავრჩი და იძულებული გავხდი, აქ, ამ მიყრუებულ კუნძულზე გამოვქცეულიყავი. აქ ვპოვე კიდევაც ჩემი მეორე ღმერთი, მას არც ლოცვა-გალობა სჭირდება, არც შესაწირავი, არც ეკლესია და ზარების რეკვა, მხოლოდ ალალმართლობას და მისდამი მორჩილებას მოითხოვს. მთელი ჩემი სიცოცხლე პატიოსან შრომაში გავატარე. მას შემდეგ, რაც უსინდისო ადამიანებმა ყველაფერი წამართვეს, გულხელი არ დამიკრეფია, ყოველგვარ გაჭირვებას ვძლიე და ეს უკაცრიელი კუნძული აყვავებულ ბაღნარად ვაქციე. იქ ადამიანები ყოველნაირად მატყუებდნენ, მძარცავდნენ და დამცინოდნენ, ადგილობრივი ხელისუფალნი უღმერთოდ მყვლეფდნენ, მეგობრები მპარავდნენ, ღვთისმოშიში მოძღვრები დამცინოდნენ. მაინც არ შემძულებია ისინი. ვინ აღარ მოდის აქ ჩემთან, უცხოელები, ლტოლვილები, ყველა გაჭირვებულს ვეხმარები, რითაც შემიძლია, ჩემი სახლის კარები ყველასთვის ღიაა და მომდურავიც არავინა მყავს, ღია კარებში მძინავს და არავისი მეშინია. განა შეიძლება, უღმერთო და წარმართი მიწოდოს ვინმემ?

—რისთვის მიყვები ამ აბდაუბდას? მე შეგეკითხე, რა კაცი ცხოვრობს შენს ჭერქვეშ, მართლმორწმუნე, თუ ერეტიკოსი? რატომ აქამდე არ მონათლეთ ბავშვი? არ შეიძლება შენ იმ კაცის გვარი არ იცოდე!

— კარგი, სიმართლეს გეტყვი. მე ვიცი მისი გვარი, მაგრამ არ ვავცყმ. მასაც, ალბათ, აქვს თავისი საიდუმლო ჩემსავით. ჩემი მას გავანდე, მისი კი არ ვიცი და არც მიცდია გამეგო. მე მას ვიცნობ, როგორც კეთილ, პატიოსან ადამიანს და სავსებით ვენდობი. მეგობრებისგან გაძარცულს ჩვილი ბავშვიღა დამრჩა მხოლოდ, დიდი გა-

ჭირვებითა და წვალებით გავზარდე ჩემს ერთადერთ ნუგეშად. ახლა კი, ნება მივეცი იმ ადამიანს მოეტაცნა ეს საუნჯე, ადამიანს, რომლის შესახებაც მხოლოდ ის ვიცი, რომ ნოემი უყვარს და ნოემისაც უყვარს იგი. განა ეს ჩემს რწმენასა და ნდობაზე არ მეტყველებს?

— თავი დაანებე სისულელეებს! შენისთანა კუდიანებს ძველად კოცონზე სწვავდნენ ქრისტიანები!

— ბედნიერი ვყოფილვარ, რომ ამ კუნძულის მფლობელად ვითვლები თურქეთის სულთანის ფირმანით.

— შენ თურქეთის სულთანის ფირმანი გაქვს? ვინ გიბოძა?

— იმ კაცმა, ვისი გვარის გაგებასაც ასე ცდილობ, მაგრამ ვერ ეღირსები!

— მაგასაც ვნახავთ! ახლავე გავიგებ და ძალიან ადვილადაც, ეუბრძანებ დიაკვანსა და ეკლესიის მოლარეს იქით გადადგან შენი ტახტი და თავისუფლად შევალ მეორე ოთახში, კარს ხომ საკეტიც არა აქვს!

მიხაის ყველაფერი ესმოდა და ელდა ეცა. უკვე წარმოიდგინა, როგორ შემოვარდებოდა მღვდელმთავარი და გაოცებული ეტყოდა: „აა, ეს თქვენა ხართ, თქვენო უმაღლესობავ, ბატონო მიხაი ლევეტინცი, მისი უდიდებულესობის, ხელმწიფის მრჩეველი!“

მღვდელმთავარი აივანზე გავიდა და თანამხლებელნი იხმო.

მდგომარეობა თითქოს გამოუვალი იყო, მაგრამ ტერეზა არ დაიბნა, სასწრაფოდ დაიხურა ჭრელი თურქული ხალიჩა, რომელიც ტახტზე ჰქონდა გადაფარებული და შემოსულ მღვდელმთავარს მიმართა:

— ორიოდ სიტყვაც მათქმევინე, ბატონო და დარწმუნდები, რომ მე წარმართი არა ვარ. შეხედე ამ ხალიჩას, ეს-ეს არის ბრუსიდან ჩამომიტანეს საჩუქრად, სადაც უკვე ოთხი კვირაა შავი ჭირი მძვინვარებს, მე კი ყოველ ღამეს ვიხურავ და ღმერთის წყალობით ჯერჯერობით არაფერი მიშავს. აბა, ახლა ვნახოთ თქვენ სამში ვის უფრო მეტად სწამს ღმერთი და არ მოერიდება ხელი მოჰკიდოს ჩემს ხალიჩას! — ხმა არავის გაუცია და როცა მოიხედა, ოთახში უკვე აღარავინ იყო. ბრუსიდან ჩამოტანილი ხალიჩის ხსენებამ სასწაულმოქმედი ზეგავლენა მოახდინა მათზე და თავქუდმოგლეჯილები ისე გაც-

ვივდნენ გარეთ, უკან აღარ მოუხედავთ. ამის შემდეგ კუნძულს დიდი ხანი აღარავინ გაჰკარებია.

ტერეზამ ტახტი ისევ გამოსწია და ოთახის კარი გააღო.

— „გმადლობთ, დედა!“ — ამის თქმას ძლივსღა ახერხებდა ბიხაი და ხელებს უკოცნიდა.

— „შვილო, — ჩურჩულით ეუბნებოდა ტერეზა და თვალებში შეჰყურებდა, — ნუ დაივიწყებ იმას, რაც აქ გაიგონე!“

ამასობაში თანდათან მისი აღსასრულის დღეც მოახლოვდა, თვითონ ტერეზა ისე ლაპარაკობდა თავის სიკვდილზე, როგორც შორეულ მგზავრობაზე.

„ოქტომბრის ერთ მშვენიერ დღეს დავტოვებ ამ ქვეყანას, ეს ხომ წლის საუკეთესო დროა, მას ბებრის ყვავილობასაც ეძახიან, ამ დროს მწერები ზამთრის ძილისთვის ემზადებიან და ხეებსაც ფოთლები სცვივა“.

მან თვითონვე შეარჩია კაბა, თავისი ხელით შეიკერა სუდარაც. ,,ეუბნო არ მოინდომა, რაც შეიძლება ახლოს უნდოდა ყოფილიყო მშობელ მიწასთან. მიხაისა და ნოემის დახმარებით კორდზე გავიდა და თვითონვე შეარჩია ადგილი სასაფლაოსთვისაც.

— აი, აქ მინდა დავიმარხო, — უთხრა მიხაის, — დოდის ხომ აუშენე სახლი, ახლა ჩემს საბოლოო თავშესაფარზეც იზრუნე. საფლავზე ბორცვს ნუ აამაღლებთ, ნურც ხეებსა და ბუჩქებს დარგავთ, არ მინდა ეს ადგილი რაიმეთი გამოირჩეოდეს. რატომ უნდა დანაღვლიანდეს ვინმე ჩემი გახსენებით? ასე აჯობებს, ესაა ჩემი უკანასკნელი სურვილი.

მიხაიმ მოუმზადა სამუდამო თავშესაფარი მომაკვდავ ტერეზას, რომელსაც უკანასკნელ წუთებშიც კი არ უკითხავს ვინაობა, არ დაინტერესებულა მისი წარსულით, თუმცა უფლება ჰქონდა გაერკვია, ვის ხელში ტოვებდა ნოემის.

ერთ საღამოს კი ამ კეთილმა, ყველასათვის საყვარელმა ქალმა სამუდამოდ დახუჭა თვალი. დაასაფლავეს ისე, როგორც ისურვა, თეთრი ტილოს სუდარაში გაახვიეს, სურნელოვანი კაკლის ფოთლებზე დააწვინეს და საფლავი ახლად ჩამოქრილი ბელტებით დაფარეს, რომ მინდორს არავითარი ცვლილება არ დასტყობოდა.

მეორე დღეს, როცა ნოემი და მიხაი პატარა დოდისთან ერთად მინდორში გამოვიდნენ, შემოდგომის ჭირხლი ვერცხლისებრ სუდა-

რასავით გადაჰკროდა დედამიწას და მზის სხივებზე მიმობნეული ალმასებივით ბრწყინავდა. მაგრამ იმ საგულდაგულოდ დაფარულ ადგილას ალმირა მაინც შედგა და თავი მიწას დაადო. მას არ გასჭირვებია თავისი დიასახლისის საფლავის პოვნა.

მიხაი ჩაფიქრდა, მას ახლა უკვე აღარ შეეძლო ძველებურად ეცხოვრა, დადგა დრო, როცა საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა თავისი ბედი.

მეხუთე ნაწილი

ატალია

I. გადაბეხილი ხმალი

ტიმარი ცოტა ხანს კიდევ დარჩა კუნძულზე და მხოლოდ შემოდგომის მიწურულშიღა გადაწყვიტა გამგზავრება, როცა ხეებს ფოთლები დასცვივდა და ბულბულები და შაშვები თბილ ქვეყნებში გაფრინდნენ.

— მე ისევ მალე დავბრუნდები, ზამთარშივე, — უთხრა გამოთხოვებისას ნოემის, რომელიც ახლა სრულიად მარტო უნდა დარჩენილიყო პატარა ბავშვით ამ უკაცრიელ კუნძულზე. მას წარმოდგენაც არა ჰქონდა, როგორი ზამთარი იცოდა იქ, სადაც მიხაი ცხოვრობდა. კუნძულთან დუნაი თითქმის არ იყინებოდა და დაფნა და სურო ზამთარ-ზაფხულ მწვანე ფოთლებით იყო შემოსილი.

მიხაის საშინელ ავდარში მოუწია მგზავრობა. გზები უკვე დათოვლილი იყო. კომარომამდე რომ მიეღწია, ნამქერით სავსე მინდვრები უნდა გაევლო. უი-სონთან მთელი დღე დაკარგა, დუნაიზე ყინულთსვლა იყო დაწყებული და ნავით გადასვლას ვერავინ ბედავდა.

ერთხელ, წყალდიდობისას, სრულიად მარტო შეება აქაფებულ ტალღებს კუნძულზე გადასვლისას, მაგრამ ის სხვა იყო, მაშინ ნოემისთან მიეჩქარებოდა, ახლა ტიმეასკენ კი ისე არ მიუწევდა გული, თუმცა მასთანაც ჩქარობდა მისვლას, რომ სამუდამოდ განშორებოდა. მას უკვე უფლებაც აღარ ჰქონდა მარტოდმარტო დაეტოვებინა ნოემი ბედის ანაბარად. ბოლოს და ბოლოს მისთვისაც ხომ უნდა მიეზღო სამაგიერო უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულებისთვის!

და უკვე დრო იყო ტიმეაც გაებედნიერებინა.

ამაზე ფიქრი ყველაზე უფრო აუტანელი იყო მისთვის. იოტისოდენა მიზეზი მაინც რომ ჰქონოდა ამ ქალის შეძულებისა, მაშინ ადვილად შესძლებდა მის დავიწყებას და ამდენს არ იდარდებდა, მაგრამ საამისო არაფერი იყო და გულის რომელიღაც შორეულ კუნჭულში მისდამი თავს დამნაშავედ გრძნობდა.

უი-სონთან დატოვა თავისი ეტლი და ფეხით გადავიდა ყინულზე. ათასგვარი ფიქრებით დამძიმებულს შინ შესვლისას მოეჩვენა, რომ მის დანახვაზე ტიმეა დაიბნა და შეცბა, მისალმებისას ხელები და ხმა უკანკალებდა და ჩვეულებრივ ლოყაზეც კი არ აკოცნინა.

„ნეტავ ხომ არაფერი უგრძნო გულმა?“ — ფიქრობდა თავისთვის და თან ტანსაცმელს იცვლიდა. მას არც ატალიას გამომცდელი მზერა გამოჰპარვია, მის თვალებში რაღაც ავისმომასწავებელი დემონური სიხარულის ნაპერწკალი ბრწყინავდა.

„ან, იქნებ, ატალიამ იცის რამე?“

სადილობისას ხმა არც ერთს არ ამოუღია. სამივეს გამოხედვაში ერთმანეთისადმი მიმართული შეკითხვა იგრძნობოდა მხოლოდ.

— ძალიან გაგიგრძელდათ მოგზაურობა ამჯერად... — მიმართა ტიმეამ ნასადილევს.

„მალე სულ ვეღარ შნახავთ!“ — გაიფიქრა გულში მიხაიმ, ხმაშაღლა კი არაფერი უპასუხა.

ჯერ საჭირო იყო ადვოკატს მოლაპარაკებოდა წინასწარ, ნიადაგი მოემზადებინა, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ვერავითარ მიზეზს ვერ ხედავდა განქორწინების მოტივად გამოსადეგს. ერთადერთი, რაც შეიძლებოდა ეხედველობაში მიეღოთ, ურთიერთშეუთანხმებლობა და სიძულვილი იყო, ოღონდ ეს ორივე მხარეს უნდა დაედასტურებინა. მაგრამ გაიზიარებდა ტიმეა მის აზრს? ყველაფერი მასზე იყო დამოკიდებული.

ნასადილევს სულ ამაზე ფიქრით იმტვრევდა თავს ტიმარი. მსაზურს უბრძანა ჯერ არავისთვის ემცნო მისი ჩამოსვლის ამბავი. გადაწყვიტა ცოტა დაესვენა, მაგრამ მის სურვილს ასრულება არ ეწერა. დიდხანს არ გაუვლია, რომ ოთახის კარი მოულოდნელად გაიღო. გულმოსული მიხაი ზეწამოიჭრა, რომ დაუპატიჟებელი სტუმრისთვის ჭკუა ესწავლებინა, მაგრამ გაოცებული ადგილზევე გაქვავდა, მის წინ ზღურბლზე ატალია იდგა.

ისევ ის ღამცინავი, ავისმომასწავებელი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. მისი გამომწვევი გამოხედვით მოჯადოებულმა მიხაიმ თავისდაუნებურად უკან დაიხია.

— რა გნებავთ, ატალია? — ჰკითხა ანგარიშმიუცემლად.

— რა მნებავს? ჰმ! თქვენ როგორ გგონიათ, ბატონო ლევეტინცი?

— მე საიდან უნდა ვიცოდე?

— სამაგიეროდ მე ვიცი, რაც თქვენ გნებავთ.

— მე?

— დიახ! განა თქვენ არ გსურთ, რაიმე შეიტყოთ ჩემგან?

— რა? — ჰკითხა ჩურჩულით მიხაილ და კარი დაკეტა.

— მე კარგად ვიცი, ბატონო ლევენტინცი, რაც გაინტერესებთ, — კბილებში გამოსცრა ატალიამ და ღიმილმა გადაურბინა ულამაზეს სახეზე, — ჩემთვის არც ისე ძნელია ამის გამოცნობა, მე ხომ უკვე ექვსი წელია თქვენს სახლში ვცხოვრობ?

— ჩემს სახლში?

— დიახ, მხედველობაში მაქვს, რაც ის თქვენი გახდა. ყოველ წელიწადს ვაკვირდებოდი თქვენი სახის გამომეტყველებას ჩამოსვლისას და წარმოიდგინეთ, სულ სხვადასხვა იყო, ყოველი უმნიშვნელო მოძრაობაც კი. პირველ წელიწადს ეჭვიანობა ამოვიკითხე, შემდეგ ეს დიდსულოვნებამ და გულგრილობამ შესცვალა, მესამე წელს ხელოვნურმა სიმშვიდემ, შემდეგ საქმემ გაგიტაცათ და სხვა არაფერი გაინტერესებდათ. განსაკუთრებული ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს თქვენი ხასიათისა და განწყობილების ცვალებადობას და ერთი წლის წინ კინაღამ მაფიქრებინეთ, რომ ტრაგედია დასასრულს უახლოვდებოდა. სერიოზულად შემაშფოთა თქვენმა გამომეტყველებამ. მიაშტერდებოდით ხოლმე უაზროდ ერთ წერტილს და სხვას ვეღარაფერს ამჩნევდით ირგვლივ. თქვენი ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა კი ყველაზე მეტად მე მახარებს ამქვეყნად.

მიხაილ მოიღუშა, ვინ იცის, ატალიას, იქნებ, მართლა ძალუძს ჩემში ფარული აზრების ამოკითხვა შუბლის ნაოჭებზეო, გაიფიქრა.

— დიახ! — გაიმეორა ატალიამ. — იცოდეთ, რომ არ მოიძებნება ქვეყნად არსება, რომელიც ჩემზე მეტად ნატრობდეს თქვენს დიდხანს სიცოცხლეს! ახლა თქვენს სახეზე ისევ ეჭვიანობას ვკითხულობ, თქვენ გინდათ შეიტყოთ რამე ტიმეაზე! განა ასე არ არის?

— რა უნდა მითხრათ ტიმეას შესახებ? — ჰკითხა მოუთმენლად მიხაილ და ზურგით კარებს მიეყრდნო.

ატალიამ კმაყოფილებით გაიღიმა, ახლა უკვე მიხაილ იყო მისი ტყვე.

— მე ყველაფერი ვიცი!

— რა იცი, რა?

— ძალიან ბევრი, ყოველ შემთხვევაში იმდენი, რაც სავსებით

საკმარისია სამივეს დასაღუპად! დიახ, ჩემს, იმის და თქვენს დასაღუპად!

მიხაილ იგრძნო, როგორ მოაწვა სისხლი სახეში.

— და თქვენ ყველაფერს მეტყვით?

— რა თქმა უნდა, მე ხომ ამისთვის მოვედი აქ. ოღონდ, ძალიან გთხოვთ მშვიდად მომისმინოთ ბოლომდე, თუმცა, რასაც ახლა შეიტყობთ, არც ისე იოლი მოსასმენია, ამით შეიძლება კაცი ჭკუაზე შეიშალოს და დარდით გული გაუსკდეს.

— ერთი მითხარით მხოლოდ, ვიდრე დაიწყებდეთ, ტიმეამ ხომ არ მიღალატა?

— დიახ!

— აჰ!

— კიდევ ერთხელ გიმეორებთ, რომ გიღალატათ და ამაში თვითონვე დარწმუნდებით.

ტიმარის აფორიაქებულ გულში წამით ისევ კეთილშობილებამ გაიღვიძა.

— ძალიან გთხოვთ, ქალბატონო, კიდევ ერთხელ ასწონ-დასწონოთ, რის თქმასაც აპირებთ.

— მე მხოლოდ ფაქტებს მოგიყვანთ და თუ ინებებთ, შეგიძლიათ შეამოწმოთ, ხოლო როცა საკუთარი თვალით ნახავთ ყოველივეს, დარწმუნდებით, რომ ცილი არავის დაუწამებია თქვენი წმინდანისთვის.

— გისმენთ, თუმცა თქვენი სიტყვებისა არ მჯერა.

— მე მაინც ყველაფერს გეტყვით. თქვენი წმინდანი ერთ მშვენიერ დღეს ძირს დაეშვა ციდან და ჩვეულებრივი მოკვდავივით ქალაქის ახალი ჭორებით დაინტერესდა, რომლებიც მოგეხსენებათ, ელვისებური სისწრაფით ვრცელდება. იმ დღეებში, ყველა იმაზე ლაპარაკობდა, რომ ერთმა თქვენთვის კარგად ნაცნობმა მაიორმა ტიმეას გულისთვის დუელში გამოიწვია ვიღაც უცხოელი ოფიცერი და ისეთი ძალით დაჰკრა თავში ხმალი, რომ შუაზე გადაუტყდა. ქალბატონმა ზოფიამ, რა თქმა უნდა, დაწვრილებით უამბო ტიმეას ყველაფერი, მანაც მოუსმინა და წარმოიდგინეთ, ცრემლი მოადგა თვალზე. თუმცა, რისთვის გიყვებით ყოველივე ამას? თქვენ ხომ ერეტიკოსი ხართ და არც დაიჯერებთ, რომ წმინდანებს ტირილი შეუძლიათ! მაგრამ მერწმუნეთ, ასე იყო. ქალბატონმა ზოფიამ აღარ

დააყოვნა და ტიმეას ცრემლების შესახებ მაშინვე მიურბენინა ამბავი მაიორს. ეს ხომ მისი საყვარელი საქმიანობაა, ჭორაობაში ბადალი არა ჰყავს! მას უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს შეყვარებულთა დაახლოება, ახლობელთა დაშორება, ერთის გახარება და მეორის დასამარება, უნარი შესწევს ადამიანს პირდაპირ სულში ჩაუძვრეს და საიდუმლო დასტყუოს, მისი ნდობა დაიმსახუროს და მერე სააშკარაოზე გამოიტანოს. ასეთია დედაჩემი!

„დედაჩემის“ თქმაზე ატალიამ ხელის გული მოისვა ტუჩებზე, თითქოს რაღაც სიმწარის ნარჩენი უნდა ჩამოიწმინდოსო.

— ამ ჭორიკანა დედაკაცის ნაამბობმა ტიმეას ცრემლებზე, დიდად იმოქმედა მაიორზეც და მან ჩვენს წმინდანს პატარა კოლოფი და წერილი გამოუგზავნა.

— რა იყო კოლოფში?

— ეს არც ისე მნიშვნელოვანია, ბევრად უფრო საინტერესოა წერილის შინაარსი. კოლოფში გადატეხილი ხმლის ნახევარი იდო, რომლითაც მაიორი დუელში იბრძოდა, საჩუქრად გამოუგზავნა!

— ჯერჯერობით ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, — მოჩვენებითი სიმშვიდით უპასუხა მიხაილ.

— გეთანხმებით, მაგრამ წერილი?

— თქვენ ის წაიკითხეთ?

— არა, მაგრამ ვიცი, რაც ეწერა შიგ.

— საიდან?

— თქვენს წმინდანს უპასუხოდ არ დაუტოვებია მაიორის წერილი, ქალბატონ ზოფიას გაატანა პასუხი.

— იქნებ უარით უპასუხა?

— საქმეც ის არის, რომ არა. ქალბატონი ზოფია დაწვრილებით მოგიყვა, თუმცა იცოდა, რომ ამით საშინელ სულიერ ტკივილს მოგაყენებდა. ის ერთგულად ემსახურება თავის ქალბატონს, მაგრამ ამავე დროს თავის მოვალეობად მიაჩნია ყველა მისი საიდუმლო გამანდოს მე, ისეთსავე მოახლეს, როგორიც თვითონ არის. მოახლეობაში უკვე აღარ არსებობს დედაშვილობა, ყველა მოახლე ერთნაირი შურით შეჰყურებს სხვის ბედნიერებას და როგორც კი მომენტს უპოვის, მზად არის დაღუპოს! ვინ იცის, ახლა თქვენც გეთაკილებათ აქ ვიღაც მოახლესთან საუბარი?

— განაგრძეთ!

— რა გაეწყობა, ყველაფერს გეტყვით. ტიმეამ წერილი მისწერა ჩვეულებრივ, უბრალო ქაღალდზე აქ, თქვენს საწერ მაგიდაზე და თქვენივე ბეჭდით დაბეჭდა. ერთი შეხედვით, შეიძლება გეფიქრათ, რომ მან სამუდამოდ აუკრძალა მაიორს ასეთი თავხედობა, მაგრამ — პირიქით.

— ვინ იცის, რომ ასეც არ მოიქცა?

— მე და ქალბატონმა ზოფიამ, თქვენ იქნებით მესამე. დღეს ისე მოულოდნელად ჩამოხვედით... ბაინც რამ გაფიქრებინათ ახლა დუნაიზე გადმოსვლა! ყინულთსვლის დროს ჩვენი ქალაქი თითქმის მიუვალია, ყველაზე ეჭვიანი ქმარიც კი ვერ გაბედავდა ახლა დუნაისთან შებმას, საოცარია, ან კი როგორ შესძელით ასეთ ამინდში მდინარის გადმოლახვა?

— ნუ მაწვალებთ, ატალია!

— ნუთუ ვერ შენიშნეთ, როგორ დაიბნა ტიმეა თქვენს დანახვაზე? როგორ აუკანკალდა ხელი მისალმებისას? ნამდვილად ეძროო დროს ინებეთ ჩამობრძანება, ბატონო ლევეტინცი! თქვენს გამო ქალბატონ ზოფიას ხელმეორედ მოუხდა შემდეგი შინაარსის ბარათის წაღება მაიორთან: „დღეს შეუძლებელია შეხვედრა!“

ამ სიტყვებზე ტიმარი მთლად გაფითრდა და შეძრწუნებული საკარძელში ჩაეშვა. სახეზე უდიდესი სულიერი ტანჯვა გამოეხატა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და გონება მოიკრიბა.

— არა მჯერა თქვენი.

— ვიცი და არცა ვცდილობ თქვენი ნდობის დამსახურებას, — დაცინვით მიმართა ატალიამ, — ერთ რჩევას მოგცემთ მხოლოდ. მართალია ეს მეტისმეტად დამამცირებელია, მაგრამ ერთადერთი საშუალებაა ჩემი სიტყვების სიმართლეში დასარწმუნებლად. დღეს თქვენი მოულოდნელი ჩამოსვლის წყალობით ეს აღარ მოხერხდება, მაგრამ ადვილი შესაძლებელია ხვალ, თუ რა თქმა უნდა, სხვების დასანახავად ისევ გაემგზავრებით სადმე. ეჭვიც არავის შეეპარება, ახლა ხომ ბალატონზე ყინულქვეშ თევზაობის საუკეთესო დროა! ხვალ დილთ გამოაცხადეთ, რომ ტბაზე მიდიხართ, აიღეთ თქვენი ჩანთა, წადით კანტორაში რაცის ქუჩაზე და ჩემს ნიშანს დაელოდეთ.

— ნუთუ ეს უნდა გავაკეთო?

— მე თქვენ ნამდვილი ვაჟკაცი მეგონეთ! დარწმუნებული ვიყავი, რომ როგორც კი გაიგებდით თქვენი მეტოქის თავხედობის ამ-

ბავს, რომ ის თქვენსავე ოჯახში აპირებს თქვენს ცოლს შეხვდეს, წამოიავლებდით ხელს დანას და გულს გაუპობდით, ვინც უნდა ყოფილიყო იგი, მაგრამ შევცდი! ბოდიშს ვიხდი, ტყუილუბრალოდ რომ შეგაწუხეთ! ერთს გთხოვთ მხოლოდ, ჩემს ქალბატონთან არ გამცეთ, ამიერიდან მისი ქება-დიდების მეტს ვეღარაფერს გაიგონებთ ჩემგან, ნუ დაუჯერებთ ჩემს სიტყვებს, ეს ყველაფერი ჩემი მოგონილია, მას გულშიც არ გაუვლია თქვენი ღალატი!

ისეთი დამაჯერებლობით ამბობდა ამას ატალია, რომ მიხაის უკვე ეშვი შეეპარა, მართლა ხომ არ მომატყუაო, მაგრამ, როგორც კი თვალებში შეხედა, ისევ მის დამცინავ, გამანადგურებელ მზერას წააწყდა.

— მხდალი ყოფილხართ! — ჩაისისინა გესლიანად და კარებისკენ გაემართა.

— ღვთის გულისათვის, დარჩით! ვიღებ თქვენს რჩევას და ისე მოვიქცევი, როგორც დამარიგებთ.

— მაშ ყური მიგდეთ, — დაიწყო ატალიამ და ისე მიუახლოვდა, რომ მიხაი მის სუნთქვასაც კი გრძნობდა.

ახლა მათთვის რომ ვინმეს შეეხედა, შეყვარებული წყვილი ეგონებოდა.

— როცა განსვენებულმა მამაჩემმა ეს სახლი ააშენა, — დაიწყო ატალიამ, — ის ოთახი, რომელშიც ახლა ტიმეას სძინავს, მისაღები იყო. იქ ხვდებოდა ბატონი ბრაზოვიჩი თავის თანამოსაქმეებს, ვაჭრებს, მეწარმეებს და ათასგვარ საქმეებზე ეთათბირებოდა. ერთ-ერთ კედელზე დატანებულია ნიში საიდუმლო სამალავით, ამ ადგილას კედლის მეორე მხარეს მოდიდან გამოსული ჭურჭლით სავსე ძველი კარადა დგას, რომელსაც იშვიათად თუ გააღებს ვინმე და თუნდაც გააღოს, აზრად მაინც არ მოუვა მის თაროებს ქვეშ ჭანჭიკები მოატრიალოს. შუათანა ჭანჭიკი მესამე თაროს ქვეშ ოდნავ გამოშვერილია და სულ ადვილად შეიძლება მისი გამოძრობა, მის ადგილას თუ სპეციალურ გასაღებს მოვარგებთ და ოდნავ დავაწვებით, ბოლოში გამოიწევა ღნა, რომლის გადატრიალებითაც კარადის უკანა კედელი უხმაუროდ გაიწევა განზე და საიდუმლო სამალავში აღმოვჩნდებით, ჰაერი და სინათლე აქ სახურავიდან ჩამოდის. ოთახის მხრიდან კედელი უზარმაზარი სურათით არის დაფარული, რომელზედაც გველეშაპთან შებრძოლებული წმინდა გიორგია გამოსახული.

ეს სურათი შეკვეთით არის დამზადებული და მჭიდროდაა ჩადგმული კედელში. ბევრჯერ მოისურვეს მისი ამოღება, მაგრამ ტიმეამ არ დართო ნება და ისევ დატოვეს. მოზაიკით შესრულებული სურათის ერთი პატარა ნაწილის გაწევით ყველაფერი შესანიშნავად ჩანს და ისმის, რაც კი ოთახში ხდება.

— რისთვის სჭირდებოდა ეს სამალავი მამათქვენს?

— ამ სამალავით თავის კლიენტებთან და კონკურენტებთან მოლაპარაკების დროს სარგებლობდა მხოლოდ. მამაჩემი მეტად პურმარილიანი კაცი იყო, ჩვენი სახლის საუკეთესო მასპინძლობასა და სანაქებო ღვინოებზე მთელი ქალაქი ლაპარაკობდა. სტუმრები კარგად რომ შექეიფიანდებოდნენ ხოლმე, მამაჩემი ერთხანს მარტო სტოვებდა და ამ სამალავიდან უგდებდა ყურს მათ საიდუმლო საუბარს. ასე იგებდა ფარულად, რამდენი ფასდაკლებით გაჰყიდდნენ საქონელს მეპატრონეები და რას შეაძლევდნენ საბოლოო ფასად მისი კონკურენტები. ამ სამალავის წყალობით მამაჩემი ყოველთვის დროულად იღებდა საჭირო ცნობებს და ამით დიდ მოგებასაც ივდებდა ხოლმე ხელთ. პირში ჩალაგამოვლებულ კონკურენტებს კი აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ერთმანეთში გულახდილი საქმიანი საუბრისას დაინტერესებული პირი ყურს უგდებდა მათ. მახსოვს, ერთხელ მამაჩემმა ცოტა ზედმეტი დალია და თვითონ რომ აღარ შეეძლო, მე გამგზავნა სამალავში. ამის შემდეგ ვიცი სწორედ მისი არსებობის შესახებ, გასაღებიც დღემდე ჩემს ხელშია. როცა ჩვენი სახლი დალუქეს, იქიდან თავისუფლად შემეძლო ბევრი ძვირფასი ნივთი გამეტანა, მაგრამ იქამდე არასოდეს დავეცემი, რომ ვიქურდო!

— ესე იგი, სამალავიდან ტიმეას საწოლ ოთახში შესვლაც შეიძლება?

— დიახ. სურათი შეიძლება შემოატრიალოთ და თავისუფლად შეხვალთ ოთახში.

— თქვენ შეგიძლიათ, როცა კი მოისურვებთ ჩემი ცოლის ოთახში აღმოჩნდეთ?

ატალიამ ამაყად გაიღიმა.

— აქამდე არ დამჭირვებია საიდუმლო კარით შესვლა, მას ხომ ღია კარებში სძინავს? თანაც, როგორც თქვენთვის ცნობილია, მე მისი ოთახის გავლით შევდივარ ჩემს საწოლში.

— მომეცით ეს გასაღები.

ატალიამ ჯიბიდან გასაღები ამოიღო და კიდევ ერთხელ აუხსნა, როგორ უნდა მოეხმარა.

შინაგანმა ხმამ, თუ იდუმალმა მფარველმა ანგელოზმა ჩასჩურჩულა ტიმარს, ეს გასაღები დაუყოვნებლივ ჭაში ჩაეგდო, მაგრამ მან ამ ხმას ყური არ ათხოვა და უპირატესობა ატალიას ნათქვამს მისცა.

— თუ ისე მოიქცევით, როგორც დაგარიგეთ, საკუთარი თვალით დარწმუნდებით ჩემი სიტყვების სიმართლეში!

— თქვენს ნიშანს დაველოდები რაცის ქუჩაზე.

— ნარაღი თუ გაქვთ თან? ყველაფერია მოსალოდნელი! სურათი, წმინდა გიორგის გამოსახულებით მარჯვენა მხრიდან იღება, ღილაკს თითი უნდა დააჭიროთ მხოლოდ, გახსოვდეთ, სურათი გაღებისას ტიმეას საწოლს ფარავს. გამიგეთ?

ატალია ისეთი სიბოროტით ანთებული თვალებით მიაშტერდა ტიმარს, თითქოს მისი მოჯადოება უნდაო, და მაგრად ჩამოართვა ხელი. სიბნელეში უცებ გაიელვა მისმა კბილებმა და კრაჭუნის ხმაც გაისმა.

ტიმარი ერთხანს მთვარეულივით გაოგნებული იდგა და უაზროდ მისჩერებოდა ერთ წერტილს, ბოლოს თავი ასწია, უნდოდა კიდევ რაღაც ეკითხა ატალიასთვის, მაგრამ ის უკვე წასულიყო. თავი ჯერ სიზმარში ეგონა, მაგრამ ხელში მაგრად ჩამუჭულმა საიდუმლო გასაღებმა დაარწმუნა მკაცრ სინამდვილეში — სამწუხაროდ ყოველივე ცხადში ხდებოდა.

საშინელი განცდებით შეპყრობილს თვალი აღარ მოუხუჭავს, უსასრულოდ გრძელი ეჩვენა ღამეც, თითქოს მის კიდევ უფრო გასაღიზიანებლად აღარ და აღარ თენდებოდა.

მეორე დღეს სწორედ ისე მოიქცა, როგორც ატალიამ დაარიგა, შუადღემდე შინ იყო, ნასადილევს მოულოდნელად გამოაცხადა, ბალატონზე მივდივარ სათევზაოდო, დაემშვიდობა ყველას და ისე წავიდა, საქმეებისთვის არც კი მიუხედავს. კიბეზე ფოსტალიონი შემოხვდა და წერილი მიაწოდა, უკან რომ აღარ დაბრუნებულიყო, იქვე მოუწერა ხელი მიღებაზე და კონვერტი ჯიბეში ჩაიდო. წერილი რიო დე-ჟანეიროდან იყო, მაგრამ მას ახლა ფქვილით ვაჭრობისთვის არ ეცალა.

რაცის ქუჩაზე მიხაის დიდი სახლი ჰქონდა, ყინვების დაწყების-

თანავე მთელ შენობას ათბობდნენ. მის ოთახს ცალკე შესასვლელი ჰქონდა, ფანჯარასთან დაჯდა და ლოდინი დაიწყო.

ქარბუქი მინას თოვლს აყრიდა და ათასგვარი გამოსახულებები გამოჰყავდა.

როგორც იქნა, ტიმეას ღალატის დამამტკიცებელ საბუთს ჩაიგდებდა ხელში, ამდენ ხანს უშედეგოდ რომ ეძებდა. ამით საკუთარი სინდისის წინაშე თავის მართლება უნდოდა მხოლოდ, რომ თავისუფლად ამოესუნთქა, მაშინ ორივე თანაბრად დამნაშავენი იქნებოდნენ, ნატრობდა, რომ ცოლს ნამდვილად მიეცა მისი შეძულების მიზეზი. აქამდე ის წმინდანად მიაჩნდა და სალოცავ ხატად ჰყავდა გადაქცეული, ახლა კი შეეძლო ზურგი შეექცია მისთვის და სამუდამოდ გასცილებოდა, საშუალება მიეცემოდა შეუღლებოდა ნოემის, რომელიც ამას დიდი ხანია იმსახურებდა და ნამდვილად ბედნიერიც იქნებოდა მისი ცოლობით.

მაგრამ მაინც მძიმე იყო ამაზე ფიქრი, იმის წარმოდგენაც კი, რომ მისი ცოლი თავის შეყვარებულს უნდა შეხვედროდა, გონებას ურევდა და სიგიჟემდე მიჰყავდა, ეჭვიანობა, მომავალი შეურაცხყოფა და შურისძიების დაუოკებელი სურვილი მოსვენებას უკარგავდა. ადამიანისთვის მაინც მძიმე ასატანია შეურაცხყოფა მაშინაც კი, როცა დიდი სარგებლობა მოაქვს.

ახლაღა იგრძნო, რა საუნჯეს ფლობდა ტიმეას სახით. თავისი სურვილით, შესაძლოა, კიდევაც დაეთმო იგი, მაგრამ იმის წარმოდგენამ, რომ ტიმეას ხელიდან აცლიდნენ, ისე დააბნია, აღარ იცოდა, რა ექნა.

ატალიას რომ შესძლებოდა მისი სულის სიღრმეში ჩაეწვეთებინა საწამლავი, შურისძიების მეტზე აღარაფერზე იფიქრებდა და მოჰკლავდა კიდევაც ტიმეას შეყვარებულის მკლავებში. ასეთი იყო ატალიას ბოროტი განზრახვა.

მაგრამ შეურაცხყოფილი თავმოყვარეობის დასაცავად ასეთი გზა არც თუ ისე ღირსეულად მიაჩნდა. მას მაინც არ შეეძლო ვერაგულად მოეკლა მეტოქე, მისი სისხლი პირისპირ შეტაკებისას უნდა დაეღვარა დუელში. მხოლოდ ასე შეეძლო ვაჟკაცურად დაეცვა თავისი ღირსება, ან მოეკლა, ან შეკვდომოდა.

ბოლოს მღელვარებამ გაუარა და თანდათან დაუბრუნდა გონივრული განსჯის უნარი: „რატომ უნდა დაღვარო სისხლი ტყუილუბ-

რალოდ? შენთვის ახლა უმჯობესია საქვეყნოდ თავი მოსჭრა მოლალატეს იმ მაცდურთან ერთად! ყველა ჭკვიანი კაცი ასე მოიქცეოდა, ჯარისკაცი ხომ არა ხარ, რომ სულ ხმალზე გეჭიროს ხელი! ამისათვის არსებობს მოსამართლე, კანონები!"

მაგრამ ცთუნება იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი მთლიანად დაძლევა მაინც ვერ შესძლო. ყოველ შემთხვევისათვის საწერი მაგიდის უჯრიდან ამოიღო რევოლვერი და ხანჯალი, როგორც ატალიამ ურჩია. მართლაც და ვინ იცის, რა მოხდებოდა? შურისმაძიებელი მკვლელის როლში მოუწევდა გამოსვლა, თუ დიდსულოვანი მეუღლისა, ან, იქნებ, ანგარიშიანი საქმოსნისა, რომელიც თავისი ოჯახის საიდუმლოს სააშკარაოზე გამოიტანდა და ამით უფრო მოგებული დარჩებოდა?

ამასობაში ჩამობნელდა და ქუჩაში ფანრები აანთეს. იმ ქუჩების განათებაზე, რომლებზეც ბატონი ლევეტინცის სახლები იყო, ფულს თვითონ იხდიდა. დათრთვილულ მინებზე გამვლელთა ლანდები გაიელვებდა ხოლმე.

ბოლოს ერთი მათგანი შეჩერდა და ფანჯარაზე დააკაკუნა.

ტიმარს მოეჩვენა, რომ ამ ხმაზე ჯადოსნური ხის ტოტებივით შეტოკდნენ გამოსახულებები დათრთვილულ მინაზე და ჩასჩურულეს: „ნუ წახვალ!"

ერთხანს გაქვავებულივით იდგა. კაკუნი განმეორდა. „მოვდივარ", ჩაიჩურჩულა ხმადაბლა და ოთახიდან გამოვიდა.

სასახლემდე, რომელშიც ფუფუნებით ცხოვრობდა მზეთუნახავი ტიმეა, ორიოდე ნაბიჯი იყო. დაცარიელებულ ქუჩაში ერთი ლანდი გაიელვებდა მის წინ დროდადრო, მალე ისიც თვალს ძიეფარა.

როგორც კი ტიმარი სახლს მიუახლოვდა, ვიღაცამ უხმოდ გაუღო კარი და კარადაზე ჩამოფარებული ფარდაც კი გადასწია, რომ რაც შეიძლებოდა უხმაუროდ შესულიყო. ატალიას მითითებით სულ იოლად გააღო საიდუმლო სამალავი და ჯაშუშივით შეიპარა საკუთარ სახლში. ყოველ სიკეთესთან ერთად ჯაშუშადაც გადაიქცა! რა სიმდაბლეა, მაგრამ მისთვის ყველაფერი დასაშვები იყო, მდიდარი კაცი ხომ ყოველთვის მარცხალია! დიახ, სწორედ განუსაზღვრელი სიმდიდრე იყო მისი მოჩვენებითი ღირსებების ნამდვილი საფასური! კიდევ კარგი, რომ სამალავში უკუნეთი სიბნელე იყო და არავის შეეძლო დაენახა მისი სახე.

ხელების ფათურით ფრთხილად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი კედლის გასწვრივ და იმ კუთხესთან მივიდა, რომელიც ოდნავ განათებული იყო, ოთახიდან შემოდიოდა მცირეოდენი სინათლე.

მან ადვილად იპოვა ატალიას მიერ მითითებული პატარა ფირფიტა, გადასწია და ოთახში შეიხედა.

მაგიდაზე შუქფარიანი ლამპა ენთო. ტიმეა ბოლთას სცემდა ოთახში. თოვლივით თეთრი, ნაქარგი კაბა ეცვა, რომელიც საოცრად უხდებოდა მის თითქოსდა საგანგებოდ გამოქანდაკებულ მშვენიერ ტანს.

უცებ კარი გაიღო და ქალბატონი ზოფია შემოვიდა, მოწიწებით მიუახლოვდა ტიმეას და რაღაც ჩასჩურჩულა.

ტიმარმა ეს ჩურჩულიც კი გაიგონა, ეტყობოდა, სამალავში ხმის შესანიშნავი გამაძლიერებელი იყო დატანებული.

— შემოვიდეს? — ჰკითხა ქალბატონმა ზოფიამ.

— ველოდები, — უპასუხა ტიმეამ.

როგორც კი ქალბატონი ზოფია გავიდა, ტიმეამ უჯრიდან კოლოფი ამოიღო და მაგიდასთან მივიდა. ლამპის შუქი პირდაპირ სახეში სცემდა და ტიმარს შეეძლო მისი ნაკვთების უმნიშვნელო მოძრაობაც კი შეემჩნია.

ტიმეამ კოლოფი გახსნა, შიგ გადატეხილი ხმალი იდო. მისმა შეხედვამ ქალი პირველად შეაკრთო და შუბლი შეიჭმუხნა, მაგრამ მალე სახე გაუბრწყინდა და შარავანდედით მოსილ წმინდანს დაემსგავსა. შემდეგ კოლოფი ხელში აიღო და ისე ახლოს მიიტანა ტუჩებთან, რომ ტიმარს შეეშინდა, არ აკოცოსო, უკვე ხმალზეც კი ეჭვიანობდა.

რაც უფრო დიდხანს დასცქეროდა ტიმეა კოლოფს, მით უფრო ემატებოდა ელვარება მის თვალებს. ბოლოს ხმალი ამოიღო და კარგ მოფარიკავესავით დაიწყო ჰაერში ქნევა. ოჰ, რომ სცოდნოდა, რა ჯოჯოხეთურ ტკივილს აყენებდა მისი ყოველი შემოქნევა იქვე, სულ ახლოს დამალულ ადამიანს!..

უცებ კარზე დააკაკუნეს. ტიმეამ საჩქაროდ ჩადო ხმალი კოლოფში, კაბის აწეული სახელოები გაისწორა და გაუბედავად წარმოთქვა: „მობრძანდით!“

ოთახში მაიორი შემოვიდა. ტიმეა არ განძრეულა. ტიმარი გაფარ-

თოებული თვალებით მისჩერებოდა და ცდილობდა მისი უმნიშვნელო მოძრაობაც კი არ გამოჰპარვოდა.

მაიორის დანახვაზე ტიმეას ლოყები შეუფაკლდა, ღვთაებრივი სახე თითქოს გამოუცოცხლდა და თოვლივით თეთრ, მარმარილოსგან გამოთლილ ნაკვთებს ვარდისფერმა გადაჰკრა. ძუდამ ფერმკრთალ ზღაპრულ ფერიას სიხარულის ყოვლისშემძლე ძალამ თითქოს ფრთები შეასხა და აღფრთოვანებას ვეღარ მალავდა.

ტიმარი ძლივსღა იკავებდა თავს, რომ სამალავიდან არ გამოვარდნილიყო. რაღა საჭირო იყო სიტყვის თქმა, ტიმეას სახე უთქმელადაც ყველაფერს გამოხატავდა, არასოდეს ენახა ცოლის სახე ასეთი ბედნიერების ღიმილით გაცისკროვნებული, რაღა საჭირო იყო მისი ღალატის დამამტკიცებელი სხვა საბუთი?..

მაგრამ თავი შეიკავა, ეს ყველაფერი, იქნებ, სიზმარიაო და ერთხელ კიდევ შეავლო ქალს თვალი. მართლაც, ეს წამიერი მოჩვენება გაჰქრა, და მის წინ ისევ ჩვეულებრივი ფერმკრთალი მზეთუნახავი იდგა. მან ღირსეული თავაზიანობით შესთავაზა სკამი მაიორს და თვითონ დივანზე ჩამოჯდა მოშორებით. მის გამოხედვაში იმდენი სიცივე და სიმკაცრე იყო, რომ სტუმარი სიტყვის თქმას ვერა ბედავდა. ერთ ხელში ოქროს ბუზმენტებით მოსირმული ქუდი ეჭირა, მეორე ხმლის მოოქროვილ ვადაზე დაედო და ისე დაძაბული იჯდა, თითქოს გენერალთან ყოფილიყოს.

ისინი ერთხანს უხმოდ შეჰყურებდნენ ერთმანეთს, ეტყობოდა, შინაგანი მღელვარების დაფარვას ცდილობდნენ. ბოლოს, ისევ ტიმეამ დაარღვია სიჩუმე.

— ბატონო ჩემო, თქვენ საკმაოდ გაუგებარი წერილი და მეტად უცნაური საჩუქარი გამომიგზავნეთ, გადატეხილი ხძალი, — ამ სიტყვებით მან კოლოფი გახსნა და წერილი ამოიღო.

— თქვენ მწერთ: „ქალბატონო! დღეს მე დუელი მქონდა ერთ უცნობ კაცთან, რომელიც მხოლოდ იმის წყალობით გადარჩა ცოცხალი; რომ ხმალი გადამიტყდა. დუელი ჩვენს შორის მეტად მნიშვნელოვანმა მიზეზებმა გამოიწვია, რომლებიც უშუალოდ გეხებათ თქვენ და უფრო მეტად კი თქვენს მეუღლეს. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გაცნობოთ ეს ამბავი, რისთვისაც, უმორჩილესად გთხოვთ, რამდენიმე წუთით ნება დამრთოთ თქვენთან საუბრისა“. თქვენ ხაზგასმით აღნიშნავთ, რომ ეს ამბავი დაკავშირებულია ჩემს მეუღ-

ლესთან, სწორედ ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე მომესმინა თქვენთან. გთხოვთ ამიხსნათ, რა კავშირია იმ უცნობსა და ჩემს მეუღლეს შორის, ოღონდ იცოდეთ, იმ საკითხის გარდა, რომელიც ბატონ ლევეტინცის ეხება, არაფერზე არ დაიწყოთ საუბარი ჩემთან.

მაიორმა მდაბლად დაუკრა თავი.

— ყველაფერს დაწვრილებით მოგახსენებთ, ქალბატონო; დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს ქალაქში ერთი ყველასთვის უცნობი საზღვაო ოფიცრის მუნდირიანი ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა და სულ სამხედროებში ტრიალებს. გარეგნულად სასიამოვნო მოსაუბრეა, მაგრამ, ეტყობა, ერთობ ქარაფშუტულ ცხოვრებას უნდა ეწეოდეს. შეიძლება თქვენც შენიშნეთ სადმე ეს საოცარი უცნობი, თუნდაც თეატრში, მას მუდამ ოქროს სირმებით დამშვენებული ნაწვანე მუნდირი აცვია.

— დიახ, მეც ვნახე.

— ადრე თუ შეხვედრიხართ სადმე?

— სახეზე არ შემიხედავს მისთვის.

— მართალია, უცხო მამაკაცებს თქვენ ხომ არასოდეს ყურადღებას არ აქცევთ.

— განაგრძეთ. ბატონო, ჩემზე ნუ ვილაპარაკებთ.

— დიახ, ეს უცნობი სულ ღრეობასა და ქეიფში ატარებს დროს და მუდამ სამხედროების წრეში ტრიალებს. ეტყობა, ფულიც საკმაოდ უნდა ჰქონდეს, ისე აბნევს აქეთ-იქით. ერთხელაც განაცხადა, ბატონ ლევეტინცის ველოდები, მასთან ვიღაცის დავალებით დიდი საქმე მაქვს მოსაგვარებელიო. მე ეს რაღაც არ მომეწონა. თანაც ამის შემდეგ თითქმის ყოველდღე აგროვებდა ცნობებს ბატონი ლევეტინცის შესახებ და ისე საიდუმლოდ, რომ ყველას ეშვი შიგვეპარა და ავანტიურისტადაც კი ჩავთვალეთ. ერთ საღამოს გადავწყვიტეთ, დაგვეზუსტებინა მისი ვინაობა და გაგვეგო, რა უნდოდა ჩვენს ქალაქში. დიდხანს ცდილობდა თავის დაღწევას გამოუვალი მდგომარეობიდან და ორაზროვანი ბუნდოვანი ფრაზებით გვარწმუნებდა, რომ თქვენს მეუღლესთან ფრიად სერიოზული საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი. ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ არ მიმართა ბატონი ლევეტინცის რწმუნებულს, მიპასუხა, ამ საქმეზე გარეშე პირებთან საუბარი მეტად საჩოთიროდ მიმაჩნია და პირადად უნდა შევხვდეო. ამან უკვე მოთმინება დამაკარგვინა და მივმართე: „თქვენი ლაყბო-

ბისა მე არა მჯერა, ვერცერთ ჩვენთაგანს ვერ დაარწმუნებთ, რომ ბატონ ლევეტინცის ნამდვილად რაიმე კავშირი ჰქონდეს თქვენთან. ჩვენ არ ვიცით, ვინა ხართ თქვენ, მაგრამ სამაგიეროდ ძალიან კარგად ვიცნობთ ბატონ ლევეტინცის, ის მეტად ღირსეული და პატიოსანი კაცია, საქვეყნოდ ცნობილია მისი სიკეთე, ჭკუა-გონება, კეთილშობილება და საკმაოდ მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა. როგორც დარბაისელი, ოჯახის მოყვარული კაცი და თავისი ქვეყნის უდიდესი პატრიოტი, უმწიკვლო რეპუტაციით სარგებლობს, რაში დასჭირდებოდა მას, საქმე დაეჭირა თქვენისთანა საეჭვო პირთან?"

— მადლობას მოგახსენებთ! — თავაზიანდ მიმართა ტიმეამ, წამოდგა სავარძლიდან, მიუახლოვდა მაიორს და ხელი გაუწოდა.

ტიმარმა შენიშნა, როგორ აუვარდისფრდა ისევ ფერმკრთალი ლოყები. ეტყობოდა, მასზე ძლიერ იმოქმედა იმ ამბავმა, რომ მისი ქმრის ღირსებას იცავდა კაცი, რომელსაც ის აღმერთებდა, მიუხედავად იმისა, რომ ის მათ გულებს შორის იდგა და სამუდამოდ უსპობდა ბედნიერებაზე ოცნების უფლებასაც კი.

მაიორმა ამბის მოყოლა განაგრძო და თან ოთახში მიმოიხედა, რომ ტიმეა თავისი მზერით არ შეეწუხებინა. ანაზდად თვალი მოჰკრა სურათზე გამოსახული გველეშაპის თავს, რომლის თვალიდანაც ტიმარი იყურებოდა.

— ჩემს სიტყვებზე იმ არამზადას სახე მოეღრიცა და გამწარებულმა ყველას გასაგონად იყვირა: „ესე იგი, ლევეტინცი თქვენ დიდად საპატიო ადამიანად მიგაჩნიათ, სიმდიდრითა და სიბრძნით სახელგანთქმულ ბედნიერ მეოჯახედ და მისი უდიდებულესობის ღირსეულ ქვეშევრდომად არა? მე თქვენ დაგიმტკიცებთ, რა შვილიც ბრძანდება იგი! საკმარისია მასთან ერთი ჩემი შეხვედრა, რომ მეორე დღესვე ცხრა მთას იქით გადაიკარგოს აქედან! ისეთ დღეში ჩავაგდებ, რომ თავისი სასახლეებისა და მზეთუნახავი ცოლისკენ მოხედვისაც კი ეშინოდეს!"

ტიმეამ უნებურად ხელი წაავლო გადატეხილ ხმალს და მაგრად მოუჭირა.

— პასუხად მე სილა გავაწანი იმ არამზადას.

ტიმარმა უკან დაიწია, ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ის სილა მისთვის გაეწნათ.

— მაშინვე დავრწმუნდი, რომ დიდი მშიშარა და ლაჩარი ვინმე იყო, ეტყობოდა, ნანობდა თავის სიტყვებს და სიამოვნებით გაიპა-

რებოდა კიდევაც იქიდან, მაგრამ მე გზა გადავუღობე და ამოსუნთქვის საშუალება არ მივეცი: „თქვენ სამხედრო ხართ და მოგეხსენებათ, რაც მოჰყვება ხოლმე ასეთ შეჯახებას. ზემოთ დიდი საცეკვაო დარბაზია, სანთლებს ავანთებინებ, ამოვირჩევთ ორ-ორ სეკუნდანტს და ხმლებით განვაგრძობთ ჩვენს კამათს“. დუელში ნამდვილ მეკობრესავით იბრძოდა, თან ცდილობდა მარცხენა ხელი ჩემი ხმლისთვის ეტაცნა. მე გული მომივიდა და ისეთი ძალით შემოვკარი, რომ მკვდარივით დაეცა, მაგრამ მის ბედზე ხმლის პირი სიბრტყით მოხვდა და გადამიტყდა. როგორც მეორე დღეს სამხედრო ექიმისგან შევიტყვე, ჭრილობა საშიში არ ყოფილა და მაშინვე დაეტოვებინა ქალაქი.

ტიმეამ ისევ აიღო გადატეხილი ხმალი, ერთხანს უყურა, შემდეგ მაგიდაზე დადო და უხმოდ გაუწოდა ხელი მაიორს.

მან თავაზიანად ჩამოართვა და მოწიწებით ეამბორა.

ტიმეა არ ჩქარობდა ხელის გამორთმევას.

— მადლობას მოგახსენებთ! — ჩასჩურჩულა ისე, რომ ტიმეას მეტმა ვერავინ გაიგო, თუმცა მისი თვალები უფრო მეტს ამბობდნენ, იმ წამს რომ შეგეხედათ.

ტიმეა ისევ დივანზე ჩამოჯდა და სახეზე ხელები აიფარა.

— ქალბატონო, არ გეგონოთ იმისთვის გთხოვეთ შეხვედრის ნებართვა, რომ ჩემი საგმირო საქმეებით გამეკვირვებინეთ. მე უბრალოდ ჩემი ვალი მოვიხადე მეგობრის წინაშე. ვფიცავ პატიოსნებას, არც იმის იმედი მქონია, რომ ესოდენ მაღალ ჯილდოს დავიმსახურებდი ამისთვის, თქვენი ხელის ჩამორთმევა მეტისმეტად დიდი პატივია ჩემთვის, მე ამის ღირსი არა ვარ. ჩემი მთავარი მიზანი იყო, მხოლოდ ერთი შეკითხვა მომეცა თქვენთვის: ძალიან გთხოვთ, მითხრათ, იმ არამზადის ნათქვამში ხომ არ არის სიმართლის ნატამალი მაინც?

ამ სიტყვებზე ტიმეას გააჟრჟოლა, ასევე შეკრთა ტიმარიც სამალავში.

— რას გულისხმობთ?

— მე ყოველივე გულახდილად მოგახსენეთ, ქალბატონო და გთხოვთ თქვენც ნურაფერს დამიმალავთ, — უპასუხა მაიორმა და წამოდგა. — თუ იმ კაცის ნათქვამში ერთი სიტყვა მაინც უმართებულოდ მიგაჩნიათ, ესე იგი ეს ცილისწამებაა, ხოლო, თუ სიმართლის ნატამალს მაინც ხედავთ, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნაწი-

ლობრივ მაინც მართალს ამბობს. სწორედ ამან მომიყვანა თქვენთან. ნუთუ ამ საზიზღარ ცილისწამებაში თუნდაც მცირეოდენი სიმართლეა? მე ვერ გავბედავ თქვენთან ყველა იმ შეურაცხმყოფელი სიტყვების გამეორებას, რომლებითაც ის იხსენიებდა ბატონ ლევეტინცის. იქნებ, საუბედუროდ, ამ ბედუკულმართი სახლის პატრონის სიკვდილის შემდეგ დაადგა ტიმარი ცუდ გზას? თუ ეს ასეა, ქალბატონო, გევედრებით, დაუყოვნებლივ დასტოვოთ ეს დაწყევლილი სახლი! მე არ შემიძლია გულგრილად ვუყურო შორიდან თქვენს საფრთხეში ყოფნას!

მაიორის გულწრფელმა სიტყვებმა გული აუჩუყა ტიმეას.

ტიმარი აკვირდებოდა, როგორ ებრძოდა ტიმეა საკუთარ მღელვარებას და სულიერ განცდებს. ბოლოს, როგორც იქნა, ძალა მოიკრიბა და ჩვეული სიმშვიდით უპასუხა:

— შეგიძლიათ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ბატონო, მე არ ვიცი, ვინ არის ის კაცი, მაგრამ ვინც უნდა იყოს, გარწმუნებთ, რომ უსვინდისოდ იცრუა. მისი საზიზღარი ცილსწამება ჩემი მეუღლის მიმართ, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ბატონი ლევეტინცის აქ არყოფნის დროს მე პირადად ვაწარმოებდი მის საქმეებს და შესანიშნავად ვიცი, რომ მისი ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ მყარია, საქმეები სრულ წესრიგშია. მაგრამ თუნდაც უბედურმა შემთხვევამ ხელიდან გამოაცალოს მთელს წარმოებაში დაბანდებული კაპიტალი. ესეც კი ვერ შეარყევდა მის მდგომარეობას. ჩემი მეუღლე ზღაპრული სიმდიდრის პატრონია, მაგრამ მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ თითოეული ფილერი პატიოსანი შრომით აქვს შეძენილი. მას სხვისი არასოდეს არაფერი მიუთვისებია, უაღრესად კეთილშობილი კაცია და არც არავითარი სამარცხვინო საიდუმლო გააჩნია. კიდევ ერთხელ გიმეორებთ, ბატონ ლევეტინცის ისე არა აქვს საქმე, რომ თავისი სიმდიდრის გამო ვინმესთან გაწითლება მოუწიოს...

ოჰ, რომ დაენახა მას ახლა, როგორ ეწვოდა ტიმარს ლოყები სირცხვილისაგან!

— ჩემი გულიც ამასვე მკარნახობდა, მაგრამ თქვენ საბოლოოდ დამარწმუნეთ, რომ იმ არამზადას ამით ტიმარის უმწიკვლო რეპუტაციის გაფუჭება უნდოდა მხოლოდ და მეტი არაფერი. თუმცა, მან ისეთი რამ ახსენა კიდევ, რაც ჩრდილს აყენებს თქვენს მეუღლეს,

როგორც ოჯახის უფროსს. ნება მომეცით, ერთი შეკითხვაც მოგცეთ: „ბედნიერი ხართ?“

პასუხად ტიმეამ თვალებში შეხედა მხოლოდ მოსაუბრეს, სახეზე უდიდესი სულიერი ტკივილი აღბეჭდოდა, თვალები კი, ამბობდა: „განა თვითონ ვერ ხედავ, რატომ მეკითხები?“

— თქვენ ფუფუნებაში ხართ ჩაფლული, — განაგრძო მაიორმა, — მე ვერც გავბედავდი მეკითხა ოდესმე ამის შესახებ, მაგრამ, იქნებ, მართალი თქვა იმ არამზადამ, იქნებ, მართლა უბედური ხართ? მარტო სიმდიდრეში ხომ არ არის ბედნიერება? მე ვერასოდეს ვაპატიებ ჩემს თავს, რომ არ გითხრათ: „იცოდეთ, რომ არის კიდევ ერთი უბედური ადამიანი. უარჰყავით ეს ზღაპრული სიმდიდრე, ბოლო მოუღეთ ორი უბედური არსების ტანჯვას, მიატოვეთ ის მესამე, ვინც ყოველივე ამის მიზეზია და ვისაც ამისთვის მოუხდება პასუხი აგოს იმ ქვეყნად თვით ღმერთის წინაშე!“

ტიმეამ მაღლა აღაპყრო ნაღვლიანი თვალები, ხელახლა გაეხსნა გულში იარები და თვალწინ დაუდგა ტანჯვაში გატარებული დღეები.

ტიმარმა ვეღარ გაუძლო მისი სახის ყურებას, ხელი შემოიკრა შუბლზე და გაოგნებულმა უკან დაიხია. რამდენიმე წუთს აღარც არაფერი ესმოდა, ვერც ვეღარაფერს ხედავდა. შემდეგ კი ისევ სძლია ცნობისმოყვარეობამ და ოთახში შეიხედა. ტიმეა უკვე დამშვიდებულიყო და განაგრძობდა:

— მე ბოლომდე მოგისმინეთ და ამით დაგიმტკიცეთ, რომ უაღრესად პატივს გცემთ. გთხოვთ, საშუალება მომცეთ, ბოლომდე შევინარჩუნო ეს გრძნობა თქვენდამი. ნუღარასოდეს მომმართავთ ასეთი თხოვნით. ღმერთია მოწამე, ბედს არ ვემდური. არავის გაუგონია ჩემი ჩივილი და ერთი ცრემლიც კი არ შეუმჩნევია თვალზე. ან რა მაქვს სადარდებელი? ჩემი ქმარი უკეთილშობილესი ადამიანია ამქვეყნად, სიკეთის მეტი არაფერი გამახსენდება მისგან. ჯერ ისევ ბავშვი ვიყავი, ჩაძირული გემის კაიუტიდან რომ გამომიყვანა და უცილობელ სიკვდილს გადამარჩინა. შემდგომშიც ის იყო ჩემი ერთადერთი მფარველი, მიცავდა ყოველგვარი დამცირებისა და დაცინვისაგან. მხოლოდ და მხოლოდ ჩემი გულისთვის მოდიოდა თავისი მოსისხლე მტრის სახლში, მუდამ ჩემზე ზრუნავდა და თვალის ჩინივით მიფრთხილდებოდა. ბოლოს კი, როცა უსახლკაროდ ქუჩაში

დავრჩი, მთელი თავისი სიმდიდრე მომიძღვნა და ამ დიდებული სასასახლის სრულუფლებიან დიასახლისად მაქცია.

ტიმეა კარადას მიუახლოვდა და კარი გამოაღო.

— შეხედეთ, ბატონო, ამ საქორწინო კაბას! მე მგონი, გახსოვთ რამდენი ვიწვალე მის ამოქარგვაზე, მის თითოეულ ყვავილსა. თუ ფოთოლში ჩემი აუხდენელი ოცნებაა ჩამარხული. ყოველი მისი დანახვა მძიმე სულიერ ტკივილს მაყენებს დღესაც. მწარედ მომატყუეს, მარწმუნებდნენ, რომ ეს ჩემი საქორწინო კაბა იყო, მაგრამ როგორც კი ქარგვას მოვრჩი, დაცინვით გამომიცხადეს, სხვა უნდა წავიდესო ამით ჯვარის დასაწერად! აბუჩად აიგდეს და ფეხქვეშ გათელეს ჩემი გრძნობები! იმ დღეს თითქოს უხილავი ხანჯლით გამიპეს გული და იარები ჯერაც არ მომშუშებია. დღემდე ვერავითარმა ძალამ ვერ განკურნა იგი! და ახლა თქვენ მეუბნებით, მივატოვო ადამიანი, რომელიც მუდამ მფარველობას მიწევდა და ნუგეშის ცემას არ მაკლებდა, თავს არასოდეს მაბეზრებდა ზედმეტი ყურადღებით, თავბრუს არ მახვევდა ქათინაურებით, მოწიწებით შემომცქეროდა შორიდან და, როცა მიწასთან გასწორებულს უკიდურეს სიღატაკეში ჩავარდნა მომელოდა, გულში ჩამიკრა და დიდებითა და პატივით შემმოსა. მას შემდეგ მხოლოდ ჩემს ტკივილებს იზიარებდა და გასაოცარი მოთმინებით ცდილობდა მათ შემსუბუქებას. როგორ შემიძლია ახლა მე ის მივატოვო? მას ხომ ჩემს მეტი არავინა ჰყავს ამქვეყნად? ის მხოლოდ ჩემით ცოცხლობს! რამდენჯერ შემინიშნავს, როგორ გაბრწყინებია სახე ჩემს ნანახვაზე. მე რომ შემომხედავს, დარდიც კი ავიწყდება. განა შემიძლია, ხელი ვკრა ადამიანს, რომელმაც ამდენი სიკეთე გამიწია ასე უანგაროდ და ჩემგან არაფერი მიუღია სამაგიეროდ დაჭრილი გულის მეტი, რომელსაც მისი სიყვარული აღარ შეუძლია!

მაიორმა სახეზე ხელები აიფარა და ისე უსმენდა ტიმეას კეთილშობილურ აღსარებას. იმის გადმოსაცემად კი, რასაც წმინდა გიორგის სურათის უკან დამალული განიცდიდა, ყოველი სიტყვა უძლურია.

— მაშ იცოდეთ, ბატონო ჩემო, — განაგრძო ტიმეამ, — ჩემს მეუღლეს ბედის ჩარხი უკუღმა რომ დაუტრიალდეს და ერთ მშვენიერ დღეს გაკოტრდეს, მაინც არ მივატოვებ. თავისი ბრწყინვალე სახელი რომ შეარცხვინოს და უპატიოსნო გზას დაადგეს, მაშინაც კი მის

გვერდით ვიქნები და მინ ჭირ-ვარამს გავიზიარებ, როგორც ის თავის სიმდიდრესა და დიდებას მიყოფდა. მთელმა ქვეყანამ რომ შეიძულოს, მაინც მისი პატივისმცემელი ვიქნები. მოხეტიალე მაწანწალად რომ გადაიქცეს, გვერდიდან არ მოვცილდები და ქვეყნის დასალიერამდე გავყვები. ყაჩაღად რომ გავარდეს, უდაბურ ტყეში ვიცხოვრებ განდეგილივით მასთან ერთად და თავის მოკვლაც რომ გადა წყვიტოს, უყოყმანოდ მოვიკლავ თავს მის გვერდით!..

(მაგრამ რა არის ეს? ნუთუ სურათზე გამოსახულ გველეშაპს ტირილი შეუძლია?!)

— და ბოლოს, მიუტევებელი დანაშაულიც რომ ჩაიდინოს და სხვაში გამცვალოს, ვაპატიებდი და ამას ვეტყოდი მხოლოდ: „ღმერთმა აბედნიეროს ის, ვინც შენ ბედნიერება მოგანიჭა, რომელიც ჩემთან არასოდეს განგიცდია!“ დიახ, ამასაც ვაპატიებდი და მაინც არ მივატოვებდი, თვითონაც რომ მოეთხოვა ეს ჩემგან. მე ერთგულების აღთქმა მიმიცია მისთვის და არასოდეს დავარღვევ!

ტიმეას სიტყვებმა მაიორსაც გული აუჩუყა.

ქალი ერთი წუთით შეჩერდა, რომ ძალა მოეკრიბა და განაგრძო:

— ახლა კი დამტოვეთ სამუდამოდ. ის ტკივილი, რამდენიმე წლის წინათ რომ მომაყენეთ, ამ ხმლის ერთმა შემოქნევამ შემიმსუბუქა. მას თქვენს სახსოვრად დავიტოვებ. მისი შეხედვა თქვენს კეთილშობილურ საქციელს გამახსენებს და ტანჯვას გაძიქარვებს. მთელი ამ ხნის განმავლობაში თქვენ ჩემთან დაახლოება არ გიცდიათ, არც კი დამლაპარაკებიხართ და ამითაც ბევრი რამ გამოისყიდეთ.

(ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგის გამოსახულების უკან ნაბიჯების ყრუ ხმა მოისმა.)

ტიმარმა დასტოვა საიდუმლო სამალავი და სწრაფად გამოვიდა გარეთ.

უცებ ვიღაცამ გზა გადაუღობა. სიბნელეში კარგად ვერ გაარჩია რა იყო ეს, მოჩვენება თუ ავი სული?

— აბა, რას იტყვით, ხომ დარწმუნდით საკუთარი თვალით?

მის წინ ატალია იდგა.

ტიმარმა ხელი ჰკრა მას, კედელთან მიიმწყვდია, „ეშმაკსაც წაუღიხართ! წყეულიმც იყოს ეს სახლი და მისი ამშენებელიცო!“— მიაძახა და შლეგიანივით დაეშვა კიბეზე.

ამ დროს ტიმეას ოთახის კარიც გაიღო და ზარის ხმა მოისმა.

ქალბატონმა ზოფიამ მაშინვე მოირბინა და მაიორს სანთლიო გზა გაუნათა. კიბეზე ვიღაცას ფანარი ჩაექრო და უკუნეთი სიბნელე იყო.

ატალია ერთხანს სამალავში იდგა გამძვინვარებული და სიბრაზისაგან კბილებს აკრაჭუნებდა. შემდეგ რისხვით ანთებული თვალებით ერთხელ კიდევ შეიხედა ტიმეას ოთახში და მუშტი მოუღერა.

ვინ იცის, რას ნიშნავდა მისი მუქარა?

II. პირველი დანაკარგი

უნდა გავიქცე, მაგრამ სად?

ქალაქის საათმა ათჯერ დარეკა. მალე დუნაის ვიწრო ყელზე გადასასვლელს ჩაკეტავდნენ. დუნაის მთავარ ტოტზე დიდი კუხძულის მხრიდანაც შეიძლებოდა ყინულზე გადასვლა გუშაგები რომ არა, რომელთაც მკაცრად ჰქონდათ ნაბრძანები, არავინ გადაეშვათ ყინულით დაფარულ მდინარეზე საღამოს რვა საათიდან დილის შვიდ საათამდე, თვით რომის პაპიც რომ ყოფილიყო. მიხაის მაინც შეეძლო მათი მოსყიდვა ფულით, მაგრამ არც ეს ივარგებდა. მეორე დილით მთელ ქალაქს ეცოდინებოდა, რომ ოქროკაცი ისე გაიპარა ღამით სრულიად მარტო, რომ ყინულებში ჩავარდნასაც არ მოერიდა. ამას დაუკავშირებდნენ დუელს უცნობ არამზადასთან და მეტიც არ უნდოდათ ქალაქის ჭორიკანებს. რაღა თქმა უნდა, ეს ამბავი ტიმეას ყურამდეც მიაღწევდა!

ტიმეა!

ოჰ, რა მძიმე იყო მისი დატოვება და სამუდამოდ დავიწყება! ამაზე ფიქრი მოსვენებას უკარგავდა.

სხვა გზა არ იყო, რაცის ქუჩაზე უნდა დაბრუნებულიყო და დილამდე მოეცადა. რა გაათენებდა ამ საშინელ ღამეს!

ტიმარი ფეხაკრეფით, ქურდულად შეიპარა თავის ოთახში, სანთელიც არ აუნთია, ისე მიწვა ტახტზე. იფიქრა, ცოტას დავისვენებო, მაგრამ უკუნეთ სიბნელეში ათასგვარი მოჩვენება მოელანდა.

თვალწინ დაუდგა ტიმეას ვარდისფრად ალეწილი ლოყები! ჩანს, ყინულის გალღობაც შეიძლება, მაგრამ მისთვის ხომ უკვე დიდი ხანია აღარ ანათებდა მზე! დიახ, მასთან ქორწინებამ ტიმეას ცხოვრება დაუსრულებელ ზამთრის ღამედ აქცია, სქელი ყინულოვანი საფარი შემოავლო მას და სამუდამოდ გადაუღობა გზა მზისკენ! გამო-

სავალი აქედან არ არსებობდა, მთელი სიცოცხლე ასე უნდა გაეტარებინა, ის ხომ ერთგულების აღთქმას არ დაარღვევდა!

მეტოქემაც ნამდვილი მეგობრობა გაუწია — თავზე ხმალი გადააქტვრია უცნობ თავხედს, მისი სახელისა და ღირსების დასაცავად! განა შეიძლებოდა, მდაბლად არ მოეხარა თავი მისი კეთილშობილების წინაშე! ადამიანი, რომელიც აქამდე მტრად მიაჩნდა და სძულდა, როგორც ბედნიერი მეტოქე, მასზე, მიხაი ტიმარზე დიდსულოვანი აღმოჩნდა! მაგრამ ისიც უბედური იყო „ოქროკაცის“ წყალობით, მიუხედავად იმისა, რომ ტიმეას უყვარდა.

„ოქროკაცს“ ყველა პატივს სცემდა და აფასებდა აურაცხელი სიმდიდრის წყალობით, სიყვარულით კი არავის უყვარდა. ვის მოუვიდოდა აზრად მისი ქონებისა და უმწიკვლო სახელის ხელყოფა, ვინ გაბედავდა, თუნდაც ოდნავი ჩრდილი მიეყენებინა მისი პატიოსნებისათვის, რომელიც ხალხს უკვე ხელიდან ხელში საგოგმანებელ მარგალიტად ექცია? რას იზამდნენ ნეტავ, ვინმეს თვალი რომ აეხილა მათთვის და სააშკარაოზე გამოეტანა მისი საიდუმლო?

როგორ თქვა ტიმეამ? „მოსამსახურე გოგოდან ბრწყინვალე ქალბატონად მაქციაო?“

როგორ ცდებოდა! ის ხომ უმდიდრეს ქალბატონად იყო დაბადებული და ტიმარმა თავისი მემკვიდრეობა დაუბრუნა მხოლოდ!

„ჩემს მეტი არავინ გააჩნია და მზე და მთვარე ჩემზე ამოსდისო?“

არც ეს იყო მართალი! ტიმარს ჰყავდა სატრფო გარე სამყაროსგან მოწყვეტილ, უკაცრიელ კუნძულზე, რომელთანაც ღალატობდა და რომელიც მთელ ქვეყანას ერჩია!

„როგორ შემიძლია მივატოვო უკეთილშობილესი ადამიანი, რომელსაც ყველა პატივს სცემს?“

— რატომ მაღმერთებენ ნეტავ ასე? ალბათ, იმიტომ, რომ არ მიცნობენ! ტიმეამ რომ ჩემი ნამდვილი სახე დაინახოს, მაშინაც თუ გაიზიარებდა ნეტავ ჩემს გაჭირვებასა და დამცირებას? სამწუხაროდ გაიზიარებდა, მაინც არასოდეს მიმატოვებდა!

მაგრამ ვინმეს ნოემის ამბავი რომ მოეტანა მისთვის?

ამაო იქნებოდა, ალბათ, ყოველივე! „კურთხეულ იყოს მისი სახელი, ვინც შენ ბედნიერება მოგანიჭა, რომელსაც ჩემთან ვერ ეღირსეო!“ — იტყოდა მაინც.

ასეთი იყო ტიმეა.

მაგრამ ნოემი!

რას აკეთებს ნეტავ ახლა მარტოდმარტო იმ უკაცრიელ კუნძულზე, რომელსაც ვერასოდეს მიატოვებს ტიმეას გამო? რას ფიქრობს ნეტავ? ვინ იცის, როგორ განიცდის მარტოობას, მას ხომ ნუგეშის მცემელიც აღარავინ ჰყავს? ვინ იცის, როგორ ეშინია ბოროტი ადამიანებისა, მოჩვენებებისა და მხეცებისა! ახლა, ალბათ, სულ ჩემზე ფიქრობს და ჩემს ნაკვალევს გასცქერის!

ოჰ, რომ იცოდეს!

რომ იცოდეს ამ ორმა ქალმა, რა დიდი დანაშაული მაქვს ჩადენილი მათ წინაშე! გამოჩნდებოდეს მაინც ვინმე ისეთი, რომ ორივეს თვალი აუხილოს, სიმართლე უთხრას!

მოიცა! მოიცა! ვინ არის ის არამზადა, უცნობი საზღვაო ოფიცერი, რომელმაც ისეთი შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენია ჩემი სახელი, რომ აღშფოთებულმა მაიორმა სილა გააწნა და დუელში გამოიწვია? ვინ არის ეს ახალი მტერი? როგორ უნდა გავიგო მისი ვინაობა, თუკი დაჭრილმა იმავე დღეს დატოვა ქალაქი?

ტიმარმა არ იცოდა, ვინ იყო ეს საიდუმლოებით მოცული უცნობი, მაგრამ შინაგანმა ხმამ უკარნახა, რომ ჯობდა შორს დაეჭირა თავი მისგან, გაქცეულიყო აქედან.

გაქცევას ისედაც ფიქრობდა, დიდხანს ერთ ადგილას გაჩერება არ შეეძლო. კუნძულიდან წამოსული ადგილს ვეღარსად პოულობდა. სასტუმროშიც კი, სანამ ეტლში ცხენებს გამოცვლიდნენ, ვეღარ იცდიდა და ფეხით დაწინაურდებოდა ხოლმე. რაღაც უხილავი ძალა მუდამ სადღაც ეწეოდა და თვითონაც ვერ გაეგო საით.

უცებ ვაუელვა აზრმა, ნოემი და დოდი წამოეყვანა კუნძულიდან, ჩაესვა გემში და მათთან ერთად მთელი ქვეყანა შემოევლო.

მაგრამ ტიმეა!

მისი სახელის ხსენებაც კი თავზარსა სცემდა.

ოკეანეში თბილი დინება ტროპიკებიდან ჩრდილოეთისკენ მიემართება, იქიდან წამოსული აისბერგები კი ზოგჯერ ეკვატორამდეც აღწევენ. შეშლილის მეტს ვის მოუვა აზრად საკუთარ გულში მთელი ოკეანე ჩაიტიოს!

ტიმარის თვალს ძილი არ ეკარებოდა. საათი შუაღამეს უჩვენებდა, გათენებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო, უსიამოვნო ფიქრები კი მოსვენებას არ აძლევდა.

ბოლოს, მაინც გადაწყვიტა სანთელი აენთო. ადამიანის სულიერი

ნღელვარების დასაცხრომად ხომ ერთი უებარი საშუალება არსებობს, რომელიც ყველა წამალზე უკეთ მოქმედებს. ეს გახლავთ ყოველდღიური შრომა. როცა ადამიანი საქმეებითაა დაკავებული, მას გულისა და გრძნობების ასაყოლად აღარა სცალია.

ტიმარმა საწერი მაგიდიდან წერილების მთელი გროვა აიღო. უფროსი საქმეთა მმართველი აქ უწყობდა ყველა საბუთს და წერილს, რომლებსაც ბატონი ლევეტინცი პირადად უნდა გასცნობოდა და საჭირო განკარგულებები გაეცა. ზოგიერთ წერილს მის ძებნაში თითქმის ყველა მისი მამული და საწარმო შემოევლო, სად აღარ გადაეგზავნათ, ბაიში, ლევეტინცში, ტრიესტში, ვენაში, ბოლოს კი ისევ კომარომში, მის მთავარ რეზიდენციაში დაებრუნებინათ, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ მთელი ნახევარი წლის განმავლობაში მას არსად არ შეევლო და არც საქმისთვის მიეხედა. ალბათ, ისიც ბედის წყალობა იყო, რომ ყველგან პატიოსანი ადამიანები ემსახურებოდნენ, თორემ ამდენ ხანს უპატრონოდ მიტოვებული ქონება შეიძლებოდა სულ გაენიავებინათ.

ზოგიერთ წერილზე ტიმეას ხელით აღნიშვნები იყო გაკეთებული, რაც იმას ნიშნავდა, რომ მას წაეკითხა და გარკვეული ზომებიც მიეღო.

ისევ ტიმეა!

რამდენიმე წერილი წაიკითხა, ყოველი მხრიდან სასიამოვნო ამბებს ატყობინებდნენ, მისი საქმეები ყველგან ჩინებულად მიდიოდა. ისე გასაოცრად სწყალობდა ბედი, რომ უნებურად პოლიკრატე გაახსენდა, რომელსაც ბოლოს თავისი წარმატებებისა თვითონვე ეშინოდა და აღარ იცოდა სად გაქცეულიყო.

მისი სიმდიდრე წარმოუდგენლად იზრდებოდა, ფულის უდიდესი ნაწილი უკვე აღარ იცოდა სად დაებანდებინა და ხელუხლებლად ეწყო სეიფებში. უხვი შეწირულებანი საქველმოქმედო საზოგადოებებისთვის ზღვაში წვეთი იყო მხოლოდ მისი ზღაპრული შემოსავლისა, რომელიც ყოველთვის ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებდა. ყველაფერი, რასაც ხელს შეახებდა, ოქროდ იქცეოდა.

რა იყო მისი ასეთი უჩვეულო წარმატებების საწინდარი?

ეს საიდუმლო მის მეტმა არავინ იცოდა!

ჩაძირული გემის ბნელ კაიუტაში ალი ჩორბაჯის განძი რომ მითვისა, მთვარის მეტს არავის დაუნახავს, მთვარე კი არასოდეს გათქვამდა.

ვინ მოთვლის, რამდენი დანაშაული ხდება ამქვეყნად, რომელიც გაუხსნელი რჩება, უფრო მეტიც, ზოგჯერ ბოროტმოქმედი საყოველთაო სიყვარულსა და აღიარებას იმსახურებს და სიკეთისა და სათნოების ნიშნად მიიჩნევენ ხოლმე.

მიხაი მეტად გამჭრიახი გონების ადამიანი იყო, შესანიშნავად გრძნობდა, რომ მუდმივი არაფერია ამქვეყნად და ადრე თუ გვიან მის ბედნიერებასაც ბოლო მოეღებოდა. ასეთია ბუნების კანონი! მას ალბათ გაუხარდებოდა კიდევაც ქონების ნახევარი რომ დაჰკარგოდა, იმის სანაცვლოდ კი, ბედისწერასთან ანგარიში რომ გაესწორებინა, რა უყოყმანოდ დასთმობდა თავის განძეულს! მაგრამ იდუმალი ხმა ჩასძახოდა, რომ მისი აურაცხელი სიმდიდრე, სახელი, დიდება და მოჩვენებითი ოჯახური ბედნიერება იყო სწორედ ბედის მკაცრი დაცინვა, მის სასჯელად მოვლინებული. მართლაც, ცოცხლად იყო დამარხული ფულის გროვაში და ძალა არ შესწევდა აქედან თავის დასაღწევად, რომ მთელი სიცოცხლე ნოემისა და პატარა დოდისთვის შეეწირა. პირველი ბავშვი რომ მოუკვდათ, კინაღამ მის დარდს გადაჰყვა, ახლა მეორე დოდი კიდევ უფრო ძლიერ უყვარდა, მაგრამ უფლება არ ჰქონდა სულ მასთან ყოფილიყო. ავადმყოფობისდროინდელი კოშმარული მოჩვენებები თითქოს ცხადლივ წარმოუდგა თვალწინ, ოქროებში ცოცხლად დამარხული იწვა აკლდამაში. საფლავის ქვაზე მისი უკვდავი დიადი საქმენი იყო ამოკვეთილი და კვარცხლბეკზე მარმარილოს ქანდაკება იდგა — ტიმეა. აი, საფლავს მოადგა მათხოვარი ბავშვით ხელში, მიხაიმ წამოწევა სცადა, თავს ძალა დაატანა, უნდოდა ეყვირა: „ნოემი, ხელი მომეცი, გამომათრიე ამ ოქროს გროვიდან!“ — მაგრამ ამაოდ.

წერილებში უცებ თავისი ბრაზილიელი აგენტის ხელი იცნო, ის ატყობინებდა, რომ მისი წამოწყებული საქმე დიდი წარმატებით გრძელდებოდა, უნგრულმა ფქვილმა დაიპყრო მთელი ოკეანისგადაღმა ბაზრები, მის სახელს ყველგან უდიდესი პატივისცემითა და მოწიწებით წარმოთქვამდნენ და მოგებაც განუსაზღვრელად დიდი იყო.

ამის წაკითხვამ გაახსენა, რომ კიბეზე ჩამოსვლისას ფოსტალიონმა სწორედ ბრაზილიიდან მიღებული წერილი ჩააბარა, რომლისთვისაც მაშინ არ ეცალა და გაუხსნელი ჩაიდო ჯიბეში.

ამ წერილში ეწერა:

„ბატონო ჩემო!“

„ჩემი უკანასკნელი წერილის შემდეგ მოულოდნელად დიდი უბედურება დაგვატყდა თავს. თქვენს მიერ რეკომენდირებული ტოდორ კრისტიანი გაქნილი გაიძვერა გამოდგა, ყველანი ესვენდისოდ მოგვატყუა და დიდი ზარალი მიაყენა წარმოებას. ჩვენ ბრალი არაფერში მიგვიძღვის, წლების მანძილზე ის არამზადა ისეთი გულმოდგინებითა და თავდადებით მუშაობდა, რომ ყველას ნდობა დაიმსახურა. ვასამართლოს კარგს ვუხდიდით, გარდა ამისა, სისტემატურად იღებდა კუთვნილ პროცენტებს მოგებიდან, რითაც შესძლო გარკვეული კაპიტალის დაგროვება, ეს თანხა შემდეგ საერთო საქმეში დააბანდა; ჩვენ მის პატიოსნებას ვენდობოდით, ის კი თურმე ვერაგულად გვძარცვავდა, ადგენდა ყალბ ანგარიშებს, თანხას ასწორებდა გამოწერილ ჩეკებზე, ფირმის სახელით ხელს აწერდა უამრავ ოამასუქებს და ვინ მოთვლის კიდევ, რას რ სჩადიოდა. შემოწმებისას გამოირკვა, რომ ზარალი ათ მილიონ „რეის“-ს შეადგენს.

ათი მილიონი რეისი ასი ათას ფორინტს უდრიდა და ანლა წყალში გადაყრილად შეიძლებოდა ჩაეთვალა.

კითხვა განაგრძო:

„გარდა ამისა, ტოდორ კრისტიანმა დიდი აფერისტობაც ჩაიდინა. უკანასკნელ ხანს, ვაჭრობისა და კაპიტალბრუნვის გასადიდებლად სახელგანთქმულ უნგრულ ფქვილში ლუიზიანურის შერევა დაიწყო, რომელიც ხარისხით ბევრად ჩამოუვარდება უნგრულს. მისმა სამარცხვინო საქციელმა საბოლოოდ დაგვიკარგა ნდობა ყველას თვალში და თქვენ ვერცკი წარმოიდგენთ, რა ფასად გვიჯდება ფირმის დაკარგული რეპუტაციის აღდგენა“.

აი, პირველი დარტყმა!

ისეთი დიდი საქმოსნისათვის, როგორიც მიხაი ტიმარი გახლდათ, ეს საშინელი დამარცხება იყო და შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. განსაკუთრებით გულსატკენი ის იყო, რომ ზარალი განიცადა მისმა საამაყო წარმოებამ, რომლისთვისაც ხელმწიფის მრჩეველის საპატიო ტიტულით დააჯილდოეს. ერთი ხელის მოსმით ხუხულასავით დაინგრა ტიმეას მიერ აგებული ბრწყინვალე ციხე-კოშკი.

ისევ ტიმეა!

„იმ არამზადის სამარცხვინო დანაშაულის ჩადენას ხელი შეუწყო ქარაფშუტა, საეჭვო ყოფაქცევის ქალებთან დაახლოებამაც. რო-

გორც კ დანაშაული გამოაშკარავდა, ჩვენ ვთხოვეთ ადგილობრივ ხელისუფალთ დაეპატიმრებინათ ... , მაგრამ ყველაფერი ამაო გაწოდგა, მას მთელი ფული გაეფლანგა და ერთი რეისიც ვეღარსად უპოვეთ. როგორც შემდეგ მოგვახსენა, ნაწილი ბანქოში წაეგო, ნაწილ კი კრეოლ ქალებთან დროსტარებაში დაეხარჯა, შესაძლოა მას გადამალული ჰქონდეს სადმე გარკვეული რაოდენობის თანხა, რომელ ც სასჯელის მოხდის შემდეგ თუ გამოიყენებს, ამისთვის კი საკმაოდ დიდხანს მოუწევს ლოდინი, სასამართლომ მას თხუთმეტი წლით საზღვაო კატორღა მიუსაჯა."

აღელვებულმა ტიმარმა წერილი მაგიდაზე დააგდო და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

„თხუთმეტი წელი საზღვაო კატორღა!" სათქმელადაც კი ძნელია. — ფიქრობდა იგი. — რა ეშველება! თხუთმეტი წელი უნდა გაატაროს ზღვაში გემბანზე მიჯაჭვულმა, მცხუნვარე მზის ქვეშ, ვინ იცის, როგორ სწყევლის ყველასა და ყველაფერს! სასჯელის მოხდამდე ახალგაზრდობაც ხელიდან გამოეცლება! მერე და ვინ არის დაშნაშავე მის გაუბედურებაში? — რისთვის გაგზავნე ოკეანის გადაღმა? მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ხელი არ შეეშალა შენთვის, ბატონ მიხაი ტიმარ ლევეტინცისთვის, უპატრონო კუნძულზე ნოემისთან ნებივრობაში! რომ სამუდამოდ მოგეშორებინა თავიდან ერთადერთი ადამიანი, ვისაც შეეძლო შენი საიდუმლო ტიმეასთვის გაეგნდო და ნოემისთვისაც თვალი აეხილა! გამოტყდი, განა ეს არ იყო შენი მიზანი, როცა მისი ბრაზილიაში გაგზავნა განიზრახე? ისიც კარგად იცოდი, რომ იქ შეიძლებოდა დანაშაული ჩაედინა და სამართალში მიეცათ! შეგეძლო აქვე მოგეკლა დუელში, როგორც ნამდვილ ვაჟკაცს შეეფერება, მაგრამ ეს არ მოინდომე, მისი კეთილისმყოფელი მამის ნიღაბი ჩამოიფარე და ვითომდა მისსავე სასარგებლოდ სამი ათასი მილით დააშორე აქაურობას. აგიხდა ჩანაფიქრი! შენმა მსხვერპლმა თხუთმეტი წელი უნდა გაატაროს საშინელ კატორღაში, მისი დატანჯული სახე მუდამ თვალწინ გედგება და მოსვენებას არ მოგცემს!

ოთახში ღუმელი არ ენთო და საკმაოდ ცივოდა, ფანჯრის მინებიც ყინვისგან შეპირხლულიყო, მაგრამ ტიმარი ოფლში იყო გაწუწული მღელვარებისაგან და აღარ იცოდა რა ექნა. ვისაც კი დახმარების ხელს გაუწვდიდა, სამუდამოდ აუბედურებდა. მისი ხელი ნამდვილად დაწყევლილი იყო!

აქამდე ეგონა, ვისაც კი დაეახლოვდებოდა, აუცილებლად გაბედნიერებდა, უკანასკნელ არამზადასაც კი სწორ გზაზე დააყენებდა და ამაყობდა კიდევაც თავისი ყოვლისშემძლეობით, მაგრამ ახლა ეკაცრმა სინამდვილემ თვალები აუხილა და თავისი ნამდვილი სახე დაანახა. ვისი გაბედნიერებაც მოინდომა, ყველა დაღუპა: ხედავდა, როგორ იტანჯებოდა ტიმეა მის გამო, ყოფილ მეგობარს ბედნიერებაზე ოცნების იმედიც კი წაართვა, ნოემისთვის არ შეეძლო სამაგიერო მიეზღო მისი სიყვარულის სანაცვლოდ და ბოლოს, ტოდორ კრისტიანის საშინელ ბედზე ფიქრი ხომ მოსვენებას უკარგავდა!

რა გაათენებდა ამ ავბედით ღამეს!

ეს ოთახი სატუსაღოდ ეჩვენებოდა და ადგილს ვეღარ პოულობდა. იმ დაწყევლილ წერილში კიდევ რამდენიმე სტრიქონი დარჩა წასაკითხი და ისევ მაგიდასთან მივიდა. მინაწერი მეორე დღის რიცხვით იყო დათარიღებული.

„პორტ-ო-პრინცედან ეს-ეს არის მაცნობეს, რომ ღამით გალერიდან სამი კატორღელი გაიქცა და მათ შორისაა საშიში დამნაშავე ტოდორ კრისტიანიც“.

ამ სიტყვების წაკითხვამ ტიმარს თავზარი დასცა, შებლზე ჭირის ოფლმა დაასხა და შეძრწუნებულმა მიმოიხედა ირგვლივ, ისეთი ვრძნობა დაეუფლა, როგორიც ბავშვს, რომელსაც საშიში ზღაპარი უამბეს.

აქ გაჩერება აღარ შეეძლო, ჯიბიდან რევოლვერი და ბებუთი ამოიღო და კიდევ ერთხელ შეამოწმა. ჯერ არ გათენებულიყო, ღამის პირველი საათი იქნებოდა. მაინც გადაწყვიტა ახლავე გასცლოდა აქაურობას. ყინულით დაფარული დუნაის ღამით გადალახვა მისთვის არაფერი იყო, მხოლოდ ეს ავბედითი წერილი ურევდა ვონებას. საჩქაროდ დაწვა კონვერტი, ჩააქრო სანთელი და ხელის ფათურით მიაღწია კარამდე. მაგრამ უცებ შედგა, იქნებ წერილი ჯერ არ დამწვარა, შეიძლება ნაპერწკალი გამოვარდეს და ხანძარი გააჩინოსო გაუელვა აზრმა და უკანვე შევარდა. უკანასკნელი ნაპერწკლები მართლაც ისევ ციმციმებდა სიბნელეში. სულ რომ ჩაქრა, ტიმარი მაშინღა გამოვიდა გარეთ. კიდევ ერთხელ მიმოიხედა, ხომ არავინ არის ჩასაფრებულიო, და ალესილი ბებუთი მოიმარჯვა. ქუჩას რომ მიაღწია, თავისუფლად ამოისუნთქა და შიშიც გაუქრა. იარაღი შეინახა და ახალი თოვლით გადათეთრებულ ბილიკს დუნაის სანაპიროსკენ დაუყვა.

დუნაი მთლად გაიყინა და ქალაქ პოჟონამდე თავისუფლად შეიძლებოდა ზედ სიარული. კომაროომიდან უი-სოხამდე მისასვლელად კი შორი გზის მოვლა იყო საჭირო, კუნძულისთვის უხდა შეუოგევლოთ. ზაფხულობით ამ ადგილებში ოქროს მოპოვებას ძ

დევდეენ სპეციალურ ქვიშის სარეცხებში, ზამთარში კი ყინულის უსაოიაზაოი ნატეხები იყო ჩახერგილი.

მეორე ნაპირზე ტიმარია ძონასტრის გუმბათს მოჰკრა თვალი, რომლის ახლოსაც, მაღლობზე, მისი საზაფხულო სასახლე იდგა. გადაწყვიტა იქით წასულიყო და ფეხი ზედგა ყინულზე. იმედი ჰქონდა, ვარსკვლავების შუქზე ადვილად გაიკვლევდა გზას. მაგრამ უცებ ხისლი ჩამოწვა და ისე ჩამობნელდა, რომ სულ მალე აღარაფეოი ჩანდა ირგვლივ.

გონიერი კაცი ახლა აუცილებლად უკან დაბრუნდებოდა და გათენებას დაელოდებოდა, ეაგრამ ტიმარს სიჯიუტეი სძლია და გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა მეორე ნაპირზე გასულიყო. არც ობას მიაქცია ყურადღება, რომ კუნძულს ზემოთ საკმაოდ განიერი გადასასვლელი ყინულის უზარმაზარი ნატეხებით იყო ბოფენილი.

ამ მიუვალი ზღუდეების შემოვლისას ტიმარი ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა, რომ გზა დაებნა. უკვე ღამის სამი საათი იქნებოდა, წესით ახლა დიდი ხნის გასული უნდა ყოფილიყო მეორე ნაპირზე, მაგრამ ჯერ ისევ ერთსა და იმავე ადგილს სტკეპსიდა მდინარის შუაგულში. ეჭვი არ იყო, ნისლმა სწორ გზას ააცდინა.

ყური მიუგდო, იქნებ, ადამიანის ხმა ან ძაღლის ყეფა გავიგონოო, მაგრამ ამაოდ, არსაიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, როგორც ჩანდა, კი არ უახლოვდებოდა ნაპირს, არაპედ მდინარის დინებას მიჰყვებოდა და სულ უფრო და უფრო შორდებოდა გადასასვლელს. ამ ადგილებში დუნაის კალაპოტის სიგანე ორიათას ნაბიჯს არ აღემატებოდა, საჭირო იყო სულ პირდაპირ ევლო ერთი მიმართულებით და სულ მალე ნაპირზე გავიდოდა.

ადვილი სათქმელია ერთი მიმართულებით სიარული უკუნეთ სიბნელეში! ყინულის ყოველი ახალი გროვა მხარს უცვლიდა და მეხვეულ-მოხვეული ბილიკებით ისევ იმავე ადგილს უბრუნდებოდა. ხან ეჩვენებოდა, რომ სწორ გზას ადგა და მალე ნაპირზე გავიდოდა,

მაგრამ ისევ დაეჯახებოდა ყინულის ხერგებს და გარს უვლიდა უმიზნოდ. რაც დრო გადიოდა, თანდათან ჰკარგავდა ორიენტაციას და უფრო ღრმად შედიოდა ყინულის ლაბირინთში.

დილის ხუთი საათი გახდა და ტიმარი ისევ უშედეგოდ დაეხეტებოდა ყინულზე. წინა დღეს არაფერი უჭამია, ღამე უძილოდ გაატარა და ახლა უკვე ისე შეაწუხა დაღლილობამ, რომ ფეხზე ძლივსღა იდგა. ამას ისიც დაემატა, რომ ათასგვარი უსიამოვნო ფიქრი აეკვიატა და ისედაც დაჭიმულ ნერვებს უარესად უღიზიანებდა.

როცა დარწმუნდა, რომ გზას ვეღარ გაიგნებდა, შეჩერდა და ცისკრის ზარების რეკვას დაელოდა, ეს ხმა ან ქალაქიდან მოდიოდა. ან სანაპირო სოფლიდან.

ესეც ბედის დაცინვა იყო. ურწმუნო ერეტიკოსი ხსნას ეკლესიის ზარებისაგან ელოდა!

მალე ეს ნანატრი ხმაც მოესმა კომარომის მხრიდან.

უი-სონის ნაპირისთვის რომ მიეღწია, საჭირო იყო ოდნავ მარჯვნივ აეღო გეზი და სულ პირდაპირ ევლო.

მაგრამ ეკლესიის ზარებმა თითქოს მოატყუესო, ტიმარი უფრო მეტად დაშორდა ნაპირს და დინების მიმართულებით, გაუვალ ყინულებში შევიდა. ეს იყო აქეთ-იქით უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი წვეტიანი ხერგებით მოფენილი მინდორი. ფეხის ბორძიკით, გაჭირვებით მიიწევდა წინ, ნაპირი კი არა და არ ჩანდა.

სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო ირგვლივ, ხანდახან ყვავი თუ გადაუფრენდა და თავზე დასჩხავლებდა.

გათენების იმედიღა ჰქონდა, ამომავალი მზის სხივებით შეიძლებოდა დუნაის დინების დადგენა, ყინულჭრილითაც მიხვდებოდა, მაგრამ ყინული ისეთი სქელი იყო, რომ წერაქვითაც ძლივს ამოსტეხავდა კაცი.

ბოლოს, როგორც იქნა, ინათა, მაგრამ ნისლში მაინც ვერაფერს ხედავდა, ყინულზე დიდხანს გაჩერებაც საშიში იყო, რადაც უნდა დასჯდომოდა, გზა უნდა განეგრძო.

დილის ათი საათი გახდა და ჯერ ისევ გზის ძებნაში იყო. მზის სხივებმა ნისლი ოდნავ გაფანტა, მაგრამ ყინულზე აირეკლა და თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. არც ამან გაუმართლა, სანამ თვალს შეაჩვევდა, მზე ისე მაღლა აიწვერა, რომ იმის საშუალებით უკვე შეუძლებელი იყო გზის გაგნება. იმედს მაინც არ ჰკარგავდა, თავს

ძალას ატანდა და ისევ წინ მიიწევდა. უცებ შორიახლოს სახლის სახურავს მოჰკრა თვალი და სახე გაუბრწყინდა, მაგრამ ხანმოკლე აღმოჩენდა მისი სიხარული, ისევ ნისლი ჩამოწვა. ვეღარაფერს ხედავდა და მაინც ცდილობდა სულ პირდაპირ ევლო, სწორი გზიდან არ გადაეხვია.

ამჯერად სულ რაღაც ოცდაათ ნაბიჯზე დაინახა სახლი, რომელიც მისი ხსნის ერთადერთი იმედიღა იყო. აი, მიუახლოვდა კიდევაც, მაგრამ სახლის მაგიერ წყლის წისქვილი შერჩა ხელში, ეტყობოდა, სადღაც ნაპირზე მოეგლიჯა და აქ ჩამოეტანა. ბორბლებჩამომტვრეული წისქვილისთვის ყინულს ისე თანაბრად ჩამოეჭრა გვერდები, იფიქრებდით, დურგალს საგანგებოდ ჩამოუთლიაო.

ტიმარი გაოცებული შედგა, საკუთარ თვალებს არ უჯერებდა. მისმა დანახვამ პერიგრადის მორევში ჩაძირული წისქვილი გაახსენა რატომღაც. ვინ იცის, იქნებ, სწორედ ის არის და იმიტომ ამოტივტივდა მორევიდან, რომ მე გადამარჩინოსო!

თუმცა, ვისი გადარჩენა შეეძლო ამ ნახევრად დამტვრეულ ნაგებობას, რომელიც ის-ის იყო ნაფოტებად დაიშლებოდა.

მაგრამ, რაღაც შინაგანმა გრძნობამ აიძულა ტიმარი შიგ შესულიყო. შიგნით ბევრი რამ გადარჩენილიყო, წისქვილის ქვაც კი მთელი იყო და ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს სადაცაა მეწისქვილე გამოვა და ხვიმირს საფქვავს დააყრისო.

სახურავზე, ლავგარდანსა და კოჭებზე ყვავები ისხდნენ, ტიმარის დანახვაზე რამდენიმე გაფრინდა, სხვებმა კი ყურადღებაც არ მიაქციეს.

არაქათგამოლეული იქვე, კოჭზე ჩამოჯდა და თვალები თავისთავად დაეხუჭა. შიმშილისაგან დასუსტებული, რამდენიმე საათს ყინულზე ხეტიალში ისე გათოშილიყო, რომ ფეხზე დგომა აღარ შეეძლო.

როგორც კი ჩასთვლიმა, „წმინდა ბორბალა“ ესიზმრა, გემბანზე მზეთუნახავი ტიმეა იდგა და სივრცეს გასცქეროდა. „კაიუტაში შედით ახლავე!“—უყვირის ტიმარი მთელი ხმით, სადაცაა ბრაგას დავეჯახებით და მორევში ჩავიძირებით!“ მაგრამ ტიმეა ადგილიდან არ იძროდა, გემი კი უფსკრულისკენ მიექანებოდა მგზავრებიანად.

ამ დროს ტიმარი კოჭიდან გადმოვარდა და გამოეღვიძა. ახლოლა მიხვდა, რა ხიფათს გადარჩა, ღრმად რომ ჩასძინებოდა, უეჭველად

თვის, სულ იოლად დასტოვებდა ამ ქვეყანას, მაგრამ ჯერ საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი. თანაც ხალხი რას იტყოდა, ამ ყინულებში გახერგილ დამტვრეულ წისქვილში რომ ეპოვათ მისი გვამი? არა, არა, ეს შეუძლებელი იყო, ქვეყანა ალაპარაკდებოდა მიხაი ტიმარ ლევეტინცის საოცარ სიკვდილზე!

მაშინვე გარეთ გამოვიდა.

ირგვლივ ისევ ნისლს დაებურა იქაურობა. ვერ გაარჩევდით დღე იყო თუ ღამე; თავისდაუნებურად მწარედ ამოიოხრა.

ნუთუ ხსნა არსაიდან იყო? ნუთუ სულიერი არსება არ გაჩნდებოდა, რომ ეშველა მისთვის?

და ამ უკიდეგანო ყინულოვან საფარზე მარტოდმარტოდ დარჩენილმა ცოცხლად დამარხულად იგრძნო თავი.

მაგრამ, ეტყობოდა, ღმერთს მაინც არ გაეწირა სასიკვდილოდ. უცებ თოვლით დაფარულ ყინულზე რაღაც ნაკვალევი შენიშნა. ეტყობოდა, წისქვილში თაგვები ყოფილიყვნენ და როცა იგი აქ, ყინულებში, გაიჭედა, მიეტოვებინათ და ნაპირზე გასულიყვნენ. თოვლზე კარგად ეტყობოდა მათი პაწაწინა თათების ნაკვალევი. ტიმარი ამ კვალს მიჰყვა და ნახევარ საათში უკვე ნაპირზე გავიდა ეიტ-სონიდან კარგა მოშორებით. ბილიკით მალე მთავარ გზაზე გავიდა და სასტუმროსაც მიაღწია, სადაც თავისი კარეტა ჰქონდა დატოვებული.

გაქცევა შესანიშნავად გამოუვიდა. კომარომიდან გამოსული ალავის დაუნახავს, აქ კი ნისლი იყო და ვერავინ შენიშნავდა, საიდან მოვიდა.

სასტუმროში ცოტა დანაყრდა, დაისვენა და იმავე საღამოს გაემგზავრა. კარეტაში სავარძელზე გადაწვა და საღამომდე არ გაუღვიძია. სიზმარშიც ისევ ყინულებზე დადიოდა და როცა კარეტა შეანჯღრეოდა შემთხვევით, ეგონა, ყინული ჩატყდა და თან ჩამიტანაო.

ეიტ-სონიდან საკმაოდ გვიან გავიდა და ბალატონ-ფიუზედის სასახლეს მხოლოდ მეორე დღეს, შებინდებისას, მიაღწია. ისეთ ნისლში მოუწია მგზავრობა, რომ ბალატონის ტბაც კი არ ჩანდა.

იმავე ღამეს მეთევზეები იხმო. მათ მოახსენეს, რომ მეორე დილით აპირებდნენ ყინულქვეშ თევზაობას. მიხაიმ ეს რომ შეიტყო, თავის მევენახეს უბრძანა, სარდაფიდან ყველას სამყოფი ღვინო და არაყი ამოეტანა.

— ხვალ თევზს ბლომად დავიჭერთ! — იძედი გამოთქვა მოხუცმა მეთევზემ გალამბოშმა.

— რატომ გგონიათ? — გაეღიმა ტიმარს.

— ჯერ ერთი, ბალატონის ნაადრევი გაყინვა კარგი ნიშანია, ახლა ქვირითის ყრის დროა და უამრავი თევზი ეტანება წყნარ ყურეს, მთავარი კი, მაინც თქვენი ჩამოსვლაა, ბატონო, თქვენ ხომ ყველაფერში ბედი გწყალობთ!

„მართლაც რომ საოცრად მწყალობს ბედი!..“ — მწარე ღიმილით ჩაილაპარაკა თავისთვის.

— სანაძლეოს ვდებ, რომ ხვალ თევზთა მეფეს დავიჭერთ!—განაგრძო გალამბოშმა.

— თევზთა მეფე რომელია?

— უზარმაზარ ფარგას ეძახიან ასე, ბატონო, ბალატონზე ყველა მეთევზემ იცის, მაგრამ დაჭერით ჯერ არავის დაუჭერია. ბადეშიც რომ მოხვდეს, ის არამზადა, მაინც ხელიდან დაგვისხლტება ხოლმე, მის დაჭერაზე ჯილდოც კი გამოვაცხადეთ! თანაც ისეთი მსუნაგია, რასაც ის წვრილ თევზს ანადგურებს, სამი მეთევზე ერთად ვერ დაიჭერს! სიდიდით ცქვინს არ ჩამოუვარდება! ხვალ დილით ნამდვილად ვეღარსად წაგვივა; აუცილებლად დავიჭერთ!

ტიმარმა ამჯობინა არ შეჰკამათებოდა მოხუცს და დასაძინებლად წავიდა. ისე იყო დაღლილი, დაწოლისთანავე მკვდარივით ჩაეძინა.

ღამე კარგად დაისვენა და დილით ისევ ჩვეული სიხალისით გაიღვიძა. ორი დღის უკან მომხდარი უსიამოვნო ამბები თითქოს აღარც ახსოვდა. ჯერ არ გათენებულიყო, მაგრამ ოთახი მაინც განათებული იყო, შეჭირხლული ფანჯრებიდან მთვარის შუქი შემოდიოდა.

• მაშინვე წამოდგა, ცივი წყლით დაიბანა ტანი, საჩქაროდ ჩაიცვა და ტბაზე გავიდა.

ყინულით დაფარული ტბის ზედაპირი განსაკუთრებით თვალწარმტაცია ყინვების დაწყების პირველ დღეებში. მდინარის ყინულისაგან განსხვავებით მისი ზედაპირი გლუვია და მთვარიან ღამეში თვალისმომჭრელად ბრწყინავს. აქა-იქ ახლო-მახლო სოფლებში მიმავალი ბილიკებითაა დასერილი. ყინულის სარკეში მთელი თავისი მშვენებით მოჩანს ტიხანის მთა და მის წვერზე აღმართული ორგუმბათიანი ტაძარი.

ტიმარი დიდხანს იდგა ნაპირზე და თვალს ვერ აშორებდა ამ დი-

დებულ სანახაობას, მაშინღა მოიხედა, მეთევზეები რომ ძოუახლოვდნენ. მათ მოჰქონდათ ბადეები, ბარჯები, ყინულის საჭრელი წერაქვები და სხვა სათევზაო ხელსაწყოები. როგორც ამბობდნენ, თევზაობა მზის ამოსვლამდე უნდა დაეწყოთ.

მალე ყველანი შეგროვდნენ უხუცესი მეთევზის ირგვლივ და ლოცვა დაიწყეს. ტიმარი მოშორებით დადგა, მას არ შეეძლო მათთან ერთად ეგალობა ღმერთისთვის. მეთევზეთა ხმები ექომ აიტაცა და ორი მილის იქითაც გაისმოდა.

ტიმარი ნაპირისაკენ დაეშვა და ღრმად შევიდა ყინულზე.

აღმოსავლეთით ცის კიდური წითლად შეიღება და ამომავალი მზის სხივები ვარდისფრად აკიაფდა ტბის მოკრიალებულ ზედაპირზე. ტბის ერთი ნაწილი მოწითალო-სოსანისფრად შეიღება, მეორე კი ფირუზისფრად.

მალე ინათა კიდეც, ცის ტატნობზე ერთმანეთში არეული ოქროსფერი და მეწამული სხივები ყინულის საფარზე ალისფრად ბრწყინავდა მზის ანარეკლის გარშემო. ეს იყო ზღაპრულ ფერებში გაცისკროვნებული ორი მზის ამოსვლის დიდებული სურათი, რომელსაც ვერც ერთ ზღვაზე ვერ შეხვდებით.

მაგრამ მზე როგორც კი მაღლა აიწია, სხივები თანდათან მიმოიფანტა ირგვლივ.

— ახლა კი, არ შეგეშინდეთ, ბატონო! — მოესმა ტიმარს გალამბოშის ძახილი.

„ნუთუ შეიძლება, მე კიდევ რაიმემ შემაშინოს?“ — გაიფიქრა მიხაილ.

მაგრამ მალე ისეთი საოცარი ხმები მოესმა, რომ მართლა შეეშინდა.

მზის სხივებით აელვარებული ტბის ყინულოვანი ზედაპირი ოდნავ შეთბობისთანავე რაღაც უცნაურ ხმებს გამოსცემს, რომელიც ლითონის ათასი სიმისა და მემნონის ქანდაკების მიერ გამოცემულ ხმებს მოგვაგონებს. ეს საოცარი ხმა თანდათან ძლიერდება და გგონია, თითქოს წყლის ფერიები უზარმაზარი ქნარის სიმებს არხევენ. შემდეგ გაისმის მძლავრი, ზარბაზნის გასროლის მსგავსი, წყვეტილი ჭექის ხმა და ყოველი ახალი გრგვინვა ახალ ნაპრალს აჩენს ყინულის საფარზე. ნაპრალები წაღმა-უკუღმა სკდება, ვიდრე ტბის ზედაპირი უამრავი კუბებით, ხუთკუთხედებითა და პრიზმებით მოფენილ უზარმაზარ მოზაიკას არ დაემსგავსება.

ვინც პირველად ისმენს ამ ხმებს, თავისდაუნებურად გული ძგერას ცემატებს — ყინულის სქელი საფარი სკდომისას ისე დაიგრგვინებს ხოლმე, რომ ოთხი ბილის მანძილზე მაინც ისმის.

მეთევზეებმა ამას ყურადღებაც არ მიაქციეს და ბადის გაშლა დაიწყეს. შორს ურემი გამოჩნდა, რომლითაც თივა მიჰქონდათ. ამ ადგილებში ადამიანიცა და პირუტყვიც შეჩვეული იყო ყინულის გრუხუნს, რომელიც მზის ჩასვლამდე გრძელდება ხოლმე.

ტიმარზე კი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ გრანდიოზულმა სანახაობამ. ბუნების დიდებული მოვლენები მასში მუდამ აღფრთოვანებას იწვევდა. იცოდა, რომ ყველა მოვლენასა და საგანს თავისი მიზანი ამოძრავებდა, ქარს, ჭექა-ქუხილს, ქარიშხალს, დედამიწას, მთვარეს, ვარსკვლავებს, და სწამდა, რომ ვერც ერთი ბრძენი ვერ ახსნიდა მის ფეხქვეშ აბობოქრებული ყინულის გრგვინვას.

უცებ მას ფიქრი შეაწყვეტინა კიდევ უფრო ძლიერმა, ყურთასმენის წამლებმა ხმამ. იფიქრებდით, ასმა ზარბაზანმა ერთად დაიქუხა ან მიწის ქვეშ უზარმაზარი ნაღმი ააფეთქესო და ირგვლივ ყველაფერი შეაბანზარა, ყინულის საფარი ფიურედის ნაპირიდან ტისანის ახლოვარკუნძულამდე, დაახლოებით — სამი ათასი ნაბიჯის სიგანეზე, ნაპირ გასწიჩა, რაც ერთი საქენი მაინც იქნებოდა.

— ყინული გასკდა! ყინული გასკდა! — იყვირეს ერთხმად მეთევზეებმა და იქითკენ გაიქცნენ.

ტიმარი იქვე ახლოს იდგა, სულ რაღაც ორ საქენზე და საკუთარი თვალით ხედავდა, როგორ წარმოიქმნა ერთ წამში უზარმაზარი ნაპრალი. ძლიერი რყევისაგან მუხლები უკანკალებდა, მაგრამ მოჯადოებულივით იდგა ერთ ადგილას და ამ საოცარი მოვლენის ცქერით ტკბებოდა.

ბოლოს მეთევზეთა ყაყანმა გამოაფხიზლა; მათ აუხსნეს: ამას „ყინულთსკდომას“ ეძახიან, რაც ძალიან სახიფათოა ფეხით მოსიარულეთათვის, რადგანაც ნაპრალში წყალი მუდამ ლივლივებს და არ იყინებაო. ადამიანის თვალი შორიდან ამას ვერ შენიშნავს, ამიტომ მის ახლოს გამაფრთხილებელ ნიშნებს აკეთებენ. გრძელ ჯოხზე ჯვარედინად ამაგრებენ თივას, რაც მოახლოებულ მგზავრს დროულად ამცნობს მოსალოდნელ საფრთხეს. პირველ რიგში ასეთ სანიშნებს ნაურმალთან ახლოს აკეთებენ.

— უფრო სახიფათოა, — განაგრძო გალამბოშმა, — როცა ამ

დროს გრიგალიც ამოვარდება და ნაპრალებს ერთმანეთს შეაჯახებს, მის ხმას შეუძლია ადამიანი დააყრუოს, თან ყინულს მოზრდილი ნატეხი ჩამოეგლეჯა და ნაპრალში გარდიგარდმო გაიხიდება ხოლმე, მასზე ვინმემ რომ ფეხი შედგას, ვეღარაფერი უშველის, მაშინვე მორევში ჩაიტანს.

აქასობაში შუადღემაც მოატანა, უკვე დრო იყო საქმეს შესდგომოდნენ.

ბალატონზე ყინულქვეშ თევზაობა მეტად საინტერესოა. ამ დროს აქ უამრავი თევზი იყრის თავს. მეთევზეები ორ დიდ ყინულჭრილს აკეთებენ — ერთმანეთისაგან ასე ორმოცდაათი საჟენის დაშორებით. მოპირდაპირე მხარესაც ორი ფუტი სიგანის კიდევ რამდენიმე ჭრილს აკეთებენ, ისე რომ ტრაპეციის ფორმა მისცენ, იმოჭრილ ყინულებს კი ჭრილების გასწვრივ აწყობენ, რომ ფეხით ჭოსიარულენი შიგ არ ჩაცვივდნენ. ყველაზე დიდ ჭრილში, რომელიც თითქმის ტბის შუაგულშია, მოზრდილ ბადეს ჩაუშვებენ, ბოლოებში ორ გრძელ ჯოხს ჩააბამენ და ყინულქვეშ შეათრევენ მეორე ჭრილამდე, შემდეგ მესამემდე და ასე გრძელდება, სანამ მეორე ბოლოში ჩაბმულ ჯოხს არ შეუერთებენ დიდ ჭრილთან.

ასეთი ხერხით თევზაობა მეტად მოსახერხებელია. ბადეზე ქვემოდან მობმული ტყვიის საძირავი ფსკერს სწვდება, ბადის ზედა ბოლო კი ყინულის საფარს ეჯინება, ისე რომ შიგ მოხვედრილი თევზი ვეღარსად წავა. თევზი აქ საერთოდ ბლომად შედის ბადეში, ფარგებისა და ლოქოებისთვის ეს სატრფიალო დროა, დარწმუნებული არიან, რომ ყინული საიმედოდ იცავს მათ მყუდრო ბინას, ზემოთაც კი ამოსცურავენ, სუფთა ჰაერზე, მაგრამ აი, მოვლენ მეთევზეები და სასიკვდილო მახეს უგებენ. ბადეში მოხვედრილნი უკვე ვეღარაფრით უშველიან თავს, ზემოთ ყინულის საფარი არ გაუშვებს, ქვემოთ — ბადე.

ასე იყო ახლაც. ოცი მეთევზე ძლივს ეწეოდა ბადეს ნაპირისკენ, ისე მძიმედ ამოჰქონდათ და ისე იყვნენ დაძაბულნი, რომ, ეტყობოდა, თევზი ბლომად გაბმულიყო. ას ცენტნერზე მეტი დაიჭირეს, დიდი გაჭირვებით ამოჰქონდათ ათასნაირი თევზით სავსე ბადე, რომელშიც შორიდანვე გაარჩევდით ბალატონის ზვიგენის, უზარმაზარი ლოქოს, ვირთხისკუდისოდენა ულვაშებს. ის ცდილობდა ისევ ბადის სიღრმეში ჩაეყვინთა, თითქოს იქიდან ელოდა ხსნას.

სამმა ახალგაზრდა მეთევზემ სასწრაფოდ ამოყარა თევზი ყინულზე. ჯერ ისევ ცოცხლები აქეთ-იქით ტრიალებდნენ, გაშმაგებით ეხეთქებოდნენ ყინულს, მაგრამ ვეღარაფერს ახერხებდნენ, ნაპრალებისკენ ყველა გზა გადაკეტილი იყო.

პირდაღებული ჭანრები ნახევარსაჟენიანი ნახტომებით ცვიოდნენ სხვადასხვა მხარეს, ქარიყლაპია კი გველივით იკლაკნებოდა და კარჩხანებსა და ქორჭილებს შორის მიცოცავდა. შიგა და შიგ მეთევზეები ლაყუჩებით ამოათრევდნენ ვეებერთელა ლოქოს, რომელიც ყინულზე მოადენდა ზღართანს და, ბოლოს მძლავრი მოქნევით, წვრილ თევზებს აქეთ-იქით მიჰყრიდა. მთელი ყინული თევზით იყო მოფენილი, რომელსაც თავბრუდახვეული ჭანრები, რაც კი შეეძლოთ, თავგამეტებით ასკდებოდნენ, მაგრამ ამაოდ. შედარებით ტლანქი, მოუქნელი მსხვილი თევზები კი ბედს შერიგებულნი ერთ ადგილას ეყარნენ უმოძრაოდ.

— ხომ ვამბობდი, თევზს ბლომად დავიჭერთ-მეთქი!—გაიძახოდა გახარებული მოხუცი გალამბოში. — რასაც კი ჩვენი ბატონის იღბლიანი ხელი შეეხება, განა შეიძლება, წარმატებით არ დაგვირგვინდეს? ერთი ფარგების მეფეც რომ დაგვაჭერინა!

— ახლა ნამდვილად ვეღარსად წაგვივიდოდა! — დაუმატა იქვე მდგომმა ახალგაზრა მეთევზემ, ბადეს რომ ჩასჭიდებოდა ორივე ხელით. — მოიცა, მოიცა, რაღაც დიდი თევზი ფართხალებს, მგონი!

— ის არის, ის! — შესძახა მეორემაც.

მალე წყლიდან თევზის უზარმაზარი მოთეთრო-მოვერცხლისფრო თავი გამოჩნდა, სწორედ ისეთი, ნიანგის თავს რომ არ ჩამოუვარდებოდა, დაღებულ ხახაში ორ რიგად მოუჩანდა ალესილი კბილები და ოთხი მოღუნული ეშვი.

თავისი გოლიათური შესახედაობით მართლაც რომ იმსახურებდა თევზთა მეფის სახელს.

— ის არის, ვეღარსად წაგვივა! — ერთხმად გაჰყვიროდნენ მეთევზეები და ნანატრი მსხვერპლის ყინულზე ამოგდებას ცდილობდნენ.

ამ დროს თევზთა მეფემ წყალში ჩაყვინთა და ისე გაიწია, რომ ოცი მეთევზე ძლივს აკავებდა ბადეს. ქარიყლაპიები, ლოქოები და ჭანრები ისეთი თავგამეტებით ეკვეთნენ ბადეს, იფიქრებდით, გაგულისებულმა მბრძანებელმა თავისი ამალა გამოიყვანა საბრძოლვე-

ლადო. ტბის გააფთრებულ ბინადართა შემოტევა რომ მოეგერიებინათ, მეთევზეები იძულებული გახდნენ ჯოხებით დაეხოცათ ზეშოდან. ერთი თევზთა მეფეღა დარჩა ცოცხალი და არაფრის გულისთვის არ უნდოდა დანებებოდა მტერს.

— ხელიდან არ დაგვისხლტეს! — წუხდა გალამბოში.

— ვერსად წაგვივა! — უპასუხა ახალგაზრდა მეთევზემ. — ბადემ თუ არ გვიღალატა!

ყინულზე თევზი გროვა-გროვა ეყარა და მეთევზეებს ფეხის მონაცვლებაც კი უჭირდათ.

— მგონი, ბადე გაწყვიტა ამ სამგლემ!

— აბა, ერთიც ამოვწიოთ!

მეთევზეებმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბეს და ბადე ამოათრიეს. შიგ აღმოჩნდა უზარმაზარი ფარგა, რომელიც ორმოც გირვანქაზე მეტს იწონიდა. ასეთი თევზი ოც წელიწადში ერთხელ თუ მოხვდება ბადეს. ტბის ამ საოცრებას ახლაც გაეწყვიტა ბადე, მაგრამ საუბედუროდ მის კვანძებს წამოსდებოდა თავისი ეკლიანი ფარფლებით. წყლიდან ამოთრევისას ისეთი ძალით შემოჰკრა სახეში ბოლო ერთ მეთევზეს, რომ ძირს დასცა და ყინულზე დაგორა. მაგრამ ეს მისი უკანასკნელი გაბრძოლება იყო. ჯერ არავის დაუჭერია ცოცხლად თევზთა მეფე, როგორც კი წყლიდან ამოიყვანენ, საჰაერო ბუშტი უსკდება და კვდება.

ამ იშვიათი თევზის დაჭერამ ყველა ისე გაახარა, რომ აღარაფერი ახსოვდათ. დიდი ხანია, მის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ უშედეგოდ. ახლა მათ ბედმა გაუღიმა. ეს ისეთი მტაცებელი იყო, თავისივე ჯიშის თევზებსაც რომ არ ერიდებოდა. მუცელი რომ გაუჭრეს, ახლად გადასანსლული ორი მოზრდილი ფარგა აღმოაჩნდა შიგ. ძალიან მსუქანი იყო, საუცხოო ოქროსფერი ქონი და თეთრი ხორცი ჰქონდა.

— თქვენო ბრწყინვალებავ, ეს თევზი ქალბატონს გავუგზავნოთ! — მიმართა ტიმარს მოხუცმა მეთევზემ. — დიდ ყუთში ყინულები ჩავუწყოთ და ფურგონით გავგზავნოთ. თქვენ მისწერეთ, რომ ეს ფარგების მეფეა და მეფეთა საკადრისი ძღვენია სწორედ!

მიხაილ მადლობა გადაუხადა მოხუცს და ღირსეულ ჯილდოს შეჰპირდა.

სანამ ფარგა შეფუთეს, კიდევაც დაბინდდა, მაგრამ მეთევზეებს ჯერ ბევრი საქმე ჰქონდათ ყინულზე.

აალე თავი ძოიყარეს ახლომახლო სოფლების: შიოფოკის, სახტოდის, ზამარდის, ფიუოედის, არაბის და ჩოპაკის გლეხებმა. ზოგი ღეხით მოდიოდა, ზოგი მარხილით, ზოგი ურმით, ხელჩანთები სავსე ჰქონდათ შეშწვარი გოჭებით, მათარები — ღვინით, თევზისთვის კი ცარიელი კალათები მოჰქონდათ. როგორც კი ხალხი შეგროვდა, იქვე, ყინულზე დანთებული კოცონის შუქზე ვაჭრობა გაიხადეს. ჭანარი, ქარიყლაპია, ლოქო და კარჩხანა ხელმისაწვდომი იყო ღარიბთათვის, ფარგას და სხვა ძვირფას თევზებს კი ყოველთვის პეშტსა და ვენაში აგზავნიდნენ. რაც აქ გაუყიდავი დარჩებოდათ, კალათებით ვესპრემის ბაზრობაზე მიჰქონდათ ხოლმე.

ამჯერად მეთევზეებმა კარგი ფული გააკეთეს, სამასი ცენტნერი თევზი დაიჭირეს! ტიმარი მართლაც რომ კარგი ფეხის გამოდგა!

საერთო მხიარულება ტიმარსაც გადაედო და ქეიფის ხასიათზე დადგა, ბრძანა. ღვინით სავსე ყველაზე დიდი კასრი გამოეტანათ მისი სარდაფიდან და გლეხებს გამასპინძლებოდნენ. გალამბოშს კი სთხოვა, მისი საყვარელი თევზის უხა მოეხარშა. მოხუცი მეთევზე მარილაც შეუდარებელი ოსტატობით და დიდი გემოვნებით ამზადებდა ამ საქმეყნოდ ცნობილ კერძს!

უხას უნგრულად „ბუმდეგნაირად ამზადებენ: მოხარდილ ქვაბში ჩაკუწავენ საგანგებოდ შერჩეულ ნაკლებად მსუქან რბილ ნაჭრებს, დაასხამენ თევზის სისხლს და ჩააყრიან ბლომად ხახვს და წითელ წიწაკას. ერთი შეხედვით, თითქოს ძალიან იოლია, მაგრამ თავისებურ ცოდნასა და ხელის განსაკუთრებულ სიმარჯვეს მოითხოვს.

ტიმარმა თანამესუფრეებთან ერთად დიდი სიამოვნებით მიირთვა უხა, რომლის სურნელებამ და საუცხოო ღვინომ საიდანღაც ბოშებიც მოიზიდა. ან კი როგორ შეიძლებოდა, რა ნადიმი იქნებოდა მათი ცეცხლოვანი ცეკვებისა და მხიარული სიმღერების გარეშე.

შავგვრემანმა მომხიბლავმა მომღერლებმა მაშინვე მისი საყვარელი სიმღერა წამოიწყეს წინწილების თანხლებით:

„სიმებს მაგრად ჩამოჰკარით,
დღეს ბატონი ჩვენთან არი...

ლხინსა და დროსტარებას ბოლო აღარ უჩანდა. ბოშური სიმღერების მომაჯადოებელი ჰანგები მეზობელ სოფლებამდეც კი აღწევდა. მათ მიერ შესრულებულმა წმინდა დავითის ცეკვამ ყველა აღტაცებაში მოიყვანა. უცებ ერთმა სადღესასწაულოდ მორთულმა მშვე-

ნიერმა გოგონამ ტიმარი საცეკვაოდ გაიწვია. ყინულზე მოგიზგიზე რამდენიმე კოცონი იქაურობას ანათებდა და საგანგებოდ გაშლილ სუფრას დიდებულ იერს აძლევდა. ქეიფი შუაღამემდე გაგრძელდა. ამასობაში მეთევზეებმაც სანაპიროზე აშენებულ დიდ სარდაფში გადაიტანეს დარჩენილი თევზი.

სტუმრებმა გულუხვი მასპინძლის, თავად ლევეტინცის პატივსაცემად, მრავალი სადღეგრძელო შესვეს და ნაშუაღამევს ნელ-ნელა დაიშალნენ.

ტიმარს არ ეძინებოდა და სანამ გალამბოში თევზთა მეფეს ყუთში ჩაწყობილ ყინულებზე თივას აფენდა და საბურავს აჭედებდა, იქვე ტრიალებდა. ბოლოს ყუთი დიდი ამბით ჩადეს იმ კარეტაში, რომლითაც ტიმარი ჩამოვიდა და მეეტლეს უბრძანეს დაუყოვნებლივ კომარომში წაეღო.

მიხაილ ტიმეასთან წერილიც გაატანა, რომელშიც მეტისმეტი უშუალობითა და მხატვრული გემოვნებით აუწერა მზის ამოსვლა ბალატონზე, თევზაობა და ნადიმი ყინულზე, არც ის დაუმალა, მშვენიერ ბოშა ქალთან რომ იცეკვა.

ასეთ მხიარულ წერილებს წერენ ხოლმე ის ადამიანები, რომლებიც თავის მოკვლაზე ფიქრობენ.

მეთევზეთა მამასახლისი, გალამბოში ისევ ყინულზე ფუსფუსებდა.

— უკვე დროა შინ წახვიდეთ, — ბიძართა ტიმარმა მოხუცს, — თქვენ დღეს ბევრი იმუშავეთ და ძალიანაც დაიღლებოდით.

— არაფერია, ბატონო, ერთი კიდევ გავაჩაღებ ცეცხლს ყინულჭრილებთან, თორემ თევზის სენზე მშიერი მგლები მოგვაყენებენ. თქვენ მათ არ იცნობთ, დასხდებიან ამოჭრილ ყინულთან და, როგორც კი თევზი გამოჩნდება, მაშინვე პირს სტაცებენ.

— თქვენ წადით, დაისვენეთ, — უთხრა ტიმარმა, — მე მაინც არ მეძინება, მთელ ღამეს აივანზე გავატარებ და თუ ახლოს გაბედავენ მოსვლას, თოფს ვესვრი.

გალამბოშმა მადლობა გადაუხადა და დაეშვიდობა.

მოხუცი მევენახეს უკვე მკვდარივით ეძინა, მან ცოტა ზედმეტი გადაჰკრა ნადიმზე, თანაც ყურთ აკლდა და ზარბაზანიც რომ გაესროლა ვინმეს, მაინც ვერ გაიგებდა.

ტიმარი თავის ოთახში ავიდა და ბუხარში ცეცხლი დაანთო.

ძილი არ ეკარებოდა, ისევ აივანზე გამოვიდა და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ახედა.

ზამთრის ნათელი ღამე იყო. ცაზე ვარსკვლავები კაშკაშებდა. მათ შუქს გაყინული ტბის ზედაპირი ირეკლავდა და საოცრად ჰგავდა კათოლიკურ სასაფლაოს მიცვალებულთა მოხსენიების დღეს, როცა ყველა საფლავზე სანთელს აანთებენ ხოლმე. განსაკუთრებით ბრწყინავდა სატურნი, ვეგა, არკტური, გედის თანავარსკვლავედი, ქალწული და ვერონიკას ნაწნავი.

როცა ადამიანი ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შეჰყურებს და ვეღარც სიცივესა გრძნობს და ვეღარც საკუთარ გულის ცემას, მაშინ ისვენებს მხოლოდ.

IV. ᲛᲝᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ

ტიმარი ისევ აივანზე იდგა და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შეჰყურებდა. სამარისებური სიჩუმე იყო ირგვლივ.

— საღამო მშვიდობისა, ბატონო! — მოესმა უცებ ოთახიდან.

ფიქრებში წასული წამით შეკრთა, მაგრამ მალევე გამოერკვა და ოთახში შევიდა, რომელიც ლამპისა და ბუხრიდან გამოსული შუქით კარგად იყო განათებული. მეორე, კიბეზე გამავალ კარებში, ვიღაც ახალგაზრდა კაცი იდგა.

ტიმარმა ერთი შეხედვით ვერ იცნო...

...მაგრამ მიხვდა კი, ვინც უნდა ყოფილიყო... და ადგილზევე გაქვავდა შეძრწუნებული. ეს ის მოჩვენება იყო, რომელსაც იმ ღამეს ყინვასა და თოვლში სახლიდან გამოექცა და ნისლში გზააბნეული რამდენიმე საათს გაყინულ მდინარეზე დაეხეტებოდა...

ტანსაცმელი საზღვაო ოფიცრისა -ეცვა, უკვე საკმაოდ გაცვეთილი და მხრებთან გამოხუნებული. საყელოზე ოქროს ზორტი შემოსძრობოდა, რამდენიმე ღილიც ასწყვეტოდა. მარჯვენა სახელო იდაყვის თავთან გამოგლეჯოდა და თეთრი ძაფით დაეკერებინა. შემოცვეთილი საზღვაო ფეხსაცმელებიდან თითები მოუჩანდა, რომლებზეც ძონძები ჰქონდა დახვეული.

საშინელი შესახედავი იყო, მზემოკიდებულ სახეზე სპილენძისფერი გადაჰკრავდა, წვერიც მოეშვა, ცალი თვალი შავი აბრეშუმის ნაჭრით ჰქონდა ახვეული.

— ვინა ხართ? — დაუყვირა ტიმარმა.

— აი, აი, აი, ნუთუ მართლა ვერ მიცანით, ჩემო საყვარელო მამიკო? — დამცინავი ღიმილით ჰკითხა უცნობმა.

— კრისტიანი? — ჩაილაპარაკა მოულოდნელობისაგან სახტად დარჩენილმა ტიმარმა.

— დიახ, დიახ! სწორედ თქვენი ტოდორიკო ვარ, თქვენი შვილობილი, მოხარული ვარ, რომ მიცანით.

— რა გნებავთ?

— უპირველესად ყოვლისა, თქვენი ორლულიანი თოფი უნდა ავიღო, მეშინია ჩემი სიტყვებით არ ისარგებლოთ, გამოთხოვებისას რომ გითხარით: „თუკი ოდესმე თვალში მოგედებით, მესროლეთ ყოველგვარი გამოკითხვისა და გასამართლების გარეშე-მეთქი!“ ახლა, თქვენ წარმოიდგინეთ, სულ სხვა აზრისა გახლავართ!

ამ სიტყვებით იქვე კუთხეში მიყუდებულ თოფს ხელი წამოავლო, ჩახმახი შეაყენა და ბუხართან ახლოს სავარძელში გამოიჭიმა.

— ახლა კი, ჩემს ამბავს მოგახსენებთ, შორი გზიდან მოვდივარ და ძალიან დავიღალე, კარეტა დამემტვრა გზაში.

— რა გნებავთ ჩემგან? — ცივად გაუმეორა ტიმარმა.

— კარგი იქნება რიგიან ტანსაცმელს თუ მიბოძებთ, ჩემი უკვე აღარ ჩაიცმება.

ტიმარმა უხმოდ გამოიღო კარადიდან ახალთახალი კოსტიუმი, კრაველის საყელოთი გაწყობილი ქურქი, ფეხსაცმელები, ქუდი და იატაკზე დაუყარა.

მაწანწალამ მარცხენა ხელით აიღო ტანსაცმელი და კმაყოფილებით შეათვალიერა. ცალი ხელით ისევ თოფი ჰქონდა მომარჯვებული.

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ მაინც რაღაც აკლია. ჩემი აზრით ასეთი დიდებული კოსტიუმის ჯიბეს სავსე ქისა ძალიან მოუხდებოდა!

ტიმარმა ისევე უხმოდ ამოიღო საწერი მაგიდის უჯრიდან საფულე და გადაუგდო.

დაუპატიჟებელმა სტუმარმა ჰაერშიევ დაიჭირა, კბილებით გახსნა და თვალის დახამხამებაში გადათვალა საკმაოდ მსხვილთანხიანი ბანკნოტები.

— სავსებით საკმარისია, პირველ ხანებში მეყოფა, ოღონდ ერთი

პატარა თხოვნა მაქვს კიდევ: დიდად დამავალებთ, თუ ამ ტანსაცმელის შესაფერ თეთრეულსაც გამომძიებნით, თორემ უკვე ორი კვირაა არ კაბინიცულია და მისი ტარება უხერხულია.

ტიმარმა თეთრეული და თეთრი პერანგიც გადმოუღო.

— ახლა კი შეშიძლია ტანსაცმელი გამოვიცვალო! — უტიფრად ვაიღიმა კრისტიანმა, — ოღონდ, თქვენ რომ ჩემმა ჭრილობებმა არ ვანვაცვიფროთ, ყველაფერს დაწვრილებით აგიხსნით. თუმცა, რა საჭიროა ეს „თქვენ“, ჩვენ ხომ ერთმანეთისთვის უცხონი არა ვართ? თავისუფლად შეგვიძლია შენობით: ვილაპარაკოთ!

ტიმარი უხმოდ მიუჯდა თავის საწერ მაგიდას.

— მე მგონი, კარგად გემახსოვრება, ამ რამდენიმე წლის წინ ბრაზილიაში რომ გამგზავნე? გამოგიტყდები, აღფრთოვანებული ვიყავი შენი ბზრუნველობით, მამაც კი გიწოდე, შემოგფიცე, რომ პატიოსნებაზე დავდებდი თავს. გენდობოდი და მჯეროდა თითოეული შენი სიტყვა, მაგრამ შემდეგ დავრწმუნდი შენს მუხანათობაში და მიგიხვდი ფარულ აზრებს. შენ მაშინ არც ჩემი გამოსწორება გადარდებდა და არც ჩემი მომავალი, გზაზე გადაგეღობე და გადაწყვიტე — თავიდან მოგეშორებინე. შესანიშნავად კი მოიფიქრე, იქ სულ ადვილად შეიძლება ადამიანი დაიღუპოს! გეგონა რაიმე იქაური ავადმყოფობა მომიღებდა ბოლოს ან ზღვაში ჩავიხრჩობოდი, ვინმეს შემოვაკვდებოდი ჩემი ავკაცობისათვის ან ისეთ დანაშაულს ჩავიდენდი, რომ სამართალში მიმცემდნენ, ერთი სიტყვით, საბოლოოდ ჩამომიშორებდი გზიდან.

ტიმარი თავჩაღუნული იჯდა და თვალს ვეღარ უსწორებდა, ძალა აღარ ჰყოფნიდა, შეპასუხებოდა და თავი დაეცვა.

არამზადამაც იგრძნო თავისი უპირატესობა და უფრო გამომწვევად განაგრძო:

— უამრავი ფული მომანდე, მაგრამ მისი დაკარგვა შენთვის დიდი დანაკლისი არ იქნებოდა. განა ასე არ არის? შენ ამით მახე დამიგე, ვარაუდობდი, რომ ადრე თუ გვიან გაგქურდავდი და ციხე არ ამცდებოდა. ყველაფერი მართლაც ისე მოხდა, როგორც ჩაიფიქრე. ჯერ იყო და, სამჯერ გავხდი ავად, მაგრამ სამივეჯერ შემიწყალა უფალმა და, როგორც ხედავ, ცოცხალი გადავრჩი, ამის შემდეგ გავფლანგე სწორედ ათი მილიონი რეისი! ჰა-ჰა-ჰა! ათი მილიონი! როგორც ის წყეული ესპანელები ანგარიშობენ, თორემ ჩვენებურად

ბევრი-ბევრი ასი ათასი ფორინტი თუ იქნება. ისე, შენ რომ იცოდე, რა ქალები არიან ბრაზილიაში და როგორ შვენით მარგალიტის ყელსაბამები, ეს თანხა არც ისე დიდად მოგეჩვენებოდა! იქაური ლამაზმანების სიყვარული დღესაც არ გამნელებია, მაგრამ რას იზამ, გაჰქრა ყოველივე ძშვენიერი სიზმარივით! კაცს რაცა აქვს, იმას უნდა დასჯერდეს, და როცა ანანასს ვეღარ მიართმევენ, კარტოფილით უნდა დაკმაყოფილდეს!

არამზადას გული აუჩვილდა.

— შენმა ესპანელმა საქმის მწარმოებელმა თავისი მოკლე ჭკუით უმძიმეს დანაშაულად ჩამითვალა ახალგაზრდული შეცდომა და ჩემი სამართალში მიცემა მოითხოვა, გულქვა მოსამართლეებმა კი თხუთმეტი წლით საზღვაო კატორღა მომისაჯეს. გულზე ხელი დაიდე და მიპასუხე, განა ეს ბარბაროსობა არ არის?

ტიმარს გააკრჭოლა.

— ბოლოს, ესეც არ მაკმარეს და, ალბათ, იმის შიშით, რომ ხელიდან არ დავსხლტომოდი, მხარზე გავარვარებული შანთით სახრჩობელის გამოსახულება ამომიწვეს! — ამ სიტყვებით მან ჩამოიგლიჯა ჭუჭყიანი პერანგი მარცხენა მხრიდან და მუარე ღიმილით მეწამული ფერის დამღაზე მიუთითა.

— აი, დასტკბი! ისე დამდაღეს, თითქოს შენი საქონელი ვყოფილიყავი. იმათ რა იცოდნენ, რომ მე უამისოდაც არ ვაპირებდი შენგან გაქცევას, პირიქით!

შეძრწუნებული ტიმარი თვალს ვეღარ აცილებდა ამ ავბედით, კატორღისეულ ნიშანს.

— ამის შემდეგ კინწისკვრით შემაგდეს გალერაზე და ათგირვანქიანი ჯაჭვით მიმაბეს გემბანზე, ფეხებზე დღესაც მემჩნევა ბორკილის ნაკვალევი.

მან ძირგავარდნილი ფეხსაცმელები გაიხადა და ნაჭრილობევი დაანახა კოჭებზე.

— ესეც შენს სახსოვრად უნდა ვატარო სიკვდილამდე!

ტიმარმა თვალი აარიდა მის დასახიჩრებულ ფეხებს.

— მაგრამ ბედი მთლად არ გასწირავს თურმე კაცს, დიდია განგების ძალა! ზოგჯერ სიხარულსაც ვაიმეტებს ხოლმე ტანჯულისთვის. ასე მოხდა ახლაც! გემბანზე, სადაც ძაღლივით მიმაბეს ჯაჭვით, ერთი წვერაბურძგნილი მოხუცი დამხვდა გვერდით. იმასაც ჩემსავით

თხუთმეტი წელი ჰქონდა მისჯილი. მე, რა თქმა უნდა, კარგად შევათვალიერე ჩემი ცხოვრების ახალი თანამგზავრი, რომელთანაც ერთად საკმაოდ დიდი დრო უნდა გამეტარებინა. მისი სახე ძეცხაურა რატომღაც და ესპანურად ვკითხე: „სენიორ, მე მგონი, თქვენს ბრწყინვალებას სადღაც შეეხვედრივარ!"

„შეიძლება მნახე კიდევაც, დაგვესოს თვალები!" — შემომძიღრინა მოხუცმა.

„ეფენდი, თურქეთშიც ხომ არა ხართ ნამყოფი?" — მივმართე ახლა თურქულად.

„თურქეთშიც ვყოფილვარ, მერე რა გინდა?"

„კრისტიანი ხომ არა ხართ გვარად?" — შევეკითხე ბოლოს უნგრულად.

„დიახ!" — მიპასუხა განცვიფრებულმა ძოხუცმა და ახლაღა შემომხედა.

„მაშ, ნება მიბოძეთ, წარმოგიდგეთ, თქვენი ერთადერთი უძვირფასესი ვაჟი, ტოდორი!"

— ჰა-ჰა-ჰა! შენ ვერ წარმოიდგენ, რას ნიშნავს, იპოვო ამდენი ხნის დაკარგული მამა დედამიწის მეორე ნახევარსფეროში და ისიც საზღვაო კატორღაში! ეს ნამდვილი სასწაული იყო! ბედისწერამ თითქმის ერთმანეთის უნახავი მამა-შვილი შეგვახვედრა ერთმანეთს! ჰა-ჰა-ჰა! — ისე, ურიგო არ იქნებოდა საჭმელ-სასმელი მოგეტანა ჩემთვის, თორემ მგელივთ მშია, მოსაყოლი კი ჯერ ბევრი მაქვს.

ტიმარმა უხმოდ გამოუტანა პური, ლორის ნაჭერი და ღვინო.

ტოდორი მაგიდას მიუჯდა, თოფი მუხლებს შუა ჩაიდო და ხარბად დაუწყო ჭამა, ღვინოც დიდი სიამოვნებით დალია და გამოტენილი პირით განაგრძო:

— როგორც კი ჩემთან შეხვედრის სიხარულით თავბრუდასხვეული მამიკო გონს მოვიდა, მოფერებით თავზე ხელი წამომარტყა და მკითხა: „აბა, ახლა მომიყევი, შე არამზადავ, როგორ მოხვდი აქ?" მე. რა თქმა უნდა, მშობლისადმი მოკრძალებამ ნება არ მომცა ასეთივე შეკითხვა მიმეცა უიღბლო მამაჩემისათვის და გულახდილად ვუამბე, როგორ შემომეფლანგა ბატონ მიხაი ტიმარის ათი მილიონი რეისი. „მერე და საიდანა აქვს მას ამდენი ფული?"—დაინტერესდა მოხუცი. მე ავუხსენი მას, რომ ბატონ ტიმარს არავისათვის არაფერი მოუპარავს, რომ ის უმდიდრესი კაცია, ყველასაგან პატივცემული,

ცნობილი ვაჭარი და ღამრავი გემების მეპატრონე. „სულ ერთია!— თავისას არ იშლიდა მამაჩემი,—ამ ენი ფული თავისით არ მოდის, ოქროები ციდან არ ცვივა, ყველა, ვისაც კი ფული აქვს, ქურდია! და რაც უფრო მდიდარია კაცი. ჩანს, მით უფრო მეტი მოუპარავს ან მისი მამა-პაპა ყოფილა ქურდი! ქურდობის ასოცდაცამეტი სიბერობა არსებობს ამქვეყნად, მაგრამ მათ შორის მხოლოდ ოცდასამია საშიში და იმას მიჰყავს კაცი კატორღამდე“. დავრწმუნდი, რომ მასთან დავა უშედეგო იყო და აღარ შევკამათებივარ.

„მაინც საიდან გადაეყარე ამ ტიმარს?“ — მკითხა ისევ მამაჩემმა.

მე მოვუყევი, როგორც იყო.

„იმ ბატონს ჯერ კიდევ მაშინ ვიცნობდი, როცა უბრალო, ღარიბი შკიპერი იყო და საკუთარი ხელით ფცქვნიდა კარტოფილს.“ არც ის დამიმალავს, ერთხელ თურქეთის პოლიციის დავალებით სამხედრო გალერით რომ დავედევნე ერთ ლტოლვილ ფაშას, რომელიც სწორედ ტიმარის გემით მიდიოდა უნგრეთში.

ამ სიტყვების გაგონებაზე მამაჩემმა წარბები შეიკრა და ისე აუთანამდა ახლადამოსული ჯაგარი კეფაზე, რომ ახლაც ძლივს ვიკავებ სიცილს.

— იმ ფაშას სახელი ხომ არ გახსოვსო? — მკითხა მაშინვე.

ალი ჩორბაჯი-მეთქი, მივუგე.

„ალი ჩორბაჯი!“ — იღრიალა რაღაც არაადამიანური ხმით და ისე წამოვარდა ცოფიანივით, ჯაჭვით რომ არ ყოფილიყო მიბმული. ალბათ ზღვაში გადავარდებოდა.

„შენ რა, იმ ფაშასაც ხომ არ იცნობ?“ — ვკითხე გაოცებულმა.

თავზარდაცემულმა შემომხედა და, ალი ჩორბაჯს რა დაემართაო, ესღა მკითხა მხოლოდ.

„ტიმარის გემს კუნძულ ოგრადინთან დავეწიე, — გახვაგრძე ამბის მოყოლა, — გზა გადავუჭერი და პანჩოვოში დავასმინე, სადაც გემი გაჩხრიკეს, მაგრამ ფაშა ვერ შეიპყრეს, გზაში გარდაცვლილიყო უეცრად და გვამი წყალში გადაგდოთ, ვინაიდან სანაპიროზე მისი დასაფლავების ნება არ მიეცათ, რაზედაც ტიმარს სათანადო საბუთები აღმოაჩნდა“.

„და მაშინ ის ტიმარი ღარიბი იყო?“ — მკითხა მამაჩემმა.

„ჩემსავით.“

„ახლა კი მილიონერია, არა?“

„დიახ, და სწორედ იმ მილიონებიდან გავუფლანგე ათი მილიონი რეისი!“

„ჰოდა აგაშენა ღმერთმა! მართალი მითქვამს წეღან, ის შენი ტიმარი ქურდია, მას მოუკლავს გზაში ალი ჩორბაჯი და მთელი მისი ქონება მიუთვისებია უსვინდისოდ“.

განცვიფრებულმა პირი დავაღე და ისე გავფითრდი მეტისმეტი მღელვარებისგან, როგორც შენ ახლა და ანგარიშმიუცემლად წამოვიძახე:

„გენიოსი ყოფილხარ, მამაჩემო, ასეთი რამ მე აზრადაც არ ‘ომმივიდოდა!“

„მაშ ყური მიგდე, — მითხრა მოხუცმა და მწარედ ჩაიცინა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი რისხვით ანთებული თვალები. — მე ძალიან ახლოს ვიცნობდი ალი ჩორბაჯის, არც ის იყო წმინდა წყლისა, სიმდიდრე პატიოსანი გზით არ მოდის, ოღონდ ის ასოცდამეორე და ასოცდამესამე თანრიგის ქურდი იყო, რომელშიც გუბერნატორები და ხაზინადრები შედიან. ალი ჩორბაჯის ჩაბარებული ჰქონდა ყველაზე დიდი, ასოცდამეცამეტე თანრიგის ქურდის, თვით სულთანის მიერ მოპარული განძეული. იმხანად მე თურქეთის საიდუმლო პოლიციაში ვმუშაობდი. ერთ მშვენიერ დღეს ყური მოვკარი, რომ ასოცდამეთორმეტე თანრიგის ქურდმა, დიდმა ვეზირმა მთავარი ხაზინადრის დაღუპვა და მისი განძეულის მითვისება განიზრახა. მე, როგორც პოლიციის უბრალო მოხელე და გაკოტრებული ვაჭარი, ასე მეათე თანრიგის თაღლითად თუ ჩავითვლებოდი, მაშინვე გადავწყვიტე მომენტი გამომეყენებინა და ერთი ხელის დაკვრით ორმოცდაშვიდ თანრიგისთვის მიმეღწია. მივედი ხაზინადართან და საიდუმლო გავანდე, რომ რამდენიმე უმდიდრეს დიდებულთან ერთად დიდ ვეზირს განზრახული აქვს, მასაც შეთქმულებაში მონაწილეობა დასწამოს, სახრჩობელაზე აიყვანოს და მათი ქონება მიითვისოს. „რას მომცემ, შენი ქონებიანად რომ გადაგარჩინო?“ — ვკითხე ფაშას. ალი ჩორბაჯიმ კარგი გასამრჯელო შემომაძლია, თავისი განძეულის მეოთხედს შემპირდა, თუკი მართლა მივეხმარებოდი გაქცევაში. მაინც რამდენია თქვენი განძეული, — ვკითხე ფაშას, — ხომ უნდა ვიცოდე, ღირს თუ არა თავის გაწირვად? მე ვაჟიშვილი მყავს და მოვალე ვარ მის მომავალზეც ვიზრუნო!“

ჰა-ჰა-ჰა! თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ უბრწყინავდა სახე ამის თქმისას.

„როგორ, შენ ვაჟიშვილი გყავს? — მკითხა ფაშამ. — თუ გაქცევას მოვახერხებ, ჩემს ერთადერთ ქალიშვილს მივათხოვებ და მთელი ჩემი ქონება მაინც ჩვენს ოჯახში დარჩება. დღესვე გამაცანი შენი ვაჟიშვილი. (ეჰ, რა ვიცოდი მაშინ, რომ ის ფერმკრთალი ბზეთუნახავი ჩემი უნდა გამხდარიყო) ეშმაკმა დალახვროს! ისევ ღვინოში უნდა ჩავიკლა დარდი! რა გაეწყობა, ადამიანის ბედის ჩარხი ზოგჯერ უკეთესმა ტრიალებს! ამ სასმისით კი, ნება მიბოძე, მისი ბრწყინვალეების, ლამაზთა შორის ულამაზესი ქალის სადღეგრძელო შევსვა!!

ამ სიტყვებით ფეხზე წამოდგა, მეტისმეტი მოწიწებით დალია საუცხოო ღვინო, შემდეგ ისევ სავარძელში გამოიჭიმა და განაგრძო:

— ჩემი მამიკო, რა თქმა უნდა დათანხმდა. „ჩვენ მოვილაპარაკეთ, — მითხრა მან, — რომ ალი ჩორბაჯი თავის განძეულს ტყავის პარკში ჩაალაგებდა და მე გადმომცემდა, მე კი, როგორც ეკვმიუტანელი პირი, სრულიად თავისუფლად ჩავიდოდი ინგლისის გენით მალტამდე და იქ დაველოდებოდი. ალი ჩორბაჯი და მისი ასეული, ვითომდა გასართობად გაემგზავრებოდნენ ყოველგვარი ბარგის გარეშე პირების ყურემდე, საიდანაც ძნელი აღარ იყო მალტაში ჩამოსვლა. ფაშამ დიდი ნდობა გამომიცხადა: მასზე ეკვი რომ არავის აეღოთ, საღაროში მე შემაგზავნა განძის გამოსატანად. ძვირფასეულობიდან რაც კი მომეწონებოდა, ტყავის პარკში უნდა ჩამეწყო და თან წამომეღო. ახლაც კი სათითაოდ შემიძლია ჩამოგითვალო, რაც მაშინ იქ ამოვარჩიე: უძვირფასესი პატიოსანი თვლები, მარგალიტის ყელსაბამები, ბეჭდები, გულსაბნევები, დუგმები, ლალითა და ალმასით სავსე აგატის კოლოფი, მერე და, რა ალმასები იყო, თხილის ოდენა!“

„ერთი მაინც ჩაგედო ჯიბეში“. — ვუთხარი მოხუცს.

„ბრიყვო! ამისთანა წვრილმანზე ხელს როგორ გავისვრიდი, როცა მთელი განძის ხელში ჩაგდება შემეძლო! ამას ხომ მეთვრამეტე თანრიგის ქურდი ჩაიდენდა მხოლოდ!“

„ოჰო, შენ აღარ ხუმრობ, მამაჩემო!“

„თუმცა, შენ მართალი ხარ, დღესაც ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, ერთი იშვიათი ნივთი რომ არ ჩავიდე ჯიბეში, რომელიც ყველაზე მეტად მომეწონა; ეს იყო ორ წყებად შემოვლებულ ბრილიანტებში ჩასმული მედალიონი ალი ჩორბაჯის ულამაზესი მეუღლის პორტრეტით...“

...ტიმარი მთლად გაფითრდა და მომაკვდავივით მოეღრიცა სა-

ხე. მისი საიდუმლო და, შეიძლება სიცოცხლეც, ისეთი არამზადის ხელში აკო, რომელიც არაფრის გულისთვის არ დაინდობდა...

„როგორც კი ავავსე ტყავის პარკი ძვირფასეულობით, — განაგრძო მამაჩემმა, — მაშინვე ფაშას მივურბენინე, მან შიგ კიდევ რამდენიმე შეკვრა ოქროს ლუიდორები ჩააწყო, პირი მაგრად მოაკრა, კლიტე დაადო და დალუქა. ამას რომ მორჩა, ტახტრევანდის მოსაყვანად გამგზავნა, რომლითაც ნავსადგურამდე უნდა მიმეტანა ძვირფასი ტვირთი. მისი აზრით ასე უფრო საიმედო იქნებოდა, გარეშე თვალი საეჭვოს ვერაფერს შეამჩნევდა. თხუთმეტ წუთში ისევ დავბრუნდი. ფაშამ თავის ხელით მომაწოდა დაპლომბილი პარკი, რომელიც დიდი ამბით დავმალე წამოსასხამს ქვეშ, ბაღზე გავლით მიყრუებულ ქუჩაზე გავედი და ტახტრევანდში ჩავჯექი. გზაში რამდენჯერმე მოვსინჯე გარედან ხელით განძეული, სათითაოდ ვგრძნობდი ალმასებსა და ბრილიანტებს, მარგალიტებსა და ოქროს ლუიდორებს. ერთი საათის შემდეგ კი ამაყად დავაბიჯებდი ინგლისის ხომალდის გემბანზე და ქვეყანა ჩემი მეგონა. სულ მალე გემმა ღუზა აუშვა და დასტოვა ნავსადგური „ოქროს რქა“.

„მე კი არც გაგაკვირვებ — ვუსაყვედურე მოხუცს. — მე ხომ ალი ჩორბაჯის მზეთუნახავი ასული უნდა შემერთო ცოლად?“

„სულელო! რაში მჭირდებოდით ან შენ და ან ფაშა თავის მზეთუნახავი ასულით? არც მალტაში წასვლა მიფიქრია. როგორც კი განძეული ხელში მოვიგდე, ამერიკაში წასვლა გადავწყვიტე. ბაგრამ სხვისი მოღალატე არც მე დამინდო ბედმა! ჩასვლისთანავე ერთი მყუდრო, მიუვალი ადგილი მოვძებნე, სადაც ეშმაკიც ვერ მომაგნებდა და გულის ფანცქალით გავხსენი პარკი, მაგრამ სჯობდა რომ არ გამეხსნა. შენ ვერც კი წარმოიდგენ იმას, რაც მე მაშინ განვიცადე! თვალ-მარგალიტისა და ოქროულობის ნაცვლად სპილენძის ღილები და ჟანგიანი ნალები გადმოცვივდა, აგატის კოლოფის ნაცვლად, თიხის სამელნე შემრჩა ხელში, ოქროს ლუიდორები კი შავ ფულად იქცა, რითაც კაპრალის ერთი კვირის ხელფასი თუ გამოვიდოდა. მოკლეთ, კარგად გამაბრიყვა და სულ მშრალზე დამტოვა! მე ასე, ასოცდაცამეტი თანრიგის ვერცერთი ქურდი ვერ გამაცურებდა, მის საქციელს თანრიგსაც კი ვერ შეუფარდებ“

ამ სიტყვებზე მოხუცს ცრემლები გადმოსცვივდა სიმწარისაგან.

„ღღესაც ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის! მაინც როგორ უსვინდისოდ მომატყუა! სანამ მე ტახტრევანდს მოვიყვანდი, პარკი რკი-

ნის ნამტვრევებითა და სპილენძის ღილებით ამოვსო, განძეული კი თვითონ გაიტაცა და სულ სხვა მიმართულებით გაემგზავრა, სრულიად უსასყიდლოდ დამტყუა საიდუმლო, რომლის წყალობითაც მტრებს ხელიდან დაუსხლტა და სახრჩობელას გადარჩა. მაგრამ დიდია ღმერთისა განგება! ბედისწერამ თავისზე უფრო გაქნილ გაიძვერას შეჰყარა, რომელმაც გზაში ანდერძი აუგო და მისი ქონება მითვისა".

— და ეს ყველაზე დიდი ქურდი და სწორუპოვარი არამზადა, რომელმაც ყველა თანრიგის თაღლითების მოტყუება შესძლო, შენ ხარ, ჩემო საყვარელო მეგობარო, „ოქროკაცი" მიხაი ტიმარ ლევეტინცი — დამცინავი ღიმილით მიახალა ტოდორმა და თან მდაბლად დაუკრა თავი, რომ უფრო მეტად გაესვა ხაზი მისი დანაშაულისთვის.

ტიმარმა სიტყვის თქმა ვეღარ მოახერხა.

— ახლა კი მთავარზე გადავიდეთ, ოღონდ ყოველ შემთხვევისთვის, სამ ნაბიჯზე მეტად ნუ მომიახლოვდები და ნუ დაივიწყებ, როგორ მიზანში მყავხარ ამოღებული.

ტიმარმა გულგრილად შეხედა მისკენ მომართულ ლულას და გაახსენდა, როგორ გატენა თავისი ხელით რამდენიმე დღის წინ.

— მამაჩემის ნაამბობმა საშინლად ამაღელვა და გადავწყიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, კატორღიდან გავქცეულიყავი, — განაგრძო ავანტიურისტმა. — განა შემეძლო, შევრიგებოდი იმ აზრს, რომ წვრილმანი ქურდობისათვის მე კატორღაში მიკარი თავი, მაშინ, როცა შენ თვითონ ამდენი გქონდა მოპარული? ალი ჩორბაჯის ქონება შენს მაგივრად მამაჩემს რომ ჩაეჯიბა, ახლა უბედნიერესი კაცი ვიქნებოდი და უბატონოდ სიტყვის თქმასაც ვერავინ გამიბედავდა ვერც იმის ჩხრეკას დაიწყებდნენ, საიდან იშოვა სიმდიდრე მამაჩემმა. ახლანდელი ბარონებისა და გრაფების წინაპრებს, რაინდ-ყაჩაღებსაც ხომ ასეთივე გზითა აქვთ ნაშოვნი ქონება! გულზე ცეცხლი მეკიდებოდა და ვფიქრობდი, იმის ნაცვლად, რომ ფუფუნებაში მეცხოვრა, აქ, ამ აყოლებული გალერის გემბანზე უნდა დავლპე ზეზეურად და საშინელ ტანჯვაში ამომხდეს-მეთქი სული? რატომ, რისთვის? მხოლოდდამხოლოდ იმიტომ, რომ მიხაი ტიმარმა არა მარტო განძეული ამაცალა თვალსა და ხელს შუა, არამედ წამართვა უკაცრიელ კუნძულზე გაზრდილი ველური ქერა გოგონაც, რომელიც ცოლად უნდა შემერთო! ეს პატარა არსებაც კი არ გაიმეტ:

ჩემთვის. ულამაზეს ცოლთან ერთად საყვარელიც მოუნდა! ისე, რაღა თქმა უნდა, ბედნიერი ვერ იქნებოდი ქალთან, რომელსაც მაძა მოუკალი! აქაც გაიძვერობას მიმართე და უპატიოსნესი ოქროკაცის წმინდა სახელი რომ არ შეგებღალა, არ ისურვე საყვარლად გაგეჩინა რომელიმე მომხიბლავი ბალერინა. როგორც ამას კარგი გემოვნების შეძლებული კაცი გააკეთებდა, არა! შენ თვალში მოგივიდა ადამიანთა საზოგადოებას მოწყვეტილი ერთი უბრალო გოგონა, რომელსაც ვერავინ გაკილავდა უღირსი საქციელისთვის და ბატონი ტიმარის სატრფიალო ამბებიც ჩრდილში დარჩებოდა. რა სიმდაბლეა, ბატონო ტიმარ! მხოლოდ იმიტომ მიმაჯაჭვე თხუთმეტი წლ. თ გალერის გემბანს, რომ შენთვის, აკრძალული სიყვარულით დატკბობაში ხელი არავის შეეშალა!

შეტევაზე გადასული არამზადა ტიმარს ამოსუნთქვის საშუალებას აღარ აძლევდა.

მართალია, არც ერთი მისი ბრალდება სინამდვილეს არ შეეფერებოდა: მას არც ტიმეას მამა „მოუკლავს", არც მისი განძეული „მოუპარავს", არც ნოემი „შეუცდენია". და არც ტოდორი „მიუჯაჭვია გალერის გემბანზე"... მაგრამ თავის დაცვა მაინც არ შეეძლო. ისე იყო გაბმული მახეში, რომ ვერც ერთი დანაშაულიდან თავს ვერ დაიძვრენდა.

მისი სისუსტით ფრთებშესხმული საზიზღარი ბოროტმოქმედი კი განაგრძობდა:

— როცა ჩვენმა გალერამ ბარა დო რიო დო გრანდე დო სულ-ის ყურეში ჩაუშვა ღუზა, მოულოდნელად ყვითელმა ციებამ იფეთქა. ბევრი გახდა ავად და მათ შორის მამაჩემიც. არავის უფიქრია მისი წაყვანა. მათი აზრით, კატორღელი იქვე უნდა მოკვდეს, სადაც არის მიჯაჭვული. ასეთი ავადმყოფის გვერდით ყოფნა, ყველა დამემოწმება, არც თუ ისე სასიამოვნოა, მთელი დღეები კანკალებდა, კბილებს ერთმანეთზე აცემინებდა და თან სულ იწყევლებოდა და იგინებოდა. განსაკუთრებით კი წმინდა მარიამს ლანძღავდა. განა ეს მოსათმენია? წმინდანი მამაკაცები მაინც რომ ეგინებინა, კიდევ არაფერი, მაგრამ მადონას აუგად ხსენება ჯენტლმენისთვის ყოვლად მიუღებელია! მას ხომ ესპანურადაც შეეძლო გინება, ყველა კატორღელისთვის გასაგებ ენაზე, მაგრამ არა, მაინცდამაინც უნგრულად ილანძღებოდა. ღმერთების ასეთი უპატივცემულობა, ასეთი უშვერი სიტყვებით წმინდანების ხსენება აუტანელი იყო ჩემთვის. ბო-

ლოს მისმა წრესგადასულმა თავხედობამ მოთმინებიდან გამომიყვანა და წავეჩხუბე. მის გვერდით ყოფნა უკვე აღარ შემეძლო. გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, გამოვქცეულიყავი. არ იფიქრო, მისი სიკვდილის ყურება მიმძიმდა, არა, არც ციების გადადებისა მეშინოდა, თუმცა ეს არც თუ ისე სასიამოვნო იქნებოდა, არა. მთავარი ის იყო, რომ მისი ლანძღვა-გინების მოსმენა აღარ შეძეძლო. მართალია, ჩვენ მამაშვილობის ძლიერი გრძნობა გვაკავშირებდა ერთმანეთთან, მაგრამ ახლა ესეც უძლური აღმოჩნდა. კიდევ ორი კატორღელი ავიყოლიე და გაქცევის გეგმა შევიმუშავეთ სულ მალე ყველაფერი მზად გვქონდა, მაგრამ მოხუცისა გვეშინოდა, რომ ყვირილი არ აეტეხა და მოთმინებით ველოდით, როდის დაკარგავდა გრძნობას. ბოლოს ეს ნანატრი დღეც დადგა, როგორც კი დაღამდა, საქმეს შევუდექით და ის-ის იყო გავიქლიბეთ ბორკილები, რომ ერთ-ერთმა ზედამხედველმა შეგვნიშნა და კინაღამ წყალში ჩაგვიყარა ამდენი შრომა. მაგრამ სანამ დაყვირებას მოასწრებდა, სული გავაფრთხობინეთ და ზღვაში გადავუძახეთ. შემდეგ დიდი სიფრთხილით ჩავუშვით ნავი წყალში და გავცურეთ. მალე ქარიშხალი ამოვარდა, ჩვენდა საუბედუროდ, და ზღვა საშინლად აღელდა. გაჭირვებით ვუმკლავდებოდით აბობოქრებულ ტალღებს, მაგრამ ის იყო ნაპირი გამოჩნდა, რომ ნავი გადაგვიბრუნდა. ერთმა ცურვა არ იცოდა და მაშინვე დაიხრჩო, მეორეს კი ზვიგენი წამოეწია და ჩემს თვალწინ გადაყლაპა. ახლაც ყურში მიდგას მისი განწირული ყვირილი. მხოლოდ მე გამიღიმა ბედმა და უვნებელი გამოვედი ნაპირზე. მიუხედავად იმისა, რომ შენ ღვთისმოშიში კალვინისტი ხარ, მე კი მართლმორწმუნე მუსლიმანი, ორივეს გვწამს იედისწერისა. როგორც კი ნაპირზე ფეხი შემოვდგი, ევროპაში დაბრუნება გადავწყვიტე, დღე და ღამე შენთან შეხვედრაზე ვოცნებობდი. ახლა მხოლოდ შენა ხარ ჩემი მამა, მეორეს, ალბათ, უკვე ზვიგენი გადაყლაპავდა. მისთვისაც ასე ეჯობებს, ჯოჯოხეთში მაინც აღარ მოხვდება, ზვიგენის მუცელში თვით ეშმაკიც ვეღარ მიაგნებს. — როგორ ვიშოვე ეს საზღვაო მუნდირი, სხვადასხვა პასპორტები და სამგზავრო ფული, ამას სხვა დროს გიამბობ, გაშლილ სუფრასთან რომ ვისხდებით, ახლა კი სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმე მაქვს შენთან. მე მგონი, თვითონაც კარგად ხედები, რომ ანგარიშები გვაქვს გასასწორებელი.

ავანტიურისტმა მარცხენა თვალზე აბრეშუმის სახვევი გაისწო-

რა. ყინვაში, სანამ ფეხით სასახლემდე მოაღწევდა, ჭრილობა ასტკივნოდა და ეტყობოდა, ძალიან აწუხებდა.

— მეგონა, კომარომში დამხვდებოდი, მაგრამ შენმა, საქმეთა მმართველმა მითხრა „საზღვარგარეთიდან“ ჯერ არ დაბრუნებულაო. მეტი რა გზა მქონდა, უნდა მომეცადა. დროს ყავახანებში ვატარებდი, ოფიცრების საზოგადოებაში. ჩემი მუნდირის წყალობით მათ ადვილად დავუახლოვდი. ხშირად დავდიოდი თეატრშიც. იქ ვნახე სწორედ ერთი მზეთუნახავი მომხიბლავი სევდიანი თვალებით, მაგრამ ისეთი მშვენიერი, რომ თვალი ვეღარ მოვაცილე. მე მგონი, ხვდები, ვისზედაც გეუბნები! მას ყოველთვის ვხედავდი ერთი ახალგაზრდა ულამაზესი ქალის თანხლებით ოჰ, რა თვალები ჰქონდა! ერთი შემოხედვით მომაჯადოვა! ქალს უნახავს გახდებოდი ის რომ მეკობრეთა ატამანი ყოფილიყო, სიამოვნებით გავხდებოდი მისი ბანდის წევრი, საზღვაო კატორღაზედაც კი არ ვიტყოდი უარს, თუკი მის გვერდით მიმბამდნენ გალერის გემბანზე ხუთი წლით. თუმცა, გვეყოფა, ახლა ამის დრო არ არის, სჯობს, საქმეზე ვილაპარაკოთ!

გადავწყვიტე მასთან დაახლოება, და ყოველ ღონეს ვხმარობდი მიზნის მისაღწევად. ერთხელაც ბედმა გამიღიმა, მის გვერდით მოვხვდი პარტერში; რაღა თქმა უნდა, შევეცადე მის გაცნობას და შენ წარმოიდგინე, უარი არ უთქვამს, მაგრამ როცა ვთხოვე, ნება მიბოძეთ სახლში გესტუმროთ-მეთქი, განმიცხადა, ქალბატონისა მერიდებაო. მაშინ მე მეტისმეტი თავაზიანობით ჩამოვუგდე სიტყვა მის უმშვენიერეს ქალბატონზე, რომლის ღვთაებრივი სახეც ყველა მნახველში მოკრძალებასა და თაყვანისცემას იწვევდა. თან ვითომდა სასხვათაშორისოდ დავძინე, რომ თურქეთში ყოფნისას ახლო ურთიერთობა მქონდა მის ოჯახთან და რომ მისი მომხიბლავი ქალბატონი საოცრად ჰგავს დედამისს.

„როგორ? თქვენ ჩემი ქალბატონის დედას იცნობდით? — მკითხა გაოცებულმა, — რამღენადაც ვიცი, ის სრულიად ახალგაზრდა გარდაცვლილა“.

„მე მხოლოდ მისი პორტრეტი ვნახე თქვენი ქალბატონის მამის ოჯახში. მისი ხშირი სტუმარი გახლდით. დედამისიც ულამაზესი ქალი ყოფილა, ასევეთვე მშვენიერი და ალებასტრივით ფერმკრთალი. პორტრეტი მედალიონში იყო ჩასმული, რომელსაც ორწყებად

ჰქონდა შემოვლებული ბრილიანტები. მისი ფასი, ალბათ, ასიათასზე მეტი იქნება".

„ესე იგი, თქვენც ნახეთ ეს უძვირფასესი სამკაული? მე მაჩვენა ქალბატონმა, როცა ბატონმა ლევეტინციმ საჩუქრად მიართვა..."

ტიმარმა სიმწარისაგან მუშტები მოკუმა.

— აჰა! ახლა სადღა წამიხვალ — დამცინავი ღიმილით მიმართა ავანტიურისტმა. — გამოდის, რომ ალი ჩორბაჯის ქალიშვილს აჩუქე ძვირფასი ნივთები, ოომლებიც მამამისს მოჰპარე!.. დანარჩენი განძეულიც შენ მიგითვისებია, როგორც ჩანს, ისინი ხომ ყველა ერთად იყო... თავს ვერაფრით იმართლებ, შენც ისეთივე არამზადა ხარ, როგორც მე, და ახლა ჩვენ ერთმანეთს გვინდა შენობით მივმართავთ, გვინდა ბატონობით, როგორც ტოლი ტოლს!

ტიმარი გაქვავებულივით იჯდა მტარვალის წინ, ვის ხელშიც ბედისწერამ ჩააგდო და აღარ იცოდა, რა ექნა. მისთვის ახლა თოფის დამიზნებაც კი აღარ იყო საჭირო, ფეხზე აღგომის თავი მაინც არა ჰქონდა.

— ისე, დიდხანს კი მალოდინე, ჩემო ძვირფასო! უკვე ვშიშობდი, ხომ არაფერი შეემთხვა-მეთქი, თანაც ფული შემომელია. მდიდარი დეიდის, ჩემი მოურავებისა და ბანკირების გამოგზავნილი კი ჯერ არ მიმიღია. თანაც ჩემთვის უკვე აუტანელი იყო ყველგან შენი ქების მოსმენა, როგორც უნიჭიერესი კომერსანტისა, უკეთილშობილესი ადამიანისა, რომელიც არაფერს იშურებს ღარიბ-ღატაკთა დასახმარებლად და როგორც სამაგალითო მეოჯახისა! ბევრი შერის თვალითაც კი შეჰყურებს შენს ოჯახურ ბედნიერებას და სანიმუშო ქცრად გთვლ ის'.. ჰაჰაჰა!

ტიმარმა თავი ჩაღუნა.

— მგონი, თავი შეგაწყინე, მაგრამ რა გაეწყობა? სულ ერთია, ბოლომდე უნდა გითხრა სათქმელი. ვეცდები, მხოლოდ მთავარზე ვილაპარაკო. ერთხელ ყავახანაში ვილაცამ გახსენა ჩემი თანდასწრებით, რაღა თქმა უნდა ქებათა-ქებით და პატივისცემით. ამდენი ხნის ლოდინით მოთმინებადაკარგული აღარაფერს მოვერიდე და საჯაროდ განვაცხადე, რომ ჩემი აზრით შეუძლებელი იყო ერთ ადამიანში ამდენი სიკეთე ერთად დატეულიყო. ამის თქმაზე ერთმა ოფიცერმა სილა გამაწნა. მართალი გითხრა, ამას არ მოველოდი და ვინანე კიდევაც შენი აუგად ხსენება. გადავწყვიტე ამიერიდან ენაზე კბილი დამეჭირებინა, მაგრამ გვიანღა იყო, იმ თავხედმა ოფიცერმა დუ-

ელში გამომიწვია შენი პატიოსანი სახელის შეგინებისთვის. როგორც შემდეგ შევიტყვე, ის დამთხვეული შენს ცოლზე ყოფილა თურმე შეყვარებული ჯერ კიდევ მის ქალიშვილობაში და ახლა მისი მეუღლის ღირსების დასაცავად საკუთარი სიცოცხლეც კი არ დაიშურა. ბედი გწყალობს პირდაპირ, ოქროკაცო! სამაგიეროდ მე მომხვდა კარგად შენი გულისთვის, იმ არამკითხემ ხმალი გადამამტვრია თავზე და შუბლი გამიჩეხა, აი, დასტკბი!

კატორღელმა აბრეშუმის სახვევი აიწია და საკმაოდ დიდი ჭრილობა გამოაჩინა, რომელზეც ჭუჭყიანი სალბუნი ჰქონდა დაკრული. ჭრილობა ჯერ არ შეხორცებოდა, ნაპირები ისევ შეწითლებული ჰქონდა. ამის დანახვაზე ტიმარს გააჟრჟოლა.

ტოდორ კრისტიანმა სახვევი გაისწორა და უტიფრად განაგრძო:

— იცოდე, ეს მესამე სახსოვარია, რომელსაც შენი მეგობრობის ნიშნად ვატარებ. ამ ამბის შემდეგ, რა თქმა უნდა, კომარომში ალარ დამედგომებოდა, მთელი ქალაქი ჩემზე ლაპარაკობდა და ჯობდა თავი ამერიდებინა ათასგვარი დაკითხვებისთვის. არ გეგონოს, სამართალში მიცემისა მეშინოდა. არა, პირიქით, აქაური მოსამართლენი ხომ დიდად არ იწუხებენ თავს დამნაშავის დასჯით, ამის დასამტკიცებლად ჩვენი მაგალითიც კმარა.

არამზადა დიდად ნასიამოვნები დარჩა ასეთი შედარებით.

— მართალი გითხრა, უამისოდაც ვაპირებდი უკვე კომარომის დატოვებას, მომწყინდა შენი ლოდინი. „მოიცა, მოიცა, სად უნდა იყოს თუ არა იქ! — გამიელვა უცებ. — საზღვარგარეთის იმ ქვეყანაში იღწვის სამშობლოს საკეთილდღეოდ, რომელიც რუქაზეც კი არ არის აღნიშნული! და მაშინვე უპატრონო კუნძულისკენ გავეშურე“.

— როგორ, შენ კუნძულზეც იყავი? — ანგარიშმიუცემლად იყვირა განრისხებულმა ტიმარმა და მეტისმეტი სიბრაზისაგან კანკალი აუვარდა.

— მშვიდად, მშვიდად, მეგობარო, ხომ ხედავ, თოფის ლულა შენსკენაა მომართული, ოდნავი ზედმეტი მოძრაობა და შეიძლება გავარდეს! ისე კი, ასაღელვებელი არაფერი გაქვს, იქაც მე დავზარალდი მხოლოდ, ყველა შენი დანაშაულისთვის, ალბათ, მე მიწერია პასუხისგება. შენ ქეიფობ და დროს ატარებ, მე კი ფულს მახდევინებენ. შენ ჩემთვის მომზადებულ საქორწინო სარეცელზე ნებივრობ, მე ძაღლივით გარეთ მაგდებენ! რატომ ვიყავი კუნძულზე?

შენ დაგეძებდი. ბაგრამ იქ მხოლოდ ნოემი დამხვდა თავისი ნაბიჭვრით. აბა, ვინ იფიქრებდა ამას შენგან? მაგრამ ახლა ამის დრო არ არის... ბავშვს, მგონი, დოდი ჰქვია, არა? კარგი ბიჭია, ცოტა კი შევაშინე ჩემი ახვეული თვალით! თუმცა, ნოემისაც კინაღამ გული გავუხეთქე, ჩვენ ხომ მარტონი ვიყავით კუნძულზე! შენ ვერც კი წარმოიდგენ, როგორ მატკინა გული ტერეზას სიკვდილმა, ღვთისნიერი ქალი იყო! ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, ასეთ შეხვედრას ვინ გამიბედავდა? შენმა ნოემიმ სკამზე დაჯდომის ნებაც არ მომცა, შენი მეშინიაო. ბავშვსაც გული გაუხეთქეო. მე სწორედ თქვენს დასაცავად მოვედი, მარტოს გაგიჭირდება-მეთქი, მაგრამ არაფერმა არ გასჭრა. ისე, ერთი მითხარი, რით გაალამაზე ასე ის გოგო? ისეა დამშვენებული, ერთი ნახვით შეიძლება შეგიყვარდეს, თვალი ძლივს მოვაცილე. მე ქათინაურები არ დავიშურე მისთვის, მაგრამ ყურიც არ მათხოვა, დამემანჭა და ენა გამომიყო. როგორ შეიძლება, საქმროს ასე შეხედო-მეთქი, ესლა ვუთხარი თავშეკავებით. იმან კი კარებზე მიმითითა და მომახალა, აქედან გაეთრიეო, კარგი, წავალ, ოღონდ შენც თან წაგიყვან-მეთქი და წელზე ხელი მოვხვიე.

ტიმარს რიისხვით აენთო თვალები.

— ნუ ცხარობ, მეგობარო! ისევ მე დავზარალდი და არა შენ! ნოემიმ მაიორზე უფრო მაგარი სილა გამაწნა მეორე ლოყაზე და ამით ზუსტად დაიცვა სიმეტრია.

ტიმარს მწარე ღიმილმა გადაუარა სახეზე.

—Ago gratias! როგორც ხედავ, ისევ მე მომხვდა, მაგრამ თავი შევიკავე; ქალს ხელს ხომ არ შევუბრუნებდი! ქალებისადმი ჩემი პატივისცემა საქვეყნოდ ცნობილია! ისე კი, გადავწყვიტე მისთვის ჭკუა მესწავლებინა. „მაგდებ ხომ?“, მივმართე გულმოსულმა,— „წავალ და შენც თან წაგიყვან, ამას ხომ ვერ მიატოვებ?“ — და ამ სიტყვებით პატარა დოდის ხელი მოვკიდე.

— დაგწყევლოს ღმერთმა!

— აბა, აბა, ცოტა მშვიდად! ორივე ერთად ხომ არ ვილაპარაკებთ, ჯერ მე მომისმინე ბოლომდე და მერე შენ ილაპარაკე. მე შევცდი, როცა გითხარი, მხოლოდ ორნი იყვნენ-მეთქი ოთახში, ის წყეული ძაღლიც იქ ყოფილიყო თურმე, საწოლის ქვეშ, პირველად არავითარ ყურადღებას არ მაქცევდა, მაგრამ, როგორც კი ბავშვის ტირილის ხმა გაიგონა, გამძვინვარებული გადმოხტა და მეცა. საბედნიეროდ მოვასწარი და რევოლვერი დავახალე.

— მკვლელო! — ვეღარ მოითმინა ტიმარმა.

— სისულელეა! ძაღლის სისხლის დაღვრა ასეთ დიდ ცოდვად არ ჩაითვლება! შენ წარმოიდგინე, მაინც შესძლო გაბრძოლება და ისე მწვდა მარცხენა ხელში, რომ თვალის დახამხამებაში ძირს ღამცა, ისეთ მარწუხებში მომაქცია, განძრევაც ვეღარ შევძელი. ვერა და ვერ მოვახერხე მეორე რევოლვერის ამოღება. ბოლოს, ძალა ოომ გამომელია, ვთხოვე ნოემის ეშველა ჩემთვის. მასაც შეეცოდე და სცადა მოეცილებინა ძაღლი, მაგრამ ვერაფერი გააწყო, ძაღლმა უფრო მაგრად ჩამიჭირა კბილები. ნოემიმ დამიძახა, ბავშვს სთხოვე, იმას უფრო დაუჯერებსო. სხვა რა გზა მქონდა, ახლა დოდის შევეხვეწე. ბავშვი მეტად კეთილი აღმოჩნდა, მივიდა ალმირასთან და თავისი პაწაწინა ხელები შემოხვია. ძაღლმა მალე პირი შემიშვა და გამანთავისუფლა, დოდინ კი სამაგიეროდ კოცნით დაეჯილდოვა.

ტიმარს ცრემლი მოადგა თვალზე.

— აქაც შერცხვენილი დავრჩი. — განაგრძო კრისტიანმა და თან ბუტყუიანი, სისხლში ბოსტრილი სახელო აიწია, — ჯერ ისევ მეტყობა ნაკბილარი, იმ წყეულმა ძაღლმა თითქმის ძვლამდე ჩაჭრა კბილები. იცოდე, ეს მეოთხე სახსოვარია შენგან. ჩემი სხეული შენი წყალობით მიღებული ჭრილობებით სავსე ცოცხალი ალბომია. აი, დასტკბი შენი ნახელავით: სამარცხვინო დამღა, ბორკილების სისხლიანი ნაკვალევი, ნაჭრილობევი შუბლზე და ძაღლის ნაკბენი. ყოველივე ამას შენი მეგობრობის ნიშნად ვატარებ! რით შემიძლია სამაგიერო მოგიზღო?

ამ სიტყვებით არამზადამ ჩამოძონძილი ტანსაცმელი შემოიფლითა და თითქმის შიშველი დადგა ტიმარის წინ, რომ ყველა ნაჭრილობევი კარგად გამოეჩინა.

მიხაი კი სხეულთან ერთად კიდევ უფრო მეტად დამახინჯებულ სულსაც ხედავდა და გრძნობდა, რომ თვითონაც დიდად შეუწყო ხელი მის გადაგვარებას.

ეს ადამიანი მიხვდა, რომ ბრაზილიაში გაგზავნით მიხაიმ მუხანათური მახე დაუგო, უამრავი ფული ჩაუგდო ხელში იმ იმედით, რომ როცა იქნებოდა გაფლანგავდა და სამართალში მისცემდნენ. დიახ, ეს არამზადა მიხვდა, რომ ამით მისი გზიდან ჩამოცილება უნდოდა მხოლოდ, შემდეგ ისიც შეიტყო, რა გზით გამდიდრდა ტიმარი და მისი შურით აივსო. როცა გაიგო, რომ მანვე გამოაცალა ხელი-

დან ტიმეაცა და ნოემიც, რომ ერთს ღალატობდა და მეორეს უსვინდისოდ ატყუებდა, გადაწყვიტა. რადაც უნდა დასჯდომოდა, სამაგიერო მიეზღო მისთვის. და აი, ახლა ტიმარი მის ხელთ იყო, შეეძლო ისე მოქცეოდა, როგორც მოისურვებდა, მას კი თავის დასაცავი საშუალებაც არ გააჩნდა, გაქვავებულივით იჯდა ჭრილობებით დამახინჯებული კატორღელის წინ და უღონოდ დაეშვა ხელები ძირს.

ავანტიურისტი მიხვდა, რომ თოფი ახლა საჭირო აღარ იყო და ბუხართან მიაყუდა.

— დროა ჩაცმა დავიწყო, მანამდე კი, მოიფიქრე და თვითონვე განსაჯე, რისი ღირსი ხარ ჩემგან?

მან თავისი ჭუჭყიანი, ჩამოფლეთილი ტანსაცმელი ბუხარში ისროლა და ტიმარის ძვირფას კოსტიუმში გამოეწყო, თან ბუხრიდან მისი საათი აიღო და ჟილეტის ჯიბეში ჩაიდო. შემდეგ სარკესთან მივიდა, აბურძგნილი წვერი და ულვაშები გაისწორა და ერთხანს დიდი კმაყოფილებით შეჰყურებდა თავის ორეულს. ბოლოს, ამდენი ტანჯვა-წვალების შემდეგ რაღაც სასწაულით შემორჩენილი თავისი მართლაცდა მშვენიერი გარეგნობის ცქერით რომ დასტკბა, შემობრუნდა ტიმარისკენ.

— აბა, რას იტყვი?

— მითხარით, რას მოითხოვთ ჩემგან?

— აჰა, როგორც იქნა, ენა ამოიდგი! ვფიქრობ, შენთვის გასაკვირველი არ იქნებოდა, რომ მეპასუხნა.: „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ! ახლა შენ გაემგზავრე ოკეანის გადაღმა, დაე, შენც ამოგწვან შანთით სახრჩობელის გამოსახულება, დაგადონ ბორკილები და გალერის გემბანზე მიგაბან ჯაჭვით, სცადე, როგორია მართლმსაჯულების დევნა წყალზეც და ხმელეთზეც, თავი დაიცავი ზვიგენების, იაგუარების, ჩხრიალა გველების, კაციჭამია ინდიელებისა და პოლიციისაგან, შემდეგ დუელში შეებრძოლე შენი ღვთაებრივი მეუღლის თაყვანისმცემელს და, ბოლოს, ხელზე აკბენინე შენი სატრფოს გააფთრებულ ძაღლს. ყოველივე ამის შემდეგ განვლილი გექნება ჩემი გზა და უკვე თავისუფლად შეგვეძლება გავიყოთ დანარჩენი ქონება. მაგრამ მე ამას არ გავაკეთებ, დიდსულოვნად გაპატიებ ყოველივეს და უფრო ჰუმანურად მოგექცევი.

— გინდათ ფული?

— ფულიც დამჭირდება, ოღონდ ამაზე შემდეგ, ახლა კი სულ სხვა რამეზე უნდა მოგელაპარაკო. კარგად მოგეხსენება, რომ მე მე-

ძებენ არა მარტო შენი ფულის გაფლანგვისათვის, არამედ კატორღიდან გაქცევისა და ზედამხედველის მოკვლისთვისაც. რად ძინდა ფული, სანამ ბორკილების ნაკვალევსა და დამღას არ მოვიშორებ? დაძღას რძიანას წვენი ამოიყვანს, ბორკილების ნაკვალევს კი მინეოლური წყლების აბაზანები. შენი არ მეშინია, გონიერი კაცი ხარ და არ დამაბეზღებ, პირიქით, ჩემს კვალს რომ მოაგნონ ყიდევაც, დაძიფარავ და შენს ნათესავად გამომაცხადებ, შენ ხომ ოქროკაცი ხარ! თუმცა, მაინც სიფრთხილე მმართებს, სულ ვერ მოგენდობი. ხომ შეიძლება, ვინმეს მოაკვლევინო ჩემი თავი გზაში, ან ღვინოში საწამლავი ჩამიყარო და ალი ჩორბაჯისავით საიქიოს გამამგზავრო? ერთ წვეთსაც აღარ დავლევ შენთან, წყურვილმაც რომ დამახრჩოს!

— მაშ რა გინდათ ჩემგან?

— ვერა და ვერ გათქმევინე „შენ!“ გეთაკილება არა, თავი გაძიყადრო? კარგი, რა გაეწყობა! იყოს ნება შენი, მაგრამ, იქნებ, სჯობდეს მე გკითხო, რა ნებავს შენს ბრწყინვალებას? ვფიქრობ „თქვენთვის“ აუცილებელია ენას კბილი დავაჭირო და „თქვენი“ საიდუმლო ქვეყანას არ მოვფინო! თანახმა ხართ, ასიათასი ფრანკი დამინიშნოთ ყოველწლიურად გასამრჯელოდ?

— თანახმა ვარ, — დაუფიქრებლად უპასუხა ტიმარმა.

ავანტიურისტმა გადაიხარხარა.

— დამშვიდდი, საჭირო არ არის, ასე გულუხვად ნუ გაიღებ მოწყალებას! ფული მე ახლა ვერაფერს მიშველის, დამღადადებული დამნაშავე ყველგან შეიძლება დაიჭირონ და ისევ კატორღაში უკრან თავი. რა თავში ვიხლი შენს ასიათას ფრანკს? მე მყუდრო თავშესაფარი და მშვიდი ცხოვრება მინდა, ისე რომ ყველაფრით უზრუნველყოფილი ვიყო. იმედი მაქვს, ეს ჩემი მოთხოვნა ახირებულად არ მოგეჩვენება!

— თქვით, რა გინდათ, ბოლოს და ბოლოს!

— ვხედავ, მოთმინება არ გყოფნის, თუმცა, მართალი ხარ, უკვე ძილის დროა.

არაბზადამ ისევ მოიმარჯვა თოფი და ტიმარს დაუმიზნა.

— მე არ მინდა შენი ასიათასი ფრანკი, არაფერი არ მინდა საერთოდ, უპატრონო კუნძულის გარდა!

ტიმარს გააერთოლა, ამ ნამუსგარეცხილი კაცის თაყვანისცემამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

— რა გინდათ იქ?

— ჯერ ერთი, იქ ვერავინ მომაგნებს, მინდა რამდენიმე წელი მშვიდად ვიცხოვრო, შენ კი მომამარაგებ ყველაფრით, რაც დამჭირდება.

— სისულელეებს თავი დაანებეთ და მთხოვეთ, რაც გინდათ, ფულსაც თავზე საყრელად მოგცემთ და თავიდან მომწყდით. უპატრონო კუნძულს არ დაგითმობთ, ეს სულელური აზირებაა!

— არც ისე სულელურია, როგორც შენს ბრწყინვალებას ჰგონია, იქ საუცხოო ჰაერია და შესანიშნავად აღვიდგენ ჯანმრთელობას, რომელიც შენი მიზეზით დავკარგე სამხერთ ამერიკაში. განსვენებული ტერეზასაგან გამიგონია, რომ იქ ბევრი სამკურნალო ბალახი ხარობს, რომლებიც ყოველგვარ იარებს ჰკურნავს, დიოსეგის წიგნში კი წაკითხული მაქვს მათი სასწაულმოქმედი ძალის შესახებ. ამდენი ხეტიალისა და ტინჯვა-წვალების შემდეგ გული იქითკენ მიმიწევს, დღე და ღამე იმ მყუდრო სავანეზე ვოცნებობ და იმედი მაქვს, იქ გავატარებ უბედნიერეს დღეებს. დამითმეთ უპატრონო კუნძული, თქვენო ბრწყინვალებავ! Serenissime!

— ხომ არ გაგიჟებულხართ! — დაუყვირა მოთმინებადაკარგულმა ტიმარმა და ზურგი შეაქცია.

— ო, ნუ გამირისხდებით ასე, თქვენო ბრწყინვალებავ! სენიორ! ეკსცელენცა! მილორდ! პან! მონსენიორ! ჰერრ! გოსპოდინ! ეფენდი! მიბრძანეთ, რომელ ენაზე გნებავთ მოისმინოთ ჩემი უმორჩილესი თხოვნა?

მაგრამ ამ დამცინავმა კილომ კრისტიანს ამჯერად ცუდი სამსახური გაუწია. ტიმარი უცებ გამოერკვა, მისი ჭრილობებით გამოწვეული თანაგრძნობა და სინანულის გრძნობა გაუქრა, გონს მოეგო და მიხვდა, რომ მის წინ დევნით გატანჯული ადამიანი იდგა, რომელსაც, მისი აზრით, ჯერ საკუთარი ტყავის გადარჩენაზე უნდა ეზრუნა.

— გეყოფათ! მომწყინდა თქვენი ლაყბობის მოსმენა! ფულს, რამდენსაც მომთხოვთ, მოგცემთ და თუ მართლა არ შეგიძლიათ ცხოვრება კუნძულის გარეშე, იყიდეთ ჩინეთის ან საბერძნეთის არქიპელაგის რომელიმე კუნძული. დევნის თუ გეშინიათ, გაემგზავრეთ რომში, ნეაპოლში ან სიცილიაში, როგორც მარკიზი, დაუკავშირდით კამორას და ხელსაც ვეღარავინ გახლებთ. ეს ნეაპოლელთა ფარული საზოგადოებაა, რომელიც პირველად მხარს უჭერდა ეროვნული თავისუფლებისა და იტალიის გაერთიანებისათვის მებ-

რძოლს, ჯუზეპე გარიბალდის, შემდეგ კი არამზადების ბრბოდ იქცა და რეაქციის სამსახურში ჩადგა. ვფიქრობ, შენთვის ხელსაყრელი უნდა იყოს, თუ არა და მთხოვე, რაც გინდა, უპატრონო კუნძულზე კი ტყუილად ნუ ილაპარაკებ.

— ასე ხომ! ვატყობ, თქვენი ბრწყინვალება ისევ ზემოდან მიყურებს, ასე ვთქვათ, არ სურს თავი გამიყადრონს! ერთი წუთის წინ გართხმული იყავით ჩემს წინ, ახლა გონს მოხვედით და თავის დაძვრენას ცდილობთ, მაგრამ ამაოდ, სულ ერთია, არაფერი გამოგივათ, უკან დასახევი გზა მოჭრილი გაქვთ. იმასაც გეტყვით, რას ფიქრობთ ახლა: „არ მეშინია შენი, მაწანწალავ, ვინ დაუგდებს ყურს შენს ლაყბობას, პირიქით, მაშინვე დაგიჭერენ და სატუსაღოში გიკრავენ თავს, სადაც ჩემი საიდუმლოს განდობის სურვილს დაგიკარგავენ, არავინ იქნება შენი პატრონი და იქვე ჩაძაღლდები. ან შეიძლება, გზაში ვინმეს მოვაკვლევინო შენი თავი და მდინარეში გადავაგდებინო, ვინ დაიწყებს ამის გამოძიებას, ვის რაში სჭირდები? ან ვინ დაიჯერებს შენს მონაჭორს, შე მათხოვარო, როცა მე, ოქროკაცი, საჯაროდ განვაცხადებ, რომ სტყუი. ჩემი მილიონებით ყველა მოსამართლეს მოვისყიდი, ადამიანის გული ხარბია და ოქროზე არასოდეს იტყვის უარს, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს!“ დიახ, შენც ამის იმედი გაქვს და იმიტომაც მედიდგულები ასე. მაგრამ ცდები, გეტყობა, ჯერ კიდევ არ მიცნობ კარგად, ჩემისთანა გაიძვერას ასე ადვილად ვერ დაუძვრები ხელიდან. აქეთ მემუქრები, მაგრამ მალე დარწმუნდები, რომ მარყუჟში თვითონ გაქვს თავი გაყოფილი და გამოუვალ მდგომარეობაში ხარ იმ არამზადის მსგავსად, ხელფეხშეკრულს ლურსმნებს რომ აჭედებენ ფრჩხილებში, სათითაოდ რომ აგლეჯენ თმის თითოეულ ღერს და კეფაზე ადუღებულ ქონს აწვეთებენ, სანამ გადამალულ განძს არ გამოაჩენს. დიახ! ჩანს, შენთან სხვაგვარი ლაპარაკი არ გადის და აღარც მე დაგინდობ!

ტიმარი იძულებული იყო, მისი წრესგადასული თავხედობა აეტანა.

— ვფიცავ, რომ აქამდე სიტყვაც არ დამიძრავს შენს საიდუმლოზე არავისთან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ორიოდ უმნიშვნელო სიტყვას, კომარომში რომ წამომცდა უნებლიეთ. ჩემთვის კი ყველაფერი ჩავიწერე, რაც შენზე შევიტყვე, და ჯიბეში ახლა ოთხი წერილი მიდევს გასაგზავნად გამზადებული: ერთი თურქეთის მთავ-

რობის მისამართით, მათ ვატყობინებ, ალი ჩორბაჯის მიერ გამოტა-ცებულ განძზე, რომელიც შენს ხელში მოხვდა. ფაშა შეთქმულების მონაწილე იყო, მის ქონებას კონფისკაცია უნდა გაუკეთდეს და სულთანის ხაზინაში გადაირიცხოს კანონის ძალით. მე ჩამოწერილი მაქვს მთელი განძეულის ზუსტი სია, როგორც მამაჩემის გადმო-ცემით ვიცი და ვუთითებ ასევე, ვის ხელშია ამჟამად და რა გზით მოხვდა. მეორე წერილს ვენის მთავრობას გავუგზავნი, მათ ვამ-ცნობ, რომ შენ ალი ჩორბაჯის მკვლელი და მისი ქონების მიმთვი-სებელი ხარ. ნურც იმას დაივიწყებ, რომ უცაბედად გამდიდრებულ ადამიანს ბევრი მტერი ჰყავს. მესამე წერილს ქალბატონი ლევეტინ-ცი მიიღებს კომარომში. მას ვწერ, როგორ მოუღე ბოლო მამამისს და როგორ დაეპატრონე მის ქონებას. მეტი დამაჯერებლობისათვის იმასაც აღვნიშნავ, რომ აქედან შემდეგ მასვე მიუძღვენით ბრილი-ანტებით შემოვლებულ ჩარჩოში ჩასმული უძვირფასესი მედალი-ონი დედამისის პორტრეტით. იმასაც ვწერ, სად მიემგზავრებით ხოლმე სახლიდან და როგორ ატარებთ დროს უპატრონო კუნძულ-ზე სხვა ქალთან, რითაც ღალატობთ კანონიერ მეუღლეს. ის შე-იტყობს ნოემისა და დოდის ამბავს. აბა, რას იტყვი, საკმარისია, თუ კიდევ გავაგრძელო?

ტიმარს სუნთქვა შეეკრა მღელვარებისგან.

— ვფიქრობ, საჭიროა გავაგრძელო, მაშ, ბოლომდე მომისმინე. მეოთხე წერილი ნოემის ეკუთვნის, ის შეიტყობს, რომ შენ მდიდა-რი კაცი ხარ, რომელსაც ჰყავს მეტად ღირსეული ცოლი და მასთან მხოლოდ დროს ატარებ, ატყუებ. ისიც იცოდე, რომ ამ წერილების ჯიბით ტარებას დიდხანს არ ვაპირებ. შეიძლება, შენ ხალხი მოისა-ყიდო და დაავალო კარგად მიმბეგვონ და წერილები წამართვან, შემდეგ კი ამაყად განაცხადებ, რომ არც გსურს ჩემთან ლაპარაკი. მაგრამ მე არც ისეთი სულელი ვარ, როგორც გგონია. აქედან პირ-დაპირ ტიხანის მონასტერში წავალ, იქ ღვთისმოსავ ბერებს დავუ-ტოვებ ოთხივე წერილს და ვთხოვ, ერთი კვირის შემდეგ დანიშნუ-ლებისამებრ გააგზავნონ, თუკი არ მივაკითხავ. მაშინ შენ უკვე იძუ-ლებული იქნები გაიქცე, კომარომის სასახლეში კი არა, უნგრეთშიც აღარ დაგედგომება. ცოლმა მამამისის სიკვდილიც რომ გაპატიოს, ღალატს არ გაპატიებს! საზოგადოებაც თავის მხრივ მოგთხოვს აუხ-სნა, რით გამდიდრდი ასე უეცრად. და აღიძვრება სისხლის სამარ-თლის საქმე შენს წინააღმდეგ. ამავე დროს თურქეთისა და ვენის

მთავრობებიც დაიწყებენ შენი დანაშაულის გამოძიებას. შენი გაიძ-ვერობის ამბავი მთელ ქვეყანას მოეფინება და ის ადამიანები, რომ-ლებიც ჯერ კიდევ გუშინ გაღმერთებდნენ და ხოტბას გასხამდნენ, როგორც ოქროკაცს, დღეს სახეში მოგაფურთხებენ! უპატრონო კუნ-ძულსაც კი კეღარ შეაფარებ თავს, ნოემი ახლოს აღარ გაგიკარებს, ის იმდენად ამაყი და თავმოყვარეა, რომ შენდამი უსაზღვრო სიყ-ვარული სიძულვილად შეეცვლება. დიახ, შენ იძულებული იქნები ჩემსავით ქუჩა-ქუჩა იწანწალო და ადამიანებს მოერიდო. შენი სა-ხელის ხსენებასაც ვეღარ გაბედავ. სულ იმის შიშში იქნები, შენს კვალს არ მოაგნონ და კატორღაში არ გიკრან თავი. ერთი სიტყვით, ისეთივე, არამზადა იქნები, როგორიც მე ვარ! ახლა კი არჩევანი შენზეა, მითხარი, წავიდე მონასტერში, თუ დავრჩე?

— დარჩი!

— ეს უკვე სხვა საქმეა! სიამოვნებით! — გაიღიმა კატორღელმა დამცინავად და განაგრძო, — დავიწყოთ იმით, რომ დამითმობ უპატრონო კუნძულს.

ტიმარს უცებ რაღაცამ გაუელვა და მაშინვე ჩაეჭიდა წყალწა-ღებულივით.

— შენ ხომ იცი, რომ უპატრონო კუნძული ნოემის ეკუთვნის და არა მე!

— სამართლიანი შენიშვნაა, მაგრამ ნოემი ხომ შენია!

— რა გინდა ამით თქვა?

— ოღონდ ყოველგვარი აღელვების გარეშე, თორემ ხომ იცი, რომ ჩემს ხელთა ხარ. გიჯობს ჩემს ნებას დაჰყვე! ახლავე მისწერე წერილი ნოემის, წაღებით მე თვითონ წავუღებ. იმედია, ის წყე-ული ძაღლი უკვე ჩაძაღლდებოდა და ხელს აღარავინ შემიშლის. აუხსენი, რომ იძულებული ხარ, სამუდამოდ გამოეთხოვო, რომ მისი შერთვა არ შეგიძლია, ვინაიდან მის გაცნობამდე გყავდა ულამაზე-სი ცოლი, ტიმეა. ვფიქრობ, მას ემახსოვრება ეს სახელი. სამაგი-ეროდ დაუმატე, რომ მასაც უპატრონოდ არ სტოვებ, გამოძებნილი გყავს მისთვის საქმრო, საკმაოდ მოხდენილი ახალგაზრდა, რომელ-ზედაც ერთხელ უკვე იყო დანიშნული და რომელიც მზად არის თვალი დახუჭოს მის წარსულზე და ცოლად შეირთოს. შენ კი, უზ-რუნველგვყოფ ყველაფრით, რაც დაგვჭირდება და ილოცებ ჩვენს ბედნიერებაზე.

— როგორ? შენ ახლა ნოემიც მოგინდა?

— აბა, რა გეგონა! იქნებ, ფიქრობდი, რომ რობინზონივით ვაპირებდი ცხოვრებას იმ მიყრუებულ კუნძულზე? შავთვალა ლამაზმანების ალერსი უკვე მომბეზრდა სამხრეთ ამერიკაში, ახლა ნოემის ცისფერი თვალები რომ დავინახე, კინაღამ ჭკუა დავკარგე, მე ის გაგიჟებით მიყვარს. არც ის დამვიწყებია, ამ ცოტა ხნის წინ სილა რომ გამაწნა და სამაგიერო კოცნით მინდა გადავუხადო! განა შეიძლება, ადამიანს უფრო კეთილშობილური ზრახვები ჰქონდეს? ეს თავნება მზეთუნახავი ჩემი უნდა გახდეს! ან რა უფლება გაქვს დამიშალო ნოემის სიყვარული, მე ხომ მისი საქმრო ვიყავი? ჩვენ ჯერ კიდევ აკვნიდანვე ვართ დანიშნულები, შემიძლია ცოლად შევირთო და დაკარგული პატიოსნება აღვუდგინო, შენ კი ამის უფლება არა გაქვს!

ულმობელ მტარვალად ქცეული არამზადა ტიმარის დაჭრილ გულს ნელ-ნელა ასობდა შხამიან ისარს.

— მთელ ჩემს ქონებას დაგითმობ! — მიმართა ვედრების კილოთი.

— ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ, მაგის დროც მოვა, ახლა კი ნოემი მინდა მხოლოდ, სხვა არაფერი! ბოლოს და ბოლოს ის ხომ ჩემი საცოლეა!

სასოწარკვეთილი ტიმარი ხელებს იმტვრევდა.

— აბა, მისწერ ნოემის, თუ წავიღო წერილები მონასტერში?

— ოჰ, საწყალი დოდი!..

— მე გავუწევ მას მამობას!.. — სიცილით უპასუხა კატორღელმა.

...მიხაიმ ვეღარ მოითმინა წრესგადასული თავხედობა, გამძვინვარებული ვეფხვივით წამოხტა, მარჯვედ სწვდა ხელებში ტოდორს, სანამ გასროლას მოასწრებდა, შემოაბრუნა და ისეთი ძალით ამოჰკრა პანღური, რომ თავის თოფიანად დერეფანში ისროლა. ტოდორი ერთხანს ეგდო იატაკზე გულაღმა, შემდეგ დიდი გაჭირვებით წამოდგა დარეტიანებული და კიბისკენ წალასლასდა, პირველივე საფეხურზე ფეხი დაუცდა და თავდაყირა დაგორდა კიბეზე კვნესითა და წყევლა-კრულვით.

უკუნეთი სიბნელე იყო. ახლომახლო მიხაისა და მისი მოხუცი მევენახის გარდა არავინ იყო, რომელსაც კარგად გამომთვრალს მკვდარივით ეძინა.

V. რისი მოწმე გახდნენ ყინული და მთვარე

ტიმარს უნდა მოეკლა ტოდორი, სანამ მის ხელთ იყო, ის იმდენად ძლიერი იყო, რომ შეეძლო საკუთარი ხელებით დაეხრჩო ან კონდახით გაეხეთქა თავი, მასზე ტყვიის გაფუჭება დასანანი იქნებოდა. მაგრამ მან ეს ვერ გააკეთა, ვერა და ვერ შესძლო იმ კაცის მოკვლა, რომელიც საბოლოო განადგურებით ემუქრებოდა, რომელსაც ერთი ხელის მოსმით შეეძლო გაეღატაკებინა, საქვეყნოდ თავი მოეჭრა და მიწასთან გაესწორებინა. „ახლაც" ოქროკაცის სულგრძელობით გაქცევის საშუალება მისცა ამ არამზადას.

იქნებ, ჯობდეს, ბოლო მოუღოო, გაუელვა წამით, საწოლ ოთახში მეორე გატენილი თოფი ეკიდა, სულ ადვილად შეეძლო ფანჯრიდან დაემიზნებინა და სანამ ეზოს ბოლომდე ჩააღწევდა, სული გაეფრთხობინებინა. პასუხსაც არავინ მოსთხოვდა, ტოდორ კრისტიანი კატორღიდან გამოქცეული საშიში დამნაშავე იყო, პირიქით. მ-სი მოკვლისათვის ბრაზილიის მთავრობას შეიძლება ჯილდოც კი მიეცა.

მაგრამ ტიმარმა არ ესროლა, წინ არ აღუდგა ბედისწერას. მისი აზრით, ეს არამზადა მართალი იყო და აბა, რას ერჩოდა! მას რა შეეძლო სხვის უბედურებაზე აეგო თავისი ბედნიერება და ამჯობინა გაეშვა, თუმცა, დარწმუნებული იყო, რომ ეს დათმობა შეიძლებოდა სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა.

აივანზე გამოვიდა და თვალი გააყოლა მიმავალ მოსისხლე მტერს. შომოდის მხრიდან მთვარე გამოჩნდა ღრუბლებში და იქაურობა გაანათა

ტოდორ კრისტიანი უცებ შედგა აივნის წინ, ერთხანს უყურა მიხაის, რომელიც გაუნძრევლად იდგა და სულ ადვილად შეიძლებოდა მისი მიზანში ამოღება, მაგრამ არ ესროლა. კიბეზე დაგორებულს ჭრილობა გახსნოდა და სახე სისხლში ჰქონდა მოსვრილი.

მიხაი ადგილიდან არ იძვროდა. ვინ იცის, იქნებ, განგებ უშვერდა შუბლს ტყვიას?

ტოდორი სიბრაზისა და ტკივილებისაგან იმანჭებოდა და სულ ცოფებს ჰყრიდა. ამ წუთს ის გამძვინვარებულ ატალიას მოგაგონებდათ. ეს მახინჯი სულის ადამიანები, მუდამ სხვის გაუბედურებაზე რომ ფიქრობდნენ, ავკაცობაში ტყუპის ცალებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. მან თოფი ძირს დაუშვა, თავი გაიქნია და მუშტი მოუღერა მიხაის, რაც ნიშნავდა: „სულ ერთია, არ შეგარჩენ და სხვაგვარად გაგისწორდებიო!"

ტიმარი გაჰყურებდა არამზადას, რომელიც ტბისკენ დაუყვა გზას ტიხანის მთაზე მდგარი ორგუმბათიანი მონასტრის მიმართულებით, ვიდრე თვალს არ მიეფარა. ისე იყო ჩაძირული ფიქრებში, რომ ვერც კი შეამჩნია, როგორ ამოვარდა ქარიშხალი.

ბალატონზე ხშირად იცის ასე, განსაკუთრებით კი მშვიდი, წყნარი ამინდის შემდეგ. ასეთ დროს მეთევზეები ცდილობენ ნაპირს მიაღწიონ, რომ აბობოქრებულმა ტალღებმა მეჩეჩზე არ გარიყოს მათი ნავები, რამდენიმე საათში კი ქარიშხალი ისევ ჩადგება, ახირებული პატარძლის მსგავსად მას მხოლოდ ერთი ცეკვა მოუნდება ზოლმე, ირგვლივ ყველაფერი მშვიდდება და თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ტალღები ოდნავადაც აღარ ირხევა.

ასე მოხდა ახლაც, მთების მხრიდან წამოვიდა გრიგალი და თან უზარმაზარი თოვლის ღრუბელი მოიყოლა. ჰაერში თოვლის ფანტელები აფარფატდა, ღრუბელი ნახევრად გადაეფარა მთვარეს, ბნელში გაუჩინარდა ტიხანის ნახევარკუნძულის კლდოვანი კონცხი მონასტრის გუმბათებით, ტბის სანაპირო იყო მხოლოდ განათებული.

გამძვინვარებული ქარიშხალი შხუილით არხევდა უზარმაზარ ხეებს არაჩის ველზე, ძველისძველი ციხე-კოშკის სახურავის აგლეჯას ლამობდა, სტვენითა და გრიალით გადაუვლიდა ხოლმე თავზე და ისეთ ხმებს გამოსცემდა, თითქოს წინაპართა აჩრდილები კვნესით მისტირიანო წარსულ დიდებას. ხოლო როცა ტბაზე ყინულჭრილებსა და ხერგებს ყურთასმენის წამღები გრუხუნით ჩაუქროლა, იფიქრებდით, ქვეყანა იქცევაო.

უცებ შორიდან ტიმარის სმენას მოსწვდა საშინელი, გულშემზარავი კივილი, იმდენად ძლიერი, რომ ქარიშხლის ხმაც კი დაფარა. ეს იყო ვიღაც სასიკვდილოდ ვანწირულის არაადამიანური ღრიალი, რომელიც რამდენიმე წამში ისევ განმეორდა, ოღონდ უფრო ყრუდ, შემდეგ კი ქარიც ჩადგა და ისევ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ტიმარიც დამშვიდდა თითქოს.

გრძნობდა, რომ მისთვის ყველაფერი დამთავრდა. უკვე აღარსად მიეჩქარებოდა, ძალაგამოლეული იდგა უფსკრულის პირას, რომელსაც ის-ის იყო, უნდა შთაენთქა და საიდანაც თავის დაღწევა აღარ შეეძლო.

თვალი გადაავლო განვლილი ცხოვრების გზას და მოეჩვენა, რომ სიზმარში იყო და ახლაღა იღვიძებდა.

მიხვდა, სად იმალებოდა ყველა მისი უბედურების მიზეზი, მიხ-

ვდა, რომ შეცდომა დაუშვა, გამოუსწორებელი შეცდომა. ულამაზესი, უმდიდრესი გოგონას ცოლობა მოინდომა და მთელი თავისი ცხოვრება ფუჭ ოცნებებზე ააგო სფინქსის გამოცანის მსგავსად, რომლის გამოცნობის შემდეგაც დაღუპვა გარდუვალი იყო. .

რაღა უნდა ექნა ახლა? ანდა ხალხის თვალში დამცირებულს განაღა მიიღებდნენ ტიმეა და ნოემი? ის ძირს ჩამოვარდა დიდების მწვერვალიდან, რომელზედაც ამდენი წელი იდგა საყოველთაო პატივისცემითა და დიდების შარავანდედით მოსილი.

როგორღა უნდა შეეხედა ცოლისთვის თვალებში, რომელიც ასეთი თავგამოდებით იცავდა მის სახელსა და პატიოსნებას მეტოქესთან? ის ხომ სულ მალე დარწმუნდება, რომ მისი ქმარი, თურმე ყოველ ნაბიჯზე ატყუებდა და მისი სათნოება და კეთილშობილება ნოჩვენებითი -იყო!

ან ნოემისთან როგორ გაბედავდა მისვლას, როცა მას ეცოდინებოდა, რომ ის ტიმეას ქმარია? პატარა დოდიზე ხომ ოცნებაც აღარ შეეძლო!

ამიერიდან მას უკვე აღარსად მიესვლებოდა, დედამიწის ვერცერთ კუთხეში ვერ ჰპოვებდა სიმშვიდესა და მყუდროებას. მალე ასრულდებოდა იმ არამზადის სიტყვებიც, უნდა გადაკარგულიყო აქედან, გასცლოდა ადამიანებს და სხვისი სახელით ეწანწალა კარდაკარ, ვიდრე სული არ ამოხდებოდა!

მაგრამ დედამიწის გარდა არსებობდა კიდევ ერთი თავშესაფარი — მთვარე. ნოემიც ხომ ამბობდა ერთხელ, რომ იქ იმ ადამიანთა სულებია მხოლოდ, რომლებმაც თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე და აღარაფერი აკავშირებდათ დედამიწასთან!

რა მოხდება ნეტავ უპატრონო კუნძულზე, თუ ის არამზადა მივა იქ და თავს მოაბეზრებს ნოემის? ალბათ, მოსვენებას დაუკარგავს, თვითმკვლელობამდე მიიყვანს და ისიც მთვარეზე მოხვდება.

ამან ცოტა დაამშვიდა, აიღო ტელესკოპი და მთვარეს დაუწყო ყურება. შესანიშნავად მოჩანდა მთელი მისი ზედაპირი თავისი ღრმულებითა და მთა-გორებით, უამრავ გამოქვაბულში ერთი შეარჩია და თავისდაუნებურად აღმოხდა: „აი, ჩემი თავშესაფარი, იქ დაველოდები ნოემის!“

მთვარის ყურებით გული რომ იჯერა, ისევ ოთახში შევიდა, სადაც რამდენიმე წუთის წინ იმ ავანტიურისტს ელაპარაკებოდა. ბუხარში ჯერ ისევ იწვოდა მისი ძონძები, შეშის რამდენიმე ნაჭერი შე-

აგდო კიდევ, რომ მალე დამწვარიყო, წამოსასხამი მოისხა და გარეთ გავიდა.

ბალატონისკენ დაეშვა. მთვარე დაჰნათოდა ტბის მოყინულ ზედაპირს და უზარმაზარ სარკესავით ლაპლაპებდა.

„მოვდივარ, მოვდივარ! — ჩურჩულებდა თავისთვის და თან თვალს არ აშორებდა მთვარეს. — სულ მალე მანდ ვიქნები და ყველაფერს შევიტყობ, რაზეც მელაპარაკებოდი. მე ვგრძნობ, რომ შენ მიხმობ და მოვდივარ!“

გეზი პირდაპირ ყინულის ნაპრალისაკენ აიღო, მართალია ნაპირიდან შორს იყო, მაგრამ მისი პოვნა ძნელი არ იყო, კეთილმა მეთევზეებმა ხომ თივაჩამოცმული ჯოხები ჩაასვეს მის ახლოს, რომ ვინმე მგზავრი უცაბედად შიგ არ ჩავარდნილიყო და არ დაღუპულიყო. ტიმარი კი სწორედ სიკვდილს ნატრობდა ახლა.

სულ ახლოს რომ მივიდა, ქუდი მოიხადა და ზეცას ახედა. დიდი ხანი იყო, რაც არ ელოცნა, ახლა კი რატომღაც გაახსენდა უზენაესი ძალა, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავდა მნათობები, რომელმაც შექმნა ყველა და ყველაფერი ამქვეყნად და მათ შორის ადამიანიც, რომელიც თვით ღმერთსაც კი ეურჩება. სიკვდილის წინ ტიმარს მოუნდა გული გადაეშალა ღმერთისთვის.

„ყოვლად ძლიერო! მუდამ გაგირბოდი და გერიდებოდი, მაგრამ ახლა მალე მიიბარებ ჩემს სულს! შენთან სამდურავი არაფერი მაქვს, შენ მე სწორი გზა მიჩვენე, მე კი გადავუხვიე და უკეთესის ძებნა დავიწყე, მეგონა, ჩემი გზა უფრო უკეთესი იქნებოდა და აი, სადამდე მივედი! დამნაშავე ვარ და უნდა მოვინანიო როგორმე, ღირსი ვარ ყოველგვარი სასჯელისა იმ ახლობელი ადამიანების გაუბედურებისთვის, რომელთაც ასე უანგაროდ ვუყვარდი. ამიერიდან მფარველობას ნუ მოაკლებ მათ! მე ერთადერთი ვარ დამნაშავე, სასჯელიც მე მეკუთვნის და მიმიღე მსხვერპლად! დაიფარე ისინი ყოველგვარი განსაცდელისგან, მე გადამეცი შენს მრისხანე ანგელოზებს და აღარაფერზე შეგაწუხებ!“

ამ სიტყვებთან ერთად მუხლი მოიყარა.

ნაპრალში ბალატონის ტალღები ხმაურით ეხეთქებოდა ერთმანეთს, ზოგჯერ ყინულის საფარქვეშ თითქოსდა გაყუჩებული წყალი უეცრად აბობოქრდებოდა და მთელი ძალით აწყდებოდა ყინულებს. ამ წუთებში ის საოცრად ჰგავდა გამძვინვარებულ, აბობოქრებულ ზღვას.

ტიმარი დაიხარა წყლისკენ და უნდოდა ეკოცნა მისთვის, როგორც დედა ჰკოცნის შვილს გამოთხოვებისას, დიდი ხნით გამგზავრებისას, ისე, როგორც თოფის ლულას შეახებენ ხოლმე ტუჩებს, ვიდრე საფეთქელზე ტყვიას დაიხლიდნენ.

მაგრამ, როგორც კი აქაფებულ ტალღას მიუახლოვდა, სწორედ იმ წამს, როცა ის-ის იყო, წყალს უნდა შეხებოდა, მისდა გასაოცრად ადამიანის თავი ამოტივტივდა. მას ცალი თვალი შავი სახვევით ჰქონდა შეკრული, მეორეზე სისხლი შეყინოდა. იგი თითქოს ტიმარს მისჩერებოდა. პირი ღია დარჩენოდა.

რამდენიმე წამში გვამი წყალში გაუჩინარდა, მერე ისევ ამოტივტივდა ქაფმორეულ ტალღებში და ისევ თვალს მიეფარა, ასე განმეორდა რამდენჯერმე ზუსტად ნაპრალის პირას; ბოლოს ამოტრიალდა და ტიმარმა კარგად გაარჩია სიმწარით მოკუმული მუშტი დაკრუნჩხული თითებით, რომელიც მალე ჩაიძირა.

ტიმარი თავზარდაცემული წამოხტა.

ეს მოჩვენება თითქოს თავისკენ უხმობდა და უჩვეულო ძალით ეწეოდა.

წყალი ისევ აწყდებოდა ყინულებს ნაპრალის ქვეშ. შორიდან უცებ რაღაც გაურკვეველი ხმები მოესმა, ორგანის ხმის მსგავსი, ის კი ჯერ ვერ გამორკვეულიყო და გაოგნებული უაზროდ მისჩერებოდა სივრცეს. ბოლოს, როგორც იყო მიხვდა, რომ ეს მოახლოებული ქარიშხალის მაუწყებელი გრგვინვა იყო, რომელიც მახლობელი ტყეებიდან მოისმოდა. ამ საზარელ ხმებს თითქოს ვიღაცის გოდება და მოთქმა ერთვოდა და ტბის ზედაპირზე მოცეკვავე ავი სულების ღრიანცელში ქაჯის ხარხარივით გაისმოდა. ყინულქვეშ თითქოს ათასობით ქნარს ერთდროულად აჟღერებდა ვიღაცის უხილავი ხელი და მისი ხმა ქარიშხლის ყურთასმენის წამღებ გრიალს კიდევ უფრო აძლიერებდა. ყინულის საფარი უცებ შეზანზარდა და ნაპრალის ნაპირები ისეთი ძალით შეაჯახა ერთმანეთს, რომ ტიმარი მოცელილივით დასცა ძირს. იგი დიდხანს ეგდო უგონოდ ყინულზე.

VI. ვინ მოდის?

ჭირხლმა ერთიანად უცვალა სახე უპატრონო კუნძულს და ვერცხლის ტყეს დაამსგავსა; ხის ტოტებზე თითქოს ენძელები დაუკიდიათო, ისე მოჩანდა შორიდან, მაგრამ მალე გამოიდარა, მზის სხი-

ვებმა ჭირხლი გაადნო, და ხეები ყინულის ისეთი თხელი ფენით დაიფარა, შუშისგან გამოთლილი გეგონებოდათ. ყინულის სიმძიმისაგან ტოტები მოღუნულიყო, ხოლო როცა ჭალაში ქარი დაუბერავდა, ვერცხლის ზარებივით გაჰქონდა წკრიალი, როგორც ზღაპრული ბროლის ბაღში.

კორდიდან ერთადერთი ბილიკი მიდიოდა ქოხისკენ ტერეზას საფლავის გავლით. დღე არ გავიდოდა, ნოემი და პატარა დოდი აქ არ მოსულიყვნენ ალმირასთან ერთად. უკანასკნელ ხანს კი მარტონი მოდიოდნენ, ალმირას სიარული უკვე აღარ შეეძლო და სიკვდილს ებრძოდა. არამზადის ნასროლი ტყვია გვერდში ჰქონდა ჩარჩენილი, მისი ხსნა შეუძლებელი იყო.

ერთ საღამოს, ნოემი სართავს რომ მიუჯდა, დოდი მიუახლოვდა და მის გვერდით დაიწყო თამაში. კუთხეში ადამიანივით კვნესოდა ალმირა.

— დედა, რაღაც მინდა გითხრა ყურში, ისე რომ ალმირამ არ გაიგონოს.

— მითხარი, შვილო, ის მაინც ვერაფერს გაიგებს.

— არა, არა, გაიგებს, იმას ყველაფერი ესმის!

— ნუ გეშინია, ვერ გაიგებს!

— მითხარი, დედა, მართლა მოკვდება ალმირა?

— მოკვდება, შვილო.

— მერე, ჩვენ ვინღა დაგვიცავს?

— ღმერთი.

— ღმერთი ძლიერია?

— ყველაზე ძლიერია.

— მამაზეც?

— მამასაც ის აძლევს ძალას.

— იმ თვალახვეულ ბოროტ ძიასაც? იმას რატომღა მისცა ძალა? მეშინია, კიდევ არ მოვიდეს და თან არ წამიყვანოს!

— ნუ გეშინია, შენს თავს არ დავანებებ.

— ორივე რომ წაგვიყვანოს?

— ვერ წაგვიყვანს.

— რომ მოგვკლას?

— მაშინ ორივენი ცათა სასუფეველში მოვხვდებით.

— ალმირაც?

— არა, ალმირა არა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ის ცხოველია.

— არც ჩემი პატარა ტოროლა?

— არც ის.

— მას ხომ სულ ადვილად შეუძლია აფრინდეს?

— მართალია შეუძლია, მაგრამ ცის სასუფეველი ისე მაღლაა, რომ იქამდე ვერ აფრინდება.

— ესე იგი, იქ არც ცხოველებია და არც ფრინველები! მაშინ მე აქ დავრჩები მიწაზე, მამასთან და ჩემს ჩიტუნებთან.

— დარჩი, ჩემო სიცოცხლევ!

— მამა აქ რომ ყოფილიყო, ხომ გააგდებდა იმ საზიზღარ ბოროტ ძიას?

— ის ბოროტი ძია ვერ გაბედავდა მაშინ აქ მოსვლას.

— მამა როდის დაბრუნდება?

— მალე, ზამთრის გასვლამდე.

— შენ საიდან იცი?

— თვითონ მითხრა წასვლისას.

— მამა ყოველთვის სიმართლეს ამბობს და არასოდეს სტყუის?

— ყოველთვის სიმართლეს ამბობს.

— ახლა ხომ უკვე ზამთარია?

— ესე იგი, მალე მოვა.

— ოჰ, ნეტავ არ მოკვდებოდეს ალმირა მის მოსვლამდე!

ბავშვი წამოდგა და ძაღლს მიუახლოვდა.

— ალმირა, საყვარელო, ნუ მოკვდები რაა! ძალიან გთხოვ, მარტოს ნუ დაგვტოვებ! შენ ხომ სამოთხეში მაინც ვერ მოხვდები? ჩვენთან მხოლოდ აქ, მიწაზე შეგიძლია ყოფნა! ზაფხულში მე კაკლის ხის სახლს აგიშენებ, სწორედ ისეთს, მამამ რომ აგვიშენა, არაფერს მოგაკლებ. მოდი, მუხლებზე დამადე თავი, აი, ასე და მიყურე. ნუ გეშინია, არაფრის გულისთვის არ შემოვუშვებ აქ იმ ბოროტ ძიას, შენ რომ გესროლა. როგორც კი მის ხმას გავიგონებ, მაგრად ჩავკეტავ კარს და თუ მაინც მოახერხა შემოსვლა, ამ ცულით მოვაჭრი ხელს. რადაც უნდა დამიჯდეს, მე შენ დაგიცავ! ალმირა!

გონიერმა პირუტყვმა თავი ასწია, შეხედა ბავშვს თავისი ნაღვლიანი თვალებით, კუდი გაიქნია და ისე ამოიოხრა, თითქოს გაიგონაო მისი სიტყვები.

ნეომიმ სართავი მიატოვა და ცეცხლის შუქს მიაჩერდა. ტოდო-

რის სიტყვები გაახსენდა რატომღაც, წასვლისას რომ მოაძახა: „მოიცა, მე ისევ დაგბრუნდები აქ და ყველაფერს მოგიყვები! გაიგებ ბოლოს და ბოლოს, რა შვილიც ბრძანდება შენი სატრფო!“

ქალი შიშმა შეიპყრო ანაზდად. როგორ? რა უნდოდა ეთქვა ამით იმ უსვინდისოს? რა შეიძლება უთხრას მან საყვარელ ადამიანზე? ნუთუ შესაძლებელია მიხაი რაიმეს უმალავდეს? რა უნდოდა, რისთვის დაბრუნდა დედამიწის მეორე ნახევარსფეროდან? ეჰ, ნეტავ მოეკლა მაშინ აქ მიხაის! ტყუილად კი არ ვინატრე, ჯობდა აქვე დარჩენილიყო-მეთქი, ოღონდ მიწის ქვეშ.

ნოემი არ იყო მხდალი. იგი ბუნების წიაღში გაიზარდა უკაცრიელ კუნძულზე და ბევრი გაჭირვებაც ენახა, საკმაო ძალაც ჰქონდა და გამბედაობაც. მას სხვის დაუხმარებლადაც შეეძლო გასწორებოდა იმ არამზადას. ურიგო არ იქნებოდა ჰოლოფერნს და სისერს თავის დროზე სცოდნოდათ, რომ იარაღი ქალის ხელში ბევრად უფრო საშიშია. ძე მგელსაც კი შეუძლია დაიცვას თავისი ბუნაგი ძაღლებისაგან.

ტოდორის სტუმრობის შემდეგ ნოემი სულ თან დაატარებდა მიხაის კარგად ალესილ დანას, ღამღამობით კი მაგრად ჰკეტავდა კარს, და რითაც შეეძლო, ამაგრებდა.

განაჩენი მაინც ბედისწერას მიანდო.

თუ პირველად მისი საყვარელი ადამიანი დაბრუნდებოდა, უბედნიერესი ქალი იქნებოდა ამქვეყნად, ხოლო თუ მეორე დაასწრებდა, მკვლელი უნდა გამხდარიყო!

— რატომ კვნესი ასე, ალმირა?

საცოდავმა, მომაკვდავმა პირუტყვმა ერთი წამით სძლია ტკივილებს, დიდი გაჭირვებით წამოსწია თავი ბავშვის მუხლებიდან, კისერი დაჭიმა და ჰაერი შეიყნოსა. ერთხანს გაჩერდა ასე, შემდეგ იატაკს ბრჭყალებით ფხოჭნა დაუწყო და მოუსვენრობა დაეტყო, აწკმუტუნდა და ახრიალდა. ძნელი მისახვედრი იყო, რამ ააწრიალა ასე, სიხარულმა თუ სიბრაზემ. ტკივილებით გატანჯული ძაღლის სახეზე ვერაფერი ამოიკითხეს, მაგრამ ერთი კი ცხადი იყო, ალმირამ იგრძნო, რომ სახლს ვიღაცა უახლოვდებოდა.

ვინ მოდის ნეტავ?

კეთილი ადამიანი თუ ბოროტი? ის, ვისაც შეუძლია სიცოცხლე და სიხარული დამიბრუნოს, თუ ავი სული, რომლის ერთი სიტყვაც საკმარისი იქნება კაცისმკვლელად მაქციოს?

ღამის მყუდროება ამ დროს ვიღაცის ნაბიჯების ხმამ დაარღვია, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა.

ვინ არის, ვინ?

ალმირამ დაიხრიალა, წამოდგომა სცადა, მაგრამ ვერ შესძლო, უღონოდ დაეცა იატაკზე და ყეფაც შესწყვიტა.

ნოემი ზეწამოიჭრა და დანა მოიმარჯვა.

ვინ არის?

სამივე სულგანაბული უგდებდა ყურს და აი, ნაბიჯები სულ ახლოს გაისმა. ახლა კი იცნეს, ვინც იყო.

— მამა! — დაიძახა გახარებულმა დოდიმ.

ნოემიმ გადასჭრა თოკი და კარი გააღო. ალმირამ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და დაიყეფა. ერთი წამის შემდეგ კი მიხაი ნოემისა და დოდის გულში იკრავდა.

ალმირაც, როგორც იყო, მიცოცდა საყვარელ პატრონთან, თავი ასწია, უკანასკნელად გაულოკა ხელები და მალე სამუდამოდ დახუჭა თვალები.

— შენ ხომ აღარ დაგვტოვებ?—ჩურჩულით ჰკითხა ნოემიმ.

— მამა, აღარ წახვიდე ჩვენგან! — ეხვეწებოდა ბავშვი.

მიხაიმ ორივეს ხელი გადახვია და ცრმელი მოადგა თვალზე.

— აღარასოდეს, — აღარასოდეს, — აღარასოდეს!..

VII. ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲝ

მარტის დამლევს ზამთარმა თანდათან ძალა დაკარგა, სამხრეთის თბილმა ქარმა და წვიმებმა გაადნო ბალატონი, შემდეგ კი ჩრდილოეთის გრიგალმა ყინულები შომოდის სანაპიროსკენ წაიღო. და სწორედ ამ ნახევრადგამდნარ ყინულებს შორის მეთევზეებმა ერთ დღეს ადამიანის გვამი იპოვეს.

სახეზე ვერ იცნობდით, ისე იყო დამახინჯებული. ეტყობოდა, დიდი ხანი იყო, რაც ყინულქვეშ ეგდო წყალში, მაგრამ მეთევზეებს მაინც არ გასჭირვებიათ მისი ვინაობის დადგენა. მათი აზრით, ეს უგზო-უკვლოდ დაკარგული ბატონის, მიხაი ტიმარ ლევეტინცის გვამი იყო, რომელიც იმ ღამის შემდეგ აღარავის უნახავს, თევზთა მეფე რომ დაიჭირეს. მას უკვე დიდი ხანი იყო, ამაოდ ელოდნენ კომარომშიც.

ყველამ იცნო მისი ტანსაცმელი: კრაველის საყელოთი გაწყობილი ქურქი, ვენზელებით ამოქარგული პერანგი და საკინძი. ჟილეტის ჯიბეში უპოვეს საათი, რომელზედაც მისი სახელი იყო ამოკვეთილი. მაგრამ ყველაზე უფრო მის ვინაობას ამტკიცებდა გულის ჯიბიდან ამოღებული საფულე, რომელიც მსხვილი ბანკნოტებით იყო სავსე და რომელზეც ოდესღაც ტიმეას ხელით მარგალიტებით იყო ამოქარგული: რწმენა, იმედი, სიყვარული. მეორე ჯიბეში აღმოჩნდა ერთად შეკრული ოთხი წერილი, მაგრამ წყალს ისე გადაეცილებინა მელანი, რომ მათზე არაფრის ამოკითხვა აღარ შეიძლებოდა. ეს არც იყო გასაკვირველი, გვამი ხომ თითქმის მთელი ოთხი თვე ეგდო წყალში.

ამავე დროს ფიურედის სანაპიროსთან იპოვეს ბადეზე წამოდებული ორლულიანი თოფი, რომელიც აგრეთვე ბატონ ლევეტინცის ეკუთვნოდა. ახლა უკვე ყველასთვის ნათელი გახდა, როგორ უნდა მომხდარიყო ყოველივე.

მოხუცმა გალამბოშმა გაიხსენა, როგორ გაგზავნა ბატონმა დასაძინებლად იმ საშინელ ღამეს და როგორ შეჰპირდა, მე ვუყარაულებ მგლებს და მელიებსო.

სხვებმაც მოიგონეს, რომ იმ ღამეს ბალატონზე გრიგალი ქროდა. ალბათ, თოვლს სახეში აყრიდა, ვეღარ დაინახა ნაპრალი და ყინულქვეშ ჩავარდაო.

გალამბოში, რომელმაც ფხიზელი ძილი იცოდა და თანაც ხშირად უძილობას უჩიოდა, იმასაც ამბობდა, ქარიშხალი რომ ამოვარდა, თითქოს ვიღაცის ყვირილი შემომესმაო.

ყველა წუხდა, რომ ასე უბრალოდ დაიღუპა ეს შესანიშნავი ადამიანი, უმდიდრესი, სახელგანთქმული კაცი!

ტიმეამ, როგორც კი ეს საშინელი ამბავი შეიტყო, შიოფოკში ჩამოვიდა გვამის შემოწმებაზე დასასწრებად. ქმრის ტანსაცმლის დანახვაზე ორჯერ წაუვიდა გული და ძლივს მოაბრუნეს. მიუხედავად ამისა, ბოლომდე თვალი არ მოუცილებია და როცა ნეშტი თუთიის კუბოში ჩაასვენეს, ითხოვა დაებრუნებინათ მისი ქორწინების ბეჭედი, მაგრამ საუბედუროდ გვამს თითები აღარ ჰქონდა.

ტიმეამ კომარომში ჩაიტანა ძვირფასი ადამიანის ნეშტი და დიდებულად დაასაფლავა პროტესტანტული წესით. სამგლოვიარო ცერემონიალში ქვეყნის ოთხივე საეკლესიო ოლქის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. პანაშვიდს ხელმძღვანელობდა თვით დუ-

ნაისიქეთა მხარის ოლქის სუპერინტენდანტი, მან გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა. კომარომის ეკლესიის კედლებზე ღერბებით მორთული შავი კრეპი ჩამოეფარებინათ, კუბოზე შემოვლებულ შავ ხავერდზე ვერცხლის ასოებით იყო ამოქარგული გარდაცვალებულის სახელი და დაბადებისა და გარდაცვალების წლები. კატაფალკამდე კუბო ხელით მიჰქონდათ ქალაქის სენატორებსა და თავადაზნაურობის წინამძღოლებს. შემდეგ ზედ დაადეს სათავადაზნაურო დაშნა, დაფნის გვირგვინი და წარჩინების ნიშნები: უნგრეთის წმინდა იშტვანის ორდენი, იტალიის წმინდა მორისისა და ბრაზილიის ანუნციატის ორდენი. გადასაფარებლის ვერცხლის ფოჩებისთვის ხელი ჩაევლოთ ვიცე-გუბერნატორებს, ცნობილი დიდებულები კი კატაფალკას ორივე მხარეს მიჰყვებოდნენ ღერბებითა და ანთებული ჩირაღდნებით. პროცესიას წინ მიუძღოდნენ: ქალაქის მოსწავლეები, ეკლესიის მსახურნი, სხვადასხვა საამქროების წარმომადგენლები თავიანთი დროშებით და საპარადო ტანსაცმელში გამოწყობილი გერმანელი და უნგრელი თავადები. მათ უკან მიდიოდა დამწუხრებული ქვრივი, გაფითრებული სახით და ნამტირალევი თვალებით, შავი ძაძებით მოსილ დიდებულ ქალბატონთა შორის. მათ მოჰყვებოდნენ უნგრეთისა და ვენის მეცნიერები და სწავლულნი და უმაღლესი წოდების სამხედრო პირები.

თვით მისმა უდიდებულესობამაც კი გამოგზავნა თავისი წარმომადგენელი სამგლოვიარო ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად, სახელმწიფოს წინაშე განსვენებულის უდიდესი ღვაწლის დაფასებისა და ღრმა პატივისცემის ნიშნად. პროცესიას უკან მოსდევდა უბრალო ადამიანთა მთელი ბრბო. ერთდროულად რეკავდა ქალაქის ყველა ეკლესიის ზარები, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ დიდ ადამიანს ასაფლავებდნენ. ყველა მოწიწებით იმეორებდა ხალხის კეთილისმყოფელის, უნგრეთის სიამაყის, სამაგალითო მეუღლის, უამრავი კეთილი საქმის ჩამდენისა და ქველმოქმედი დაწესებულების დამაარსებლის სახელს.

მიწას აბარებდნენ „ოქროკაცის ნეშტს.

იგი თავის უკანასკნელ სამყოფელამდე მიაცილა დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა, ღრმად მოხუცებული მოქალაქეებიც კი მოსულიყვნენ.

აქ იყო თვით ატალიაც.

ბოლოს, ყველას მიერ დატირებული ძვირფასი ადამიანის კუბო

აკლდამაში შეასვენეს. იქ მხოლოდ უახლოესი ნათესავები და ნაცნობ-მეგობრები შეჰყვნენ. მათ შორის იყო მაიორი კაჩუკაც, რომელიც აკლდამის ნახევრად ჩაბნელებულ, ვიწრო კიბეზე ჩასვლისას, ტიმეასა და ატალიას შეეჯახა.

როცა ყველა გამოეთხოვა განსვენებულს და გამოვიდნენ, ატალია მოულოდნელად დაემხო საფლავს ტირილით, თან გაიძახოდა, მეც მასთან ერთად დამმარხეთო.

საბედნიეროდ იქ შემთხვევით შეჩერებულიყო იანოშ ფაბულაც, რომელმაც ხელში აყვანილი გამოიყვანა აკლდამიდან და ყველას განუცხადა: უსაზღვროდ ჰყვარებია განსვენებული ბატონი, რომელმაც მამის მაგივრობა გაუწიაო.

ნახევარი წლის შემდეგ საფლავს დიდებული ძეგლი დაადგეს, რომლის მარმარილოს კვარცხლბეკზე ოქროს ასოებით ამოკვეთეს წარწერა: „აქ განისვენებს. კეთილშობილი. თავადი. პატივცემული. ბატონი. მიხაი. ტიბარ. ლევეტინცი. ხელმწიფის. მრჩეველი. წმინდა. იშტვანის. წმინდა. მორიცის. და. ანუნციატის. ორდენების. კავალერი. მგზნებარე. პატრიოტი. ჭეშმარიტი. ქრისტიანი. სამაგალითო. მეუღლე. ღარიბთა. მამა. მფარველი. და. კეთილისმყოფელი. ობლების. დამხმარე. სკოლების. დამაარსებელი. ეკლესიის. ბურჯი. დასტირის. მისი. დაკარგვით. დამწუხრებული. ყველა. ნაცნობი. ღირსეული. ადამიანის. ხსოვნა. სამარადისოდ. დარჩება. მისი. ერთგული. მეუღლის. ჟუჟანას. გულში...“

კვარცხლბეკზე აღმართული ქალის მარმარილოს ქანდაკება, დამწუხრებული რომ დახრილიყო საფლავზე. ყველა მნახველის აზრით, საოცრად ჰგავდა ტიმეას.

ტიმეა ყოველდღე მოდიოდა ქმრის საფლავზე და ცოცხალი ყვავილები მოჰქონდა, საკუთარი ხელით რწყავდა და უვლიდა აკლდამაში დარგულ ყვავილებს და ცრემლებს აფრქვევდა...

როგორ წარმოიდგენდა ტოდორ კრისტიანი, რომ სიკვდილის შემდეგ ესოდენი სიყვარულითა და პატივით იქნებოდა მოსილი...

VIII. ქალბატონი ზოფია

მზეთუნახავი ქვრივი დიდხანს გლოვობდა ძვირფას მეუღლეს. არც არავის იღებდა სტუმრად, არც თვითონ გამოდიოდა საზოგადოებაში. ქუჩაში თუ დაინახავდა ვინმე შავ ძაძებში და სახეზე ჩამოფარებული პირბადით.

კომარომის მთელი საზოგადოება სულ იმის ფიქრში იყო, როდის გაიხდიდა ტიმეა შავებს და დღეებს ითვლიდნენ. მათი აზრით, ერთ წელიწადზე ადრე ეს არ მოხდებოდა; მართალია, ცნობილი არ იყო ბატონი ტიმარის გარდაცვალების დღე, მაგრამ ყველა დარწმუნებული იყო, რომ უბედური შემთხვევა ზამთარში მოხდა. უკვე ყველიერიც დადგა, ტიმეა კი ისევ გლოვობდა მეუღლეს და ბალებსა და საღამოებს არ ესწრებოდა. მაშინ იფიქრეს, დასაფლავების წლისთავამდე ატარებსო ძაძებს, მაგრამ როცა ეს ვადაც გავიდა და გაზაფხულზეც არავინ მიიღო სტუმრად, ყველა გაოცებული დარჩა, მოთმინება აღარ ჰყოფნიდათ.

არავინ იცოდა, როდემდე გაგრძელდებოდა ასე.

ყველაზე მძიმე გადასატანი კი მათთვის ის იყო, რომ ტიმეამ უარი განაცხადა მამაკაცებთან საუბარსა და სასახლეში მიღებაზე.

ერთხელ, დილაადრიან, ქალბატონი ზოფია ბაზარში წავიდა. დიდხანს იარა ვარიების საყიდლად, ევაჭრებოდა გლეხებს, წუწუნებდა, ძვირიაო, და ამასობაში თანდათან ოფიცერთა კლუბის — „ინგლისისაკენ“ მიიწევდა. მან შორი გზიდან შემოუარა გიმნაზიის ღობეს და განცალკევებით მდგარი სახლის სადარბაზოში შეირბინა, რომლის კარებზეც ორთავიანი არწივი იყო გამოსახული.

ბატონი კაჩუკა ისევ ამ სახლში ცხოვრობდა, მართალია, უკვე მაიორი იყო, მაგრამ მაინც აქ დარჩენა არჩია, მარტოხელა კაცისთვის მისი აზრით მეტი ფართობი საჭირო არ იყო.

კარებებიც და ფანჯრებიც ღია ჰქონდა, მამაც ოფიცერს ქურდებისა არ ეშინოდა.

ქალბატონ ზოფიას ბატონი კაჩუკა მარტო დაუხვდა, იგი საწერ მაგიდასთან იჯდა და საფორტიფიკაციო სამუშაოების ანგარიშებს ამოწმებდა.

— დილა მშვიდობისა, ბატონო მაიორო! გთხოვთ, მაპატიოთ, ასე მოულოდნელად რომ შემოვიქერი და მყუდროება დაგირღვიეთ! აქეთ ვიყავი საქმეზე და გადავწყვიტე ერთი წუთით შემოვსულიყავი, თანაც კარებები და ფანჯრები ღია დაგრჩენიათ, ვიფიქრე, დენშჩიკს დავაკეტინებ-მეთქი და თქვენ კი შეძრჩით ხელში. ძალიან გამახარა თქვენმა დანახვამ. ერთი წუთით ჩამოვჯდები, ღამე ძილი რომ არ გაგიფრთხოთ. (უნგოელთა ჩვეულებისაძებრ, სტუმარი ერთი წუთით მაინც თუ არ ჩამოჯდა სახლში შემოსვლისას, მასპინძელს ღამე აღარ დაეძინება.). რამდენი ხანია, თქვენთან საუბრის

პედნიერება აღარ მქონია! გმადლობთ, სიამოვნებით ჩამოვჯდები ტახტზე თქვენს გვერდით, ოღონდ ჯერ კალათას დავდგამ, კვერცხები ვიყიდე ბაზარში. საყიდლებზე ყოველთვის მე თვითონ დავდიოდარ. მსახური რომ გავგზავნო, სამმაგად დაბრუნდება, ახლანდელი მსახურები სანდონი აღარ არიან! თანაც ისე გაამპარტავდნენ, რომ, თქვენ წარმოიდგინეთ, თაკილობენ კიდევაც კალათის ხელში დაჭერას! მეტი რა გზა აქვს, იძულებული ვარ თვითონ ვიარო ბაზარში. მე ამაში სათაკილოს ვერაფერს ვხედავ, ყველა მიცნობს, ვინცა ვარ და ამით ჩინ-შედლები არ ჩამომცვივა! იმედი მაქვს, არც თქვენ გამკიცხავთ, ჩვენ ხომ დიდი ხნის ნაცნობები ვართ! — გახსოვთ, ბატონო მაიორო, როგორ ვისხედით ერთხელ ჩვენს სანზარეულოში წყლის კასრზე და ბოხარშულ სიმინდს შევექცეოდით? მე ტიმეას ბომაღალ ნათლობაზე ველაპარაკებოდი, მაგრამ რომ იცოდეთ, რაზე ვსაუბრობდით თქვენს მოსვლამდე! თუმცა, ეს დიდი ხნის წინათ იყო, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამ შეიცვალა! აი, თუნდაც ბატონი ლევეტინცის უეცარი სიკვდილი! ტიმეა საშინლად განიცდის ქმრის დაღუპვას! ისე შეიცვალა, ველარ იცნობთ! საწყალი სიმშვიდეს ველარსად პოულობს, ასე თუ იდარდა, მალე, ალბათ, ქმრის კვალს მიჰყვება! ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ მეცოდება! მერედა, რა კეთილია, რა სათნო! მამაკაცებს საერთოდ სტუმრად მოსვლაც კი აუკრძალა, ახლოს არავის იკარებს. დღეში ასჯერ მაინც მიდის ბატონი ლევეტინცის პორტრეტთან და თვალს ველარ აცილებს, სულ ხელში უჭირავს მისი უკანასკნელი წერილი, იმ ულაზარმაზარ თევზთან ერთად რომ გამოუგზავნა. ზოგჯერ მეც კი მიკითხავს ხმამაღლა და მეკითხება: „როგორ ფიქრობ, დედა, განა უცნაურად არ გეჩვენება, ბატონი ლევეტინცისაგან ასეთი წერილის მოწერა? ისიც კი არ გამორჩენია, როგორ ცეკვავდა ბშეენიერ ბოშა გოგონასთან ერთად!“ ოჰ, როგორ დარდობს, მის შემყურეს, გული მეც დარდითა და ნაღველით მევსება. ასე ახალგაზრდა და ლამაზი მაინც არ იყოს! ნეტავ გათხოვდებოდეს ვინმე ღირსეულ, მის შესაფერ ადამიანზე. ღმერთს დღე და ღამე ამას ვევედრები. ყველაზე მეტად მე ვარ ამით დაინტერესებული. ერთხელ ატალიამ მითხრა, ტიმეა რომ იმ კაცს გაჰყვეს ცოლად, ვისზეც ფიქრობს, მეც მეორე ღღესვე გავთხოვდებიო, პირველივე მთხოვნელს გავყვები, ვინც უნდა იყოს, თუნდაც უკანასკნელი მათხოვარი და ამ სახლში კი აღარ გავჩერდებიო. არ იფიქროთ, ატალიასთან წავიდე საცხოვ-

რებლად, რაც არ უნდა მდიდარი ქმარი ჰყავდეს! ტიმეასთან დავრჩებოდი მაშინაც კი, სულ რომ გაღარიბდეს! ჩემს ქალიშვილთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება აღარ შემიძლია. მართალია, დედა ამას არ უნდა ამბობდეს საკუთარ შვილზე, მაგრამ რა გაეწყობა, თქვენ ხომ უცხო არა ხართ და კარგად იცნობთ ჩვენს ოჯახს, სხვასთან ამას არც ვიტყოდი! საპარეთლე უნდა ითქვას, ბავშვობაში არ იყო ასეთი უხასიათო, მაგრამ შემდეგ მამამისმა მეტისმეტად გაათამამა, სილამაზემაც თავბრუ დაახვია და ახლა მასთან ყოფნას ჯოჯოხეთში ყოფნა მირჩევნია! ჩემს მეტი მასხრად ასაგდები აღარავინ ჰყავს და მთელ ბოღმასა და სიბოროტეს ჩემზე ანთხევს. მომვარდება უმიზეზოდ და მჩქმეტავს ან პანღურს ამომარტყამს ხოლმე. ერთი სიტყვით, ვერიდები მასთან ერთად მარტო დარჩენას და ზოგჯერ სამზარეულოდან გამოსვლისაც კი მეშინია. როცა ვეფერები, თავი ისე უჭირავს, თითქოს არ ესმოდეს, მაგიდასთან მგელივით მიყურებს. მეშინია, ცოცხლად არ გადამყლაპოს და თავგზააბნეულს ყველაფერი ხელიდან მივარდება. დილიდან საღამომდე ვაკერებ და წესრიგში მომყავს მისი კაბები, რომლებსაც ძალით ხევს, აქაო და ნახეთ, რა სიღარიბეში ვყავარ ბატონებსო! არც ღამითა მაქვს მისგან მოსვენება, სწორედ ჩემს საწოლთან უნთია სანთელი და გათენებამდე კითხულობს, მთელი ღამე ფურცლებს აშრიალებს. როგორ არ შევეხვეწე, მომასვენე-მეთქი, მაგრამ ამაოდ, პასუხად ენას მიყოფს და მემანჭება. ერთხელ ყურები ბამბით დავიცე, მაგრამ ახლა სხვაგვარად დამიწყო წვალება. ვითომ შაკიკი აწუხებდა, პირშუშხა შემოიტანა და როგორც კი ჩამეძინა, ფეხის გულებზე დამადო ნაჭრით. რამდენიმე წუთში მწვავე ტკივილმა გამომაღვიძა, ქუსლები მეწვოდა. აღარ იცის, როგორ გამიმწაროს სიცოცხლე! ერთხელ დილით ვიგრძენი, რომ ფეხსაცმელმა მომიჭირა საშინლად და მთელი დღე კოჭლობით დავდიოდი, მეორე დღეს ახლა მეორე ფეხსაცმელმა მატკინა თითები, დიდხანს ვერ მივხვდი, რაში იყო საქმე, თურმე ჩალა ჩაეტენა ფეხსაცმელში და სიცილით კვდებოდა, კოჭლობით რომ დავდიოდი. იცის, რომ მოწვენებებისა ძალიან მეშინია, ერთხელ აუღია დიდი ცოცხი, გაუკეთებია საფრთხობელა და ჩემი კარების უკან დაუყენებია, რომ მოულოდნელად გული გაეხეთქა ჩემთვის. რომ იცოდეთ, როგორ უხეშად მელაპარაკება მოსამსახურეებთან და როგორ მამცირებს! რაღა პატივისცემა უნდა ჰქონდეთ ჩემი? ერთხელ მზარეულ ქალს წავეჩხუბე და მაშინვე იმას მიემხრო.

თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა დღეს მაყრის, დღე არ გავა, რაიმე უსიამოვნება არ მომაყენოს! როგორც კი დამინახავს, რომ ლოცვას ვიწყებ, დამიჯდება გვერდით და ჩემთან ერთად იმეორებს: „ჯოჯოხეთის ცეცხლმა შთანთქას ეს სახლი თავის პატრონებიანად! ჭირმა და ქოლერამ გაწყვიტოს ისინი, მათ სიკვდილს მომასწროს ღმერთმა! მათ გაღატაკებას და მიწასთან გასწორებას! ავი სულებითა და ეშმაკებით აავსოს ეს სახლი, ამინ!“ ასეთი უმადურია! ასე უხდის მადლობას თავის კეთილისმყოფელთ ზურგს უკან, პირში კი სულ ელაქუცება და ფიანდაზად ეგება ფეხქვეშ ტიმეას. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა საშინელებაა ატალიასთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება. ვოცნებობ, როდის გათხოვდება, რომ თავიდან მომწყდეს. მგონი, იანიშ ფაბულას მოსწონს, შარშან ცოლი მოუკვდა და ახლა ქვრივია, მართალია, არც თუ ისე ახალგაზრდაა, მაგრამ მეტად ღირსეული კაცია, ახლახან ვიცე-კურატორი გახდა. ამბობენ, ორმოცი ათასი ფორინტი აქვსო, ასე რომ, ცოლის შენახვა არ გაუჭირდება. შვილები უკვე დაბინავებული ჰყავს, საუცხოო სახლი აქვს მედერჩის ქუჩაზე, თანაც წელიწადში რვა თვის განმავლობაში სამსახურებრივ საქმეებზე დადის აქეთ-იქით, ვფიქრობ, ატალია უარს არ იტყვის მის ცოლობაზე, თუკი ტიმეა „ერთ“ ადამიანზე გათხოვდება. მაშინ მეც ტიმეასთან დავრჩებოდი და ცოტას მოვისვენებდი. თუმცა, ეს შეუძლებელია. ტყუილადა მაქვს ამის იმედი! „ერთი“ იქით დარდობს და გარეთ ფეხს არ ადგამს, „მეორე“ კი, მის სახლს ახლოსაც არ ეკარება. ღმერთო ჩემო, რას ვლაპარაკობ! მე ხომ აქ საჭოროდ არ მოვსულვარ? მაგრამ როგორ შემიძლია არ გითხრათ იხ, რისი მოწმეც ამ დღეებში გავხდი უნებლიეთ. ტიმეას საწოლს ყოველ დილით მე ვასწორებ ხოლმე, აბა, როგორ მივაკარებ მოსამსახურის ხელს მის უძვირფასესი მაქმანებით დამშვენებულ თეთრეულს! დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, ასე ორი-სამი დღე შეიძლება იყოს გასული მხოლოდ, ჩვეულებრივ შევედი ტიმეას საწოლ ოთახში მისალაგებლად და, იცით, რა ვნახე ბალიშის ქვეშ? გადატეხილი ხმალი! ეტყობა, ტიმეას დავიწყებოდა დილით მისი გამოღება და შენახვა, როგორც ჩანს, ღამე გვერდიდან არ იშორებს, მართალი გითხრათ, დიდად გამაოცა ამ ამბავმა და მაშინვე ჩემს ქალიშვილს მოვუყევი, მაგრამ რომ მცოდნოდა, ხმას როგორ ამოვიღებდი. ისე ნიჩქმიტა ხელზე, სიმწარისაგან ცრემლები გადმომცვივდა, აი, შეხედეთ, ახლაც კი დალურჯებული მაქვს, თან დამემუქრა, ამის შესახებ თუ

კიდევ სადმე წამოგცდენია, იცოდე, ენას ამოგაძრობო. კრინტიც აღარავისთან დამიძრავს, რაღა ამომაღებინებდა ხმას, ახლა თქვენ გაგანდეთ მხოლოდ, და ისიც იმიტომ, რომ მინდა იცოდეს იმ ხმლის პატრონმა, როგორ უნდა მოიქცეს და რას შეუძლია მიაღწიოს ჭკუის თუ მოიხმარს!

ეს ყველაფერი სულმოუთქმელად მიაყარა ქალბატონმა ზოფიამ. ისე, რომ მაიორი პირდაღებული შეჰყურებდა და ვერც ერთხელ ვერ მოახერხა შეპასუხებოდა.

— ეჰ, ქალბატონო ზოფია, ხმლის პატრონმა კი იცის, როგორც უნდა მოიქცეს, მაგრამ ვერ გაუბედავს. ქალბატონი ლევეტინცი ქმარს რომ გასცილებოდა და სიღარიბეში ჩავარდნილიყო, დიდი სიამოვნებით გაუწვდიდა ხელს და მფარველობას არ მოაკლებდა, მაგრამ ახლა მის ხელშია ქმრის მილიონები, აურაცხელი სიმდიდრე. ხმლის ყოფილი პატრონი კი ერთი ღარიბი კაცია, ან კი როგორ გაბედავს ასეთი უმდიდრესი ქალბატონის ხელის თხოვნას. ახლა ყოველივე ამაზე ფიქრიც კი ზედმეტია!

— რამ გამოგცვალათ ასე, ბატონო! კარგად მახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინ იტალიას რომ თხოულობდით, განაცხადეთ, სანამ ესპანეთს ფორინტს არ დამითვლით, არაფრის გულისთვის ჯვარს არ დავიწერო! ახლა რა მოხდა, რამ შეგაცვლევინათ ასე აზრი სიმდიდრეზე, ნუთუ ეს თქვენა ხართ?

— ჰმ! ერთი წუთის წინ განა თქვენ კი არ აღიარეთ, რომ იტალიასთან სიმდიდრესა და ფუფუნებაში ცხოვრებას ტიმეასთან სიღარიბეში ყოფნა მირჩევნიაო? რაც უნდა იყოს, თქვენ მაინც დედა ხართ მისი!

— დიახ, მე მისი დედა ვარ, მაგრამ სრული სიმართლე მოგახსენეთ! ერთს გეტყვით კიდევ, თუ ხმლის ძველმა პატრონმა არ იცის, რა გააკეთოს, მისი ახლანდელი მფლობელი, მე მგონია, ხვდება, როგორც უნდა მოიქცეს!

ამ სიტყვებით სტუმარი წამოდგა, ბოდიში მოუხადა ამდენი შეწუხებისთვის და დასძინა, ახლა ბაზარში ვარ წასასვლელიო. თუმცა, აღარაფერი უყიდია და პირდაპირ შინისკენ გაეშურა.

IX. ᲓᲝᲜᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

წელიწადნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც მიხაი უპატრონო კუნძულზე დაბრუნდა და ფეხი აღარსად გაუდგამს.

დოდის წერა-კითხვას ასწავლიდა და უდიდესი სიამოვნებით შეჰყურებდა, როგორ გამოჰყავდა პირველი ასოები. „აბა, დაწერე „L“, „O“ და წაიკითხე ერთად!“ ბავშვი განცვიფრებული დაჰყურებდა და უკვირდა, ნუთუ შესაძლებელია ეს მართლა ცხენს ნიშნავდესო. მას ხომ ცხენი არ დაუხატავს? ხოლო, როცა წლინახევრის შემდეგ დედას საგანგებოდ დაწერილი მისალოცი ბარათი მიართვა სახელწოდების დღეს, მათ სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, მათთვის ეს ნამდვილი ხელოვნების ნაწარმოები იყო და, შეიძლება, უფრო ძვირფასიც, ვიდრე იეროგლიფებით შესრულებული კლეოპატრას ობელისკი.

ნოემის აკანკალებული ხელებით ეჭირა შვილის პირველი მისალოცი ბარათი და სიხარულის ცრემლები სცვიოდა თვალთაგან.

— სულ შენი ხელი აქვს! — შენიშნა ბოლოს გახარებულმა.

— შენ სად გინახავს ჩემი ნაწერი? — გაუკვირდა მიხაის.

— აი, თუნდაც ნიმუშად რომ უწერ დოდის, მანამდე კი იმ საბუთზე, რომლითაც შენ კუნძული გვაჩუქე, ნუთუ აღარ გახსოვს?

— მართალია, მაგრამ ეს ხომ დიდი ხნის წინათ იყო !

— ახლა აღარავის არა სწერ წერილებს?

— აღარავის.

— უკვე წელიწადზე მეტია კუნძულიდან არ წასულხარ, იქ საქმე აღარაფერი გაქვს?

— არა. და არც მექნება.

— როგორ, შენ იქ ყველაფერი მიატოვე?

— ძალიან გინდა იცოდე?

— ჰო, მიხაი, განსაკუთრებით კი ის მადარდებს, რომ შენ ჩვენი გულისთვის ამ უკაცრიელ კუნძულზე ფუჭად კარგავ დროს, მაშინ, როცა ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეგიძლია.

— კარგი, ნოემი, მე დაწვრილებით გიამბობ ჩემს ამბავს, არც იმას დაგიმალავ, რას ვაკეთებდი შენამდე და რატომ გადავწყვიტე ახლა სამუდამოდ აქ დარჩენა. როგორც კი ბავშვს დააძინებ, გამოდი აივანზე და გიამბობ ჩემს თავგადასავალს; ვიცი, ბევრი რამ გაგაოცებს და შეგაძრწუნებს, მაგრამ ბოლოს მაპატიებ, ისეც, როგორც ღმერთმა მაპატია და აქ გამომგზავნა.

ნავახშმევს, როგორც კი დოდი დააძინა, ნოემი მიხაისთან გაკიდა, გვერდით მიუჯდა და ხელი გადახვია. იქაურობა მთვარის შუქით იყო განათებული, მაგრამ ეს მნათობი მიხაის უკვე აღარ ეჩვენებო-

და მაცდურად და თვითმკვლელთა ყინულოვან სამოთხედ, პირიქით. მასში ახლა ძველ ერთგულ მეგობარს ხედავდა.

და მან დაიწყო თავისი ამბის მოყოლა, უამბო ნოემის ყველაფერი, რაც კი იმ საიდუმლოებით მოცული მგზავრის სიკვდილისა და გემის ჩაძირვის შემდეგ თავს გადახდა. არ დაუმალა არც განძეულის პოვნისა და ზღაპრულად გამდიდრების, არც ამ სიმდიდრის წყალობით საზოგადოებაში მოპოვებული მაღალი მდგომარეობის შესახებ, არც ის, რომ მრავალი გემის მფლობელი იყო და თითქმის ყველა ქვეყანაში ჰქონდა უდიდესი სავაჭრო საწარმოები, რომ ყველა პატივისცემითა და მოწიწებით იხსენიებდა მის სახელს.

უამბო ტიმეასთან თავისი ქორწინების ამბავი, რითაც ბედნიერების მაგიერ უბედურება მოუტანა ამ სათნოებითა და სიკეთით სავსე ქალს, უამბო ისიც, თუ როგორ უთვალთვალებდა და ყურს უგდებდა ერთხელ საიდუმლო სამალავიდან ცოლისა და იმ ადამიანის საუბარს, რომელიც მას თავდავიწყებით უყვარდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს უკეთილშობილესი ქალი უდიდესი თავგამოდებით იცავდა ქმრის სახელსა და ღირსებას მის მეტოქესთან.

ნოემის ცრემლი მოადგა თვალზე.

შემდეგ თავისი განცდები გაანდო, გამოუტყდა, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა უნებლიეთ და აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო; ერთიმხრივ თავისკენ ეწეოდა აურაცხელი სიმდიდრე, მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა, სახელი და დიდება, მის ირგვლივ მყოფთა განუსაზღვრელი პატივისცემა და ტიმეას საოცარი ერთგულება. მეორეს მხრივ კი — ანდამატივით იზიდავდა ეს განმარტოებული, გარე სამყაროსგან მოწყვეტილი სამოთხისმსგავსი კუნძული და წრფელი სიყვარული, სწამდა, რომ აქ, ამ მყუდრო სავანეში ჰპოვებდა სულის სიმშვიდეს, სიხარულსა და ბედნიერებას.

ნოემი ცდილობდა კოცნით გაეყუჩებინა მისი სულიერი ტკივილები.

ბოლოს ისიც უთხრა, როგორ შემოიჭრა ერთ ღამეს მის ფიურედის სასახლეში ავანტიურისტი ტოდორ კრისტიანი, სადაც მარტოდმარტო ათევდა ღამეს და მცირეოდენი წვრილმანიც კი არ გამოუტოვებია მასთან საუბრიდან. მოუყვა, როგორ გამოვიდა გარეთ მისი წასვლის შემდეგ, როგორ მივიდა სასოწარკვეთილი ყინულის ნაპრალთან თავის დასახრჩობად და როგორ დაინახა წყალში მოტივ-

ტივე სხეული დაუძინებელი მტრისა, რომელიც მალე ყინულებს მიეფარა.

მისი აღსარებით შეშინებულმა ნოემიმ ხელი მოხვია მიხაის და გულში ჩაიკრა.

— ახლა შენ ყველაფერი იცი, რა დავტოვე იქ და რა ვპოვე აქ. შეგიძლია, მაპატიო და დაივიწყო ის ტანჯვა, რაც ჩემს გამო განიცადე?

პასუხად ნოემიმ აკოცა მხოლოდ და ცრემლები გადმოსცვივდა თვალთაგან.

დიდხანს, ძალიან დიდხანს უყვებოდა მიხაი ნოემის თავის ამბავს. ისე დაათუნდათ თავზე, ვერც კი გაიგეს. როცა თხრობა დაამთავრა, ისეთი შვებით ამოისუნთქა, თითქოს მძიმე ტვირთი მოიცილა მხრებიდანო.

— როგორც იქნა, შევძელი ყველასთვის სამაგიერო მიმეზღო, ტიმეას მთელი ჩემი ქონება და თავისუფლება დავუტოვე. იმ არამზადას ხომ ჩემი ტანსაცმელი ეცვა და ჯიბეშიც ჩემი საფულე ედო, როცა მის გვამს იპოვნიან. ყველას მე ვეგონები, ალბათ, დიდი პატივით დაასაფლავებენ ჩემს მაგივრად და ტიმეა დაქვრივდება. შენ კი ჩემი სული და გული მოგიძღვენი და რადგანაც უარს არ ამბობ და მაპატიე, ყველა ჩემი დანაშაული გამოსყიდულად შეიძლება ჩაითვალოს.

ნოემიმ ხელი მოჰკიდა მიხაის და პატარა დოდის ოთახში შეიყვანა.

ბავშვი მათმა კოცნამ გამოაღვიძა და, თვალები გაახილა თუ არა, მაშინვე დილის ლოცვა წარმოთქვა!

„ღმერთო, წყალობას ნუ მოაკლებ ჩემს კეთილ მამას და კეთილ დედას!“

...ნამდვილად გამოისყიდე შენი დანაშაული, მიხაი!..

ერთი ანგელოზი ზეცაში და მეორე დედამიწაზე, აქვე, შენს წინ ლოცულობენ. რომ შენ ბედნიერი იყო...

ნოემი ბავშვს აცმევდა და თან ჩაფიქრებული მიხაის შეჰყურებდა. ყოველივე იმის გასაანალიზებლად, რაც მან ახლა მოისმინა, დიდი დრო იყო საჭირო, მაგრამ ქალები ხომ შედარებით სწრაფად და ადვილად შეიგრძნობენ ყველაფერს.

— მიხაი, — უთხრა მან მცირე სიჩუმის შემდეგ, — შენ ერთი დანაშაული კიდევ უნდა გამოასწორო.

— რა დანაშაული, ვის წინაშე?

— სასწრაფოდ უნდა აცნობო ტიმეას ის საიდუმლო, რომელიც სხვა ქალმა გაგანდო.

— რომელი საიდუმლო?

— მის საწოლ ოთახში შესასვლელ საიდუმლო კარებისა, ტიმეამ უნდა იცოდეს ამის შესახებ, ის ხომ ახლა მარტოა და როცა სძინავს, ყველას შეუძლია შევიდეს მასთან.

— ამის შესახებ ატალიას მეტმა არავინ იცის.

— სწორედ ის არის ყველაზე მეტად საშიში ტიმეასთვის.

— რას ამბობ ნოემი?

— მიხაი, გეტყობა, შენ კარგად ვერ იცნობ ატალიას, ის არაფერზე უკან არ დაიხევს! მის საქმროს ტიმეა უყვარს და ამას ატალია არასოდეს არ აპატიებს, არ დაინდობს!

— შენ მე მაშინებ, ნოემი!

— ესე იგი, შენ არ იცი, რა შეუძლია ჩაიდინოს ქალმა შურისძიების მიზნით? საჩქაროდ აცნობე ტიმეას ყველაფერი, მე მინდა, რომ ის ბედნიერი იყოს!

მადლობის ნიშნად მიხაიმ შუბლზე აკოცა.

— ჩემო ძვირფასო, როგორ შემიძლია მივწერო, ის ხომ იცნობს ჩემს ხელს და მიხვდება, რომ ცოცხალი ვარ! მაშინ კი ქვრივად ვეღარ ჩათვლის თავს და ვეღარც მე შევძლებ აქ, შენთან დარჩენას.

— მაშინ მე მივწერ.

— არა! არაფრის გულისთვის! მან არც შენგან უნდა მიიღოს წერილი. ტიმეა მე ოქრო-ვერცხლში და თვალ-მარგალიტში ჩასმული დავტოვე, არაფერი დამიშურებია, მაგრამ შენს ნაწერს ვერ გავიმეტებ მისთვის, შენ მხოლოდ და მხოლოდ მე მეკუთვნი და სხვას არავის! ტიმეასგან მე არაფერი მომიტანია შენთვის და არც შენ მოგცემ უფლებას, რაიმე გაუგზავნო.

— კარგი, კარგი, — გაიღიმა ნოემიმ, — რა გაეწყობა, მაშინ პატარა დოდიმ მისწეროს!

ტიმარმაც გაიცინა. რამდენი სითბო, გულუბრყვილობა და კეთილშობილება იყო ნოემის სიტყვებში, დოდის მართლაც შეეძლო განსაცდელისგან ეხსნა ტიმეა. გადაწყდა:

პატარა დოდი... ტიმეას!

ტიმარმა ბევრი იცინა, ნოემიმ კი თვითონ შეადგინა ტექსტი და

ბავშვს გადააწერინა. შანაც მთელის მონდომებით, უშეცდომოდ გადაწერა მისთვის სრულიად გაუგებარი წინადადებები.

წერილი შავი ბალბისგან დამზადებული მუქ-მოიისფრო მელნით იყო დაწერილი. ნოემიმ თვითონ დაბეჭდა თეთრი სანთლით და რადგანაც არც ღერბიანი ბეჭედი ჰქონდათ და არც უბრალო მონეტა, დოდის დაჭერილი მომწვანო-მოოქროსფრო მუმლი დააკრა.

წერილის საფოსტო ყუთში ჩაგდება სთხოვეს ერთ ნაცნობ ხილის ვაჭარს, რომელიც სწორედ იმ დღეებში მოვიდა კუნძულზე.

ასე გაუგზავნა პატარა დოდიმ წერილი ტიმეას.

X. რა მოუხერხებელი ხარ!..

ტიმეას მეორე სახელიც ჰქონდა, ეუეანა. პირველი დედის, ბერძენი ქალის შერქმეული იყო, მეორე კი ნათლობის შემდეგ მიიღო. ამ სახელს აწერდა ხოლმე ის საბუთებზე და ამ სახელწოდების დღესაც აღნიშნავდა.

პროვინციულ ქალაქებში ძველი ჩვეულებისამებრ დიდი ზეიმით ხდებოდა სახელწოდების დღეების აღნიშვნა. ნათესავები და ნაცნობ-მეგობრები ამ დღეს ვალდებული იყვნენ სწვეოდნენ მედღეობეს და მიელოცათ მისთვის. ყველა სტუმარს, დაუპატიჟებელსაც კი უდიდესი თავაზიანობით მიიღებდნენ და დიდი სიყვარულით მასპინძლობდნენ. ზოგიერთი ცნობილი ოჯახი ამ დღესასწაულზე მოსაწვევ ბარათებს უგზავნიდა სტუმრებს. ეს ძირითადად არისტოკრატთა წრეში ხდებოდა და ვინც მოსაწვევს არ მიიღებდა, ნიშნავდა, რომ მისთვის აუცილებელი არ იყო მისალოცად მისულიყო.

ეუეანას დღე საერთოდ ორჯერ აღინიშნება წელიწადში, მაგრამ ტიმეა მხოლოდ იმას დღესასწაულობდა, რომელიც ზამთარში უწევდა — 19 თებერვალს, როცა მისი მეუღლე შინ იყო ხოლმე. მოსაწვევ ბარათებს ერთი კვირით ადრე აგზავნიდნენ და დიდებულ ნადიმს იხდიდნენ.

მეორე სახელს არასოდეს აღნიშნავდნენ და არც არავინ იცოდა, როდის იყო მისი დღე. „ტიმეა“ არც კომარომის კალენდარში იყო შეტანილი და არც მატიაშ ტრანტერისა და იშტვან კაროის უნგრულ-ეროვნულ კალენდარში. სხვა კალენდარი კი მაშინ პროვინციებში არ იყო. მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ გამოვიდა ისეთი, რომელშიც აღნიშნული იყო „ტიმეას“ დღე.

ბაისის ერთ-ერთ უმშვენიერეს დღეს აღინიშნებოდა წმინდა ტიმეას დღე. ამ დროს მიხაი ჩვეულებრივ წასული იყო ხოლმე. სწორედ ამ დღეს, ტიმეა ყოველ წელიწადს იღებდა საჩუქრად თეთრი ვარდების საუცხოო თაიგულს უცნობი თაყვანისმცემლისგან. თაიგულები მოდიოდა ფოსტით, ზუსტად ერთსა და იმავე დროს.

სანამ ტიმარი ცოცხალი იყო, ბატონ კაჩუკას ყოველთვის უგზავნიდა მოსაწვევ ბარათს ეუჟანას სახელწოდების დღეს, მაგრამ ის ნადიმზე არასოდეს მოსულა.

ამ წელიწადს ეუჟანას დღე არ აღუნიშნავთ, ვინაიდან ტიმეა ჯერ ისევ შავებში იყო და მეუღლეს გლოვობდა.

ბაისის იმ დღეს კი, როცა ტიმეა თეთრი ვარდების თაიგულს იღებდა ხოლმე საჩუქრად, მისმა შავებში ჩაცმულმა მსახურმა ბატონ კაჩუკას წერილი მოუტანა. განცვიფრებულმა მაიორმა კონვერტი გახსნა და ხელში შერჩა ძვირფას ქაღალდზე დაბეჭდილი მოსაწვევი ბარათი, ოღონდ ეუჟანა ლევეტინცის ნაცვლად ეწერა ტიმეა ლევეტინცი.

ბატონი კაჩუკა ვერ მიმხვდარიყო, რას ნიშნავდა ეს ყოველივე. მისი აზრით, კომარომის საზოგადოება აღშფოთდებოდა იმით, რომ დღესასწაულობდნენ ბერძენი ტიმეას დღეს; ნაცვლად კალვინისტი ეუჟანასი, მაგრამ მაინც გადაწყვიტა ნადიმზე მისულიყო, ოღონდ ცხრის ნახევრის ნაცვლად, როგორც მოსაწვევ ბარათში იყო აღნიშნული, ათის ნახევარზე მივიდა.

წინა ოთახში მოსამსახურეს წამოსასხამი და ხმალი გადასცა და ყოველ შემთხვევისთვის ჰკითხა, სტუმრები, ალბათ, ბევრნი მოვიდნენო, მაგრამ მისდა გასაოცრად უპასუხეს, ჯერ არავინ მოსულაო.

ამას კი აღარ მოელოდა, ალბათ, ისე არიან განაწყენებულნი, რომ აღარც მოსალოცად ეწვივნენო, გაიფიქრა და გაჩირაღდნებულ დარბაზში შევიდა. ძვირფასი ჭაღები თვალისმომჭრელად ბრწყინავდა და იქაურობას საზეიმო ელფერს აძლევდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ბევრ სტუმარს ელოდნენ.

მის შესახვედრად გამოსულმა მოახლემ მოახსენა, ქალბატონი მისაღებ ოთახში გელოდებათ.

— ვინ არის ახლა მასთან?

— მარტოა, მადმუაზელ ატალია დედასთან ერთად ბატონმა ფაბულამ მიიწვია სადილად.

ამან უკვე ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, არათუ სტუმრე-

ბი, ოჯახის წევრებიც კი არ იყვნენ შინ. კაჩუკამ აღარ იცოდა, რა ეფიქრა. ბოლოს, როგორც იქნა, გონება მოიკრიბა და შეევიდა.

ტიმეა ისევ შავებში იყო ჩაცმული, რაც სრულებით არ შეეფერებოდა ამ დღის საზეიმო განწყობილებას. საოცარი იყო სწორედ, შავ ძაძებში ჩაცმული ქერივი სახელწოდების დღეს იხდიდა მოოქროვილი ჭაღებით გაჩირაღდნებულ მდიდრულად მორთულ დარბაზში. თუმცა. დიასახლისმა, ასეთი ჩაცმულობის მიუხედავად, გაუღიმა და გაბრწყინებული სახით შეეგება თავის ერთადერთ სტუმარს.

— ოჰ, როგორ მალოდინეთ! — მიმართა თავაზიანად და ხელი გაუწოდა.

მაიორი მოწიწებით ეამბორა.

— მართალი მოგახსენოთ, მერიდებოდა პირველი მოვსულიყავი.

— უკვე ყველა აქ არის, ვინც კი დავპატიჟე.

— სად? — ჰკითხა კიდევ უფრო მეტად განცვიფრებულმა მაიორმა.

— სასადილო ოთახში სხედან მაგიდასთან და თქვენ გელიან.

ამ სიტყვებით მან სტუმარს ხელკავი გაუკეთა და მეორე ოთახში გაიყვანა.

მაიორი უკვე საკუთარ თვალებს არ უჯერებდა, გაჩირაღდნებულ სასადილო ოთახში თერთმეტი კაცისთვის ვაშლილი გრძელი მაგიდის ირგვლივ ცარიელი როკოკოს სტილის სავარძლები იდგა მხოლოდ. ახლა კი ყველაფერს მიხვდა, უძვირფასესი სერვიზით გაწყობილ მაგიდაზე თეთრი ვარდების თაიგულიანი ცხრა თავდახურული ბროლის ლარნაკი იდგა. ყველა დამჭკნარი იყო, გარდა ერთისა, რომელიც სულ ახლახან მოეტანათ.

— აი, ხომ ხედავთ, ყველა აქ არის, ვინც ამ წლების მანძილზე მილოცავდა ტიმეას სახელწოდების დღეს, სწორედ ესენი არიან ჩემი სტუმრები. მოხარული ვიქნები, თუ თქვენ უარს არ მეტყვით, იყოთ მეათე!

ამ მოულოდნელი სიხარულითა და ბედნიერებით აღფრთოვანებულმა მაიორმა ხელზე აკოცა და თვალებზე ხელი აიფარა.

— ჩემი საწყალი ვარდები!..

ტიმეამ არ დაუშალა კიდევ რამდენჯერმე ეკოცნა მისთვის ხელზე, მერე თავის შავ კაბას დახედა და მიმართა:

— გნებავთ, შავები გავიხადო?

— ეს იქნებოდა ჩემთვის ახალი ცხოვრების დაწყება!

— კარგით, ეუეანას სახელწოდების დღეს სხვა ტანსაცმელში მიხილავთ.

— ამდენ ხანს უნდა ველოდო?

— ნუ გეშინიათ, წმინდა ეუეანას დღეს ზაფხულობითაც აღნიშნავენ. აი იმ დღისთვის საგანგებოდ შევიკერავ სადღესასწაულო კაბას.

— იქამდე მაინც დიდი დროა!

— ნუთუ ამდენ ხანს მოთმინება ვერ ისწავლეთ? მე ხომ ასე ადვილად ვერ შევეჩვევი ჩემს ბედნიერებას! მანამდე ყოველდღე შევხვდებით ერთმანეთს ჯერ ერთი წუთით, მერე ორით, სამით... და ბოლოს სამუდამოდ აქ დარჩებით. ასე არ სჯობია?

გაწა შეეძლო მაიორს უარი ეთქვა ამ თხოვნაზე!

— ახლა კი, დროა ერთმანეთს დავემშვიდობოთ, — ჩურჩულით უთხრა ტიმეამ, — დანარჩენ სტუმრებს უკვე ეძინებათ, ნახვამდის!

მაიორი წამოდგა და თავაზიანად დაუკრა თავი.

— ერთი წუთით, თქვენი მოსალოცი ბარათიდან ერთ სიტყვას დაგიბრუნებთ!

მან ცოცხალი ვარდების თაიგულიდან ნახევრად გადაშლილი კოკორი ამოიღო, ოდნავ შეახო ტუჩები და გულზე დაუბნია. კაჩუკამ ფრთხილად მოიხსნა ძვირფასი საჩუქარი და კოცნა დაუწყო...

ქუჩაში რომ გამოვიდა და ფანჯრებს ახედა, უკვე ჩაბნელებული იყო. ის იყო უკანასკნელი სტუმარი...

ბოლოს და ბოლოს ტიმეა შეეჩვია იმ აზრს, რომ შესაძლებელი იყო გაბედნიერებულიყო. მას შესანიშნავი მასწავლებელი ჰყავდა. იმ დღის შემდეგ ბატონი კაჩუკა ყოველდღე მოდიოდა მასთან და, მიუხედავად მკაცრი გაფრთხილებისა, მაინც დიდხანს რჩებოდა.

ქორწილი დანიშნული იყო აგვისტოში, წმინდა ეუეანას დღეს.

ატალია თითქოს შეურიგდა ბედს და დათანხმდა მიეღო ნიშნობის ბეჭედი ბატონი ფაბულასაგან. ეს არც არავის გაჰკვირვებია—პირველი შეძთხვევა ხომ არ იყო, რომ ახალგაზრდა ლამაზი ქალიშვილი ხანში შესულ ქვრივს მიჰყვებოდა ცოლად. თანაც ბატონი ფაბულა შესანიშნავ მეოჯახედ ითვლებოდა და ქონებაც საკმარისი ჰქონდა.

ბევრის აზრით, იგი გაცილებით სჯობდა იმ ცხვირმოუხოცავ ახალგაზოდებს, ჯერ სკოლაც რომ არ ჰქონდათ დამთავრებული.

ტიმეამ გადაწყვიტა ატალიასთვის მზითვად მიეცა მიხაის დანაპირები ასიათასი ფორინტი, რომლის მიღებაზეც მან თავის დროზე უარი განაცხადა.

ქალბატონი ზოფია რატომღაც ფიქრობდა, რომ ორივე საქმე მისი გაჩარხული იყო და სიხარულისგან ფეხზე ძლივს იდგა. ცდილობდა, რაც შეიძლებოდა ჩქარა დაეგვირგვინებინა ისინი და თავს არ ზოგავდა. ტიმეას რაც შეეძლო უქებდა მაიორს, ატალიასთან კი მიწასთან ასწორებდა, ხოლო, როცა ბატონმა ფაბულამ ატალიას ნიშნობის ბეჭედი მიართვა, რომელიც ჩვეულებრივი ნაკეთები იყო და სხვებისგან არაფრით გამოირჩეოდა, ფიცავდა, ამის მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არაფერი მინახავსო.

— ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილხარ დაბადებული, შვილო! კიდევ კარგი, რომ იმ ღატაკს არ გაჰყევი ცოლად, ერთი ძველისძველი ხმლისა და ჟანგიანი ფარგლის მეტი რომ არაფერი გააჩნია; შიმშილით კუჭი უხმება, დენშჩიკს ისევ სასადილოებიდან დააქვს მისთვის უგემური საჭმელები. ბატონი ფაბულა კი სულ სხვაა! მარტო მისი ყურება რად ღირს, მოხდენილად რომ გადაისვამს ხოლმე ხელს თავის მშვენიერ ულვაშებზე! იმ ჯიბეგახვრეტილ მამლაყინწას კი არც ულვაშები აქვს და არც წვერი, ქალმა იმას როგორ უნდა აკოცოს! თანაც არც ისე ახალგაზრდა უნდა იყოს, როგორც შენ გგონია, თავზე თმა აღარა აქვს და მალე, ალბათ, სულ გამელოტდება. ბატონ ფაბულას ყველა პატივსა სცემს და მოწიწებით ესალმება, თვით მოძღვარიც კი ქუდს იხდის მის წინაშე, ვიცე-კურატორია ბოლოს და ბოლოს! ბატონი ლევეტინცი მთავარ კურატორად ითვლებოდა, ბატონი ფაბულა კი მეორე კაცია მის შემდეგ. ბატონი ლევეტინცი გრაფი „ნადაშდი“ იყო, ბატონი ფაბულა კი „კიურტია“. მართალია აზნაური არ არის, მაგრამ სამაგიეროდ „სამოცეულში“ შედის და როცა მოისურვებს კამერჰერი შეუძლია გახდეს, შენ კი ბრწყინვალე ქალბატონი იქნები ჩემსავით!

„სამოცეული“ და კამერჰერები განაგებდნენ მაშინ კომარომს. პირველნი მუნიციპალიტეტის წევრები იყვნენ, მეორეთა ხელში კი იყო ქალაქის მეურნეობასა და ტრანსპორტში გამოსაყენებელი ხარები და ცხენები.

ატალია თავს ირთობდა დედის ფარისევლური საუბრებით. მას

შემდეგ, რაც ბატონმა კაჩუკამ ტიმეასთან სიარულს მოუხშირა, სრულიად გამოიცვალა, ადრინდელი სიავისა და ბოროტების კვალიც აღარ შერჩენოდა. ახლა მისთვის რომ ვინმეს შეეხედა, იფიქრებდა, ამაზე უფრო უწყინარი არსება დედამიწაზე არ არსებობსო. ასე გასინჯეთ, დედასაც კი თავაზიანად ექცეოდა და ყოველ საღამოს რომით შეზავებულ, სურნელოვან ჩაის უმზადებდა, რომელსაც ქალბატონი ზოფია დიდი სიამოვნებით მიირთმევდა. მოახლეებთან დამოკიდებულებაც შეცვალა, მათ მიმართაც უფრო ლმობიერი გახდა და ზოგჯერ ჩაისაც შესთავაზებდა ხოლმე, კაცებს კი პუნშის მსგავსი, საუცხოო სასმელით უმასპინძლდებოდა. ყველა აღფრთოვანებული იყო მისი ასეთი შემობრუნებით.

ქალბატონი ზოფიას აზრით, ატალიას გადასხვაფერების მიზეზი ძნელი მისახვედრი არ იყო, და ასე ხსნიდა ამ მართლაცდა უჩვეულო ამბავს:

„ჩემი ქარაფშუტა ქალიშვილი იმიტომ ცდილობს გული მომიგოს, რომ როცა გათხოვდება, თან წავყვე. მას ჭირივითა სძულს დიასახლისობა და უბრალო შეჭამანდის მომზადებაც კი არ შეუძლია, იმიტომ გავხდი ახლა საყვარელი დედიკო და ყოველ საღამოს რომით შეზავებულ ჩაის მიმზადებს! მაგრამ სულ ერთია, ამით თვალს ვერ ამიბავს, ჩემი მოტყუება არც ისე იოლია, მე ხომ ვიცი, რაც არის ჩემი ქალიშვილი! ხორცშესხმული ქაჯია!“

...სულ მალე კი ქალბატონი ზოფია უკეთესად დარწმუნდება ამაში.

ატალია ტიმეასა და მაიორს სულ ელაქუცებოდა და ფეხქვეშ ეგებოდა. სადღაც გამქრალიყო მისი ამპარტავნობა და გულზვიადობა. მომღიმარი სახით უღებდა კარს მაიორს და თავაზიანად შეჰყავდა ტიმეასთან, დიდი სიამოვნებით საუბრობდა მათთან, ხოლო, როცა გავიდოდა, გვერდითი ოთახიდან მისი მხიარული კისკისი ისმოდა.

გასაოცარი ოსტატობით თამაშობდა თავმდაბალი, დამყოლი ხელქვეითის როლს. როცა ერთხელ ტიმეამ სთხოვა, ფორტეპიანოზე ოთხი ხელით დავუკრათო, ისე დაიმორცხვა და ისეთი მოჩვენებითი გულწრფელობით განაცხადა, დამავიწყდაო, რომ შეუძლებელი იყო, ეჭვი შეგეტანათ მისი სიტყვების სიმართლეში. ერთადერთი ინსტრუმენტი, რომელზედაც, მისი სიტყვით, ახლა ის ვარჯიშობდა,

ხორცსაკეპი იყო; ამის შემდეგ იგი მხოლოდ მაშინ უკრავდა ფორტეპიანოზე, როცა მარტო იყო და არავინ უსმენდა.

ყველას სჯეროდა, რომ ატალია იანოშ ფაბულაზე აპირებდა გათხოვებას და ხასიათის გამოცვლასაც ამიტომ ცდილობდა ასეთი მონდომებით.

მხოლოდ ბატონი კაჩუკა ხვდებოდა მის ფარულ აზრებს. ის საკმაოდ კარგად იცნობდა ამ ბოროტების განსახიერებას, თავის დანაშაულსაც შესანიშნავად გრძნობდა მის წინაშე და დარწმუნებული იყო, რომ როცა იქნებოდა სამაგიეროს მიუზღავდა. ატალიას შურისძიება გარდუვალი იყო.

ყოველთვის, როცა კი მაიორი მშვენიერი ტიმეას მშვიდსა და სათნოებით სავსე სახეს შეავლებდა თვალს, შეძრწუნებული ფიქრობდა:

„ნუთუ, დაგავიწყდა, ფერმკრთალო მზეთუნახავო, რომ ამ სახლის მბრძანებელი ადრე ატალია იყო? ულამაზესი და უმდიდრესი საპატარძლო, თითქმის პირველი ქალი იყო მთელ ქალაქში. ყველა მას შენატროდა, ქალი თუ კაცი. კაცები ეტრფოდნენ, ქალები შურით ივსებოდნენ. მას შემდეგ კი, რაც შენ შემოსდგი ფეხი ამ სახლში, უკუღმა დატრიალდა მისი ბედის ბორბალი. რა არ გამოსცადა, გაღატაკება, დამცირება, საქმრომაც მიატოვა: მართალია, შენ არ მიგიძღვის დანაშაული, მაგრამ მისი უბედურების მიზეზი უნებლიეთ მაინც შენა ხარ.

შენი მშვენიერი, თეთრყირმიზი სახე და მომაჯადოებელი, საოცრად ლამაზად გადაბმული შავი წარბები თითქოს ყველასა და ყველაფრის დასაღუპად შეუქმნია განგებას. დუნაის ტალღებმა შთანთქა გემი, რომლითაც შენ უნგრეთში ჩამოხვედი, გაღატაკდნენ და გაუბედურდნენ ადამიანები, რომლებმაც შენ შეგიფარეს. იღუპება არა მარტო ის, ვინც შენ გდევნის, არამედ ისიც, ვინც დახმარების ხელს გიწვდის. სიკვდილის აჩრდილი დაგყვება ყველგან და მუსრავს ყველას, ვინც კი დაგიახლოვდება.

ნუთუ არ გეშინია ამ დაწყევლილ სახლში ატალიასთან ერთად ცხოვრებისა? ნუთუ არ გეშინია მისი, როცა თვალებში შეგციცინებს ან ხელზე გკოცნის? არა გრძნობ, როგორ გველებივით გეხვევიან ფეხებზე მისი თითები, როცა ფეხსაცმელს გაცმევენ? ან იმაზე თუ გიფიქრია, რომ საწამლავი შეუძლია ჩაგიყაროს ჭიქაში?

არა და არა! ტიმეას ეპვი არასოდეს შეუტანია მის ერთგულება-

ში, ღვიძლ დასავით ექცეოდა ატალიას და დარწმუნებული იყო, რომ მასაც ისეთივე სუფთა გულით უყვარდა. მას მზითვად მიხაის დანაპირებ ასიათას ფორინტსაც კი აძლევდა, ოღონდ გათხოვილიყო და ბედნიერი ყოფილიყო. ამით ერთგვარად ცდილობდა, საქმროს დაკარგვით გამოწვეული ნაღველი განექარვებინა მისთვის. მაგრამ, ატალიამ ხომ თვითონვე უარჰყო კაჩუკა და ჯერ კიდევ მიხაის სიცოცხლეშივე განაცხადა: „ის ადამიანი მე არც ცოცხალი და არც მკვდარი აღარ მჭირდებაო!“ წარმოდგენაც არავის ჰქონდა იმ ღამის საიდუმლო ვიზიტის შესახებ, როცა მიტოვებულმა და უარყოფილმა ატალიამ ერთხელ კიდევ ამაოდ სცადა საქმროს დაბრუნება. რა იცოდა გულუბრყვილო ტიმეამ, რომ ქალი არასოდეს აპატიებდა მეტოქეს საქმროს წართმევას და ყოველთვის შეეცდებოდა სამაგიეროს გადახდას.

ბატონ კაჩუკას კი მუდამ თვალწინ ედგა ის ავბედითი ღამე და სულ იმის ფიქრში იყო, როგორ აეცილებინა ტიმეასთვის მოსალოდნელი საფრთხე, მაგრამ ვერ იქნა და მისი გაფრთხილება ვერ მოახერხა.

წმინდა ჟუჟანას დღესასწაულამდე ერთი დღეღა იყო დარჩენილი. ტიმეა დიდი გაჭირვებით, ძლივს შეელია შავ ძაძებს, მას მეტისმეტად უმძიმდა გლოვის შეცვლა მხიარულებით და, სადღაც, მომავალი ბედნიერებაც აშინებდა.

ჯერ შავ კაბაზე თეთრი მაქმანები მოავლებინა, შემდეგ თავს უფლება მისცა ნაცრისფერი კაბა ჩაეცვა, ბოლოს კი კუბოკრული აბრეშუმის ქსოვილი შეაკერინა შალის ნაცვლად. ერთადერთი, რაც მიხაი ტიმარ ლევეტინცის გლოვის ნიშნად შემორჩა, შავი თავსაბურიღა იყო.

წმინდა ჟუჟანას დღეს კი ახალგაზრდა ქვრივი ამასაც უნდა შელეოდა. უკვე მზად იყო ახალი, უძვირფასესი მაქმანებით გაწყობილი თეთრი თავსაბური, რომლის პირველად დახურვა ტიმეამ, საუბედუროდ, მაიორის თანდასწრებით მოისურვა. მისთვის ხომ ახლა თეთრი თავსაბურის დახურვა საპატარძლო ფატას უდრიდა.

მაიორს იმ დღეს საკმაოდ დიდხანს ელოდნენ, ვენიდან საგანგებოდ გამოწერილი თეთრი ვარდების თაიგული დაგვიანებით მოვიდა. ამ წელს ეს უკვე მეორე თაიგული იყო, მას ახლა ნება დართეს ჟუჟანას სახელწოდების დღეც მიელოცა.

ტიმეას სახელზე უამრავი მოლოცვა მოვიდა. ულოცავდნენ ნაც-

ნობ-მეგობრები, ერთნი ნამდვილად წრფელი გულით, მეორენი სხვისი მიხედულობით, ზოგიერთები კი, მხოლოდ საქმიანი ურთიერთობის გამო იძულებული იყვნენ პატივი ეცათ მისთვის. ტიმეამ მეორე დღისთვის გადასდო მათი წაკითხვა და ხელუხლებლად დატოვა ვერცხლის კალათში. ბევრი ბარათი ბავშვის ხელით იყო დაწერილი — ტიმეას ქალაქში და ახლომახლო სოფლებში ასოცდაოთხი ნათლული ჰყავდა, რომლებიც ყოველ წელს ულოცავდნენ ბავშვური უშუალობითა და სიყვარულით. ადრე ყოველთვის დიდ სიხარულს ანიჭებდა მათი წაკითხვა, მაგრამ ახლა ამისთვის არ ეცალა.

— ნახე, რა საოცარი წერილია! — წამოიძახა ატალიამ. — ბეჭდის ნაცვლად სანთელზე ოქროსფერი მუმლია მიწებებული.

— თანაც, რაღაც განსაკუთრებული ფერის მელნითაა დაწერილი, — შენიშნა ტიმეამ, — სხვებთან ერთად დადე, მაგასაც ხვალ წავიკითხავ.

იმავე წამს შინაგანმა ხმამ უკარნახა, რომ კარგი იქნებოდა დღესვე წაეკითხა!

ეს პატარა დოდის წერილი იყო.

მაგრამ მაინც წერილების გროვაში ისროლა.

როგორც იქნა, მაიორიც მოვიდა. ის დანახვაზე ტიმეას ყველაფერი დაავიწყდა ამქვეყნად და გაბრწყინებული სახით მიეგება.

ათი წლის წინათ, ამავე დარბაზში მან სხვა საცოლეს მიართვა წითელი ვარდების თაიგული.

და ის სხვაც აქ იყო ახლა.

აქვე იდგა ის მაღალი სარკეც, რომელშიც საქორწინო კაბაში გამოწყობილი ატალია შეჰყურებდა თავის მშვენიერ ორეულს.

ტიმეამ მაიორს თაიგული ჩამოართვა, ძვირფასი ფაიფურის ლარნაკში მოათავსა და ჩასჩურჩულა:

— მეც მინდა დღეს ერთი პატარა საჩუქარი მოგიძღვნათ; მართალია ის თქვენ არ გადმოგეცემათ, მაგრამ იცოდეთ, რომ თქვენ გეკუთვნით!

ამ სიტყვებით მან კოლოფი გახსნა და ჰაეროვანი თეთრი თავსაბური ამოიღო.

— რა მშვენიერია! — წამოიძახა მაიორმა და ფრთხილად აიღო ხელში.

— გნებავთ დავიხურო?

მაიორმა ამ დროს ატალიას რისხვით ანთებულ სახეს მოჰკრა თვალი და სიტყვა ენის წვერზე შეეყინა.

ტიმეას არაფერი შეუნიშნავს, ბავშვური გულუბრყვილობით მივიდა სარკესთან, მაგრამ როგორც კი შავი თავსაბური მოიხსნა, სახე ცოცხალივით ალბეგინა და საშინელი გულისტკივილი იგრძნო. ეს იყო მხოლოდ ერთი წამით, თავსაბურს ბაგეები შეახო და თავისთვის ჩაიჩურჩულა: „ჩემი საბრალო მიხაი!..“

ამით დაასრულა ტიმეამ საყვარელი მეუღლის გლოვა და თითქოს დარდის უკანასკნელი ნიშანიც გაჰქრა მის სახეზე.

ახალი თავსაბური ისევ მაიორს ეჭირა ხელში.

— თუ შეიძლება, მომაწოდეთ, მოვიზომავ! — მიმართა ტიმეამ.

— სიამოვნებით მოგემსახურებით! — შესთავაზა მაიორმა.

მაშინ ქალები საოცრად მაღალ ვარცხნილობას ატარებდნენ და ტიმეას მართლაც ვინმე უნდა მიხმარებოდა.

— არა, არა, თქვენ ვერ შესძლებთ, ატალიას ვთხოვ მომეხმაროს!

ტიმეამ ეს სუფთა გულით, ყოველგვარი ფარული აზრების გარეშე წარმოთქვა, მაგრამ მაიორს არ გამორჩენია, როგორ გაფითრდა ამ სიტყვებზე ატალია. მას რატომღაც გაახსენდა, როგორ სთხოვა მან ოდესღაც ტიმეას: „მოდი ჩემთან და ფატა დამახურე!“ ალბათ, არც ატალია გრძნობდა მაშინ, რამდენი შხამი ერია მის სიტყვებში.

ატალია მიუახლოვდა ტიმეას, მაგრამ ხელები აუკანკალდა და ერთი სარჭი დამაგრებისას თავში უჩხვლიტა.

— „აჰ რა მოუხერხებელი ხარ!“ — იკივლა ტიმეამ და წამოხტა.

იგივე სიტყვები... და იგივე კაცის თანდასწრებით..

ტიმეამ ეს ანგარიშმიუცემლად წამოიძახა მაგრამ კაჩუკამ შენიშნა, როგორ გაიელვეს ატალიას რისხვით ანთებულმა თვალებმა. მის მზერაში მხოლოდ ზიზღი იგრძნობოდა, მეტისმეტი სიბოროტისგან სახე დაელმიჭა და პირდაღებული გველეშაპივით შეჰყურებდა მეტოქეს.

ტიმეამ მეორე წუთში ინანა თავისი საქციელი, მიუბრუნდა და კოცნა დაუწყო:

— მაპატიე, საყვარელო ტალი, უნებლიეთ გაწყენინე, ნუ გამიჯავრდები! ხომ შემირიგდები?

გამძვინვარებულმა ურჩხულმა მაშინვე ანგელოზის ნიღაბი ჩამოიფარა და იქით დაუწყო მოფერება და კოცნა:

— ოჰ, რა მშვენიერი ხარ, ჩემო ძვირფასო ტიმეა! ეს მე გაწყენინე, მაგრამ უცაბედად მომივიდა, რომ იცოდე, როგორ გშვენის ეს თავსაბური! ზღაპრულ ფერიას გავხარ!

მაიორმა იგრძნო, რასაც ნიშნავდა ამ ვერაგი ქალის ალერსი და ტანში შიშის ჟრუანტელმა დაუარა...

XI. ატალია

სახელწოდების დღის წინა საღამო ქორწილის წინა საღამოც იყო. დაუვიწყარი იყო ღამეც.

საქმრო და საპატარძლო ერთმანეთის გვერდით ისხდნენ საწოლ ოთახში და საუბრობდნენ. სათქმელი ბევრი ჰქონდათ. ვინ იცის, რაზე აღარ ილაპარაკეს, თუმცა, მაინც ვერავინ ვერაფერს გაიგებდა, სიყვარულის ენა ხომ შეყვარებულებმა იციან მხოლოდ, ისევე როგორც ყვავილებისა მებაღემ. ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია ეს ციური ხმები, ალბათ, გულით ატარებს, როგორც წმინდათა წმინდა საიდუმლოს. შეყვარებულთა გრძნობებს, მათ საუბარს, ვერ გადმოსცემს, ვერც სოლომონ ბრძენის სიმღერები, ვერც ჰაფიზის ოდები, ვერც ჰაინეს ლექსები და ვერც პეტეფის „სიყვარულის მარგალიტები". ეს მარადიული საიდუმლოა.

სახლის მეორე ფლიგელში კი ამ დროს დიდი გამოცოცხლება იყო, მოსამსახურეები ქეიფობდნენ.

იმ დღეს ყველას ბევრი საქმე ჰქონდა, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ქალბატონი ზოფია იყო მოუცლელი — მთელი საქორწინო სუფრის საჭმელ-სასმელის მომზადება მან ითავა. არაფრის გულისთვის არ მოაყვანინა არც მზარეული, არც კონდიტერი, განაცხადა, ამ საქმის დიდი ოსტატი ვარო, და ყველაფერი საკუთარი ხელით გააკეთა. მას დედამისისგან მართლაც ზედმიწევნით შეესწავლა კულინარობა, ურომლისოდაც ვერც ნადიმი და ვერც ქორწილი ვერ მოეწყობოდა.

მთელი სამზარეულო, სარდაფი, საკუჭნაოები და სათავსოები სავსე იყო ახლადგამომცხვარი საუცხოო ტორტებით, შაქარლამებით, ათასნაირი ნამცხვრებით, ღვეზელებით და ფუნთუშებით. ქონით და-

ტენილი, შეუდარებელი ოსტატობით შემწვარი უამრავი შინაური ფრინველი და ნანადირევი ყინულებში ჩაედგათ.

ღამის თერთმეტი საათისათვის უკვე ყველაფერი მზად იყო ზღაპრული საქორწილო სუფრის გასაწყობად. ყველა ერთხმად უქებდა ნახელავს ქალბატონ ზოფიას და ეუბნებოდნენ, ამის მსგავსი ჯერ არაფერი გვინახავსო. ისიც, მიუხედავად დაღლილობისა, ამდენი ქებით გახალისებული შესანიშნავ ხასიათზე დადგა და გადაწყვიტა გულუხვად გამასპინძლებოდა ყველას. მასთან ერთად დილიდან საღამომდე ერთგულად მომუშავე მოსამსახურეთა ბოელი არმიისათვის გაშალეს უზარმაზარი სუფრა და დაიწყეს ქეიფი და დროსტარება. უხვად იყო სანოვაგის ნაწილი, რომელიც მცირეოდენი ნაკლის გამო სტუმრებთან მისატანად არ გამოდგებოდა. ნამცხვრის ნაწილს ფორმა ჰქონდა დაკარგული ცომის არასაკმაო აფუების, ან ღუმელიდან ნაჩქარევად გამოღების გამო, აქვე იყო ლორისა და სხვადასხვა საჭმელების ჩამონაჭრების, შემწვარი ხოხბის ბოლოების, კურდღლის მკერდის ნაწილების მთელი გროვა. ეს ყველაფერი მოსამსახურეებისთვის იყო განკუთვნილი, აბა ამას საქორწილო სუფრაზე ხომ ვერ მიიტანდნენ! აქ კი ყველა დიდი სიამოვნებით შეექცეოდა და თანაც ისე მოსწონდათ, რომ კინაღამ თითები ჩაიკვნიტეს. ეამაყებოდათ კიდევაც, ბატონებზე ადრე ჩვენ გავუსინჯეთ გემო ნუგბარ საჭმელებსო!

ქალბატონი ზოფია ისე გამხიარულდა, რომ სულ ენად გაიკრიფა და ლაპარაკს აღარავის აცლიდა. ყველა მორჩილად უსმენდა, მეტი რა გზა ჰქონდათ!

ბოლოს სუფრაზე ღვინოც შემოიტანეს, რომელშიც ზოგიერთი საჭმელების ამოსავსები გამოეხარშათ და რა თქმა უნდა სტუმრებთან ვეღარ მიიტანდნენ, გადასაღვრელადაც დაენანათ და აბა, სხვა ვინ დალევდა! მართლაც, საუცხოო წითელი ღვინო გახლდათ! ქალბატონმა ზოფიამ, როგორც პირის პატივის დიდმა მოყვარულმა. თავის ფიალაში მუსკატის კაკალი, დარიჩინი, ილი და შაქარი დაუმატა და კარგა ბლომადაც მიირთვა. ორი მოსამსახურე სადილის კოვზით სვამდა ვანილის ნაყენს, მეეტლე კი პურის ნატეხებს ასველებდა შოკოლადით შეზავებულ ნაღებში. მოსამსახურეებმა ისეთი დრო გაატარეს იმ საღამოს, რომ ჩიტის რძეც არ აკლდათ!

მაგრამ ატალია არსად ჩანდა.

სად იყო ნეტავ?

შეყვარებულებს ეგონათ, დედასთან ერთად სამზარეულოში ქეიფობსო, მსახურები ფიქრობდნენ, ალბათ, ტიმეასა და მაიორთან ატარებს დროსო, ამიტომ მისი მოძებნით დიდად არავის შეუწუხებია თავი, მისთვის ახლა არავის ეცალა!

თუმცა, ურიგო არ იქნებოდა, შეყვარებულებს ერთი წუთით მაინც შეეწყვიტათ ჩურჩული და მოეკითხათ, სად იყო ატალია?

ის კი ამ დროს სწორედ იმ დარბაზში იყო, სადაც სულ პირველად შეხვდა ტიმეას. ძველი ავეჯი აქედან რამდენიმე წლის წინ გაეტანათ და ერთადერთი ამოქარგული სკამიღა შემორჩენილიყო მხოლოდ. ამ სკამზე იჯდა მაშინ ატალია, როცა ოთახში საოცრად ლამაზი, თოვლივით თეთრი პატარა გოგონა შემოვიდა ტიმარის თანხლებით. მოპირდაპირე მხარეს ბატონი კაჩუკა იდგა და მის პორტრეტს ხატავდა. მოულოდნელად შემოსულმა მზეთუნახავმა ისე მოაჯადოვა მამაკაცი, რომ თვალი ვეღარ მოაცილა და უნებლიეთ სულ სხვა ადგილას გაავლო ხაზი.

ახლაც ამ სკამზე იჯდა ატალია.

მისი პორტრეტიც დიდი ხნის წინ გაეტანათ აქედან, მაგრამ მას ისევ თვალწინ ედგა ახალგაზრდა მოხდენილი ლეიტენანტი, რომელიც ემუდარებოდა, გაიღიმე, ასე მედიდურად ნუ მიყურებო...

ოთახში ბნელოდა, აქ სანთლებს არ ანთებდნენ საერთოდ. მთვარის მკრთალი შუქი შემოდიოდა სარკმელში მხოლოდ, მაგრამ მალე ისიც წმინდა ანდრაშის ტაძრის სამრეკლოს მიეფარა.

უკუნეთ სიბნელეში მჯდარმა ატალიამ გაიხსენა თავისი ბედუკუღმართი ცხოვრების ყველა წვრილმანი.

ოდესღაც სულ სხვა ელფერი ჰქონდა მისთვის აქ ყველაფერს, მხიარულება არ აკლდა და ფუფუნება, მთელ ქალაქში პირველ ქალად იყო მიჩნეული, ფარისეველნი კომარომის დედოფალს ეძახდნენ და თაყვანსა სცემდნენ მის სწორუპოვარ სილამაზეს.

მაგრამ, აი, გამოჩნდა ეს მოჩვენებასავით გამხდარი და ბაყაყივით ცივი გომბიო, აბუჩად აგდებისა და დაცინვის საგნად რომ გამოდგებოდა მხოლოდ და ყველაფერი შეიცვალა.

ორი წლის შემდეგ ეს ავადმყოფურად სუსტი, ფერმკრთალი არსება ამ სახლის სრულუფლებიანი დიასახლისი გახდა და ყველას გული დაიპყრო, ყველა მოაჯადოვა; პატიოსანი, ერთგული მსახური

მილიონერად აქცია, რომელმაც დაღუპა მათი ოჯახი და თვით მის, ატალიას საქმროსაც კი, ღალატი გაავლებინა გულში.

რა დაავიწყებდა მას იმ ავბედით დღეს, საქორწინო კაბაში გამოწყობილი საქმრომ ჯვარის დასაწერად წასვლის წინ რომ მიატოვა! ამის გახსენება ყოველთვის კოშმარული სიზმარივით იყო მისთვის!

გონს რომ მოვიდა, შეშინებულმა მიმოიხედა -- იატაკზე ეგდო ჩაბნელებულ ოთახში, სრულიად მარტო. ადრინდელი დიდების კვალიც კი გამქრალიყო, გული შეეკუმშა, ერთი ინატრა მხოლოდ, ძველებურად ჰყვარებოდა იმას, ვინც მთელ ქვეყანას ერჩია, თუნდაც საიდუმლოდ, ფარულად! მაგრამ მის ამ სურვილსაც არ ეწერა ასრულება, მისი სიყვარული უარყოფილი იყო!

უდიდესი გულისტკივილით გაიხსენა ის ღამეც, საქმროს რომ ეწვია საიდუმლოდ მარტოდმარტო და კიდევ ერთხელ სცადა მისი დაბრუნება! როგორ მოუთმენლად ელოდა მას მეორე დილით, როგორ ითვლიდა წამებს, როგორ ერთვოდა საათის ზარს დოლის საზარელი ხმა, მთელი მისი ქონების გაყიდვას რომ იუწყებოდა, მაგრამ ის არ მოვიდა!

ამის შემდეგ წლების მანძილზე თვალთმაქცობა და თავის დამცირება!...

მხოლოდ ერთადერთ ადამიანს ესმოდა მისი, გრძნობდა მის განცდებს, გრძნობდა რომ მეტოქის ტანჯვის ყურება მას განუსაზღვრელ სიამოვნებას ანიჭებდა და ამითღა ცოცხლობდა. ის ადამიანი აღმერთებდა ქალს, რომელსაც არ უყვარდა და თავისი სიყვარულით, თითქოსდა ატალიას გასახარად, სამუდამოდ გადაუღობა გზა ბედნიერებისაკენ. არც ის ადამიანი იყო ბედნიერი, მიუხედავად აურაცხელი სიმდიდრისა, და ატალიას ხომ სხვისი უბედურების ყურებაღა ანიჭებდა სიხარულს. ახლა კი შეიცვალა ყოველივე, იმ ადამიანს ფეხი დაუცდა ყინულზე და ტბაში დაიხრჩო, მისმა სიკვდილმა ბედნიერება მოუტანა მეტოქეს და მხოლოდ ერთი ატალიაღა იყო უბედური ამ სახლში!

ამის გაფიქრებაც კი აუტანელი იყო მისთვის!

წლების მანძილზე დაგროვილმა ბოღმამ, დარდსა და ტირილში გატარებულმა უძილო ღამეებმა მოთმინების ფიალა აუვსო ატალიას და ერთი წვეთიღა იყო საჭირო მის გადმოსანთხევად.

და აი, ამ ერთ წვეთად იქცა სწორედ ტიმეას სიტყვები, „აჰ, რა

მოუხერხებელი ხარ!“, ახალი თეთრი თავსაბურის დახურვისას რომ უთხრა.

მას ისე დაუყვირეს, როგორც უბრალო მოსამსახურე გოგოს! დაამცირეს იმის წინაშე!

ხოლო იმის წარმოდგენას, რომ ხვალ მათ ჯვარი უნდა დაეწერათ, სიგიჟემდე მიჰყავდა.

ბუდუარში ერთმანეთს ეჩურჩულებოდა უბედნიერესი წყვილი. სამზარეულოდან შექეიფიანებულ მსახურთა სიცილ-ხარხარი ისმოდა, მაგრამ ატალიას ახლა მათთვის არ ეცალა, მთელი გულისყური შეყვარებულებისკენ ჰქონდა, მის სმენამდე მხოლოდ მათი ჩურჩული აღწევდა...

მან გადაწყვიტა ამ ღამეს სამაგიერო მიეზღო...

საგანგებოდ გადამალული კოლოფი გადმოიღო, გახსნა და მთვარის შუქზე შუშებს თვალიერება დაუწყო. ეს იყო სასწაულმომქმედ საწამლავთა მთელი კოლექცია.

აღმოსავლეთის ექიმბაშთა მიერ დამზადებული სწრაფადმოქმედი საწამლავის შუშები თვალისმომჭრელად ელავდა!

ატალიამ ამოირჩია ერთი მათგანი და ბოროტმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე. წარმოიდგინა, როგორ ასწევდნენ ხვალ ჭიქებს საქორწილო სუფრაზე საგანგებოდ მოწვეული სტუმრები და როგორ შეეყინებოდათ ტუჩებზე დაუმთავრებელი სადღეგრძელო! როგორ შეაჩერდებოდნენ გაოგნებულები ერთმანეთის გამწვანებულ სახეებს და თავგზააბნეულები წამოცვივდებოდნენ მაგიდიდან! ისეთი ორომტრიალი და წივილ-კივილი ატყდებოდა, რომ ქაჯების როკვა და ხარხარი მონაგონი იქნებოდა. მზეთუნახავ დედოფალს ფერმკრთალი სახე კიდევ უფრო გაუფითრდებოდა, ხოლო სასიკვდილოდ განწირულ ნეფეს ისე მოეღრიცებოდა, რომ ვეღარავინ იცნობდა!

„ძინნნ!“ — გაისმა უცებ სიჩუმეში.

ფორტეპიანოს სიმი გაწყდა.

ატალია შეკრთა, ხელი აუკანკალდა და საწამლავი გაუვარდა.

„მხდალი ყოფილხარ!“ — გაუწყრა საკუთარ თავს, — გაწყვეტილმა სიმმა როგორ შეგაშინა?“

მაშინვე უკან ჩაალაგა შუშები და ერთი პატარა შეკვრა ამოიღო. ეს იყო ძილის წამალი.

წამით ჩაფიქრდა. არა, ეს არ ივარგებდა, მას სულ სხვაგვარი შუ-

რისძიება სწყუროდა! იმ დამცირებისთვის, რომელიც მას ტიმეამ მიაყენა სიტყვებით: „რა მოუხერხებელი ხარ!“, საკუთარი სისხლით უნდა ეგო პასუხი! დიახ! გამძვინვარებული ვეფხვივით, მას ტიმეას სისხლი უნდა დაელია!

საწამლავიც საჭირო იყო საკუთარ სულში ჩასაწვეთებლად, ოღონდ ასეთი არსად არ იშოვებოდა, ის მხოლოდ ტიმეას ოთახში მოთავსებულ სურათზე გამოსახული გველეშაპის თვალთაგან მოწვეთავდა.

ატალია ფეხაკრეფით გამოვიდა ოთახიდან და ქურდულად გაემართა საიდუმლო სამალავისკენ.

როგორც კი საწოლ ოთახში შეიხედა და შეყვარებულთა ბედნიერებით გაცისკროვნებულ სახეებს მოჰკრა თვალი, დარწმუნდა, რომ ეს სწორედ ის მწარე სამსალა იყო, საბოლოოდ რომ მოუწამლავდა სულსა და გულს.

მაიორი, ეტყობოდა, წასვლას აპირებდა და ტიმეას ხელი ჩამოართვა მას ლოყები ავარდისფრებოდა და გაბრწყინებული თვალებით შეჰყურებდა გულისსწორს.

ამის დანახვაზე ატალიას სისხლი მოაწვა ყელში.

მართალია, ისინი სიყვარულს არ უხსნიდნენ ერთმანეთს, მაგრამ მათი ინტიმური საუბარი სხვის მოსასმენად მაინც არ იყო განკუთვნილი. საქმრო ისეთ შეკითხვებს აძლევდა, ოომლის უფლებაც მხოლოდ მას ჰქონდა.

— თქვენ აქ მარტოს გძინავთ? — ჰკითხა მზრუნველობით და საწოლზე ჩამოშვებული ფარჩის ფარდა გადასწია.

— დიახ, მას შემდეგ, რაც დავქვრივდი.

(„მანამდეც მარტოს გეძინა!“ — ჩაისისინა სამალავში ატალიამ.)

— ეს კარი სად გადის?

— წინა ოთახში, იქიდან შემოდიან ჩემი სტუმრები, თქვენც იქიდან შემოხვედით ჩემთან პირველად.

— ეს პატარა კარი?

— ეს ჩემს პირსაბანში გადის.

— იქიდან გასასვლელი თუ არის?

— არა. ჭუჭყიანი წყალი ერთი მილით ჩადის ძირს, მეორეთი კი თბილი წყალი შემოდის სამზარეულოდან.

— აი, ის მესამე კარი სადღა გადის?

— ჩემს გარდერობში, იქიდან კი შეიძლება გასვლა მისაღებშიც და ზენა ოთახშიც.

— მსახურებს სად სძინავთ?

— ქალებს სამზარეულოს გვერდით ოთახში, კაცებს ქვედა სართულზე. ჩემი საწოლის გვერდით ზარის ორი ზონარია მოთავსებული, ერთი შეერთებულია ჩემი მოახლის ოთახთან, მეორე მსახურთან, მე შემიძლია ისინი ყოველ წუთში გამოვიძახო, თუკი დამჭირდებიან.

— თქვენი ოთახის გვერდით თუ სძინავს ვინმეს?

— ჩემს დას, ატალიას და დედა ზოფიას.

— როგორ, ქალბატონ ზოფიასაც?

— რა თქმა უნდა, ძალიან ცნობისმოყვარე ყოფილხართ, ხვალ კი ჩვენ აქ სულ სხვაგვარად მოვეწყობით.

(„... ხვალ!...?“)

— კარებს, იმედია ჰკეტავთ, როცა დასაძინებლად წვებით?

— არასოდეს. ან კი რა საჭიროა ეს? ყველა მოსამსახურეს ეუყვარვარ და ჩემი ერთგულია, გარედან მთავარი შემოსასვლელი კარგად იკეტება, ასე რომ, აქ საშიში არაფერია.

— რომელიმე საიდუმლო კარი ხომ არ შემოდის თქვენს საწოლ ოთახში?

— ჰა-ჰა-ჰა! ვატყობ ჩემი სახლი თქვენ საიდუმლოებით მოცულ ვენეციურ სასახლედ გეჩვენებათ!

(„...განა ეს შენი სახლია?... ის ხომ შენ არ აგიშენებია?“)

— ვიდრე დასაძინებლად დაწვებოდეთ, ყველა კარი ჩაკეტეთ შიგნიდან, ძალიან გთხოვთ, გააკეთეთ დღეს ეს ჩემი გულისთვის!

(მაგრამ, ეს რა არის? წმინდანის ფეხქვეშ გართხმული გველეშაპი იცინის?)

(„...ჰაჰაჰა!... სულ მალე, ნაშუაღამევს, ამ სახლში ვიღაც სამუდამოდ დაიძინებს!“)

ტიმეამ საქმროს გაუღიმა და შეჭმუხნილ შუბლზე ხელი გადაუსვა.

— კარგით, შეგისრულებთ სურვილს და ყველა კარს ჩავკეტავ, ჩემი დარდი ნუ გექნებათ.

(„... აბა, შენ იცი, მაგრად ჩაკეტე!..“ — ჩაისისინა გველეშაპმა.)

შეყვარებულები ნაზად გადაეხვივნენ ერთმანეთს გამოთხოვებისას. საქმრომ კიდევ ერთი შეკითხვა მისცა:

— ძილის წინ თუ ლოცულობთ?

— არასოდეს.

— რატომ?

— რა საჭიროა? ღმერთი, რომელიც მე მწამს, მუდამ ფხიზლობს.

— მაპატიეთ, ძვირფასო ტიმეა, მაგრამ ფილოსოფია ქალის საქმე არ არის. ძალიან გთხოვთ, ილოცოთ ძილის წინ!

— თქვენ ხომ იცით, რომ მე მაჰმადიანი ვარ, მუსლიმან ქალებს კი ლოცვას არ ასწავლიან.

— ახლა უკვე ქრისტიანი ხართ, ქრისტიანული ლოცვები უდიდეს სიამოვნებას ანიჭებენ ადამიანს, აი, გადაშალეთ თქვენი ლოცვანი.

— თქვენი გულისთვის ლოცვასაც ვისწავლი.

მაიორმა ოდესღაც ტიმარის მიერ ახალი წლის დღეს ნაჩუქარი ლოცვანი აიღო და „საპატარძლოთა ლოცვა“ მოუძებნა.

—ამაღამვე ზეპირად ვისწავლი.

— იმედი მექნება, ეს აუცილებელია!

ტიმეამ მაშინვე კითხვა დაიწყო.

(...ქაჯებითა და ავი სულებით აივსოს ეს სახლი, ჯოჯოხეთის ცეცხლმა ამობუგოს მისი ბინადარნი, შავმა ჭირმა და ქოლერამ მუსრი გაავლოს, შხამიანმა მახვილმა გაუპოს გული და აღიგავოს აქაურობა მიწისაგან პირისა... ამინ!“)—სისინებდა გველეშაპი და მისი წყევლა თან ერთვოდა წმინდა ლოცვას...

გამძვინვარებული ატალია სულ ცოფებს ჰყრიდა, ეჩვენებოდა, რომ მაიორის მახვილი თვალი ის-ის იყო შენიშნავდა კედელში საიდუმლო კარს, ანდა ტიმეას სთხოვდა, მთელი ღამე ლოცვაში გაეტარებინა.

წყეულიმც იყოს ყველა! ყველაზე უფრო კი ეს ლოცვანი!

მაგრამ, როგორც კი მაიორი წინა ოთახში გამოვიდა, ატალია უკვე იქ დაუხვდა გასაცილებლად. ამ დროს საწოლი ოთახიდან ტიმეას ბრძანებაც მოისმა:

— გაუნათეთ ბატონ მაიორს!

ტიმეას იქ თავისი ერთგული მოახლე ეგულებოდა, მაგრამ იმ ღამეს ყველამ ერთად ივახშმა საგანგებოდ გაშლილ სუფრაზე და ახლა უკვე ღრმა ძილში იყვნენ.

თვით ატალიამ აიღო პატარა მაგიდიდან სანთელი და მაიორს ჩაბნელებული დერეფანი გაუნათა.

ბედნიერი საქმროსთვის ტიმეას გარდა სხვა ქალი აღარ არსებობდა და ვერ იცნო ატალია. ღრმად დარწმუნებულმა იმაში, რომ მოახლე აცილებდა, გადასწყვიტა გულუხვობა გამოეჩინა და ვერცხლის ტალერი ჩაუდო ხელში.

— Csòkolom a kezeit, nagysagos úr!..

ახლაღა მიხვდა, რა შეცდომაც დაუშვა:

— მაპატიეთ, მადმუაზელ, ღვთის გულისათვის! სიბნელეში ვერ გიცანით!

— არაფერია, ბატონო მაიორო.

— ბოდიშს გიხდით ასეთი უტაქტო საქციელისთვის და გთხოვთ უკან დამიბრუნოთ!

ატალიამ ფული დამალა და დამცინავი ღიმილით დაუკრა თავი.

— ხვალ დაგიბრუნებთ, ბატონო მაიორო, იყოს ჩემთან ერთი ღამე, მე ხომ დავიმსახურე!

ბატონი კაჩუკა თავბედს იწყევლიდა, საკუთარი თავისთვის ვერ ეპატიებინა ასეთი დაბნეულობა და აღარ იცოდა, რა ექნა. ისედაც საშინლად აფორიაქებული იყო და ახლა მით უმეტეს, სულ აერია გონება. ქუჩაში გამოსული ერთხანს შეჩერდა, ფეხები უკან რჩებოდა, ვერა და ვერ შესძლო შინ წასვლა, გადაწყვიტა, ისევ საგუშაგოში შეევლო.

— ხვალისთვის ქორწილში გპატიჟებ! — მიმართა მორიგე ლეიტენანტს, — ამაღამ კი უარს ნუ მეტყვი და შემოვლაზე თან წამიყვანე.

ამასობაში მსახურებმა კარგად მოილხინეს და შესანიშნავი დრო გაატარეს.

მაიორმა წასვლისას მეკარე გააფრთხილა, მივდივარ და, იცოდე, ქალბატონი მარტოაო. მისმა მოახლემ მაშინვე მიირბინა და ჰკითხა, ხომ არაფერს მიბრძანებთო?

ტიმეამ ნება დართო დასაძინებლად წასულიყო და თან გაიფიქრა, ალბათ, ამან გაუნათა მაიორსო.

მოახლე ისევ გაშლილ სუფრას დაუბრუნდა, სადაც დროსტარებას ბოლო არ უჩანდა.

— „მღვდლები ამ ქვეყნად ყველაზე ბედნიერნი არიან, მათ ბატონი არა ჰყავთ!“—დაიწყო შეზარხოშებულმა ლაქიამ.

— „იმ ქვეყნად კი ყველა ერთად წავალთ, იქ ყველა თანასწორია!“ — შეეპასუხა მეკარე და გასაღებების შეკვრა ჯიბეში ჩაიდო

— კარგი იქნებოდა ახლა თითო ჭიქა პუნში! — ინატრა მეეტლემ.

ამ დროს, თითქოს იმის პასუხად, კარი გაიღო და ატალია შემოვიდა ლანგრით ხელში, რომელზეც საუცხოო პუნშით სავსე ჭიქები ეწყო, ისინი ერთმანეთს ეჯახებოდნენ და რაღაც ავისმომასწავებელ ხმას გამოსცემდნენ.

ბოლო ხანებში ატალია თითქმის ყოველდღე უმასპინძლდებოდა მათ პუნშით და ეს არავის გაჰკვირვებია. დღეს კი მისთვის ეს განსაკუთრებით საჭირო იყო.

— სიცოცხლე და დღეგრძელობა ჩვენს კეთილ ქალბატონს! — გაისმა აქეთ-იქიდან.

ატალიამ ღიმილით დადგა ლანგარი მაგიდაზე, რომელზეც ჭიქების გვერდით ფორთოხლის ქერქით საგულდაგულოდ ჩაზელილი ნატეხებით სავსე საშაქრეც იდგა. ოთახი მაშინვე საამო სურნელით აივსო.

ქალბატონ ზოფიას ძალიან უყვარდა რომითა და ფორთოხლით ჩაზელილი შაქრით დამტკბარი ჩაი.

— შენ კი არ შემოგვიერთდები? — ჰკითხა მან ქალიშვილს.

— არა, გმადლობთ, მე უკვე დავლიე ჩაი ბატონებთან ერთად, თანაც ცოტა შეუძლოდა ვარ, თავი მტკივა, წავალ ჩემს ოთახში და დავიძინებ.

ატალია ღიმილით გამოეთხოვა ყველას, ურჩია მათ, თქვენც დიდხანს ნუღარ გააგრძელებთ დროსტარებას, ხვალ დილიდანვე ბევრი საქმე გვექნებაო, და გავიდა.

მსახურებმა დიდი სიამოვნებით მიირთვეს მათთვის საგანგებოდ მომზადებული პუნში, ქალბატონ ზოფიას კი არ მოეწონა, რაღაც უცნაური გემო იგრძნო, სწორედ ისეთი, ჭირვეული ბავშვებისათვის ხაშხაშის თესლისაგან დამზადებულ სასმელს რომ აქვს ხოლმე. მან მაშინვე დადგა ჭიქა მაგიდაზე და გვერდით მჯდომ მზარეულ ქალს შესთავაზა, რომელმაც სიხარულით გადაჰკრა და დიდი მადლობაც გადაუხადა.

მალე ქალბატონი ზოფია სუფრიდან წამოდგა, ძალიან დავიღალეო, განაცხადა, მსახურებს უბრძანა, კიდევ ერთხელ შეემოწმები-

ნათ საკუჭნაო და სარდაფი, რომ კატა არ შეპარულიყო და დასაძინებლად წავიდა.

საწოლ ოთახში რომ შევიდა, ატალიას უკვე ეძინა, ფარდა გადაწეული იყო, ეტყობოდა, სახით კედლისკენ გადაბრუნებულიყო და თავზე საბანი წაეხურა.

თვითონაც მაშინვე ტანთ გაიხადა, მაგრამ პუნშის მძაფრი სუნი თითქოს აქაც სცემდა, იმ ერთმა ყლუპმა ისეთ ცუდ გუნებაზე დააყენა, რომ სულ თავბედს იწყევლიდა. ბოლოს სანთელი ჩააქრო და დაწვა, დაძინებით კი, დიდხანს ვერ დაიძინა.

სიზმარში ქალბატონი ზოფია ისევ გაშლილ სუფრასთან იჯდა სამზარეულოში. ყველას იქვე ჩასძინებოდა, მეეტლე გრძელ სკამზე გაწოლილიყო, ლაქიას მაგიდაზე დაედო თავი, ერთი მსახური პირდაპირ იატაკზე იწვა და თავი გადაბრუნებული სკამის ზურგისთვის მიეყრდნო. მზარეულ ქალს მოახლის საწოლი დაეკავებინა, მოსამსახურე გოგო ღუმელს მიჰყუდებოდა ზურგით და თავი მაღლა აეწია, მზარეულის შეგირდს კი, სხვა ადგილი რომ ვეღარ ენახა, მაგიდის ქვეშ გაშხლართულიყო. მათ შორის აქა-იქ პუნშის ცარიელი ჭიქები ეყარა, მის გარდა ხომ ყველამ მიირთვა ეს საუცხოო სასმელი.

შემდეგ ესიზმრა, თითქოს ატალია ღამის პერანგის ამარა, ფეხშიშველა მიეპარა ქურდულად და ყურში ჩასჩურჩულა: „ჩემო საყვარელო დედიკო, რატომ შენც არ დალიე პუნში? იქნებ სიტკბო აკლდა? აი, შაქარი დაუმატე!“ მას ისევ ის მძაფრი სუნი ეცა და აღარ იცოდა, რა ექნა.

„არ მინდა, არ მინდა!“ — ეხვეწებოდა მძინარე; ატალიამ ძალით მიუტანა პირთან სავსე ჭიქა, მაგრამ ვერა და ვერ დაალევინა, კინაღამ გული აერია, ბოლოს ხელი აუკრა და გადაუგდო. სინამდვილეში კი იქვე მაგიდაზე მდგარ წყლით სავსე ჭიქას წამოჰკრა ხელი და ზედ გადმოისხა.

სისველემ გამოაღვიძა.

ცხადშიც ისევ ატალია დაუდგა თვალწინ თავისი დამცინავი ღიმილით.

— შენ არ გძინავს, ატალია? — დაუძახა შეშფოთებულმა.

ხმა არავინ გასცა.

ყური მიუგდო, სუნთქვაც კი არ ისმოდა მისი, შეშფოთებული

წამოდგა და მის საწოლს მიუახლოვდა, მაგრამ ატალია იქ არ დაუხვდა. საკუთარ თვალებს არ დაუჯერა და ხელით მოსინჯა საწოლი, მაგრამ მისდა გასაოცრად ცარიელი იყო.

— ატალია, ატალია! სადა ხარ? — დაუძახა შეშინებულმა, რაც შეიძლებოდა დაბალი ხმით.

არსაიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ქალბატონ ზოფიას კანკალი აუვარდა, ერთ ადგილას გაქვავდა და ნაბიჯის გადადგმას ვეღარ ახერხებდა, თითქოს ვეღარც ვერაფერს ხედავდა და აღარც ენა ემორჩილებოდა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იყო, იმაშიც კი ეშვი, შეეპარა, ხომ არ დავყრუვდიო.

ნეტავ, სად არის ატალია?

ატალია კი ამ დროს საიდუმლო სამალავში იჯდა და ტიმეას საწოლ ოთახში იყურებოდა.

დიდი ხანი იყო, რაც აქედან უთვალთვალებდა და უკვე მოთმინებადაკარგული ბუზღუნებდა:

— რა ჩერჩეტია, ერთი ლოცვა ვერ უსწავლია ამდენ ხანს!

ბოლოს, როგორც იქნა, ტიმეამ დახურა ლოცვანი, სანთელი აიღო და კიდევ ერთხელ შეამოწმა კარებები, ფარდის უკანაც კი შეიხედა, საქმროს გაფრთხილებამ ცოტა არ იყოს შეაშინა, შემდეგ სანთელი მაღლა ასწია და კედლებსაც კი თვალიერება დაუწყო, სადმე რაიმე საიდუმლო შემოსაძვრომი ხომ არ არისო, მაგრამ საეჭვო ვერაფერი შენიშნა, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ იმ ადგილს მისჩერებოდა, საიდანაც ატალია უთვალთვალებდა.

ყოველი კუთხე-კუნჭული საგულდაგულოდ რომ შეამოწმა, ტუალეტის შაგიდას მიუახლოვდა, თმები ჩამოიშალა, ნაწნავები ირგვლივ შემოიხვია და ბადე გადაიკრა, ძალიან რომ არ დაშლოდა.

როგორც ყველა ქალი, ტიმეაც განსაკუთრებით უყვარდა თავის შშვენიერ ხელებს, სინაზე და სითეთრე რომ შეენარჩუნებინა, სურნელოვანი კრემი წაისვა და ნატის ხელთათმანები ჩაიცვა. შემდეგ კაბა გაიხადა და ღამის პერანგი გადაიცვა.

ყოველივე ამას რომ მორჩა, კარადის უჯრიდან გადატეხილი ხმალი ამოიღო, ერთხანს უყურა, შემდეგ გულში ჩაიკრა, აკოცა და ბალიშქვეშ ამოიდო. ძილშიც კი არ უნდოდა განშორებოდა ამ უძვირფასეს ნივთს.

ატალიამ ეს ყველაფერი დაინახა.

მალე ტიმეამ სანთელი ჩააქრო და უკუნეთი სიბნელე ჩამოწვა ირგვლივ.

საათის ხმაღა არღვევდა ღამის მყუდროებას.

ორს თხუთმეტი წუთი აკლდა.

მან ზუსტად გამოითვალა, როდის დაიძინებდა ტიმეა. სულ რაღაც თხუთმეტი წუთი იყო საჭირო და მისი აღსასრულიც დადგებოდა, მაგრამ დრო ისე ნელა გადიოდა, რომ ეს წუთები მთელ საუკუნედ მოეჩვენა.

ბოლოს, როგორც იქნა დადგა ნანატრი წუთი!..

ღამის ორი საათი იყო...

წმინდა გიორგის გამოსახულებიანი სურათი ადგილიდან დაიძრა, კარი გაიღო და ატალია სამალავიდან გამოვიდა. ფეხშიშველა, უხმაუროდ ეპარებოდა ნელ-ნელა.

ოთახში ბნელოდა, დარაბებიც მიხურული იყო და ფარდებიც ჩამოეშვათ.

ატალია ხელის ფათურით იკვლევდა გზას, როგორც კი ტიმეას საწოლს მიაღწია, მაშინვე ბალიში მოძებნა, და ხელი შეყო მის ქვეშ. იგრძნო, რომ რაღაც მაგარსა და ცივს შეეხო, ეს იყო გადატეხილი ხმალი. წამით შედგა, ხელით მოსინჯა პირი და დარწმუნდა, რომ კარგად იყო ალესილი.

შურისძიების ცეცხლით ანთებული თვალებით დაჰყურებდა უკუნეთ სიბნელეში მსხვერპლს, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. თანაც ისე მშვიდად ეძინა, რომ სუნთქვაც კი არ ისმოდა.

მეტად ძნელი იყო მიზანში მოხვედრა!..

ატალიამ სუნთქვა შეიკრა და რაც კი შეეძლო, დაიხარა მისკენ

მძინარე უცებ შეტოკდა და ამოიოხრა:

„ოჰ, ღმერთო ჩემო!..“

ატალიამ ხმალი მოიქნია სწორედ იქითკენ, საიდანაც ხმა მოესმა და მთელი ძალით დაჰკრა.

საბედნიეროდ ტიმეას მარჯვენა ხელი შემოედო ძილში თავზე და დარტყმა სასიკვდილო არ გამოდგა. ხმალმა ნატის ხელთათმანი გასჭრა და ოდნავ გაუკაწრა ხელი.

ტიმეას გამოეღვიძა და საწოლზე წამოიწია.

ატალიამ ამ დროს მეორედ მოუქნია ხმალი, მაგრამ ახლა სქელ-

მა ნაწნავმა იხსნა გარდუვალი სიკვდილისაგან, დარტყმა საგრძნობლად შეასუსტა და შუბლი გაუჭრა მხოლოდ.

ტიმეამ უცებ მარცხენა ხელი სტაცა ხმალს.

— მკვლელო! — აღმოხდა მისდაუნებურად და საწოლიდან წამოხტა.

ალესილმა მახვილმა ხელის გული გაუჭრა, მაგრამ მაინც არ გაუშვა და მარჯვენა დაჭრილი ხელით თმაში სწვდა თავდამსხმელს.

ქალის თმა მოხვდა ხელში.

მაშინვე მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყო.

არის წუთები, როცა ადამიანი ელვისებური სისწრაფით უღებს ალღოს მოსალოდნელ საფრთხეს და სწორ გადაწყვეტილებას იღებს.

ტიმეა მიხვდა, რომ ეს იყო ატალია. გვერდით ოთახში დედამისს ეძინა. ეჭვიანობამ და შურისძიების დაუოკებელმა სურვილმა ის მკვლელად აქცია, ან კი როგორ დაინდობდა ბედნიერ მეტოქეს!.. კიდევაც რომ დაეყვირა, დარწმუნებული იყო, არავინ მოხედავდა; საჭირო იყო თვითონ დაეცვა როგორმე საკუთარი სიცოცხლე, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა ებრძოლნა!

მართლაც, ერთი არ დაუყვირია, ისე შეებრძოლა მკვლელს. მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, დაჭრილი მარჯვენით თმაში სწვდა ატალიას და შეეცადა წაექცია, მარცხენა ხელს კი ხმალს არ უშვებდა.

ტიმეა ბევრად ძლიერი აღმოჩნდა, მკვლელებს ხომ ძალა უნახევრდებათ საერთოდ შებრძოლების მომენტში და რაღაც გაურკვეველი შიშის გრძნობაც ხელებს უბორკავთ.

რამდენიმე წუთი უსიტყვოდ ებრძოდნენ ერთმანეთს, რბილი ხალიჩა მათი ფეხის ხმასაც ახშობდა.

„მკვლელი!“ — მოისმა ამ დროს მეორე ოთახიდან გულისგამგმირავი კივილი.

ეს ქალბატონი ზოფიას ხმა იყო.

ამ ხმის გაგონებამ ატალია სულიერად დასცა, ხელები და ფეხები მოუდუნა და განძრევას ვეღარ ახერხებდა. სახეზე თავისი მსხვერპლის ჯერ ისევ თბილი სისხლი ჩამოსდიოდა.

გვერდით ოთახიდან ახლა მსხვრევის ხმა მოისმა. ქალბატონმა ზოფიამ ფანჯრის მინა გატეხა, თავი გადაჰყო და კიდევ უფრო ხმამაღლა იკივლა:

— მკვლელი! მკვლელი!

შეშინებულმა ატალიამ ხმალს ხელი უშვა და ტიმეას ეცა, რომ როგორმე ხელიდან დასხლტომოდა. ახლა უკვე მას თვითონ უნდა დაეცვა როგორმე თავი. დიდი წვალებით გაინთავისუფლა თმები, მთელი ძალით ხელი ჰკრა ტიმეას და საიდუმლო კარს ეცა.

ტიმეას ხმალი ხელიდან გაუვარდა, წაბარბაცდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ და ხალიჩაზე გონდაკარგული დაეცა.

ქალბატონი ზოფიას კივილზე ქუჩა ხალხით აივსო. პირველმა მაიორმა მოირბინა, რომელიც ღამის შემოვლაზე დაჰყვებოდა გუშაგებს. ქალბატონმა ზოფიამ მაშინვე იცნო და დაუყვირა:

— ჩქარა, აქეთ, ტიმეას კლავენ!

მაიორმა ჯერ ზარი დარეკა, შემდეგ კარზე აბრახუნა, მაგრამ აძაოდ, არავინ გაუღო. ბოლოს ჯარისკაცებმა სცადეს შეემტვრიათ, კარი, მაგრამ ვერ შესძლეს.

— ქალბატონო! გააღვიძეთ მსახური და უბრძანეთ კარი გაგვიღოს! — დაუყვირა მაიორმა.

თავზარდაცემული ქალბატონი ზოფია გიჟივით გაიქცა ჩაბნელებულ დერეფანში და ძლივს მიაღწია მოსამსახურეთა ოთახამდე, მაგრამ გაოცებული შედგა და საკუთარ თვალებს არ დაუჯერა, გასაოცარი სანახაობა წარმოუდგა თვალწინ, მსახურები აქეთ-იქით ეყარნენ და მკვდრებივით ეძინათ. მეეტლე პირდაპირ მაგიდაზე გაწოლილიყო გულაღმა, გვერდით რომელიღაც მსახური მისწოლოდა, მეორე მსახური იატაკზე გაშხლართულიყო, მოახლე გოგო ღუმელს მიყრდნობოდა კისერმოღრეცილი.

„სახლში მკვლელია!“ — იკივლა ანგარიშმიუცემლად, მაგრამ არავინ გამოეხმაურა, აქეთ-იქიდან ხვრინვა ისმოდა მხოლოდ.

მან სათითაოდ შეანჯღრია ყველანი, ხმამაღლა გაჰყვიროდა მათ სახელებს, მაგრამ ვერაფერი გააწყო, ვერც ერთი ვერ გააღვიძა, მოცელილებივით ეყარნენ და ეძინათ.

ამასობაში ქუჩაში შეგროვილი ხალხი აჩოჩქოლდა და მთელი ძალით კარების შემომტვრევა დაიწყეს, მაგრამ ისეთი მტკიცე აღმოჩნდა, რომ ვერაფერს გახდნენ.

ქალბატონმა ზოფიამ ვერც მეკარე გააღვიძა, რომელსაც გასაღები ჯიბეში ედო, და ბოლოს იძულებული გახდა, ძალით ამოეცა-

ლა. მაშინვე გარეთ გამოვარდა და სულ სირბილით გაიარა ჩაბნელებული დერეფანი, თან ეჩვენებოდა, რომ ის-ის იყო გამოვარდებოდა მკვლელი და ახლა მას ეცემოდა. „ოჰ, ნეტავ ვინ უნდა იყოს?“ — ფიქრობდა შიშით გულგახეთქილი და ხან რას ეჯახებოდა. ხან რას. დიდი წვალებით, როგორც იქნა, მიაღწია სადარბაზოს კარამდე და აკანკალებული ხელებით გააღო.

მთელი ქეჩა ხალხით იყო სავსე, ვინ აღარ მოსულიყო; ღამის ყარაულები, ჯარისკაცები, პოლიციის უფროსი, იქვე მეზობლად მცხოვრები სამხედრო ექიმი; ზოგს ჩაცმა ვერც კი მოესწრო და პერანგის ამარა გამოქცეულიყო. ვის ხმლისთვის წამოევლო ხელი, ვის ცულისთვის, ვის ჯოხისთვის — ვისაც რა მოხვედროდა ხელში.

ბატონმა კაჩუკამ პირველმა აირბინა კიბე და ტიმეას საწოლი ოთახის კარს მივარდა, მაგრამ იგი მისივე დაჟინებული მოთხოვნით ჩაკეტილი დაუხვდა შიგნიდან. სხვა გზა რომ არ იყო, მთელი ძალით მიაწვა და შეამტვრია.

სისხლში მოსვრილი ტიმეა უგონოდ ეგდო ხალიჩაზე.

მაიორმა ფრთხილად აიყვანა ხელში და საწოლზე დააწვინა

სამხედრო ექიმმა მაშინვე გასინჯა და განაცხადა, არც ერთი ჭრილობა საშიში არ არის და მხოლოდ გულწასულიაო.

მაიორი ამან ცოტა დაამშვიდა, მაგრამ ახლა შურისძიების გრძნობამ იფეთქა მასში, ერთი სული ჰქონდა, შეეპყრო მკვლელი და საკუთარი ხელებით დაეხრჩო!

მაგრამ სად იყო მკვლელი?

„საოცარია სწორედ!“ — შენიშნა პოლიციის უფროსმა, — ყველა კარი ჩაკეტილია, ვის უნდა შესძლებოდა აქ ან შემოსვლა ან გასვლა?

არსად არავითარი კვალი არ ჩანდა. იარაღი, რომლითაც ტიმეა დასჭრეს და რომელსაც ის სათუთად ინახავდა ხავერდით გამოკრულ ძვირფას კოლოფში, გადატეხილი ხმალი, იქვე ეგდო იატაკზე სისხლში მოსვრილი.

ამასობაში ქალაქის ექიმიც მოვიდა.

„ვფიქრობ, ურიგო არ იქნება, მოსამსახურეებს თუ დავკითხავთ!“ — ურჩია მან.

მსახურებს კი ამ დროს მკვდრებივით ეძინათ. საგულდაგულოდ

გასინჯეს თითოეული მათგანი და დარწმუნდნენ, რომ ძილის წამლით იყვნენ გაბრუებულნი.

კიდევ ვინ არის სახლში? ვის შეეძლო ამის ჩადენა?

— სად არის ატალია? — ჰკითხა მაიორმა ქალბატონ ზოფიას.

მასაც აინტერესებდა, სად იყო მისი ქალიშვილი?

პოლიციის უფროსმა ატალიას ოთახი გააღო და შევიდა. ყველანი უკან მიჰყვნენ, თვით ქალბატონი ზოფიაც კი, თუმცა ძალიან კარგად იცოდა, რომ ატალია იქ არ იყო, მაგრამ მისდა გასაოცრად ქალიშვილი საწოლში დაუხვდა მძინარე.

ატალიას მშვენიერი თეთრი ბატისტის პენუარის ღილები ნიკაპამდე ჰქონდა შეკრული, თავზე ღამის თავსაბური ეხურა, თოვლივით თეთრ სათუთ ხელებს მაჯებამდე სახელოებზე შემოვლებული ძვირფასი მაქმანები უფარავდა.

სახეც და ხელებიც საოცრად სუფთა ჰქონდა.

ქალბატონი ზოფია კედელს მიეყრდნო.

„ამასაც მკვდარივით სძინავს, — სთქვა ექიმმა, — ამისთვისაც ძილის წამალი მიუციათ“.

სამხედრო ექიმმაც გაუსინჯა მძინარეს მაჯა, მაჯისცემა თანაბარი ჰქონდა და მეტისმეტად მშვიდად სუნთქავდა.

სახეზე ერთი ძარღვიც არ შესტოკებია, ექიმები რომ მიუახლოვდნენ, წარბის უმნიშვნელო მოძრაობითაც კი არ აღუძრავს ეშვი. მას თავდაჭერის საოცარი უნარი შესწევდა, ყველას მოტყუება და შეცდომაში შეყვანა შეეძლო, გარდა ერთი ადამიანისა, რომლის შეყვარებულის მოკვლასაც რამდენიმე წუთის წინ ასე თავგამოდებით ცდილობდა.

„თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ მას სძინავს?“ — იკითხა მაიორმა.

„გაუსინჯეთ მაჯა და თვითონვე დარწმუნდებით, — მიუგო გაოცებულმა ექიმმა. — მშვიდად და თანაბრად სუნთქავს და ხელებიც ცივი აქვს“.

მაიორი საწოლს მიუახლოვდა.

ატალიამ მისი ხელის შეხება იგრძნო.

მაიორი წამით დააკვირდა მძინარეს და უცებ წამოიყვირა:

„შეხედეთ, ბატონო ექიმო, ნუთუ ვერ ამჩნევთ ამ მშვენიერი,

თეთრი ხელების ფრჩხილებზე ახლადდაღვრილი სისხლის ნაკვალევს?..“

ამ სიტყვებზე ატალიას მშვენიერი თითები სიმწარისაგან ძოეკრუნჩხა. და მაიორმა იგრძნო, როგორ ჩაესო მისი ფრჩხილები არწივის კლანჭებივით ხელისგულში.

ამის შემდეგ წუთსაც არ გაუვლია, რომ ყველას გასაოცრად ატალიას ხმამაღლა გადაიხარხარა, საბანი გადაიძრო და საწოლიდან წამოხტა. იქ მყოფთ სუნთქვა შეეკრათ და ხმის ამოღებას ვეღარ ბედავდნენ. მან ამაყად ჩაუარა ყველას გვერდით, მაიორის წინ წამით შეჩერდა და გამარჯვებული დემონის მზერა სტყორცნა, დედას კი რისხვით ანთებული თვალები შეანათა.

ქალბატონმა ზოფიამ ვეღარ გაუძლო მის გამანადგურებელ მზერას და გულწასული იატაკზე დაეცა.

XII. ხანჯლის უკანასკნელი დარტყმა

კომარომის სასამართლოს არქივში ინახება საკმაოდ გახმაურებული სისხლის სამართლის პროცესის მასალები, რომლის გმირიც გახლდათ ატალია ბრაზოვიჩი.

პროცესზე ეს ქალი გასაოცარი ოსტატობით იცავდა თავს.

უარყოფდა მისდამი წაყენებულ ყველა ბრალდებას და რომ ეგონათ, ეს-ეს არის მის დანაშაულს ვამხილებთო, ისე აურდაურევდა ყველაფერს, რომ მოსამართლეებს სულ თავგზას უბნევდა და სიმართლის დადგენის ყოველგვარ საშუალებას უსპობდა.

მართლაცდა, რისთვის უნდა მოეკლა მას ტიმეა?—თვითონაც ხომ ჰყავდა საქმრო და სულ მალე ჯვარიც უნდა დაეწერა? თანაც ტიმეა მისი კეთილისმყოფელი იყო მხოლოდ და მისგან კარგის მეტი არაფერი მოაგონდებოდა, ასიათას ფორინტსაც კი აძლევდა მზითვად.

მთავარი მაინც ის იყო, რომ ვერავითარი სამხილი ვერ აღმოაჩინეს მთელ სახლში, მკვლელს დანაშაულის სულ უმნიშვნელო კვალიც კი არ დაეტოვებინა: პატარა სისხლიანი ნაკუწიც კი ვერ ნახეს, შეამოწმეს ბუხარიც, მაგრამ არც იქ აღმოჩნდა რაიმე ახლადდამწვარი საგნის ფერფლი.

ან ვინ ჩაუყარა ძილის წამალი მსახურებს ჭიქებში? ეს კითხვაც

უპასუხოდ რჩებოდა. იმ საღამოს მათ რა არ ჭამეს და რა არ დალიეს! ადვილი შესაძლებელი იყო, საზღვარგარეთიდან ჩამოტანილ ათასგვარ ტკბილეულსა და სანელებში ყოფილიყო რაიმე გამაბრუებელი საშუალება. ერთი წვეთი პუნშიც კი ვერსად აღმოაჩინეს, ჭიქებიც გარეცხილი დაუხვდათ. ვიდრე კარებს გააღებდნენ და ხალხი შემოცვივდებოდა, ვიღაცის მარჯვე ხელს ყველაფერი წესრიგში მოეყვანა და საეჭვო რაც კი იყო, საგულდაგულოდ გადაემალა. ატალიამ განაცხადა, იმ საღამოს მეც რაღაც საჭმელმა გამაბრუა, მკვდარივით დამეძინა და იმის შემდეგ აღარაფერი გამიგია, არც დედაჩემის ყვირილი, არც ხალხის ჩოჩქოლი და მაშინღა გამომეღვიძა, მაიორმა ხელი რომ შემახოო.

ერთადერთი ადამიანი, რომელმაც სულ რაღაც, ნახევარი საათის წინ ნახა, რომ ატალია საწოლში არ იწვა და ძებნა დაუწყო, საცოდავი დედამისი იყო, მაგრამ შვილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა მაინც ვერ შესძლო.

ყველაზე მეტად კი ატალიას ის ამართლებდა, რომ ტიმეას ოთახის ყველა კარი ჩაკეტილი იყო და თვითონ თავის საწოლში ეძინა. როგორ შეეძლო მკვლელს, ან შესულიყო და ან ისე გამოსულიყო, რომ კვალი არ დაეტოვებინა?

საქმე ისე იყო დახლართული, რომ ისიც კი ვერ დაადგინეს, კაცი იყო მკვლელი თუ ქალი.

ერთადერთმა ტიმეამ იცოდა, ვინც იყო ის, მაგრამ არ გასცა. წინასწარი გამოძიების დროს განაცხადა, იმ საშინელი ღამის შემდეგ მეხსიერება მღალატობს და აღარც კი მახსოვს, რა მოხდაო.

რაღას იზამდნენ? ატალიასთან პირისპირ აღარ შეუხვედრებიათ.

ტიმეა დიდხანს არ ამდგარა საწოლიდან, ჭრილობები გვიან შეუხორცდა, მაგრამ ტკივილებზე მეტად ატალიას ბედი აწუხებდა.

იმ საბედისწერო ღამის შემდეგ ტიმეას მარტოს აღარ სტოვებდნენ, ექიმი და მომვლელი ქალი რიგრიგობით ჰყარაულობდნენ. დღისით მაიორიც საათობით იჯდა მის საწოლთან, ხშირად მოდიოდა სანახავად ვიცე-გუბერნატორი და იმედს არ კარგავდა, რომ რაიმეს შეიტყობდა მისგან ხელმოსაკიდს, მაგრამ როგორც კი ატალიაზე ჩამოუგდებდა სიტყვას, ტიმეა აღარაფერს პასუხობდა.

ერთ მშვენიერ დღეს ექიმმა ურჩია მათ, ავადმყოფი რაიმე თავშესაქცევი წიგნის კითხვით გაერთოთ.

ტიმეა უკვე წამოდგა საწოლიდან და მნახველებს სავარძელში ჩამჯდარი იღებდა.

ბატონმა კაჩუკამ შესთავაზა მისალოცი ბარათები წაეკითხა, რომლებიც სახელწოდების დღეს მიიღო. მისი აზრით, სასწაულით სიკვდილს გადარჩენილისთვის ყველაზე უფრო სასიხარულო ნათელული ბავშვების გულწრფელი მილოცვა და კეთილი სურვილები უნდა ყოფილიყო.

ტიმეას ხელები ისევ შეხვეული ჰქონდა, ბატონი კაჩუკა იმუ-ლებული იყო, თვითონ გაეხსნა კონვერტები და ხმამაღლა წაეკი-თხა, იქვე იჯდა ვიცე-გუბერნატორიც.

ავადმყოფს მეტისმეტი სიხარულისაგან სახე უბრწყინავდა.

— ეს რა უცნაური წერილია? — წამოიძახა უცებ მაიორმა, რო-ცა ოქროსფერი მუმლით დაბეჭდილი კონვერტი მოხვდა ხელში.

— მართლაც რომ საოცარია! — უპასუხა ტიმეამ. — ეს მეც შევ-ნიშნე!

მაიორმა მაშინვე გახსნა და კითხვა დაიწყო:

„ქალბატონო, თქვენი საწოლი ოთახის კედელზე სურათია წმინ-და გიორგის გამოსახულებით". უცებ შეჩერდა, გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა, დანარჩენი თავისთვის ჩაიკითხა უხმოდ, სულ გაფითრდა, ტუჩები გაულურჯდა და შუბლზე ცივმა ოფლმა და-ასხა. ერთხანს იდგა ასე, განძრევას ვეღარ ახერხებდა, მაგრამ მა-ლევე გამოერკვა, წერილი იქით ისროლა, გადარეული მივარდა სურათს, მუშტებით ჩაამტვრია და ძირს ჩამოაგდო. თვალის დახამ-ხამებაში საიდუმლო სამალავში აღმოჩნდა, საიდანაც ატალიას სისხლში მოსვრილი კაბა გამოათრია.

ეს უკვე ნივთიერი მტკიცება იყო, რომელსაც ამდენხანს უშე-დეგოდ ელოდა მართლმსაჯულება.

ტიმეამ სახეზე ხელები აიფარა.

ვიცე-გუბერნატორმა გადაგდებული ბარათი აიღო და ჯიბეში ჩაიდო.

სამალავში იპოვეს აგრეთვე სხვადასხვა საწამლავებით სავსე კოლოფი და ატალიას დღიური, რომელში ჩაწერილი საბიზღარი აღსარებაც კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს მისი სულის სიმახინჯეს...

ტიმეა ისე შეაწუხა ამ ამბავმა, რომ საკუთარი ტკივილებიც კი დაავიწყდა და აღარ იცოდა, როგორ ეშველნა ატალიასთვის. მან

ხვეწნა დაუწყო ექიმს, ვიცე-გუბერნატორს და საქმროს, რომ არავისთვის ეთქვათ ამის შესახებ და საიდუმლოდ შეენახათ.

მაგრამ ეს შეუძლებელი იყო.

ნიეთმტკიცებანი სასამართლოს წარუდგინეს და ატალიას უკვე თვით ღმერთიც ვეღარ უშველიდა.

ტიმეა როგორც კი გამოჯანმრთელდა, მაშინვე სასამართლოში დაიბარეს დამნაშავესთან პირისპირ შესახვედრად. ეს მეტად მძიმე ასატანი იყო მისთვის და საშინლად განიცდიდა, დაკითხვაზე კი ისევ ძველებურად უმტკიცებდა ყველას, აღარაფერი აღარ მახსოვსო.

ვინაიდან სასამართლო პროცესზე ტიმეა უნდა წარმდგარიყო, როგორც ბატონ კაჩუკას მეუღლე, სასწრაფოდ დაიწერეს ჯვარი და ვამოჯანმრთელდა თუ არა, ქორწილიც გადაიხადეს, რა თქმა უნდა ვიწრო წრეში, საკმაოდ უხმაუროდ, ყოველგვარი ნადიმის გარეშე. ესწრებოდნენ მხოლოდ მღვდელი, ექიმი, ვიცე-გუბერნატორი და ორი მოწმე.

სასამართლოზე ტიმეას კიდევ ერთხელ მოუწია თავის მკვლელთან პირისპირ შეხვედრა. მან სთხოვა მოსამართლეებს, როგორმე თავიდან აეცილებინათ მისთვის ეს დიდი უსიამოვნება, მაგრამ უარი უთხრეს.

ატალია კი, პირიქით ნატრობდა თავის მსხვერპლთან შეხვედრას და მოუთმენლად ელოდა იმ წუთს, როცა საშუალება მიეცემოდა კიდევ ერთხელ გაეგმირა მისი გული ხანჯლით თუ არა, გესლიანი გამოხედვით მაინც.

ატალია შავ ძაძებში ჩაცმული წარსდგა სასამართლოს წინაშე, სახე გაფითრებული ჰქონდა, მაგრამ რისხვით ანთებული. უტიფარი თვალებიდან მაინც შხამიან ისრებს ისროდა. მიუხედავად ამისა, არავის გამოჰპარვია, როგორ შეკრთა, როცა მოსამართლემ მიმართა ბოქაულს:

— სთხოვეთ, ბატონ იმრე კაჩუკას მეუღლეს!

„იმრე კაჩუკას მეუღლე! ესე იგი უკვე მისი ცოლია!“

ძნელია იმ სიხარულის გადმოცემა, რომელიც ატალიამ განიცადა, როდესაც დარბაზში შემოსული ტიმეას თეთრი მარმარილოსაგან გამოთლილ სახეზე წითელი ნაიარევი შენიშნა.

ეს მის მიერ მიყენებული ჭრილობის ნაკვალევი იყო.

იმითაც კმაყოფილი იყო, რომ ვეტოქეს ასეთი სახსოვარი დაუტოვა.

და ერთხელ კიდევ განიცადა უდიდესი სიამოვნება. როცა ფიცის დადებისას, ტიმეამ ხელთათმანი გაიხადა და ნაიარევი ხელი აღაპყრო ცისკენ. ესეც ატალიას საქორწინო საჩუქარი იყო!

ტიმეამ დაჭრილი, აკანკალებული ხელი ასწია და დაიფიცა. კიდევ ერთხელ, რომ ყველაფერი დაავიწყდა და ისიც კი აღარ ახსოვდა, კაცი დაესხა თავს, თუ ქალი.

„საცოდავო!“ — ჩაისისინა ატალიამ, — ისიც კი არ შეგიძლია, რომ დამადანაშაულო!“

— ჩვენ ახლა ეს აღარ გვაინტერესებს, ქალბატონო! — შეაწყვეტინა მოსამართლემ, — ამჯერად უნდა დავადგინოთ, ბავშვის ხელით დაწერილი ბარათი, გარედან ოქროსფერი მუმლით რომ არის დაბეჭდილი, ნამდვილად იმ დღეს მიიღეთ თუ არა, როცა თავს დაგესხნენ და თქვენზე ადრე ხომ არ გახსნა ვინმემ? ხომ არავინ იცოდა მისი შინაარსი?

ტიმეამ უპასუხა, წერილი გაუხსნელი დარჩა და მხოლოდ დღეს წავიკითხეო.

— მაშ ასე! ახლა კი, მოისმინეთ, მადმუაზელ ატალია ბრაზოვიჩ, რა წერია ამ ბარათში:

„ქალბატონო, თქვენი ოთახის კედელზე, წმინდა გიორგის სურათის უკან საიდუმლო ნიშია, რომელშიც შესვლა შეიძლება მხოლოდ ძველი ჭურჭლით სავსე კარადიდან. უბრძანეთ ამოაშენონ ეს ნიში და ფრთხილად იყავით! დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას გისურვებთ!

დოდი“.

ამის შემდეგ მოსამართლემ გადასწია მაგიდაზე გადაფარებული პატარა ხალიჩა, რომლის ქვეშაც ატალიას სისხლში მოსვრილი პენუარი, საწამლავებით სავსე კოლოფი და ღღიური ეწყო.

უცილობელი სამხილის დანახვაზე ატალიამ სასიკვდილოდ დაჭრილი ურჩხულივით იკივლა და სახეზე ხელები აიფარა. ერთხანს იყო ასე, გაქვავებულივით და ხელები ძირს რომ დაუშვა, სახე მეტისმეტი მღელვარებისაგან სულ ალეწოდა, გამძვინვარებულმა მოიგლიჯა ყელიდან შავი ბაფთა და იქით ისროლა. იმ წუთში მისთვის რომ შეგეხედათ, იფიქრებდით, თავისი მშვენიერი თეთრი კისერი ჯალათის ალესილ მახვილს მოუმზადაო.

— დიახ! ეს მე მინდოდა შენი მოკვლა გადატეხილი ხმლით და

მხოლოდ იმას ვნანობ, რომ აგაცდინე! — არაადამიანური ხმით დაიღრიალა უცებ და ზეწამოიჯრა. — შენ ამირიე ცხოვრება და ვადამეღობე გზაზე საზიზღარო ფერმკრთალო მოჩვენებავ! შენ გამაუბედურე სამუდამოდ და, როგორ მოვისვენებდი, სამაგიეროს რომ არ ძომეზღო! აი, შეხედე ამ კოლოფს, მასში იმდენი შხამია, ყომ თავისუფლად მეყოფოდა ყველა სტუმრის დასაღუპად, ვინც კი შენს საქორწილო სუფრას მოუჯდებოდა, მაგრამ ეს ის არ გავაკეთე. მე მხოლოდ შენი სისხლი მწყუროდა! ვერ ეოგკალი, მაგრამ შენი სისხლი ხომ დავღვარე! ამით ნაწილობრივ მაინც კიძიე შური და ახლა დამშვიდებული მოვკვდები. ოღონდ, ვიდრე ეშაფოტზე ავიდოდე, ერთხელ კიდევ გაგიყრი გულში ხანჯალს და ამ ჭრილობას ვერავითარი მალამო ვეღარ განკურნავს! ეს ის საწამლავი იქნება, რომელიც სამუდამოდ სიცოცხლეს გაგიმწარებს და ისე დაგტანჯავს, რომ საყვარელი ქმრის ალერსსაც ვეღარ იგრძნობ! ვფიცავ მაღალ ღმერთს, ყველა წმინდანებსა და ანგელოზებს, ყველა ეშმაკეულს, ზეცისა და ჯოჯოხეთის ეოციქულთ, რომ მხოლოდ სიმართლეს ეოგაბსენებთ!

ამ სიტყვებით მუხლებზე დაეცა, ხელები თავზე წაივლო და მოწმედ მოიხმო ცისა და ქვესკნელის ბინადარნი.

— ვფიცავ! ვფიცავ, რომ ჩემს გარდა, საიდუმლო კარის შესახებ იცოდა მხოლოდ ერთმა ადამიანმა, ეს იყო მიხაი ტიმარ ლევეტინცი. როგორც კი მან ეს საიდუმლო შეიტყო, უკვალოდ გაჰქრა და შინ აღარ დაბრუნებულა. ამ წერილის მოწერა მის მეტს არავის შეეძლო ამქვეყნად. დიახ! მიხაი ტიმარ ლევეტინცი ცოცხალია და შენ ყოველ წუთს უნდა ელოდე პირველი ქმრის დაბრუნებას! ღმერთმა შემაჩვენოს, თუ ვტყუოდე! ტიმარი ცოცხალია! იმის მაგივრად შენ დაასაფლავე ქურდი, რომელმაც მისი ტანსაცმელი მოიპარა!.. ახლა კი, იცოცხლე, თუკი შესძლებ ამ ჭრილობის მოშუშებას!

XIII. „მარიანოშტრასს“ ეიხის ტუსაღი

მოწამვლისა და მკვლელობის ცდისთვის სასამართლომ ატალიას სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, მაგრამ ხელმწიფემ შეიწყალა და სამუდამო პატიმრობით შეუცვალა.

ატალია დღესაც ცოცხალია.

მას შემდეგ ორმოცი წელი გავიდა და ახლა სამოცდაშვიდი წლისა უნდა იყოს. მაინც ვერ დამშვიდდა, გული ისევ დარდითა და ბოღნით აქვს სავსე და ერთი წამითაც არ ნანობს თავის საქციელს.

კვირაობით ყველა პატიმარი ქალი დაჰყავთ ეკლესიაში ატალიას გარდა, მხოლოდ მას ჰკეტავენ ცალკე საკანში, რომ კიდევ არაფერი ჩაიდინოს.

ერთხელ, როცა ჯერ კიდევ სულ ახალი დაპატიმრებული, ეკლესიაში წაიყვანეს, ქადაგების დროს მღვდელს უყვირა „სცრუობო!" და საკურთხეველს მიაფურთხა.

იმ წლების მანძილზე, რაც ის ციხეში იჯდა, ბევრი პატიმარი შეიწყალეს, განსაკუთრებით კი საზეიმო დღეებში ასობით დამნაშავეს ანთავისუფლებდნენ. ატალია მაინც ძველებურად ცალკე საკანში ჰყავდათ გამომწყვდეული. რამდენჯერაც არ ურჩია ციხის ხელმძღვანელობამ გონს მოსულიყო, მოენანიებინა დანაშაული და პატიება ეთხოვა, ვერაფერს გახდა, მისგან ყველა ერთსა და იმავე პასუხს იღებდა:

„როგორც კი აქედან გამიშვებთ, სულ ერთია მოვკლავ იმ ქალს!"

დღესაც ამასვე ამბობს...

თუმცა, ის, ვისი სიკვდილიც ასე სწყურიოდა, უკვე დიდი ხანია გარდაიცვალა. მისი დაჭრილი გულისთვის „ხანჯლის უკანასკნელი დარტყმა" სასიკვდილო აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც ტიმეამ შეიტყო, რომ ტიმარი ცოცხალი იყო, სიხარული აღარ უგრძვნია. ატალიას შხამნარევი სიტყვები მაჯლაჯუნასავით სდევდა ყველგან და სულსა და გულს უწამლავდა, საყვარელი ქმრის კოცნაც კი ვეღარ ანიჭებდა სიხარულს. როგორც კი იგრძნო თავისი აღსასრულის მოახლოება, ითხოვა ლევეტინცში წაეყვანათ, არ ისურვა აკლდამაში დამარხულიყო ვიღაც უცნობის გვერდით. თავის სამუდამო სამყოფელად ერთი მყუდრო ადგილი შეარჩია დუნაის პირას, ძეწნის ქვეშ, სწორედ იმ ადგილის ახლოს, სადაც ოდესღაც მამამისის, ალი ჩორბაჯის გვამი ჩაუშვეს მდინარეში. აქედან სულ ახლოს იყო „უპატრონო კუნძულიც". თითქოს რაღაც უხილავმა ძალამ გამოსწია აქეთ... მისი საფლავის ქვა და უპატრონო კუნძულზე აღმართული კლდის მწვერვალიც ერთმანეთს უყურებდნენ პირისპირ.

ტიმარის მიერ დატოვებული განძეული კი, როგორც იტყვიან, ნამდვილად დაწყევლილი აღმოჩნდა. ტიმეას ერთადერთი ვაჟი ისე-

თი ქარაფშუტა და ბედოვლათი გამოვიდა, მათი საქვეყნოდ ცნობილი ზღაპრული სიმდიდრე ერთი ხელის მოსმით ბაანიავა და ბოლოს ტიმეას შვილიშვილი იმ პენსიითღა ირჩენდა თავს, რომელიც ტიმარმა თავის დროზე ტიმეას გაღარიბებული ნათესავებისთვის დაანიშნინა.

კომარომის დიდებული სასახლის ადგილზე უკვე სხვა. მასზე უკეთესი შენობა ააგეს, ლევეტინცის საგვარეულო აკლდამაც დაინგრა ახალი ციხე-სიმაგრის მშენებლობის დროს.

სამუდამოდ გაჰქრა წარსული დიდებისა და ზღაპრული სიმდიდრის კვალი.

ახლა კი ვნახოთ, რა მოხდა „უპატრონო კუნძულზე!"

XIV. „ᲐᲠᲐᲕᲘᲜ"

კომარომიდან ტიმარის წასვლის შემდეგ ორმოცი წელი გავიდა. სკოლაში ახალი შესული ვიყავი, მოსწავლეები ერთი ცნობილი, უმდიდრესი ბატონის დაკრძალვაზე სამგლოვიარო პროცესიაში მონაწილეობის მისაღებად რომ წაგვიყვანეს. შემდეგ კი, ხმები დადიოდა, იგი არ მომკვდარა, ცოცხალია და სადღაც გადაიკარგაო. ხალხს რატომღაც არა სჯეროდა მისი სიკვდილი, შესაძლოა, ბოროტი ატალიას სიტყვებმაც დააეჭვა ისინი.

სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში მზეთუნახავი ქალის ღვთაებრივი ნაკვთები, რომელსაც აღფრთოვანებული შევყურებდი ხოლმე კვირაობით ეკლესიაში წირვა-ლოცვის დროს. ის ყოველთვის პირველ რიგში იჯდა ამბიონის წინ და ისეთი მშვიდი, საოცრად მშვენიერი, დიდებული გამოხედვა ჰქონდა, რომ თვალს ვერ ვაცილებდი.

მახსოვს, რა აღიაქოთი და მითქმა-მოთქმა ატყდა ქალაქში, როცა ერთ დილით ხმა დაირხა, იმ მზეთუნახავს ღამით თავს დაესხა მისივე ნათესავი ქალი მოსაკლავადო.

იმის მოწმეც გავხდი, როგორ მიჰყავდათ მკვლელი სამარცხვინო ეტლით ეშაფოტისკენ. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ჯალათი თავს მოკვეთავდა. მას შავი ბაფთებით გაწყობილი რუხი კაბა

ეცვა და მეეტლისაგან ზურგშექცევით იჯდა, წინ მღვდელი ეჯდა ჯვარცვით ხელში.

ბაზრის დედაკაცები ლანძღვა-გინებით მისდევდნენ უკან და სახეში აფურთხებდნენ, მაგრამ ის მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და გულგრილად გაჰყურებდა სივრცეს.

ხალხის ბრბო გარს ეხვეოდა ეტლს, ბიჭები მოუთმენლად ელოდნენ, როდის აღმართავდა ჯალათი ალესილ ნაჯახს და როგორ დაგორდებორა ძირს ამ უმშვენიერესი ქალის თავი ეშაფოტიდან.

შიშით შეპყრობილი ფანჯრიდან გავყურებდი მკვლელს. ხომ შეიძლებოდა მას მაღლა ამოეხედა და თვალი თვალში გაეყარა ჩემთვის!.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ხალხი დაიშალა, ყველა უკმაყოფილო იყო იმით, რომ დამნაშავე შეიწყალეს. როგორც შემდეგ შევიტყვე, ეშაფოტზე აეყვანათ და იქ გამოეცხადებინათ განაჩენის შეცვლის შესახებ. დამსწრენი განცვიფრებულები ყვებოდნენ: როცა დამნაშავეს მღვდელმა ჯვარცმა გაუწოდა, იმის ნაცვლად რომ მოწიწებით მთხვეოდა, ის ალქაჯი ისე ჩააფრინდა გაცოფებული, რომ ხატს ნაკბილაბი დაამჩნიაო.

შემდეგ კიდევ ბევრჯერ ვნახე ეკლესიაში ის ფერმკრთალი მზეთუნახავი, მაგრამ უკვე ნაჭრილობევით მშვენიერ შუბლზე. ფარული სევდა და ნაღველი შეგეძლოთ ამოგეკითხათ მის ულამაზეს სახეზე, რაც წლითი-წლობით სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა.

დიდხანს ეს ქალი მთელი ქალაქის ყურადღების ცენტრში იყო და ყველა ბოლოდ მასზე ლაპარაკობდა. ოჯახებში ყურმოკრულ ჭორებს ბავშვები სკოლაში უყვებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ მისი ამბავი თანდათან დავიწყებას მიეცა და ხალხის მეხსიერებიდანაც წაიშალა.

გავიდა დრო.

ერთხელაც, ერთმა ჩემმა მეგობარმა, გამოჩენილმა ბუნების მკვლევარმა და ენტომოლოგმა-კოლექციონერმა, რომლის სახელიც ცნობილი იყო არა მარტო უნგრეთში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, მიამბო ერთი მეტად საინტერესო კუნძულის შესახებ, რომელიც არც უნგრეთს ეკუთვნოდა და არც თურქეთს. მისი აზრით, ეს პაწაწინა მყუდრო სავანე ფასდაუდებელი იყო მეცნიერუ-

ლი თვალსაზრისით. აქ შეიძლებოდა შეხვედროდით ფლორისა და ფაუნის უიშვიათეს ნიმუშებს.

ჩემი მეგობარი ყოველ წელიწადს მიემგზავრებოდა იმ კუნძულზე რამდენიმე კვირით. შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს მთხოვა, მეც თან წავყოლოდი, როგორც მოყვარული-ნატურალისტი. სიამოვნებით დავთანხმდი და მალე კიდეევაც გავემგზავრეთ ქვემო დუნაიზე.

მან უპატრონო კუნძულზე მიმიყვანა.

ჩემი მეცნიერი მეგობარი უკვე თითქმის ოცდახუთი წელი იქნებოდა, რაც იცნობდა ამ ადგილს, ისიც იცოდა, რომ ადრე გაუვალი, უდაბური ტყითა და შამბნარით იყო დაფარული, რომლის კვალიც დღეს აქა-იქღა შემორჩენოდა ლერწმნარით გარშემორტყმულ, ოკაკვებულ ბაღნარად ქცეულ კუნძულს. წყალდიდობისაგან დაცულია ხიმინჯებით გამაგრებული წრიული ჯებირით, გაყვანილია აგრეთვე უამრავი სარწყავი არხი, მათში წყალი შემოჰყავთ ტუმბოთი, რომელიც ცხენებს მოჰყავთ მოძრაობაში.

ვერც ერთი მებაღე ვერ დაფარავდა აღფრთოვანებას ამ მართლაცდა სამოთხის მსგავსი ბაღის დანახვაზე, თვალს ვერ მოაცილებდა საუცხოოდ მოვლილ ხეხილს და უმშვენიერეს დეკორატიულ მცენარეებს. კუნძული მთლიანად დამუშავებულია და ყოველი მტკაველი მიწიდან დიდ მოსავალს იღებენ; რა არ მოჰყავთ აქ, მათ შორის საუკეთესო მუსკატის თამბაქოც, რომელიც შეუდარებელი სურნელებით გამოირჩევა. მეტად საინტერესო სანახავია საფუტკრე, უდიდესი ოსტატობით აგებული სკები შორიდან ლილიპუტებისთვის აშენებულ პატარა ქალაქს მოგაგონებთ, ცალკე შემოღობილ მინდორზე სხვადასხვა ჯიშის შინაური ფრინველია გაშლილი. მშვენიერი ქოჩორა, თოვლივით თეთრი კოხინხინური, საოცრად ლამაზი შავი ორმაგბიბილოვანი და რუხი ფერის „პრინცი ალბერტის“ ჯიშის ქათმები, ვერცხლისფერი ინდაურები და დიდებული თეთრი და ოქროსფერბუმბულიანი ფარშევანგები კი აუცილებლად შურით აავსებდა ყველა მათ მოყვარულს. საგანგებოდ მოწყობილ გუბურაში ერთმანეთს ეჯიბრებიან ცურვაში ჭრელი იხვების, ბატებისა და იშვიათი სილამაზის ვედების მთელი გუნდები. ნოყიერი ბალახით დაფარულ მდელოზე მშვიდად სძოვდნენ ერთმანეთის გვერდით ძროხები, ანგორული თხები და გრძელბეწვიანი შავი ფერის ლამები.

აქ ყველაფერი ისეთ შეაბეჭდილებას ტოვებს, რომ მისი მფლობელი ღუფუნებაში ცხოვრობს.

მაგრამ სინამდვილეში მას ერთი ფილერიც არ გააჩნია.

ამ კუნძულზე ფულს საერთოდ არ ხმარობენ.

ეს ყველა ხილით მოვაკრემ იცის და გასაცვლელად მოაქვთ ხორბალი, სხვადასხვა ქსოვილები, ხელსაწყო-იარაღები, შეღებილი ნართის ძაფი და სხვა.

ჩემს სწავლულ მეგობარს კუნძულზე მოჰქონდა საუცხოო, იშვიათ მცენარეთა თესლები, ახალი ჯიშის შინაური ფრინველის კვერცხები, რომლებშიც სანაცვლოდ აძლევდნენ მწერებისა და მცენარეების უნიკალურ ნიმუშებს, რასაც დიდი გულმოდგინებით ახმობდნენ მისი ჰერბარიუმებისთვის. აქ შეკრებილ იშვიათობას ის უგზავნიდა საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებს, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს და კოლექციონერ-ნატურალისტებს და კარგ ფულსაც იღებდა.

განსაკუთრებით იმან გამაოცა, რომ კუნძულელები სუფთა უნგრულ ენაზე ლაპარაკობდნენ, რასაც უნგრეთის განაპირა რაიონებში იშვიათად თუ შეხვდებით.

კუნძულის ყველა მცხოვრები ერთ ოჯახს ეკუთვნის და ერთმანეთს მხოლოდ სახელებით მიმართავენ. მათი უხუცესის, კუნძულის პირველი მცხოვრების ექვსმა ვაჟიშვილმა ახლომახლო სოფლებიდან ითხოვეს ცოლები და ახლა მოხუცებს უკვე ორმოცამდე შვილიშვილი და შვილიშვილის შვილი ჰყავს.

კუნძულზე იმდენი მოსავალი მოჰყავთ, რომ ყველას ჰყოფნის და შეძლებულადაც ცხოვრობენ. მათ საერთოდ არ იციან, რა არის გაჭირვება. ყველა მუშაობს, თითოეულმა მათგანმა იცის რაიმე ხელობა, სამუშაო კი ყველასთვის საკმარისია.

მოხუცები ასწავლიან ახალგაზრდებს ხელსაქმეს და უნერგავენ შრომის სიყვარულს. აქ ყველა მამაკაცმა იცის ხეზე ჭრა, მებაღეობა, მეთუნეობა, თამბაქოს მოყვანა, საქონლის მოვლა, შეუძლია იმუშაოს ხუროდ, მეწისქვილედ. ქალები ქსოვენ თურქულ ხალიჩებს, ტილოს, მაქმანებს, იციან ამოქარგვა, თაფლის ამოღება, ყველის ამოყვანა და ვარდის ზეთის გამოხდა. ყველამ იცის თავისი მოვალეობა და უდიდესი გულმოდგინებით ასრულებს ამას.

თითოეულ ოჯახს საკუთარი სახლი აქვს. ახლადდაქორწინებუ-

ლებს ყველა შეერთებული ძალით უშენებს სახლს — მოხუცების ხელმძღვანელობით.

სტუმრებს კუნძულზე იღებს ოჯახის ახლანდელი უფროსი, რომელსაც ყველა „მამას“ ეძახის, მომსვლელნი კი დეოდატის სახელით იცნობენ. ეს გახლავთ წარმოსადეგი, ძლიერი აგებულების მამაკაცი, საკმაოდ ლამაზი, კეთილშობილური სახის ნაკვთებით. ერთი შეხედვით ორმოც წელზე მეტს არ მისცემთ. ის ხელმძღვანელობს პროდუქტების გაცვლას და ათვალიერებინებს სტუმრებს კუნძულს.

როგორც ძველი ნაცნობები, დეოდატმა გულთბილად მიგვიღო. ჩემი მეგობარი ხშირი სტუმარი იყო მისი და თავს უკვე შინაურულად გრძნობდა. ბევრი ვისაუბრეთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე: პომოლოგიაზე, იონოლოგიაზე, ენტომოლოგიაზე, ბოტანიკასა და მეგალეობაზე. დეოდატმა ისე ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა გამოამჟღავნა, მეგალეობასა და მეცხოველეობაში კი ისეთ მოწინავე შეხედულებებს იზიარებდა, რომ გაოცებული დავრჩი. ბოლოს, ველარ დავფარე ჩემი გაოცება და ვკითხე, ეს ყოველივე ვინ შეგასწავლათ-მეთქი.

— ჩვენმა მოხუცმა! — მიპასუხა დეოდატმა მოწიწებით.

— ვინ არის ის?

— თქვენ მას ნახავთ საღამოს, როცა ყველანი შევიკრიბებით.

კუნძულზე მოსავლის აღების დრო იყო და დიდი და პატარა ხილის ბაღებში იყო წასული. კრეფდნენ წითელ-ყვითლად დაფერილ ვაშლებს და ხავერდივით მწვანე ბალახზე აწყობდნენ. ხეებქვეშ ხილის მთელი გროვები იდგა, ბაღის ყოველი კუთხიდან მხიარული ხმები მოისმოდა. ეტყობოდა, რომ ხალისითა და მონდომებით მუშაობდნენ.

როგორც კი მზე დახავლეთისკენ გადაიხარა, გორაკის მწვერვალიდან ზარის ხმა მოისმა და ყველას ამცნო, რომ სამუშაო დამთავრებული იყო. მათ ხელში აიღეს კალათები და სიმღერით გამოსწიეს შინისაკენ.

დეოდატთან ერთად ჩვენც იქით გავეშურეთ, საიდანაც ზარის ხმა მოდიოდა. სულ მალე ხის სახლთან მივედით, რომელიც მთლიანად სუროს ფოთლებით იყო დაფარული და მხოლოდ აივნის ზოგიერთი სვეტი მოჩანდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თითოეული მათგანი ნამდვილი ხელოვნების ნაწარმოები იყო. გა-

ოცებული შევყურებდი და ვფიქრობდი, რომ ასეთი რამ მხოლოდ უდიდესი სიყვარულით შთაგონებულ ოსტატს თუ შეეძლო შეექმნა.

სახლის წინ ამწვანებულ მინდორზე ხის გრძელი მაგიდები და სკამები იდგა. მუშაობის დამთავრების შემდეგ ყველანი აქ იკრიბებოდნენ.

— ამ სახლში ცხოვრობენ ჩვენი მოხუცები! — ჩამჩურჩულა დეოდატმა.

მალე ისინიც გამოვიდნენ. ეს იყო, მეტად სიმპათიური, შესანიშნავი წყვილი, ქალი სამოცი წლისა იქნებოდა, კაცი ოთხმოცისა. კაცი საკმაოდ მხნედ გამოიყურებოდა და მეტისმეტად გონივრული გამოხედვა ჰქონდა, რამაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება ძალიან მოახდინა. თავი ოდნავ გამელოტებოდა, თმასა და ულვაშებში ჭაღარა შეპარვოდა, მშვიდი. მოხდენილი სახის ნაკვთები კი მაინც დიდად ვერ შეეცვალა წელთა სიმრავლეს. ყოველივე ამის მიზეზი კი ცხოვრების საუკეთესო პირობები, სიმშვიდე და კარგი განწყობილება იყო უდაოდ, რაც დიდად სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

მისი მეუღლეც შესანიშნავად გამოიყურებოდა, მართალია საუცხოო ქერა თმებზე უკვე ვერცხლისფერი დაჰკრავდა, მაგრამ თვალები მაინც ახალგაზრდულად უბრწყინავდა, ხოლო როცა მოხუცი აკოცებდა, ლოყები ახალი პატარძალივით ვარდისფრად შეეღებებოდა ხოლმე.

თავიანთი მრავალრიცხოვანი ჯალაბის დანახვაზე მოხუცებს საზე გაუბრწყინდათ, სათითაოდ გადაეხვივნენ და გადაკოცნეს თითოეული მათგანი. ეტყობოდათ, რომ გაგიჟებით უყვარდათ თავიანთი შვილები და შვილიშვილები და მათი დანახვა უდიდეს ბედნიერებას ანიჭებდათ.

ბოლოს, როგორც იქნა, ჩვენი რიგიც დადგა, უფროს ვაჟიშვილს, დეოდატს გადაეხვივნენ, მე და ჩემს მეგობარს კი ხელი ჩამოგვართვეს და სუფრასთან მიგვიწვიეს.

სადილს მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებისთვის, როგორც წესი, ბებია ამზადებდა. სასადილო მაგიდასთან ყველას შეეძლო იქ დამჯდარიყო, სადაც მოისურვებდა. მოხუცი დეოდატსა და ჩვენს შორის დაჯდა. პაწაწინა ქერათმიანი გოგონა, რომელსაც ნოემის ეძახდნენ, პაპასთან მოვიდა და სთხოვა, შენთან დამსვიო. პაპამაც მაშინვე შეუსრულა თხოვნა და მუხლზე დაისვა.

როცა მოხუცს ჩემი თავი გააცნეს, ერთხანს მიყურა დიდი დაკვირვებით და შევატყვე, რომ ლოყები შეუწითლდა.

ჩემმა მეგობარმა ჰკითხა, ადრე ხომ არ იცნობდიო, მაგრამ მოხუცმა არაფერი უპასუხა.

დეოდატმა აგვიხსნა, რომ უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე მამამისი იმ წიგნების მეტს აღარაფერს კითხულობდა, რაც სოფლის მეურნეობასა და მებაღეობას ეხებოდა. ამ ხნის განმავლობაში მას ფეხი აღარსად გაედგა კუნძულიდან და აღარაფერი იცოდა, რა ხდებოდა ქვეყანაზე.

მე მაშინვე გადავწყვიტე, მეამბნა მისთვის ყოველივე იმის შესახებ, რაც მოხდა და რაც შეიცვალა მსოფლიოში ამ ორმოცი წლის განმავლობაში.

დაწვრილებით მოვუყევი ჩვენი ქვეყნის ამბები, რომ უნგრეთმა უკვე დიდი ხანია დაკარგა დამოუკიდებლობა და ავსტრიას შეუერთდა.

მოხუცმა ჩიბუხი გააბოლა და ჩაილაობაობა: „ჩემი კუნძული კი არავის მფლობელობაში არ შედის!"

მე ვუამბე იმ უამრავი გადასახადების შესახებაც, რომლებიც მოსახლეობას დააწვა მძიმე ტვირთად.

„ჩემს კუნძულზე არავინ იხდის გადასახადს!"

ისიც ვუამბე, როგორ იბრძვის ხალხი თავისუფლებისათვის ჩვენთანაც და სხვა ქვეყნებშიც.

„ჩვენ არავის ვეომებით".

ამავე დროს საგრძნობლად დაეცა ფულის კურსი და ბევრი ცნობილი მდიდარი ოჯახი სულ გაღარიბდა. შევეცადე ამეხსნა მისთვის, რას ნიშნავდა ეს ყოველივე, მან კი, ისევ ისე მშვიდად გააბოლა ჩიბუხი და მომიგო:

„ჩვენ საერთოდ არა გვაქვს ფული!"

მოვუყევი აგრეთვე იმის შესახებაც, თუ როგორი ბრძოლა იყო გაჩაღებული ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა პარტიებს შორის, არაფერი გამომრჩენია რელიგიური კანონების აუტანლობის, ძალაუფლების მოყვარულთა და ეროვნული დაქუცმაცებულობის შესახებ.

მოხუცმა აუჩქარებლად დაბერტყა ჩიბუხი და გაიფიქრა: „ჩვენთან არც ეპისკოპოსები არიან, არც ხმების შემკრები აგენტები, არც მინისტრები".

ბოლოს ისიც ვუთხარი, როგორ გაძლიერდებოდა ჩვენი ქვეყანა, თუკი ხალხი შესძლებდა თავისი ოცნების განხორციელებას.

.....პატარა ნოემის პაპის მუხლებზე ჩაეძინა, საჭირო იყო [illegible] შინ წაყვანა და საწოლში ჩაწვენა. მოხუცისთვის, ეტყობოდა, ეს უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ჩემი ნაამბობი. მძინარე ბავშვი ბებიამ წაიყვანა და როცა ისევ მარტონი დავრჩით, მკითხა:

— საიდან ხართ, რომელ ქალაქში ცხოვრობთ?

მე ვუპასუხე.

— რა პროფესიის ხართ? რაზე მუშაობთ?

— მწერალი ვარ, რომანებს ვწერ.

— ამიხსენით, რას ნიშნავს ეს?

— მწერალი ის ადამიანია, რომელსაც შეუძლია მოისმინოს რაიმე ამბის ბოლო და მიხვდეს, რა იყო თავიდან.

— მაშ დაწერეთ ჩემი ამბავი! — დაიწყო მოხუცმა და ხელი მომკიდა, — იყო ოდესღაც კაცი, რომელმაც დასტოვა ადამიანები, სამყარო, სადაც ყველა განცვიფრებული იყო მისი აურაცხელი სიმდიდრითა და წარმატებებით და შექმნა თავისი საკუთარი სამყარო, სადაც ის ყველას უყვარს.

— მითხარით, თუ შეიძლება, თქვენი გვარი!

ამ სიტყვებზე მოხუცი წამოდგა, წელში გასწორდა და თითქოს კიდევ უფრო ამაღლდა. მან აკანკალებული ხელი ასწია და თავზე დამადო. უცებ რატომღაც მომეჩვენა, რომ დიდი ხნის, ძალიან დიდი ხნის წინათ, სწორედ ეს ხელი ასევე შეეხო ჩემს ჯერ ისევ ბავშვურ ქერათმიან თავს და რომ სადღაც მენახა მისი სახე.

— ჩემი სახელია „არავინ!"—მიპასუხა მცირეოდენი დაფიქრების შემდეგ.

მერე მიტრიალდა და შინისაკენ წავიდა. ამის შემდეგ გარეთაც აღარ გამოსულა, სანამ ჩვენ კუნძულზე ვიყავით.

ასე ცხოვრობენ უპატრონო კუნძულის მფლობელნი, რომელნიც ორივე ქვეყნისაგან განსაკუთრებული უფლებით სარგებლობენ და შეუძლიათ ასევე თავისუფლად გაატარონ კიდევ ორმოცდაათი წელი ყოველგვარი სახელმწიფო საზღვრების გარეშე.

ორმოცდაათი წლის შემდეგ კი, ვინ იცის, როგორ შეიცვლება მთელი სამყარო?!

უნდა ვაღიარო, რომ ჩემს რომანებში ყველაზე მეტად „ოქროკაცი“ მიყვარს. მკითხველებშიც ის სარგებლობს ყველაზე მეტი მოწონებით, უფრო ხშირად მას თარგმნიან უცხო ენებზეც: ინგლისურად ორჯერ გამოიცა, ლონდონში „Timars two worlds“ („ტიმარის ორი სამყარო“) და ნიუ-იორკში „Modern Midas“ („მიდასი, რომლის ხელშიც ყველაფერი ოქროდ იქცევა“). გერმანიაში ორ გამომცემლობას შორის დავაც კი ატყდა მისი გამოცემის უფლების ხელში ჩასაგდებად. მე პიესაც დავწერე ამ ნაწარმოების მიხედვით და, შეიძლება ითქვას, ერთადერთი შემთხვევა იყო, რომ ოცი წლის განმავლობაში სცენიდან არ ჩამოსულა. დიდი წარმატებით იდგმებოდა ასევე გერმანიის თეატრებშიც. მაგრამ მე კიდევ იმიტომ მიყვარს ასე ძლიერ ეს რომანი, რომ ყველა მისი პერსონაჟი ნაცნობი და ახლობელია ჩემთვის.

მე ბევრი ნათესავი მყავს, რომლებთანაც ახლო ურთიერთობაში ვარ დღესაც.

იოკაების ოჯახის ქონებრივი მდგომარეობისა და მემკვიდრეობის მოსაწესრიგებლად გასული საუკუნის დამდეგს განსაკუთრებული ბრძანებულება იყო გამოცემული და ამასთან ერთად დანიშნული იყო კომისია ბარონ მახოლანებთან დავის განსახილველად. ერთხელ ჩემს უფროს ძმას, კაროის, რომელსაც ოჯახში ყველა ცოცხალ ენციკლოპედიად ვთვლიდით, ვკითხე, რატომ იყო, რომ ჩვენი წინაპრები ფუფუნებაში ცხოვრობდნენ ბატონყაცურად, მამაჩვენს და ჩვენ კი იმდენი ქონება აღარა გვაქვს და საკუთარი შრომით ვირჩენთ თავს-მეთქი.

ძმამ ყველაფერი ამიხსნა.

— ჩვენი საგვარეულო მამული დღესაც არსებობს, მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ის დანაწევრებულია უამრავი მემკვიდრის შორის. პაპაჩვენის მამას ერთი ვაჟი და ხუთი ქალიშვილი ჰყავდა. ამ ხუთი ქალიშვილის კუთვნილი მამული პეჩის ცნობილმა ეპისკოპოსმა შეიძინა, რომელიც ასევე ჩვენს ოჯახს ეკუთვნოდა, ჩვენი საგ-

ვარეულო შტოდან იყო. მან, როგორც ცნობილია, მთელი თავისი ქონება სკოლების გახსნას და საქველმოქმედო ფონდების შექმნას მოახმარა. პაპაჩვენმა მთელი იმ დიდი ქონების მეექვსედი მიიღო მხოლოდ მემკვიდრეობად. მას ორი ვაჟი და ორი ქალიშვილი ჰყავდა, მამაჩვენს თავის წილად ოცდამეოთხედი შეხვდა. მას კი ჩვენ სამი შვილი ვყავართ და თითოეულს სამოცდამეთორმეტედი ნაწილი გვერგო მხოლოდ. ესაა სულ იმ დიდი ქონების ნაწილი, რამაც ჩვენამდე მოაღწია და რასაც თითოეული ჩვენგანი ფლობს დღეს.

პაპაჩემის მამა დედის მხრიდან. პულაი, სიმდიდრით არ გამოირჩეოდა, მაგრამ სამაგიეროდ საკმაოდ ცნობილი კაცი იყო. დიდი თავადისა და უნგრეთის მმართველის ფერენც II რაკოცის საიდუმლო კანცელარიის უფროსად მუშაობდა და დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან.

ბებიის მხრიდან კი, საკმაოდ ცნობილი გვარის სუჩების შთამომავალნი ვართ.

სამოცდაათიან წლებში ლაიოშ სუჩის მეუღლე განსაკუთრებული პატივისცემითა და ყურადღებით სარგებლობდა ბუდაპეშტის არისტოკრატიულ საზოგადოებაში. მას დიდებული სასახლე ჰქონდა მუზეუმის წრიულ ქუჩაზე და საუკეთესო ვილა ბალატონ-ფიურედში. მთელი თეატრალური სეზონის განმავლობაში არც ერთ სპექტაკლს არ აცდენდა და ყოველ საღამოს შეგეძლოთ გენახათ საკუთარ ლოჟაში. მართალია, უკვე ხანში შესული გახლდათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფრიად სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონად ითვლებოდა და მისდამი ყველა ღრმა პატივისცემით იყო განმსჭვალული. საკმაო ქონების პატრონი იყო და საქველმოქმედო საქმეებზედაც ბევრს ხარჯავდა.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ქალმა მეც დიდი სამსახური გამიწია, ჩემი რომანის ძირითადი იდეა მან შთამაგონა.

ერთხელ, ნაშუადღევს, ერთად მოგვიწია გემით მგზავრობა ბალატონ-ფიურედიდან შიოფოკამდე.

შუა გზაში, ბაკოსის მხრიდან ქარიშხალი ამოვარდა და წყნარი, მშვიდი ტბა ერთ წუთში აბობოქრებულ ზღვას დაამსგავსა. ჩვენს გემს ნაფოტივით ათამაშებდა და აქეთ-იქით ისროდა. მგზავრები, როგორც ქალები ისე კაცებიც, თავიანთ კაიუტებში ჩაიკეტნენ, რომ როგორმე თავი დაეცვათ ზღვის ავადმყოფობისაგან. მხოლოდ მე და

ჩემი დეიდა ვერ შეგვაშინა გამძვინვარებულმა სტიქიამ და გემბანზე დარჩენა გადავწყვიტეთ.

— ჩვენს ძარღვებში სუჩების სისხლი სჩქეფს, ქარიშხალი რას დაგვაკლებს — ამაყად განაცხადა დეიდამ. ის ბებიაჩემის უფროსი და იყო, ქმრის გარდაცვალების შემდეგ უამრავი ქონება დარჩა.

ტალღები ისეთი სიძლიერით ასკდებოდა ჩვენს გემს, რომ ცალ მხარეს გადახარა და ერთი ბორბალი თითქმის ჰაერში ტრიალებდა.

დეიდაჩემმა ამას ყურადღება მაინც არ მიაქცია, გვერდით მომისვა და მიამბო ერთი ნამდვილი ამბავი, რომელიც საფუძვლად დაედო ჩემს რომანს. ეს ეხებოდა ახალგაზრდა ქალიშვილს, მის საქმროს, ოფიცერს, ერთ მის ახლობელ ქალიშვილს, ამ ოფიცრის ყოფილ საცოლეს და მის დედას. დეიდა მათ ყველას პირადად იცნობდა. დანარჩენი პერსონაჟები და დასაწყისში მომხდარი ამბები ჩემი დამატებულია, ოღონდ, რა თქმა უნდა, არც ერთი მათგანის სახე გამოგონილი არ არის და სინამდვილიდან მაქვს აღებული.

„უპატრონო კუნძულის“ არსებობა ჩემი ნაცნობი მეცნიერისა და ბუნების მკვლევარის იმრე ფრივალდსკისაგან შევიტყვე. ეს კუნძული ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის სამოციან წლებამდე დამოუკიდებელ ტერიტორიად ითვლებოდა და არც უნგრეთის მფლობელობაში შემოდიოდა, არც თურქეთისა.

ესაა ყოველივე, რაც დამატებით მინდოდა მეცნობებინა მკითხველისათვის.

დოქტორი მორ იოკაი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

მ ო რ ი ო კ ა ი — მთარგმნელის წინასიტყვაობა . 5

პირველი ნაწილი

„წმინდა ბორბალი" 7

მეორე ნაწილი

ლაქია 91

მესამე ნაწილი

უპატრონო კუნძული 176

მეოთხე ნაწილი

ნოემი 263

მეხუთე ნაწილი

ატალია 342

დოქტორი მორ იოკაი — რომან „ოქროკაცის" ბოლოსიტყვაობა 469

Йокай Мор

ЗОЛОТОЙ ЧЕЛОВЕК

Роман

(на грузинском языке)

Издательство «Мерани», Руставели, 42.

Тбилиси. 1975

რედაქტორი ი. ლეკავა
მხატვარი ს. ცინცაძე
მხატვ. რედაქტორი ა. თოდრია
ტექრედაქტორი თ. ნათიშვილი
კორექტორები: გ. წერეთელი, მ. სანადირაძე, ლ. არაბიძე

გადაეცა წარმოებას 18/II-75 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/XI—75 წ.
ქაღალდის ზომა 60×84¹/₁₆ საბეჭდი ქაღ. № 3
ნაბეჭდი თაბახი 27,44
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 24,22
შეკვ. № 2894, ტირაჟი 50.000
ფასი 1 მან. 86 კაპ.

გამომცემლობა „მერანი". რუსთაველის, 42
თბილისი. 1975

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა
სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 5
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 11.

Типография № 5 Государственного комитета
Совета Министров Грузинской ССР по делам издательств,
полиграфии и книжной торговли.
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.